





თეატრული

1 9 ივლისი 1953

№ 6

# ს ა რ ჩ ე ვ ი

კოლონელი კომედი	
ომის სიმღერა . . . . .	3
სიმონ და გოვარძი	
ძალიან მშვიდი სიკვდილი . . . . .	10
კაინის კაინი	
ლექსები . . . . .	70
უილიამ ფოლკნერი	
სიტყვა წარმოთქმული ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღების დღეს . . . . .	76
უთში . . . . .	78
წითელი ფოთლები . . . . .	90
სოლომონ იბნ გეგირილი	
ლექსები . . . . .	111
მოსე იბნ მურა	
ლექსები . . . . .	114
იეჰუდა კალევი	
ლექსები . . . . .	116
კონსტანტი ბალჩინსკი	
ლექსები . . . . .	118
ჰეიმზ ჯონსი	
ულისე . . . . .	124
ნახიმ კიქმეტი	
ლექსები . . . . .	178
ფლდონ კაქსლი	
პორტრეტი . . . . .	181
არტემიდა . . . . .	192
აკუტაბაჰა	
როკუნომიელი ქალი . . . . .	197
ამბავი ერთი შურისგებისა . . . . .	204
ი. ვ. გოშე	
მკვდრების როკვა . . . . .	213
სტივენ ლიკოკი	
მკითხველი საზოგადოება . . . . .	215
ჯაკობო ლეოპარდი	
ლექსები . . . . .	221
კოლეტი	
ქივი . . . . .	226
დალი სიხარულიძე	
რილკე და სახვითი ხელოვნება . . . . .	263
მზია ბაქრაძე	
ფრანგული „ახალი რომანი“ (წერილი მეორე) . . . . .	274

რედაქტორი

ვანტანგ კელიძე

სარედაქციო კოლეჯია

ვანტანგ გეგუკელი

მიალა თოფურიაძე

მინემილ ქვესელავა

ვანუშტი კოტეტიშვილი

ვანტანგ ძორიკაძე

ნიკო ყიასაშვილი

ბარეკანი

დავით დუნდუასი

განომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი





თარგმანი  
თეიმურაზ ჯანუაშვილისა

## ომის სიმღერა

„ომის სიმღერა“ („სპევ ვოინი“) ერჭვა 1944 წელს პიტლერული ოკუპაციის დღეებში ქალაქ ლვოვში გამოცემულ პოლონელ მწერალთა არალეგალურ პოეტურ ანთოლოგიას. მის წინასიტყვაობაში ნათქვამი იყო: „ჩვენი იარაღია პოეტური სიტყვა. იატაკქვეშეთის საიდუმლო სტანბიდან ამ სიტყვით მოვდივართ თქვენთან. მოვდივართ დარაზმულნი და უსახელონი, როგორც სამხედრო ქვეგანაყოფი. ჩვენც თქვენსავით გვიდარაჯებს სიკვდილი. თრი ჩვენგანი უკვე დაიღუპა ჯარისკაცის სიკვდილით: ერთი ოსვენციმში, მეორე ციხეში. ოდესმე, როდესაც სულს მოვითქვამთ გამარჯვებული დროების ჩრდილში, ჩვენ შეგვეძლება ჩვენს თავს ვუთხრათ, რომ თქვენ რაღაც მოგცათ ამ ლექსებმა, ამ ჩვენმა „ომის სიმღერამ“.“

კრებულის ყველა ავტორი ანთონიმი იყო. ამ ბოლო ხანებში საბჭოთა ლიტერატორმა ვლადიმერ ბელიაევა შესძლო ლექსთა ნაწილის ავტორთა დადგენა. ზოგი მათგანი დღესაც ცოცხალია და პოლონეთში მოღვაწეობს.

## ალექსანდრა ბაუშკარტანი

### ქაშთა სიავი

უხმოდ ბობოქრობენ კედლები, მოსინჯე, გული აქვთ განა ქვის, რისხვით ანთებული თვალებით ლვოვი წყვილიადიდან იხედება. წუთი დაემსგავსა წელიწადს. ძველი და ამაყი ქალაქი, უკვდავების ღია ქალაქი საღამოს ცხრაზე იკეტება.

ლულეებით, ხიშტებით, დანებით შენს თვალწინ დრო მიჰქრის მრისხანე, არ ძალგიძს დახუჭო თვალები და დროის ქროლვა შეაჩერო. ცეცხლით დაძენილი ხეები სისხლიან ყვავილებს ისხამენ. ვინ არის, სად არის, მოვიდეს — ცა გახსნას, მიწას მზე აჩვენოს.

ჩვენი სიჭაბუკე დასისხლეს. ლამეებს — მსუსხავს და ნაცრისფერს, უწყვეტი ბათქებით დაფლეთილს — ცისკარი მოსდევს სისხლიანი. ისევ ჩამოახრჩვეს მძევლები. ჩინი მოუმატეს ნაცისტებს, მკვლელების ახალი ბრძანება კედლებზე გველივით მისრიალებს...

ცამ რომ გადიყაროს წყვილიაღი, მიწა არ ისმენდეს კენკაჯიჭირობას, რომ ჩვენც გაგვიყოლოს იერიშზე, მრისხანე ტალღებზე დაძვრული, — ბუგს და სანს ხმა როდის ჩაესმას ვოლგიდან მოსული მესაყვირის! როდისღა! გრიგალი გვწყურია, დაჰქროლე, ქარო გაზაფხულის!



## უსნობი ავტორი

### მუზეგი ომის ქაოს

ისე შორსა ხართ, იქნებ არც ღირს მოხმობა თქვენი, მაგრამ ჩემს ფიქრებს გამოგიწვდით ვით ხელისგულებს... და შავი ციდან კვლავაც მოჰქრით ქათქათა ფრთებით, ჩემს გვერდით დგებით, წამიერად მიყუჩებთ წყლულებს.

ქუჩის ჩონჩხებზე გამვლელთ ჩრდილნი აღარ იძვრიან. სიკვდილმისჯილნი ხუნდებით და ციხით შერისხეს. გთხოვთ: „ჩემთან დარჩით!“ და ჩამესმის: „არ შეგვიძლია!“ გკითხავთ: „თქვენ საით?“ და ჩამესმის: „ბრძოლის ველისკენ!“

და მარტო ვრჩები ვით მხედარი მკერდნატყვიარი და ბრძოლის ველზე დაგდებული დასისხლულ მკერდით. თუ გამაგონეთ თქვენი თეთრი ფრთების შრიალი, მუხებო, ბარემ შთამაგონეთ სიმღერაც ერთი!

ვიცი, ქალაქში დაბრუნდებით ვარდით, იებით, მკაცრნი, ამაყნი, როგორც ხსოვნა, როგორც დიდება და ჩვენთა გულთა მძლავრი შუქი შურნაძიები მაგ თქვენი ფრთებით თვითონ მზემდე აიზიდება.



## 1943 წლის ღვინის აღიღო



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩუმად, ჩუმად, ჩუმად!  
 ღვინი სისხლში ცურავს.  
 ქრისტეშობა დამდგარა, დროა აღიღოსი.  
 და გესტაპო ქრისტეს  
 მკერდზე აბჯენს ხიშტებს,  
 ეხეთქება კონდახი კარებს, სისხლით მოსვრილს.  
 გზა, გზა ახალ წესრიგს!  
 დაიბადა ღღეს ვინც,  
 ყველა საწოლში დაეძებს ხიშტი. დამეა გლოვის.  
 რა განკითხვა დადგა...  
 ღმერთო ჩემო, სად ხარ?  
 ქალაქი ღვინი — ქალაქი ღვინი — ქალაქი ღვინი.  
 ტყვია, ყულფი, გაზი —  
 ყველგან, ყველა გზაზე  
 და კედლებზე ახალ ბრძანებათა წყება.  
 მძიმე დუმილს აპობს  
 ღამის დასჯის ზალპი:  
 O, Jerus, stillhalten! \* — ისმის როგორც ყეფა.  
 ვიღაც მოსწყდა ადგილს  
 და თხრილისკენ გარბის,  
 იქ ჩაგდებულ აკვანს მკერდით ფარავს თრთოლვით,  
 ტყვია დაჰკრეს უმაღლ...  
 ჩუმად, ჩუმად, ჩუმად!  
 ტირის ღვინი — ტირის ღვინი — ტირის ღვინი.  
 ანგელოსნი კრთიან:  
 სიკვდილს შობა ჰქვიათ!  
 ოცდაათი ცხედარი ჯერ შეუშურალ სისხლით  
 უძრავად წევს თხრილში,  
 შავი ღამის ჩრდილში.  
 ამ მოედნის გადაღმა სხვა ზალპის ხმა ისმის.  
 ტყვია, ტყვია, ტყვია!  
 უკვე არის გვიან!  
 დაიძინოს ყველამ, ძილი, ძილი, ძილი!  
 სახრჩობელა. ღამე.  
 ვინ ჩამოხსნის გვამებს?  
 შესდექ! მკვლეელი იქვე დგას ხიშტგამოწვდილი.

\* სმენა!

ღვოვს სისხლის ზღვა ხუთავს,  
 ქრისტე ვეღარ სუნთქავს.  
 ვარსკვლავები ბეთლემის მხოლოდ ცხედრებს ჰვრეტენ.  
 წყურვილდაუოკები  
 მგლები, განა მოგვები,  
 ზეიმობენ შობას და ცხელ სისხლსა ხვრებენ.



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

დაიძინე, ჩვილო,  
 ჩვენს შეელას ნუ ცდილობ,  
 ემაგ ქორთა ფეხებს მხოლოდ სისხლით მოსვრი.  
 წყვილია დგას, მაგრამ  
 გულში როდი ჩაქრა,  
 სამარეშიც ჩავვდევს რწმენა დილის მოსვლის.

ჯერ კი მხეცთა თათები  
 ნაძვზე სანთლებს ანთებენ  
 და მათს შუქზე მღერიან ზეიშით და ზარით  
 ჯალათების შვილები,  
 გრძნობადაგესლილები,  
 — O, heilige Nacht! — კარგი ღამე არის!

ღვოვი — სისხლით სავსე,  
 ჰხურავს ნისლი თავზე,  
 დგას სიკვდილის შობა, თოვლი წითლად ყვავილობს.  
 ცას რა ფერი ჰქონდა?  
 კარს ურტყამენ კონდახს...  
 აღილო, ჰეი, ა-ლი-ლო!



ამი ბორლინსკი

## კ ე ქ ვ ი ე ე ი

ისმინე...  
 ღამის ბომბი დაეშვა, სიკვდილივით ბნელი,  
 ამ წყვილიადში სახე მარმარილოს მიგავს,  
 იქ კი, მაღლა, სადაც  
 ვერ მისწვდები ხელით,  
 ნათელ ვარსკვლავებით ზეცა მოიჭიჭა.

ის ვარსკვლავნი მეძახიან,  
მიჩვენებენ გზას,  
შაგრამ საით წავალ... ასე გვიან მგზავრს  
ამ ბნელ ღამით ცა  
არ გაუღებს კარს.

ისმინე...  
ნამსხვრევებად იქცეს  
ჩემი გული ღამის  
და ეს გული ამაყი არვის ემორჩილება.  
ძალუძით მხოლოდ დაახრჩონ.  
ახალ ყულფებს სწნავენ.  
სთვლიან სახრჩობელები წლებად ქცეულ წამებს.  
ძილშიც აღარ მშორდება და შემზარავ ჩრდილებად  
მოჩვენება ღამის აქანავენს გვამებს.

ომა — მწველი ჭრილობა, სხეული რომ დახრა —  
დაფლეთილი ხორცი, დამსხვრეული ძვლები...  
და მძინარე ქუჩაში მარტოდმარტო ვრჩები  
უპატრონო ძაღლად.

სიცოცხლის ფასად მხოლოდ ხსოვნა შემრჩა. იმ ხსოვნას  
არ შეიძლება განვერიდო თუნდ ერთი წამით.  
შენ იმ ხსოვნაში მიაბიჯებ, ტანჯული ყოვლად,  
ჩემს წინ მიდიხარ  
უნაბიჯოდ,  
უჩრდილოდ,  
მამა!

ვერ გავიგონებ შენს სიტყვებს უკვე,  
და სიზმარშილა მეწვევი თუკი,  
ღამის დუმილში შემისწორებ მზრუნველად საბანს,  
რადაცას ჩუმიად წამჩურჩულებ, ვით ღამაზ ზღაპარს  
ისევე, როგორც ჩემს ბავშვობაში.

დაიხრებოდი შენ ალბათ მაშინ  
ისე ახლოს, რომ ბაგენი შენი  
შეებებოდა რძეშეუმშრალ  
ჩემს ქორჯა ბაგეს.  
შენთვის მაშინაც, ოდეს შევხსენ კაცობის ბჭენი,  
კვლავ ბავშვად დავრჩი,  
შენ კი მამად და მოამაგედ.

შენ საფლავიც კი არ გაქვს.  
ალი,  
რომელმაც დაგწვა,



სიკვდილის ხმალი,  
რომელმაც დაგცა,  
არ დამინახავს.

მიჭირს ვირწმუნო სინამდვილე. თომა ვარ ახლა,  
ის თომა, რომლის ურწმუნოების  
გაფანტვა შესძლო მხოლოდ ქრისტეს ქრილობის ნახვამ.

სიზმარი

არა, არ მჯერა, რომ სიკვდილმა ბაგენი შენი  
დაკბუგა თავის უმოწყალო და უღვთო ხმალით.  
არა, არ მჯერა! ალბათ მძიმე და შემაზრზენი  
სიზმარი არის, ყოველივე სიზმარი არის.

ღამეა. ბაგე დაურაზავს ჩემთვის უკუნეთს,  
სხვა რამ არ ესმის ყურს, წუხილის, ქუხილის გარდა.  
მხოლოდღა თვალი მიჭრის ისევ, ნათლად უყურებს  
ყველაფერს,  
არღვევს  
ფარვანებივით შემოსეულ ცრემლების ფარდას.

იტყვიან: უნდა დაითროვო ჟამს მწუხარების  
და შესძრა ღამე უიმედო ბურანში მთვლეში  
მაგრამ, ვაი რომ არ გეყოფა ღვინის ღვარებიც  
დასაოკებლად წყურვილის ჩემის...  
ან იქნებ ვახმო ვინმე ქალი,  
ალერსით მთვრალი  
გადავივიწყებ ამქვეყნიურ წუხილს და ტკივილს.  
არა, გათავდა ყველაფერი, დაედო ზღვარი  
და ჩემში მხოლოდ დამნაშავის გრძნობაღა კივის.

მე ვაჟიშვილი ვიყავ შენი  
და ვერ გიშველე.  
ლუბლინის ღამე,  
როგორც ქსენძი,  
გაფითრებული და თავშიშველი  
უხმო რექვიემს გიგალობდა.  
მიჰქონდა ქარს  
იმისი ხმა და შენ მიდიოდი,  
და შენ იმდენად ამაყი იყავ,  
მიდიოდი და არ ჰგაფდი მკვდარს.

ცა კანკალებდა.  
მიწას ღამე ემოსა ტანზე  
და ხელთ მხრჩოლავი ვარსკვლავების სანთლები ეპყრა.  
და თქვენ ჯალათის კუნძზე, როგორც პიედესტალზე,  
მშვიდად იდექით დიდების ძეგლად.



ტყვიის ნაკაწრებს ვეძებ.  
კედლებს დავაკვირდები  
და გულს მიბზარავს დაფლეთილი ღამის ბლავილი.  
ფიქრის ღერონი დაუფარავს ღამეს კვირტებით  
და კვირტებიდან იშლებიან შავი ყვავილნი.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

არა, ბოლომდე ვერ გავიგებ ამ განშორებას,  
როგორც ქარონმა ვერ გავცურო მშფოთვარე წყალი.

წყალი კი არა,

შფოთავს სისხლის შავი შორევი,

რეკავს საათი, ბობოქრობს ქარი.

დღენი, ღამენი


ერთად იჩქარიან,


წლებს აღარ ძალუძთ მათი უურისგდება.

და ჩემთვის ყველაფერი გაუგებარია

გარდა შურისგების.

მხოლოდ შურისგება!





## სიმონ და გოპუაკი

ფრანგულიდან თარგმნეს  
ნათელა მებრეველმა და თენგიზ ჩხაიძემ

## კალიან გუვილი სიკვდილი

Do not go gentle into that good night,  
Old age should burn and rave at close of day;  
Rage, rage against the dying of the light...<sup>1</sup>

Dylan Thomas

1963 წლის 24 ოქტომბერს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს ოთხ საათზე რომში, სასტუმრო „მანერვას“ ნომერში ვიყავი. მეორე დღეს შინისაკენ გაფრენას ვაპირებდი და ქალაქები მომყავდა წესრიგში. ტელეფონმა დარეკა. ბოსტი იყო პარიზიდან. დედათქვევს ფათერაკი შეემთხვაო, — მითხრა. მანქანა დასჯახებიდა-მეთქი დედას, უმალ ეს გავიფიქრე. ჯოხს დაბჯენილი ძლივ-ძლივობით აღიოდა ხოლმე ქვაფენილიდან ტროტუარზე და... გვერდი თუ გაპკრა-მეთქი მანქანამ. „სააბაზანოში დაეცა და ბარძაყის ძვლის ყელი მოიტეხა“, — დასძინა ბოსტმა. ისიც იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც დედაჩემი

<sup>1</sup> ასე მორჩილად ამ კარგ ღამეს ნუ მიენდობა.  
დაე, სიცოცხლის მიწურულში შეგპრას ასაკმა;  
აღსდევქ, გააფთრდი — დღის სინათლე უკვალოდ ქრება...  
დილიან თომასი

იღვა. წინააღმდეგ, საღამოს, ასე ათ საათზე, როცა ბოსტი ოლღასთან ერთად კიბეზე აღიოდა, წინ ვიღაც მანდილოსანი და ორი პოლიციელი შეუნიშნავს. „მესამე სართულზეა“, — უთქვამს იმ ქალს. „ქალბატონ დე ბოვეარს ხომ არ დამართვია რამე?“ — „დიახ, დაცემულა. მთელი ორი საათი უხიხავს ტელეფონამდე მიაღწევად. თავის ახლო ნაცნობისთვის დაურეკავს, ქალბატონ ტარდიესთვის, და უთხოვია, ვინმე გამოეგზავნა კარის შესამტკვრევად“. ოღლა და ბოსტი მოსულთ ფეხდაფეხ შეჰყოლიან ბინაში. დედა იატაკზე იწვება, თურმე, ტანზე წითელი ხავერდის ხალათი სცმია. იმავე სახლში მცხოვრებ ექიმს, ქალბატონ ლაკრუას, დაუდგენია, ბარძაყის ძვლის ყელი აქვსო გაბზარული. სანიტარულ მანქანას დედა ბუსიკოს საავადმყოფოში წაუყვანია, ის ღამე საერთო პალატაში გაუთევინებიათ. „მაგრამ მე მინდა ს.-ს კლინიკაში გადავყვანო, — მითხრა ბოსტმა, — ერთ-ერთი საუკეთესო დასტაქარი, პროფესორი ბ., სწორედ იქ მუშაობს. ჯერ უარზე იღვა დედათქვენი, ეშინოდა, მეტად ძვირი არ დაგჯდომოდათ ეს. მაგრამ, როგორც იქნა, დავიყოლიე“.

საბრალო დედაჩემი! ამ თვენახევრის წინ, როცა მოსკოვიდან დაებრუნდი, მასთან ერთად ვსაუზნებოდი. ჩვეულებრივად ცუდად გამოიყურებოდა. ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ თავი მოჰქონდა, ასაკი არ მეტყობოდა. მაგრამ ახლა თვალი აღარავის მოატყუებდა: ეს იყო ძალზე დაძაბუნებული, სამოცდაჩვიდმეტი წლის ქალი. ბარძაყის სახსართა ართროზი, რაც ომის შემდეგ გაუჩნდა, წლითწლივით უმწვაგდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მასაჟსაც იკეთებდა და ექს-ლე-ბენშიც მკურნალობდა. ამიერიდან ერთ საათს მაინც უნდებოდა თავისი კვარტალის გარშემოვლას. იტანჯებოდა. ცუდად ეძინა. თუმცა ყოველდღე ექვს აბ ასპირინს კი უღებდა. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე, მეტადრე შარშანდელი ზამთრის აქეთ, თვალები ნიადაგ ამოღამებული ჰქონდა, ცხვირი — წაწვრილებული, ლოყები — ჩაცვივებული. „სერიოზული არაფერიაო, — არწმუნებდა მისი მკურნალი ექიმი დ. — ღვიძლი გაწუხებთ, კუჭნაწლავის მოქმედება მოღუუნებული გაქვთო“. ხანჯამოშვებით რაღაც წამლებს გამოუწერდა ხოლმე ანდა თამარიინდის მურაბას ურჩევდა შეკრულობის წინააღმდეგ. ასე რომ, არ გამკვირვებია, იმ დღეს რომ „ბებრუცუნა“ უწოდა თავის თავს. მხოლოდ ისა მტკენდა გულს, ზაფხული რომ უხეიროდ გაატარა. შეეძლო საღამე სოფლად დაესვენა — სასტუმროში ან ისეთ მონასტერში დაბინავებულიყო, სადაც პანსიონერებს იღებენ. მაგრამ ეგონა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავისთან მერიანაში მიიპატიჟებდა ჩემი ბიძაშვილი ენა, ან არადა შარახბერგენში — ჩემი და მოხდა ისე, რომ ორივე მათგანს რაღაცამ შეუშალა ზელი. ჰოდა, ისიც დარჩა გაუკაცრილებულ, წვიმიან პარიზში. „მე ხომ მოწყენილობა არა მჩვივია. მაგრამ მაშინ კი დავნადვლიანდიო“ — მითხრა. საბედნიეროდ, მონახულების მერე, ცოტა ხანში, ჩემმა დამ ელზასში მიიწვია ორი კვირით. ახლა კი ყველა მეგობარი უკვე პარიზში ჰყავდა. აგერ კიდევ მეც იქ ვბრუნდებოდი. და ეს მისი მოტეხილობა რომ არა, ყოჩაღად დამიხედებოდა. გული ჩინებული ჰქონდა. წნევა ახალგაზრდისებური: არასოდეს მიფიქრია, თუ უცაბედი ობედურობა შეემთხვეოდა.

ექვს საათზე კლინიკაში დავურეკე. ვაცნობე. დაებრუნდი და მალე შენთან ვიქნები-მეთქი. ექვნარევი ხმით მეღაპარაია. მერე პროფესორმა ბ.-მ აიღო ყურმილი: შაბათ დილით ოპერაცია უნდა გავუკეთო.

„ორი თვეა არაფერი მოგწერია ჩემთვის!“ — მითხრა, როცა ლოგინთან მივუახლოვდი. შევედავე: იტალიაში რომ მივემგზავრებოდი, იმის წინ ვნახეთ ერთმანეთი და რომიდანაც მოგწერე-მეთქი. უნდობლად მომისმინა. შუბლი და ხელები უხურდა, მოღრეცილ ტუჩებს ძლივს აცმაცუნებდა, გონება მიბნელოდა. დაცემის შედეგი იყო ეს? თუ პირიქით, იმიტომ დაეცა, რომ გონება დაკარგა? ეს ნერვულა ტიკი ყოველთვის ჰქონდა. (ყოველთვის არა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან დიდი ხანია. მაინც რა ხანია?) ჯერ ტუჩები აუხამხამდებოდა, წარბები აეჭიმებოდა, შუბლზე ნაოჭები შეეყრებოდა. რაც მასთან ვიჯექი, ტიკი წუთით არ შესწყვეტია. ჩამოეწეოდა თუ არა წარბები, შეშუბებული ქუთუთოები მჭიდროდ უგმანავდა თვალებს. ექიმმა ე.-მ, ასისტენტმა, შემოიარა: ოპერაცია არ ყოფილა საჭირო, ბარძაყის ძვალი არ გადაწეულა; საკმარისია სამ თვეს მშვიდად იწვეს, და ძვალი თავისით შეეზრდებაო. დედამ შვებით ამოისუნთქა. აბნეულად დამიწყო იმის მოყოლა, როგორი გაჭირვებით მიცოცდა ტელეფონთან, რა შიში ჰქონდა, რარიგ გულითადად მოეპყრნენ ბოსტი და ოლლა. ბუსიკოს საავადმყოფოში ხალათის ამარავე წამოეყვანათ, თან ვერაფერი გამოეყოლებინა. მეორე დღეს ოლლას მიეტანა ზოგიერთი აუცილებელი რამ, ოდეკოლონი და შალის თეთრი ლამაზი ხალათი. როცა მადლობას უხდიდა ოლლას, ამ უკანასკნელს მიუგია: „რისი მადლობა, მე ხომ ამას თქვენი სიყვარულით ვაკეთებო“. დედამ ფიქრიანად და გულში ჩამწვდომი ხმით რამდენჯერმე გამიმეორა: „სწორედ ასე მითხრა: თქვენი სიყვარულის გამოო“.


„ისე იტანჯებოდა ჩვენი შეწუხებით, ისეთნაირად გვიხდიდა მადლობას ყველაფრისათვის, მართლაც რომ გული შეეკუმშებოდა ადამიანს“, — მითხრა სადამოს ოლლამ. მერე აღშფოთებულმა დასძინა, რომ ექიმმა დ.-მ, იმით განაწყენებულმა, რატომ ქალბატონი ლაკრუა მოიწვიესო, უარი თქვა ხუთშაბათს ბუსიკოში ენახა დედა. „მთელი ოცი წუთი ვეკიდე ტელეფონზეო, — მითხრა ოლლამ. — გონის დაკარგვისა და საავადმყოფოში გატარებული ღამის შემდეგ ხომ როგორ გაამხნეებდა შეჩვეული ექიმის გვერდით ყოფნა! მაგრამ იმ ექიმს არაფრის გაგონება არ სურდა“. ბოსტის აზრით, დედას ტვინის სისხლძარღვთა სპაზმი არ უნდა ჰქონოდა: როცა წამოაყენა, დაბნეული სჩვენებია, მაგრამ გონება სავსებით ნათელი ჰქონია. მაინც ეეჭვებოდა, სამ თვეში გამომჯობინებულიყო: ბარძაყის ძვლის ყელის მოტეხილობა თავისთავად არც ისე საშიშია, მაგრამ გაუნძრევლად ხანგრძლივი წოლა აჩენს ნაწოლებს, რაც მოხუცებს არ უშუშდებათ. მწოლიარე მდგომარეობა ფილტვებზეც მოქმედებს: ავადმყოფს ფილტვების შეშუბება ეწყება და იღუპება. მაინცდამაინც არ ვლელავდი. მართალია, დედა დასუსტებული იყო, მაგრამ მაგარი აგებულებისა გახლდათ. დაბოლოს, კაცმა რომ თქვას, მისი ხნის ქალის სიკვდილი სავსებით ბუნებრივი იქნებოდა.

ბოსტს უკვე ყველაფერი შეეტყობინებინა ჩემი დის — ელენისათვის, დასდიდხანს ველაპარაკე ტელეფონით. „რაღაც ამდაგვარს მოველოდიო“, — მითხრა. როცა ამ ზაფხულს დედა მასთან ელზასში ჩასულა, დას ისე დაბერებული, დაუძლურებული სჩვენებია, რომ ქმრისთვის კიდევაც უთქვამს: „ამ ზამთარს ვერ გააწევსო“. ერთხელ ღამით დედას მუცლის მწვავე ტკივილი დასწყებია, ის იყო, საავადმყოფოში წაყვანა უნდა ეთხოვა, რომ გამთენიისას ტკი-

ვილი დასცხრომია. როცა დას ქმართან ერთად პარიზში ჩამოუყვანია მანქანით, ფერზე მოსული, გამხიარულებული გამოიყურებოდა და უთქვამს, თქვენთან ყოფნით „ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარო“. მაგრამ ოქტომბრის შუა რიცხვებში, ამ უბედურ შემთხვევამდე ათიოდე დღის წინ, ფრანსინ დიატოს დაურეკავს ჩემი დისათვის: „ახლა ხან დედათქვენთან ვისაუბრებო. მე მგონი, ძალიან ცუდად უნდა იყოს; გადავწყვიტე, გამეფრთხილებინეთ“. ელენი მაშინვე ჩამოსულა პარიზში, რაღაც მოუმიზებებია, და დედათქვენოლოგთან წაუყვანია. შინაურ ექიმს სურათები რომ გაუსინჯავს, გადაჭრით განუცხადებია: „შესაშფოთებელი არაფერია. მართალია, როგორც რენტგენმა უჩვენა, ნაწლავთა გამავლობა რამდენადმე გაძნელებულია. თანაც, დედათქვენი მეტისმეტად ცოტას ჭამს და ამიტომ ხორცსა ყრის. მაგრამ, ასეა თუ ისე, საშიშარს ვერაფერს ვხედავო“. უკეთ უნდა იკვებოთო, ურჩევია დედაჩემისთვის და ახალი, უებარი წამლები გამოუწერია მისთვის. „და მაინც შეშფოთებული მივდიოდი, — დასძინა ელენმა. — ვეხევე დედას, ღამდამობით მესასთუმლე აეყვანა, მაგრამ იმის ფიქრად გავლებაც არ უნდოდა, ვინმე უცხოთაგანს მის ბინაში ღამე ეთია“. მე და ელენმა მოვილაპარაკეთ, რომ ის პარიზში ჩამობრუნდებოდა ორი კვირის შემდეგ, როცა მე პრალას უნდა გავმგზავრებულიყავი.

მეორე დღეს პირი კვლავინდებურად მოქცეული ჰქონდა დედას, ლაპარაკი უჭირდა; თვალი თითქმის სულ არ გაუხელია, წარბები უტოკავდა. მარჯვენა ხელი, ამ ოცი წლის წინათ რომ მოიტეხა ველოსიპედიდან გადმოვარდნისას, ცუდად შეეზარდა, ახლა კიდევ მარცხენაც ძლიერ დაიშავა სააბაზანოში დაცემისას. პოდა, ძლივსდა ამოძრავებდა ხელებს. საბედნიეროდ, გულმოდგინედ უვლიდნენ. მისი პალატა ბაღს გადასცქეროდა და ქუჩის ხმაური იქამდე ვერ აღწევდა. საწოლი გადაუდგეს ფანჯრის მოპირდაპირე კედელთან, ასე რომ, შეეძლო ხელითაც მისწვდომოდა კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონს. ბალიშებშემოწყობილი, იგი წამომჯდარი იყო ლოგინზე, რათა თავიდან აეცილებინა ფილტვების შეგუბება. ხოლო ნაწოლები რომ არ გასჩენოდა, ელექტროვიბრაციული ლეიბი მასაეს უკეთებდა ხოლმე. სამკურნალო ტანვარჯიშის სპეციალისტი ყოველ დღით ფეხებს ავარჯიშებინებდა. ყოველგვარი საშიშროება, რომელთა გამოც ბოსტი გვაფრთხილებდა, თითქოს ავარიდეთ. დედამ უხიათო ხმით მითხრა, მომვლელი ქალი ხორცს მიჭრის ხოლმე, ჭამას ვშველის, და რომ აქაური საჭმელი ჩინებულაო. ბუსიკოს საავადმყოფოში კი კარტოფილთან ერთად მომზადებულ სისხლიან ძეხვს აძლევდნენ! „წარმოგადგენია, ძეხვს! ისიც ავადმყოფებს!“ უფრო ბევრს ლაპარაკობდა, ვიდრე წინააღმდეგ. ხელახლა ვანიცდიდა იმ დაბნეულობასა და შიშს, რამაც შეიბყრო, როცა ორი საათი იატაკზე მიფოფხავდა და არ იცოდა, მოახერხებდა თუ არა ტელეფონის ზონარისთვის ხელი წაევილო და აპარატი თავისკენ მოეწია. „ერთხელ ქალბატონ მარშანს ვუთხარა, ისიც ჩემსავით მარტო ცხოვრობს: „რა კარგი გამოგონებაა-მეთქი ეს ტელეფონი“. — „მერედა, ტელეფონამდე მიღწევა არ გინდაო?“ — მიპასუხა. დედამ რამდენჯერმე სენტენციური კილოთი გაიმეორა ეს ბოლო სიტყვები. მერე დასძინა: ტელეფონამდე რომ ვერ მიმეღწია, დავიღუპებოდიო“.

შეძლებდა ვითომ ისე ხმამაღლა დაყვირებას, რომ მისი ხმა გაეგონათ?



მხატვრები: თ. ქობახიძე, ა. წიკვიძე, ა. სლავენიძე

ვერა, რასაკვირველია. წარმოდგენილი მქონდა, რა სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა. თუმცა დედაჩემს სწამდა ღმერთი, თუმცა დაბერდა და დასნეულდა კიდევ, მიწას მაინც მაგრად იყო მიჯაჭვული, ჰოდა, სიკვდილი ცხოველურ შიშს ჰგვრიდა. ჩემ დას უამბო, რა უქმური აწვა ხშირად ძილში: „მომდევნ. გავრბივარ, გავრბივარ, კედელს ვაწყდები. უნდა გადავახტე ამ კედელს, მაგრამ იმის გადაღმა რა არის, არ ვიცი, მეშინია“. მერე დაუმატა: „სიკვდილის კი არა, ამ ნახტომისა მეშინია“. როცა იატაკზე მიხობხავდა, აღწას იმას ფიქრობდა, ამ ნახტომის ქამი დამიდგაო. მაგრად დაშავდი-მეთქი დაცემისას? — შევეკითხე. „არა. არ მახსოვს. არც კი მტკენია რამეო“. ცნობა დაუკარგავს, გავიფაქრე. დედამ გაიხსენა, ვიდრე დავეცემოდი, თავბრუსხმა ვიგრძენიო; შემდეგ დასძინა, რომ ამ უბედურ შემთხვევამდე რამდენიმე დღის წინ, როცა ახალი წამალი დალია, მკვეთრი სისუსტე იგრძნო მუხლებში და დივანამდე ძლივს მიაღწია. აღმაცერად გადავხედე წამლის შუშებს, დედაჩემის თხოვნით რომ ჩვენს ახალგაზრდა ნათესავს მარტა კორდონიეს მოეტანა სხვა ნივთებთან ერთად. დედას უნდოდა, დაწესებული მკურნალობის კურსი განეგრძო: ვითომ გონივრულად იქცეოდა?

დღის ბოლოს პროფესორმა ბ.-მ ინახულა, მე დერეფანში გავყევი მას. „როცა მოიკეთებსო, — მითხრა, — დედათქვენი უწინდელზე უარესად არ ივლის. და ცოტა ხანს კიდევ იცოცხლებსო“. ხომ არ ჰგონია მაინც ექიმს, ცნობა დაპკარგოდეს უეცრივ და იმის გამო დაცემულიყოს? არა, ამას არ ფიქრობდა. ცოტა არ იყოს დაიბნა, როცა ვუთხარი, კუჭ-ნაწლავი ვერა აქვს-მეთქი რიგზე. ბუსიკოში დედათქვენს ბარძაყის ძვლის ყელის მოტეხილობა გამოურკვიეს, სხვა რამ არც მივარაუდია. თერაპევტსა ვთხოვ, გასინჯოსო.

„ძველებურად ივლი, — ვუთხარი დედას, — ძველებურადვე იცხოვრებ“. — „იმ ბინაში ფებს აღარ შევდგამ, დანახეაც არ მინდა იქაურობის. არასოდეს! არაფრის გულისათვის!“

არადა, რარივ ამაყობდა იმ თავისი ბინით! წინანდელი ბინა რენის ქუჩაზე, სადაც ხანში შესული და იბოქონდრით შეპყრობილი მამაჩემი ღვარძლიანა გულფიცობით აწამებდა ხოლმე, მოძულეებული ჰქონდა. მერე მამაჩემი მოკვდა, მალე დიდდაჩემიც გარდაიცვალა, და დედამ გადაწყვიტა, ძველ მოგონებებს განრიდებოდა. მანამდე რამდენიმე წლით ადრე ერთი მისი ახლო ნაცნობი ქალი მხატვრის ყოფილ სახელოსნოში გადასახლდა, და ამ გაბედულმა ხაბიჯმა დედა აღტაცებაში მოიყვანა. გარკვეული მიზეზების გამო 1942 წელს ბინის გაჭირვება არ იყო, და დედამაც ადვილად შეძლო ნატვრა აესრულებინა: ლოჯიიანი სტუდია დაიჭირავა ბლომეს ქუჩაზე. გაყიდა კაბინეტში მღვარი გამუქებული მსხლის ხის ავეჯი, ჰენრიხ II-ის სტილით გაწყობილი სასადილო, ცოლ-ქმრის საწოლი და როიალი. დანარჩენი ავეჯი და ერთი წითელი ფერის ხალიჩა თავისთვის დაიტოვა. კედლებზე ჩემი დის სურათები ჩამოკიდა. საძინებელ ოთახში დივანი დაიდგა. იმ წლებში ყოჩაღად ადი-ჩამოდიოდა ხოლმე შიდა კიბით. მე კი ეს ბინა სევდისმომგვრელი მეჩვენებოდა. მესამე სართულზე იყო და, ამასთანავე, არც ნათელი ეთქმოდა, თუმცა დიდი ფანჯრები კი ჰქონდა დატანებული. ზემოთ — საძინებელ ოთახში, სამზარეულოსა და სააბაზანოში — მუდამ ქამს ბნელოდა. მაგრამ მას აქეთ, რაც კიბის ყოველი საფეხურის დაძლევა სულ უფრო მეტად უჭირდა, დედა თითქმის აღარც ჩამოდიო-

და დაბლა. ოც წელიწადში ყველაფერი — კედლები, ავეჯი, ხალიჩა — ერთი-ანად ჩამუქდა და დაძველდა. დედას უკვე ფიქრად ჰქონდა, ღრმად მოხუცებულითა პანსიონში გადასახლებულიყო, თანაც 1960 წელს მისი სახლის პატრონი შეიცვალა და შიშობდა, ვაითუ ბინის დაცლა მომიხდესო. შესაფერისი პანსიონი ვერ მოიძებნა, ესეც არ იყო, დედა დამოუკიდებლობა / მიეჩვია. როცა შეიტყო, სახლის პატრონს ჩემი ვაგდების უფლება <sup>არქივქვესთქ</sup> ბლომეს ქუჩაზევე ღარჩა. აწ, რა თქმა უნდა, მისი მეგობრები დედას <sup>არქივქვესთქ</sup> გამოვუნახავთ მყუდრო პანსიონს, ჰოდა, მომჯობინდება თუ არა, იქ გადავა: ბლომეს ქუჩაზე დაბრუნება აღარ მოგიწევს, სიტყვას გაძღვე-მეთქი, ვუთხარი.

კვირას კვლავინდებურად ნახევრად თვალეზიანებული იწვა, გონება დანისლული ჰქონდა, სიტყვებს ნელ-ნელა, გაჭირვებით ამოთქვამდა. ხელახლა მიაშობო თავისი „გოლგოთის“ ამბავი, ამავე ღროს ახარებდა ამ კლინიკაში გადმოყვანა, დაუცხრომლად აქებდა აქაურ წესსა და რიგს. „ამბობენ, ეს კლინიკა პარიზში საუკეთესოაო. აბა, ბუსიკოს საავადმყოფოში აიღებდნენ და გუშინვე გამჭრიდნენ!“ მაგრამ ესეც ეცოტავებოდა და, რომ ეჩვენებინა, რარიგ გაუღიმა ბედმა, აუგად მოიხსენია მეზობლად მდებარე კერძო საავადმყოფო: „აქ უკეთესია, ვიდრე გ.-ს კლინიკაში. ამბობენ, იქ სულ არ ვარგაო!“

„დიდი ხანია ისე კარგად აღარ მძინებია, როგორც წუხელ მეძინა“, — მითხრა ორშაბათს. სახე წინანდებური გახდომოდა, მეტყველება — მკაფიო, თვალეზი — ნათელი. მეხსიერებაც სავსებით დაბრუნებოდა. „ექიმ ლაკრუასთვის ყვავილების გაგზავნაა საჭირო“. გავუგზავნი-მეთქი, დავბირდი. „პოლიციელები? განა მათ კი არ უნდა პატივისცემა? ისინიც ხომ შევაწუხე“. ძლივს დავაჭერე, არაფერია-მეთქი. ბალიშებს მიყრდნობილმა, თვალი თვალში გამიყარა და მტკიცე კილოთი მითხრა: „გესმის, უკიდურესობაში გადავვარდი; მეტიმეტად გადავიღალე: ჩემ ასაკს არად ვაგდებდი და ძვირადაც დამიჯდა. არამც და არამც არ მინდოდა გამოვტყდომოდი საკუთარ თავს, დედაბერი შევიქენი-მეთქი. მაგრამ სინამდვილეს თვალი უნდა გაუსწორო აღამიანმა: რამდენიმე დღეში სამოცდათვრამეტისა შევსრულდები, ეს უკვე ნამდვილი სიბერეა. აწი ამის დავიწყება აღარ იქნება და ცხოვრებაც ამის კვალობაზე უნდა მოვიწყო. სხვა რა გზაა, უნდა გადავშალო ფურცელი“.

აღტაცებით შევხედე. აკი ესოდენ დიდხანს და ჯიუტად ლამობდა, კვლავაც ახალგაზრდად მიეჩნია თავი. ერთხელ როგორღაც სიძის უხერხულ შენიშვნაზე გაბრაზებულმა განაცხადა: „ვიცი, ბებერი რომ ვარ, ეს ფრიად უსიამოა ჩემთვის, ჰოდა, რაღა საჭიროა ამის შეხსენებაო“. და აი ახლა, როცა თავს აღწევდა იმ ჩაბინდულ უფსკრულს, რომელშიც სამი დღე და ღამე იყო დანთქმული, საიმასო ძალა იპოვა, სიბერისათვის უშიშრად შეეხედა თვალეზში. „მომიწევს ფურცლის გადაშლაო“.

გასაოცარი მხნეობით ერთხელ უკვე მოიქცა ასე, როცა მამაჩემი გარდაიცვალა. ღრმა მწუხარება განიცადა, მაგრამ იმის ნება არ მიუცია თავისთვის, წარსულში ჩანთქმულიყო. მოპოვებული თავისუფლებით ისარგებლა და თავისი გემოვნების შესატყვისი ცხოვრების წესი ამოიჩნია. მამაჩემს გროში არ დაუტოვებია, დედა კი იმ ღროს ორმოცდათოთხმეტი წლისა იყო. გამოცდები ჩააბარა, სტაჟი გაიარა და მიიღო მოწმობა, რამაც საშუალება მისცა ბიბლიოთეკარის თანამემწედ დაეწყო მუშაობა წითელი ჯვრის ერთ-ერთ განყოფილე-



ბაში. სამსახურში რომ ჩადგა, ისევ დაიწყო ველოსიპედით სიარული. ამის შემდეგ აპირებდა შინ კერვისათვის მოეკიდებინა ხელი. იმხანად მე უკვე შემოდ-  
ლო მისი შენახვა, მაგრამ უსაქმობას ბუნებით ვერ ეგუებოდა. რაკი დი-  
დი ხნის ნატვრა აღსრულდა, თავის ნებაზე ეცხოვრა, უამრავ საქმეს იგო-  
ხებდა ხოლმე. ჯერ იყო და, ხელი მოჰკიდა პარიზის ანლომდებარე რომელი-  
ღაც სანატორიუმის ბიბლიოთეკის უფასოდ წესრიგში მოყვანას, შემ-  
დეგ — მისი სახლის მახლობელი კათოლიკური კლუბის ეჭყრფუფუღეისას.  
უყვარდა წიგნებთან ფუსფუსი, მათი შეფუთვა, თაროებზე განლაგება, კატო-  
თეკის წარმოება; მკითხველებისათვის რჩევას მიეცემა. ცდილობდა გამოეყენე-  
ბინა ინგლისურის ცოდნა, შეუდგა გერმანული და იტალიური ენების შესწავლას.  
ქარგავდა უმუშევარ ქალთა სასარგებლოდ, მონაწილეობდა საქველმოქმედო  
ბაზრობებში, ესწრებოდა ლექციებს. მრავალი ახალი მეგობარი ქალი შეიძინა.  
ამასთანავე, ნაცნობობა განაახლა ადრინდელ მეგობრებთან და ნათესავებთან.  
იმათთან, ვისთანაც თავის დროზე მამაჩემის მკაცრმა ხასიათმა დაგვაშორა. იგი  
მსიარულად იღებდა მათ თავის ბინაში. დაბოლოს, ყველაზე უფრო სანატრელი  
ოცნებაც აღსრულდა: მოგზაურობა დაიწყო. ვააუთრებით ებრძოდა ფეხის  
სახსართა გაშეშებას, რაკი სულ უფრო მეტად ეძალეებოდა. სტუმრად იყო  
ელენთან ვენაში და მილანში. ზაფხულში რომი, ფლორენცია მოიხილა, და-  
ათვალიერა ბელჯიისა და პოლანდიის მუხეუშები. მაგრამ თითქმის დადამ-  
ბლავებული, ბოლო დროს ბედს დამორჩილდა და მოგზაურობაზე ხელი აი-  
ღო. თუმცა, როცა მეგობრები და ნათესავები ქალაქგარეთ ან პროვინციაში  
მიიბატაყებდნენ ხოლმე, ვეღარაფერი აკავებდა. არ დაგიღვევდათ, მატარებ-  
ლის გამყოფს რომ ლამიან ატაბებული უნდა შეეყვანა ვავონში. ყველაზე  
უფრო დიდ სიამოვნებას მაინც მანქანა ანიჭებდა. ამ ცოტა ხნის წინათ კატ-  
რინმა, მისი ღისწულის შვილმა, შერინაკში წაიყვანა თავისი მცირეულიტრაქი-  
ანი ავტომობილით; ერთ ღამეში 450 კილომეტრზე შეტი გაეეღათ, და როცა  
დედა მანქანიდან გადმოსულა, ყვავილივით ქორფად გამოიყურებოდა  
თურმე.

მისი სიცოცხლისმოყვარეობით აღტაცებული ვიყავი. მსწეობისათვის პა-  
ტივს ვცემდი. მაგრამ რატომ იყო, რომ ლამიარაკის უნარი დაუბრუნდა თუ არა,  
მისი სიტყვები მეჩოთთირა? ბუაკოს საავადმყოფოში გატარებული ღამე რომ  
გაიხსენა. ნითხრა: „ხომ იცი მაგ მდებრიო ხალხის ამბავი: მუღამი ოხრაყენ და  
წუწუნებენ... ხოლო მედიცინის დები მხოლოდ ფულის გულისათვის მუშაობენ  
საავადმყოფოში. ასე რომ...“ მისი მსჯელობა ზერეღე, თბივატელური იყო.  
მაგრამ რადაცნაირ ისეთ წარმოდგენებს ემყარებოდა, რომ უნებლიეთ უხერხუ-  
ლობის გრძნობას აღვიძრავდა. გულსა მწყვეტდა კონტრასტი მის ტანჯულ  
სხეულსა და იმ სისულელეს შორის, რითაც თავი მქონდა გამოცე-  
ნილი.

სამკურნალო ტანვარჯიშის სპეციალისტი ქალი მოვიდა საწოდთან, შეწა-  
რი გადახადა და მარცაუნა ფეხი წამოუწია. ღამის პერანგი წამოეჩინა დედას,  
გულკრილად გაამიშველა მთლად დანაოჭებული დონდლო მუცელი, უბალნო  
ბოჭვენი. „სულ აღარ მერიდება“, — გამომიტყდა გაკვირებული. „აწორადაც  
იქცევა“, — მივუგე, თუმცა მაინც შეგტრიალდა და ფანჯრიდან ბაღს დავუ-  
წავ ცქერა. დედაჩემის სიშიშვლემ შემადრწუნა. არავის სხეული არ ნიშნავდა



ჩემთვის ესოდენ ცოტას და ამავე დროს ესოდენ ბევრს. ბავშვობისას ველამუნებოდი ხოლმე, როცა წამოვიზარდე — შეშფოთებასა და ზაზღს მგვრიდა; ასე ემართება ყველას, და მეც ბუნებრივად მიმაჩნდა, რომ ღედის სხეული ასევე ზიზღისმომგვრელი და წმიდათაწმიდა დარჩა ჩემთვის ერთსა და იმავე დროს — დარჩა ერთგვარ ტაბუდ. და მაინც განვცვიფრდი, რაღა მათარი იყო ის უსიამო გრინობა, ახლა რომ განვიცადე. დედაჩემის უზრუნველი მორჩილება კიდევ უფრო ამძაფრებდა ამ გრძნობას. მან თითქოს ჩემს წინაშე ყველაფერი ის, რაც მთელ მია სიცოცხლეში ბოჭაედა, და ამაღლიანად გულმოდგინებით მაგრამ სხეული უკვე საცოდავ გარსად ქცეოდა, გარსად, რომელსაც ექიმთა მოურიდელები ხელები სინჯავდნენ, ჭიჭნიდნენ და რომელშიც რაღაც უაზრო ინერციითღა ღვიოდა სიცოცხლე. დედა ჩემთვის მარადის არსებობდა, არასდროს მიფიქრია სერიოზულად იმაზე, რომ ოდესმე ამ ქვეყნიდან უნდა წასულიყო. მისი სიკვდილი, ისევე როგორც მისი დაბადება, სადღაც რეალურად დროის მიღმა მეგულებოდა. ზოგჯერ ჩემ თავს ვეტყობდი ხოლმე: იმ ასაკსა მიწეული, როცა ადამიანი, ჩვეულებრივ, კედება ხოლმე; მაგრამ ეს სიტყვები, სხვა მრავალი სიტყვის მსგავსად, მოკლებული იყო ჩემ თვალში ჭეშმარიტ აზრს. პირველად ახლავა დავინახე მასში მომავალი ცხედარი.

მეორე დღით მაღაზიაში წავედი: მედიცინის ღებმა მიჩიებს, მოკლე ღამის პერანგები მეჩიდა, რომ სამოსლის ნაკეცებისაგან ავადმყოფს ნაწოლები არ გასჩენოდა: „ბები-დოლის“ პერანგები გნებავთ?“ — შეკითხვებოდნენ გამყიდველები. ნაზფერებიან უფაქიზეს თუთრეულს ვარჩევდი, სიცოცხლით აღსავსე სანხრეთელი უმაწვილი ქალებისათვის შეკერილს, თავისი ქარაფშუტული ყაიღით სავსებით რომ შეეფერებოდა სახელწოდებას. შემოდგომის დარიანი დღე იდგა, მაგრამ ყველაფერი პირქუშად შეჩვენებოდა. მივხვდი: ებედურებას, დედაჩემს რომ ეწია, გაცილებით უფრო ალიერ უმაქმვდა ჩემზე, ვიდრე მოველოდი. თვითონაც არ ვიცოდი, რატომ. ამ უბედურებამ დედა იმ ზვეულ გარემოსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას მოსწყვიტა, ურონლისოდაც ის ვერ წარმოამედგინა. ჩემს წინ მწოლიარე ქალში თუმცაღა დედას გვხვავდი, მაგრამ შეუცბებოდა ის სიბრაღეულისა და დაბნეულობის გრძნობა, რასაც ჩემში იწვევდა. ბოლოს, გადააწყვიტე, თუთრად დაწინწკლული ვარდისფერი „ტრუა-კარის“ პერანგები შემერჩია.

როცა დედა ვინახულე, შემოვიდა თერაპევტი ტ., რომელიც თვალყურს აღევნებდა ავადმყოფის საერთო მდგომარეობას. „როგორც ჩანს, თქვენ ძლიერი ცოტას ჭამთ, არა?“ — „ამ ზაფხულს ნალვლიან გუნებაზე ვიჯავი, ლოცმა არ გადაამდიოდა ყელში“. — „სამზარეულოში ფუსფუსის თავი არა გქონდათ?“ — „ოპ არა, ზოგჯერ გემრიელ რამეს მოვიმზადებდი, მაგრამ შემდეგ ხელს არ ვაბლებდი“. — „მამ, სიზარმაცის ბრალი არ უოფილა, რაკი გემრიელ კერძებს იმზადებდით, ზომი?“ დედა ცოტა ხანს დაფიქრდა და მიუვთო: „ერთხელ როგორღაც ხაჭოს სუფლე მოვიმზადე, თრად ორი კოვზი გადავვლაპე და დაგტოვე“. — „მესმის“, — შემწყნარებლად გაიღიმა ექიმმა.

ყველანი — ექიმი ე., პროფესორი ბ., თერაპევტი ტ., — წელგამართულები, სალუქნი, კეთილსურნელების მფრქვეველნი, ეგეთი ზვიადი იერით გადმოსცქეროდნენ დაუდევრად თმადავარცხნილ, დაბნეულად მომზირალ მოხუცებულ ქალს. კარგად ვიცნობდი ამ მედიკურ იერს, მოსამართლენი და ვეჭილე-

ბი რომ აიკრავენ ხოლმე სახეზე ბრალდებულის წინაშე, როცა ამ უკანასკნელისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება. „მაშ, თქვენ გემრიელ კერძებს იმზადებდით, არა?“ რატომ იყო, რომ ის მიმწოდებელაა, რასაც დედაჩემი იჩენდა ხოლმე თავის მდგომარეობაში გასარკვევად, ამ კაცის უადგილო ღიმილს იწვევდა? დედაჩემის სიცოცხლე ხომ საფრთხეში იყო მაინც როგორ მითხრა ბ.-მ.: „ცოტა ხანს კიდევ იცოცხლებსო“? ეს შემსყენაობა მეჩოთირებოდა. როცა უწინ დედის პირით რჩეულთა ვიწრო წრეში ვსწავლობდა, ვბრაზობდი, ახლა კი ლოგიკურ მიჯაჭვულ ადამიანს ვემხრობოდი, დამაბლასა და სიკვდილს რომ ებრძოდა.

მედიცინის დებისადმი, პირიქით, სიმპათიურად ვიყავი განწყობილი. როცა დედისთვის დამამცირებელ, ხოლო თვით მათთვის უსიამოვნო მოვალეობას ასრულებდნენ, თითქმის მეგობრულ უურადლებას იჩენდნენ ავადმყოფის მიმართ. ახალგაზრდა, სანდომიანი მადნუშაზე ლორანი, სამკურნალო ტანვარჯიშის სპეციალისტი, მუდამ ახერხებდა დედაჩემის გამწვანებას, მისი გულის მოგებას. ამავე დროს ავადმყოფს არასდროს აგრძნობინებდა თავის, როგორც ჯანმრთელი ადამიანის, უპირატესობას.

„ხვალ კუჭს გაგიშუქებთ“, — თქვა ექიმმა ტ.-მ. დედა აფორიაქდა: „ის საზიზღარი დურღო უნდა მაყლაპოთ!“ — „არც ისე საზიზღარია!“ — „ო, როგორ არა!“ ჩემთან ერთად მარტო რომ დარჩა, შემომჩვილა: „ნეტა იცოდებოდა საზიზღრობა! ისეთი საძაგელი ვემო გრჩება პირში!“ — „წინასწარ ნუ იფიქრებ ამაზე“. მაგრამ სხვაზე უკვე ველარაფერზე ფიქრობდა. იმ დღიდან, რაც კლინიკაში მოათავსეს, კვება მისი მთავარი საზრუნავი გახდა. და მაინც მისმა ბაღალურმა შეწოდებამ გამაკვირვა. აქი ამდენ წვალეებას მამაცურად გაუძლო. ან იწინებ შიში იმალებოდა ამ წამლისადმი ზიზღში? თუმცა იმწუთას ამაზე არ მიფიქრია.

მეორე დღეს შემატყობინეს, რომ კუჭისა და ფილტვის რენტგენმა არაფერი უჩვენა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. დედას სახე დაწმენდოდა. ტანთ თეთრწინწკლებიანი ვარდისფერი ღამის პერანგი და თლლას მიცემული ხალათი ეცვა. თმა მსხვილ ნაწნავად ჰქონდა დაწნული; ავადმყოფი სულაც არ გეგონებოდათ. მარცხენა ხელი ისევ ამოძრავა. გაზეთის გაშლას, წიგნის გადაფურცვლასა და ტელეფონის მილის აღებას სხვის დაუბამარებლად ახერხებდა. გავიდა ოთხშაბათი. ხუთშაბათი. პარასკევი. შაბათი. დედა კროსეორდებს ხსნიდა, კითხულობდა რომელიღაც თხზულებას „ცოტა ხანს ინტენსიურ ცხოვრებაზე“ და ფან დე ლერის ჩანაწერებს ბრაზილიის ექსპედიციის შესახებ. ათვალეირებდა „ფიგაროს“, „ჟრანს-სუარს“. ყოველ დღით ვნახულობდი, ერთი-ორი საათით დავუჭდებოდი ხოლმე, მეტი ხნით არა, რადგან მნახველები დღიდნენ. ხანდახან დაიჩივლებდა კიდევ: „დღეს ძალიან ბევრი ხალხი მყავდაო“.

მისი პალატა სავსე იყო ყვავილებით: ყოჩივარდათი, იელით, ვარდით, ხაშხაშით. მაგიდაზე დასტად ეწყო მოშაქრულ ხილიანი, შოკოლადიანი თუ კამფეტებიანი კოლოფები. „მოწყენილი ხომ არა ხარ-მეთქი?“ — ვეკითხებოდი. „აჰ, არაო!“ მოსწონდა აქაური შოკოლეტი, ყურადღება და თავაზიანობა. აქი უწინ ერთ ვაი-ვაგლახად უღირდა, სკამზე შებობლებულიყო და აბაზანიდან ფეხი გადმოეტანა; წინდების ჩაცმის დროსაც მუდამ გაუძლის ტკივილს გრძნობ-

და. ახლა კი მედიცინის დები დილა-სალამოს ოდეკოლონით ზელდუნენ, ზედაც ტალკს აყრიდნენ; საჭმელი ლანგარით მოჰქონდათ. „ერთი აქაური დათავანი მალიხიანებს, — მითხრა დედამ. — წამდაუწუმ ნეკითხება, შინ წასვლას როდის აპირებთ. მე კი სულაც არ მინდა შინ წასვლა“. როცა უთხრეს, მალე დაჯდომას შეძლებო და ამის შემდეგ სანატორიუმში გადაგიყვანთო, საბუღალტროსა: „წამაწოწიალებენ, დამანჯღრევენ“. მაგრამ დროდადრო მაინც ვეწუხებო ხოლმე მომავალზე. ერთმა ნაცნობმა ქალმა უამბო, პარიზიდან ვერსალსკაველზე ღრმად მოხუცებულთათვის პანსიონები აქვთ გამართულიო. „არავინ მოვა ჩემს სანახავად, მარტოდმარტო უნდა ვიყო იქ!“ — ნალვლიანად თქვა. დავარწმუნე. იმ სიშორეს წასვლა არ დაგჭირდება-მეთქი, და აბლოშახლო განლაგებული პანსიონებისა სია გუჩვენე. უკვე სიამოვნებით წარმოიდგინა, ნზეს შეფიცხებული როგორ კითხულობდა ან კიდევ ეარგავდა ნეის ერთ-ერთი პანსიონის პარკში. ოდნავი სინანულით და, ცოტა არ იყოს, ეშმაკურად შენიშნა: „მეზობლება ჩემი წასვლა გულს დასწყვეტს. კლუბშიაც მანდილოსნებს უჩემოდ მოუწყონებათ“. ერთბედაც გამომიცადა: „ნე ძლიერ დიდხანს სხვებისთვის ვცხოვრობდი. აწი ბეჭერი ეგოისტი უნდა შევიქნე და მარტო საკუთარი თავისთვის უნდა ვიცხოვრო“. ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ: თავისი ხელით უკვე ვეღარც დაიბანდა და ვეღარც ჩაიცვამდა; დავამშვიდე, შედდა ან მომელელი გიმველ-ს-მეთქი. ჭერჯვრობით კი ის ნებივრად იწვა თავის ლოჯინში „პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში, რომელიც ყოველმხრივ გაცილებით სჯობდა გ-ს კლინიკას“. ამავე დროს მისი ჯანსაღობის გამოცვლევა გრძელდებოდა. რენტგენის ვარდა, რამდენჯერმე გაუკეთეს სისხლის ანალიზი: ყველაფერი რიგსე ჰქონდა. მხოლოდ ეს იყო, საღამოობით პატარ-პატარა სიცხეს აძლევდა; მანდოდა მანუხი-გამეგო, მაგრამ მედიცინის დები, ეტყობოდა, ამას იანუნშიაც არ აგდებდნენ.

„გუშინ ბეგრმა ხალხმა მინახულა, დამალეს“, — მითხრა დედამ კვირას. უგუნებოდ იყო. დასვენების დღის განთ გამოუცდელი შედდა ყოფილიყო მორიგედ; მამ მარდით სავსე დამის ჭურჭელი გადმოპირქვავებოდა, დასველებულიყო ლოჯინი და ბალიშებიც. დედას მალიმალ ვაუტვებოდა თვალები, აზრი ერეოდა. თერაპევტმა ტ.-მ ვერ შეძლო ექიმ ლ.-ს მიერ გადაღებული რენტგენის სურათების ამოშიფერა, ამიტომ მეორე დღეს ხელახლა უხდა გაემეორებინათ ვუტ-ნაწლავის რენტგენი. „კვლავ ბარიუმის ყლაპვა, რა სასჯელია, — ჩიოდა დედა, — ისე უნდა დამანჯღრიონ. თავა მაინც დამანებებდნენ!“ ოფლიან, გრილ ხელისგულზე ვუჭერდი ხელს: „ნუ იფიჭრებ ამაზე წინასწარ, ნუ იღელვებ! მღელვარება გავნებს“. დამშვიდდა თანდათან. ოღონდ უფრო დასუსტებული გამოიყურებოდა. ვიდრე წინადლით. ნაცნობი ქალები ურეკავდნენ, მე ვპასუხობდი. „როგორი უურადლებით ხარ გარემოსილი! — ეუთხარი. — ინგლისის დედოფალსაც კი შესურდებოდა შენა: ყვავილები, ბარათები, კამფეტები, ტელეფონის რუკვა! ყველას ახსოვხარ!“ მისი უღონო ხელი ხელში მეჭარა. თვალი არ აუხელია, ოღონდ ნალვლიანი ჩაცინება დაეტყო პირზე: „ვუყვარვარ, იმიტომ რომ მზიარული ვარ“.

ორშაბათს რამდენიმე კაცა აპირებდა მის ნახვას, მე კი იმ დღეს გადაუდებელი საქმეები მქონდა, ასე რომ სამშაბათ დილითა მივაკითხე. კარს ბეული ეკარი და ზღურბლზევე გავშეშდი. ისედაც გამხდარი დედა თითქოს კიდევ



იმ დღეს, 6 ნოემბერს, ოთხშაბათს, გაუიცვა ლაიფო. უტრანსპორტოდ, უგაზოდ და უსანათლოდ დაერჩით. ბოსტის ვთხოვე, მანქანით გამოეელო. მაგრამ ამასობაში პროფესორმა ბ.-მ დამირეკა და მაცნობა, დედათქვენს მთელი ღამე აღებინა და საეჭვოა, საღამომდე გაძლოსო.

ქუჩები არც ისე იყო გაჭედილი მანქანებით, როგორც მეშინოდა. დაახლოებით დილის ათ საათზე ელენს შევხვდი № 114 პალატის კარზე. ვამცნე პროფესორ ბ.-ს ნათქვამი. მითხრა, დილიდანვე დედასთან მივიყვანე ექიმი ნ., რენამატოლოგი. ქუჩის ამოსარეცხად ცხვირში ზონდი უნდა შეუყაროსო. „რადას აწვალებენ, თუკი განწირულია? ის მაინც დაანებონ, წყნარად მოკვდეს“, — მეუბნებოდა ცრემლმორეული ელენი. იგი ბოსტთან გავვზავნე; ბოსტი პოლში ელოდებოდა, ყავის დასალევად უნდა წაეყვანა სადმე. ჩამიარა ექიმმა ნ.-მ, იგი პალატაყენ მიემართებოდა. გავაჩერე. ეს იყო კუჭტი ახალგაზრდა კაცი, თეთრი ხალათი ეცვა და თეთრი ქუდი ეხურა. „რა საჭიროა ეს ზონდი? რისთვისღა უნდა აწვალათ დედაჩემი, თუკი იმედი გადაწყვეტილია?“ ისე შემომხედა, თითქოს გამაცამტვერაო; „მე ვაკეთებ იმას, რაც უნდა ვაკეთო“, — მომიგო და კარს ხელი ჰკრა. რამდენაშე წუთის შემდეგ მედიცინის დამ პალატაში შემიწვია.

საწოლი ისევ ძველ ადგილზე იდგა, შუავულ პალატაში, სასთუმლით კედლისკენ. მარცხენა მკლავზე დედას საწვეთებლის წილი ჰქონდა მიერთებული. ნესტოდან გამჭვირვალე სინთეტური ზონდი ჩამოჰკიდებოდა. ეს ზონდი მიღებისა და კოლბების რთულ სისტემას გაივლიდა და მინის ქილაში თავდებოდა. დედას ცხვარი წასწვრილებოდა, სახე კიდევ უფრო დაღმეჭოდა და ზედ უნუგეშობა და მოჩიბლება აღბეჭდოდა. ძლიერ გასაგონად ამოიჩურჩულა, ზონდი არც ისე ძალიან მაწუხებდა, ოღონდ ღამე გადავიტანე მძიმეო. წყურვილი კლავდა, წყლის ღალევის ნებას კი არ აძლევდნენ. მედლა წყალში ჩაყოფილ მინის წკირს მიუტანდა ხოლმე პირთან, ტუჩებს უსველებდა. განეცვიფრდი, რა ხარბად და ამავე დროს ნება-ნება წუწნიდა; დილლიანი ზედა ბაგე ოღნავ გადმოხერვოდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე ჩემი ბავშვობისას, როცა რითიმე უკმაყოფილო ან კიდევ შეცბუნებული იყო. „თქვენ გინდოდათ, ეს კუჭში დაგვეტოვებინა?“ — გამომწვევი კილოთი გვითხრა ნ.-მ და მოგვითალს სითხით სავსე ჭურჭელს მიათითა. გავჩუმდი. დერეფანში რომ გამოვედით, მითხრა: „განთიადისას ოთხოდე საათის სიცოცხლე თუღა ჰქონდა დარჩენილი. მკვლრებით აღვადგინე“. ვერ გავბედე; მეკითხა: რისთვის-მეთქი?

ტარდება კონსალუმში. ელენი გვერდით მიდგას. ამასობაში ქირურგი პ. და თერაპევტი გასივებულ მუცელს უსინჯავენ დედას. ნათი ხელის შეხებისას იგი გმინავს, მერე ყვირის. მორფიუმს უკეთებენ. დედა ისევ კვნესის. ვიხვეწებთ: „კიდევ გაუყეთეთო!“ უარზე დგანან, ამდენი მორფიუმი მთლად მოუღუფნებს კუჭ-ნაწლავსო. კი, მაგრამ რისი იმედი აქვთ? ელექტროდენი ჯერაც არ არის, სინბლს ექიმები ანერგიულ კლინიკაში გზავნიან ანალიზისათვის. ამ კლინიკა საკუთარი ელექტროსადღუტრი ჰქონია, იქნებ ისა აქვთ გადაწყვეტილი, ოპერაცია ვაკეთოთ? „არა მგონია, ეს შესაძლებელი იყოს, ავადმყოფი მეტისმეტად დასუსტებულია“, — მეუბნება ქირურგი პალატიდან გავვლისას. როცა წავიდა, ამ საუბრის გამგონე ხნიერმა მედლამ, ქალბატონმა

გონტრანმა, წამოიძახა: „არ დართოთ ოპერაციის ნება!“ მაგრამ იმწამსვე ხელისფული აიფარა პირზე: „კიდევ კარგი, ექიმმა ნ.-მ ვერ გაიგონა, რაც ვითხარით! ისე გეუბნებით, თითქოს საქმე დედაჩემს ეხებოდეს“. „რას უქაღის ოპერაცია?“ — ვეკითხება. მაგრამ ქალბატონმა გონტრანმა ენას კბილზე დააჭირა უკვე და შეკითხვაზე არაფერს მიბასუხებს.

დედას ჩაეძინა; მივდივარ და ელენს ვუტოვებ ტელეფონის ნომრებს, რომელთა მიხედვითაც შეუძლია მომნახოს. როცა დაახლოებით წუთს ნახტომს სარტრთან დამირეკა, მის ხმაში იმედი გაისმა: „ქირურგს მაინც უნდა სცადოს და ოპერაცია გაუკეთოს. სისხლის ანალიზი სასიკეთოა; ცოტა ძალ-ღონეც მოიკრიბა, გულმა უნდა გაუძლოს. შერე კიდევ, მთლად დარწმუნებით ვერ ამბობენ, კიბო აქვსო: შესაძლოა, ეს მხოლოდ პერიტონიტი იყოს. მაშინ ოპერაციის შრი ექნება. თანახმა ხარ?“ — („არ დართოთ ოპერაციის ნება“.) „თანახმა ვარ, რომელ საათზე?“ — „ორისთვის მოდი. ოპერაციის შესახებ არც არაფერს ეტყვიან, ეგონება, ისევ რენტგენზე მივყავარო“.

„არ დართოთ ოპერაციის ნება“. რა ბედენაა მედიცინის დის რჩევა სპეციალისტის გადაწყვეტილებაზე და ჩემი დის იმედთან შედარებით? კი, მაგრამ ვაითუ ვუღარ გაიღვიძოს? შესაძლოა, ეს არც იყოს ყველაზე საზარელი ბოლო. ამას ვარდა, ვერ წარმომედგინა, ქირურგს ავადმყოფის ძალაში ვცვი შეპარვოდა და რასკი ისე გაეწია, არადა, ვაითუ ოპერაციამ სწეულების განვითარება დააჩქაროს? უთუოდ ამას ვუღლისამობდა ქალბატონი გონტრანი. მეორე მხრივ, ნაწლავთა სრული გაუვალობისას დედა სამ დღესაც ვერ იცოცხლებს და მტანჯველი აგონიით სიკვდილი მოეღის.

ერთი საათის შემდეგ ელენმა დამირეკა, ქეთინისაგან გაგულული ხმა ჰქონდა. „საჩქაროდ მოდი, მუცლის ღრუ გაუკვეთეს, უშველებელი სიმსივნე აღმოაჩნდა, კიბოს ჰგავს...“ სარტრი გამოიყვანა და ტაქსით კლინიკამდე მიმიყვანა. დედეისაგან სუნთქვა შეკვროდა. სანიტარი ქალი წამიძღვა დერეფნისკენ, რომელიც მისაღებს საოპერაციოსთან აერთებდა. ჩემი და იქ მელოდებოდა. ჩაგრისა და მღელვარებისაგან აღარ იყო. ვითხოვე, რაიმე დამაწყნარებელი დაეღვეინებინათ. მომიყვა, ექიმებმა სრულიად ბუნებრივი კილოთი როგორ გააფრთხილა დედა, რენტგენის წინ საანესთეზიო ნემსს გაგიკეთებნო. ვიდრე დედას აჩინებდნენ, ელენს მისი ხელი ეჭირა. წარმოვიდგინე, რა საშინელებას გამოსცდიდა დედის შიშველი, ბებრული, გატანჯული სხეულის შემყურე! ავადმყოფს თვალები გადაკარკლოდა, პირი დაეღო, ვერასოდეს დაივიწყებს ელენი ამ სახეს. შემდეგ დედა საოპერაციოში გადაიყვანეს. მალე იქიდან ექიმი ნ. გამოვიდა, გვითხრა: მუცელში ორი ლიტრი თელგამი აქვს, მუცლის აკვი გახვრეტილია, აღმოჩნდა უშველებელი ავთვისებიანი სიმსივნე, კიბოს ყველაზე უარესი სახესხვაობა. ქირურგი ყველაფერს ამოკვეთს, რის ამოკვეთაც შეიძლებაო. მანამ მე და ჩემი და ოპერაციის დამთავრებას ველოდით, ჩვენი ბიძაშვილი ეანა მოვიდა თავის ქალიშვილ შანტალთან ერთად. ეანა ლიბოვიდან ჩამოვიდა და ეგონა, დედაჩემს პალატაში არხეინად მწოლიარეს. ნახვდა: შანტალს კროსვორდებიანი ფურნალი მოეტანა მისთვის. ჩვენ იმაზე ვფიქრობდით, რა გვეთქვა დედისთვის, როცა გამოფხიზლდებოდა. რა გაეწყობა, ვეტყვით, რომ რენტგენმა პერიტონიტი აჩვენა და მაშინვე ოპერაციის გაკეთება გადაუწყვიტეს.

ნ.-მ შეგვატყობინა, ავადმყოფი უკვე პალატაშიაო. ნ. ძლიერ კმაყოფილი გახლდათ: დილით დედა სიკედილის პირას იყო, ახლა კი ჩინებულად გაღაი-ტანა მძიმე და ხანგრძლივი ოპერაცია. ანესოეზის უანლეს საშუალებათა წყა-ლობით გული, ფილტვები და მთელი ორგანიზმი ნორმალურად მუშაობას გა-ნაგრძობდა. თავისთავად ცხადია, ოპერაცია ვირტუოზულად ჩატარა: რაც შე-ეხება შედეგებს, სრულიადაც არ აინტერესებდა, და ესევე უფროსად იგუ-ლისხმებოდა. ოპერაციის დაწყებამდე ელენა ქორუოგისთვის უთქვამს: „თანხმობაა გაძლევთ, ოღონდ თუ დედას კიბო აღმოაჩნდა, შეშპირდით, რომ ტანჯვა-წვალებას გადაარჩინთ“. შეპირებით კი შეპირებია, მაგრამ რა ბედე-ნაა მისი სიტყვა?

დედა გულადმა იწვა და ისე ეძინა, სახე მკვდრისებრ ჩაძვითრებოდა, ცხვირი წასწვრილებოდა, პირი დაღებოდა. ჩემ დასა და მომწველ ქალს ღამე უნდა გაეტოიათ მისთვის. მე შინ მივბრუნდი, სარტრთან ვისაუბრე, პარტოკი მოვსძინეთ, მოულოდნელად, სადამოს თერთმეტი საათი იქნებოდა, ისტე-რიული ქვითინი ამიყარდა.

საკვირველია, როცა მამა გარდამეცვადა, კურცხალი არ გადმომყარდნია. ის კი არა, დას ვუთხარი: „აი ნახავ, დედაზეც თუ ასე არ დამემართოს-მეთქი“. ამ სადამომდე ჩემი გრძნობების მეუფე ვიყავი. მაშინაც კი, როცა გრძნობებით აღვივებოდი, სადავე მე შებყრა ხელთ. ახლა კი ველარ ვიმორჩილებდი თავს: ჩემში თავშეუყავებლად ქვითინებდა ვილაცა სხვა, ჩემი ნების მიღმა მღვარი. სარტრს ვუამბე, როგორი ტუჩ-პირი ჰქონდა დილით დედას, რაოდენ ზევრ რამეს გამოხატავდა ეს ტუჩ-პირი: წყურვილს, რძის მოკვლის ნებასაც არ აძლევდნენ. ღამის მოწურ შორჩილებას, იმედს, უნუგეშობას, მარტობას — მარტობას სიკედილისნიერს და მარტობას სიცოცხლისნიერს, რააც დედას არ სურდა ეცნო. სარტრმა შემდგომ მითხრა, რომ ჩემ სახეზეც ის დედისეული ტუჩები დაენახა, ჩემსუნებურად მათზეც იგივე გამომეტყველება აღბეჭდილიყო. დედა-ჩემის მთელი არსება, მთელა მისი ცხოვრება თითქოს ჩემ ტუჩებში განსახიე-რებულყო. გამოუთქმელი სიბრალული მიწევავდა გულს.

არა მგონია, დედას სვებედნიერი ბავშვობა ჰქონოდა. ერთი ეს იყო, დიდე-დამისის სახლის ბაღს იგონებდა სიამოვნებით, ლორენის სოფელში ჩადგმუ-ლი სახლის იმ ბაღს, სადაც ხეზევე შეგვძლო გეგემნა მზით შემთხარი ქლიავი — შირაბელი თუ რენკლოდი. იმისას, თუ როგორ ცხოვრობდა ვერ-დენში, არას ვეტყოდა. შემოენახა ფოტოსურათი: რვა წლის გოგონა ზიზი-ლებიან ტანსაცმელშია გამოწყობილი. „ღამაში ტანსაცმელი გქონია“. — „პა, — მოგვიგო პასუხად, — ოღონდ წინაღები გამოსუნებულია, პოდა, სამ დღეს ვერა და ვერ მოვიცილე ეს მწვანე ფერი კანზე“. მის ხმაში დიდი ხნის წინანდელი წყენა და გაუნებელი სიმწარე იგრძნობოდა. არაერთხელ შემოუ-ჩივლია დედამისის უგულობის ამბავი. დიდუდაჩემი ორმოცდაათა წლის ქალი მახსოვს, ცივი და ამპარტავანი. ძვირად თუ გაიციინებდა, უყვარდა სხვისი კილეა, ხოლო თავის ქალიშვილს ვითომდა სიამტკბილობით რომ ეპყრობოდა, წმინდა წყლის მოწვენებითი ამბავი გახლდათ. ქმრის ერთგული იყო ფანატიკურად, და შეიღებს მეორეხარისხოვანი აღვილი ეჭირათ მის ცხოვრებაში. როცა დე-დაჩემი თავის მამას მოიგონებდა, ხშირად ფარული გულისტკივილით გაიმეო-



რებდა: „ძალუაშენ ლილის გარდა თუ ქალი მოიძებნებოდა ამქვეყნად, არ ეგონაო“. ამ ქერათმიან, გარდასფერლოყება ლილისი, რომელიც ხუთი წლით უმცროსი იყო დედაჩემსე, კვლავაც საშიშლად შურდა. მანამ ბაღლი ვიყავი, დედა ყველაზე უფრო მაღალ სულიერ თუ ინტელექტუალურ დირექტებს პოულობდა ჩემში, თითქოს თავის თავთან მაიგივებდაო. ხოლო დღესას რომელსაც პუბეტს<sup>1</sup> ვეძახდით, იმხანად უსამართლო სიმკაცრით ექცეოდა. ეგვი ქერათმიანი იყო, ყვეც ვარდისფერლოყება და, ეტყობა, ლილურ ხანებდა: ძველ ჯაერააც ანგარიშიუცემლად მასზე იყრიდა.

დედა სიამაყით მიამბობდა უახოს სამონასტრო სკოლაში გატარებულ წლებზე, წინამძღვარ ქალზე, რომელსაც დაფასებულ და განორიჯული პეოლოდა, რითაც უსაღბუნებდა მის თავმოყვარეობას. დედას შენახული ჰქონდა თავისი კლასის ფოტოსურათი: ექვსი ქალიშვილი და ორი მონაზონი მონასტრის ბაღში არიან გადაღებული. ოთხი მოწაფე-პანსიონერი შავ ტანსაცმელშია გამოწყობილი, ორი კიდევ, ექსტერნი, — დედა და მისი ამხანაგი — თეთრ ტანსაცმელში. ექვსივე ქალიშვილს მაღალაყელოიანი, გულდახურული კოფოები და გრძელ-გრძელი ქვედაკაბები აცვია, თმა სადად ატუთ გადაფარცხნილი. თვალები გამოჩეტყველებას მოკლებულია. დედა ამნაირივე შევიდა ცხოვრებაში: პროვინციული სათნოებისა და მონასტრული ზნეობის არტახებით მაგრად შებოჭილი.

ოცი წლისამ კვლავ გულის გატეხა იწენია: აბალჯარდა კაცია, რომელიც შეუყვარდა, მის ბიძაშვილში, დედაჩემს ქერაშენში გასცვალა. ამჯვარი უიღბლობის გამო იგი სამუდამოდ იჭვინული და წყენია შეიქნა.

როცა გათხოვდა, გაიფურჩქნა. უყვარდა ქმარი და მოხიბლული იყო მისით. ქორწინების პირველმა ათმა წელმა ღრმა და სრული კმაყოფილება მოუტანა. მამაჩემი ქალების მოტრფიალე გახლდათ, მრავალი კავშირი ჰქონდა, მაგრამ მარსელ პრევოს მიბაძვით, რომელსაც ხალისით კითხულობდა ხოლმე, ყმაწვილ ცოლს სულაც ნაკლები მგზნებარებით არ ექცეოდა, ვიდრე რომელიმე საყვარელთაგანს. ხოლო დედის სახე იმ წლებში, ოღნავ შესამჩნევი ღინდლით ზედა ტუჩზე, აღტკინებული, ვნებიანი ბუნების ქალს ამბელდა. მათი ურთიერთსიყვარული თვალში საცემი იყო: კაცი წამდაუწუმ ხელზე ხელს უსვამდა ცოლს, ვალერსებოდა, ნაზსა და თანვე უხამს რამეებს ეუბნებოდა. მახსოვს, ექვსი-შვიდი წლის ვოგონამ რომ დედას ერთბელ ღერვფანში მოვკარი თვალი. წითელ ხალიჩაზე დებშიშველა იღვა გრძელი, სპეტაკი პერანგის ამარა, ფუმფულა თმა მბრებზე ეფინა, და მე განმაცვიფრა მისი ღინდლის სიცისკროვნემ. საწოლი ოთახიდან ახლადგამოსული იყო, და ამ ღინდლსაც იმ ოთახთან ჰქონდა იდუმალი კავშირი. ამ საუცხოო ხილვაში ძლიერ შევიცანი პატივსაცემი მანდილოსანი — დედაჩემი.

ვერაფერი წარხოცავს ჩვენს ხსოვნაში ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს. დედის ბედნიერება უღრუბლო როდა იყო. ჯერ კიდევ საქორწინო მოგზაურობისას ერიანა თავი მამაჩემის ეგონიზმს. დედას იტალიური ტბების ხახვა უნდოდა, მაგრამ ჩამომხტარიყვნენ ნიცაში, სადაც დიდი უნდა დაწყებულყო, ამ მათი პირველი შეტაკების ამბავს დედა ხშირად იხსენებდა ხოლ-

<sup>1</sup> პუბეტ (ფრ.) — თოჯინა.

მე, იხსენებდა წყენის დაუმჩნევლად, მაგრამ სევდამორეული. მოგზაურობა იტაცებდა. „ვისურვებდი, მოგზაური ცყოფილიყავით“, — გვეტყოდა ხოლმე. მისი საუკეთესო სიყმაწვილისღროინდელი მოგონებები ექსკურსიებთან იყო დაკავშირებული. ამ ექსკურსიებს პაპა აწყობდა — ვოგეზებსა და ლუქსემბურგში დაჰყავდა, მიდიოდნენ ქვეითად ან ველოსიპედებით. დედას მრავალ რამეზე მოუხდა ხელის აღება, რადგან მამაჩემი მუდამ სჯავნებდა ხელს. აღარ ხვდებოდა თავის მეგობარ ქალებს, მამას მოსაწყენ ხელსაღიძვრება მათი ქმრები და იმიტომ. თვითონ მამაჩემს მაღალი საზოგადოების სალონი და თეატრის კულისები ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა. დედაც ხალიაით უბამდა მხარს, იზიდავდა კიდევ მაღალი წრის გართობა, ოღონდ ეს იყო, სილამაზე ვერ იცავდა ავენიანთაგან; აკი მორცხვი და პროვინციული გახლდათ. ჰოდა, ამ ვეშმარიტად პარიზულ წრეში ეს მისი მოუქნელობა ღიმილს იწვევდა. იმ ქალებში, ვისაც დედა სადარბაზო ოთახებში ხვდებოდა, მამაჩემის აღრიინდელი საყვარლებიც ერივნენ: წარმომიდგენია, რა მზაკვრულად იჩურჩულებდნენ მის ზურგს უკან. საწვრიო მაგილის უკრაში მამას ედო თავისი უკანასკნელი მიჯნურას ფოტოსურათი. ეს იყო მაღალი წრის ლამაზი ბანოვანი. იგი ქმართან ერთად ხანდახან სტუმრად მოდიოდა ჩვენთან. ასე, ოცდაათი წლის შემდეგ მამამ ერთხელ ჩაიციინა და დედას უთხრა: „ეს შენ მოსპე მისი ფოტოსურათით“. დედა უარყოფდა, მაგრამ მამამ არ დაუჯერა. ასე იყო თუ ისე, ჯერაც თაფლობის თვე ჰქონოდათ და დედა უკვე იტანებოდა — სიჯვარულიც და სიამაყეც არაერთგზის შეუბღალეს. ალალი, მგზნებარე ბუნების ქალი იყო, და იარა ნელ-ნელა უშუშდებოდა.

ყველაფერ ამას პაპაჩემის გაკოტრებაც ზედ დაერთო. დედა მწვავედ განიცდიდა ოჯახის შერცხვენას და ვერღენთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მამას აღარ მიუღია დაპირებული მზითვევი, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია დედაჩემის სასაყვედუროდ. ამ ამბით შეიძრული ქალი ნთელი თავისი სიცოცხლე დამნაშავედ გრანობდა თავს ქმრის წინაშე.

და მაინც ქორწინება საერთოდ იღბლიანი გამოდგა მისთვის; ჰყავდა ნახად მოსიყვარულე ორი ქალიშვილი, ოჯახში შედარებით კეთილდღეობა სუფევდა, ასე რომ პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე დედა არც უჩიოდა ბედს. ალერსიანი იყო, მზიარული, მომგადოებელი მეჩვენებოდა მისი ღიმილი.

როცა მამას საქმე ცუდად წაუვიდა და მატერიალური გაჭირვება ვიგვემეთ, დედამ გადაწყვიტა უმოსამსახუროდაც იოლად წასულიყო. სამწუხაროდ, შინაური საზრუნავი უმძიმდა, მართალია, თავის ნებით იტვირთა ეს საზრუნავი, მაგრამ მაინც თავმოყვარეობა ელახებოდა. ქმრისთვის, ჩვენი გულისთვის, თავის თავს ივიწყებდა, მაგრამ ვის შეუძლია თქვას: თავს მანვერპლად ვწირავ, და იმავე დროს სიმწარეს არა ვგრძნობო. დედას ვულწრფელად სწამდა თავგანწირვის სიდიადე, ამავე დროს მბრძანებლური ბუნებისა იყო და ვერ ეგუებოდა მისთვის საძულველ ხუნდებს. ეს წინააღმდეგობა ტანჯავდა. მალემალ ამბობდებოდა ხოლმე იმ მოვალეობათა თუ შეჭირვებათა გამო, რასაც თვითონვე, ნებაყოფლობით, იღებდა ტვირთად.

აფსუსს, რომ ცრუ შეხედულებამ იმხანად ხელი შეუშალა ერთ გონიერულ გადაწყვეტილებას დასდგომოდა. ოცი წლის შემდეგდა გადადგა ეს ნაბიჯი, როცა სამსახური დაიწყო. საზრიანა, ვიყვანიო, ჩინებული მეხსიერებით

დაჯილდოებული, იგი სავსებით შეძლებდა მდივანი ან ბიბლიოთეკარი გამ-  
ხდარიყო; ეს იხსნიდა ერთგვარი დამცირებისაგან და განუპტკიცებდა  
საკუთარი ღირსების გრძნობას. გაიჩენდა ნაცნობებს, შეძლებდა, თავიდან აე-  
ცილებინა დამოკიდებული ადამიანის მდგომარეობა, რასაც ჯერჯერ რამედ  
თვლიდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობა მის ბუნებას სულაც არ შეესაბამებო-  
და. რაღა თქმა უნდა, მაშინ უფრო იოლად აიტანდა ქმრის უყურადღებობასაც.

მამას არ ვამტყუნებ: შეჩვევა ხშირად კლავს სურვილს. მამის დედის  
ახალგაზრდული სიქორფე დაეკარგა, მამას — ადრინდელმა მამამთავის  
თავის გამოსაცოცხლებლად მამა „ვერსალისა“ თუ „სფინქსის“ მსგავს დაწესე-  
ბულებათა გოგოების სამსახურს მიმართა. სიყმაწვილეში არაერთგზის მი-  
ნახავს, როგორ ბრუნდებოდა შინ დილის ექვს საათზე, ღვინის სუნს დააყენებ-  
და და დარცხვენილი რაღაცის ბუტბუტს მოჰყვებოდა ბრიჯსა და პოვერზე.  
დედა მშვიდად შეხვდებოდა, იქნებ უჯერებდა კიდევ, აკი თავის თავი იმთა-  
ვითვე შეაჩვია უსიამოვნო ჭეშმარიტებათა გვერდის ავლას. მაგრამ ქმრის  
გულგრილობას ვერა და ვერ ურიგდებოდა. დედაჩემის თავგადასავალი სამუ-  
დამოდ მექცა იმის მქვერმეტყველურ დადასტურებად, რომ ბურჟუაზიული  
ქორწინება არაბუნებრივია. ნიშნობის ბეჭედმა უფლება მისცა მას ცოლ-  
ქმრობის სიამენი განეცადა, ვნებიანობამ წაღიერი გააადა. მაგრამ ოცდათხუთ-  
მეტი წლისას, გაფურჩქვნის ხანაში, შეაძლებლობა წაერთვა, ეს წადილი დაე-  
კმაყოფილებინა. კვლავაც ეძინა იმ მამკაცის გვერდით, რომელიც უყვარდა,  
მაგრამ ეს მანაკაცი თითქმის სულ აღარ ცხოვრობდა მასთან. იპედა, ლოდინი,  
წვალება — ყველაფერი ამით ყო. არული დამორება ნაკლებად შეულახავდა  
სიამაყის გრძნობას, ვიდრე ეს უსიხარულო სარეცელი შეურაცხყოფდა. რა  
გასაკვირია, თუ დედა განოცვალა. ამიერიდან ყველაფერი ხდებოდა — უსიამ-  
ოვნება, ყვირილი, საღის გაწენა, და ეს არამც თუ შინაურთა თვალწინ, ხალხ-  
შიაც. „ფრანსუაზს აუტანელი ხასიათი აქვს“. — იმეორებდა მამაჩემი. დედა  
თვითონაც არ უარყოფდა თავის სიფიცაეს, ოღონდ ყველაზე მეტად ისა  
სტკუნდა გულს, როცა მასზე იტყოდნენ: „ფრანსუაზი მუდამ უკმაყოფი-  
ლოა“ — ან: „ფრანსუაზს ნამდვილი ნევრასთენია სჭარსო“.

ახალგაზრდობაში კონტად ჩაცმა უყვარდა. გაბრწყინდებოდა ხოლმე, რო-  
ცა ვინმეს ჩემი უფროსი და ეგონებოდა. მამაჩემს პყავდა ერთი ნათესავი,  
რომელიც ჩელოზე უკრავდა, დედა მას აკოპანიმენტს უწევდა ფორტეპიანოზე.  
კაცა მოკრძალებით ეარშიყებოდა, პოდა, როცა ცოლი ითხოვა, დედამ შეიძაგა  
ბატარძალი. ინტიმურ ცხოვრებასა და საზოგადოებას თითქმის მთლიანად მოს-  
წყდა, ამიტომაც ყურადღებას აღარ აქცევდა თავის თავს, თუ სათვალავში არ  
ჩავავდებთ იმ განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებს, როცა „ჩაცმა“ სავალ-  
დებულო იყო. მახსოვს, ერთხელ დასთან ერთად არდადეგებიდან ვბრუნდებო-  
დი, დედა ვაგხალში დაგვხვდა: სახეშებუდრულს ხავერდის ლამაზი, პირბადი-  
ანი ქული ეაურა. დამ აღტაცებით შესძახა: „ბეწიანი ქალბატონის შესახედაობა  
ვაქვსო!“ დედას ალაღად გაეღიმა, თუმცა ელევანტობას დიდი ხანია უკვე  
აღარ იჩემებდა. სხეულის ზიზღმა, მონაატერში რომ ჩაუნერგეს და ჩვენთვის  
საც რომ ცდილობდა ჩაეგონებინა, თავის თავისადმი დაუდევარი გახადა. და  
შინც წინახდებურად სურდა, მოსწონებოდათ — აქაც კვლავ წინააღმდეგო-  
ბაში იხლართებოდა. თავმომწონე გახლდათ და ქათინაურები სიამოვნებას ანი-

ჭებდა; ამ ქათინაურებს კეკლუცად ებასუხებოდა. ძალზე ეამაყებოდა, როცა მამაჩემის ერთმა მეგობართაგანმა თავისი წიგნი აჩუქა წარწერით (სხვათაშორის, წიგნი გამოცემული იყო ავტორისავე ხარჯით): „სახსოვრად ფრანსუაზ დე ბოუარს, ვისი ცხოვრებაც იწვევს ჩემს თაყვანისცემას“. ეს ჭება/ტრაზროვანი გახლდათ: ჯგუფი თაყვანისცემის იწვევდა იმით, რომ ყველაფერი უნდა ამბობდა, რის გამოც მოკლებული იყო თაყვანისმცემლებს.

ხომ მოსწყეიტეს ხორციელ სიამეს და საზოგადოებრივი მისამართის, ხომ ოჯახურ საზრუნავს იყო გადაგებული; იმ საზრუნავს, გულს გააყვარებელი და დამამცირებელი რომ ეწვევებოდა, მაგრამ, თავმოყვარე და ჭიუცი, იგი მაინც არ გამსჭვალულა მორჩილებით. ჭავრის ამონთბევიდან ჭავრის ამონთბევიამდე კვლავინდებურად წდებოდა, ხუმრობდა, მასლაათობდა, ნატყენი გულის ჩავილს იხშობდა. ერთხელ, უკვე მამის სიკვდილის შემდეგ, დედა ქერმენმა გადაყვრით უთხრა, ის არ იყო სანიშნურო ქმარი; დედამ მკვახედ შეაწყვეტინა: „მე ბედნიერი ვიყავი მასთან!“ რა თქმა უნდა, თავის თავსაც განუწყვეტლივ ამას რწმენას უნერგავდა. და მაინც ეს ნაძალადევი ოპტიმიზმი ვერ აოკებინებდა ცხოვრების ხარბ სიყვარულს. ერთადერთი გზა ბქონდა წინ, და იმ გზას მიიშურა: ესაზრდოვა იმ ნორჩ არსებათა სიცოცხლით, ვისზე ზრუნვაც ებარა. „ეგონისტი არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ სხვებისთვის ვცხოვრობდიო“, — მითხრა მოგვიანებით. კი, რა თქმა უნდა, სხვებისთვის ცხოვრობდა, ოღონდ ამ სხვების მეშვეობითაც. მას, დესპოტურ მესაკუთრეს, სურდა განუყოფლად ემბრძანებლა ჩვენზე. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა აღრინდელი დანაკარგის ეს საზღაური აუცილებელი შეიქნა მისთვის, ჩვენ ნელ-ნელა ემორდებოდით ოჯახს, დამოუკიდებლობას ვესწრათოდით. მოსწიფებული უთანხმოებანი იფეთქებდნენ ხოლმე, და წინანდებურადვე აკარგვინებდნენ სულიერ წონასწორობას.

და მაინც იმხანად ის ჩვენზე უფრო ძლიერი იყო, მისი ნება იმარჯვებდა ხოლმე. მე და ჩემ დას წუთითაც არ შეგვეძლო მართო დარჩენა; გაკვეთილებს რომ ვამზადებდი, დედას თვალწინ უნდა ვყოლოდი, უსათულოდ იმ ოთახში, სადაც ამ დროს თვითონ იმყოფებოდა. როცა ღამლამობით მე და ჩემი და ჩვენ-ჩვენსა ლოჯინებში ვაწვევით და ვყბედობდით, ცნობისწადილით ატანილი დედა-ჩვენი კედელზე გვაყურადებდა, ნეტა რას ღაპარაკობენო. ბოლოს ვეღარ მოითმენდა და: „გაჩუქდიოთ!“ — დაგვიყვარებდა. ამას ნებაც არ დაგვრთო, ცურვაზე გვევლო, მამას კი დაუშალა, ეელოსიბედი ეყიდა ჩვენთვის; არ შეეძლო ჩვენი სპორტული გატაცება გაეზიარებინა, ეშინოდა, რომ ამ ფანდით ვისარგებლებდით და მისი მეურვეობისგან თავს დავაძკრენდით. დაფინებით ღამობდა. ყველა ჩვენს ვართობაში მიეღო მონაწილეობა, განა მართო იმიტომ, რომ ვართობას მოკლებული იყო; აქ მის შორეულ ბავშვობაში ფესვგადგნილი მიხეხები შეღავნდებოდა; იმის ფაქტი, გვერდს ამივლიანო, აუტანელი იყო მასთვის. მაშინაც კი, როცა იცოდა, უმისოდ დარჩენას ვამჟობინებდით, ძალად შემოგვიერთდებოდა ხოლმე. ერთხელ, როცა ღა გრიერის აგარაკზე ვიყავით, ახალგაზრდებმა ღამით საშხარეულოში მოვიყარეთ თავი: ბლომად კაბორჩხალები გვექონდა დაჭერილი ფარნებით, და გვინდოდა ნოგვეხარშა. მოულოდნელად დედა გამოგვეცხადა, ერთადერთი უფროსი ჩვენ შორის. „მე მინდა თქვენთან ერთად ვივარშო“, — გამოგვიცხადა. ყველა შეცბუნდა და გაჩუმ-

და, მაგრამ ის მაინც არ წავიდა. ერთხელაც ჩვენმა ბიძაშვილმა ყაყმა მე და ჩემ დას დაგვიტყვა, შემოდგომის საღამოთან შევხვდეთო. დედაც აგვიდევნა. პოდა, ჭკუ ალარ გაგვკარებია. „დედაშენი დავინახე და გავიქეციო“, — მოთხრა მეორე დღეს. მისი ყოფნა უხერხულობას იწვევდა. როცა ჩვენთან ბაკნობ-მეგობრები შეკრიბებოდნენ, იგი ნანაცხადებდა: „მე მინდა თქვენთან ერთად ვისამხრო“, — და საუბარს დაეუფლებოდა. უფრო გვიან, როცა სტუმრად იყო თავის ქალიშვილთან გენასა და მილანში, ჩემი და არაბეგუნიანი შეხვედნისას იმით, რომ ოფიციალურ დარბაზობებზე უაღვილოდ აწვლია ლამაზაკის მიღწერ-ღელა.

აბეზრად რომ გეჩრებოდით, თავგამოდებით რომ ლამობდა, ყველგან პირველი ყოფილიყო, დედა თითქოს ნიშნს უკვებდა თავის წარსულს, როცა ისე იშვიათად ეძლეოდა შემთხვევა ხასიათის გამომჟღავნებისა. უწინ ხომ ნაკლებად გამოდიოდა საზოგადოებაში, ხოლო თუ მაძაჩემთან ერთად საღამო ყაყობდა, მის გვერდით მუდამ ჩრდილში რჩებოდა. ჩვენი გამაგულისებელი „მე მინდა...“ სინამდვილეში თავის თავისაღმი ურწმუნობას ფარავდა, ამითვე აიხსნებოდა მისი აბეზრობაც. თავდაუქერული და მკვიანა, როცა ბრაზი და-რევდა ხელს, იგი უზომოდ ხატრიანი იყო სიმშვიდის ქაშს. უბრალო რამისთვის მამას ერთ ყოფას დააწევდა ხოლმე, ფულის თხოვნა კი ერიდებოდა. თავის თავზე მომჭირნეობდა და ცდილობდა ჩვენზეც რაც შეიძლება ცოტა დაეხარჯა. მორჩილად ითმენდა, როცა მამა საღამოობით შინ არ იყო და როცა კვირადღეობითაც კი ნარტო ტოვებდა. მამის გარდაცვალების შემდეგ დედის შენახვა ჩვენს საზრუნავს შეადგენდა, მაგრამ იგი ისევ იმ ძველებურ მორიდებას იჩენდა, ცდილობდა რაიმეთი თავი არ გაეებზრებინა ჩვენთვის. მას შემდეგ, რაც ქალიშვილებზე დამოკიდებული შეიქნა, სხვა საშუალება არ გააჩნდა თავისი გრძნობების განოსახატავად; წინათ კი, როცა მეტრევეობა გვიწვევდა, თავს უფლებამოსილად რაცბდა, დესპოტური ყოფილიყო.

ძალიან ვუყვარდით, მაგრამ ეტვიანი და მომთბოვნა იყო, მისი სიყვარული მუდამ იმ წინააღმდეგობათა დაღს ატარებდა, მას რომ აწვალვებდა; ამიტომ მას ხელში გვანძიმდა. ერთი ბეწო რამ სწყინდა და შეეშლო ოცი, გინდ რამოცა წლის განმავლობაში დაუსრულებლივ ემეორებინა მას მიმართ თქმული საყუედური თუ შენიშვნა. გულში ჩაქლული წყენის ეს მოუნებელი გრანობა მელავნდებოდა ხოლმე, როცა საშინლად გაცხარებულნი, უსეში გულახდილობით ანდა გესლიანი სარკასმით ალაპარაკდებოდა. მაგრამ, აგვუღივით რომ გვეპყრობოდა, განხრახვით კი არ მოსდიოდა; დედას სიარე რიდი უნდოდა ჩვენთვის, მხოლოდ ის სურდა, თავის ძალაში დარწმუნებულყო. ერთხელ, როცა ზაფხულის არდადეგებისას ჩემ მეგობარ ქალ ზაზასთან ვიყავი სტუმრად, დის წერილი მივიღე. იგი მიზიარებდა სიყრმის მღელვარე ფიქრებს, რასაც ერთიანად აეფორიაქებინა მისი სული. მე პასუხი გავუგზავნე, ჩემი წერილი დედას გაეხსნა და ხმამაღლა წაეკითხა პუბეტის თანდასწრებით, თანაც ხარხარებდა მის საიდუმლოზე. დედისაღმი ბრაზითა და ზიზ-წრებით აღსაესე პუბეტს კრიჭა შევერია და დაუფიცავს, რომ ამას არასოდეს აპატიებდა. დედას ქვითინი მორეოდა და წერილი მომწერა: შეგვარიგეო, შემუდარებოდა. მეც თხოვნა შევეუსრულე.

დედა ცდილობდა, უწინარეს ყოვლისა ჩემი და პეოლოდა ხელთ, ამიტომ

იყო, ჩვენი ჟრთიერთმეგობრობის გამო ეჭვიანობდა. როცა შეიტყო, ღმერთი აღარ მწამდა, გააფთრებული აყვირდა ელენის შესაგონებლად: „მაგას არ წა-ვახდენინებ შენ თავს, მე უნდა დაგიცვაო!“ არდადეგების დროს ერთმანეთთან პირისპირ შეხვედრა აგვიკრძალა, ჩვენც ჩუმად ვხვდებოდით წაქლნარში. ეს ეჭვიანობა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ტანჯავდა. ამიტომ, როცა მოვიწიფეთ, შენდეგაც არაფერს ვფუბნებოდით ჩვენი შეწყვეტილობაზე.

მაგრამ ხშირად მისი მხურვალე სიყვარული გულს გვიჩვილებდა. როცა პუბეტი ჩვიდმეტი წლისა იყო, უნებლიეთ მისი მიზეზით წაიკიდნენ მამა და „ძია აღრიენი“, რომელიც მამას თავის საუკეთესო მეგობრად მიაჩნდა. დედამ თავგამოდებით დაიცვა ჩემი და, მამა კი ამის შემდეგ რამდენიმე თვეს ხმასაც არა სცემდა. შემდგომ ჯავრობდა კიდევ ჩემ დაზე, არ უნდა მხატვრობას თავი დაანებოს და ხეირიან პროფესიას მოეკიდოს, კვლავაც მშობლების ხარჯზე ცხოვრობსო; ფულს არ აძლევდა და ლუკმაპურს აუვედრიდა. იაეც დედამ გაუმართა ხელი, ტყავში ძვრებოდა, ოღონდ როგორმე დახმარებოდა, არ და-შავიწყდება, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ რა დიდსულოვნება გამოიჩინა, როცა სამოგზაუროდ გამიშვა მეგობართან ერთად, თუმცა საკმარისი იყო მისი ერთი ამოთხვრა, რომ შინ დავრჩენილიყავი.

ხშირად გაფუტებია ადამიანებთან დამოკიდებულება მოუქნელობის გამო, ხოლო თავისი მოუხეშავი მეცადინეობით, დისაგან ჩამოვეშორებინე, მხოლოდ სიბრაღის გამოწვევა შეეძლო. ჩვენ ბიძაშვილ ქაქაც, ვისზედაც ერთგვარად გადაეტანა თავისი აღრინდელი სიყვარული მამამისისადმი, საყვედურებით ავაებდა, იშვიათად მოდიხარო, ეს სამღურავი თვითონ ხუმრობით ნათქვამი ეჩვენებოდა, ფაკს კი გულა მოსდიოდა; ჰოდა, ისიც კიდევ უფრო იშვიათი სტუმარი გახდა. როცა ბიძად დიდუდასთან გადავდიოდით, დედა კინალამ ატირდა, მე კი ვრძნობა მომერია იმის გამო, რომ ჩემი გულის მოღობა არ უცდია; სინაზის გამოქვლავნებას საერთოდ ერიდებოდა. მაგრამ იმ წელს, ყოველთვის, როცა საღილაღ შინ მივდიოდით, ამიბუნღუნდებოდა ხოლმე, ოჯახს რად ივიწყებო, თუმცა მშობლებს ხშირად ენახულობდით. სიამაყისა და პრინციპის გამო იგი არასოდეს არაფერს ითხოვდა, მერე კი ჩიოდა, ცოტას ვიღებო.

გასაჭირში არავის გამოუტყუებოდა, საკუთარ თავსაც კი. სიყრმიდანვე არ შეუჩვევიათ საკუთარი გრძნობების გაანალიზებას, საკუთარი აზრის ქონას. ავტორიტეტული პირებისადმი მიმართვა უხდებოდა, მაგრამ ამ პირთა შეხედულებები ჟრთიერთსაწინააღმდეგო იყო: ან კი, მართლაცდა, რა საერთოდ უნდა ყოფილიყო მამაჩემისა და უაზოს მონასტრის წინამძღვარი ქალის შეხედულებებს შორის. ამგვარი კრიზისი მეც გამოვიარე. მაგრამ ეს მოხდა ჩემი სულიერი ფორმირების ხანაში, და არა იმ დროს, როცა უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი გავხდი. აღრეული ბავშვობიდანვე მივეჩვიე, ყველაფერი თვითონვე განმესაჯა, დედა კი მოკლებული იყო სხვისი აზრისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ამ ჩვევას. ყველას იოლად ეთანხმებოდა და ჩვეულებრივ იმის მოსაზრებებს გაიზიარებდა ხოლმე, ვინც ბოლოს ილაპარაკებდა. ბევრს კითხულობდა, და თუმცა კარგი მეხსიერების პატრონი ეთქმოდა, წაკითხული თითქმის მთლიანად ავიწყდებოდა; გარკვეული ცოდნა, საკუთარი მკაფიო თვალსაზრისი რომ ჰქონოდა, აზიარებულ გარემოებათა სათამაშოდ აღარ გა-

დაიქცეოდა. ქმრის სიკვდილის შემდეგაც კი ისევ ისეთივე ღარიბი, მაგრამ ამიერიდან ის მაინც შეეძლო, მეგობრები თავისი გემოვნების მიხედვით ამოერჩია. პირშიმთქმელ დოგმატიკოსებს „განათლებული“ კათოლიკეები ერჩივნა. თუმცა, მის ნაცნობებშიაც იყო შეხედულებათა განსხვავება. საკვირველია, მაგრამ ხშირად ჩემ აზრსაც უკლებდა ყურს, მიუხედავად იმისა, რომ მე ცრდილ აღამიანად მივაჩნდი. ასევე უწევდა ანგარიშს ჩემი დისა და ლიონელის შეხედულებებშიც. ეშინოდა, „ყვესეჩი არ გამოჩენილიყო“ ჩვენს უკანონო კვირის ისევ არეული ჰქონდა, ყველაფერს მორჩილად ეთანხმებოდა და გაკვირვებას არასდროს ამჟღავნებდა. ბოლო წლებში ერთგვარი, შინაგანი პარნოზია ჰქონდა. მაგრამ ახალგაზრდობისას მოკლებული იყო საკუთარ პრინციპებსაც და მყარ წარმოდგენებსაც, იმ სიტყვებსაც კი არ ფლობდა, სადაც განსჯაში რომ დაეხმარებოდა. ეს გახლდათ მისი მუდმივი დელუსია და დაბნეულობის მიზეზი.

ხშირად სასარგებლოა, კაცი თავისი თავის საზიანოდ ფიქრობდეს, მაგრამ დედას სულ სხვა რამე სჩვეოდა: იგი თავის საზიანოდ ცხოვრობდა. სურვილებით აღვსილმა, მთელი თავისი ენერჯია საიმისოდ გამოიყენა, რომ ეს სურვილები გულში ჩაეხშო; მაგრამ, ნებაყოფლობით რომ იტყოდა რაიმეზე უარს, იქვე ამბობდებოდა ხოლმე. სიყრმიდანვე რელიგიურ აკრძალვათა არტახები ბოჭავდა მის სხეულსა და გრძნობა-გონებას. ამ არტახების მაგრად შემოჭერა ესწავლებინათ. მათში იმალებოდა მგზნებარე ქალი, მაგრამ დამახინჯებულ-დასახინჯრებული და თავის თავისთვისაც უცნობი.

გამომეღვიძა თუ არა, მაშინვე ეღენს დავუროეე. შუალამისას დედა გონზე მოსულიყო: შეეძლო, რომ მისთვის ოპერაცია გაეკეთებინათ, მაგრამ თითქოს არ გაეკვირვებინა ამ ამბავს. სასწრაფოდ ტაქსიში ჩავჯექი. იგივე გზა, იგივე თბილი ცისფერი შემოღვომა, იგივე კლინიკა და მაინც უგელაფერი მესხვაფერებოდა: ეს იყო არა გამოჯანმრთელება, არამედ ავონია. აქამდე უშვილად მივდიოდი კლინიკაში, გულგრალობა გავავლიდი დეჩეფნება. დასურული კარების მოღმა სხვათა უბედურება ტრიალებდა, მაგრამ გარედან ვერაფერს შენიშნავდა კაცი. ახლა ერთი ამ უბედურებათაგანი მეც დამატყდა თავს. ავდიოდი კიბეზე და გული რომ წინ გავარდნას ღამობდა, ფეხები უკან-უკან მრჩებოდა. კარზე ფირფიტა ეკიდა: „ნაბვა აკრძალულია“. პალატაშიაც ყველაფერი შეცვლილიყო. საწოლი, წინაღლისამებრ, სასთუმლით კედლისაკენ იდგა. კამფეტები კარადაში შეენახათ, წაგნებიც იქ შეეღაგებინათ. კუთხეში მდგარი ღივი მაგიდიდან ყვავილები გამქრალიყო, მათი ადგილი იქ ახლა ბოთლებს, ქილებს, კოლბებს ეჭირა. დედას ეძინა, ზონდი აღარ ეკეთა, და როცა ვუცქეროდი, ისე აღარ მიმჩინდა. მაგრამ საწოლქვეშ მოჩანდა ტორტლები და მილები, შეერთებული კუჭ-ნაწლავთან. ავადმყოფს მარცხენა მკლავზე საწვეთების მილი ჰქონდა მიერთებული. ტანთ დედას არაფერი ეცვა: მკერდსა და შიშველ მხრებზე ხალათი საბანივით ჰქონდა მოთარებული. ასპარეზზე ახალი პირი გამოჩენილიყო — ცალკე მომვლელი ქალი, მადმუაზელ ლებლონი, კობტა და სუსტი, თითქოს ერგრის სურათიდან გადმოსული. თავზე ლურჯი ხილაბანდი ეკეთა, ფეხთ თეთრი მატერის მაშები ემოსა; იგი საწვეთებულს ადევნებდა თვალს, კოლბას ანჭრევდა და შიგ პლაზმას ხსნიდა. ელენმა მოთხრა, რომ დასასრულმა, ექიმების აზრით, შესაძლოა რამდენიმე კვირით ან

თვითაც დააყოვნოსო. პროფესორ ბ.-ს ჰკითხა: „რას ეტყვიან დედას, როცა ტკივილები სხვა ადგილას განუახლებია?“ — „ნუ სწუხდებით, გიპოვით სათქმელს. მუდამ ეპოულობთ ხოლმე, ავადმყოფიც მუდამ გვიჯერება“.

დღისათ დედამ თვალი გაახილა; ძლივს გასაგონი ხმით მაკრამ დალაგებით ლაპარაკობდა. „მაშ ასე!“ — ვუთხარი, — ფეხს იტენ და ანესტიტიკის ოპერაციას კი გიკეთებენ!“ თითი აფშიკა და არცთუ სიამაყის გარეშე წამოიჩურჩულა: „აპენდიციტი კი არა, პე-რი-ტო-ნი-ტი. რა ტუჩიკი...“ — „მე რომ ვარ აქა, იმით ხარ ემაყოფილნი?“ — „არა. მე რომ აქა ვარ“. წარმოგიდგენიათ, პერიტონიტი, შერე ბედმაც ისე გაუღიმა, ამ კლინიკაში მოხვდა! მაშ ასე, თვალთმაქცობა: დაიწყო. „რა ბედნიერი ვარ, რომ ზონდი მომაცილეს. რა ბედნიერი ვარ!“ თელგმა, რას მიხეხითაც წინააღმდეგით შეცვლი უსივლეობდა, გამოთლეს, და შეტად აღარ ეწვალებოდა. ორივე ქალიწვილი გვერდით ჰყავდა, ამიტომ აღარათრისა ეწინააღმდეგებოდა. როცა ექიმები ნ. და პ. შემოვიდნენ, ემაყოფილმა თქვა: „ხედავთ, არ მტოვებენ“, — და თვალები მილულა. ექიმებმა ერთმანეთს გადაუღლაპარაკეს: „გასათვარი, რა სწრაფად ჩანსაღლებია! სწორედ რომ თვალდათვალ!“ — და მართლაც, ყველა ამ სითხეთა შეყვანის შედეგად დედას სახე ოღნავ შეუყარდისტერდა, თითქოს ჯანმრთელი ადამიანის იერი ღაფლო. წინააღმდეგით აქ გაშოტილი საცოდავი, გატანჯული სხეული კვლავ ქალად იქცა.

კროსკორდებიანი ეურნალი ვუჩვენე, შანტალმა რომ მოუტანა. ჩურჩულთ მიმართა მომვლელს: „ლარუსის სქელტანიანი ლექსიკონი მაქვს, ახალი გამოცემა, ამას წინათ ვიყიდე კროსკორდების ამოსახსნელად“. ეს ლექსიკონი მისი ერთ-ერთი პოლო სიხარულის საგანი გახლდათ. მასზე ლაპარაკი წამოიწყო დიდი ხნით აღრე, ვიდრე შეძენას გადაწყვეტდა, და ყოველთვის, როცა ხედავდა, შივ რამეს ვეძიებდი, სახე უბრწყინებოდა. ვუთხარი, მოგიტანთ-მეთქი. „კარგი. ბარემ „ნუფელ ედიპაც“ წამოიძღვარეთ. იქ ხოფი რამ ამოუხსნელი დამარჩია...“ ტუჩების მოძრაობით უნდა ამოგეცნო, რას ამბობდა, და ეს მისი სატყუები, რომელთაც გაჭირვებით ამოთქვამდა, იღუწალი და შემაშუოთებელი გეჩვენებოდა, თითქოსდა მისნის წინასწარმეტყველება ყოფილიყო. სულ უბრალო მისი სურვილი თუ საზრუნავი ამცლავნებდა, რომ დაკარგოდა დროსთან რეალური კავშირი, ავი სიკვდილი სულთამხუთავად თავს ადგა უკვე; მისი სუსტი, ბავშვური ხმის გამგონეს ველი მეკუმშებოდა.

ბევრი ეძინა, ხანჯამოშვებით რამდენიმე წვეთ წყალს ისრუტავდა პიპეტით: მომვლელი ქალი ქალადის ხელსახოცში აფურთხებინებდა ხოლმე. საღამო ხანს დედას ხედა აუტყდა: მადმუაჩელ ლორანმა, რომელიც იმის სანახავად შემოვიდა, ხომ არა სჭირდება რაო, წამოსწია, გაუკეთა მსუბუქი მასაჟი, ხახველი ამოაღებინა. დედამაც მადლიერებით გაუღიმა — ეს იყო მისი პირველი ვალიმება ამ ოთხი დღე-ღამის მანძილზე.

ელენმა გადაწყვიტა დამით კლინიკაში დარჩენილიყო: „მამამ და დიდებამ შენს ხელში დალიეს სული, მე შორს ვიყავი მაშინ, — მითხრა, — უღდა კი მე თვითონ მიხდა გავაცილო. თან მართლა მსურს მასთან ყოფნა“. წინ არ აღვდვობივარ, დედას გაუკვირდა: „რა საჭიროა, აქ გაათით ღამე?“ — „როცა ლიონელს ოპერაცია გაუკეთეს, პალატაში ვუთიე ღამე, ასე იქცევიან ყოველთვის“. — „ჰოო, კარგი აბა“.



გაცივებული, სიციხიანი მივბრუნდი შინ, კლინიკას მაგრად ათბობდნენ და იქიდან გამოსულს შემოდგომის ნოტიო ქარმა გამკრა; ველაპე წამლის ფხვნილები და ლოგინში ჩავწექი. ტელეფონი არ გამომირთავს: ყოველ წუთს შეიძლება დედა „სანთელივით“ ჩამქრალიყო, როგორც ექიმები ამბობდნენ, და ჩემმა დამ აღმიტყვა, უმაღვე გამოვეძახებინე, როგორც კი ოდნო საგან-გაშო ვითარება შეიქმნებოდა. ოთხ საათზე ზარმა წამომახტუნა: აღსასრულია. ყურმილს ხელი დავტაცე და უცხო ხმა ჩამესმა: შეცდომით ჩამსმენეს! ამის შემდეგ გათუნებისასლა მოვახერხე ჩაძინება. ცხრის ნახევარზე კვლავ გაისმა ზარის ხმა, ტელეფონს ვეცი, ვილაც ნაცნობი მირეკავდა. შემძულდა ეს საშგლოვიარო ფერის აპარატი: „დედათქვენს კიბო აქვს“, „დედათქვენი საღამომდე ვერ გაატანს“. მალე ალბათ „აღსასრულს“ ჩამძახებს ყურში.

კლინიკის ბაღი გავიარე, კარს ვაღებ. შეიძლება გეგონოთ, აქაურობა აეროპორტის მოსაცდელი დარბაზიან: დაბალფეხიანი მაგიდები, თანადროულ-ლი ყაიღის სავარძლები დაუდგამთ, ხალხი მისალმების ან გამომშვიდობებისას ერთმანეთს ეხვევა, სხვები კიდევ იცდიან; ირგვლივ ჩემოდნები, საგზაო ჩანთები, ვაზებში ჩაწყობილი ყვავილები, ცელოფანში შეხვეული თაიგულე-ბია, თითქოს აქ მორიგი რეისით ჩამოსასვლელ მგზავრებს ხედებოდნენ... მაგრამ აღამიანთა სახის გამომეტყველება და დახშული ლაპარაკი მიგანიშნებთ, რომ ასე არ არის. ხანგამოშვებით დერეფნიდან კაცი გამოიხედავს. აცვია თეთრი ხალათი და თეთრი ფერისავე რბილი ფეხსაცმელი. ზედ სისხლი მიშხე-ფებია. ავდივარ მეორე სართულზე. მარცხნივ გრძელი დერეფანი გასდევს, იქ პალატები, მედდების ოთახი და კანცელარიაა ჩარიგებული. მარჯვნივ კვადრატული ოთახია, სადაც სკამი და თეთრტელეფონიანი საწერი მაგიდა დგას. აქედან ერთი კარი მომცრო მისაღებში გადის, მეორე — № 114 პალატისკენ. ნახვა აკრძალულია. კარის იქით ვიწრო გასასვლელია. ხელმარცხნივ სააბაზანო ოთახი ჩანს. იქ ღამის ტურქელი, ბამბა, მინის ქილები მხვდება თვალში; ხელმარჯვნივ კარადა დგას, სადაც დედისეული ნივთები ალაგია; სა-კიდარზე მტვრისაგან გაჭუჭყიანებული წითელი ხალათი ჰკიდია. „დანახვაც აღარ მინდა მაგ ხალათის!“ მეორე კარს ვაღებ. უწინ აქ ისე გავივლიდი, ამას ვერაფერს ვამჩნევდი. აწ კი ეს ნივთები, ვიცი, სამუდამოდ ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა.

„ჩინებულად ვგრძნობ თავს, — მითხრა დედამ, თანაც ეშმაკურად დასძი-ნა: — გუშინ, როცა ის ექიმები ერთმანეთში მსჯელობდნენ, ყველაფერი გავი-გონე. ასე თქვეს: „ეს გასაოცარიანო!“ სიტყვა ესაღბუნა. რამდენჯერმე ჩაფიქ-რებით გაიძეორა იგი. თითქოს იმ ჯადოსიტყვას წარმოთქვამს, რაზეც მისი გა-მოჯანმრთელებაა დამოკიდებულიო. სინამდვილეში თავს ჭერაც ძალიან სუს-ტად გრძნობდა, სულ ოდნავი ძალის დაბარჯვასაც ერიდებოდა. ძლიერ მოსწონ-და, საწვეთებლის საშუალებით რომ იკვებებოდა. „არასდროს აღარ შევქამ ჩემით“. „როგორ! შენ ხომ ისეთი სუსნია ხარ!“ — „არა, აღარ შევქამ“. მად-მუაზელ ლებლონმა ის იყო სავარცხელი და ჯაგრასი მოიშარჯვა, რათა დაე-ვარცხნა იგი, დედამ გადაჭრით მოითხოვა: „თმა მომკვეცეთო“. შეველა-ვეთ, მაინც თავისი გაიმეორა: „ვიღლები ხოლმე, მომკვეცეთ ბარემო“. უცნაური სიჯიუტით იყინებდა, თითქოს ამ მსხვერპლის გაღებით სრული სამშვიდის

მოპოვებას იმედოვნებდა. მადმუაზელ ლებლონიმა ნელ-ნელა დაუშალა და დაუვარცხნა თმა. მერე დაუწნა და ვერცხლისფერი ნაწნავი თავზე შემოახვია. დედის დაწყნარებულ სახეს კვლავ დაუბრუნდა განსაცვიფრებელი სისპეტაკის იერი. ლეონარდო და ვინჩის ერთი ნახატი მომაგონდა, ~~რომ მასზე ლამაზი მოხუცი ქალია გამოსახული.~~ „ისეთი მშვენიერი ხარ ახლა, თითქოს ლეონარდო და ვინჩის დაეხატო“, — ვუთხარი მე. გაელიმა: „ოფელსეა-ფაფაოდ კარგი ვიყავი“. მერე მომვლელს მიუბრუნდა და ნდობის კვლავი უთხრა: „ხშირი თმა მქონდა. თავზე ვიხვევდი“. ჰოდა, თავისი ცხოვრების ამბავს მოჰყვა: როგორ მოიპოვა ბიბლიოთეკარის დიპლომი, რარიგ უყვარდა წიგნებთან ფუსფუსი. მადმუაზელ ლებლონი გაეპასუხებოდა ხოლმე, იმავე დროს ვენაში შესასხმელ ხსნარს უმზადებდა. ეს გამჭვირვალე სითხე გლუკოზასა და შარილებს შეიცავსო, განმარტა. „ნამდვილი კოქტეილია“, — შევნიშნე მე.

მთელ დღეს ჩვენს გეგმებზე ველაპარაკებოდით დედას. თვალი არ აუხელია, ისე გვისმენდა. ელენმა და მისმა ქმარმა ელზასში იყიდეს ძველი ფერმა, რომლის კეთილმოწყობასაც აპირებდნენ. დედას დიდ ოთახს გამოუყოფენ იქ; ამ ფერმაში სავსებით გამომრთელდება. „მერედა ლიონელს ხელს ხომ არ შევუშლი, თუ იქ დიდი ხნით დავრჩები?“ — „რასაკვირველია, არა“. — „ჰო, მართლა, ახლა აღარ შეგავიწროებთ. აბა, შარახბერგენში სხვა ამბავი იყო, იქ თავი კუდს ვერ მოიქნევდა“. კიდევ მერინაკზე ვილაპარაკეთ. ამ ქალაქთან დედას ახალგაზრდობის მოგონებები აკავშირებდა. უკვე დიდი ხანი იყო, აღფრთოვანებული გვიამბობდა, როგორ გამშვენიერებულიყო იქაურობა; დედას ძალიან უყვარდა ჟანა: მისი უფროსი ქალიშვილები — ლამაზები, ქორფები და მხიარულები — პარიზში ცხოვრობდნენ და ერთობ ხშირად მოდიოდნენ კლინიკაში ავადმყოფის სანახავად. იცით, — უხსნიდა დედა მადმუაზელ ლებლონს, — მე შვილიშვილები არა მყავს, იმათ კიდევ ბებია არ ჰყავთ. ჰოდა, მეც მათ ბებობას ვუწევ“. როცა ვნახე, დედამ ჩათვლიმა, გაზეთი გავშალე. მაგრამ უმაღვე შემეკითხა, თანაც თვალები ოდნავ გამოახილა: „აბა, რა ხდება ერთი საიგონში?“ მოვუყევი. ცოტა ხნის შემდეგ ხუმრობანარევი საყვედურით განაცხადა: „მე ხომ მოტყუებით გამიკეთეს ოპერაცია!“ ამ დროს პალატაში შემომავალ ქირურგ ბ.-ს შეასწრო თვალი და მხიარულად დასძინა: „აი, ისიც, ჩემი ჯალათი!“ ქირურგი ერთხანს საწოლთან ედგა, მერე შენიშნა: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. — ამაზე დედამ ლამის თავმომწონედ მიუგო: „ღიახ. მოხდა, შევიტყვე, რომ პერიტონიტი მქონია“. გამეღიმა: „შენ მაინც განსაკუთრებული გეყავხარ! ბარძაყის ძვალი მოიტეხე და კლინიკაშიც ამიტომ მოგიყვანეს, ოპერაციას კი პერიტონიტის გამო გიკეთებენ!“ — „მართალი ხარ. მე განსაკუთრებული ქალი ვარ“. რამდენიმე დღეს ეს აზრი ართობდა: „აი, რა ოინი ვუყავი პროფესორ ბ.-ს. სანამ იგი ნაღრძობი ბარძაყის ჩავდებას მიპირებდა, ექიმი პ. ადგა და ოპერაცია გამიკეთა!“

ამ დღეს ჩვენ ყველანი აგვალეღვა იმან, თუ როგორ უფრადლებას აქცევდა ოდნავ სასიამოვნო შეგრძნებასაც კი, სამოცდათვრამეტი წლისა თითქოსდა სასწაულებრივ გადახალისდაო. როცა მომვლელი ბალიშებს უსწორებდა, ლიონის მილი ბარძაყზე შეეხო: „რა გრილია, როგორი სასიამოვნოა!“ ოდეკოლონიასა და ფშვიადი ტალკის სურნელებს ისუნთქავდა: „რა კარგი სურნელებაა!“ ითხოვა და საწოლთან მიუგორეს გორგოლაქებზე შემდგარი

ტაბლა. ზედ ვაზებში მოთავსებული თაიგულები და ყვავილებიანი ქოთნები დაუდგეს. „ეს პატარ-პატარა წითელი ვარდები შერინაკულია. იქ ხომ ჯერაც ყვავის ვარდები“. გვთხოვა ფარდები გადაგვეწია, დახურული ფანჯრიდან ოქროსფერი ფოთლების ცქერით ტკბებოდა: „რა ლამაზია, ჩემი ბინიდან ასეთ რამეს ვერ დავინახავდი!“ იღიმებოდა. ამის შემხედვარენი, მეცა და ჩემი დაც. ერთმა და იმავე გრძნობამ მოგვიცვა: ორივეს გვეცნო ის ღიმილი, ბავშვობას რომ გვინათებდა, გვეცნო შუქიანი ღიმილი ახალგაზრდა ქალისა. ნეტა სად იყო გამქრალი ამდენ ხანს ეს ღიმილი?

„რამდენიმე ასეთი ბედნიერი დღე კიდევ რომ ექნებოდეს, ეღირობოდა მისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება“, — თქვა ელენმა. კი, მაგრამ რა მოეწონის სამაგიეროდ?

„ეს ხომ საცხედრია“, — ფავიფიქრე მეორე დღეს. ფანჯარაზე ლურჯი ფერის სქელი ფარდები ჩამოეფარებინათ. (შტორი მოშლილი იყო და არ ეშვებოდა, მაგრამ აქამდე სინათლეს არ შეუწუხებია დედა). ბინდ-ბუნდში იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა. ხელში მისი ხელი ავიღე; დაიხურჩულა: „სიმონი ხარ? ვერა გხედავ.“ პუბეტი წავიდა, მე მის ადგილზე დავჯექი და დეტექტიური რომანი გავშალე. დედა დროდადრო ამოიხვნეშებდა: „თავში ყველაფერი მერევაო“. ექიმ პ.-ს შესჩივლა: „მე მგონი, უკვე აგონია მაქვსო“. — „ასე რომ იყოს, არ გეცოდინებოდითო“. პასუხმა დააშოშმინა. ცოტა ხნის შემდეგ ფიქრიანად თქვა: „მეტად სერიოზული ოპერაცია გადავიტანე. მძიმე ავადმყოფი ვარ“. ცხადია, დავეთანხმე, და თანდათან გაუნათლა სახე. მომიყვა, გუშინ თვალში ვიწექი და უეცრად სიხმარი ვნახეო: „პალატაში ვილაც კაცები შემოვიდნენ, ბოროტი კაცები, რალაც ლურჯი ტანისამოსი ეცვათ; უნდოდათ. წავეყვანე; ძალით კოქტეილი დამალევიანეს. შენმა დამ გარეკა ისინი...“ კოქტეილი ზუმრობით გუწოდე იმ ხსნარს. შესასხმელად რომ უმზადებდა მადამუაზელ ლებლონი. იგი ლურჯი ფერის ხილაბანდს ატარებდა. კაცები კი ის სანიტრები იყვნენ, დედა რომ საოპერაციოში მიჰყავდათ. „ჰო, ალბათ, მართლაც ასე იქნებოდა...“ ფანჯრის გამოღება მთხოვა: „სუფთა ჰაერი სასიამოვნოაო“. გარედან ჩიტების ელურტული მოისმა, დედას გრძნობა მოერია: „ჩიტებიო!“ ხოლო ჩემი წასვლის წინ თქვა: „რა უცნაურია. მარცხენა ლოყაზე ყვითელ სინათლესა ვგრძნობ. თითქოს ამ ლოყაზე ყვითელი ქალღმად მდლოს და იმ ქალღმადში კამკაშა სინათლე გადითდეს. ისე სასიამოვნოა“. ქირურგ პ.-ს მივმართე: „შაინც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა?“ — „შეიძლება, თუკი კუჭ-ნაწლავის მოქმედება აღდგა. მაგრამ ამას ორი-სამი დღის შემდეგ გავიგებთო“.

ეს ექიმი პ. მოშწონდა. იგი არ იბღინებოდა, დედას თანასწორივით ელაპარაკებოდა და მეც კითხვებზე ხალისით მიპასუხებდა. სამაგიეროდ ექიმი ნ. იმთავითვე თვალში არ მომივიდა, არც მას ვენათებოდი გულზე. ელეგანტური, გამართული, ნიჭიერი, იგი გატაცებით ირჯებოდა დედაჩემის ორგანიზმში სიცოცხლის ასაღორძინებლად. მაგრამ დედაჩემი მისთვის საინტერესოცდის ობიექტს წარმოადგენდა მხოლოდ, და არა ადამიანს. ეს კაცი შიშს იწვევდა ჩვენში. დედას მოხუცი ნათესავი ქალი ჰყავდა, ნახევარი წელი იყო უკვე, ცნობაწართმეული იწვა. „იმედია, არ მოითმენთ, მეც იმავე დღეში ჩამავდონ, ეს საზარელი იქნებოდაო!“ — გვემუდარებოდა დედა. თუ ექიმი ნ. გა-

დაწყვეტს, რაღაც უნდა დაუჯდეს, რეკორდი დაამყაროს, საშიშ მოწინააღმდეგედ გადაწყვეტება.

კვირა დილით პუპეტმა მეტად დაღონებულმა მითხრა: „ექიმმა გააღვიძა დედა, ხელ-ფეხი ავამოძრაებინოო, მაგრამ უშედეგოდ. რისთვის აწვალებს?“ ავღეჭი და ექიმი ნ. დერეფანში გავაჩერე, თვითონ ხომ არასოდეს გამომლაპარაკებია. ისევ დავუწყე ხვეწნა: „ნუ აწვალებთ-მეთქი დედას“. შეურაცხყოფილი კაცის კილოთი მთმიგო: „მე არ ვაწვალებ მას: ვაჩქარებ მას, რის გაკეთებაც მმართებსო“.

ლურჯი ფარდა გადასწიეს, პალატა ნაკლებ პირქუში გახდა. დედას ეთხოვა და მეტი სათვალე ეყიდათ მისთვის. როცა შევედო, სათვალე მოიხსნა: „აი, დღეს გხვდავ!“ იმ დღეს თავს კარგად გრძნობდა და შშვიდად მკითხა: „მითხარი, მარჯვენა მხარი თუ მაქვს?“ — „როგორ არა!“ — „საკვირველია. გუშინ მეუბნებოდნენ, კარგად გამოიყურებიო. მაგრამ კარგად მხოლოდ მარცხენა მხრიდან გამოვიყურებოდი. ვგრძნობდი, რომ მარჯვენა მხარე ნაცრისფერი მქონდა, ისიც კი შეჩვენებოდა, თითქოს სულაც არა მქონოდეს, თითქოს ორ ნაწილად გამყვესო. ახლა კი ეს ორივე ნაწილი თითქოს ისევ ერთდებოდა“. მარჯვენა ლოყაზე ხელი შევაბე: „თუ გრძნობ?“ — „კი, ოღონდ როგორც სიზმარში“, მარცხენა ლოყაზე შევეხე. „აი, ახლა ნამდვილად ვგრძნობო“, — მითხრა. ბარძაყის მოტეხილობა იყო, ჭრილობა, სახვევის დადება, ზონდი თუ სისხლის გადასხმა — ყველაფერს მარცხენა მხარეს მოეყარა თავი. ეგებ ამიტომ იყო, რომ მარჯვენა მხარის არსებობას აღარ გრძნობდა? „ჩინებულად გამოიყურები, ექიმები ალტაცებაში მოგყავს“, — ვუთხარი მე. — „ყველანი არა, ექიმი ნ. უკმაყოფილოა; მისთვის მთავარია, გახები არ მიგროვდებოდეს. როცა აქედან გავალ, ერთი კოლოფი შოკოლადის დრაჟე უნდა გავუგზავნო“, — და ამ რაგის ოხუნჯობაზე გაეღიმა.

პნეემატური ლეიბი კანის მასაჟს უკეთებდა. მუხლებშუა ყურთბალიშები ვაუმაგრეს, სპეციალური სალტეთი ზეწარი ნაღლა იწეოდა და ფეხებს აღარ ეჩებოდა. მეორეგვარი სამარჯვი ტერფებს ჰაერში იკავებდა; მიუხედავად ამისა, დედას ნაწილები გაუჩნდა. ბარძაყები ართროზისაგან მქონდა წართმეული, მარჯვენა ხელს ნახევრად ხმარობდა, მარცხენაზე კიდევ საწვეთებელი მქონდა მიმაგრებული, ასე რომ განძრევას ვერ ახერხებდა. მთხოვდა: „უფრო მოძალადედ წამომწიეთ“. მარტო ვერ ვხედავდი ამის გაკეთებას. მისი სიშიშველე აღარ მაკრთობდა: ჩემ წინაშე უკვე დედას კი არა, უბადრუკ, მიხრწნილ სხეულს ვხედავდი. მაგრამ მათრთხობდა ის ბუნდოვანი და შემზარავი, რაც ამ ბანდებქვეშ იმალებოდა, და მეც ვშიშობდი, ვაითუ ტკივილი მივაყენო-მეთქი. იმ დილით კვლავ ოყნა დაუნიშნეს დედას, მადმუაზელ ლებლონმა მთხოვა, მივხმარებოდი. ოფლიან, მოლურჯო კანგადაკრულ ჩონჩხს იდლიებქვეშ ხელი მოვადკ. როცა ცალ გვერდზე ვაბრუნებდით, უცებ სახე შეეშალა, თვალბში მისი ჩაუდგა. „დავეცემიო“, შეპყვირა. ვერა და ვერ დავევიწყებინა საბაზა-პონი წაქცევა. თავითი ვედუქი, ხელით მეჭირა და ვაწყნარებდი.

მერე ისევ გულაღმა დავაწვინეთ, ზურჯქვეშ ბალიშები ამოვუდეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ თქვა: „გაზებისაგან ეთავისუფლდებიო!“ — არ გასულა ვადი ხანი და შეგვძახა: „ჭურჭელის ჩქარა!“ მადმუაზელ ლებლონი დაფაქვრდა და თმაწითური მედლის დახმარებით სცადა, ღამის ჭურჭელი ქვემო-

დან შეედო, მაგრამ დედას ყვირილი აღმოხდა. უხედავდი მის გაწამებულ სხეულს, ლითონის ცივი ელვარება თვალში მხვდებოდა, და მერვენებოდა, დანის პირზე აწვეწვენ-მეთქი. ორივე ქალი ჯიუტად ლამობდა მის წამოწვევას, მწითური ვულპოსული ჯგვლემდა, მთელი ტანით დაძაბული დედა კი ტკივილისაგან ყვიროდა. „ოჰ, დაეხსენით ერთი!“ — ვთქვი და, როცა მუდღეობს გარეთ გამოცხევი, დავძინე: „დაე, ლოგინშივე ქნას“. „კი, მაგრამ ეს ხომ ასე ამცირებს მათ! — შემომედავა მადმუაზელ ლებლონი. — ავადმყოფობის შემთხვევაში მკრძნობიარედ განიცდიან ამას“. — „ესეც არ იყოს, ყველგანვე მსგავსი სიტუაციები, ნაწოლები აქვს და ავნებს“, — დაურთო მწითურმა. „რა გაეწყო, თუთრეულს ხელად გამოუცვლით“. დედასთან შევბრუნდი. „ეგ მწითური ბოროტი ქალია, — ბავშვივით საცოდავად ამოიკვნესა მან, მერე მწუხარედ დაუმატა — სწორედ რომ არ მეგონა, თუ ასეთი აზიზი ვიყავი“. — „აზიზისა ნეტა რა გეტყობა, — ვუთხარი. — ადექი და ლოგინშივე ქენი, ზეწრებს გამოგიცვლიან, საგანგაშო არაფერია“. — „ჰო, — წარბები შეკრა და გამომწვევად მითხრა: — მკვდრები აკი ლოგინში შვრებიან“.

სუნთქვა შემეკრა. „ეს მათ ამცირებსო!“ აი, დედას კი, მთელი თავისი ცხოვრება მომეტებული წესიერებითა და გამძაფრებული ეჭვიანობით რომ გამოიარჩეოდა, ამჟამად სირცხვილის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გვარიანი მამაცობა უნდა დასჭირვებოდა ამ პურიტანსა და იდეალისტს, რათა ასე გადაჭრით შერიგებოდა ადამიანის ცხოველურ საწყისს.

თუთრეულის გამოცვლის შემდეგ დედა ვაბანეს, ოდეკოლონით გაწმინდეს. ახლა უნდა მტკივნეული ნემსი გაეკეთებინათ, რათა მოესპოთ შარდოვანას სიჭარბე, რაც ორგანიზმს უწამლაფდა ისეთი გატანჯული ჩანდა, მადმუაზელ ლებლონი ერთი პირობა შეყოყნანდა კიდევ. „ბირემ მიჩხელიტეთ, — უთხრა დედამ, — რაკი ეს მარგებს“. ისევ ცალ გვერდზე გადავაბრუნეთ. მე ხვლით მეჭირა და სახეში ვუცქეროდი. მისი სახე დაბნეულობას, მხნეობას, იმედსა და შიშს გამოხატავდა. „რაკი ეს მარგებსო“, რათა გამოჯანმრთელებულიყო. და სულ ერთია მომკვდარიყო. მინდოდა, შეწყალვებამ შეყვედრებოდი ვასმე.

მეორე დღეს შევიტყვე, რომ დღის მეორე ნახევარს მშვიდობიანად ჩაეგლო. მადმუაზელ ლებლონს ახალგაზრდა ფერწალი ცვლიდა, პოლა, პუბეტში დედას უთხრა: „ბედი გწყალობს, ასეთი მშვენიერი ყმაწვილი გივლის“. „ჰო, — მიუგო დედამ, — ლამაზი კაცია“. — „იცოცხლე, ლამაზი მამაკაცის ფასი იცი“. — „ო არა, არც იმდენად“, — ნაღვლიანად მიუგო დედამ. — „შენ თითქოს ნანობთ რაღაცას?“ — „მგონი, მართლაც. დის შვილიშვილებს ხშირად ვეუბნები: „გოგონებო, ცხოვრება გამოიყენეთ-მეთქი“. — „ახლა მესმის, ასე რატომ უყვარხარ მათ. კი, მაგრამ შენს ქალიშვილებს თუ ეტყობი ასეთ რამეს?“ დედამ უცებ მკაცრი იერი მიიღო: „ჩემს ქალიშვილებს? არასოდეს!“ ექიმმა პ.-მ ოთხმოცი წლის ქალი შემოიყვანა მასთან. ამ ქალს ოპერაციისა ეშინოდა: დედამ შეარცხვინა და მისიბამ მაგალითად თავისი თავი დაუსაბა.

„სარეკლამოდ მიყენებენო“, მითხრა ორშაბათს და ჩაიციანა. „რაო, მარჯვენა მხარი ვითომ ისევ გაძიჩნდა? დარწმუნებული ხარ?“ — „როგორ არა, თავად ნახე“. — უთხრა ჩემმა დამ. დედამ უნდო, პირქუში მზერა სარკეს მიაპყრო. „მერედა, ეს მე ვარ?“ — „მამ. ხომ ხედავ იერი სულაც არ შეგცვლია“. — „მაგრამ მთლად ნაცრისფერი შევიქენი“. — „უბრალოდ აქ განა-

თებაა ასეთი. როგორც ყოველთვის, ვარდისფერი ხარ“. მართლაცდა, შესახე-  
დავად მშვენივრად გამოიყურებოდა. თუმცადა, როცა მადმუაზელ ლებლონს  
გაუღიმა, უთხრა: „როგორც იქნა, მთელი სახით ვიღიმები. თორემ ასე მეგონა,  
ნახევარი სახით ვიღიმები-მეთქი“.

ნაშუადღევს შემდეგ დედას აღარ ეღიმებოდა. უკმაყოფილოდა გაკვირ-  
ვებით რამდენჯერმე გაიმეორა: „მაინც რა მახინჯი ვჩანდი სათქემიო!“ წინაღ-  
მით საწვეთებელს რაღაც გაჭფუჭებოდა: საჭირო შეიქნა მანქანის ნემსი  
გამოვლოთ და მერე ხელახლა გაეკეთებინათ. ლამინდელ მენასთუმლეს ერთბა-  
შაღ ვერ ეპოვა ვენა, სითხის ნაწილს კანქვეშ გაეჭონა, დედას ძლიერი ტკივილი  
ეგრძნო. შესივებულ და გალურჯებულ ხელზე მაშინვე კომპრესი დაადეს. საწ-  
ვეთებელი მარჯვენა ხელზე მიუმარჯვეს. გაწამებული სხეული ძლივსღა  
ითვისებდა ფიზიოლოგიურ ხსნარს, მაგრამ პლანზის შესხმისას დედა კვნესოდა.  
საღამო ხანს შიში მოეძალა: ლამისა ეშინოდა, ეშინოდა ხელახალი წვალებისა,  
ეშინოდა, ვაითუ ისევ მოხდესო რამე. შეძრწუნებისაგან სახეშეშლილა გვებუ-  
დარებოდა: „საწვეთებელზე თვალყური კარგად გეჭირათო!“ და, აი, საღამოს,  
როცა მივჩერებოდი მკლავზე, რომლიდანაც ნელ-ნელა ემატებოდა სიცოცხლე,  
ის სიცოცხლე, მას რომ ერთ გაბმულ ტანჯვად ქცეოდა, კვლავ და კვლავ ვე-  
კითხებოდი თავს: ნეტა რისთვისღა უღვას-მეთქი სული?

კლინიკაში საიმისოდ არ მეცალა, შეკითხვები მიმეცა ჩემი თავისთვის. დე-  
დას ნახველს ვალეზინებდი ხოლმე, წყალს ვალევიწებდი, ბალიშებს ვუსწორებ-  
დი, ვუვარცხნიდი თმას, ფეხებს ვუნაცვლებდი, ვურწყავდი ყვავილებს, ვუღებ-  
დი ან ვუხურავდი ფანჯარას, ვუკითხავდი გაზეთს, ვუბასუხებდი შეკითხვებზე,  
ვუქოქავდი შავზონრიან საათს, გულზე რომ ედო. ეამებოდა ჩვენი ყურადღება  
და განუწყვეტლივ ითხოვდა ამ ყურადღების ახალ-ახალ გამოვლინებას. მაგრამ  
როცა შინ მივბრუნდი, ბოლო დღეების დარდი და საშინელება ლოდივით დამა-  
წვა გულზე. მეც სიმშვიდეს მაკარგვინებდა ავადმყოფობა — თავს დამნაშავედ  
ვგრძნობდი და სინდისი მქეჯნიდა. „ობერაციის ნება არ დართოთო“. მე კი არ  
დავუშალე. არაერთხელ, როცა სასიკვდილოდ განწირულთა ტანჯვაზე მიფიქ-  
რია, ჭირისუფალთა უმოქმედობას აღვუშფოთებდვარ: „ავდგებოდი და მოვაკ-  
ვდინებდი-მეთქი ამნაირ ავადმყოფს“. მაგრამ პირველი გამოცდისთანავე შევდ-  
რკი, საყოველთაოდ მიღებულ მორალს დავემორჩილე და საკუთარი თვალსაზ-  
რისი უარყავ. „ო არა, — მითხრა სარტრმა, — უბრალოდ ფარ-ხმალი დაყარეთ,  
და ეს გარდაუვალია“. დიახ, ჩვენ უძლურნი ვართ სპეციალისტთა დასკვნის,  
მათი პროგნოზისა თუ გადაწყვეტილების წინაშე, და აი ჩვენი ნებისაგან დამოუ-  
კიდებელ მოვლენებში აღმოვჩნდებით ხოლმე ჩათრეული. მართლაცდა, თუ  
ავადმყოფი ექიმებს ჩაუვარდა ხელში — ერთი სცადეთ და გამოჰგლიჯეთ!  
ოთხშაბათს არჩევანის წინაშე ვიდექით: ან ობერაცია უნდა გაგვეკეთებინე-  
ბინა, ანღა ავონია მოელოდა, რასაც ნარკოტიკებით შეუშაუბუჭებდნენ. გული  
მაგარი ჰქონდა დედას, ასე რომ წარმატებით რეანიმაციის შემდეგ, თუნდაც  
ნაწლავთა სრული გაუვალობისას, ერთხანს კიდევ იცოცხლებდა და სულს და-  
ღვედა ჯოჯოხეთური წვალებით, რადგან ექიმები უარს იტყოდნენ, დაუსრუ-  
ლებლივ ეცოთებინათ მორფიუმი. იმ დღეს ღილის ექვს საათზე უნდა ვყოფილი-  
ყავი კლინიკაში. მერედა, გინდაც ვყოფილიყავ, გავბედავდი კი ნ.-სთვის  
მეთქვა: „დააცალეთ-მეთქი სიკვდილი?“ განა ამას არ მიანიშნებდა ჩემი თბოვ-

ნა: „ხუ ტანჯავთ-მეთქი“, როცა ნ.-მ თავის სიმართლეში დარწმუნებული კაცის შესაფერისად, ზვიადად გამაწყვეტინა სიტყვა? ისინი აგრე მეტყობდნენ: „კი, მაგრამ იქნება რამდენიმე წლის სიცოცხლეს უსპობთ?“ და მეც ძალაუზნებურად დავყვებოდი მათს ნებას. თუმცადა, მთელი ეს მსჯელობა გულს ვერ მიმშვიდებდა. მომავალზე ფიქრი თავზარს მცემდა. თხუთმეტი წლია ვიყავი, როცა ბაძაჩემი მორისი კუჭის კიბოთი გარდაიცვალა. მშობლები გვებოდნენ, რომ ხანგრძლივი მტანჯველი დღეების მანძილზე იგი ყვირტს უკეთებდა, მომეცით რევოლვერი. შემობრალეთო“. შეასრულებს თუ არა ექიმი პ. პირობას, „არ იწვალებსო“, რომ გვითხრა? რომელი იძალებს — სიკვდილი თუ ტანჯვა-წვალება? მერედა, როგორღა უნდა იცხოვრო შემდგომ, თუ შენთვის ჭვირფასი აღამიანი ამოდ გებვეწება: შემობრალეთო!

თუნდაც რომ სიკვდილმა გაიმარჯვოს, საზიზღარ სიცრუეს მაინც თავს ვერ აარიდებ. დედას თავის გვერდით ვეგულუბოდით; ჩვენ კი მისგან შორს ვიყავით უკვე. თითქოს ყოველსმცოდნე ბოროტი სული ვყოფილიყო, ყოველივე წინასწარ ვიცოდით, ის კი სადღაც ძლიერ შორს მყოფი, მარტოდ-მარტო იგერიებდა სიკვდილს. მისი გამწარებული ცდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, სიკვდილს გადარჩენოდა, მისი მოთმინება და სიმამაცე — სუყველაფერი ამო იყო. რაგინდ რა ტანჯვას გაუძლოს, სასიკეთოს ვერას მოიმკის. მისი სიტყვები გამახსენდა: „რაკი ეს მარგებსო“. სასოწარკვეთილი ვხვდებოდი ჩემ დანაშაულს, რომლის გამო, ასე გასინჯეთ, პასუხსაც ვერ ვაგებდი და რომლის გამოსუიდვასაც ვეროდეს შევიძლებდი.

დედამ მშვიდობიანად გაატარა ღამე. მომვლელს, ავადმყოფის მღელვარების შემხედვარეს, ხელი არ გაუშვია მისი ხელისთვის. მედდებმა იმარჯვეს და ქვეშ ისე შეუდვეს ღამის ჭურჭელი, ტკივილი არ მიუყენებიათ. კვლავ შეიძლო ჭამა, და ექიმებიც ვარაუდობდნენ, რომ საწვეთებელს მალე მოუხსნიდნენ. „ბარემ ამ საღამოსო!“ — იხვეწებოდა დედა. — „ამ საღამოს ან ხვალა“, — მიუგო ნ.-მ. გადავწყვიტეთ, მომვლელს კვლავინდებურად ემორიგევა ღამით, ჩემი და კი ნაცნობებთან წასულიყო დასაძინებლად. მეორე დღეს სარტრი პრალაში გადაფრენას აპირებდა და ექიმ პ.-ს ვკითხე, შემიძლია თუ არა ვავყვე-მეთქი. „სუყველაფერი ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. თუმცა, ამგვარი მდგომარეობა შეიძლება თვეობით გაგრძელდეს. ბოლოს და ბოლოს, პრალამდე სულ საათნახევრის საფრენია, მერე ტელეფონიც იქვე გექნებათ“. ამ ჩემი გეგმის შესახებ დედას ველაპარაკე. „რასაკვირველია, უნდა წახვიდე, მე არ მჭირდებაო“, — მითხრა. ჩემმა გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დარწმუნა, რომ განსაცდელისათვის უკვე თავი დაელწია: „საიქიოდან გამომაბრუნეს! წარმოგიდგენია, სამოცდათვრამეტი წლისას პერიტონიტი გქონდეს! რა კარგია, რომ სწორედ აქ მოვხვდი! რა ბედნიერებაა, რომ ბარძაქის ოპერაცია არ გამიკეთეს“. მარცხენა ხელი საწვეთებლისაგან გაუთავისუფლეს, და შესივება ამ ხელზე ცოტა დაუცხრა. დაძაბული ყურადღებით მიჰქონდა ხელი სახესთან, ცხვირ-პირზე იკიდებდა: „ასე მეჩვენებოდა, ვითომც თვალები ლოყასა და ლოყას შუა მქონდა გამოსხმული, ცხვირი კიდეც სახეზე ვანდაგან, ზედ ნიკაბთან მეჭდა. რა სისულელეა...“

დედა არ იყო თავის მოვლას ჩვეული. მაგრამ ახლა მისი სხეული დაბეჭითებით მოითხოვდა ყურადღებას. ასერიგად დასაპყრებულ-დაბეჩავებული,

იგი აღარ ეძლეოდა ფუჭ ოცნებებს, აღარც იმგვარ რამეებს ლაპარაკობდა, რაც წინათ მეჩოთირებოდა ხოლმე. როცა ბუსიკოს გაიხსენებდა, იმ ავადმყოფებს შეიცოდებდა, საერთო პალატაში რომ უხდებოდათ წოლა. თანაუგრძობდა მედიცინის დებს, რომელთაც უფროსობა ექსპლოატაცდას უწევდა. ამ თავისი მძიმე მღვდომარეობის მიუხედავად, არც ჩვეული დელიკატობა დაუკარგავს. შიშობდა, ნამეტნავად გაწვალებული ხომ არ მყავსო მადმუაზელ ლებლონი, წამდაუწუმ მადლობას ეუბნებოდა მას, ბოდვას უწევდა. წარმოგიდგენიათ, რამდენი ჯანი უნდა შეალიო დედაბერს, როცა ეს ჯანი ახალგაზრდებს თავადაც გამოადგებოდათ“. სწუხდა, რომ მე დროს მართმევდა: „იმდენი საქმე გაქვს, შენ კი საათობით აქ ზიხარ, და ეს სულ ჩემი გულისთვისო!“ რადიკალური სიამაყით, მაგრამ იმავე დროს ნაღვლიანად გვითხრა: „ჩემო საბრალო გოგონებო! როგორ აგაფორიაქეთ ალბათ, დიდ შიშს გამოივლიდით!“ განსაკუთრებით გულის ამაჩუგებელი იყო მისი ყურადღება ჩვენდამი. ხუთშაბათ დილით დას საუზმე მოუტანეს პალატაში. დედამ, სულ ახლახან გამოსულმა კომატოზური მღვდომარეობიდან, დაიჩურჩულა: „მო... მო...“ — „მოდვარი მოგიყვანონ?“ — „არა, მოუტანონ მურაბა“. ახსოვდა, ჩემ დას რომ დილით საუზმისას მურაბა უყვარდა. მეკითხებოდა, კარგად საღებოდა თუ არა ჩემი ბოლო წიგნი. რომ შეიტყო, მადმუაზელ ლებლონს დიასახლისმა ბინა დააცლევინაო, ელენის რჩევას დაუჭერა და დათანხმდა, მადმუაზელ ლებლონი თავის სახლში ჩაეყენებინა, თუმცა ჩვეულებრივ ვერ იტანდა ხოლმე. მის ოთახებში ვინმე შესულიყო, როცა თვითონ შინ არ იყო. ავადმყოფობამ ცრუ შეხედულებებისა და შესისხლხორცებული წარმოდგენების დამცავი ნაჭუჭი შეუმუსრა — ეგების იმიტომ, რომ მათგან დაცვას უკვე აღარ საჭიროებდა. აწ აღარ ლაპარაკობდა თავგანწირვასა თუ მსხვერპლზე: უპირველეს მოვალეობად ახლა გამოჯანმრთელება მიაჩნდა, მაშასადამე, თავის თავზე ზრუნვა. მხოლოდ საკუთარ სურვილსა და სიხარულს ემორჩილებოდა, და რაც რამ წყენა ჩამარხვოდა გულში, როგორც იქნა, დაძლია. კვლავ მოლიმარი შეიქნა, მისი გალამაზებული სახეც თავის თავთან სრულ შერიგებას გამოხატავდა. ასე ეზიარა თავისებურ ბედნიერებას სასიკვდილო სარეცელზე.


ერთგვარი გაკვირვებით შევნიშნეთ, რომ დედას აღარ მოუწვევინებია მოძღვარი, რომლის ვიზიტის გამო სამშაბათს უარი ვთქვით. ჯერ კიდევ ოპერაციამდე დედამ უთხრა მარტას: „ილოცე ჩემთვის, მეგობარო, ხომ იცი, როცა ადამიანი ავადაა, ლოცვის თავი არა აქვსო“. ოღონდაც! გამოჯანმრთელებისათვის ზრუნვა ჯერ ისედაც დიდ ჯაფად უღირდა და ზედ კიდევ ლოცვა სულ მთლად მოქანცავდა. ერთხელ ექიმმა ნ.-მ უთხრა: „მალე რომ გამოჯანმრთელდეთ, საჭიროა კარგად იყოთ უფალ ღმერთთანო“. „ო, მე ძალიან კარგად ვარ მასთან. ოღონდ ჯერ არ მინდოდა, მენახაო“. მარადიული სიცოცხლე დედამიწაზე სიკვდილს ნიშნავს, დედა კი სიკვდილზე უარს ამბობდა. რაღა თქმა უნდა, ფარისევლებმა მის ნაცნობთა შორის მიიჩნიეს, რომ ჩვენ მათს ნება-სურვილს ვეწინააღმდეგებოდით, და შეეცადნენ ძალით ემოქმედათ. კარზე აკრული ფირფიტის მიუხედავად, „ნახვა აკრძალულიაო“, რომ იუწყებოდა, ერთ მშვენიერ დილას ჩემმა დამ დაინახა: პალატაში მღვდელი შემოვიდა. ჩემმა დამ იმწუთსვე გამოაბრძანა: „მე ვარ მამა ავრილი და უბრალოდ როგორც მეგობარი, ისე მოვედი“. — „სულ ერთია, თქვენი სამოსელი შეაშინებდა დედას“. ორშაბათს



ხელახალი იერიში მოიტანეს. „დედა არავის იღებს“, — განაცხადა ჩემმა დამ და ქალბატონი დე სენტ-ანჟი კარში მიაბრძანა. „შესაძლოა, მაგრამ მე მინდოდა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მოგთათბირებოდით: მე ვიცი დედათქვენის რწმუნის ამბავი...“ — „მეც ვიცი, — გულცივად მიუგო მას, — დედასად გონზეა. როცა მღვდლის ნახვას მოისურვებს, მაშინვე მოვუწვევებ.“

ოთხშაბათ დილით პრადას რომ გავფრინდი, დედას ჯერაც არ გამოეთქვა ამგვარი სურვილი.

ეროვნული  
ბიზნისი



ოთხშაბათს შუადღისას დავრეკე. „განა არ წასულხარ?“ — შემეკითხა პუპეტი, ისე კარგად ისმოდა ტელეფონში ხმა. დედა ჩინებულად გრძობდა თავს, ასევე იყო ხუთშაბათსაც, ხოლო ბარასკეცს თვითონ აიღო ყურმილი, ნასიამოვნებმა, რომ პრადიდან ვურეკავდი. ცოტ-ცოტას კითხულობდა კიდეც, კროსვორდებს ხსნიდა. შაბათს ვერ მოვახერხე დარეკვა. კვირა საღამოს, თორმეტის ნახევარზე, ჩვენს მეგობარ დიატოებთან ლაპარაკი დავუკვეთე. სანამ ველოდებოდი, როდის შემაერთებდნენ, დამლაგებელმა ქალმა დეპეშა მომიტანა: „დედა ძალიან სუსტადაა, თუ შეგიძლია, ჩამოდი“. ფრანსინმა ტელეფონით მითხრა, პუპეტი კლინიკაში ათევსო ღამეს. ცოტა ხნის შემდეგ თვითონ მასაც დავუკავშირდი. „საშინელი დღე იყო, — მითხრა — დედის ბელი ხელიდან არ გამიშვია, ის კი შემუდარებოდა: „ნუ გაატან ჩემ თავსო“. სულ ერთთავად ამას იძუორებდა: „სიმონს მეტად ვეღარ ვნახავო“. ახლა ეკვანილი მიიღო და სძინავს“.

მეკარეს ვთხოვე, ჩემთვის ადგილი დაეკვეთა იმ თვითმფრინავში, დილით თერთმეტის ნახევარზე რომ მიფრინავდა. რამდენიმე საქმიანი შეხვედრა მქონდა გათვალისწინებული, და სარტრი მიჩვევდა, ერთ-ორ დღესაც დავრჩენილიყავ, მაგრამ ეს შეუძლებლად მიმაჩნდა. არცთუ ძალიან ვესწრაფოდი დედის ხილვას აღსასრულის წინ, მაგრამ იმის ფიქრი, ვაითუ ვეღარ მნახოს-მეთქი, აუტანელი იყო. რატომ ვანიჭებთ ხოლმე ამგვარ მნიშვნელობას უკანასკნელ სურვილს, თუკი სიცოცხლესთან ერთად მენსიერებაც ქრება? მაშინ ხელიდან გვეცლება დანაშაულის გამოსყიდვის შესაძლებლობა. იმ დღეებში ნათლად გავიგე, რომ ახლობელი ადამიანის ბოლო წუთების მოწამენი მარადისობას ვეზიარებით.

ორშაბათს, ორის ნახევარზე, № 114 პალატაში შევედი. დედას წინასწარ აცნობეს ჩემი დაბრუნება, და ეგონა, ასევე მქონდა დაგეგმილი. მუქი სათვალე მოიხსნა და გამიღიმა. გამაყუჩებელ საშუალებათა წყალობით კარგ გუნებაზე იყო. თუმცაღა სახე შესცვლოდა, ჩაჰყვიტლებოდა, მარჯვენა თვალი და ცხვირს შორის გაწოლილი ნაოჭი შეშუპებოდა. ვველა მაგიდაზე კვლავინდებურად ყვაკილები იდგა. მადმუაზელ ლებლონი მეტად არ გამოჩენილა: დედას საწვეთებელი მოუხსნეს და საგანგებო მომვლელი ქალი აღარ სჭირდებოდა. ჩემი გამგზავრების ბოლო დღეს, საღამოს, მადმუაზელ ლებლონმა სისხლის გადასხმა დაუწყო, რაც ორ საათს უნდა გაგრძელებულიყო: ნაწვალები ვენები სისხლს პლაზმაზე უარესად ითვისებდა. დედა ყვიროდა მთელ ხუთ წუთს, და ელენმა ბოლოს ვეღარ მოითმინა: „შეწყვიტეთო!“ — თქვა. მედიცინის და

შეეპასუხა: „რას იტყვის ექიმი ნ.?“ — „ყველაფერს ჩემ თავზე ვიღებ“. მართლაც, ნ. გააფთრდა: „შეხორცება შეუფერხდებაო“. ამავე დროს მან მშვენივრად იცოდა, რომ ჭრილობა ვერ შეიკრავდა პირს: წარმოიქმნა ფისტულა, საიდანაც ავადმყოფს მუცელი უთავისუფლდებოდა; ამით ავტიტისებლით თავიდან ხელახალ გაუვალობას, რადგან კლუტ-ნაწლავის ავტიტისებრივ მოქმედება ისევ დაირღვა. კიდევ რამდენ ხანს შეეძლო დედას ავადმყოფობასთან ბრძოლა? ანალიზმა აჩვენა, რომ სიმსივნე ძალზე ვიწროვდა, სარკომას წარმოადგენდა, და მთელ სხეულში გაეშვა ფესვები, თუმცაღა, სენის განვითარება, დედის ასაკის გამო, შესაძლოა საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულიყო.

დედამ მიამბო, როგორ გაეტარებინა ბოლო ორი დღე. შაბათს სიმენონის კითხვა დაუწყია და პუბეტიისთვის კროსვორდების ამონახანაში უჯობნია. მაგიდაზე კროსვორდები დასტად ეწყო. თვითონ ამოეჭრა გაზოთებიდან. კვირას კარტოფილის პიურეთი უსაუზმია, მაგრამ, როგორც მარწმუნებდა, საუზმე ვერ მოენელებინა (სინამდვილეში მეტასტაზების დაშლა დაეწყო უკვე). ხანგრძლივი საშინელება გამოეცადა, ცხადი საშინელება: „ლურჯ ზეწარზე ვიჯექი ორმოს თავზე. ზეწარი შენ დას ეჭირა, და მე ვევედრებოდი: „არ გაგივარდე ხელაღან, თორემ ამ ორმოსი ჩაფვარდები-მეთქი“. — ნუ გეშინია, დედა, არ ჩავარდებიო — ამშვიდებდა პუბეტი. ის დამე მან ლოგინთან, სავარძელში მოკალათებულმა უთია. დედა კი, ჩვეულებრივ იმას რომ სწუხდა, კარგად ეძინა თუ არა პუბეტს, ახლა ერთთავად უმეორებდა: „არ წაგეძინოს, დავილუბები. თუ მე ჩავეძინოს, გამომაფხიზლე: ძილში არ გავიპაროო“. ჩემმა დამ მიამბო, ერთ რომელიღაც წუთს დედამ, მისავათებულმა, როგორ დახუჭა თვალები. თითებით ზეწარს აწვალებდა და მკაფიოდ წარმოთქვა: „სიცოცხლე! სიცოცხლეო!“

ტანჯვისაგან რომ ეხსნათ, ექიმებმა ტკივილის გამაყუჩებელი აბები და ნემსები დაუნიშნეს, თვითონაც რალაცნაირი სიხარბით მოითხოვდა მათ. მთელ დღეს მშვენიერ გუნებაზე იყო. ისევ იმ კოშმარულ ჩვენებებზე ალაპარაკდა, მას რომ აწვალებდა: „ჩემ პირდაპირ, შორით, რგოლი მოჩანდა. ეს რგოლი ძალიან შალიზიანებდა. შენი და კი მას ვერ ამჩნევდა. ვეუბნებოდი: „მომაშორე-მეთქი“, მაგრამ ვერავითარ რგოლს ის ვერ ხედავდა“. მხედველობაში ჰქონოდა ლითონის პატარა ფირფიტა, რომელიც ფანჯრის რაფაზე იყო დამაგრებული და ჩამოშვებულ შტორქვეშ არ ჩანდა. ის ფირფიტა ბოლოს და ბოლოს შეაკეთეს. იმ დღეს შანტალმა და კატრინმა ინახულეს. დედამ კმაყოფილმა განაცხადა: „ექიმმა პ.-მ მითხრა, რომ ყველაფერი მართებულად გავაკეთე და ძალზე გონივრულად მოვიქეცი: „ნაობერაცივევი სანამ გამოვჯანსაღდები, ბარძაყის ძვალიც შემეზრდება“. საღამოს დას შევთავაზე, შეგენაცვლები-მეთქი. წინაღამეს ხომ თვალი არ მოუხუჭავს. მაგრამ დედა მიეჩვია მას და თანაც ჩემზე გაცილებით უფრო გამოცდილად მიაჩნდა.

სამშაბათმა კეთილად ჩაიარა. დამით დედას ისევ მოჩვენებები ტანჯავდა. „ყუთში მდებენ, — უთხრა ჩემ დას. უკვე შიგ ვწევარ, ამ ყუთში. ეს მე ვარ და უკვე არცა ვარ მე. ყუთი კი მიაქვთ!“ — „არ გაატანო ჩემი თავიო!“ — ყვიროდა. პუბეტს დიდხანს ედო მის შუბლზე ხელი. „სიტყვას გაძლევ... არ ჩავდონ იმ ყუთში“. დამ ითხოვა, ავადმყოფისთვის დამატებითი ნემსი გა-

ეკეთებიხათ. დედას გაეფანტა საშინელი ჩვენებები და იკითხა: „ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს ყუთი და ეს ხალხი?“ — „ეგ შენ თპერაცია გაგონდება და ის სანიტრები, რომელთაც საკაცით მიპყავდი“. ჩაეძინა, მაგრამ როცა დილით გამოიღვიძა, თვალეზში ეხატებოდა დღეგამწარებული ადამიანის ხალველი. შედდებმა ლოგინი გაუსწორეს, შერე კათეტერით შარდი გამოუღვს, ეტკინა და აკვხესდა. შემდეგ ძლივს გასაგონი ხმით მკითხა: „როგორ გგონია, გადავიტახხ?“ მე შევარცხვინე. გაუბედავად შეეკითხა ექიმ ნ.-ს: „მეტი მკურნალობით კმაყოფილი ხართო?“ ექიმის ნათქვამ „პოს“ დამაჭერებლობა აკლდა, მაგრამ დედა მყისვე მოეჭიდა მის დასტურს, როგორც წყალწალებული მოეჭიდება ხოლმე ხავსს. თავისი სისუსტის ასახსნელად სარწმუნო მიზეზებს იგონებდა. იგი წყლდსაგან გაცლადი იყო, კარტოფილის პიურეც მეტისმეტად ძველი მოსახელბელი იყო მისთვის, აგერ კიდევ გუშინ მედდებმა ოთხჯერ კი არა, მხოლოდ სამჯერ შეუხვციეს ტრილობა: „ექიმი ნ. სალამოს ძლიერ გაბრაზდაო, — მითხრა, — იცოცხლე, შავი დღე აყარა მაგათ“. „ძლიერ გაბრაზდაო!“ — რამდენჯერმე სიამოვნებით გაიმეორა. სახის მიმზიდველი გამომეტყველება დაეკარგა, ტიკისგან წამდაუწუმ უტოკავდა სახე, ხმაში კი ისევ წყენისა და მოთხოვნის გამოთბატველი კილო აუქლერდა.

„ისე დავიდალეო“ — ობრაავდა, დათანხმდა, დღისით მარტას ძმა, ახალგაზრდა იესუიტი მიეღო. „ვინდა, თქვენი შეხვედრა გადავადებინო?“ — „არა, შენ დას მსურს ვასიამოვნო. საღვთისმეტყველო საგნებზე ისაუბრებენ, მე კიდევ თვალს მივლულავ და აღარ მომიხდება ლაპარაკში ჩარევა“. საუზმეს პირი არ დააკარა. შერე ძილი მოერია, თავი ჩაჭინდრა და როცა პუპეტმა კარი შეაღო, ასე ეგონა, ყველაფერი გათავებულაო. შარლ კორდონიეს ხუთ წუთზე მეტი არ დაუყვია პალატაში. გაიხსენა, შამამისი ყოველ კვირას დედაჩემს როგორ მიიბატიყებდა ხოლმე საუზმეზე: „იმედი მაქვს, ერთ-ერთს უაზლოეს ხუთშაბათს რასპაის ბულვარზე შეგხვდებით“. დედამ უნდოდ და სევდიანად შეხედა: „ვითომ კიდევ მომიწევს იქ ყოფნა?“ მის სახეზე ჟერაც არ შენახა ესოდენ უნუგეშო გამომეტყველება: ამ დღეს მიხვდა, ზეზე ადგომა აღარ მიწერიო. გვეგონა, აღსასრული კარს მომდგარი იყო და ამიტომ შინ არ წავსულვარ, როცა პუპეტმა შემცვალა. „ალბათ, მთლად ცუდად ვარ, რაკი ორივენი დარჩით“, — წაგვჩურჩულა დედამ. „კი, მაგრამ ჩვენ მუდამ აქა ვართ“. — „ორივენი ერთად არა“. თავი კვლავ ისე მოკაჩვენე, თითქოს ებრაზობდო: „გატყობ, უგუნებოდ ხარ და იმიტომ ვრჩები, მაგრამ თუ ეს გამფოთებს, წავალ“. — „არა, არა“, — დამნაშავე ადამიანის კილოთი ამოიბუტბუტა. ჩემი უმართებულო სიმკაცრე მაწუხებდა. იმ წუთს, როცა ტრეშმარიტება მთელი სიმძიმით დაატყდა თავს, შვების საპოვნელად სიტყვებისთვის სავალი გზა უნდა მიეცა, ჩვენ კი დადუმებას ვაიძულებდით, ვაიძულებდით არ გაემხილა შიში, ეჭვი დაეძლია. და ისიც, ვინ იცის უკვე შერამდენედ, კვლავინდებურად თავს დამნაშავედ გრძნობდა და თანაც ფიქრობდა, ჩემი არ ესმითო. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა არჩევანის საშუალება: ყველაზე უფრო მეტად სწორედ იმედი სჭირდებოდა. მისი სახის დანახვამ ისე შეაკრთო შანტალი და კატრინი, რომ მათ ლიმოჟში დარეკეს და თავიანთ დედას ურჩიეს, პარიზში დაბრუნებულყო.

პუპეტი ფეხზე ძლივს იდგა, გადავწყვიტე: „ამალამ მე გავუთევ-

მეტქი“. დედა შეშფოთდა: „კი, მაგრამ შეძლებ? შუბლზე ხელს დამადებ ხოლმე, თუ ძილში მაჯლაჯუნა დამაწვება?“ — „რა თქმა უნდა“. დაფიქრდა. დაფინებით დამაცქერდა და: „შენი მეშინიაო“ — მითხრა.

დედა პატივს მცემდა ჭკუის გამო, რასაც თავის უმცროს ქალიშვილში ვერ ხედავდა, მაგრამ ამასთანავე, ცოტა არ იყოს, მუდამ მეკრძალოდა კიდევ-მე კი ერთობ დიდი ხანია მისი გამაბეზრებელი სათნოება მძაგვდა ალალ-მართალი და უეშმაკო ვიზრდებოდი, მაგრამ თანდათან გარდავიწყეთ თავიანთი ვიწრო შინაგანი სამყაროს ოთხკედელში ჩაკეტილნი ცხოვრობენ-მეტქი. ხანდახან ამ კედლებში ნასვრეტი გაჩნდებოდა, გაჩნდებოდა და იმწამს-ვე ნაჩქარევად დაგმანავდნენ. მაშინ დედა მრავალმნიშვნელოვნად ჩურჩულებდა: „მან თავისი საიდუმლო გამიზიარაო“. სამაგიეროდ, თუ ნაბზარს გარედან შენიშნავდნენ, შეიქნებოდა მითქმა-მოთქმა: „გულჩაბეუღია, თქმით არაფერს ამბობს, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს...“ შეჯავრებოდა ამ ვულისნადების გამყდავნებისა თუ ჭორაობის დროს გამართული შემპარავი ჩურჩული, და მეც გადავწყვიტე, ჩემ სიმაგრეს ერთი ბზარიც არა ჰქონოდა. მეტადრე იმას ვლამობდი, დედისთვის არ გამემზილა რამე. მისი შხერისა მეშინოდა, დაბნეულობითა და შეძრწუნებით აღსავსე მზერის. შეკითხვების მოცემას ძალიან მალე გაანება თავი. ხანმოკლე ლაპარაკი, რაც იმის გამო მოგვივიდა, რომ ღმერთი აღარ მწამდა, ორივეს მძიმედ დაგვიჭდა. მიმძიმდა მისი ცრემლის დანახვა: მაგრამ მალე მივხვდი, რომ დედა თავისი მარცხის გამო ტირილდა და, თუ რა ამბავი იყო ჩემ თავს, დიდად არ აწუხებდა. მეგობრობას დესპოტიზმი არჩია და დაჯაბნა დამიწყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ შორის შეიძლებოდა თანხმობა დამყარებულყო, მას რომ ნაკლებად ეზრუნა ჩემი სულის ხანისათვის და უფრო მეტად იმას ცდილიყო, თუნდაც ცოტაოდენი სითბო და თანაგრძნობა გამოეჩინა ჩემდამი. ახლა კი ვიცი, რა უშლიდა ხელს: მეტად ბევრი იარა უნდა მოეშუშებინა, სამაგიეროდ გადაეხადა დიდი ხნის წინათ განცდილი მრავალი წყენის გამო, საიმისოდ ძალა კი აღარ ჰყოფნიდა, თავისი თავი სხვის ადგილას წარმოედგინა. თავდადება შეუძლო, მეგობრული ურთიერთობა კი — არა. ან როგორ უნდა გაეგო ჩემთვის, თუ საკუთარ გულშიაც კი არ უნდოდა ჩაეხედა? ხვდებოდა, რომ სულ უფრო მეტად ვშორდებოდი ერთმანეთს, მაგრამ ვერ ახერხებდა, რაიმე ელონა. ყოველივე მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ამინებდა, რადგან მიჩვეული იყო, მხოლოდ ვიწრო, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ფარგლებში ეფიქრა, ეგრძნო და ემოქმედა.

ჩვენი ურთიერთგანთვისება დრმავედებოდა. ამიტომ, „სტუმრის“ გაძოსვლამდე დედას ცუდად ჰქონდა წარმოდგენილი, რით ვსულდგმულობდი. ცდილობდა კიდევ თავი დაერწმუნებინა, რომ მე „წესიერი და სერიოზული ქალი“ გახლდით. ყურმოკრულმა ხმებმა ეს ილუზია გაუფანტა, მაგრამ ამ დროისათვის ჩვენი ურთიერთობაც შეიცვალა. ნიეთიერად ჩემზე დამოკიდებული შეიქნა და არც ერთ გადაწყვეტილებას ისე არ მიიღებდა, თუ მე რჩევას არ მკითხავდა; აწ მე ოჯახის ბურჯი, თითქოს ძე ვიყავი. მეორე მხრივ, უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალი გავხდი. ამ ორივე გარემოებით რამდენადმე განთისყიდებოდა ჩემი უწესო ყოფა; დედა იმასაც ცდილობდა, გამართლება მოეძებნა ამ ჩემი ყოფისათვის და ამტკიცებდა, თავისუფალი კავშირი, რაც

უნდა იყოს, მაინც ნაკლები სიბილწეა, ვიდრე სამოქალაქო ქორწინებაო. ჩემი წიგნების შინაარსი ხშირად აცბუნებდა, მაგრამ მათი წარმატება თავმოყვარეობას უამებდა. ეს წარმატება წონას მძენდა მის თვალში და იმავე დროს უხერხულობის გრძობას უღრმავებდა. მასთან ყოველგვარ კამათს საკულდაგულოდ გავუბრძოდი, მაგრამ თვითონ, შესაძლოა, სწორედ ამიტომ ჩემზე ვფიქრობდა. მკიცხავსო. პუბლიკი, „პატარა“, არ აღუძრავდა ამგვარ პატივისცემას, რას არ დაპყობლია მისებრი ამპარტავნობა, ამიტომ მათი ურთიერთობის შესახებ მარტივი იყო. როცა „ზრდილი ქალიშვილის მემუარები“ გამოვაქვეყნე, პუბლიკმა შეძლებისდაგვარად სცადა, დაეშშვიდებინა დედა. მე კი იმით შემოვიფარგლე, რომ ყვავილები მივუტანე და ორი სიტყვით მოვუბოდიშე. ამან განაცვიფრა და გული აუჩუყა. ერთხელ მითხრა კიდევ: „პო, მშობლები ვერ უგებენ თავიანთ შვილებს, მაგრამ შვილებიც იმითვე უხდიანო...“ იმ დღეს ერთობ განყენებულად ვისაუბრეთ ამ თემაზე და მეტად აღარც მივბრუნებივართ. მაგონდება: მივაკითხავდი ხოლმე, კარზე მივუკაკუნებდი. გავიგონებდი ყრუ ხმაურს, ფესსაცმლის ფლატუნს იატაკზე, მე ერთხელ კიდევ ამოვიხსენებდი და ჩემ თავს სიტყვას მივცემდი, ამჯერად მაინც მეპოვა მასთან საუბრის თემა, გამომენახა საერთო ენა. ხუთიოდე წუთის შემდეგ უკვე ვკარგავდი ამ იმედს: ჩვენ ისე განკსხვავდებოდით ერთმანეთისაგან! ვფურცლავდი მისეულ წიგნებს — მე სულ სხვა რამეს ვკითხულობდი. ვაძლევდი შეკითხვებს, ლაპარაკობდა და ყურს ვუგდებდი, ხანდახან ორ-სამ სიტყვას ჩავუბრუნებდი ხოლმე. და სწორედ ამიტომ, რომ ის დედაჩემი იყო, ყველაფერი, რის გამოც არ ვეთანხმებოდი, უფრო მეტად მაგულისებდა, ვიდრე უცხო ადამიანის პირით ნათქვამი გამაფულისებდა. ვხელდებოდი, როგორც მაშინ, როცა ოცი წლისა ვიყავი და დედა ჩვეული მოუხეშაობით ცდილობდა, ნდობის კილოთა გამომლაპარაკებოდა: „ვიცი, მაინც და მაინც ჭკვიან ქალად არა მთვლი. მაგრამ სიცოცხლისუნარიანობა ჩემი გამოკვდა, და ეს მახარებსო“. მზად გახლდით, ბოლო სიტყვებზე ხალისით გამოვპასუხებოდი, მაგრამ ის პირველი ფრაზა ფრთას მაკვეცდა. და, აი, მუდამ ასე ვბორკავდით ერთიმეორეს. სწორედ ეს პქონდა მხედველობაში. როცა სახეზე შემომაცქერდა და: „შენი მეშინიაო“, წარმოთქვა.

ჩემი დის ღამის პერანგი ჩავიცვია და დედის საწოლის გვერდით, ტახტზე წამოვწეჭი: მეც მეშინოდა. საღამო ეამს, როცა ავადმყოფის თხოვნით შტორს ჩამოუშვებდნენ და მხოლოდ ღამის ნათურა ენთო, პალატას ავის მომასწავებელი იერა ედებოდა. ბინდ-ბუნდი ამძაფრებდა აქ გამეფებულ სიკვდილის იდუმალ ატმოსფეროს. მიუხედავად ამისა, იმ ღამეს და მომდევნო სამ ღამესაც უკეთ მეძინა, ვიდრე შინ: ტელეფონის ზარისა და ჩემი არეული წარმოსახვის შიში აღარ მქონდა: დედის გვერდით ვიყავი და არაფერზე არ ვფიქრობდი.

საშინელი მოჩვენებები აღარ აწვალებდა დედას. პირველ ღამეს ხშირ-ხშირად ეღვიძებოდა და წყალს ითხოვდა. შემდგომ ღამეს კუდუსუნის მწვავე ტკივილი დაეწყო. მადმუაშელ კურნომ მარჯვენა გვერდზე გადააბრუნა, მაგრამ ძალე ხელი დაუბუჟდა და ახლა ამან გააწამა. აღგნენ და კაუჩუკის რგოლი ამოუდეს. კუდუსუნის ტკივილი კი გაუხელდა, მაგრამ რგოლს შეიძლებოდა დუნდულების მოლურჯო გამჭვირვალე კანი დაეზიანებინა. პარასკევს და შაბათს დედას ვვარიახად ეძინა. ხუთშაბათიდან მოყოლებული, ეკვანილის ტაბლეტების წყალობით, კვლავ იმედით იყო აღვსილი. უკვე აღარ მეკითხებოდა:

„როგორ გგონია, გადავრჩებიო?“ არამედ შეუბნებოდა: „როგორ ფიქრობ, შეგძლებ ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდეთ?“ „აი, დღეს ვხედავ, — მითხრა გახარებულმა. — გუშინ კი ვერ გზავდი!“ მეორე დღეს ლიმიტიდან ჩამოსულ ენას არც ისე დაუძლურებული ეჩვენა იგი, როგორც მოულოდნელი. თითქმის ერთი საათი ილაპარაკეს. შაბათ დილით ენამ კვლავ ინახული შანტალთან ერთად, დედა გაეხუმრა: „როგორც ხედავთ, ჩემი დასაფრთხილებანი უფროდო! ასწელიწადს ვიცოცხლებ, და ბოლოს და ბოლოს იძულებულნი ვხსნებით, მომკლან“. ექიმი პ. საგონებელში გახლდათ ჩავარდნილი. „როცა ამნაირი ავადმყოფი გყავს, ძნელია რაიმე იწინასწარმეტყველო. შესანიშნავი გამძლეობა აქვსო!“ ეს სიტყვები დედას გადავეცი. „ო, შესანიშნავი გამძლეობა მაქვსო!“ — კმაყოფილებით გაიმეორა. ოღონდ ერთი რამ აკვირვებდა: მისი კუჭნაწლავი აღარ მოქმედებდა, ხოლო ექიმები ამ ამბავს თითქოს არაფრად აგდებდნენ. „მთავარია, რომ მოქმედებდა, მაშასადამე, დამბლა გამორიცხებულია. ექიმები ძალზე კმაყოფილნი არიან. ჰოდა, რაკი კმაყოფილნი არიან, ყველაფერი რიგზეა!“

შაბათ საღამოს ძილის წინ ვსაუბრობდით. „რა უცნაურია, — ფიქრიანად თქვა დედა, — როცა მადმუაზელ ლებლონს გავიხსენებ, გაბერილ უხელო მანეკენად წარმომიდგება ჩემ ბინაში, იმ მანეკენად, ზედ რომ კაბებს აუთოებენ. ხოლო ექიმი პ. შავი ქალაღდის ბანდი მგონია ჩემ მუცელზე. და როცა ვხედავ, ხორცშესხმული დადის, მეუცნაურება“. „აი, ხომ ხედავ, უკვე შემეჩვიე: აღარ გეშინია-მეთქი ჩემი“, — ვუთხარი. „ჰო, რასაკვირველია, არა“. — „აკი შეუბნებოდი, შენი მეშინიაო“. — „ნუთუ? ზოგჯერ რას არ იტყვი ადამიანი“.

უკვე შემეჩვიე ახლებურ ყოფას. საავადმყოფოში საღამოს რვა საათისთვის გამოვცხადდებოდი ხოლმე. ელენი მომიყვებოდა, როგორ ჩაიარა იმ დღემ. შემოიხედავდა ექიმი ნ., მერე გამოჩნდებოდა მადმუაზელ კურნო, და სანამ ის აბალ სახვევს ადებდა დედას, მისაღებში ვიჯექი. დღეში ოთხჯერ ოთახში შემოაგორებდნენ ბორბლებიან მაგიდას. ზედ ბანდი, ბამბა, დოღბანდი, სუფთა თეთრეული, სალბუნი, მაკრატელი, თუნუქის კოლოფები, ტამბუკები იყო დახვავებული. როცა უკანვე მიაგორებდნენ მაგიდას, თვალს ვარიდებდი. მადმუაზელ კურნო ერთი მომვლელთაგანის, თავისი მეგობარი ქალის, დახმარებით სამოსს უცვლიდა დედას, ბანდა და უფრო მოზერხებულად აწვენდა. ეწვებოდი მეც. მედლა ნემსებს უკეთებდა ავადმყოფს, მერე ფინჯან ყავის დასალევად მიდიოდა, სანამ მე ლამის ნათურის შუქზე ვკითხულობდი. შემდეგ ბრუნდებოდა და კართან მოიკალათებდა. კარს ოდნავ შეაღებდა გასასვლელის მხარეს, ისე, რომ იქიდან შემოსული შუქის ჭავლი წიგნსა ან საქსოფზე დასცემოდა. წყნარად ვუგუნებდა ელექტრული აპარატი, ლეიბი რომ ნოდრაობაში მოჰყავდა. ჩამეძინებოდა. შვიდ საათზე ვდგებოდი. სახვევის დადებისას პირით კედლისკენ შევბრუნდებოდი, მიხაროდა, რომ სურდოს გამო ყნოსვა წართმეული მქონდა. ელენი საშინელი სუნისაგან იტანჯებოდა, მე კი ვერავითარ სუნს ვერ ვგრძნობდი, გარდა ოდეკოლონიისა. ოდეკოლონით შუბლსა და დაწვებს ვუნამავდი დედას. მისი სუნი მოტკბო და გულისამრევი მეჩვენებოდა. ვერასოდეს ვეღარ ვიხმარ ამ ოდეკოლონს.

შემდეგ მადმუაზელ კურნო მოდიოდა, მე ტანზე ვიცვამდი და ვსაუზმობდი. დედას მოთეთრო ფერის შინაურ წამალს ვუმზადებდი. საძაგელი დასალევიაო.

ამბობდა, მაგრამ საჭმლის მონელებას უწყობდა ხელს. მერე კოვზით ჩაის ვა-  
ლევინებდი, თან ჩაიში ნამცხვარს ვუღებდი. სანიტარი ქალი პალატას ალა-  
გებდა. მე ყვავილებს ვრწყავდი, ვაზებში წყალს ვცვლიდი. ხშირ-ხშირად რე-  
კავდა ტელეფონი, მაშინვე მისაღებში გავვარდებოდი, კარს მაკრინო გამოვი-  
ხურავდი და მაინც, რაკი დარწმუნებული არ ვიყავი, რომ დედა ჩემ ხმას ვერ  
გაიგონებდა, ფრთხილად დავიწყებდი ლაპარაკს. დედას გვეყენებდა როცა  
ვეტყვოდი: „ქალბატონმა რემონმა მკითხა, ბარბაყი როგორ უნდა მოვაკეთო  
არაფერი იციან!“ დროდადრო მისაღებში გამომიძახებდნენ: დედის მეგობრები  
თუ ნათესავები მისი ჯანმრთელობის ამბავს მეკითხებოდნენ. დედას, ჩვეუ-  
ლებრივ, მათი მიღების თავი არ ჰქონდა, მაგრამ უბაროდა, ჩემ გამო სწუხანო.  
სახვევის დადების დროს პალატიდან გამოვდიოდი ხოლმე. მერე მეორედ ვასა-  
უხშებდი; საჭმელს ვერ ლეჭავდა და გახეხილი უნდა გვეძლია: პიურე, კომ-  
პოტი, კრემი. თავს აიძულებდა, ყველაფერი შეეჭამა, რასაც მოუტანდნენ:  
„კარგი კვება მესაჭიროებაო“. დღისით პატარ-პატარა ყლუბებად სვამდა ხი-  
ლის წვეწვ. „ვიტამინები ძალიან მრგებსო“. ასე ორ საათზე პუბეტი მოდიოდა.  
„ეგ თქვენი შემოღებული წესი მომწონს“, — გვეუბნებოდა დედა. ერთხელ  
სინანულით ამოიოხრა: „წარმოგიდგენიათ, რა საწყენია! ძლივს ორივენი გვერ-  
დით მყავხართ, მე კი ავად ვარ და ვწევარო!“

უფრო მშვიდი გავხდი, ვიდრე პრადას გამგზავრებაამდე ვიყავი. დედა  
უკვე ამკარა მიცვალებულად იქცა. სამყარო მისი პალატის ფარგლებში მო-  
ექცა. როცა ტაქსით პარიზის ქუჩებში ვმგზავრობდი, ქალაქი დეკორაციად  
წარმომიდგებოდა, ხოლო გამვლელ-გამომვლელნი სტატისტებად მესახებოდ-  
ნენ. ჩემი ჩამდვილი ცხოვრება დედის გვერდით მიედინებოდა და ერთ  
მიზანსღა მისახავდა: დამეცვა იგი. ღამით ყოველგვარი ხმაური — ვაზე-  
თის შრიალი მადმუაზელ კურნოს ხელში, ოდნავ გასაგონი გუგუნი ელექ-  
ტრული ძრავისა — გამაყრუებელი მეჩვენებოდა. დღისით პალატაში უფეს-  
საცმლოდ დავდიოდი. კიბეზე ამსვლელ-ჩამომსვლელთა თუ ჩვენ ზე-  
მით, მეორე სართულზე მოსიარულეთა ფეხის ხმა ყურის აპკს მიხეთ-  
ქავდა. თორმეტი საათიდან ნაშუადღევამდე საშინელი გრილით დააგო-  
რებდნენ ლითონის ლანგრებით, უსკურებიტა და ქვაბურებით დატვირ-  
თულ მაგიდებს. ჯამ-ჭურჭელი ერთმანეთს ეხლებოდა და ჯახა-ჯუხი გაუდი-  
ოდა. ღამის ვცოფდებოდი, როცა უდარდელი სანიტარა ქალი თვლემამორე-  
ულ დედას გამოაფხიზლებდა და სახვალის მენიუს შესახებ შეეკითხებოდა:  
ბოცვერის სოტე თუ შემწვარი ვარიაო? ან როცა დაპირებული ტვინის მაგიერ  
სადილად მოჰქონდათ არცთუ ძალიან მადისმომგვრელი დაკეპალი ხორცი.  
ვიზიარებდი დედის სიმძათიას მადმუაზელ კურნოსადმი, მადმუაზელ ლორა-  
ნისადმი, ახალგაზრდა მედღების მარტენისა და პარანის მიმართ; ხოლო ქალ-  
ბატონი გონტრანი მეცა და მასაც მეტიმეტად ყბედი გვეჩვენებოდა: „მოდ-  
გება და მიყვება, ნახევარი დღე დავკარგე, ქალიშვილისთვის რომ ფეხსაცმე-  
ლი მეყიდაო. აბა, რაში მენაღვლება ეს ამბავი?“

კლინიკა აღარ მოგვწონდა. თავაზიანი, საქმის ამსრულებელი მედღები  
მუშაობით იყვნენ გადატვირთულნი. გასამრჯელოს ცოტას უხდიდნენ, მო-  
პყრობით კი მკაცრად ეპყრობოდნენ. მადმუაზელ კურნოს შინიდან ყავა  
მოჰქონდა, აქ მხოლოდ ადუღებულ წყალს აძლევდნენ. მომვლელებს არამც-

თუ საშხაპე, პირსაბანიც კი არა ჰქონდათ, სადაც შეეძლებოდათ უძილო ღამის შემდეგ გამოცოცხლებულიყვნენ და თავიანთი თავი წესრიგში მოეყვანათ. ერთხელ გუნებაწამსდარმა მადმუაზელ კურნომ უფროსი მედლის შარიანობის ამბავი გვიამბო. უფროს მედლას შეემჩნია, ყავისფერი ფეხსაცმელი აცვიაო, და საყვედური ეთქვა: „კი, მაგრამ ესენი რომ უქულოა“. — „ფეხსაცმელი თეთრი უნდა იყოსო“. ხოლო სახეგანაწყენებულნი რომ დაინახა, დაუყვირა: „საჭირო არ არის თავის დაღლილად დასაყენებულნი მუშაობას ჯერ არც კი შესდგომიხართო!“ მთელ დღეს დედა აღმფოთებული იმეორებდა ამ ფრაზას: წინათაც ეგრე სჩვეოდა ხოლმე, რაღაცნაირი გულმხურვალებით დაუქერდა მხარს ერთს და აუმხედრდებოდა მეორეს. ერთხელ პალატაში შემოვიდა მადმუაზელ კურნოს მეგობარი ქალი და თვალცრემლიანმა გვიამბო: ავადმყოფი, რომელსაც ვუვლიდი, უცებ უმძრახად შეიქნა ჩემთანო. ეს ქალიშვილები მუდამდღე სხვათა უბედურებას აწყდებოდნენ სამუშაოზე, მაგრამ ამას თდნავადაც ვერ გამოეწრთო ისინი საკუთარი ცხოვრების წვრილმან უსიამოვნებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

„ღამის არის გაბავშვდეთო“, — ჩიოდა პუპეტი. მე კი გულგრილად წარვმართავდი ისევ იმ სულელურ საუბარს დედასთან, ვიმეორებდი კვლავ ერთსა და იმავე ხუმრობას: „მართლაცდა, მარჯვედ გააცურე პროფესორი ბ.!", „მაგ შავი სათვალით გრეტა გარბოს ჰგავხარ!“ მაგრამ ენა უკვე აღარ შემორჩილებოდა ამგვარი რამეების წარმოსათქმელად. მეგონა, დილიდან საღამომდე კომედიას ვთამაშობ-მეთქი. როცა ძველ ნაცნობ ქალს იმის თაობაზე ვესაუბრებოდი, მალე ახალ ბინაზე გადავიყვანო-თქო, ვგრძნობდი, რარიგ ყალბი იყო ეს ჩემი გამოცოცხლებული კილო. ასეთივე გრძნობა მეუფლებოდა მაშინაც კი, როცა ლუდბანის პატრონს კეთილი სურვილის კარნახით ყასიდად ვუქებდებ ლუდს. ხოლო დროდადრო ყველაფერი გადასხვაფერებული მეჩვენებოდა გარშემო. სასტუმრო უეცრივ კლინიკად წარმომიდგებოდა, დამლაგებელი ქალები კი — მედიცინის დებად. მიმტანები რესტორნებში თითქოს თვალყურს ადევნებდნენ, რომ მე კვების განსაზღვრული რეჟიმი დამეცვა. ადამიანებს აზლებური თვალით ვაშტერდებოდი, მათ ტანსაცმელქვეშ დამალულ მიღებასა და ზონდებზე აკვიატებული ფიქრი არ მასვენებდა. ხანდახან თვით მე ვიქცეოდი ხოლმე ტუმბოდ, ჰაერს რომ მონაცვლეობით ისრუტავს და გამოისვრის; ან კიდევ ნაწლავებისა და გაბერაილობის რთულ ნასკვად.

პუპეტი უკიდურეს ზომამდე გაიტანჯა, მე წნევამ ამიწია, სისხლი თავში მაწვეებოდა. შეტადრე აგონიისა და მკვდრეთით აღდგომის მონაცვლეობა ვვაწამებდა და ის ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები, რაც ამასთან დაკავშირებით გვეუფლებოდა. ამ, ტანჯვასა და სიკვდილს შორის გამართული მართლის შემყურეთ, გულმხურვალედ გვეწადა, ფინიშთან სიკვდილს მივსწრო. მაგრამ, როცა ძილში დედას ერთბაშად სახე გაუშეშდებოდა, დამფროთხალნი ვადვენებდით თვალს საათის შავი ზონრის ძლივსშესამჩნევ რხევას მის თეთრ ხალათზე: შიშისაგან, რომ ეს სულთმობრძავის უკანასკნელი ამოსუნთქვა იქნებოდა, ყელში რაღაც გვებჯინებოდა.

როცა კვირას, დღისით, მისგან წამოვედი, თავს გვარაიანად გრძნობდა. თრშაბათ დილით ელდა დამცა მისი სახის სიგამხდრემ: ხორცს თითქოს უხილავი ორგანიზმების ლაშქარი უნთქავდა და თითქოს თვალდათვალ ილევდა.



წინაღლით, საღამოს ათ საათზე, პუბეტმა ბარათი ჩასჩარა მომვლელ ქალს: „დას ხომ არ გამოვუძახო?“ მომვლელმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია: გული ჯერჯერობით არ ღალატობდა. მაგრამ დედას უბედურება უბედურებაზე ემატებოდა. ქალბატონმა გონტრანმა მისი მარჯვენა გვერდი მიჩვენა: ფორებს შორის ოფლის ლული მოეონავდა, ზეწარი დამბალიყო. დედა თითქმის ველარ შარდავდა უკვე. ტანი უსივლეობდა და ებერებოდა, გაუყვანილი აცქერდებოდა თავის ხელებს, შესივებულ თითებს ანძრევდა. „უბედურება“ — უბედურებითა გწირს“, — ვუხსნიდი მე. ეკვანილი და მორფიუმის ნემსები ამშვიდებდნენ, მაგრამ გრძნობდა, რომ სისუსტე სულ უფრო ეძალებოდა, თუმცა მოთმინებით კი იტანდა ამას. „როცა მომეჩვენა, უკვე თითქმის გამოვჯანსაღდი-მეთქი, პუბეტმა ერთი მეტად საგულისხმო რამ მითხრა: სისუსტემ შეიძლება კიდევ იჩინოსო თავი. და ახლა მესმის, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდის“. ერთი წუთით ქალბატონი დე სენტ-ანჟი მიიღო, გამოუცხადა: „ო, ახლა ყველაფერი რიგზეაო!“ გაიღიმა, ღრძილები გამოაჩინა და, თუმცა ეს გაღიმება ჩონჩხის სახარლად დაღრჭენილ კბილებს უფრო მოგაგონებდათ, თვალეში მაინც გულუბრყვილო რწმენა უკრთოდა. ჭამის შემდეგ ცუდად შეიქნა, მე ზარს მივევარდი. ღილაკს გამწარებით ვაჭერდი თითს, მედიცინის დას მოვუხმობდი. სურვილი მისრულდებოდა, იგი კვდებოდა, მე კი თავგზა მეზნეოდა. დედამ აბი გადაყლაპა, და მყისვე შემსუბუქება იგრძნო.

საღამოს, როცა შინ ვიჯექი, მკვდარს წარმოვიდგენდი, და გული მეთუთქებოდა. ღრლით პუბეტმა შემატყობინა, დედა ცოტა უკეთ არისო, და ახლა ამან დამაღარდიანა. იმდენად კარგად გრძნობდა თავს, სიმენონის რამდენიმე გვერდი წაიკითხა. მაგრამ მომდევნო ღამე მეტად მძიმე გამოდგა: „ყველაფერი მტკივაო“. მორფიუმის ნემსი გაუკეთეს, ჩაეძინა. დღისით, როცა გამოფხიზლდა, მზერა გაპყინვოდა; გავიფიქრე, ამჯერად უკვე ახლოა-მეთქი დასასრული. ისევ ბურანში წავიდა: ნ.-ს ვკითხე: „ეს აღსასრულია?“ — „ო, არა, — მომიგო ხახვევრად თანაგრძნობის, ნახევრად მოზეიმე კილოთი, — ყველაფერი მეტად საგულდაგულოდ გავაკეთეთ!“ მაშ, ნუთუ ტანჯვამ უნდა იძალოს? გამათავებთ. რევოლვერი მომეცით. შემიბრალეთ. დედა ჩიოდა: „სუყველაფერი მტკივაო“. შიშნეულად ამოძრავებდა დასივებულ თითებს. ნდობა უჭრებოდა: „ეს ეჭიმები თანდათან მაგულისებენ. მეჩიჩინებიან, უკეთ ხარო, მე კი სულ უფრო ცუდად ვგრძნობ თავს“.

შევეთვისე ამ სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს. ბინდ-ბუნდში ვბაასობდი ხოლმე, და ვგრძნობდი, ბოლოს და ბოლოს როგორ უნელდებოდა ძველისძველი მწარე ნაღველი. თითქოს კვლავ ცოცხლდებოდა ის, რაიც ადრეულ სიყმაწვილეში მაკავშირებდა მასთან და რაც მოგვიანებით მოიხპო, როცა ჩვენს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება გამომჟღავნდა. დიდი ხნის წინანდელმა, თითქოსდა სამუდამოდ გარდასულმა სინაზემ კვლავ გაიღვიძა ორივეს გულში იმ წუთიდან, როცა ჩვენს ქცევასა თუ სიტყვას დაკარგული უბრალოება დაუბრუნდა.

დედას მივჩერებოდი. სრულ გრძნობაზე იყო და მეხსიერებაც საღი ჰქონდა, მაგრამ თავისი ნამდვილი მდგომარეობა არ იცოდა. ჩვეულებრივ კაცმა არ უწყის, რა ხდება მისი სხეულის შიგნით, ხოლო დედის თვალისაგან დაფარული იყო სნეულების გარე მხარეც: მუცლის ჰრილობა, ფისტულა და იქი-

დან გამოშავალი უწმინდურება, კანის სილურჯე, ფორებიდან მომყონავი სითხე. თითქმის ხელეზწართმეულს, არ შეეძლო ყოველივე ამას თითვებით შეხებოდა, ხოლო სახვევებს დაღებისას თავი უკან ჰქონდა გადავარდნილი. სარკეს აღარ გვთხოვდა, არ უნახავს ის თავისი შემზარავი სახე. იწვია და ოცნებებში დაფარფატებდა, უსაზღვროდ შორს იყო თავისი ლბობამორეული სხეულისაგან. ჩვეხდათავად იკლიკანტური ყბედობით ვუნანავებდით, დაქრულად მხურვალე იმედს მიელტვოდა: გადავრჩეო. მინდოდა ამო ტანჯვას დასრულიყვა. „ამ წამლის მიღება საჭირო აღარ არის“. — „მე კი მაინც მივიღებ“. და ის ხარბად ყლაპავდა მოთეთრო სითხეს. ჭამა უჭირდა: „გეყოფა, თავს ძალას ნუ ატან“. — „აგრე გგონია?“ კერძიან თეფშს თვალს ავლებდა, კოჭმანობდა: „ცოტა კიდევ მოიტა“. ბოლოს თეფშს იქით გადავდებდი და ვეტყვოდი: „უკვე მოასუფთავე“. დღისით თავს ძალას ატანდა, მოესვა დო, მალიძალ ითხოვდა ხილის წვენს. ხელებს ოდნავ წამოსწევდა, ნელა, ფრთხილად შეაერთებდა ხელისგულებს ფიალის მსგავსად და გაუბედავად შემოაჭდობდა ჭიქას. ჭიქა მე მეჭირა და ხელს არ ვუშვებდი. მარგებელ ვიტამინებს ისრუტავდა პიპეტით, ხარბი ტუჩებით სიცოცხლეს იწოვდა.

გამომხმარ სახეზე თვალუბი უხარმაზარი გაუხდა, დროდადრო საწინლად გაუფართოვდებოდა, მზერა გაუშტერდებოდა, ზებუნებრივი ძალისხმევით სწყუდებოდა თითქოს თავის სხეულს და ამ შავ ტბათა ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. მთელი გულისყური მათში გამოეხატებოდა და დაძაბული ყურადღებით მაცქერდებოდა. თითქოს თვალი პირველად აახილაო. „გხედავ!“ მუდამ წყვდიადთან უხდებოდა ბრძოლა. მზერით ისევე ებლაუჭებოდა ქვეყხიერებას, როგორც ფრჩხილებით ზეწარს. უფსკრულის კიდეზე გადაქანებული თავის შემაგრებას ლამობდა. „სიცოცხლე! სიცოცხლეო!“

იმ ოთხშაბათ საღამოს დაღონებული მოვდიოდი ტაქსით, მოვდიოდი ნაცნობი, ლამაზი კვარტალების გავლით. ჩავუარე ლანკომის, უბიგანის, ერნესის, ლანვენის მდიდრულ სპარტიუმერიო მალაზიებს. წითელმა შექნიშანმა კარდენის მალაზიის წინ გამაჩერა: ვხედავდი მომეტებულად ელეგანტურ შლაპებს, ფილეტებს, ფეხსაცმელსა და წაღებს. ცოტა უფრო იქით საუცხოო ხალათები გამოეფინათ, ნაზფერებანი, ფაფუკი. „მოდი, ასეთ ხალათს ვუყიდი იმ წითელის მაგიერ“; — გავიფიქრე. სუნამო, ბეწვეული, თეთრეული, სამკაულები — თვალში გხვდებოდა თავმომწონე ფეფუნება იმ სამყაროსი, სადაც სიკვდილი არც კი ჭაჭანებს. სიკვდილი იძალეზოდა ამ სამყაროს ფასადის უკან, იძალეზოდა კლინიკების, საავადმყოფოების ერთფეროვან სიჩუმეში, პალატების დახურული კარების მიღმა. და ეს ერთადერთი ჭეშმარიტება არსებობდა ახლა ჩემთვის.

ხუთშაბათს, ისევე როგორც წინა დღეებში, დედის სახემ დამანადღლიანა: კიდევ უფრო გაღეული და გატანჯული უჩანდა სახე, ვიდრე წინადლით. სამაგიეროდ ხედავდა. თვალჩაცვიებით შემომაჩერდა: „გხედავ. თმა სავსებით მუქი გაქვს“. — „ცხადია, ეგ ხომ იცი“. — „კი, მაგრამ შენ და შენ დას დიდი ჭაღარა კულუღი გქონდათ ჩამომლილი. რომ არ დავცემულიყავ, იმ კულულს ვიჭიდებოდი“. თითები შეანძრია: „სიმსივნემ მიკლო, არა?“ ცოტა ხნით ჩაეძინა. თვალი რომ გაახილა, მითხრა: „როცა დიდი თეთრი სახელო დამესიზმრება, უკვე ვიცი, რომ მალე გამომეღვიძება. ხოლო როცა რული მერევა, თითქოს

კაბებში ვიძინებო“. რანაირი მოგონებები, რანაირი ფანტასტიკური მოჩვენებები იპყრობდა? თავისი დღე და მოსწრება არსებობის მხოლოდ გარეგანი მხარით იყო გართული, და ახლა მღელვარებით ვაკვირდებოდი, როგორ დაფართურობდა თავისი სულის სიღრმეში. სწყინდა, როცა ყურადღებას სხვა რამეზე გადაატანებდნენ. იმ დღეს ნაცნობი ქალი ეწვია, მადმუაზელ ვრტიე. ჰოდა, გადაჭარბებულად გაცხთველებული ლაპარაკი გაუბა თავის მოსამსახურეზე. ვიჩქარე გამეყვანა, რადგან დავინახე, დედა თვალეზს მუხაკებდა. როცა შემოვბრუნდი, მითხრა: „რა საჭიროა ასეთ თემაზე ლაპარაკი ავადმყოფებთან? ავადმყოფებს ეს არ აინტერესებთო“.

ღამე მასთან გავატარე. ტკივილებზე უფრო მეტად კოშმარული ჩვენებებისა ეშინოდა. როცა ექიმი ნ. შემოვიდა, მას სთხოვა: „ჩხვლეტა გამიხშირონო“, — და ხელის მოძრაობით ნემსის გაკეთება გამოხატა! „ოჰო, თქვენ აქ ნაღდი ნარკოზანი გაგვიხდებით, — მიუგო ნ.-მ ხუმრობით. — რა გაეწყობა, შემძლია, ხელმისაწვდომ ფასად მორფიუმში გაშოვოთ ხოლმე“. მერე წარბი შეიკრა და მკვეთრად წარმოთქვა ჩემდა გასაგონად: „საკუთარი თავის პატივსმცემელი ექიმი თრ შემთხვევაში არ წავა დათმობაზე, — როცა საქმე ნარკოტიკებს და მუცლის მოშლას ეხება“.

პარასკევმა ისე ჩაიარა, არაფერი მომხდარა. შაბათს დედას ერთთავად ეძინა. „ჰოდა, კარგია, — უთხრა პუბეტმა, — ძალ-ღონე მოიკრიბე“. დედამ ამოიოხრა: „დღეს სულ არ მიცხოვრიაო“.

ძნელია სიკვდილი იმისთვის, ვისაც ასე ძალუმად უყვარს სიცოცხლე. „ორ-სამ თვეს კიდევ შეუძლია გაძლოსო“, — გამოგვიცხადეს იმ საღამოს ექიმებმა. ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო შეგვეცვალა ჩვენი შინაგანაწესი, მიგვეჩვია დედა, რამდენიმე საათს იოლად წააუღიო უჩველოდ. პარიზში ქმარმა ჩამოაკითხა ჩემ დას, და მანაც გადაწყვიტა, ღამით მადმუაზელ კურნოსთვის მიენდო დედა. აგრე დავთქვით: პუბეტი დილით მოვიდოდა, მარტა — სამის ნახევრისათვის, მე კი — ხუთზე.

ხუთ საათზე კარს ხელი ვკარი. შტორი ჩამოეშვათ, პალატაში თითქმის ბნელოდა. დედა მარჯვენა გვერდზე იწვა, შესაბრალისი, ნიათგაცლილი ჩანდა; მარცხენა დუნდულის ნაწოლები მოშიშვლებული ჰქონდა; ასე გვერდზე მწოლარე ნაკლებად იტანჯებოდა, მაგრამ ეს მოუხერხებელი პოზა ღლიდა. მარტა გვერდით ეჯდა და მისი ხელი ხელში ეჭირა. თერთმეტ საათამდე დედა მოუსვენრად ყოფილიყო, პუბეტსა და ლიონელს ელოდებოდა: დავიწყებოდათ ზარის უსსარეკი ზონრის მიმაგრება მის ზეწარზე, ასე რომ არავის მოხმობა არ შეეძლო. და თუმცა ქალბატონ ტარდიეს მოენახულებინა, მაინც უთხრა ჩემ დას: — „დამტოვე და ამ მტარვალებს საწამებლად მიმეციო!“ (ვეირაღლის შედღებს ვერ იტანდა). მერე ცოტათი გამოცოცხლდა და ლიონელს გალიზიახება დაუწყო: „თქვენ, ალბათ, გეგონათ სიდედრი უკვე მოვიშორეო? მაგრამ ლილა გაგიხუნდათ!“ მეორე საუზმის შემდეგ ერთი საათი მარტოდ დაჰყო, და ისევ შეიპყრო შიშმა. აკანკალებული ხმით მითხრა: „ნუ დამტოვებთ მარტოკა, ჯერ ძალიან სუსტად ვარ. ნუ მიმცემთ საწამებლად!“ — „აღარ დაგტოვებთ-მეთქი“ — ვუთხარი.

მარტა წავიდა, დედას ჩაეძინა, მაგრამ მალევე გამოეღვიძა მარჯვენა დუნდულის ტკივილისაგან. ქალბატონმა გონტრანმა უფრო მოხერხებულად

დააწვინა. მაინც ჩიოდა, მინდოდა ისევ დამერეკა. „ტყუილად გაირჩები, კვლავ ქალბატონი გონტრანი მოვა, მას კი არაფერი გაეგება“. სულაც არ იგონებდა ამ ტკივილებს, ისინი სავსებით კონკრეტული მიზეზებით აიხსნებოდა. და მაინც, მადმუაზელ პარანი ან მადმუაზელ მარტენი რომ ყოფილიყო აქ, შეძლებდნენ ტკივილი რამდენადმე გაეყუჩებინათ. ქალბატონი გონტრანიც იმავე საშუალებას მიმართავდა, რასაც ესენი იყენებდნენ, მაგრამ ვერ უზერბდებოდა ავადმყოფისთვის ტანჯვის შესუბუქება. როგორც იქნა, ჩაიხრჩინა დედას. შეიღის ნახევარზე მადიანად შეხვრიბა ბულიონი, კრემიც დააყოლა. და უცებ შეპყვირა, მარცხენა დუნდული ისე ეწვოდა, თითქოს ცეცხლი შემოგზნებიაო. გასაკვირიც არ იყო: შარდმყავას, კანიდან რომ მოჟონავდა, სხეული ჩაეჭამა; გადატყავებოდა სხეული, სუფთა ხორცილა უჩანდა. მედღებს თითებს წვავდა, როცა ქვეშ დაფენილ ზეწარს უცვლიდნენ. პანიკით შეპყრობილმა, რეკვა დავიწყე: წამები უსასრულოდ ჭიანჭრებოდა! ხელით დედას ხელი მეჭირა, შუბლზე ხელისგულს ვადებდი და ვუხმეორებდი: „ახლავე ნემსს გაგიკეთებენ, და ტკივილიც გაგივლის. ერთი წუთი მოითმინე. მხოლოდ ერთი წუთი“. მოკრუნჩხულიყო, დაყვირებისაგან თავს იმაგრებდა, მხოლოდღა კვნესოდა: „სუყველაფერი მეწვის, ეს საშინელებაა, მეტის მოთმენა არ შემიძლია, ვერ გავუძლებ“. ბალღივით ატარდა და გულსაკლავი ხმით წარმოთქვა: „ძალიან ცუდად ვარო!“ ოო, რარიგ მარტო იყო! ვეხებოდი, ველაპარაკებოდი, მაგრამ არ შემეძლო, მისი ტანჯვა გამენაწილებინა. გული ბავაბუგით უცემდა, თვალები გადაეკარკლა, „კვდება“, — გავიფიქრე. მან კი ამოიჩურჩულა: „გონს ვკარგავო“. როგორც იქნა, ქალბატონმა გონტრანმა მორფიუმის ნემსი გაუკეთა. უშედეგოდ. ხელახლა დავრეკე. იმის ფიქრმა შემზარა, ვაითუ ეს ტკივილი დილით დასწყებოდეს, როცა გვერდით არავინ პყავდა და არც ვისიმე გამოძახება შეეძლო. წუთითაც არ იჭნებოდა მისი დატოვება. ამჯერად მედღებმა ეკვანილი მისცეს, ზეწარი გამოუცვალეს, იარებზე მალამო დაადეს, მალამოიანი თითები ისე აუბზინდათ, გეგონებოდათ, ის თითები ნეტალისააო. წვამ გაუარა: სულ რაღაც თხუთმეტოდე წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მთელ მარადისობას უდრიდა. ის საათობით ყვიროდა. „რა უაზროა ეს, — იმეორებდა დედა. — რა უაზროა!“ დიახ, ისე უაზრო იყო, ლამის ავტირებულყავი. უკვე არავისი არ გამეგებოდა — არც ექიმების, არც ჩემი დის, აღარც საკუთარი თავისა. ქვეყნად ვერაფერი გაამართლებდა ამ ტყუილ-უბრალოდ წამებას.

ორშაბათ დილით ჩემ დას დავურეკე: აღსასრული ახლოვდებოდა. შეშუპება არ იკლებდა, არც მუცლის ჭრილობა იხურებოდა. ექიმებმა მედღებს უთხრეს, ისღა გერჩება, ტკივილი ნარკოტიკებით გავუყუჩოთო.

ორ საათზე პუპეტი სრულიად სასოწარკვეთილი დამხვდა № 114 პალატის კარის წინ. მადმუაზელ მარტენსა სთხოვა: „ნუ დატანჯავთ დედას გუშინდელივითო“. — „კი, მაგრამ ქალბატონო, თუ ნაწოლების გამო ამდენი ნემსი ვუკეთეთ, როცა ძლიერი ტკივილები დაეწყება, მორფიუმი აღარ იმოქმედებს“. მადმუაზელ მარტენი მაინც დაპყვა დის დაეინებულ თხოვნას, მაგრამ აუხსნა, ამგვარ შემთხვევებში ავადმყოფი აუტანელი ტანჯვით კვდებაო. შემიბრალეთ, გამათავეთ. ნუთუ ექიმმა პ.-მ მოგვატყუა? მოდი, რევოლვერი ვიშოვო, მოვკლა დედა, ანდა მოგვუდო-მეთქი, ტვინში გამიელვა; ფუჭი ოც-

ნება იყო. იმის ფიქრი, რომ დედა საათობით იყვირებდა, აუტანელი იყო. „წავიდეთ, პ.-ს მოველაპარაკოთ“. სწორედ ამ დროს თვითონაც გამოჩნდა, და ორივენი ჩავაფრინდით: „თქვენ დაგვაიმედეთ, წვალემა არ მოუწევსო“. — „მერედა, არც იწვალეებს“. თუ გსურთ, როგორმე სიცოცხლე გავუზანგრძლივოთ, და კიდევ ერთი კვირის ტანჯვა ვარგუნოთო, აგვიხსნა მან, საჭირო გახდება ზელახალი ობერაცია, სისხლის გადასხმა, სატონიზებელი ნემსები, დიახ, ასე გასინჯეთ, დილით ნ.-მაც კი გვითხრა: „ყველაფერი ვიღონეთ, წაწამ რაიმე შესაძლებლობა მაინც რჩებოდა. მაგრამ ახლა სიკვდილის დაყოვნების ცდა უკვე საღიზმი იქნებოდაო“. მაგრამ ამ ხელის აღება შემდგომი ბრძოლის წარმოებაზე ვერ დაგვაკმაყოფილა, პ.-ს ვკითხეთ: „მორფიუმი თუ უშველის ძლიერი ტკივილების შემთხვევაში?“ — „საჭირო დოზა მიეცემაო“.

მისი ხმა დამარწმუნებლად ეღერდა, ჩვენც გული დავაჯერეთ და დავშოშმინდით. პ. პალატაში შევიდა, რათა დედისთვის ჭრილობა შეეხვია. „სძინავსო“, — ჩვენ ვუთხარი. — „სულ ერთია, ვერაფერს იგრძნობსო“. — შემოგვეპასუხა. როცა პ. პალატიდან გამოვიდა, დედას ჯერ ისევ ეძინა. გამახსენდა, რა შიში გამოიარა წინაღლით, და პუპეტს ვუთხარი: „როცა გამოფხიზლდება, იქ უნდა ვიყოთ-მეთქი“. კარი გააღო ელენმა, გააღო და მკვდრისებრ გადაფითრებული უკანვე გამოვარდა; აქვითინებული მოწყვეტით დაეშვა სკამზე: „მუცელი დაუუნახეთ!“ დამაწყნარებელი წამლის მოსატანად წავედი. როცა ექიმი პ. დაბრუნდა, პუპეტმა უთხრა: „მისი მუცელი დავინახე! ეს საშინელებაა!“ — „ო, არა, ყველაფერი რიგზეა“, — მიუგო ექიმმა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული. „ცოცხლად ლპებაო“, — პუპეტმა მითხრა. შეკითხვების მიცემა არ დამიწყია. ერთხანს ვილაპარაკეთ, მერე დედას გვერდით მოვუჯექი. თუ არ შავი ზონრის ოღნავი რხევა მის თეთრ ხალათზე, ვიფიქრებდი, მომკვდარა-მეთქი. ასე ექვს საათზე აახილა თვალი. „რომელი საათია? ვერ გამიგია, განა უკვე ღამეა?“ — „ნასადილევს შემდეგ სულ გძინავს“ — „ორი დღე-ღამე მეძინა!“ — „ოჰ, არა!“ მოვაგონე, რაც გუშინ იყო. შორით სიბნელეს და ფანჯრის მიღმა მოკიაფე ნეონის რეკლამას მისჩერებოდა. „ვერ გამიგიაო“, — განაწყენებული იმეორებდა. ვუთხარი, ვინ მოაკითხა და დაურეკა, მანამ ეძინა. „მაგას აღარ დავეძებ, — მომიგო. რაღაც აბეზარი ფიქრი აწუხებდა: — მე ხომ გავიგონე ექიმების ნათქვამი, მორფიუმით უნდა ვაბრუოთო“. ამჯერად ექიმებს სიფრთხილე დავიწყებოდათ. ავუხსენი, მათ უნდათ უსარგებლო ტანჯვას აგაცდინონ, იმგვარ ტანჯვას, გუშინ რომ გამოსცადე; ჰოდა, მანამ ნაწოლები მოგირჩებოდეს, დიდხნით უნდა გეძინოს-მეთქი. „კი, რასაკვირველია, — საყვედურით შემეპასუხა დედა, — მაგრამ დღეები ხომ მიდისო“.

„დღეს არ მიცხოვრია. დღეები მიდისო“. მისთვის დიდად ძვირფასი იყო ყოველი დღე და მალე კი სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა. უმაღლესად ამას, მაგრამ მე ხომ ვიცოდით. ჩემ თავს მის ადგილას ვაყენებდი და ვერაფრით შევრიგებოდი ამ ამბავს.

ცოტა ბულიონი დალია, და მერე პუპეტს დავუწყეთ ლოღინი. „ისე ღლის აქ ღამის თევა“, — მითხრა. — „ო, არა, რას ამბობ“. ამოიოხრა: „ჩემთვის კი სულ ერთია. — ერთხანს ფიქრობდა, მერე დასძინა: — ეს ჩემი გულგრილობა მაწუხებს“. ძილის წინ დაეჭვებით მკითხა: „კი, მაგრამ განა ეს შეიძლება — აღამიანი აბრუონ?“ პროტესტი იყო? არა მგონია, ალბათ, იმის გაგონება უნ-

დოდა ჩემგან, ამ უგრძობლობას ექიმები განზრახ იწვევენ ხოლმე და ეს სამუდამოდ მიძინებას არ მოასწავებსო.

როცა მადმუაზელ კურნო შემოვიდა, დედამ თვალი გაახილა. ნელ-ნელა მოატრიალა თვალის კაკლები, მომვლელი დაინახა და დინჯად დაუწყო ყურება, იმ ბავშვს მსგავსად, ქვეყანას რომ პირველად ხედავს. „რომელი ხართ?“ — „ეს ხომ მადმუაზელ კურნოა“. — „რატომ ხართ ამდენად აქა?“ — „ახლა უკვე ღამეა“, — გავუმეორე მე. ფართოდ თვალები გაკვირვებით მისჩერებოდა მადმუაზელ კურნოს. „კი, მაგრამ რისთვის?“ — „ხომ იცით, რომ ყოველ ღამე თქვენთან ვმორიგეობ“. — „მართლა? რა უცნაურია!“ — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დედამ. მე წასვლას ვაპირებდი. „მიდიხარ?!“ — „რა, არ გინდა, რომ წავიდე?“ და ისევ დაატანა: „ჩემთვის სულ ერთია. აღარაფერს დავეძებ“.

მაშინვე არ წამოვედი, დღის მედღები დარწმუნებული იყვნენ, დედა დილამდე ვერ გაატანდა. მაჯისცემა ხან 48-მდე ეცემოდა, ხან 100-მდე ავარდებოდა. ათი საათისთვისღა გაუხდა ნორმალური. პუბტი დაწვა, მე კი შინ წავედი. ახლა უკვე აღარ შეეჭვებოდა, რომ ექიმ პ.-ს არ მოვეუტყუებდით და რომ დედა ერთი-ორი დღის შემდეგ სულს დალევდა განსაკუთრებული ტანჯვის გარეშე.

როცა გამოიღვიძა, საღ გონზე იყო. დაეწყებოდა თუ არა ტკივილები, მაშინვე უყუჩებდნენ. სამ საათზე მივედი. ჯერ ისევ ეძინა. გვერდით შანტალი ეჯდა. „საბრალო შანტალი, — მითხრა დედამ შემდგომ, — იმდენი საზრუნავი აქვს და აქ კიდევ ჩემზე ხარჯავს დროს“. — „შანტალი ამას სიამოვნებით აკეთებს, ისე ძალიან უყვარხარ“. ჩაფიქრდა და ნაღვლიანი გაკვირვებით წარმოთქვა: „მე კი აღარ ვიცი, მიყვარს თუ არა ვინმე“.

გამახსენდა, როგორი სიამაყით იტყოდა ხოლმე: „ყველას ვუყვარვარ, იმიტომ რომ მზიარული ვარო“. თანდათან სულ უფრო მეტად უმძიმდა ადამიანების სიახლოვე; გული მთლად გაუქვავდა: დაღლილობამ გამოუფიტა. პოდა, უცნაურია — არც ერთი ალერსიანი სიტყვა, რაც ოდესმე მისგან მსმენია, ისე ღრმად არ მომხვედრია გულს, როგორც ჯულგრილობის ეს აღიარება. პირობითი ფრაზა, დასწავლილი ეესტი უწინ ჭეშმარიტ გრძნობებს უჩქმალავდნენ. ახლა ყოველივე ამისგან განთავისუფლდა, და გამოფიტულობით გამოწვეული ეს მისი გულცივობა დამეხმარა, იმ ჭეშმარიტ გრძნობათა სიტბო დამეფასებინა.

ჩაიძინა; მასი სუნთქვა სულ არ ისმოდა. გავიფიქრე: „აი, ასე რომ დამთავრდებოდეს ყველაფერი, წყნარად და შეუმჩნეველად“. მაგრამ შავი ზონარი კვლავინდებურად ადი-ჩადიოდა: არა, უკანასკნელი ნახტომი იოლი არ იქნება. ჩუთ საათზე გავადვიძე, როგორც თვითონ მთბოვა, და ღო მივეცი. „შენი და შეუბნება, გრგვებსო“. ორი-სამი კოვზი გადაყლაბა, და მე მომაგონდა ადამიანის ზოგიერთი ხალხისა, რომელთაც საჭმელ-სასმელის საფლავებზე დატოვება იცაან. ის ვარდი ვაყნოსვინე, წინაღობით რომ კატრინმა მოუტანა: „უკანასკნელი ვარდი მერინაკიდან“. გაფანტულად შეხედა ყვავილს და კვლავ ძილს მიაცა თავი. დუნდულის გაუძლიისმა წვამ გამოაღვიძა. მორფიუმის ნემსმა ვერაფერი უშველა. როგორც ამ წინაზე, ახლაც ხელი მის ხელზე შედო და ვაიმედებდი: „ერთი წუთი მოითმინე. ნემსი ხელადვე იმოქმედებს. ერთი წუთი და ტკი-

ვილი გაგივლის“. — „ეს სწორედ რომ ჩინური წამებაა“, — მითხრა მიმტკნარებული ხმით, ჩივილის თავიც არა ჰქონდა. ხელახლა დავრეკე და მეორე ხემსი გავაკეთებინე. ყმაწვილმა მედდამ, პარანმა, ზეწრები გაუსწორა, ჩათვლემილს ოდნავ აღვილი მოუწაცვლა, გაყინულ ხელებზე საბანო წააფარა. სანიტარი ქალი, რომელმაც ექვს საათზე სადილი შემოუტანა, აბუზღუნდა, როცა უკანვე გავაბრუნე: არაფერმა არ უნდა დაარღვიოს საავადმყოფოს წესრიგი, სადაც აგონია და სიკვდილი ჩვეულებრივი, ყოველდღიური შემბებია. რვის ნახევარზე დედამ მითხრა: „აი, ახლა თავს კარგად გგრძნობ. მართლმ კარგად. დიდი ხანია ასე კარგად არ ვყოფილვარ“. თანას უფროსი ქალიშვილი მოვიდა, მომეხმარა ბულიონითა და ყავის კრემით დამეპურებინა. ძლივძლივობით ჭამდა, აბველებდა, სულის ხუთვა ეწყებოდა. ელენმა და მადმუაზელ კურნომ შირჩიეს, შინ წავსულიყავ. ამაღამ, როგორც ჩანდა, არაფერი მოხდებოდა, ჩემი აქ ყოფნა კი მხოლოდ შეაშფოთებდა. ვაკოცე, და იმ თავისი შემხარავი ღიმილით გამიღიმა: „მიხარია, იმ დროს რომ მნახე, როცა ასე კარგად ვარო!“.

პირველის ნახევარზე დასაძინებელი წამალი დავლიე და დავწეჭი. ტელეფონის ხარმა გამომალვიდა: „რამდენიმე წუთის სიცოცხლე დარჩენია. შენს წამოსაყვანად მარსელი წამოვიდა მანქანით“. მარსელმა, ლიონელის ნათესაებმა, პარიზის უკაცრიელი ქუჩებით გამაქანა. შამპერეს კარიბჭეს რომ მივატანეთ, ბისტროსთან შევჩერდით; უკვე გვიან იყო, მაგრამ ბისტრო ღია დაგვხვდა; დახლთან მიუდევით და სახელდახელოდ თითო ფინჯანი ყავა შევსვით. პუპეტი კლინიკის ბაღში დაგვხვდა: „ყველაფერი გათავდაო“. ავედით ზემოთ. დიდი ხანია მომზადებული ვიყავით, დედის საწოლზე ცხეღარი გვენახა, მაგრამ ეს მაინც გაუგებარი, დაუჯერებელი იყო. ცივ ხელსა და შუბლზე ხელი შევახე. ჯერ ისევე აგერ აქ გვყავდა, მაგრამ ვიცოდით, რომ უკვე საუკუნოდ წასულიყო. გაშეშებულ სახეზე ბანდი ჰქონდა გარშემოკრული, ნიკაბს ის ბანდი უკავებდა. დას უნდოდა, ბლომეს ქუჩაზე წასულიყო დედისეული ნივთების წამოსაღებად: „რა საჭიროა?“ — „მკონი, ასეა მიღებული“. — „მე და შენ ეს არ გვჭირდება“. ვერ წარმომედგინა, რომ დედას გამოაწყობდნენ, თითქოს სტუმრად წასვლას აპირებდესო. ალბათ, არც თვითონ ენდომებოდა ეს. არაერთგზის უთქვამს ჩემთვის, სულ ერთია, როგორ დამასაფლავებენო. „გრძელი ღამის პერანგი ჩააცვიო“, — ვუთხარი მადმუაზელ კურნოს. „ნიშნობის ბეჭედს რაღა ვუყოთ?“ — იკათხა პუპეტმა და მაგიდის უჯრიდან ბეჭედი ამოიღო. ავდექით და თითზე წამოვაცვივით დედას. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ამ ოქროს წვრილი რგოლისთვის უკვე მთელ ქვეყანაზე აღარ მოიძებნებოდა აღვილი.

პუპეტი ფეხზე ძლივს იდგა. უკანასკნელად შევაფლე თვალი იმას, რასაც უკვე აღარ ვთქმობდა დედა, მერე ჩემი ღის წაყვანას დავეშურე. კაფე დომის დახლთან თითო სირჩა კონიაკი გადავკარით მარსელთან ერთად. პუპეტი წუხანდელი ღამის ამბავს მოჰყვა.

ცხრა საათზე ეჭიმი ნ. გამოსულა პალატიდან და ბრაზმორეულს უთქვამს: „კიდევ ერთი კავი მოძვრა. ამდენი ვეცადეთ — და სულ ტყუილად, ბრაზი მოგივა კაცსო!“ წავიდა და ჩემი და ყოვლად უნუგეშო დღეში ჩავარდნილი დატოვა. დედას ხელები გაყინული ჰქონდა, მაგრამ მცხელაო, ჩიოდა;

გაჭირვებით სუნთქავდა. ნემსი გაუკეთეს, ჩაეძინა. პუბეტმა ტანთ გაიხადა და დაწვა, დეტექტიური რომანი გაშალა, შუალამისას დედამ წუხილი დაიწყო. პუბეტი და მომვლელი ქალი ახლოს მივიდნენ მასთან. ავადმყოფმა თვალი გაახილა: „თქვენ აქ რას აკეთებთ? რატომ გაქვთ ასეთი შეშინებელი სახე? მე ძალიან კარგად ვარ“. — „ალბათ, უსიამოვნო სიზმარი ნახე“. როცა მადმუაზელ კურნო საბანს ახურავდა, ფეხებზე მიაკარა ხელი: მათ უკვე შეპხებოდა ყინულისებური სიცივე. ჩემი და ყოყმანობდა, გამოვეძახე და მამამ დედა გრძნობაზე იყო, და ჩემი უდროოდ დროს გამოჩენა შეაშფოთებდა. ელენი ლოგინში ჩაწვა. ლამის პირველ საათზე დედა ისევ შეინძრა. იგი გულმარხიანად დუღუნებდა ძველებური სიმღერის სიტყვებს, ამ სიმღერისას, მამაჩემი რომ ხშირად ღიღინებდა: „მიდიხარ და ჩვენ კი გვტოვებო“. — „ო, არა, არ გტოვებ“, — უთხრა პუბეტმა. დედას ჩაეღიმა, ვითომ, მივიხვდიო. სუნთქვა სულ უფრო მეტად უჭირდა. როცა ხელახლა გაუკეთეს ნემსი, გაურკვეველად წაიბუტბუტა: „უნდა შემოიტოვო... სიკვდილი...“ — „რა უნდა შემოიტოვო?“ — სიკვდილი, — მკაფიოდ ამოთქვა დედამ და დასძინა: „არ მინდა მოგკვდე“. — „კი, მაგრამ შენ ხომ უკეთ ხდები!“ მერე მთლად აბნეულად დაიწყო ლაპარაკი: უნდა მოვასწრო წიგნის ჩაბარება... დაე ვისაც უნდა, იმას აწოვოს ძუძუ“. დამ ტანზე ჩაიცვა; დედას თითქმის წაერთვა ცნობა. უცებ წამოიყვირა: „სული მეხუთებო!“ პირი დაალო, გაფართოებული თვალები უზარმაზარი უჩანდა გადატყეცილ სახეზე. კრუნჩხვამ დაუარა და გრძნობაც დაკარგა. მადმუაზელ კურნო პუბეტს მიუბრუნდა. „წადით, დარეკეთო“. დას დაერუცა, მაგრამ მე არ მეპასუხა. ტელეფონისტს ნახევარი საათი ურეკავს, მანამ გაშალვიძებდა. პუბეტი დედასთან მიბრუნებულა, დედა უკვე ადარაფერს გრძნობდა. თურმე გული კიდევ უცემდა, ნახევრად წამომჯდარი მძიმედ სუნთქავდა, თვალები გაშტერებოდა, გაპყინვოდა; მერე ყველაფერი გათავდა. „ექიმები ამბობდნენ, სანთელივით ჩაქრებო, მაგრამ სრულებითაც ასე არ მოხდა“, — თქვა ჩემმა დამ და ქვითინი წასკდა. „გარწმუნებთ ქალბატონო, — მიუგო მომვლელმა ქალმა, — ეს იყო ძალიან მშვიდი სიკვდილი“.

მთელი თავისი სიცოცხლე კიბოსი ეშინოდა დედას; შესაძლოა, ამაზე ფიქრი აშფოთებდა იმ დღესაც, როცა კლინიკის ექიმებმა რენტგენი დაუნიშნეს. მაგრამ ოპერაციის შემდეგ ერთხელაც არ შეფიქრიალებულა. მხოლოდ იმის შიში იპყრობდა ხანდახან, ჩემი ასაკის ქალისთვის ვაითუ საბედისწერო აღმოჩნდესო ქირურგიული ჩარევა. ექვი კი თუნავადაც არ აღძვრია: ოპერაციას პერიტონიტის გამო უკეთებდნენ. ეს თუმცა საშიშ დაავადებად ითვლებოდა, მაგრამ განიკურნებოდა.

კიდევ უფრო მეტად იმან გაგვაკვირვა, რომ მღვდელი არ მოაწვევინა, იმ დღესაც კი, როცა ძლიერ ნაღვლობდა: „სიმონს მეტად ვეღარ ვნახავო.“ უფრიდან ერთხელაც არ ამოუღია ლოცვანი, ჯვარცმა და კრიალოსანი, მარტან რომ მოუტანა. ერთხელ დილით თანამ უთხრა: „დღეს კვირაა, დეიდა ფრანსუაზ. არ გაუერთ, ეზიაროთ?“ — „არა, ჩემო კარგო, მეტისმეტად დავიღალე, ღმერთი მოწყალეა!“ ქალბატონმა ტარდიემ პუბეტის თანდასწრებით ჰკითხა, ხომ არ გაუერს შენს მოძღვარს ესაუბრო. დედას მყისვე მკაცრი გაუხდა სახე: „მეტისმეტად დავიღალეო“. თვალი მიღულა და ამით თითქოს საუბარი შეა-




წყვეტინა. მეორე თავისი ძველი ნაცნობის ვიზიტის შემდეგ ეანას უთხრა: ეს საცოდავი ლუიზა სულელურ შეკითხვებს მაძლევს, აინტერესებს, კლინიკას მღვდელი თუ ჰყავსო. აბა, რაში მენალვლება ეს!“

ქალბატონი დე სენტ-ანჟი საშველს აღარ გვაძლევდა: „ახლა სულიერად აფორიაქებულია და, რასაკვირველია, ზენაარსისაგან ნუგეში სწყურია“. — „არაფერი არ სწყურია“. — „სიტყვა ჩამოგვართვა, მე და სხვა მეგობარ ქალებს, რომ ღირსეულად სიკვდილში დავეხმაროთ“. — „ახლა მისთვის ისა სურს, რომ დაეხმარონ, გამოჯანმრთელდეს“. ჩვენ გვკიცხებდნენ! ისევე უნდა, ხელს არ ვუშლიდით დედას, უკანასკნელი ზიარება მიეღო, მაგრამ არც თუ ძალას ვატანდით. იქნებ უნდა გაგვეფრთხილებინა, რომ კიბო ჰქონდა და სიკვდილი ელოდა. ეჭვი არ შეპარება, ისეთი ფარისევლებიც აღმოჩნდებოდნენ, სწორედ ასე რომ მოიქცეოდნენ, დედაჩემთან მარტო რომ დაგვეტოვებინა. (მე კი მათ აუვილას მოვერიდებოდი, ავადმყოფის ჩივილი გამომეწვია და ამით იგი ცოდვაში ჩამეგდო, რაიც მრავალ საუკუნეს განსაწმენდელში ყოფნად უნდა დასჯდომოდა). დედა არც ესწრაფვოდა მათთან პირისპირ დარჩენას. მისთვის ის უფრო სასიამოვნო იყო, როცა თავის საწოლთან ახალგაზრდების ღიმილს ხედავდა. „ჩემისთანა ბებრუხანების ცქერას მაშინაც მოვასწრებ, როცა პანსიონში დავსახლდებიო“, — ეუბნებოდა დის შვილიშვილებს. თავს მშვიდად გრძნობდა ეანას, მარტას და კიდევ იმ ორი-სამი მეგობარი ქალის გვერდით, რომლებიც თუმცა ღვთისმოსავნი იყვნენ, მაგრამ შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ და ავადმყოფისთვის სიმართლის გაუმყდავენებლობას გვიწონებდნენ. დანარჩენებს უნდოდ ექცეოდა, ხოლო ზოგიერთებზე ღვარძლიანი კილოთი ლაპარაკობდა. თითქოს რაღაც გასაოცარი ალღო უკარნახებდაო, ვისე მოსვლა დაურღვევდა სიმშვიდეს: „მაგ კლუბელი ქალბატონების დანახვა აღარ მინდა. აღარ წავალ იქო“.

ზოგნი მეტყვიან: „ზერელე რწმენა ჰქონია, მარტოოდენ სიტყვებით გამოხატული, რაკი ტანჯვასა და სიკვდილს ვერ გაუძლოო“. არ ვიცი, რა არის რწმენა. ოღონდ რელიგია დედის ცხოვრების დერძი და არსი იყო — ამაზე მეტყველებს ის ჩანაწერები, მის სექრეტერში რომ ვიპოვეთ. ლოცვა რომ მისთვის შექანიკური ბუტბუტი ყოფილიყო, კრიალოსანი კროსვორდზე უფრო მეტად როდი დაღლიდა. მაგრამ სწორედ იმ ამბავმა, რომ ლოცვაზე უარი თქვა, დამარწმუნა: ლოცვა მისგან გულისყურს, ფიქრსა და შესაფერის სულიერ განწყობილებას მოითხოვდა. იცოდა, რაც უნდა ეთქვა ღმერთისთვის: „განმკურნე მე. მაგრამ თუ ნება შენი იქნება — მზად ვარ, მოვკვდეო“. სიკვდილი კი არ უნდოდა, ამიტომ ზიზღს ჰგვრიდა, გადამწყვეტ წუთს ეცრუა. მეორე მხრივ, არც ამხედრება სურდა. ამიტომ დუშდა: „ღმერთი მოწყალეაო“.

„ვერ გამოვიცა, — დაბნეული ადამიანის კილოთი მითხრა მადმუაზელ ვოტიემ. — დედათქვენი ისეთი მორწმუნეა და სიკვდილისა კი ასერიგად ეშინია!“ ხუთთუ ავიწყდებოდა, რომ იყვნენ წმინდანები, რომლებიც, როცა კვდებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ და ღრიალებდნენ საშინელებისაგან? თუმცაღა, დედას არც ღმერთის ეშინოდა, არც ეშმაკისა, მხოლოდ ერთი რამე აფრთხობდა: მიწასთან განშორება. დიდედაჩემი სრულ გრძნობაზე მყოფი მომკვდარა. მშვიდად უთქვამს: „ესეც ასე, ამ ერთხელაც შევჭამ თოხლო კვერცხს და წავალ გუსტავთანო“. სიცოცხლე არასდროს ჰყვარებია, ხოლო ოთხმოცდაოთხი წლი-

სას სულაც თავი ჰქონდა მობეზრებული; მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრი სრულებით არ აშფოთებდა. არანაკლები სიყოჩაღე გამოიჩინა მამაჩემმა. „ღედას სთხოვე, მღვდელს ნუ მომიყვანს. არ მინდა, კომედია გაყითამაშოო“, — მითხრა მან. თანაც ზამდენიმე პრაქტიკული დარიგება მომცა. გაკოტრებული, გაავებული, იგი ისეთივე სულიერი სინათლით შეეგება სიკვდილს, როგორც თაც დიდდაჩემი ემზადებოდა სამოთხეში გასამგზავრებლად. დედამ ჩემებრ ძალუმაღ უყვარდა სიცოცხლე, ამიტომ სიკვდილი ორბეჭეტს ჩვენს წინაშე ერთნაირ პროტესტს იწვევდა. იმხანად, როცა დედა სულთმობრძავე იწვა, მრავალი წერალი მივიღე ჩემი ბოლო წიგნის გამო: „თქვენ რომ რწმენა არ დაგეკარგათ, სიკვდილისა ასე აღარ შეგეშინდებოდათო“, — გესლიანად იწერებოდნენ ღვთისმოსავი ნუზმუხელები. „არყოფნა საშიში არ არის: თქვენი ქმნილებები დარჩებაო“, — მარწმუნებდნენ კეთილმოსურნე მკითხველები. ერთნიც და მეორენიც ცდებოდნენ. რელიგია უძლური იყო, ეშველა დედისთვის, მე კი სიკვდილშემდგომი სახელი ნუგეშს ვერა მგვრის. როცა სიცოცხლე გეძვირფასება, მაშინ უკვდავება, რა სახისაც უნდა იყოს იგი — ზეციური თუ მიწიერი — სიკვდილთან ვერ შეგარიგებს.



როგორ წარიმართებოდა ვითარება, დედის შინაურ ექიმს რომ პირველი ნიშნებისთანავე გამოერკვია, კიბო აქვსო? ალბათ, სხივების საშუალებით მოხერხდებოდა სნეულების შეჩერება და დედა ორ-სამ წელიწადს კიდევ იცოცხლებდა. მაგრამ თავისი დაავადების ნამდვილ მიზეზსაც შეიტყობდა, ან არადა ეჭვს აიღებდა და სიცოცხლის ბოლო დღეებს სულიერი წამება ჩაუშხამავდა. საშინელი ის იყო, რომ ექიმის შეცდომამ ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანა: თორემ ყველაფერს ვიღონებდით, რათა დედას რაც შეიძლება უკეთ ეცხოვრა. იმ დაბრკოლებაააც დავძლევდით, რამაც ხელი შეუშალა, ზაფხული ეანასთან ან პუპეტთან გაეტარებინა. მეც უფრო ხშირად ვინახულებდი და სხვადასხვა გასართობსაც მოჟუფონებდი.

ღირს თუ არა სინანული იმის გამო, რომ ექიმებმა მკვდრეთით აღადგინეს და მერე თპერაცია გაუკეთეს? ამით ოცდაათი დღე „მოიგო“, ხოლო მას ხომ ერთის დაკარგვაც არ უნდოდა; ამ ოცდაათმა დღემ რაღაც სიხარული არგუნა, თუმცაღა მრავალგზის შიში და ტანჯვაც განაცდევინა. მართალია, იმ წამებას კი გადაურჩა, რისი შიშიც მქონდა, მაგრამ მაინც მის მაგიერ არ შემიძლია ვთქვა, თვითონ რას ამჯობინებდა. ჩემ დას დედის უეცარი სიკვდილი თავისი ჩამოსვლის დღეს საშინელ ელდას დასცემდა, და ამ ელდასაგან ეგრე იოლაღ ვერ გამობრუნდებოდა. ხოლო მე? ამ ოთხმა კვირამ მოკონებები, სიმძიმე, კომშარული ჩვენებები დამიტოვა. არ შევიტყობდი ყოველივე ამას, დედა რომ იმ ოთხშაბათ დილითვე გათავებულიყო. თუმცა ესეცაა, რომ მეძნელება ამ თავზარდაცემის ძალა გავითვალისწინო, რაც მაშინ უნდა განმეცადა, მეძნელება, რადგან ჩემმა მწუხარებამ ჩემთვისვე მოულოდნელი სახით ამოხეთქა. ყოველ შემთხვევაში, აღსასრულის დაყოვნებამ ჩვენც, მე და ჩემ დას, შვება მოგვანიჭა, რადგან გვიხსნა ან თითქმის გვიხსნა სინდისის ქენჯნისაგან. როცა ჩვენთვის ძვირფას ადამიანს ვკარგავთ, თავს დამნაშავედ ვგრძნობთ, რომ ცოცხალი დავრჩით. სამაგიეროს ჰმუნვითა და მძაფრი

ხალხიანობით ვზღავთ ხოლმე. ახლობლის სიკვდილთან ერთად ამ ახლობლის გახუცებლობას ვხვდებით. მთელ სამყაროს იტევდა იგი თავისი პიროვნებით, იმ სამყაროს, მისთვის რომ უკვე აღარ არსებობს, მაგრამ მის წასვლასთან ერთად ჩვენთვისაც რომ არსებობას წყვეტს. სინანული გვტანჯავს, რომ მეტად მცირე ღროსა და ყურადღებას ვუთმობდით, რომ ის გაცილებით უფრო მეტის ღირსი იყო. მაგრამ გაივლის ხანი, ყველაფერი თავ-თავს ადგილზე დალაგდება, და ჩვენ ისევ მივხვდებით, რომ ისიც მხოლოდ ერთი მრავალთაგან ერთი იყო. და მაინც ცოტა ვინმეს თუ შეუძლია თქვას, ყველაფერი შესაძლებელი გაეკეთებინოს სხვისთვის, თუნდაც იმ მცირედის ფარგლებში, რაც თავისთვის დაუდგენია; ასე რომ მუდამ იპოვი საყვედურისა და სიზღიის ქენჯნის საბაბს. ბოლო წლებში ჩვენ უგულისყურო, დაუდევარი ვიყავით დედისადმი. ამიტომ გვეგონა, თითქოს დანაშაული გამოგვესყიდოს ამ დღეებით, მთლიანად მას რომ მივუძღვენით, იმ სიმშვიდით, გვერდით ყოფნით რომ ვანიჭებდით, იმ გამარჯვებებით, შიშსა და ტკივილთან ჭიდილში არაერთგზის რომ მიაღწია. ეს ჩვენი გულმოდგინე ზრუნვა რომ არა, გაცილებით უფრო დიდი სატანჯველი მოელოდა.

სხვებს სიკვდილთან შედარებით დედის სიკვდილს მართლაც მშვიდი ეთქმოდა. „ნუ მიმცემთ ამ მტარვალებს საწამებლადო“. იმ ხალხზე ვფიქრობდი, ვინც ვერაფერს სთხოვს ამას. რა საშინელია, როცა თავს უშწევოდ გრძნობ, როცა იცი, რომ გულგრილი ექიმებისა და გაღიზიანებულ-გამწარებული მედღების ხელთა ხარ ჩავარდნილი. არავინ გადებს შუბლზე ხელს, როცა შიშის ხარი ვიტანს, არც ტკივილსაყუჩი საშუალებებია სადმე, როცა ტკივილი გაწამებს, არც ვინმე გემასლაათება განგებ, რათა მართობის ატანა შეგიმსუბუქოს. „ერთი დღე-ღამის განმავლობაში იგი ორმოცი წლით დაბერდაო“. ეს ფრაზა დიდხანს არ მაძლევდა მოსვენებას. აკი დღესდღეობითაც მრავალნი ხაზარელ ვითარებაში კვდებოდნენ. ნუთუ ასე გარდაუვალია ეს? როცა საერთო პალატაში მწოლიარე მომაკვდავს აღსასრულის უამი დაუდგება, ადგებიან და საწოლის თეჯირით შემოუტეხრავენ; იმ მომაკვდავს უკვე მოსწევია სხვა საწოლთან მიდგმული თეჯირის დანახვა, არც ის გამოჰპარვია, მეორე დღეს რომ ის გადაღობილი საწოლი ცარიელი დგას, პოდა ყველაფერს ხვდება. წუთით დედა წარმოვიდგინე იმ თეჯირის უკან, დაბრმავებული — შავი მზის სხივებით, მზისა, რომელსაც თვალს ვერაფერს უსწორებს. ეხედავდი, უზარმაზარ კაკლებიან, ფართოდ გახელილ თვალებში როგორ ჩასდგომოდა შიში. პო, მართლაცდა ძალიან მშვიდი სიკვდილი ხვდა წილად — რჩეულთა სიკვდილი.

□ □

ელენმა ჩემთან გაათია ღამე. დილის ათ საათზე კლინიკაში მივბრუნდით. ისე როგორც სასტუმროებში, აქაც ნაშუადღევამდე უნდა გაგეთავისუფლებინათ ოთახი. ერთხელ კიდევ ავედით კიბეზე, ხელი ვკარით ერთ კარს, მეორეს: საწოლი ცარიელი იყო. კედლები, ფანჯარა, ნათურები, ავეჯი — ყველაფერი თავის ალაგას იყო, თეთრ ზეწარზე კი აღარავინ ჩანდა. ცოდნა ჯერ კიდევ არ ხიშნავს მიხვედრას: ისე ძლიერ ვიყავით შეძრწუნებული, თითქოს ეს ოთახი მთელოდნელობა ყოფილიყო ჩვენთვის. გამოვიღეთ კარადიდან ჩემოდნები და შიგ ჩავყარეთ წიგნები, თეთრეული, წვრილმანი რამე-რუმე, ჟურნალები,

დაგროვილი ამ ექვსი კვირის მანძილზე, თვალთმაქცობით მოწამლული ურთიერთსიახლოვის დროს. ის წითელი ხალათი საკიდზევე დავტოვეთ. მერე ბაღი გადავიარეთ. სადღაც იქ, სიღრმეში, მწვანეს მოფარებული, იყო საცხედრე, სადღაც ესვენა ყბაყრული დედა. პუბეტი, რომელმაც, ნებით თუ უნებლიეთ, ყველაზე დიდი თავხარი განიცადა, ისე განადგურებული ჩანდა, ვერც გაეხედვებოდა, ერთხელ კიდევ შეგვეხედა დედის სხეულს და თქვა ჩემდათავადაც ვერ ვიტყვოდი, რომ საამისოდ შზაღ ვიყავი.

ჩემოდნები ბლომეს ქუჩაზე კონსიერეთან დავტოვეთ, და იქვე ახლო დამკრძალავ ბიუროში შევიარეთ. „განა სულ ერთი არ არის, ეს იქნება თუ სხვა“. ორმა შავტანსაცმლიანმა მამაკაცმა მოგვხედა. სხვადასხვანაირი კუბოს ფოტოსურათები გვაჩვენეს: „აი, ეს უფრო კონტა იქნება!“ პუბეტს სიცილ-ტირილი აუვარდა: „უფრო კონტაო! ეს ყუთი! ისე არ უნდოდა, ყუთში ჩაეწვინათ!“ დაკრძალვა ზეგ პარასკევს დავნიშნეთ. ყვავილები თუ გვნებავს? დავთანხმდით, თუცა თვითონაც არ ვიცოდით, რატომ. ოღონდ არც გირლანდები, არც გვირგვინები საჭირო არ არის, უბრალოდ დიდი კონა იყოს. კეთილი, დაკრძალვის მთელ საზრუნავსაც თვითონ კისრულობენ. დღისით ჩემოდნები დედის ბინაში შევიტანეთ. მადმუაზელ ლებლონს ბინა გადაეხალისებინა, ოთახები უფრო სუფთად, მზიარულად გამოიყურებოდა, ძლივს ვიცანით — რას იზამ, მით უკეთესი. ერთ-ერთ კარადაში ის ფუთა შევეტენეთ, რომელშიც თეთრი ხალათი და ღამის პერანგები იყო გამოკრული. წიგნებს, კამფეტებს, სატუალეტო ნივთებსაც თავ-თავისი ადგილი მივუჩინეთ, დანარჩენი კი ჩემთან წავიდეთ. ღამით ძლივს დავიძინე. არ ვნანობდი, რატომ წამოვედი-მეთქი დედისგან, როცა მისი უკანასკნელი სიტყვები გავიგონე: „მიხარია, იმ დროს რომ მნახე, როცა ასე კარგად ვგრძნობ თავსო“. მაგრამ ვესაყვედურებოდა თავს, ისე საჩქაროდ რომ მივატოვე მისი სხეული. მართალია, თვითონ ჯა ჩემი დაც ამბობდნენ: „გვამი ეს უკვე არარააო“. მაგრამ ეს სხეული ხომ ისევ ის მისი ძვალი და ხორცი იყო. საბესაც ჯერ კიდევ მისი სახის იერი შერჩენოდა. მამის სხეულს მანამდე არ ვშორდებოდი, ვიდრე ჩემ თვალში საგნად არ იქცა: თითქოს მასთან ერთად განვვლე სიცოცხლიდან არყოფნისკენ მიმავალი გზა. დედა კი მაშინვე მივატოვე, როგორც კი შუბლზე ვაკოცე; ამიტომ სულ ისე მეჩვენებოდა, რომ იქ, ცივ საცხედრეში, მისი გვამი კი არ ესვენა, თვითონ იწვა. კუბოში ხვალ დილით უნდა ჩაასვენონ. შევძლებ, დავესწრო?

მეორე დღეს, ოთხ საათზე, კლინიკაში წავედი, ანგარიში უნდა გამენადლებინა. გადმომცეს დედის სახელზე მოსული წერილები და ხილის მარმელადიანი კოლოფი. ზემოთ ავედი, მინდოდა მედღებს გამოვმშვიდობებოდი. უცებ დერეფანში დავინახე, რალაცის გამო როგორ კუჭკუჭებდნენ ახალგაზრდა მარტენი და პარანი. ყელში რალაც ვამეჩხირა, თავს ძალა დავატანე და რამდენამე სიტყვა ძლივს ამოვღერდე. ჩავუარე პალატა № 114-ს. ფირფიტა წარწერით: „ნახვა აკრძალულიაო“, უკვე ჩამოეხსნათ. ბაღში ჩავედი, ერთ წუთს ვყოყმანობდი, შევსულიყავი თუ არა ცხედრის სანახავად, მაგრამ მხნეობამ მილალატა. ან რა საჭირო იყო იქ შესვლა? წამოვედი. კვლავ ჩავუარე კარდენის მაღაზიას, ღამაზ ხალათებგამოფენილ ვიტრინებს. მეტად არასდროს მომიწევს, კლინიკის მისაღებში ვიჯდე, ხელს ვტაცებდე ტელეფონის თეთრ ყურმილს, დავდიოდე ამ ქუჩებით. დედა რომ გამოჩანსაღებულიყო, იოლად დავშორდებოდი ყველა-

ფერ ამას, მაგრამ ახლა სევდა მიბყრობდა, რადგან ეს ყველაფერი მასთან ერთად გაქრა.

გადავწყვიტეთ, დედის ზოგი ნივთი სახსოვრად დაგვერიგებინა ახლობლებისათვის. როცა ავიღეთ ჭილის ჩანთა, სადაც შალის ძაფის ვიწროვალსა და დაუმთავრებელ სვიტერს ინახავდა, როცა გავხსენით მისი ბიუჯეტი, როცა დავინახეთ მისი მაკრატელი, სათითური, მღელვარებამ მოგვიცვია ვინ არ იცის ხივთების ძალა: ნივთები ვაცილებით უფრო რეალურად გვჩვენებდა სიციცხლეს ზორცს, ვიდრე ცხოვრების რომელიც გნებავთ წამი. ეს ობლად დარჩენილი, უსარგებლო ნივთები მაგიდაზე მელაგა, ისინი თავიანთ ხვედრს ელოდნენ: ან გადაყრიან, ან სხვა პატრონის ხელში გადავლენ (ეს ნესეაური დეიდა ფრანსუაზისგან მერგო). გადავწყვიტეთ, საათი მარტასთვის მიგვეცა. როცა შავ ზონარს ხსნიდა, ელენი ატირდა: „ეს სულელურია, რაიმე მნიშვნელობა არ ვანიჭებ ამას, მაგრამ ამ ზონარის გადაგდება არ შემიძლია“. — „შენც აიღე და შეინახე“. ამათა, ეცადო სიკვდილ-სიცოცხლის მორიგებას და ლოგიკურად ქცევას ლოგიკას მოკლებულ ვითარებაში. დაე, თითოეულმა თავისებურად დააღწიოს თავი აფორიაქებულ გრძნობებს. ჩვენთვის გასაგებია, როცა ადამიანები სიკვდილის წინ უკანასკნელ ნება-სურვილს გამოთქვამენ და ისიც, როცა არავითარ სურვილს არ ამჟღავნებენ; ერთნი გამწარებით ებღაუჭებიან უსულო სხეულს, მეორენი ნებას რთავენ, საყვარელი ადამიანის ნეშტი საერთო საფლავში დამარბონ. თუ ჩემი და მოიწადინებდა, შეემოსა დედა ანდა მისი ბეჭედი შეენახა, მისი მისწრაფება ისევე ბუნებრივი მომეჩვენებოდა, როგორც ჩემი. დაკრძალვისა ყველაფერი გარკვეული იყო. მიგვაჩნდა, რომ ვიცოდით დედის ნება-სურვილი და ამის შესაბამისად ვმოქმედებდით.

და მაინც ავისმოპასუხებელი დაბრკოლება გადაგვეღობა მოულოდნელად. პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ჩვენი ოჯახი ფლობდა ნაკვეთს, რომელიც სამუდამო სარგებლობის უფლებით ასოცდაათი წლის წინათ შეეძინა ვინმე ქალბატონ მინიოს, ჩვენი პეპერას დას. თვითონ იგი, პაპა, მისი ცოლი და ძმა, ძია გასტონი და მამაჩემი იქ იყვნენ დასაფლავებულნი. მეტი ადგილი აღარ რჩებოდა. ამგვარ შემთხვევაში მიცვალებულს დროებით საფლავში მარხავენ, ხოლო იმის შემდეგ, როცა ადრინდელი გარდაცვლილების გვაძებს საერთო კუბოში მოავროვებენ, მის ნეშტს საგვარეულო საძვალეში გადაიტანენ. მაგრამ სასაფლაოს მიწა ძალიან ძვირად ფასობს, ჰოდა სასაფლაოს ადმინისტრაციამაც მოინდომა, სამუდამო უფლებით გასყიდული ნაკვეთები უკანვე დაებრუნებინა. ამიტომ მოითხოვა, მფლობელთ ყოველ ოცდაათ წელიწადში თავიანთი უფლებები განეახლებინათ. ვადა გასულიყო. თავის დროზე არავის შეუტყობინებია ჩვენთვის, რომ შეიძლებოდა ეს უფლებები დაგვეკარგა. ამიტომ, უფლება იმ პირობით შეგვინარჩუნეს, რომ მინიოების ოჯახი არ შეგვედაგებოდა. ხოლო ვიდრე ნოტარიუსი საქმის ვითარებას გაარკვევდა, დედის ცხედარი დროებითი დასაფლავების ადგილას უნდა ყოფილიყო.

შიშით ველოდით სახვალთ ცერემონიას. დასაძინებელი წამალი დავლიეთ, რის წყალობითაც შვიდ საათამდე გვეძინა; დილით ჩაი დავლიეთ, დავნაყრდით და ისევ მივიღეთ დამამშვიდებელი წამალი. ასე რვა საათზე უკაცრიელ ქუჩაში შავი ავტობუსი გაჩერდა. ის ჯერ ისევ უთენია გამოივლიდა კლიხიკაში კუბოს წამოსაღებად; კუბოს გვერდის კარიდან გამოიტანდნენ.

დილის გრილ ნისლში გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით. ელენი კაბინაში ჩაჯდა, მძღოლსა და დამკრძალავი ბიუროს ერთ-ერთ მოსამსახურეს შუა, მე კი ლითონის ყუთთან მოვთავსდი. „აქ არის?“ — იკითხა დამ. „დიახ“. პუბეტი ასლუკუნდა, მითხრა: „ისღა მანუგეწებს, რომ მეც გავივლო ყველაფერ ამას. თორემ ეს აუტანელი იქნებოდაო!“ ასეც იყო. ჩვენივე დასაფლავების გენერალურ რეპეტიციას ვესწრებოდით. სამწუხაროდ, ყველა მტკიცედ იჯდა ამ საერთო უბედურებას თითოეული ცალ-ცალკე განიცდის. ჩვენ არ მოვშორებივართ სულთმობრძაც დედას, რომელსაც ეს სულთმობრძაობა გამოჯანსაღებად მიაჩნდა, მაგრამ მაინც მისგან შორს ვიყავით.

პარიზის ქუჩებში მივქროდით, გავყურებდი სახლებს, გამვლელ-გამომვლელთ, ეცდილობდი არაფერზე მეფიქრა. სასაფლაოს ჭიშკართან რამდენიმე მანქანა იდგა. შიგ ჩვენი ნათესავები ისხდნენ. მანქანები უკან მოგვეყვინენ სასაფლაოს ეკლესიამდე. იქ ყველანი ჩამოვიდნენ, და მანამ დამკრძალავი ბიუროს მსახურთ კუბო გადმოჰქონდათ, პუბეტი დეიდასთან მივიყვანე; ცრემლებისაგან საბეშეშუბებული დეიდაჩვენი მოშორებით იდგა. მივყევით ერთმანეთს ეკლესიაში, სადაც ხალხს უკვე ბლომად მოეყარა თავი. კათაფალკზე ყვავილები არ ჩანდა. დამკრძალავი ბიუროს მსახურებს ავტობუსში დარჩენოდით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა!

შესამოსლიანმა ახალგაზრდა მღვდელმა, რომელსაც ამ შესამოსელქვეშ შარვალი მოუჩანდა, სწირა და უცნაური სევდით აღსავსე მოკლე ქადაგება თქვა. „უფალი ნეტად შორს არის, — თქვა მან. — მათაც, ვინც რწმენით მტკიცენი არიან, ზოგჯერ შორეულად ეჩვენებათ იგი, ისე შორეულად, თითქოს არცა სუფევდეს. მაშინ უჩნდებათ აზრი, უგულვებელყონ იგი. მაგრამ მან ხომ ძე თვისი წარმოგვიგზავნა ჩვენ“. მოიტანეს ორი სკამი ზიარებისათვის. ვინც ეკლესიაში იყო, თითქმის ყველა ეზიარა. მღვდელმა კიდევ რამდენიმე სიტყვა თქვა. და ყოველთვის, როცა წარმოთქვამდა: „ფრანსუაზ დე ბოვუარიო“, მე და ჩემ დას გული გვეკუმშებოდა. ეს სიტყვები დედაჩვენს მიწაზე აბრუნებდა, აჯამებდა მისი ცხოვრების გზას: ბავშვობას, ქორწინებას, ქვრივობას და სამარეს. მოკრძალებული ფრანსუაზ დე ბოვუარი, ვისი სახელიც ესოდენ იშვიათად აღერდა სიცოცხლეში, დიდ მნიშვნელობას იძენდა.

ხალხმა მწკრივად ჩაგვიარა, ზოგი ქალი ტიროდა. ჩვენ ჯერ კიდევ ხელს ვართმევდით ვილაც-ვილაცებს, დამკრძალავი ბიუროს მსახურთ კი უკვე გაჰქონდათ კუბო ეკლესიიდან. პუბეტმა თვალი პკიდა კუბოს და ამჯერად აქვითიხდა. სახე ჩემ მხარში ჩარგო: „დედას აღვუთქვი, რომ მაგ ყუთში არ ჩააწვენდნენ!“ მიხაროდა, რომ დედის მეორე თხოვნა არ გაახსენდა: „არ დაანებო იმათ, ორმოში ჩამაგდონო“. დამკრძალავი ბიუროსაგან გამოყოფილმა მსახურმა დამსწრეთ გამოუცხადა, ცერემონია დამთავრებულია და შეგიძლიათ დაიშალოთო: ავტობუსი დაიძრა და კენტად გაემართა საითყენლაც.

იმ ბიუვარში, კლინიკიდან რომ წამოვიღე, ერთ ქალაღს წავაწყდი. ზედ ორი სტრაქონი ეწერა: დედას ისეთივე სწორი და მკაფიო ხელით დაეწერა, როგორც სიყმაწვილეში წერდა: „მე მინდა ძალიან უბრალოდ დამასაფლაოონ. არც ყვავილები, არც გვირგვინები საჭირო არ არის. უმჯობესია, რიგიანად ილოცონ ჩემთვის“. რა ეთქმოდა, შევუსრულეთ უკანასკნელი სურ-

ვილი, შერე უკეთესადაც, ვიდრე გვინდოდა: აკი ჩვენ მიერ შეკვეთილი ყვა-  
ვილები ავტობუსშივე დაგვრჩა.

□ □



მაინც რატომ დამცა ასეთი თავზარი დედის სიკვდილმა? მას შემდეგ, რაც  
დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყე, ძალზე იშვიათად თუ ვამჩნევდი კესკენ  
გული. როცა მამა გარდამეცვალა, დედის მწუხარების სიღრმემ და გულწრფე-  
ლობამ ამაღლევს, ხოლო მისმა მიაძრებამ გული ამიჩუყა. „თავს ძალას ნუ  
ატახო“, — მეუბნებოდა, რადგან ეგონა, ცრემლებს იმიტომ ვიკავებდი, რომ  
ვერიდებოდი, მწუხარება არ მომატებოდა. ერთი წლის შემდეგ დედამისის  
აღსასრულმა მტკივნეულად მოაგონა ქმრის უკანასკნელი წუთები. ნერვული  
დებრესიის შეტევამ ჩააგდო და დაკრძალვის დღეს ლოგინიდა არ წამომდგარა.  
ის დამე სასთუმალთან ვუჯექი და ისე ვუთიე. დამავიწყდა ზიზლი ამ ცოლ-ქმრის  
საწოლისადმი, სადაც მე დავიბადე და სადაც მამაჩემი გარდაიცვალა, ვუჯექი  
და მძინარეს ვუცქეროდა. ორმოცდათხუთმეტი წლისას, თვალდახუჭულსა და  
სახედაწყნარებულს, ჯერაც ლამაზი ვთქმოდა. აღტაცებას მგვრიდა, მისი გრძნო-  
ბების სიცხოველეს რომ მისივე ნებისთვის ეჯობნა. დედაზე, ჩვეულებრივ, გულ-  
გრილად ვფიქრობდი. მაგრამ თუ მამას იშვიათად და როგორღაც ბუნდოვნად  
გზედავდი სიხმრად, სამაგაეროდ დედა ხშირად მეცხადებოდა: მეცხადებოდა  
საარტიო თანაბრად, და ჩვენ ბედნიერი ვიყავით ერთად. შერე მაჯლაჭუბა მაწვე-  
ბოდა ძილში: რატომ ვცხოვრობ ისევ მასთან? როგორ მოხდა, რომ კვლავ მისი  
მბრძანებლობის ქვეშ მოვექეცი? ჩვენი დიდი ხნის წინანდელი ურთიერთობა  
უჩუჩრად ცოცხლობდა ჩემში და მას დამოუკიდებულების ორნაირი სახე მიე-  
დო: ერთსა და იმავე დროს ძვირფასიც და საძულველიც ჩემთვის. ეს დამოკი-  
დებულება სრული ძალით განახლდა, როცა დედის უბედურმა შემთხვევამ,  
მისმა ავადმყოფობამ და სიკვდილმა ცხოვრების ის შეჩვეული წესი მოშალა,  
რაც აქამდე ჩვენს ურთიერთობას განსაზღვრავდა. მისთვის, ვინც დედამიწას ტო-  
ვებს, დრო ილგევა, და რაც უფრო ვბერდები, ჩემი წარსულიც მით უფრო მცირ-  
დება. ჩემი ბავშვობის დროის „ძვირფასი დედოკო“ უკვე ვეღარ განმიცალკე-  
ვებია იმ გულფიცხი, მბრძანებლური ხასიათის ქალისაგან, რომელიც სიყრმის  
წლებში გასაქანს არ მაძლევდა. როცა დედას დავტიროდი, დავტიროდი ორივე  
მათგანს. კვლავ მიპყრობდა გულისტკივილი უკუღმართად წარმართული იმ ურ-  
თიერთობის გამო, რასაც თითქოს უკვე შევრიგებოდი. ორ ფოტოსურათს  
ვუცქერი, ისინი დაახლოებით ერთსა და იმავე დროსაა გადაღებული. მე თერა-  
მეტი წლისა ვარ, დედა ორმოცსაა მიტანებული. დღეს მე თვითონ მას დედად  
ვერგებოდი, ხოლო ამ სევდიანი თვალებით მომზირალ ქალიშვილს — დიდე-  
დად. ორივენი მებრალებიან — ჩემი თავი იმიტომ, რომ ასე ახალგაზრდა ვარ  
და არაფერი გამეგება. დედა კი იმიტომ, რომ მომავალი უკვე დახშულია მის  
წინაშე და ბედი აღარ არგუნებს რისამე გაგებას. ვერაფერს ვურჩევდი მათ.  
ძალა არ შემწევდა, წამეშალა დედის ხსოვნაში მისი ბავშვობის სიმწარე,  
რის გამო მეც მტანჯავდა და თვითონაც იტანჯებოდა. თვითონაც-მეთქი,  
რადგან, თუ მან რამდენიმე წლის სიცოცხლე მომიწამლა, მეც, ჩემდაუნებლი-  
ეთ, ვალში არ დავრჩენილვარ. იგი წუხდა ჩემი სულისთვის, მაგრამ აბარებდა

ჩემი მიწიერი წარმატებანი და იმავე დროს ავადმყოფურად განიცდიდა იმ სკანდალს, მის წრეში რომ ვიწვევდი. ძალზე არ ეამა, როცა ერთმა ნათესავმა განაცხადა: „სიმონი ჩვენი ოჯახის თავის მომჭრელია“.

დედის არსებაში ავადმყოფობის ხანს მომხდარმა ცვლილებებმა სინახული კიდევ უფრო მწვავედ მაგრძნობინა. უკვე ვთქვი, რომ დედა, რომელსაც მგზნებარე ტემპერამენტი მოსდგამდა, გაასასტიკაურობდა უარის თქმამ ყველაფერზე, დააკარგვინა წონასწორობა და სხეულისთვის სასურველად ასატანი გახადა. როცა ლოგინად ჩავარდა, გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს თავისი თავისთვის ეცხოვრა და მაინც განუწყვეტლივ წუხდა ახლობლებისთვის: მისი შინაგანი ჭიდილისგან პარმონია იშვა. მამაჩემი თავისი წრის ღვიძლი შვილი გახლდათ: მისი პირით მისივე კლასი მეტყველებდა. სიკვდილის წინ მითხრა: „შენ აღარე დაიწყე პურის ფულის შოვნა, შენი და კი ძვირად დამიჯდაო“. ამ სიტყვებისგან ცრემლი მყისვე შეგაშრებოდა. დედას იდეალური წარმოდგენები ბორკავდა და იმავე დროს სიცოცხლის მძაფრი სიყვარულით იყო აღსავსე; ეს სიყვარული წარმოადგენდა მისი მხნეობის წყაროს და, როცა სწეულებამ დაიგდო, იგივე სიყვარული დაეხმარა, ჭეშმარიტ ცხოვრებას მიახლოებოდა. ის დაზეპირებული ფორმულები უარყო, ყოველივე წრფელსა და მიძინიღველს რომ უჩქმალავდა. და მაშინ მის არსებაში ვიგრძენი სითბო და სინახე, რომელთა გამოხატვაც წინათ ასე ნაკლებად ეხერხებოდა და რასაც ასე ხშირად ვჭვიალობა აფუჭებდა. მის ჩანაწერებში ჩემდამი სიყვარულის დამამტკიცებელი რამდენიმე გულის ამაჩუყებელი საბუთი ვიპოვე. ორი დიდი ხნის წინანდელი წერილი შეენახა, ერთი — ნაცნობი იეზუიტის დაწერილი, მეორე — მისი მეგობარი ქალისა. ორვენი არწმუნებდნენ, რომ მოვიდოდა დრო, როცა მე დმერთისკენ პირს ვიბრუნებდი. თავისი ხელით გადაეწერა შამსონის რამდენიმე სტრიქონი, სადაც ავტორი ამბობს: „იმ ხანად, როცა ოცი წლისა ვიყავი, რომელმე ჩემ უფროს მეგობარს რომ შეძლებოდა, ჩემი წარმოსახვა მოეხიბლა ნიცშეზე, ჟიდზე, ნების თავისუფლებაზე საუბრით, ფეხს დაკრავდი და მშობლების სახლიდან გავიქცეოდიო“. იმავე საქალაქში გახეთიდან ამოჭრილი სტატია იღო: „ჟან-პოლ სარტრმა იხსნა ადამიანის სული“; ამ სტატიის ავტორი, ჩემი რური, მკითხველს ამცნობდა — ეს, სხვათაშორის, ტყუილი იყო — ტყვეთა ბანაკის ექიმმა ათეისტმა სარტრის „ბარიონა“ ნახა და რწმენა შეიცვალაო. მესმის, რისთვის სჭირდებოდა დედას ეს ჩანაწერები, — უნდოდა გული დაემშვიდებინა ჩემ გამო. ასეთი მისწრაფება არ ექნებოდა, ჩემი ხსნისთვის გაუნებელი ზრუნვით რომ არ ყოფილიყო შეჭირვებული. „ცხადია, ზეცაში მინდა მოვხვდე, მაგრამ მარტო კი არა, ქალიშვილებთან ერთადო“, — სწერდა ერთ თავის ახლო ნაცნობს, ახალგაზრდა მონაზონს.

ხდება ხოლმე, თუმცაღა ძალზე იშვიათად, რომ სიყვარული, მეგობრული ერთგულება, გრძნობა ამხანაგობისა სიკვდილისწინა მარტოობას დააძლევინებს ადამიანს. მაგრამ, მიუხედავად მოჩვენებითი სიახლოვისა, თვით იმ წუთებშიც, როცა დედის ხელი ხელში მეჭირა, განზე ვედექი მას: ვატყუებდი. და რადგან მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ატყუებდნენ, ეს ბოლო სიცრუე მძაგდა. თითქოს იმ შეთქმულებაში ვმონაწილეობდი, რომელსაც ბედი უმზადებდა. იმავე დროს მთელი ჩემი არსებით ვუჭერდი მხარს მის ამბობს, მის პროტესტს



სიკვდილის წინააღმდეგ: შესაძლოა ასე მტკივნეულად მიტომაც განვიცადე, როცა დამარცხდა. მე არ ვყოფილვარ მის გვერდით აღსასრულის წუთს. სამჯერ მინახავს მომაკვდავთა აგონია, მაგრამ მხოლოდ დედის სარეცელთან გავიგე, რა ყოფილა სიკვდილის მიერ ბოროტი დაცინვა, მისმიერი მანჭვა და კრუნჩხვა. გავიგე საშინელ ზღაპრებში დახატული სიკვდილი, ეს უცხო მხრიდან მოსული უღმობელი გადამთიელი, ხელში რომ ცელი დაუჭერია და კარზე აკაკუნებს. სიკვდილს ჰქონდა დედის სახე და მისი საზარლად დასწრისი კბილები, მისივე მიმნდობი ღიმილი.

„მისი სიკვდილის დროაო“. საბრალო, ეული მოხუცები, ბევრ მათგანს სულაც არ მიაჩნია, რომ მათი აღსასრულის უამბა დაჰკრა. ეს გაცვეთილი სიტყვები ხშირად მაგონდებოდა, როცა დედაზე ვფიქრობდი. არ მჭეროდა, რომ შეიძლებოდა სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცის გულწრფელად დატირება. როცა ორმოცდაათი წლის ქალს შევხვდებოდი, დედის ახლახან დაკარგვით დამწუხრებულს, ისტერიიან ქალად შევრაცხდი: ყველანი მოკვდავნი ვართ, ჰოდა თხმობი წლის ადამიანმა ვინძლო წუთისოფელი მოჭამოს-მეთქი.

მაგრამ არა. ადამიანი მარტო იმის გამო როდი კვდება, რომ დაიბადა, იცხოვრა, დაბერდა. იგი კვდება კონკრეტული მიზეზისაგან; და თუმცა დედას სიცოცხლის ბოლო წლებილა დარჩენოდა, მაინც თავხარი დაგვეცა, როცა შევიტყუეთ სარკომა ჰქონიაო. კიბო. ინფარქტი, ფილტვების ანთება — ყველაფერი ეს ისევე შემადრწუნებელი და მოულოდნელია, როგორც ფრენისას მომხდარი ავარია.

დედის მხნეობა ოპტიმიზმს ნერგავს: თითქმის დადამბლავებული, სიკვდილის პირას მყოფი, იგი იბრძოდა უზომოდ ძვირფასი თითოეული წამისათვის; და იმავე დროს ეს ამბო შეუპოვრობა სიკვდილის, ამ ვითომდა ჩვეულებრივი მოვლენის, ნამდვილ სახეს ააშკარავებდა. ბუნებრივი სიკვდილი გამოგონილია: არც ერთი უბედურება, რაც ადამის შეილს თავს ატყდება, არ შეიძლება ბუნებრივი იყოს, ვინაიდან ქვეყნიერება არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ადამიანი. ყველა ძეხორციელი მოკვდავია, მაგრამ ყოველი ადამიანისთვის სიკვდილი უბედურებაა, გაუმართლებელ ძალადობად რომ ევლინება, თუნდაც ადამიანი მორჩილად ეგებებოდეს მას.

## ბოლო სიტყვა

ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი, სიმონ დე ბოვუარი, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია (ჯან-პოლ სარტრთან და ალბერ კამიუსთან ერთად) დასავლური ფილოსოფიურ-ლიტერატურული მიმდინარეობის — ეგზისტენციალიზმის — ათეისტური ფრთისა. მისი ეს მოთხრობა ეხება სიკვდილის მარად ძველსა და მარად ახალ პრობლემას. მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევით — ეს ძველისძველი ბრძნული და ერთი შეხედვით მარტივი ჭეშმარიტება ადამიანთა ახალ-ახალ თაობებს ხელახალ საიდუმლოებად წარმოესახებოდა ხოლმე. ამთავითვე

უნდა აღინიშნოს: სიკვდილზე მსჯელობა, მასთან მიმართების გარკვევის ცდა, ჭერ კიდევ რო-  
ლი ნიშნავს პესიმიზმს. ამა თუ იმ ადამიანის ხასიათის თვისებებთან ერთად სიკვდილთან  
მიმართებას მნიშვნელოვანწილად პირობადებს სოციალური გარემო. სხვადასხვა საზოგადოებ-  
რივი კლასის, ფენის შვილი სხვადასხვანაირად ეკიდება არყოფნის საკითხს და სხვადასხვანაი-  
რად ხვდება აღსასრულს. ეს ნაირობა ჭერ კიდევ დიდმა ტოლსტოიმ გამრხანა არაჩვეულებ-  
რივი ძალითა და სიცხადით („ხანი სიკვდილი“, ნაწილობრივ ივან ილიჩის სიკვდილი“).  
თვით სხვადასხვა სოციალურ ხანასა თუ ისტორიულ პერიოდშიც განსხვავებული ყოფილა  
წუთისოფელთან განშორებისადმი მიდგომა. გიორგი პლესანოვი ამასთან დაკავშირებით შე-  
ნიშნავდა: რომაელისათვის უკვდავების მაგივრობას რომის დიდება ხწევდაო.

ბურჟუაზიულმა ეპოქამ უკიდურესად გააღვივა ინდივიდუალიზმი. ხოლო „მე-ს“ კულტი,  
როგორც ცნობილია, სიკვდილის შიშს ამძაფრებს ადამიანის სულში. ამ შიშს ზოგი დიდი ხე-  
ლოვანიც უწამებია.

მაგრამ, აი, მთავარი პირი სიმონ დე ბოვუარის მოთხრობისა, მწერალი ქალის დედა,  
ფრანსუაზ დე ბოვუარი, არც ახალი დროის ეგოცენტრიკოს ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის,  
არც რეფლექსიით შებურთბილ ინდივიდუალისტთა კატეგორიას; იგი ერთი უბრალო, სამოც-  
დათვრამეტი წლის მოხუცი ქალია, თანაც ღვთისმოსავი, სიცოცხლე კი არა და არ ეთმობა.  
ტანჯულ-წამებული ავადმყოფი გამწარებით ებლაუჭება არსებობის თითოეულ წამს. ცხადია,  
ენანება ამ ქვეყანასთან განშორება. მაგრამ მეტისმეტად მწვავეა ეს სინანული. თუ რატომ,  
მკითხველისთვის თანდათან ნათელი ხდება, როცა ეცნობა ფრანსუაზ დე ბოვუარის ხასიათსა  
და მისი ცხოვრების ბედს. ერთის მხრივ ის სამონასტრო სკოლაშია აღზრდილი და გონებაში  
მაგრად აქვს ჩაბეჭდილი მონასტრული ზნეობის პრინციპები. ეს პრინციპები ხორცის დათრ-  
გუნვისაკენ მოუწოდებს. ამავე დროს სიცოცხლის მოტრფიალეა და მისი სხეული წარმარ-  
თული ვნებიანობით მიელტვის სისხლსავსე მიწიერ ყოფას. ერთის მხრივ ის ბუნებით სათნო  
ადამიანია, მზად არის ყოველგვარ სიკეთეზე უარი თქვას ქმარ-შვილის გულისათვის. ამავე  
დროს ამაყი და თავმოყვარეა, ვერ ეგუება შეზღუდვას, უმძიმს ოჯახური საზრუნავი, თუმცა  
კი ცდილობს უდრტვინველად აიტანოს იგი (შიგადაშიგ მაინც ერევა გაანჩხლება). მერედა,  
რას იმკის სიყვარულისა და ერთგულების ნაცვლად ქმრისაგან? — ისეთ შეურაცხყოფას, რაიც  
ყველაზე უფრო მტკივნეულია მოსიყვარულე ცოლისთვის. და თუ გარდაცვლილ ქმარს მაინც  
აუგად ვერ უხსენებ, ეს უფრო მის შინაგან კეთილშობილებას მეტყველებს...

ცხოვრების წინააღმდეგობრიობა, ბურჟუაზიული წრის ცრურწმენა, ფრანსუაზ დე ბოვუა-  
რის ხასიათსაც წინააღმდეგურს ხდის, და იგი მოკლებულია სულიერ წონასწორობას. ამიტომ გა-  
საკვირი არ უნდა იყოს, თუ უკვე მომაკვდავი მოხუცი თავისი ცხოვრების სახელმძღვანელო  
პრინციპის ერთგვარ გადაფასებას ცდილობს და ცხოვრების ახლებურად დაწყებას აპირებს.  
აშკარაა, აქ თავს იჩენს განვლილი გზით გამოწვეული უკმარობის, დაუკმაყოფილებლობის  
გრძნობა, დანაჯარგის ანაზღაურებისა და წუთისოფლისაგან მეტის მიღების სურვილი.

მეტად მძიმეა მისი აღსასრული. საშინელი ფიზიკური ტანჯვა სულიერი ტანჯვითაა  
გამძაფრებული. სიკვდილი ავტორის მიერ აქ დახატულია არა როგორც ჩვეულებრივი მოვ-  
ლენა, მით უმეტეს, არა როგორც რელიგიური წარმოდგენით მონათლული „მიძინება“, არა-  
შედ ვით „უკანასკნელი ომი“, ომი მით უფრო ძნელი, რაკი წინდაწინვე იცი, რომ იგი წა-  
გებულია. ღვთისმოსავ ფრანსუაზ დე ბოვუარს რელიგიური რწმენა სულაც ვერ უმსუბუქებს  
აღსასრულს. უარყოფილია შეხედულება, თითქოს მორწმუნე ადამიანს უფრო ეიოლებოდეს  
სიკვდილი, ვიდრე ურწმუნოს. და ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტია. ოღონდ სიკვდილ-  
თან მიმართებას, მწერალი ქალის თვალსაზრისით, მეორე მხარეც აქვს. სიკვდილი არ არის  
მარტოოდენ უაზრობა და საშინელება. მისი მოახლოება, როგორც ამას მწერალი აღნიშნავს,

ფრანსუაზ დე ბოვუარის არსებაში გარკვეულ ცვლილებებსაც იწვევს, სასიკეთო ცვლილებებს, მომავლადეი ქალი ბოლოს და ბოლოს ბუნებრიობას იბრუნებს, თავისუფლდება გაზეპირებული ფორმულებისა და დასწავლილი ქცევისაგან, თავს აღწევს მუდმივ შინაგან წინააღმდეგობას და სულიერ ჰარმონიას იძენს. ასე რომ, ავტორის თქმით, თავისებურ ბედნიერებასაც კი ეწიარება სასიკვდილო სარეცელზე. შინაგანი წინააღმდეგობა, რაც ფრანსუაზ დე ბოვუარს მთელი სიცოცხლის მანძილზე ტანჯავდა, აღსასრულის დადგომამ მოახსენა. თქმის უფრო ლოგიკურია, სცნო ცხოვრების პირობების შეცვლა-გაადამიანურებდა, დაჭირებულ კომპირობებისა, რამაც, ავტორისავე გამოთქმით, დაამახინჯა და დაასახინჩრა დედამისის ბუნება. მაგრამ აქ საცნაური ხდება ეგზისტენციალისტური შეხედულება, რომლის თანახმადაც სიკვდილი ე. წ. „ზღვრული სიტუაციაა“, უკეთ, ერთ-ერთი „ზღვრული სიტუაცია“. სწორედ ამ ზღვრულ სიტუაციაში მოქცევისას ხდება ადამიანი თავისთავადი, ბუნებრივი; მაშინ იქცევა ის იმად, რაც ნამდვილად არის; მაშინ ვლინდება მისი ბუნების ჭეშმარიტი არსი.

თვითონ სიმონ დე ბოვუარი, რომელიც იმთავითვე შეიძლება დედის მონასტრულ სათნოებას, საპირისპირო შეხედულებების მქონე პიროვნებად ყალიბდება, ამისდა კვალობაზე ცხოვრების განსხვავებულ გზასაც ირჩევს. ადრიდანვე ამჯობინებს იგი დამოუკიდებლობას, პირადი თავისუფლების მოპოვებას. საკუთარი მორალური თვალსაზრისის ერთგული იმგვარ ნაბიჯსაც დგამს ცხოვრებაში, რომ ნათესავთა წრეში ოჯახის შემარცხვენლის სახელს იმსახურებს. საკითხავია, ცხოვრების არჩევანს რომ საკუთარი პრინციპებისა და ნება-სურვილის მიხედვით აკეთებს, პოულობს თუ არა ნანატრ სულიერ ჰარმონიას? მწერლის ერთი მოგონებებიდან ვიცით, რომ ის ჯერ კიდევ პანსიონში მყოფი შეუძრწუნებია სიკვდილზე ფიქრს: ერთხელ ღამით მთელი სიცხადით შეუგრძენია საკუთარი სხეულის ბრწუნადობა, თავისი სიცოცხლის წარმავლობა. მსგავსი შემთხვევა სიურმის ხანაში გამონაკლისი როდია. ამის მაგალითი ლიტერატურაში სხვაც მოიძებნება. ოღონდ ეს მეუსეული შიში ყოველთვის ტრაგიზმში სულაც არ გადაზრდილა. ის კი არადა, გაჩენის უმაღლეს დონეზე იდგა და აქ გადამწყვეტი ყოფილა, მაგალითად, მშობლის პირადი მაგალითი, ანდა ოჯახური ტრადიციის კეთილისმყოფელი გავლენა. ვერ იტყვი, რომ სიმონ დე ბოვუარი თავისიანებთან, თუნდ საკუთარ დედასთან გუნებათანაზიარობის, ან სულაც შინაგანი ერთობის მაღლს იცნობდეს. პირიქით, როგორც თვითონ გვამცნობს, სწორედ ამ ახლობელთა საქციელის წყალობით იმთავითვე იძულებული გამხდარა გული დაეხურა, შეჭავშნულიყო და საომისო აღთქმა დაედო თავისი თავის წინაშე, რომ რაც შეიძლება მტკიცედ და სამუდამოდ ჩაიკეტებოდა საკუთარი სულიერი სამყაროს ციხე-სიმაგრეში. ამგვარი გულდახურულობა, განთვიება, „მე-ს“ კულტივირებას იწვევს. ეს „მე“ და მის მიერ შექმნილი სამყარო ყველაზე უფრო ძვირფას რეალობად იქცევა. ხოლო ცოდნა ამ რეალობის გაქრობისა — ტრაგედიად. მართლაცდა, რა არის ავტორის ყველაზე უფრო სანუკვარი სურვილი? სახელის უკვდავება, როგორც თვითონვე აღიარებს, მისთვის ცოტაა („სიკვდილშემდგომი სახელი ნუგეშს ვერა მგვირისო“); სულის უკვდავებას რაც შეეხება, არა სწამს (ის ხომ ათეისტია); შთამომავლობის გზით საკუთარი არსებობის გაგრძელების აზრი გამორიცხულია. მაშ, რა რჩება? რჩება ნდობა პირადი ფიზიკური უკვდავებისა. ამიტომაა, რომ იგი არ სცნობს სიკვდილის არავითარ დროს ადამიანისათვის, არავითარ ბუნებრივ სიკვდილს. ამიტომაა, რომ ასეთი გააფთრებული იერიშს მიაქვს ბუნების საყოველთაო წესის წინააღმდეგ. მსგავსი სულაერი კრიზისი, როგორც მკობხველი მოიგონებს, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში გამოსცადა ლევ ტოლსტოიმ. ამ კრიზისის გამომწვევი კონკრეტული მიზეზები და მისი შემდგომი განვითარების გზა ორრვე შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. მაგრამ მთავარი განსხვავება ის არის, რომ ტოლსტოი თავისი უდიდესი ნებისყოფის შემწეობით, ცხოვრების აზრის შეუპოვარი ძიებითა და მარტივი ხალხური

(უფრო ზუსტად, პატრიარქალური) ყოფის საწყისებისაკენ მიბრუნებით ერკინებოდა სიკვდილის შიშის ტრაგიკულ განცდას თავის თავში, ხოლო სიმონ დე ბოვუარი, პირიქით, გზას უხსნის ამ შიშს, განაზოგადებს და ცდილობს, ნორმად თუ კანონად გამოაცხადოს. რა მიზანს ისახავს, როცა სიკვდილზე წერს? გარდა იმისა რომ ქირთა თქმა ლხენაა, მწერალი ქალის განცხადებით, თითოეული ადამიანი ცალ-ცალკე, განმარტოებით ებრძვის არყოფნის საყოველთაო შიშს; ამიტომ საჭიროა ლაპარაკი სიკვდილზე, რათა ადამიანებს შორის ერთობის გრძნობა გაღვივდეს ამ ბრძოლის რამდენადმე მაინც შესამსუბუქებლად.

მწერალი სათქმელს მოგვიტბრობს სადად, ლაკონიური ენით, რეალისტურ უაიდაზე, მოგვიტბრობს დოკუმენტური პროზისებრი სტილით, თბრობისას ავტორი თავშეკავებულია, გეგონება, „საქმიან კლინიკურ ანგარიშს“ გაბარებსო; მაგრამ ამ გარეგნული თავდაქერილობის მიღმა, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, შეინიშნება, როგორ სიმივით დაჭიმულა მისი სული. თბრობას თან ახლავს უაღრესი გულწრფელობა, გულახდილობა და შეუფარავი სიპართლე, რაც ჭეშმარიტი ხელოვანის ღირსებაა. ამავე დროს არსად შეიმჩნევა ცდა, ყოველივე ამით თავისებურად გაეკვალუცონ მკითხველს. მწერალი ფხიზელი ანალიტიკოსის გონებით გვაცნობს სინამდვილეს, გვაცნობს ისე, რომ მკითხველს შეუძლია ამოკითხოს მიზეზობრივი კავშირი მოვლენებს შორის. აღნიშნული თვისება, ანალიტიკურ სულთან ერთად, სიმონ დე ბოვუარის ნაწარმოების ძლიერი და ძვირფასი მხარეა. მაგრამ ერთი რამ მაინც შეუძლებელია არ ითქვას: ეს უკვე აღარ არის იმგვარი ხელოვანება, სიხარულს რომ განიჭებს. საქმე ამ შემთხვევაში მარტო „მძიმე შინაარსი“ როდია, არცთუ მარტოდენ მრწამსი ავტორისა. რამდენი მწერალია, არანაკლებ სამძიმო სურათს ხატავს, არც ოპტიმისტობით გამოირჩევა, მაგრამ მკითხველში მხოლოდ და მხოლოდ მძიმე განცდას როდი ბადებს. ერთის მხრივ თუ, შესაძლოა, გულს უბზარავს მკითხველს, იმავე დროს სულს უთრთოლებს მას. მაგალითად, დოსტოევსკი, ვისაც თავის დროზე „სასტიკი ტალანტის პატრონი“ უწოდეს და ვინც თვითონვე აღიარებდა, ნანას თქმა არ მეხერხებოდა („Я не мастер убаюкивать“), სინამდვილის საშინელების გარდა გაგრძობინებს სიცოცხლის გზნებასაც, და მერე როგორ გაგრძობინებს სიმონ დე ბოვუარის ნაწარმოები როგორღაც დაწურულია სიცოცხლის ამ გზნებისაგან. მართალია, მწერალი ქალი საგანგებოდ აღნიშნავს თავისი დედის იმედიაანობასა და სიცოცხლის მოყვარულობას, აღტაცებასაც კი გამოთქვამს მისი ამ თვისებების გამო, მაგრამ ეს უფრო ცნობად გეძლევა ავტორისაგან. გეძლევა როგორც „ცოდნა“, და არა როგორც ცოცხალი განცდა. თუმცადა, ზემოთქმული შეეხება არა მარტო სიმონ დე ბოვუარს, არც მხოლოდ დღევანდელ დღეს დასავლური ლიტერატურის გარკვეული ნაკადისას...

საინტერესოა, რით არის განპირობებული, რომ მწერალმა შეძლო და მოხუცი დედის გარდაცვალების კერძო შემთხვევა ხელოვნების საგნად, გარკვეული განზოგადებული მნიშვნელობის ლიტერატურულ ფაქტად აქცია. თქმა არ უნდა, დახვეწილი მწერლური ოსტატობა და მაღალი ინტელექტუალური დონე მას დიდად შველის. მაგრამ მარტო ეს პირობა ამ შემთხვევაში არ კმარა. საფუძველი უფრო ღრმად დევს. ეს არის გარკვეული ფსიქიკური შემზადებულობა თანამედროვე ადამიანისა, რომლის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია კიბოს, ინფარქტის, შიპერტონიის — XX საუკუნისად წოდებულ ამ სნეულებათა — საშიშროება, და რომელიც ამის გამო იძულებულია ანგარიშს უწევდეს იმ აზრს, რომ „ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“. მაგრამ არის საკუთრივ ფილოსოფიური საფანელიც: გვზისტენციალისტური კონცეფციით პრინციპულად სულ ერთია, ვის სიკვდილს ეხება საქმე, შემოქმედი ადამიანისას თუ მცონარასი, ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილის თუ სოციალური უკუღმართობის მსხვერპლისას. ყველა მათგანის აღსახრული თანაბარი მნიშვნელობისაა, რადგან მიჩნეულია, რომ სიკვდილი ადამიანის პირადი, ინდივიდუალური ტრაგედიაა.

ქართველი საბჭოთა მკითხველისთვის, იმ საზოგადოების წევრისათვის, რომლის მიზანია აღწარდოს არა „ჯოგური ინსტანქტებით“ გამსჭვალული უსახო ადამიანი, არამედ სრულყოფილი, პარმონიული პიროვნება, ვისაც, ძირეული პრობლემებისადმი, მათ შორის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისადმი, ცნობიერი მიდგომის გამომუშავება მართებს, სიმონ დე ბოვუარის აქ წარმოდგენილი ნაწარმოები ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

სიმონ დე ბოვუარი რამდენიმე რომანისა და პიესის, ფილოსოფიური ესსეს ავტორია. პირველი რომანი, „სტუმარი ქალი“, 1948 წელს დაბეჭდა; ამ და სხვა ადრინდელი ნაწარმოებების მთავარ ნაკლად ლიტერატურულ კრიტიკას ის მიაჩნია, რომ მათში ფილოსოფოსი ხშირად სძლევს მხატვარს, რომ მხატვრული სახეები წინასწარ შემუშავებული ლოგიკური კონსტრუქციების ტყვეობაშია მოქცეული. კრიტიკისავე შენიშვნით, გარდატეხა და შემოქმედებითი სიმწიფის ხანა იწყება რომანით „მანდარინები“ (1954), როცა მწერალი ქალი ნათლად შეიცნობს თავისი ნიჭის თავისებურებასა და ფარგალს, და მთლიანად მიენდობა ავტობიოგრაფიულ სტიქიას. ძირითად ეტაპადაც ფრანგი რომანისტი ქალის შემოქმედებით გზაზე მიაჩნიათ სწორედ მისი ავტობიოგრაფიული ტრილოგია „ზრდილი ქალიშვილის მემუარები“ (პირველი წიგნი გამოვიდა 1958 წ.; მეორე — 1959 წ.; მესამე — 1963 წ.). 1966 წელს, „ძალიან მშვიდი სიკვდილის“ შემდეგ, მწერალმა გამოაქვეყნა მოთხრობა „მშვენიერი სურათები“ (გამოცემულია რუსულ ენაზე „მოლოდაია გვარდიას“ მიერ 1968 წ.).

ქართულ ენაზე სიმონ დე ბოვუარის ნაწარმოები პირველად იბეჭდება.

თ. ჩხაიძე

\* \* \*

ძვირფასო, დღეს შენ განდოდა გეთქვა,  
რომ ხარ ზაფხულის დღეთა სიზმარი,  
პოეტის ტვინი და გულის ფეთქვა  
სხივებში გბეველა დღე და ცისმარი?

არა! ასეთი ლოყები, ცხვირი,  
ასეთი ნაზი, ლამაზი ბავშვი,  
ასე ციური თვალეები, პირი —  
არ შეიქმნება პოეტის თავში.

ბასილისკოებს, ურჩხულს, ვამპირებს,  
ფასკუნჯს, ელვაზე სწრაფად რომ მიჰქრის, —  
აი, ამნაირ ზღაპრულ ნადირებს  
ქმნის ცეცხლოვანი პოეტის ფიქრი.

ხოლო შენი ხმა და გულის ძგერა,  
შენებრ კეთილი, თვალადი ბავშვი,  
შენი ნაზი და მზაკვრული მხერა —  
არ შეიქმნება პოეტის თავში!

\* \* \*

დროა დავთმო, რაც მე დიდხანს მაგიყებდა,  
და შეშლილის როლზე ჯვარი დავსვა.  
კომედიას ვთამაშობდი აკი შენთან,  
რომელიმე მატრაბაზის მსგავსად.

მორთულიყო კულისები დაბინდული,  
მოხატული რომანტიკულ სტილით,  
სხივს აფრქვევდა მოსასხამი რაინდული,  
მქონდა განცდა ნატიფი და ტკბილი.

დღეს გონების თვალი ნათლად ამეხილა  
და თავს ვალწევ სისულელეს, მჯერა,  
მაგრამ გული ისე საწყლად გატეხილა,  
თითქოს დრამას ვთამაშობდე ჯერაც.



ჰოი, ღმერთო! ტკივილებით ღონემიხდილს  
თურმე მართლა ხელსა მრევდა დარდი;  
მე ვებრძოდი დაჭრილ მკერდში სიკვდილს  
და განწირულ გლადიატორს ვგავდი.

\* \* \*

შენი ღაწვი მიაკარი ჩემსას  
და ვიტუროთ საზიარო ცრემლით;  
შენი გული დააკონე ჩემსას  
და ავენთოთ ერთი გულას ცემით!

როცა გულთა მოგიზგიზე აღში  
ჩაიქცევა ჩვენი ცრემლის ღვარი,  
მძლავრი ხელით ჩაგიხუტებ გულში  
და შენს ფერხთით დავეცემი მკვდარი.

\* \* \*

ერთმანეთის გულისათვის დავიწვოდით,  
და ერთმანეთს ვეწყობოდით ძლიერ კარგად,  
„ცოლქმრობანას“ ვთამაშობდით და ვიცოდით,  
ბუზლუნი და ცემა-ტყეპა რომ არ ვარგა.

ჩვენ ერთმანეთს ვეგებოდით ფიანდაზად,  
 შევხაროდით და ვიკრავდით გულში ნაზად.  
 სადღაც ხევში ამოვყავით თავი მალე,  
 „მალულობა“ მოვიგონეთ გაშლილ ტყეში.  
 პოდა, მართლაც, ისე მარჯვედ დავიმალეთ,  
 რომ ერთმანეთს ვერა ვნახავთ თავისუფლად.  
 ბიზნისოსება

\* \* \*

ჭაბუკს უყვარს ქალიშვილი,  
 ქალი სხვას თვლის გულის სწორად,  
 იმ სხვას კიდევ სულ სხვა უყვარს  
 და ითხოვა კიდევ ცოლად.

ქალი ბრაზით მას მიჰყვება,  
 ვინც პირველად ხვდება თვალში,  
 ასეთ ამბავს რომ გებულობს,  
 გულმოკლული რჩება ვაჟი.

ეს ხომ ძველი ამბავია,  
 მაგრამ მარად ახლად თქმული;  
 ვისაც თავზე დასტეხია,  
 გასტეხია ყველას გული.

\* \* \*

როცა მესმის ჰანგი ერთი,  
 სანუკვარი სატრფოს თქმული,  
 ლამის არის გასკდეს მკერდი,  
 ნამსხვრევებად იქცეს გული.

შფოთავს ქუფრი ვნება ჩემი,  
 გამიყოლებს უღრან ტყეში  
 და ზღვა — ტანჯვის ზვირთთა ცემით  
 გადმოხეთქავს ცრემლთა თქეში.



სამი ხელმწიფე აღმოსავლელი  
ვიღოდა, წმინდა და იღუმალი.  
„ყრმანო, ბეთლემის გზა ხომ არ იცით?“ —  
„არა“, — ამბობდა კაცი თუ ქალი.



არვინ იცოდა... გზას განაგრძობდა  
სამი ხელმწიფე, სათნო და წმინდა,  
წინ მიუძღოდათ ოქროს ვარსკვლავი,  
ციმციმით სხივებს აფრქვევდა ციდან.

ის იოსების სახლზე გაჩერდა,  
იქ წმინდანებმაც შესვლა ინებეს;  
ხარი ბლაოდა, ბავშვი ჩხაოდა,  
გალობდა სამი წმინდანი მეფე.



უილიამ ფოლკნერი, ჩვენი დროის ერთ-ერთი უველაზე ცნობილი ამერიკელი მწერალია და მეოცე საუკუნის მხატვრული პროზის საუკეთესო ოსტატად ითვლება. ფოლკნეროლოგები, რომ არაფერი ვთქვათ მკითხველზე, ერთხმად აღიარებენ მისი შემოქმედების არაჩვეულებრივ სირთულეს. მაგრამ ეს სირთულე ნაძალადევი და „ტვინიდან გამოწურული“ კი არ არის, არამედ — ბუნებრივი, ცხოვრებისეული, ღრმა და მრავალფეროვანია.

ერთ-ერთ ინტერვიუში ფოლკნერს შესჩივლეს — თქვენი ნაწარმოებების გაგება ერთი წაკითხვით ძნელია, ზოგჯერ სამი წაკითხვითაცო. — მეოთხეჯერ წაკითხეთო, — მიუგო ფოლკნერმა.

ლიტერატურა და ხელოვნება, ფოლკნერის აზრით, უბრალო დასვენებისა და განცხრომის სფერო როდია, — ლიტერატურასა და ხელოვნებას უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და მხატვრული ნაწარმოებიც, ამიტომ, ისევე მძაფრი, მოძრავი და ყოვლისმომცველი უნდა იყოს, როგორც თვით ცხოვრებაა.

ფოლკნერმა, გალატაკებული პლანტატორის შთამომავალმა, მთელი სიცოცხლე გაატარა ამერიკის შეერთებული შტატების ე. წ. „ღრმა სამხრეთში“, მისისიპის შტატის პატარა ქალაქ ოქსფორდში, ყოფილ პლანტატორულ და მონათმფლობელურ მხარეში, რომელიც ამ ორისამი ათეული წლის წინათ ძალზე ჩამორჩენილ მხარედ ითვლებოდა ეკონომიური და კულტურული თვალსაზრისითაც. ფოლკნერმა დიდი დეწლი დასდო აშშ-ის სამხრეთის შტატების ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის აღორძინების საქმეს. მან მთელი თავისი შემოქმედება სამხრეთის შტატების წარსულისა და აწმყოს დასურათებას მიუძღვნა. ფოლკნერმა შექმნა ლეგენდარული ოლქი, ოლქს „იოჯნაპატოფა“ (ინდიური სახელწოდებაა) უწოდა, ოლქის ცენტრს — ჯეფერსონი. ეს ლეგენდარული სამყარო, თავისი ფანტაზიის ნაყოფი, მრავალფეროვანი პერსონაჟებითა და ლეგენდარული გმირებით დაასახლა. ოცდაათიან წლებში გამოსცა რომანი „აბესალომ, აბესალომი“, რომელსაც „იოჯნაპატოფას“ რუკა დაურთო. ორმოციან, ორმოცდაათიან წლებში ეს რუკა თანდათან ივსებოდა ახალ-ახალი გეოგრაფიული მონაცემებით, „იოჯნაპატოფას“ ლეგენდარული სამყარო მდიდრდებოდა ახალი ფაქტებით, ახალი დრამატული სიუჟეტებით, ტრაგედიებით, გმირებით... „იოჯნაპატოფას“ ოლქის ციკლში თითხმეტი რომანი და მწერლის მოთხრობების უმრავლესობა შევიდა.

ფოლკნეროლოგიაში დღეს უკვე მიღებულია ასეთი გამოთქმები: „ფოლკნერის მითიური სამეფო იოჯნაპატოფა“, „იოჯნაპატოფას ქრონოლოგია“, „იოჯნაპატოფას გეოგრაფია“, „იოჯნაპატოფას მოსახლეობა“ და სხვა. უველა ამ გამოთქმაში იგულისხმება „ღრმა სამხრეთის“ ისტორია, წარსული, სამოქალაქო ომი, რასობრივი საკითხი, სამხრეთის ბედ-იღბალი, პლანტატორთა, ზანგთა, ინდიელთა და ღარიბ თეთრკანიანთა ურთიერთობანი, მათი თანამედროვე ყოფა... ასე რომ, ერთი შეხედვით ფოლკნერი თითქოს ვიწრო, რეგიონალური მწერლის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სამხრეთის შტატების წარსულისა და აწმყოს სოციალური სინამდვილის გადმოცემით როდი იფარგლება „იოჯნაპატოფას ოლქის“ ციკლის ნაწარმოებთა მნიშვნელობა. ფოლკნერი ლოკალურ მასალას დიდი მხატვრული ოსტატობით იყენებს თანამედროვე დასავლეთის ურთულესი პრობლემების გასაშლელად, ადამიანის რწმენის დაკარგვისა და მისი ძიების, ამ რწმენის ხელახლა მოპოვების მტკივნეული პროცესის გამოსახატავად.

უილიამ ფოლკნერი ცხრამეტი რომანის ავტორია: „ჯარისკაცის საზღაური“ (Soldier's Pay) (1926 წ.), „ქინქლები“ (Mosquitos) (1927 წ.), „სარტორისი“ (Sartoris) (1929), „ხმაური

და მძვინვარება“ (The Sound and the Fury) (1929 წ.), „მე რომ მომაკვდავი ვესვენე“ (As I Lay Dying) (1930), „სათვისტომო“ (Sanctuary) (1931), „ნათელი აგვისტოში“ (Light in August) 1932 წ.), „საქრდენი“ (Pylon) (1935 წ.), „აბესალომ, აბესალომი“ (Absalom, Absalom!) (1936), „დაუპყრობელნი“ (The Unvanquished) (1938 წ.), „ველური პალმები“ (The Wild Palms) (1939 წ.), „სოფელი“ (The Hamlet) (1940 წ.), „ჩამოვედ, მოსე“ (Go Down, Moses) (1942 წ.), „წეშტის გამთხრელნი“ (Intruder in the Dust) (1948 წ.), „მხეტრობის გამბიტი“ (Knight's Gambit) (1949 წ.), „იგავი“ (A Fable) (1954 წ.), „ქალაქი“ (The Town) (1957 წ.), „სახლი“ (The Mansion) (1959 წ.), „გამტაცებელნი“ (The Reivers) (1962 წ.)

მხატვრული ოსტატობით, განსაკუთრებით არქიტექტონიკითა და თხრობის მანერით ფოლქნერის რომანები არ ჰგავს ერთმანეთს. გამოჩაყლის წარმოადგენს მხოლოდ იდეურ-მხატვრულად შეკრული ტრილოგია: „სოფელი“, „ქალაქი“, „სახლი“. ფოლქნერი-რომანისტი გაბედული ექსპერიმენტატორია, მაგრამ ექსპერიმენტს ექსპერიმენტისათვის და ნოვატორობით კოეცობისათვის კი არ მიმართავს, — ექსპერიმენტი მწერლის ცხარე და გაბედული მხატვრული ძიების ნიშანია. მას სურს, რაც შეიძლება სრულად და ღრმად გამოხატოს სუნამდვილე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — „გულის ძველთაძველი ქეშმარიტებანი“.

ფოლქნერი წერდა მოთხრობებსაც. ცნობილია მისი მოთხრობების კრებულები: „ეს ცამეტნი“ (These Thirteen) (1930 წ.), „დოქტორი მარტინო და სხვა მოთხრობები“ (Doctor Martino and Other Stories) (1934 წ.), „მოთხრობების კრებული“ (Collected Stories) (1950 წ.), „უღრანი ტყე“ (Big Woods) (1955 წ.), „ნიუ ორლეანური სკეტჩები“ (New Orleans Sketches) (1958 წ.). მოთხრობებში ფოლქნერი ნაკლებად მიმართავს ექსპერიმენტს ეს აღმათ ამერიკულ ლიტერატურაში ნოველისტიკის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციით აიხსნება.

ფოლქნერს აქვს აგრეთვე ერთი პიესა: „რექვიემი მონაზვნისათვის“ (Requiem for a Nun) (1951 წ.). ეს ნაწარმოები პიესაა იმდენად, რამდენადაც მასში დიალოგები ჭარბობს, მაგრამ რემარკების ნაცვლად ძალიან ვრცელი ეპიური აღწერებიცაა მოცემული.

წარმოუდგენელია ფოლქნერის მხატვრული სტიქიის ვიწროვად გაგება. იგი ტრადიციული-ლად და მოდერნულიც, თანაც არც გასული საუკუნის ლიტერატურის ნორმებს ექვემდებარება და არც მოდერნული ლიტერატურული სკოლებისა. ამას მოწმობს თუნდაც ის უბრალო ფაქტი, რომ მისი შემოქმედების ირგვლივ იწერება მონოგრაფიები, ტომები, კრებულები, სტატიები და ამ ზღვა ფოლქნეროლოგიურ ლიტერატურათმცოდნეობაში ძნელად მოიძებნება მწერლის ორი ერთნაირი გაგება-შეფასება. რა საზომით, რა მოდელით, რა თარგით არ უდგებიან მკვლევარები ფოლქნერის მხატვრულ თავისებურებას, და მაინც ყოველი მხატვრული მეთოდი პოულობს თავის გამართლებასა და მდიდარ დამასაბუთებელ მასალას მის შემოქმედებაში, მაგრამ მწერლის მთელი, მრავალფეროვანი შემოქმედება არ თავსდება არც ერთ მოდელში, არ შეესიტყვება ერთ რომელიმე მეთოდს. ფოლქნერმა მრავალი ცნობილი და ნაკლებად ცნობილი, უძველესი და უახლესი ლიტერატურის გავლენა განიცადა, დაწყებული ანტიკური ტრაგედიიდან, გათავებული თანამედროვე დეტექტიური რომანით, მისი მხატვრული თავისებურება ეხმანება ერთდროულად ძველ ბერძნულ ტრაგედიასაც და ბიბლიასაც, ე. წ. გოტიკურ, საშინელებათა და კოშმარების რომანსაც, ედგარ პოსა და ნათანიელ ჰოთორნის პროზას, ჰერმან მელვილის სამბოლიკას, ჯეიმზ ჯოისის „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდს, ჯოზეფ კონრადის თხრობის მანერას, ჰენრი ჯეიმზის ფსიქოლოგიზმს, სამხრეთის შტატების ფოლკლორსა და მარკ ტვენის იუმორს, ჩარლზ დიკენსის გროტესკს, დეტექტიურ რომანს, ბალზაკის რეალიზმს... და მაინც, მან შექმნა ამერიკულ ლიტერატურაში ხარისხობრივად ახალი, ორიგინალური, მალამმხატვრული პროზა და დიდი სიმძაფრით გამოხატა ადამიანის მარტოობა, განწირულობა, დაძაბული ფსიქიკა და განცდები, თავისი ადვილისა და რწმენის ძიება თანამედროვე ცივილიზაციის ვითარებაში.



უილიამ ფოლქნერმა მოღვაწეობა დაიწყო ოცოცნ წლებში, მაგრამ მისი სახელი ბევრმა ამერიკელმა მხოლოდ 1950 წელს გაიგო, როცა მწერალს ნობელის პრემია მიენიჭა. ფოლქნერი ამ დროისათვის საკმაოდ ცნობილი იყო ევროპის ქვეყნების ლიტერატურულ წრეებში,

ყველაზე მეტად საფრანგეთში; იგი თარგმნილიც იყო და საგულისხმო გამოკვლევებიც არსებობდა მის შემოქმედებაზე. მწერლის სამშობლოში კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე დადებითი ხასიათის წერილს, ფოლკნერს კიცხავდნენ რთული რიტორიკული სტილისათვის, გრძელი, მძიმე წინადადებისათვის, აცხადებდნენ რეაქციონერად, უჩვეულო კომპარებით აღსავსე, ლამის შელოდრამატული რომანების ავტორად. მაგრამ ნობელის პრემიის მიღების დროს მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, მწერლის ჰუმანურმა მოწოდებამ აღტაცება გამოიწვია მსოფლიოს მოწინავე ადამიანებში, ხოლო ამერიკულმა ლიტერატურათმცოდნეობამ ახალი თვლით შეხედა ფოლკნერის შემოქმედებას. მალე მას ბევრი მსჯელობა და მსაქმობარო გამოუჩნდა, მათ რიგებს მწერლის ყოფილ მაძაგებელთა უმრავლესობაც შეუერთდა. ამ სიტყვამ ფოლკნერის მთელი შემოქმედება ახალი კუთხიდან გაანათა, მკვლევარებიც და მკითხველებიც მანამდე შეუმჩნეველ სიღრმეებში ჩაახედა მისი ენობრივი სირთულის კანონზომიერებაც დადგინდა. მწერლის შემდგომმა ნაწარმოებებმა კიდევ უფრო ნათელჰყო, რომ ფოლკნერის მთელი შემოქმედება, — ეს იყო დაძაბული გულწრფელი ძიება და სწრაფვა ჰუმანიზმისაკენ. ფოლკნერის სიტყვა, წარმოთქმული სტოკჰოლმში ნობელის პრემიის მიღების დროს, ამჟამად მრავალ ანთოლოგიასა და სახელმძღვანელოს ამშვენებს. ამიტომ, საჭიროდ მივიჩნით მისი თარგმნა ქართულ ენაზეც.

ამ წარმოდგენილი ვალერი კვადუასა და გივი ლაუშვილის მიერ თარგმნილი მოთხრობები „წითელი ფოთლები“ (Red Leaves) (1980) და „უოში“ (Wash) (1984) „ოცნაპატოფას“ ოლქის ციკლის ნაწარმოებებია. ორივე მოთხრობა ხასიათდება ფოლკნერისებური მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით.

ციალა თოფურიძე

უილიამ ფოლკნერის სიტყვა

წარმოთქმული სტოკჰოლმში, ათას სხარაას ორმოცდაათი წლის ამ დეკემბერს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღების დღეს

ვგრძნობ, რომ ეს პრემია მომანიჭეს არა პირადად მე, როგორც კაცს, არამედ ჩემს შემოქმედებას — მთელი ცხოვრების ნაჭირვებს, სიმწრის ოფლში ტანჯვა-გამოვლილ ადამიანურ სულს, ნაწამებს არა სახელისა ან სიმდიდრის მოსახვეჭად, არამედ იმისათვის, რომ ადამიანური სულისაგან რაღაც მანამდე არარსებული შემეჭმნა. ამგვარად, ეს ჯილდო მხოლოდ ნდობის გამოცხადებად მიმაჩნია. ძნელი არ იქნება პრემიის ფულადი ნაწილი დანიშნულებისამებრ გამოვიყენო და გავცე მისი მთავარი მიზნისა და მნიშვნელობის შესაბამისად. მაგრამ მე მსურს ეს ზეიმიც, ეს წუთიც ასევე გამოვიყენო, ეს ადგილი ვაქციო უმაღლეს ტრიბუნად და ხმა მივაწვდინო იმ ახალგაზრდებს, ვისაც ამგვარივე წამებისა და ტანჯვისათვის გაუწირავთ თავი. მათ შორის უკვე მოიპოვება ის პიროვნება, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, სადაც მე ვდგავარ, ამავე ადგილს დაიკავებს.

ჩვენი დღევანდელი ტრაგედია საერთო და ყოვლისმომცველი შიშია, რასაც იმდენი ხანია განვიცდით, რომ ლამის შეგვიჩვიეთ კიდევ. სულის პრობლემებისათვის ვიღას სცალია. ახლა ერთი კითხვაა აწუხებს ყველას: როდის გამაცამტვერებენ? ამიტომაცაა, რომ დღეს ახალგაზრდა მწერალს გადაავიწყდა მთავარი პრობლემა — ადამიანის გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, რომლის გარეშე კარგი მწერლობა ვერ შეიქმნება, რადგანაც მხოლოდ მასზე ღირს წერა, მისთვის ღირს ტანჯვა და ოფლის ღვრა.

ყველაფერი ეს მან თავიდან უნდა ისწავლოს. უნდა შეიგნოს, რომ შიში ბილწზე უბილწესი გრძნობაა; შეიგნოს ესა და შიში სამუდამოდ დაივიწყოს, მაშინ მის სამჭედლოში ადგილი აღარ დარჩება სხვა არაფრისათვის, თუ არა გულის ძველის-ძველი ჭეშმარიტებებისა და სიმართლისათვის: სიყვარული, პატიოსნება, სიბრალული, სიამაყე, თანაგრძნობა, თავგანწირვა, — აი, ის ძველთაძველი უნივერსალური სიმართლენი გულისა, რომელთა გარეშე ყოველგვარი ნაწარმოები განწირულია და არარაობად იქცევა. უამისოდ მწერლის ღვაწლს მადლი არ მოეცხება. იგი წერს არც სიყვარულზე, არანედ ავხორცობაზე, დამარცხებაზე, რომელშიაც არავინ კარგავს რაიმე ღირებულს, გამარჯვებაზე, რომელსაც არავითარი იმედი არ მოაქვს და, რაც ყველაზე უფრო სავალალოა, წერს უსიბრალულოდ და უთანაგრძნობოდ. მისი დარდი და მოთქმა ქვეყნის სატირალს არ ტირის, გულში იარასაც ვერ დააჩენს. იგი წერს არა გულზე, არამედ სვერეციებზე.

მანამ ხელახლა შეიგნებდეს ყველაფერ ამას, იგი წერს ისე, თითქოს ადამიანთა შორის იდგეს და კაცობრიობის აღსასრულს შეჰყურებდეს. მე უარვყოფ, არ მწამს კაცობრიობის აღსასრული. სულ ადვილია თქმა, ადამიანი უკვდავიაო, იგი ხომ ყველაფერს იტანს: მზის უკანასკნელად ჩასვენების ჟამს, როდესაც ირგვლივ თანდათან მწუხრი დაისადგურებს, დაშრეტილ ზღვაში უბადრუკად გამოკიდულ უკანასკნელ კლდეზე საბედისწერო განკითხვის ზარების გრგვინვა-გუგუნი რომ მიწყდება, მაშინაც კი რაღაც გაიხნაურებს: ეს — ადამიანი ალუღლუღდება ბოლომდე ჩაუხშობელი მიკნაგებული ხმით. მე ამასაც ვერ ვირწმუნებ. მჯერა, ადამიანი არა მარტო გაუძლებს, კიდევ გაიმარჯვებს. ადამიანი უკვდავია, განა იმიტომ, რომ ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ მას აქვს ბოლომდე ჩაუხშობელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს გული, აქვს სული, სული, რომელსაც შესწევს თანაგრძნობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი. სწორედ ამაზე წერაა პოეტის, მწერლის მოვალეობა. მისი საპატიო ვალია მიეშველოს ადამიანს მთომინება-გამძლეობაში, გაამხნევოს, გული გაუმაგროს, მოაგონოს კვლავაც მამაცობა, პატიოსნება, იმედი, სიამაყე, თანაგრძნობა, სიბრალული, თავგანწირვა, — ყველაფერი ის, რაც ადამიანის წარსულს დიდებით მოსავდა. პოეტმა უბრალოდ კი არ უნდა აღნუსხოს ადამიანის ყოფა, უნდა დაეხმაროს მას, საყრდენ ბოძად, ბურჯად გამოადგეს, შეაძლებინოს ამტანობა და გამარჯვება.

ინგლისურიდან თარგმნა  
ლიალა თოფურიძემ



სატპენი ტახტთან იდგა, რომელზეც დედა და ბავშვი იწვნენ. აღრეული მზის სხივები ფანქრის ხაზებივით ატანდნენ კედლის გამხმარ ფიკრებში, სატპენის განზე გადგმულ ფეხებსა და მათრახიან ხელზე ტყდებოდნენ და დედის უძრავ სხეულს ეცემოდნენ. ახალგაზრდა ქალი ქვემოდან შესცქეროდა სატპენს მშვიდი, იღუმალებით მოცული, დაღვრემილი თვალებით. ბავშვი დაძენძილ, თუმცა სუფთა ნაჭერში გაეხვიათ. ბებერი ზანგი დედაკაცი იქვე, მონგრეულ ბუხართან ჩაცუცქულიყო, რომელშიც მინელებული ცეცხლი ბუტავდა.

— ეჰ, მილი, ნეტავ ფაშატი მაინც იყო, — თქვა სატპენმა — მაშინ ერთ რიგიან ბავას მიგიჩენდი ჩემს თავლაში.

ქალი არ განძრევულა, ისევ ისე უაზროდ შეჰყურებდა. ახალგაზრდა, ნაღვლიანი, ამოუცნობი სახე ცოტა ხნის წინ გადატანილი ტკივილებისაგან გაფითრებოდა. სატპენი შეიარბა, მზის დამსხვრეულ სხივებში სამოცი წლის კაცის სახე გამოჩნდა. მან წყნარად მიმართა ჩაცუცქულ ზანგ დედაკაცს:

— გრიზელდამ ავიცი მოიგო ამ დილით.

— ფაშატი თუ ულაყი? — იკითხა ზანგმა.

— ულაყი. ზორბა კვიცია... ეს ვილაა? — მათრახიანი ხელი საწოლისაკენ გაიშვირა.

— ეს, მგონი, ფაშატია.

— უჰ, ზორბა კვიცია, ზედგამოჭრილი რობ-როი დადგება. ჩრდილოეთისაკენ რომ გავაჭენე ნ1-ში, გახსოვს?

— დიახ, სერ.

— ეჰ, — თვალი ისევ ტახტს შეავლო. ვერ იტყოდით, ქალი კიდევ უთვალთვალეზდა თუ არა. მათრახიანი ხელი ტახტისკენ გაიშვირა:

— კარგად მიხედე, არაფერი დაიშურო.

მორყეულ კარში გავიდა და გაბარდულ ბალახში ჩააბიჯა (გარედან, აივნის კუთხეზე ჟანგიანი ცელი იყო მიყუდებული, რომელიც უოშმა ამ სამითვის წინ გამოართვა სატპენს ბალახის გასათიბად), სადაც მისი ცხენი იცდიდა და უოში იდგა აღვირით ხელში.

როდესაც პოლკოვნიკი სატპენი იანკებთან საბრძოლველად გაემგზავრა, უოში თან არ გაჰყოლია. განუკითხავად ყველას ამას ეუბნებოდა: პოლკოვნიკის კარმიდამოსა და ზანგებს უნდა მივხედოო. გამხდარი კაცი იყო. ერთ ღროს ციება გადაეტანა. წყალ-წყალა, ცნობისმოყვარე თვალები ჰქონდა; ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცსა ჰგავდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ქალიშვილი და რვა

წლის შვილიშვილი გოგონა ჰყავდა. უოშის მსმენელთა უმრავლესობას (შინ დარჩენილ რამდენიმე მამაკაცს, თვრამეტი წლისა იქნებოდა თუ ორმოცდაათისა) არ სჯეროდა მისი მონაჩმახი, თუმცა, ზოგს მიაჩნდა, თვითონ ნამდვილად სწამსო თავისი ნათქვამი, მაგრამ ესენიც კი დარწმუნებულნი იყვნენ, უოშს იმდენი ჰკუა აქვს, ეს აზრი ქალბატონ სატპენტან ან სატპენის მონებთან არ წამოროშოსო. ან ნამდვილად გონიერია, ან სიზარმაცით მოსდისო, ამბობდნენ ისინი, ვინც იცოდა, რომ სატპენის პლანტაციასთან უოშს ერთადერთი საერთო ისა ჰქონდა, რომ კარგა ხნის წინ სატპენს, როცა ჯერ კიდევ უცოლო იყო, მისთვის ნება დაურთავს დასახლებულიყო ერთ ნახევრად დანგრეულ ქოხში, რომელიც მდინარის დაჭაობებულ კალაპოტში სათევზაო სადგომად აეგო. მას შემდეგ ეს ქოხი უპატრონობით დაძველდა, ნახევრად ჩაიქცა და ახლა ბებერსა და საზარელ ავადმყოფ ნადირსა ჰგავდა, სიკვდილის წინ წყლის სასმელად რომ მიბობდავს.

სატპენის მონებსაც მოეკრათ ყური უოშის ამ განცხადებისათვის. ისინი იცინოდნენ. უწინაც ხშირად აეგდოთ მასხარად. ზურგს უკან „თეთრ ნაგავს“ ეძახდნენ. ახლა პირდაპირ დაუწყეს გამოკითხვა: ჯგუფ-ჯგუფად დახვდებოდნენ ხოლმე ოდნავ გაკვალულ ბილიკზე, მდინარის დაჭაობებული კალაპოტიდან და ძველი სათევზაო სადგომიდან რომ მოდიოდა, და ეკითხებოდნენ:

— ომში რატომ არ წახვედი, თეთრო?

შეჩერდებოდა და თვალს მოავლებდა შავი სახეების წრეს, თეთრ კბილებსა და თვალებს, რომელთა სიღრმეში დაცინვა იმალებოდა.

— იმიტომ, რომ ჩემს შვილსა და ოჯახს უნდა მივხედო, — უპასუხებდა უოში, — გზიდან გამეცალეთ, თქვე ტურტლიანებო.


— ტურტლიანებო? — იმეორებდნენ ისინი, — ტურტლიანებო? — ეცინებოდათ, — თვითონ ვინა გდია, ტურტლიანებს რომ გვეძახის.

— ომში როგორ წავიდოდი, ერთი ზანგიც კი არ გამაჩნია, ჩემი ოჯახისთვის რომ მივხედა, — თავს იმართლებდა უოში.

— არც იმ დამპალი ქოხის მეტი გაბადია რამე, რომელიც პოლკოვნიკმა ჩვენც კი ვერ შემოგვკადრა საცხოვრებლად.

მაშინ ლანძღვა-გინებას მოჰყვებოდა. ხანდახან ჯოხს დასტაცებდა ხელს და შეუტევდა. ისინი გაიფანტებოდნენ ხოლმე, მაგრამ თითქოს ისევ გარს ეხვივნენ. მოუხელთებელნი და აბეზარნი, გამჭირდავი შავი სიცილით დასტრიალებდნენ თავს: მერე კი გაცოფებულ, ღონემიხდილ და სულშეხუთულ უოშს მართო სტოვებდნენ ბილიკზე. ერთხელ, ამგვარი რამ თვით დიდი სახლის უკანა ეზოშიც შეემთხვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ტენესის მთებიდან და ვიკსბურგიდან მწარე ამბებმა ჩამოაღწია; შერმანმა გადათელა პლანტაცია და ზანგების უმრავლესობა თან გაიყოლა. ფედერალურმა ჯარმა თითქმის ცარიელზე დასტოვა სატპენის ოჯახი და ქალბატონმა სატპენმა უოშს შეუთვალა, ველური ყურძნის დასაჭრედად მოსულიყო, რომელიც სახლის უკან, ტალავერში მწიფდებოდა. უოშს ამჯერად ერთმა შინამოსამსახურემ დაუცაცხანა, ეს ქალი ერთ-ერთი იმ რამდენიმე ზანგთაგანი იყო, რომლებიც შინ დარჩნენ. მან კიბის საუფხურები აირბინა და შემობრუნდა.

— მანდ დაეტყე. თეთრო. ფეხი არ მოიცვალო. სანამ პოლკოვნიკი აქ იყო, ამ კიბეს არ გაჰკარებოხარ და ვერც ახლა გაეკარები.





ქალი მართალს ამბობდა, მაგრამ უოშს თითქოს ეამაყებოდა კიდევ: არასოდეს დაუპირებია დიდ სახლში შესვლა, თუმცა სწამდა, თუ მოინდომებდა, სატპენი შესვლას არ დაუშლიდა, მასპინძლობასაც გაუწევდა.

— ეგლა მაკლია, ტურტლიანმა ზანგმა მიკარნახოს, საით წავიდეთ და საით არა, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — მაგრამ არც ის მინდა, ზანგები ~~გაღაშდონ~~ ჩემი გულისთვის.

ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა სატპენტან, თუმცა, კვირალბით, რაღაც სატპენის სტუმრები არ ჰყავდა, უოშს არა ერთი საღამო გაუტარებია მასთან. გულში ალბათ გრძნობდა, რომ სატპენს მეტი არაფერი დარჩებოდა; ისეთი კაცი იყო. მარტობას ვერ იტანდა. მთელ საღამოს ერთად ისხდნენ ხოლმე ტალავერში; ჰამაკში ჩაწოლილი სატპენი და ტალავერის ბოძთან ჩაცუცქული უოში შუაში წყლის ბადიას ჩაიდგამდნენ და ერთსა და იმავე მოწნულ ბოცას რიგრიგობით იყუდებდნენ. კვირის დანარჩენ დღეებში უოში თვალს მოჰკრავდა ხოლმე სატპენს — ახოვან, ზვიად კაცს (ერთი ხნიანი იყვნენ, თითქმის ერთ დღეს დაბადებულნი, თუმცა არც ერთი არ დაფიქრებულა ამაზე. ალბათ იმიტომ, რომ უოშს უკვე შვილიშვილიც ჰყავდა, სატპენის შვილი კი ჯერ მცირეწლოვანი იყო და სკოლაში სწავლობდა), ზორბა, ამაყ ბედაურზე ამხედრებული პლანტაციის კენს დაატენებდა. ასეთ წამებში თავს მშვიდად გრძნობდა; გული სიამაყით ევსებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს ეს ჰვეყანა, სადაც ღმერთს ზანგები (მააზე უკეთ ჩაცმულნი, დაბინავებულნი და დაპურებულნი რომ იყვნენ) გოანებაჩლუნგ პირუტყვად გაეჩინა (ასე ასწავლიდა საღვთო სჯული), ეს ჰვეყანა — სადაც ყოველ ნაბიჯზე შავი სიცილის დამცინავი გამოძახილი ჩაესმოდა, სიზმარი იყო მხოლოდ ან ილუზია, ხოლო ნამდვილი სამყარო იქ ეგულებოდა, სადაც მისი დიდების ეული ლანდი შავ ბედაურს მიაგელვებდა. ფიქრობდა: „დაბადებაში ნათქვამია, გამჩენმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნაო. პოდა, ყველა ადამიანს, ღმერთის თვალში მაინც, ერთი სახე უნდა ჰქონდეს. მაშ თუ ასეა, საკუთარ თავზეც შეუძლია თქვას: „ახოვანი, ზვიადი კაცი, თვით ზეცაერი მეუფე რომ გამოცხადდეს ამ ჰვეყნად, ალბათ ასეთ სახეს აარჩევს“.

სატპენი 1865 წელს დაბრუნდა, თავის შავ ბედაურზე ამხედრებული. ათი წლით დაბერებული ჩანდა. შვილი ზამთარში დაეღუპა ბრძოლის ველზე; ცოლიც იმავე ზამთარს გარდაეცვალა. გენერალ ლის მიერ ნაბოძები, გმირობის დამადასტურებელი ქალაქით დაუბრუნდა თავის გაპარტახებულ პლანტაციას, სადაც, აი, უკვე ერთი წლის მანძილზე მის ქალიშვილს ძლივძლივობით გაჰქონდა თავი იმ ადამიანის ნაწყალობევით, ვისთვისაც სატპენს თხუთმეტი წლის წინ ერთი ნახევრად დანგრეული სათევზაო სადგომი გაემეტებინა და ვისი არსებობა აღარც კი ახსოვდა. უოში დასახვედრად მოსულიყო, ძველებურად აწოწილს ახალგაზრდული იერი და წყალწყალა თვალების ცნობისმოყვარე გამოხედვა შერჩენოდა. მორიდებულად, ოდნავ ქედმოხრილად, თან ძმაბიჭურად მინართა სატპენს:

— გავწყვიტეს, პოლკოვნიკო, მაგრამ მაინც ვერაფერი დაგვაკლეს. ხომ მართალს ვამბობ?

მომდევნო ხუთი წლის მანძილზე მუდამ ომზე საუბრობდნენ. ახლა უკვე იაფფასიან ვისკის სვამდნენ თიხას დოქიდან. ტალავერის მაგივრად, პატარა

მაღაზიის უკანა ოთახში ისხდნენ ხოლმე. ეს მაღაზია — თაროებით გაწყობილი ოთახი — სატპენმა გახსნა შარავნაზე და უთმის დახმარებით ჰყიდდა სხვადასხვა საქონელს: სურსათ-სანოვაგეს, ნავთს, უგემურ, ჭრელ-ჭრელ ტკბილეულობას და იაფფასიან მძივებსა და ბაფთებს. უთში ერთსადაცმაც დროს ნოქარიც იყო და დარაჯიც. მყიდველები — ზანგები და უთბიერი ლარიბ-ლატაკი თეთრკანიანები — ფეხით ან გაძვალტყავებულ ჯორებზე შემომსხდარნი მოდიოდნენ და თითოეულ ცენტზე გულსაკლავად ევაჭრებოდნენ. რომელიც ერთ დროს ჭენებით შემოუვლიდა ხოლმე ათი მილიონ მანძილზე გადაჭიმულ თავის ნოყიერ მიწას (შავი ბედაური ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მისი საჯინიბო უკეთ იყო მოვლილი, ვიდრე თვით დიდი სახლი) და რომელიც ომში ვაჟკაცურად მიუძღვოდა წინ მხედრობას, ბოლოს გაცეცხლებული სატპენი ყველას გაჰყრიდა მაღაზიიდან და კარს შიგნიდან ჩარახავდა. შემდეგ უთთან ერთად უკანა ოთახს და დოქს მიაშურებდა. ახლა მათი საუბარი უკვე ისეთი მშვიდი აღარ იყო, როგორც მაშინ, როდესაც ჰამაკში წამოწოლილი სატპენი ქედმაღლური მონოლოგებით ირთობდა ხოლმე თავს, ბოძთან ჩაცუცქული უთში კი სიცილით იფხრიწებოდა. ახლა ორივენი ისხდნენ. სატპენი ერთადერთ სკამს ჩაიგდებდა ხელში, უთში კი რაიმე ყუთს ან პატარა კასრს მისწვდებოდა და ზედ მთიკალათებდა. მერე, თავისი უძლურობით გააფთრებულა სატპენი, სამხრეთელების დამარცხებას ჯერაც რომ ვერ შერიგებოდა, ბარბაცით წამოდგებოდა ფეხზე და მუქარას მოჰყვებოდა, დამბაჩამომარჯვებული: ცალი ხელით შვევაჭენებ ჩემს შავ ბედაურს ვაშინგტონში და სიცოცხლეს გამოვასალმებ ლინკოლნსა და შერმანსო (პირველი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, მეორე კი აღრევე გადადგა სამსახურიდან და იმჟამად უბრალო მოქალაქედ ითვლებოდა).

— დავხოცავ! — ღრიალებდა სატპენი, — ჩემი ხელით ჩავაძალღებ მაგ ძალიშვილებს!

— ჰო, პოლკოვნიკო; აბა რა, — კვერს უკრავდა უთში და ხელს აშველებდა, ფეხმოკვეთილი სატპენი მიწაზე რომ არ დაცემულიყო. შემდეგ პირველსავე ჩამვლელს ოთხთვალას წაართმევდა; ან, თუ არავინ გამოჩნდებოდა, მახლობელ მესობლამდე ერთ მილს გაივლიდა, ფურგონს ითხოვდა, უკან დაბრუნდებოდა და სატპენს სახლში წაიყვანდა. ახლა სახლშიც შედიოდა, კარგა ხნის წინ მოაპოვა ამის უფლება. ნათხოვარი ფურგონით მოიყვანდა ხოლმე სატპენს შინ და აღერსიანი ჩურჩულით, თითქოს ცხენს უყვავებსო, აიძულებდა გადაედგა ნაბიჯი. სატპენის ქალიშვილი სახლთან ხვდებოდა და კარს უსიტყვოდ უღებდა. უთს შეჰქონდა თავისი ტვირთი კარში, ერთ დროს სახლის თეთრ სადარბაზო შესასვლელს რომ წარმოადგენდა და შემკობილი იყო ევროპიდან ნაწილ-ნაწილ ჩამოტანილი მარათსმაგვარი ფანჯრით, რომელსაც მინა ჩამტვრეოდა და ახლა ფიცრით შეეკეთებინათ. გაივლიდა გაცრეცილ ხავერდის ხალიჩაზე და აჰყვებოდა სადარბაზო კიბეს (წარსული დიდების მიმქრალ ლანდს, რომლის გაყვლეფილ ფიცრებს საღებავის ორი ზოლიდა შერჩენოდა) და სიძილე ოთახს მიაღებოდა. ამასობაში კიდევ ბინდდებოდა. უთში თავის ტვირთს საწოლზე დაუშვებდა და ტანსაცმელს გახდიდა. მერე წყნარად ჩამოჯდებოდა სკამზე, საწოლის გვერდით. ცოტა ხნის შემდეგ სატპენის ქალიშვილი მოადგებოდა კარს.

— ახლა აღარაფერი გვიშავს. ნუ დეღავთ, მის ჯუღათ, — ეუბნებოდა უოში.

შემდეგ, რომ დაბნელებოდა, უოში საწოლის გვერდით, იატაკზე დაწვებოდა, თუნცა ძილს არ აპირებდა, რადგან მალე, ღამით, სატპენი გაიძვებოდა. დაიკვნესებდა და ხმას გაიღებდა:

— უოში!

— აქ ვარ, პოლკოვნიკო, დაიძინე. მაინც ხომ ვერაფერი გეძინებოდა? მე და შენ აღეილად ვერ დაგვეჯაბნიან. მაგათ ვუჩვენებთ სეირს.

მაშინ უკვე შემჩნეული ჰქონდა ის ბაფთა შვილიშვილის წელზე. ახლა თხუთმეტი წლისა იყო: აღრე მომწიფებული, როგორც მისი ჯიშის ქალებსა სჩვევიათ. იცოდა, საიდანაც გაჩნდა ის ბაფთა. შვილიშვილს რომ მოეტყუებინა კიდევ, იმ სამი წლის მანძილზე ისეთი ბაფთებს მეტი რა უნახავს! მაგრამ გოგონას არ დაუშალავს. შიშნარევი სითამამით, პირქუშად უთხრა სიმართლე.

— პო, კარგი. თუ პოლკოვნიკმა მოიხურვა და ეგ ბაფთა გაჩუქა, იმედი მაქვს მაღლობა მაინც გადაუხადე. — უთხრა უოშმა.

არც მაშინ აღელვებულა, ახალი კაბა რომ შენიშნა. თღონდ, როცა შეიტყო, რომ კაბის შეკერვაში სატპენის ქალიშვილი, მის ჯუღითი მიხმარებოდა. გოგონას გამომწვევ, იღუმალებით მოცულ, შიშნარევ თვალებს ჩააცქერდა. საღამოს კი, მაღაზია რომ დახურა და სატპენს უკანა ოთახში შეჰყვა, ხუმრობის ბასიათზე აღარ იყო.

— მოიტა დოქი, — ბრძანა სატპენმა.

— მოაცა, ერთი წუთი მომიტმინე, — მიუგო უოშმა.

სატპენს კაბის ამბავი არ გადაუთქვამს. „მერე რაო?“ — იკითხა. მაგრამ უოშმა მის ქედმაღლურ მზერას თვალი გაუსწორა. მშვიდად დაბარაკობდა:

— ოცი წელია გიცნობ, მუდამ შენი მონა-მორჩილი ვაყავი. სამოცი წლისა მოვიყარე, ეს კი ერთი თხუთმეტი წლის გოგოა და მეტი არაფერი.

— გგონია ვაენებ რამეს? მე, შენი ხნის კაცი?

— შენ რომ სხვებსა ჰგავდე, ვიტყოდი, ჩემი ხნისაა-მეთქი. ასეა თუ ისე, არც იმ კაბის ტარების ნებას დავრთავდი და სხვა საჩუქრებზედაც უარს ვათქმევინებდი, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ.

— მაინც როგორი?

უოშმა არაფერი უპასუხა, წყალწყალა ფხიზელი თვალებით უცქერდა, თითქოს რაღაცას ეკითხებოდა.

— მაშ იმიტომ გეშინია ჩემი?

ახლა უოშის თვალებში კითხვა გაჰქრა. მისი მზერა მშვიდი, უშფოთველი იყო:

— შენი არ მეშინია იმიტომ, რომ ვაყვაცი ხარ. იმ ვაყვაცობაზე არ გეუბნები, რომელიც კაცმა შეიძლება ერთ წუთში ან ერთ დღეს გამოიჩინოს და დასტურად გენერალ ლის ქაღალდი მიიღოს. შენი ვაყვაცობა თვით შენი სიცოცხლე და შენი სუნთქვაა. ამიტომ ვითხარი, სხვა ხარ-მეთქი. არავის ქაღალდი არ მჭირდება ამის დასადასტურებლად. მჯერა, რასაც არ უნდა მოჰკიდო ხელი, მთელი ასეული იქნება, ერთი ტუტუცი გოგო თუ ძაღლი — ყველაფერს კაცურად გაართმევ თავს.

ახლა სატპენმა მოარიდა თვალი. უცებ მკვეთრად მიბრუნდა.

- მოიტა დოქი, — მკაცრად მიმართა უოშს.
- ახლავე, პოლკოვნიკო — უბასუხა უოშმა.

ორი წლის შემდეგ, კვირა დილით, გარიყრაფზე, სამი მიწის რომ გაიარა ზანგი ბებია ქალის მოსაყვანად და შემდეგ შორიდან თვალით შეაჩინა სახლის კარამდე, საიდანაც შვილიშვილის კვილი ესმოდა, უოშმა კი უფრო დამშვიდებული იყო, თუმცა გოგოს ჯავრი კი აწუხებდა. იცოდა, რომ უფრო მეტი უნებუნებლად თავის ანთ ქოხმაბებში გამოკეტილი ზანგები და თეთრკანიანები, მთელი დღე უსაქმოდ რომ დაყიალობდნენ მაღაზიასთან და სამივეს — სატპენს, მას და მის შვილიშვილს — თვალს ადევნებდნენ: თითქოს სცენაზე სამი მსახიობი აერჩიათ და მათ ყოველ ნაბიჯს უკვირდებოდნენ. „ვიცი, რას ეუბნებიან ერთმანეთს“, — ფიქრობდა უოში: — „თითქოს მესმის კიდევ: როგორც იქნა, უოშ ჯონსმა ბებერი სატპენი გამოიჭირა. ოცი წელი შეაღია, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა“.

გათენებას ცოტაღა უკლდა. მბუჭტავი ლამპის შუქით განათებული ოთახის კარიდან გოგონას გმინვა ისე გამოზომილად მოისმოდა, თითქოს საათივით მოემართათ; უოშის თავში კი ბრმად მიიკვლევდა გზას ცხენის თქარათქურში არეული გაურკვეველი ფიქრი, ვიდრე მის მდორე დინებას გაჭენებულ, ამაყ მუღაურზე ამხედრებულ, ახოვანი, ზვიადი მხედარი დაუსხლტებოდა, ცხენის-თვის თავი რომ მიეცა. მერე თვით ამ ფიქრის საგანიც განთავისუფლდა და მკაფიოდ გამოიკვეთა აპოთეოზივით — ეფლი, ნათელი, ადამიანის მიერ წაუბილწავი: „ის უფრო დიდია, ვიდრე იანკები, რომლებმაც ცოლ-შვილი დაუხოცეს, ზანგები წაართვეს და სახლ-კარი დაუქციეს; უფრო დიდია, ვიდრე ეს წყვეული ქვეყანა, ასე აბუჩად რომ აიგდო და სოფლის ერთი საცოდავი ფარდულის მესაკუთრეობა მიუგდო, უფრო დიდია, ვიდრე თვით ეს განაჩენი, წუთისათველმა საღვთო წერილის სიმწრის ფიალასავით რომ მიაგება პირთან. როგორ მოხდა, რომ ოცი წლის მანძილზე მასთან ასე ახლოს ყოფნამ არც შემცვალა და არც არაფერი მასწავლა? ალბათ იმიტომ, რომ მეც მასავით ბუმბერაში არა ვარ, ცხენიც არასოდეს მიჭენებია. მაგრამ გვერდში ხომ მაინც მივჩანჩალებდი. ერთად ყველაფერს გავართმევთ თავს, თღონდ მიკარნახოს, რას მოეღოს ჩემგან“.

შემდეგ ინათა. უცებ გაარჩია სახლი და ბებერი ზანგი ქალი, რომელიც ზღურბლზე იდგა და მისკენ იყურებოდა. შემდეგ შეამჩნია, რომ შვილიშვილის კვილი შემწყდარიყო.

— გოგოა. თუ გინდა, წადი და შეატყობინე, — თქვა ზანგმა ქალმა და სახლში შებრუნდა.

— გოგო, — გაიმეორა უოშმა, — გოგო, — გაოგნებულს კვლავ ცხენის თქარათქურის ხმა ჩაესმა და გაჭენებული ამაყი მხედარი გამოეცხადა. თითქოს ავალი გააყოლა კიდევ, როგორ ჩაუქროლა კერბთა წყებას, დაგროვილი დროის, წლების აღსანიშნავად რომ დამდგარიყვნენ, სანამ იმ უმაღლეს წერტილს არ მიაღწია, სადაც ხმალამოწვედილი მხედარი ელვისფერ, თვალისმომყოფელ ცის კამარაზე დაღმა მიჰქროდა ტყვიებით დაცხრილული დროშის ქვეშ. სიცოცხლეში პირველად გაიფიქრა, იქნებ სატპენიც ჩემსავით მოხუცი კაცი იყო.

— გოგო, — ისევ განცვიფრებით გაიმეორა. შემდეგ ბავშვივით კმაყოფილმა, გაკვირვებით გაიფიქრა: „ღიახ, სერ, ძაღლის შვილი ვიყო თუ ამ სიბერეში დიდ პაპობასაც არ მოვესწარი“.

სახლში შევიდა. უხერხულად, ფეხაკრეფით აბიჯებდა, თითქოს <sup>ჩემ</sup> სახლში აღარ ცხოვრობდა, თითქოს ჩვილმა, მისმავე სისხლმა და ხორცმა, რომელმაც ის იყო პირველად ჩაისუნთქა პაერი და სინათლით შეწუხებულმა ღრიალი მორთო, სახლიდან გააძევა იგი. ძლივს გაარჩია საწოლზე შეკრჩხილნი მამიქრალი, გატანჯული სახე. შემდეგ, ბუნხართან ჩაცუცქულმა ხანგაშა ქალმა თქვა:

— თუ აპირებ, გიჯობს ახლავე წახვიდე და შეატყობინო. უკვე გათენდა.

მაგრამ წასვლა აღარ დასჭირვებია. აივნის კუთხეს რომ შემოუარა და ბალახში ჩააბიჯა (ამ ბალახის გასათიბად სამი თვის წინ ითხოვა ცელი, ახლა კი იქვე აეყუდებინა, უბატრონოდ მიტოვებული და დაჟანგული), თვით სატპენი გამოჩნდა თავისი ბებერი ჟღაყით. უოში არც კი დაფიქრებულა, ვინ მიუტანაო ენა პოლკოვნიკს. თავისთავად იფულისხმა, რომ კვირა დღეს, უთენია, უსათუოდ ეს ამბავი წამოაგდებდა ფეხზე. მოუცადა, სანამ ჩამოიქვეითებდა, აღვირი გამოართვა, გამარჯვებულის იერით შეაცქერდა სატპენს და პირხმელ, მოჭანცულ სახეზე სულელური ღიმილი ალებეჭდა:

— გოგოა, პოლკოვნიკო. მამაძაღლი ვიყო, ჩემი ხნისა ყოფილხარ. — სატპენმა გვერდით ჩაუარა და სახლში შევიდა. შინ არ შეპყოლია აღვირით ხელში იდგა და ესმოდა, როგორ გაიარა სატპენმა ოთახი და საწოლს მიაშურა. მის სიტყვებსაც მოჰკრა ყური და მოეჩვენა, თითქოს მკერდში წამით რაღაც ჩაეყინა, შერე... კვლავ შეივრძნო საკუთარი გულის ძგერა.

მზე უკვე ამოსულიყო, მისისიპის განედების სწრაფი მზე. მას კი ერევნებოდა, რომ უცხო ცის ქვეშ იდგა, უცხო მხარეში; იქაურობა თითქოს სიზმარში ენახა. ასე ესიზმრება ხოლმე ძირს ვარდნა კაცს, რომელიც მალლა არასოდეს აცოცებულა. „შეუძლებელია, ალბათ მომეჩვენა, რაც გავიგონე“ — გაიფიქრა — „ვერ დავიჯერებ“. ხმა კი, ნაცნობი ხმა, ის სიტყვები რომ წარმოსთქვა, ლაპარაკს განაგრძობდა; ახლა ბებერ ზანგ ქალს ეუბნებოდა, ამ დილით კვიცი დაიბადაო. „თურმე რისთვის ამდგარა ასე უთენია“, — გაიფიქრა მან — „აი, რა მომხდარა, მე და ჩემი ნაშიერი კი არ ვადარდებთ. სისხლის ყივილმაც კი ვერ წამოაყენა საწოლიდან“.

კარებში სატპენი გამოჩნდა. გაბარდულ ბალახში ჩამოაბიჯა, მძიმედ, დინჯად მოძრაობდა. ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ალბათ აჩქარდებოდა. უოშისათვის არც შეუხებდავს.

— დისი დარჩება და მიხედავს. შენ კი გიჯობს... — შემდეგ თითქოს შენიშნა მის წინ ატუხული უოში და შეჩერდა:

— რაო?

— შენ თქვი, — საკუთარი ხმა ყრულ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმა უოშს, — შენ თქვი, ფაშატი რომ ყოფილიყო, ერთ რიგიან ბაგას მივუჩენდი ჩემს თავლაშიო.

— რაო, მერე? — შეუბღვირა სატპენმა. თვალეები შეკუმშული მუშტებით დაუწვრილდა, მერე ისევ გაუფართოვდა (გაშლილი ხელივით), როდესაც წელში ოდნავ მოხრილი უოში მისკენ დაიძრა. წამით გაჭვავდა. განცვიფრებული უცქერდა კაცს, რომელიც ოცი წლის განმავლობაში მისი ცხენივით, მხო-

ლოდ მისი ნება-სურვილისა და ბრძანების მიხედვით მოძრაობდა. ასევე მოწყურა თვალები, მერე კვლავ დააბრიალა. არ განძრეულა, მაგრამ უცრად თითქოს წელში გაიმართა.

— უკან დაიწი, — მოწყვეტით მიიხალა უოშს, — ხელი არ მახლო.

— ჭკუას გასწავლი, პოლკოვნიკო, — თქვა უოშმა ისეთივე ყრუ, ჩუმი, თითქმის რბილი ხმით, თან წინ მიიწევდა.

სატპენმა მათრახიანი ხელი მალლა ასწია. დაბრუნდა ბებერმა ზანგმა ქალმა გამოიჭყიტა. არაქათგაწყვეტილი ჭუჭის საზარელი, შავი სახე ჰქონდა.

— უკან დაიწი, უოშ. — გაიმეორა სატპენმა და მათრახი შემოჰკრა ბებერი ზანგი ქალი თხასავით მკვირცხლად ჩახტა ბალახში და მოჰკურცხლა. სატპენმა ერთბელაც გადაუჭირა უოშს მათრახი სახეზე და მუხლებზე დასცა. როდესაც უოში ფეხზე წამოდგა და სატპენისკენ დაიძრა, ხელში უკვე ცელი ეჭირა, რომელიც სამი თვის წინ გამოართვა სატპენს და რომელიც ამ უკანასკნელს აღარასოდეს დასჭირდებოდა.

სახლში რომ შევიდა, გოგონა შეერთა და შეშინებული ხმით დაუძახა:

- რა მოხდა?
- სადა, გენაცვალე?
- რა ღრიანცელი იყო გარეთ?

— არაფერი, — აღერსიანად მიუგო უოშმა, საწოლთან დაიჩოქა და მოუხეშავად შეახო ხელი გოგონას ცხელ შუბლს, — რამე ხომ არ მოგატანო?

— წყალი დამალევინე, — სთხოვა გოგონამ ჩივილით, — რამდენი ხანია ასე ვწევარ და ერთი ყლუბი მენატრება. ჩემთვის კი არავის სცხელა.

— ჰო, ახლავე — დაუყვავა უოშმა. გახევებული ფეხები გამართა, წყლით სავსე ჯამრ მოიტანა, თავი აუწია, წყალი დაალევინა და ისევ დააწვინა: თვალი მოჰკრა, როგორ მიაბრუნა გოგონამ გაქვავებული სახე ზავშვისაკენ. შემდეგ უცებ შენიშნა, რომ ჩუმად ტირიდა.

— კარგი, ახლა, — დააწყნარა უოშმა, — შენს ადგილზე რომ ვიყო, რა ამატირებდა. ბებერი დისი ამბობს, მშვენიერი გოგონაო. ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა, გათავდა ყველაფერი. ნუღარ სტირი.

ის კი, მობუზული, ჩუმად განაგრძობდა ქვითინს, უოში წამოიშართა. ერთხანს უხერხულად იდგა საწოლთან, ფიქრებში გართული (გაახსენდა ის დრო, ცოლი რომ ჰყავდა ამ დღეში: მერე კი შვილის ჯერიც დადგა; მაშინაც ასევე გაიტაცა ფიქრებმა): „დედაკაცებს ვერაფერს გაუგებ კაცი. თითქოს უნდათ კბდეც შვილის ყოლა. მერე, თუ ეყოლათ, ტირიან. ვერაფერი გამიგია. ვერც ვერაფერს თავსა და ბოლოს“. შემდეგ საწოლს მოშორდა, ფანჯარასთან სკამი მიათრია და ჩამოჯდა.

მთელი ის გრძელი, მზიანი დილა ფანჯარასთან იჯდა და ელოდა. ხანდახან ადგებოდა ხოლმე და ფეხაკრეფით მივიდოდა საწოლთან. გოგონას ჩასძინებოდა, სახეზე მშვიდი სევდა და დაღლილობა ჰქონდა აღბეჭდილი: ბავშვი იდაყვში მოხრილ მკლავზე ეწვინა. შემდეგ ასევე თავის სკამს უბრუნდებოდა, ჩამოჯდებოდა და იცდიდა. უკვირდა, რატომ იგვიანებენო. მერე გაახსენდა, რომ კვირადღე იყო. საღამოს უოში ისევ ფანჯარასთან იჯდა, როდესაც მატარა თეთრკა-

ნიანმა ბიჭმა სახლის კუთხეს შემოუარა და გვამს წააწყდა: სულმეხუთულმა ერთი შეპყვირა, ზევით აიხედა და წამით მონუსხულივით მიაშტერდა უოშს, შემდეგ შებრუნდა და გაიქცა. მერე უოში ადგა და ისევ ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან.

გოგონას აღარ ეძინა. ალბათ, ბიჭის ყვირილმა გააღვიძა, <sup>თუ შიშა</sup> ~~თუ შიშა~~ <sup>ყვირილი</sup> ~~ყვირილი~~ კი არ გაეგონა.

— მოგშივდა, მილი? — ჰკითხა უოშმა. გოგონამ არაფერი პასუხა და პირი იბრუნა. უოშმა წინადღით მოტანილი ქონი და სიპინდის ცივი კვერი გადმოიღო, ბუხარი გააჩაღა და საჭმელი მოამზადა. ჭუჭყიან ყავადანში წყალი ჩაასხა და გააცხელა. თეფში შვილიშვილს მიუტანა, მაგრამ გოგონა კერძს არ გაეკარა. თვითონ შეექცა, მარტოღმარტო, აუჩქარებლად. თეფშები იქვე დატოვა და ფანჯარას დაუბრუნდა.

ახლა თითქოს გრძნობდა, თითქოს ხედავდა კიდევ, თუ როგორ იკრიბებოდა თოფებიანი ცხენოსნები ძაღლებით, (ცნობისმოყვარენი და შურისმაძიებელნი, სატპენის მსგავსნი, მის სუფრასთან რომ ილხენუნენ ჭერ კიდევ იმ დროს, როდესაც უოში არათუ დიდ სახლთან, თვით ტალავერთანაც კი ახლოს გაკარებას ერიდებოდა), ხალხი, რომელმაც ყველას უჩვენა, თუ როგორ უნდოდა შერკინება ბრძოლის ველზე. ალბათ, მათთვისაც უბოძებიათ გენერლებს უმამაცესთა შორის პირველობის დამამტკიცებელი საბუთები. ძველად ისინიც გულზვიადად და ამაყად დააქვენებდნენ ლამაზ ბედაურებს თავიანთ მწვენიერ პლანტაციებში; ერთსა და იმავე დროს ალტაცებისა და იმედის სიმბოლოც იყვნენ და უბედურებისა და განწირულების იარაღიც.

ისინი ალბათ იფიქრებდნენ, დაგვიფრთხებათ. უოშის აზრით კი გაქცევაც და იქ დარჩენაც სულ ერთი იყო. რომ გაქცეულიყო, მხოლოდ გაბოროტებული, ბღენძია ლანდების ერთ ხროვას დაემალეებოდა და მეორეს შეეყრებოდა, ვინაიდან ყველანი ერთმანეთის მსგავსნი არიან ნოელი დედამიწის ზურგზე, ის კი ერთი, უკვე საკმაოდ მოხუცებული ბერიკაცია. რომ გაიქცეს კიდევ, შორს ვერსად წაუქცა. რაგინდ ბევრი ირბინოს და დიდი მანძილიც გაიაროს, თავს მაინც ვერ დააღწევს: მესამოცე წელში გადამდგარ კაცს ამდენი სიმარღვ სადა აქვს, დედამიწის კიდევამაშა მაინც ვერ გასცდება. აქ კი ყველგან ისინი არიან და ცხოვრების ეს წესი და რიგიც მათი მოგონილია. იმ ხუთი წლის მანძილზე, მაშინ პირველად მიხვდა თუ როგორ მოხდა, რომ იანკებმა ბული ადინეს ამ სახელოვან, ამაყსა და შეუბოვარ ხალხს, სახელგანთქმულსა და ყველასაგან რჩეულს, სიმამაცის, პატიოსნებისა და სიამაყის განაახიერებას. მათთან ერთად რომში რომ წასულიყო, იქნებ უფრო ადრე გამოეცნო ისინი, მაგრამ მაშინ როგორღა იცოცხლებდა. იმ ხუთ წელიწადს რა გააძლებინებდა, თავის ძველ ცხოვრებაზე რომ ეფიქრა.

მზე გადაიხარა. ბავშვი ატირებულებო. როდესაც უოში საწოლთან მივიდა, შვილიშვილი შეცბუნებული, კუშტი, გულჩათხრობილი სახით ამშვიდებდა ჩვილს.

- არ მოგშივდა? — ჰკითხა უოშმა.
- არაფერი არ მინდა.
- უსათუოდ უნდა ჰქამო.

გოგონას პასუხი აღარ გაუცია, ბავშვს დასცქეროდა. უოში სკამს დაუბ-

რუნდა და დაინახა, რომ მზე ჩასულიყო. „მეტს აღარ დააყოვნებენო“, გაიფიქრა. მოეჩვენა, თითქოს იქვე, მის გვერდით იყვნენ, ცნობისმოყვარენი და შურისძიების წყურვილით გაბოროტებულნი. თითქოს ესმოდა კიდევ, რას ამბობდნენ მასზე, წამიერი გაგულისების შემდეგ ფარული რწმენა გასჩენოდათ: „ბებერმა უოშ ჯონსმა ბოლოს მაინც წამოპკრა ფეხი, გვონა, უკვე ხელში პყავდა სატპენი, იფიქრა, ახლა კი იძულებული იქნება, ან ვლავლ, შეირთოს ან ფული მომცესო. იმან კი გააბრიყვა“.

— განა ამას ველოდი, პოლკოვნიკო! — ხმამალლა წამოიყვირა უოშმა და საკუთარი ხმის გაგონებაზე ენა ჩაუვარდა, სწრაფად მიიხედა უკან და გოგონას თვალებს წააწყდა.

— ახლა ვილას ელაპარაკები? — ჰკითხა იმან.

— ისე, არავის, ფიქრებში გავერთე და ხმამალლა დავილაპარაკე.

ბინდბუნდში გოგონას მობუზული სახე ისევ გაურკვეველ ლაქად იქცა.

— პო, ილაპარაკე და იყავი შენთვის. მარტო ლაპარაკით ვერას გახდები. გინდაც ხაფი ხმით იღრიალო, იმ სახლში მაინც ვერ მოაწვდენ ხმას. გინდაც გააგონო, მარტო ღრიალით იმას აქ ვერ მოიყვან.

— კარგი ახლა, ნუ ჯავრობ, — დაუყვავა უოშმა: ფიქრი კი თავისას არ იშლიდა: „ხომ იცოდი, არასოდეს არავისთვის მითხოვია რაიმე და არც ვინმესგან მოველოდი იმას, რასაც შენგან ველოდი. მაგრამ არც შენთვის მითხოვია. არ მეგონა თუ დამჭირდებოდა. არ მინდა-მეთქი, ვამბობდი. უოშ ჯონსისთანა კაცმა ექვი როგორ მიიტანოს-მეთქი ისეთ აღამიანზე, რომელსაც თვით გენერალი ლი საკუთარი ხელით დაწერილ ცნობაში გმირს უწოდებს. გმირიო, უმჯობესი იქნებოდა არც ერთი სამხრეთელი არ დაბრუნებულიყო 65-ში. სჯობდა, ჩემისთანა და მაგისთანა ხალხი სულ არ გაჩენილიყო ამ ქვეყნად. ან იქნებ ის აჯობებდა, ყველა, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, აღგვილიყო დედამიწის პირიდან, რათა სხვა უოშ ჯონსის სიცოცხლე არ დაფერფლილიყო ცეცხლზე დაგდებული, დაკრუნჩხული ნაჭუჭის მსგავსად“.

გაინახა, ფიქრი შეწყვიტა. უცებ ნათლად გაარჩია ცხენების ფეხის ხმა; მალე ფარანიც გამოჩნდა; ფარნის მოძრავ შუქზე რალაც ლანდებს მოპკრა თვალი და აქა-იქ თოფის ლულამაც გაიღვია. მაინც არ განძრეულა. უკვე კარგად ჩამობნელდა. უოშს ბუჩქებიდან მათი ლაპარაკი და ფარუნი ესმოდა: სახლს ალყას არტყამდნენ. თვით ფარანიც მოაბლოვდა. ფარნის შუქი ბალახში გაშოტილ უძრავ სხეულს დაეცა და შეჩერდა. ცხენების გრძელი, ბუნდოვანი ლანდები გამოჩნდა, ვილაცა ჩამოქვეითდა და ფარნის სინათლეში, მოკლულის თავზე დაიხარა, ხელში დამბარა ეჭირა; წელში გაიმართა და სახლისკენ მიბრუნდა.

— ჯონს, — დაუძახა მან.

— აქა ვარ, — მშვილად გამოეხმაურა უოში ფანჯრიდან, — შენა ხარ, მაიორო?

— გარეთ გამოდი.

— ახლავე, — წყნარად მიუგო უოშმა, — ერთი ჩემს შვილიშვილს მივხედო.

— მაგას ჩვენ მივხედავთ; გამოდი.

— ახლავე, მაიორო, ერთი წუთი მომითმინეთ.



— სინათლე გვიჩვენე; ლამპა აანთე.

— ჰო, ამ წუთში.

გარეთ ესმოდათ, როგორ გაშორდა უოში ფანჯარას და ოთახის სიღრმეში გადაინაცვლა, თუმცა სიბნელეში ვერ ხედავდნენ. უოში სწრაფად შევიდა საკვამურის ბზართან, სადაც თავისი ყასბის დანა ეგულებოდა: ერთადერთი საამაყო ნივთი (ვინაიდან სამართებელივით ბასრი იყო) მის ბინძურ სახლსა და ცხოვრებაში. შემდეგ საწოლისკენ მიბრუნდა შვილიშვილის მსგავსი მკვრივი მკვრივი

— ვინ არიან? ლამპა აანთე, პაპა.

— ლამპა არ დაგვჭირდება, გენაცვალე. სულ ერთი წუთის საქმეა, — ჩაბჩოქა, ხელი მოუთათუნა და ჩურჩულით ჰკითხა, — სადა ხარ?

— აქა ვარ, — მიუგო შემკრთალმა, — სად უნდა ვიყო? რა არის... — უოშის ხელი მის სახეს შეეხო, — რას სჩადი... პაპა! პაპა...

— ჯონს, გამო მანდედან, — დაუძახა შერიფმა.

— ერთი წუთი, მაიბრო, — ხმა მოაწვდინა იმან.

წამოდგა; სწრაფად მოძრაობდა, იცოდა, სად იდგა სიბნელეში ნავთის ბიდონი, ისიც იცოდა, რომ ჭურჭელი საესე იყო, რადგან ორი დღის უკან თვითონ გაავსო მაღაზიაში და იქვე ჰქონდა, სანამ სახლში გადმოსატანად ოთხთვალა არ იშოვა, ვინაიდან ხუთი გალონი ემძიმა ხელით წასაღებად. ბუხარში კიდევ დარჩენილიყო ნალვერდალი; ესეც არ იყოს, თვით ის ფარღალა შენობაც აბედივით იყო გამომშრალი. ნახშირმა, ბუხარმა და კედლებმა ერთიან, თვალისმომჭრელ, ცისფერ ალად იფეთქა. მოლოდინში მყოფმა ხალხმა მის სინათლეზე დაინახა, თუ რა შემზარავი გამეხებით გადმოეშვა მათკენ ცელმომარჯვებული უოში. ცხენებმა პირი იბრუნეს და აირივნენ. მხედრებმა ცხენები დაიმორჩილეს და ისევ აგიზგიზებული ხანძრისკენ მიაბრუნეს, რომლის ელვარე შუქზე შემადრწუნებლად გამოკვეთილი გამხდარი, აწოწილი ლანდი მათკენ გამოიბოდა, მოქნეული ცელით ხელში.

— ჯონს! — დაიღრიალა შერიფმა, — შესდექ! შესდექ, თორემ გესვრი, ჯონს!

უოშის გამხდარი, გაშმაგებული ლანდი კი მათკენ მოიწეგდა აგუგუნებული ხანძრის მოელვარე ენების ფონზე. უხმოდ, კრიჭაშეკრული, აღმართული ცელით ხელში მოექანებოდა მათკენ — ცხენების ველური, ანთებული თვალებისაკენ, მოელვარე თოფის ლულეებისაკენ.



## I

ორმა ინდიელმა პლანტაცია გადაიარა და მონების სადგომს მიაშურა. მონები ცხოვრობდნენ კოხტად შეთეთრებულ, მზეზე გამომწვარი აგურის სახლებში, რომლებიც ორ რიგად ჩამწყრივებულნი გადაჰყურებდნენ ოდნავ გაკვალულ, შიშველი ფეხის ნატერფალებით დაღარულ შუკას, სადაც ორიოდე შინნაკეთი სათამაშო მტვერში უპატრონოდ ეგდო. არემარეს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— კარგად ვიცი, რა დაგეხვდება იქ. — თქვა პირველმა ინდიელმა.

— არაფერი. — მიუგო მეორემ.

შუადღე იდგა, მაგრამ დღის სინათლის მიუხედავად, შუკა უკაცრიელი იყო, ქობებთანაც არავინ ჩანდა. შელესილ, დაბზარულ საკვამურებში სამზარეულოს ბოლი მიმქრალიყო.

— ჰო, ასე მოხდა მაშინაც, როცა მამა მოუკვდა იმას, ვინც ახლა კაცია.\*

— უკეთ რომ ვთქვათ, იმას, ვინც იყო კაცი.

— ჰო.

პირველ ინდიელს სამი კალათა ერქვა. სამოცი წლისა იქნებოდა. ორივე ქმუხი კაცი იყო, ოდნავ ტანსრული. დიდთავა ინდიელებს ქალაქური იერი დაჰკრავდათ, ღიბები წამოზრდოდათ. დიდ, ფართო, მტვრისფერ სახეებზე ისეთივე ბუნდოვანი უშფოთველობა აღბეჭდოდათ, როგორიც ატყვიათ ხოლმე ნანგრევებზე გამოკვეთილ თავებს, სიამის თუ სუმატრის ნისლში მქრქალად რომ იხატებიან. მზემ დაუტვიფრა მათ სახეები, მძვინვარე მზემ, მძვინვარე ჩრდილმა. თმები გადახრუკულ მიწაზე შერჩენილ ისლს მიუგავდათ. სამ კალათას ყურზე მომინანქრებული საბურნუთე ეკადა.

— მითქვამს და ვიმეორებ, ცუდ გზას ვადგავართ-მეთქი. ძველად არც ეს სადგომები გავგაჩნდა და არც ზანგები ვკვავდა. ჩვენი დროის ბატონ-პატრონნი ვიყავით, უზრუნველად ვცხოვრობდით. ახლა კი უამრავ დროს ვხარჯავთ, რათა სამუშაო მიეუჩინოთ ზანგებს, რომელთაც ოფლის ღვრა ყველაფერს ურჩვენიათ.

— ცხენებსა და ძაღლებს ჰგვანან.

— არაფერსაც არ ჰგვანან დუდამიწის ზურგზე. თეთვანიანებზე უარესები არიან. ამბობენ, ძველი ბელადი თავს არ იწუხებდაო მათი დასაქმებით.

\* ინდიელები ტომის ბელადს კაცს უწოდებენ.

- მართლს ამბობ. არც მე მომწონს მონობა. ისევ ძველი ღრო სჯობდა.
- შენ ძველი ამბები არ გეხსომება.
- იმათგან გამიგონია, ვისაც ახსოვს. ამ ახალ წესებს ვერა და ვერ შევე-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- კაცი ოფლის სადენად არაა გაჩენილი.
- ეგ ეგრეა. ხომ ხედავ, რა დაჰპართა ოფლმა ხორცს.
- ჰო. შავია და მწარე გემო აქვს.
- გიჭამია?
- ადრე. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და კარგი ჭამის ნაღა მქონდა. ახლა სხვა საქმეა.

— ჰო. ახლა ძვირად ფასობენ, საქმელად ვერ გაიშეტებ.  
 — ხორცი არ მომწონს, რალაც მწარე გემო დაჰკრავს.  
 — თანაც გაძვირდა, თეთრკანიანები ცხენებს იძლევიან სამაგიეროდ.  
 შუკაში შეაბიჯეს. მუნჯი, უმწეო სათამაშოები — ხის, ჭინჭისა და ბურტყ-  
 ლისაგან შეკოწიწებული ნივთები, კერპებს რომ ჩამოჰგავდნენ — ძვლებსა და  
 ხაპის ჭურჭელთან ერთად ეყარა მტვერში, საფეხურებთან. ქოხებიდან ჩქამი არ  
 იმოდო, კარებში არ მოჩანდა არც ერთა სახე; ასე იყო გუშინდლიდან, მას  
 შემდეგ, რაც ისეტიბეჰა მოკვდა. ინდიელებმა იცოდნენ, რა დახვდებო-  
 დათ აქ.

მთავარ ქოხში, რომელიც სხვა შენობებზე დიდი იყო, მთვარის მოქცევის  
 გარკვეულ პერიოდებში ზანგები იკრიბებოდნენ და ცერემონიალის აღსრულე-  
 ბას იწყებდნენ; დადამებისას კი გადაინაცვლებდნენ ხოლმე ნაკადულის კალა-  
 ბოტში, სადაც დოლებს მალავდნენ. ოთახში ინახავდნენ დამხმარე ხელსაწყო-  
 ებს, იღუმალ ორნამენტებს, საადათწესო ჩანაწერებს — ჯოხებზე წითელი  
 თიხით ამოთხუპნილ სიმბოლოებს. ქოხის შუაგულში, სახურავის ნახვრეტს  
 ქვემოთ, რკინის ქოთანს ეყიდა, კერძაში ცივი ნახშირი ჩაფერფლილიყო. და-  
 რბები მიხურული იყო და ინდიელებმა მცხუნვარე მზის სინათლიდან ქოხ-  
 ში რომ შეაბიჯეს, თვალი მოეჭრათ, ვერაფერი გაარჩიეს, გარდა რალაც მოძ-  
 რათბისა, ჩრდილისა, საიდანაც თვალის კიკლებმა გამოანათეს — ოთახი ზანგე-  
 ბით სავსე აღმოჩნდა. ორი ინდიელი კარებში ჩადგა.

- ჰო, — თქვა კალათამ. — გითხარი, ცუდ ვზას ვადგავართ-მეთქი.
- არ მომწონს აქაურობა. — თქვა მეორემ.
- შეგეანიანთა შიშის სუნი დგას. ამათ შიშს სხვანაირი სუნი უდის.
- არ მომწონს აქაურობა.
- შენს შიშსაც უდის სუნი.
- იქნებ ისეტიბეჰას სუნი გეცემს.
- ჰო. ისეტიბეჰამ ყველაფერი უწყია. მომაკვდავი რომ ესვენა, მაშინაც  
 გრძნობდა, დღეს აქ რა დაგვხვდებოდა.

ოთახის გულისამრევი ბინდიდან ზანგების თვალები, ზანგების სუნი შე-  
 ნოფეთათ.

— მე სამი კალათა მქვია, ხომ მიცნობთ. — მიმართა კალათამ ოთახში შეკ-  
 რებილთ. — კაცმა გამოგვაგზავნა. ის, ვისაც ჩვენ ვეძებთ, წასულია?

ზანგები დუმდნენ. სუნი, მათი სხეულების სუნი თითქოს დაცხრა და  
 ვალღვა უძრავ, ცხელ ჰაერში. ზანგები თითქოს რალაც შორეულსა და მიუწვ-  
 დომელზე ფიქრობდნენ. გარინდებულ რვაფეხას ჰგავდნენ; უზარმაზარი ხის

ამოჩრილ ფესვებს მოგავონებდნენ — ბნელი, შეგინებული სიცოცხლის დაღ-  
რეკილ ხლართს — მსხვილს, მყრალს, ანაზდად მიწაშემოცლილს.

— გეყოფათ, — თქვა კალათამ. — კარგად იცით, რისთვისაც მოვედით. წა-  
სულია ის, ვისაც ვეძებთ?

— რალაცაზე ფიქრობენ. — თქვა მეორემ. — არ მინდა აქ *ყოფა*.

— რალაც იციან. — თქვა კალათამ.

— როგორ გვონია, იმ ზანგს მალავენ?

— არა. ზანგი წასულია. წუხელვე წავიდოდა. ასე მოხდა მაშინაც, პაპა  
რომ მოუკვდა იმას, ვინც ახლა კაცია. სამი დღე ვდიეთ გაქცეულს: სამი დღე  
იწვა ღუმში სამარის პირას, ამბობდა: „ვხედავ ჩემს ცხენსა და ჩემს ძაღლს. ჩემს  
მონას კი ვერ ვხედავ. რა იქნა, სად წავიდა? რატომ არ მაძლევთ ნებას, წყნა-  
რად განვისვენო?“

— არ უნდათ სიკვდილი.

— ჰო. სიცოცხლეს ებლაუჭებიან. მაგათი გადამკიდე დავიდარაბას ვერ  
აუდიხარ. უღირსი ხალხია, თავდაუჭერელი.

— არ მომწონს აქაურობა.

— არც მე. თუმცა, ველურები არიან, ადამ-წესების დაცვა არ მოეთხო-  
ვებათ. იმიტომაც ვამბობ, ცუდ გზას ვადგავართ-მეთქი.

— ჰო. სიცოცხლეს ებლაუჭებიან. მზეზე შრომა უფრო სიამოვნებთ, ვიდ-  
რე ბელადთან ერთად მიწაში ჩასვლა. აკი გაქცეულა კიდევც.

ზანგებს არაფერი უთქვამთ, ხმა არ ამოუღიათ. თვალემა ველურად, მორ-  
ჩილად გაიკრიალეს. სუნი აუტანელი იყო, მჭისე.

— ჰო, ეშინიათ. — თქვა მეორემ. — ახლა რა ვქნათ?

— წავიდეთ, კაცს მოველაპარაკოთ.

— ვითომ დაგვიგდებს ყურს მოკეტაბე?

— სხვა რა გზა აქვს. არ მოეწონება, მაგრამ რას იზამს. ახლა ეგაა კაცი-

— ჰო, კაცია. ამიერიდან შეუძლია გაუხდელად ატაროს წითულქუსლიანი  
ფეხსაცმელები.

გამობრუნდნენ და გარეთ გამოვიდნენ. კარის კრილში კარი არ ეკიდა.  
არც ერთ ქოხს არ გააჩნდა კარი.

— ადრეც იცვამდა ხოლმე. — თქვა კალათამ.

— მალულად, ისეტიბეჰას ზურგსუკან. ახლა ქოშები მას ეკუთვნის, რად-  
გან უკვე კაცად ითვლება.

— ჰო. ისეტიბეჰას არ მოსწონდა ეს ამბავი. მახსოვს, მოკეტაბეს უთხრა:  
„როცა კაცი გახდები, ფეხსაცმელები შენი იქნება. მანამდე კი მე ვეკუთვნის“.   
მოკეტაბე ახლა კაცია, შეუძლია ქოშები ჩაიცვას.

— ჰო. — თქვა მეორემ. — ახლა ეგაა კაცი. ფეხსაცმელებს მალულად  
იცვამდა ხოლმე, თუმცა არაეინ უწყის, იცოდა თუ არა ეს ამბავი ისეტიბეჰამ.  
ისეტიბეჰას ბებერი არ ეთქმოდა, მაგრამ მაინც მოკვდა, ფეხსაცმელები კი მო-  
კეტაბეს დარჩა, რადგან ახლა ეგაა კაცი. რას ფიქრობ ამაზე?

— არაფერს არ ვფიქრობ. — თქვა კალათამ. — შენ რას ფიქრობ?

— არაფერს. — მიუგო მეორემ.

— კარგია. — თქვა კალათამ. — ჭკვიანი ხარ.

გორაკზე მუხის ხეებით გარშემორტყმული სახლი იდგა — პატარა ერთსართულიანი ნაგებობა, გემბანის ნაწილი; ოდესღაც ერთი ხომალტი მეჩხეზე შეჭდა და დუმმა, ისეტიბეპას მამამ, მონებს დააშლევინა იგი, გეპაროსის გორგოლაქებზე შეადგმევინა და თავისი სახლისაკენ ათრევინა თორმეტი მილის მანძილზე. ამ საქმეს ხუთი თვე მოანდომეს. იმ დროს მისი სახლი აგურის ერთი კედლისაგან შედგებოდა. მან გემა კედელზე ფერდით მიაკუდა. მას შემდეგ მრავალი წელი გამოხდა და მორკალული ლავგარდანის დაკბილული და ჩამოქერცლილი ქანდა ახლა მკრთალად ბრწყინავდა კაიუტათა ქალიშვიბიანი კარების თავზე, ვარაყიანი წარწერების ზემოთ.

დუმი მინგოს ტომიდან იყო, დედამისს სამი შვილი ჰყავდა და ნათესავად მოხვდებოდა ბელადის ოჯახს; მის გვარს მხოლოდ ბელადის თანაშემწეობა ერგებოდა. დუმი ჩრდილო მისისიპიდან ნავით გაემგზავრა ნიუ ორლეანში (მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, ნიუ ორლეანი კი ევროპულ ქალაქად ითვლებოდა), სადაც გაიცნო შვეალიე საე ბლონდ დე ვიტრი, რომელიც დუმის მსგავსად, საეჭვო წარმოშობისა იყო. ნიუ ორლეანში, ნავსადგურულ ბანქოს მოთამაშეებსა და კაცისმკვლელებში, დუმს, თავისი მფარველის მეოხებით, ბელადად, კაცად იცნობდნენ; იგი მიაჩნდათ მემკვიდრედ მამულისა, რომელიც ოჯახის მამაკაცთა შტოს ეკუთვნოდა; შვეალიე დე ვიტრიმ უწოდა მას d'homme, აქედან წარმოსდგა დუმი.

ყველგან ერთად დაიარებოდნენ — ინდიელი, შეუბოვარი, გულჩათხრობილი, ტლანქი სახის ჯმუხი კაცი და საშობლოდან განდევნილი პარიზელი, რომელიც, ამბობდნენ, კარონდელეს მეგობარი და გენერალ უილკინსონის \* ამფსონიაო. მერე ორივე სადღაც გადაიკარგა; ავაზაკთა ძველ ბუნაკებში ფეხი ამოიკვეთეს და გაუჩინარდნენ, იქაურებს კი საამბობლად დარჩათ ლეგენდა უამრავ ფულზე, რომელიც დუმმა თითქოსდა თამაშში მოიგო; ყვებოდნენ ახალგაზრდა ქალის ამბავსაც. შეძლებული უესტ-ინდიელის ქალიშვილი რომ გამოდგა. ქალის ძმა თურმე დამბაჩით დაეძებდა დუმს, ყველა ბუნაკი მოიარა, მაგრამ არამზადის კვალს ვერ მიაგნო — ინდიელს გაქცევა მოესწრო.

ექვსი თვის შემდეგ თვითონ ახალგაზრდა ქალიც გაუჩინარდა: სენტ ლუისში მიმავალ საფოსტო გემზე დაჭდა და ერთ ღამეში ჩრდილო მისისიპის ნაპირს მიაღწია. ჩამოხდა და ზანგ მსახურ ქალთან ერთად ხის ნავმისადგომზე შეაბიჯა. ნაპირზე ოთხი ინდიელი, ცხენი და ოთხთვალა შეეგება: უმაღ გამგზავრნენ; სამი დღე მოანდომეს გზას პლანტაციამდე (ტაატით მოუხდათ სიარული, რადგან ქალი უკვე თვეში იდგა), სადაც ახლა დუმი მბრძანებლობდა. ქალისათვის საიდუმლოდ დარჩა, როგორ მიაღწია დუმმა ბელადობას. ინდიელმა მხოლოდ ის უთხრა, ბიძა და ბიძაშვილი უეცრად გარდამეცველა და კაცის თანამდებობა მე მერგოთ.

ათი ათას აკრზე გადაჭიმული, დიდებული ტყის შუაგულში, სადაც ორმე-

\* ფრანკისკო კარონდელე (1748-1807) — ლუიზიანის ესპანელი გუბერნატორი. კვიმს უილკინსონი — XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ამერიკელი გენერალი.

ბის ჯოგი შინაური ნახირივით უშიშრად ბალახობდა, იდგა ბელადის სახლი — მონების მოუქნელი ხელით აგებული აგურის ერთი კედელი, რომელიც ბოძებზე შეყენებული სახურავით გადაეხურათ და ოთახებად დაეყოთ (სადგომი ძვლებითა და ნაგვით იყო გამოვსებული). დუმმა და ქალმა ოქროწინეს ისეტიბეჭას დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე: ჯვარი მონებით მოვაჯრე მოხეტიალე მღვდელმა დასწერა, რომელიც ჯორზე ამხედრებული იხსოვდა მათ; მღვდელს უნავირზე ზამბის ქოლგა და ვისკის შემოწნული ბოცა ჰქონდა გამობჭული.

ამის შემდეგ დუმმა მონები შეიძინა და, თეთრკანიანების მიბაძვით, მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი, მაგრამ ზანგებს საკმაო სამუშაო ვერა და ვერ გამოუნახა. უსაქმური მონების უმრავლესობა აფრიკის ჯუნგლებიდან გადმონერგილ ცხოვრებას ეწეოდა: მხოლოდ დუმი არღვევდა ხოლმე მათ უშფოთველობას, როცა სტუმრების გასართობად მათზე მწვევარ-მეძებრებით ნადირობას მართავდა.

დუმი რომ მოკვდა, ისეტიბეჭა, მისი ვაჟი, ცხრამეტი წლისა იყო. მას შთამომავლობით ერგო მიწის ნაკვეთი და სრულიად გამოუსადეგარი მონების ერთი ხუთად ვაზრდილი ხროვა. თუმცა კაცის წოდება ისეტიბეჭას ეკუთვნოდა, ინდიელთა გვარს განაგებდა ბიძაშვილთა და ბიძათა იერარქია, რომლის წევრებმაც ერთხელ თავი მოიყარეს და ზანგების თაობაზე თათბირი გამართეს. გემბანზე ამოტვიფრული ოქროს ასოების ქვეშ ჩაცუცქულიყვნენ და სახეებზე ღრმიაზროვანი გამომეტყველება აღბეჭდვოდათ.

— ვერ შევჭამთ. — თქვა ერთმა.

— რატომ?

— ბევრნი არიან.

— მართალია, — თქვა მესამემ. — ერთხელ თუ დავიწყებთ, მერე ყველანდა შევჭამთ. ამდენი ხორცის ჭამა კი მავენებელია.

— იქნებ ირმოს ხორცის გემო აქვო. ასეთი ხორცი არ გვავენებს.

— დავხოცოთ, ოღონდ არ შევჭამოთ. — თქვა ისეტიბეჭამ.

ცოტა ხნით ყველა მას შეაცუქრდა.

— რისთვის? — იკითხა ერთმა.

— მართალია, — დაეთანხმა მეორე. — ნაგას ვერ ვიხამთ. ძვირად ფასობენ: გაიხსენეთ, რა დავიდარაბას გადაგვკიდეს, როცა მათთვის სამუშაოს ვეძებდით. თეთრკანიანებივით უნდა მოვიქცეთ.

— ეგ როგორ? — იკითხა ისეტიბეჭამ.

— გავკაფოთ ტყე, მოვიყვანოთ პურის მეტი მოსავალი, გამოვზარდოთ მეტი ზანგები და მერე გავყიდოთ. თეთრკანიანებს მივყიდოთ.

— ფულს რაღა ვუყოთ? — თქვა მესამემ.

ჩაფიქრდნენ.

— მერე ვნახავთ. — უპასუხა პირველმა.

ჩაყუნტულნი ისხდნენ, ღრმიაზროვანი, დაღვრემილი სახეები ჰქონდათ.

— მუშაობა მოგვიწევს. — თქვა მესამემ.

— ზანგებმა იმუშაონ. — თქვა პირველმა.

— ჰო. დაე ზანგებმა იმუშაონ. ოფლის დენა მავენებელია. სინესტე კანის ფორებს აფართოებს.

— სხეულში კი ღამის ჰაერი შედის.

— ჰო. ზანგებმა იმუშაონ. ეტყობა, მოსწონთ ოფლის ღვრა.

ინდიელებმა ზანგებს მიწა გაასუფთაებინეს და ხორბალი დათესეს. იმ ხანად მონები ცხოვრობდნენ ცალ მხარეზე ჩარღახით გადახურულ უზარმაზარ ფარდულში, ღორების ბაქს რომ წააგავდა. ახლა ინდიელებმა საფარდობასა და ქოხების შენება დაიწყეს; ქოხებში ახალგაზრდა ზანგი წყვილები შეასახლეს, რათა მათი გამრავლება დაეჩქარებინათ. ხუთი წლის შემდეგ კი ისეტიბეჰამ ორმოცი სული მონა მიჰყიდა მემფისელ ვაჭარს, აღსკვესს აფუ-ლით საზღვარგარეთ გაემგზავრა და თან გაიყოლა თავისა ნიუ-ორლეანელი ბიძა დედის მხრიდან. პარიზში მათ მოინახულეს მოხუცი შევალიე სიე ბლონდ დე ვიტრი, პარიკსა და კორსეტში გამოწყობილი ბერიკაცი, რომელსაც ფრთხილი, უკბილო სახე გამჭირდავი და უაღრესად ტრაგიკული გრიმასით დაღმეჭოდა. მან ისეტიბეჰასაგან სამასი დოლარი ისესხა და, სამაგიეროდ, მა-ლალ საზოგადოებაში შეიყვანა; ერთი წლის შემდეგ ისეტიბეჰა შინ დაბრუნდა, თან ჩამოიტანა მოვარაყებულ საწოლი, ერთი წყვილი შანდალი (რომლის სი-ნათლესედაც, ამბობდნენ, ერთ დროს პომპადური ივარცხნიდაო თმას, მეფე ლუი კი ქალის შეპუდრულ მხარსუკან თავის თავს უღიმოდან სარკეში) და ერთი წყვილი წითელქუსლიანი ფეხსაცმელი. ინდიელს ქოშები უჭერდა, რად-გან ფეხშიშველა სიარულს იყო მიჩვეული; პირველად მაშინ ჩაიცვა ფეხსაცმე-ლები, როცა საზღვარგარეთ მიმავალი გზად ნიუ ორლეანს ჩავიდა. მან სიფ-რიფანა ქალაქში გახვეული ქოშები შან მოიტანა და უნაგირზე გადასაკიდი აბვის ცარიელ ჯიბეში ჩაალაგა, ხანდახან თუ ამოიღებდა ხოლმე მათ კედარის ბურბუშელით გამოტენილი ჩანთიდან და თავის ვაჟს, მოკეტაბეს აძლევდა სათამაშოდ. სამი წლის მოკეტაბეს ფართო, ბრტყელი, მონღოლური სახე ჰქონ-და, გეგონებოდათ, ყოვლისმომცველ და უძირო აპათიას შეუპყრიაო; ქოშების დანახვა თუ გამოაცოცხლებდა ხოლმე.

მოკეტაბეს დედა ადრე სანდომიანი გოგო იყო; ქალიშვილი საზამთროს ბაღში მუშაობდა, როცა ისეტიბეჰამ მას თვალი დაადგა. შეჩერდა და ერთ ხანს უყურა — ფართო მკვრივი თეძოები, ღონიერი ზურგი, მშვიდი სახე. იმ დღეს მდინარეზე მიდიოდა სათევზაოდ, მაგრამ გადაიფიქრა; მაშინ, იქ რომ იდგა და შეუმჩნეველად უმზერდა ინდიელ გოგოს, იქნებ დედამისი გაახსენდა, ზანგის სიბლწერეული ქალაქელი ქალი, მარაოებიითა და მაქმანებით მორთული რომ გაიპარა შინიდან; შემდეგ, ალბათ, იმ ჰყვეტელა ქორწინების უბადრუკობაც წარმოიდგინა. ერთი წლის შემდეგ ისეტიბეჰასა და მის ცოლს ვაჟი შეეძინათ: სამი წლის მოკეტაბეს უკვე აღარ ეტეოდა ფეხი ქოშებში. წყნარ, ცბელ სა-ღამოებს ისეტიბეჰა შინ ატარებდა, თვალს ადევნებდა პატარა მოკეტაბეს, გა-უგონარი სიჭოუტით რომ ლამობდა ქოშები ფეხზე წამოეცვა, და თავისთვის ჩუმად ეცინებოდა. კარგა ხანს იცინა მოკეტაბესა და წითელ ფეხსაცმელებზე, რადგან მოკეტაბე თექვსმეტ წლამდე ქოშებს მაინც ვერ შეეღია. მერე უცებ თავი მიანება. თუ, ისეტიბეჰას ეგონა, გაანებო. საქმე ის იყო, რომ ისეტიბე-ჰას თვალწინ ერიდებოდა ქოშებთან ძიძგილი. ახალმა ცოლმა ისეტიბეჰას უთხრა, მოკეტაბემ ფეხსაცმელი მოიპარა და გადამალაო. ისეტიბეჰას აღარ გასცინებია, ცოლი დაითხოვა და მარტო დარჩა.

— ჰო. — თქვა მან. — ვატყობ, სიცოცხლე ჯერ არ მომბეზრებია.

მოკეტაბე იხმო:

— შენთვის მიჩუქნია. — უთხრა შვილს.

მოკეტაბე ოცდახუთი წლისა იყო, უცოლო. ისეტიბეჰას ახრვანი კაცი არ ეთქმოდა, მაგრამ ვაჟზე ექვსი დუიმიტ მაღალი იყო და ასი გირვანქით ნაკლებს იწონიდა. ზორზობა მოკეტაბე უკვე ავადმყოფურად გამოიყურებოდა, უფერული, ფართო, უმოძრაო სახე და შეშუპებული ხელ-ფეხები.

— შენი იყოს დღეიდან. — გაიმეორა ისეტიბეჰამ, უთხრა მოკეტაბეს. — მოკეტაბემ მხოლოდ ერთხელ, ოთახში შესვლისას, ახედა მამას; სწრაფი, ფრთხილი, მალული მზერა ესროლა.

— გმადლობთ. — თქვა მან.

ისეტიბეჰა ბურნუთს ხმარობდა (ერთმა თეთრკანიანმა ასწავლა): პირში მწიკვ თუთუნს იყრიდა და გუმფისიანი ხის ტოტით კბილებზე იღესავდა.

— რას იზამ, — თქვა მან. — ადამიანს უკვდავება არ უწერია.

შვილს შეხედა, წამით გაუშტერდა თვალი, უახროდ ჩააცქერდა რაღაცას, ჩაფიქრდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა, ეს კი ჩაილაპარაკა ხმადაბლა:

— ჰო, მაგრამ დუმის ბიძას წითელქუსლიანი ფეხსაცმელები არა ჰქონია. — კვლავ გაჰხედა თავის მსუქან, გარინდებულ ვაჟს:

— შეიძლება კაცი რაღაცას აპირებდეს, შენ კი გვიანლა მიუხვდე. — იგი ირმის ღვედებგადაწულ სკამზე იჯდა: — არც ეტევა ფეხზე; მისი ზორზობი ზორცი მასაც აწუხებს და მეც თავს მამბეზრებს. რა ჩემი ბრალია, ქოშები რომ არ ეტევა?

კიდევ ხუთი წელი იცოცხლა და მერე მოკვდა. ერთხელ, ღამით, ცუდად გახდა, მყრალას ბეწვის ქილეტში გამოწყობილი ექიმბაში ეახლა და სასთუმალთან რაღაც ჯოხები დაუნთო, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა — შუადღემდეც ვერ მიატანა.

ეს გუშინ მოხდა. საფლავი უკვე გათხარეს; მთელი დღე გრძელდებოდა სტუმრიანობა: მოდიოდნენ და მოდიოდნენ მეზობელი ტომების ინდიელები ოთხთვალეებით, ფურგონებით, ცხენებით, თუ ფეხით, რათა შემწვარი ძაღლის ზორცი, საკოტაში \* და ნაცარში გამომცხვარი ბატატი მიერთვათ და დაკრძალვას დასწრებოდნენ.

III

— ეს ამბავი სამ დღეს გასტანს. — თქვა კალათამ, როცა მეორე ინდიელთან ერთად სახლისაკენ გამობრუნდა. — სამ დღეს გასტანს და საჭმელი გამოილევა; ადრეც ასე მოხდა.

მეორე ინდიელს ლუის კენკრას ეძახდნენ.

— ასეთ ამინდში გვამს მალე სუნი აუვა.

— ჰო, ზანგების გადაშვიდე დავიდარაბას ვერ აუდიხარ კაცი.

— იქნებ სამი დღე არც დაგვკირდეს.

— შორს გარბიან ხოლმე. კაცის სუნს ბლომად ვიყნოსავთ, მანამ მიწას ჩაბარდებოდეს. შენი თვალთ დაინახავ; მართალი ვარ, თუ არა.

\* სიპინდის, ცერცვისა და ღორის ზორცისაგან მომზადებული კერძი.



სახლს მიუახლოვდნენ.

— ახლა შეუძლია ქოშები ჩაიცივას. — თქვა კენკრამ. — კაცის თვალწინაც შეუძლია ატაროს.

— ცოტა უნდა მოიცადოს, ჯერ ვერ ჩაიცივამს. — თქვა კალათა და კენკრა მას შეაქებდა. — ნადირობას უნდა გაუძღვეს.

— მოკეტაბე? — ჩაეკითხა კენკრა. — შენ გგონია, თავს "მეჩვენებ" კაცი, რომელსაც ლაპარაკის დროსაც კი ჭაფა აღგება? კალათა და კენკრა  
ბიჭ-ბიჭუნები

— მეტი რა დარჩენია? თუ დროზე არ დამარბეს, მამამისი მალე აყროლდება.

— ეგ სწორია, — თქვა კენკრამ. — ფეხსაცმელების საფასური მაინც უნდა გადაიხადოს. პო, მართლაც რომ ყიდვა მოუწევს. რას ფიქრობ ამაზე?

— შენ რას ფიქრობ?

— არაფერს არ ვფიქრობ.

— არც მე. ისეტიბეჰას ფეხსაცმელები აღარ დასჭირდება. დაე მოკეტაბეს დარჩეს; ისეტიბეჰასათვის ახლა სულ ერთია.

— პო, კაცი სიკვდილს ვერ გაეჭყევა.

— არა უშავს; სხვა კაცი ხომ გყავს.

ხის ქერქის ერდო, ქვეშ რომ კვიპაროსის გასხეპილი ძელები შეეყენებინათ, გემის ჭიხურს ზემოდან გადმოჰყურებდა და ჩრდილს პფენდა დატკეპნილ მიწაყრილს, სადაც ცუდ ამინდში ჯორებსა და ცხენებს აბამდნენ ხოლმე. გემბანის ბოლოში მოხუცი კაცი და ორი ქალი იჯდა. ერთი ქალი ქათამს პუტავდა, მეორე სიმიანდს ფშვნიდა. მოხუცი ლაპარაკობდა. ფეხშიშველი იყო, ტილოს გრძელი სერთუკი ეცვა და თავზე თახვის ბეწვის ქუდი ეხურა.

— სულ წახდა ქვეყანა, — თქვა მან. — თეთრკანიანებმა დაგვლუპეს. არაფერი გვიჭირდა, ვიყავით ჩვენთვის, მანამ თეთრებმა ჩვენ არ აგვკიდეს თავიანთი ზანგები. მოხუცები ძველად ჩეროში ისხდნენ, შეეჭყეოდნენ მოშუშულ ირმის ხორცსა და სიმიანდს, თუთუნს ეწეოდნენ და დაკრძალვის წესრიგზე მსჯელობდნენ. ახლა რაღა დაგვრჩენია? მოხუცებსაც კი გაუწყდათ ქანცი ზანგებზე ზრუნვით; ხალხზე, რომელსაც ღირსეულ სიკვდილს ოფლის ღვრა ურჩენია.

კალათა და კენკრა გემბანს რომ მიადგნენ, მოხუცი გაჩუმდა და მოსულთ აპხედა. ნალვლიანი, უსიციოცხლო თვალები ჰქონდა; სახე უამრავ წვრილ ნაოჭს დაედარა.

— ესეც გაჭყეულა. — დაასკვნა მან.

— დიან. — უთხრა კენკრამ. — წასულა.

— ვიცოდდი. გითხარით კიდევ. დევნა სამ კვირას გასტანს; დუმი რომ მოკვდა, მაშინაც ასე მოხდა.

— მაშინ სამ დღეს მოუნდნენ, სამ კვირას კი არა. — თქვა კენკრამ.

— შენ იქ იყავი მაშინ?

— არა, — უპასუხა კენკრამ. — მაგრამ გამიგონია.

— მე კი იქ ვახლდი. — თქვა მოხუცმა ინდიელმა. — სამი კვირის განმავლობაში ჭაობებსა და შამპნარში დავებეტებოდით... — კალათამ და კენკრამ გემბანი გაიარეს და ლაპარაკის საღერღელაშლილი მოხუცი ჟვან მოიტოვეს.

გემის სალონისაგან მხოლოდ ნაბევრად დამპალი ჩარჩო ღარჩენილიყო: აქა-იქ წითელი ხის ვარაყიანი ჩუქურთმა პრიალებდა, პზინავდა და იდუმალ, კაბალისტურ ფიგურებად ერთიანდებოდა; ჩალუწილი ფანჯრები ლაბრ-გადაკრულ თვალებს წააგავდა. შიგ მარცვლულის თესლით იცხუ რამდენიმე ტომარა ეწყო, ოთახის შუაში წამყვანი მექანიზმის წინარი აღმართულიყო. მის ღერძზე მიმაგრებული ორი რესორი, მოხდენილ მკერდს მუხუცეკილი და ჩაქანგებული, ბურჯად შედგომოდა ცარიელ სიერცემ. კუთხეში, გეჟანის წნე-ლის გალიაში შეუჩერებლივ, უხმაუროდ დაცუნცულედა მელიის ლეკვი; სამი გაღეული მაშალი მტვერში იქექებოდა, იატაკი გამხმარი სკინტლით იყო დასვრილ-დალაქავებული.

ავტურის კედელს გასცდნენ და დაბზარული მორებით ნაშენ ოთახში შეა-ბიჯეს. აქ დაწლილი ლანდოს ბოლო იდო, ცალ გვერდზე აყირავებული; ფან-ჯარა ტირიფის ლარტყებით ამოეწნათ, ცხაურში მამლაყინწებს შემოეყოთ თა-ვეები, დაფლეთილი ბიბილოები დაეცქვიტათ და მძივის მარცვლის მსგავსი, გამოთაყვანებული თვალებით წყნარად იცქირებოდნენ. თიხისიატაკიანი ოთა-ხის ერთ კუთხეში ვილაცას აეყუდებინა გამოუჯარგავი გუთანი და ორი შინ-ნაკეთი ნიჩაბი. ოთხ ღვედზე გამობმული მოვარაყებული საწოლი, ისეტიბეჭამ პარიზიდან რომ ჩამოთანა, ჭერზე იყო ჩამოკიდებული. საწოლს არც ნაალი გააჩნდა, და არც ხამბარები, სამაგეროდ, კიდევებზე ჯვარედინად გადაბმული ირმის ტყავის ღვედები გადაეწნათ.

ისეტიბეჭამ ახალგაზრდა ცოლი ვერა და ვერ მიაჩვია ამ საწოლში ძილს. თვითონ დაბადებიდან ქოშინი აწუხებდა და ლამეებს ძილღვიძილში ატარებ-და — თავის მოწმულ სკანზე გადააწვებოდა და ყვინთაქდა ხოლმე, ცოლს ღო-გინში ჩააწვენდა, მოვვიანებით გამოეღვიძებოდა (ღამით სამი-ოთხი საათი თუ ეძინა), სიბნელეში თავს იმძინარებდა და ესმოდა, სუნთქვაშეყრული ქალი ფესაკრეფით რომ ტოვებდა მოოქვრილ, ღვედებგადაკრულ საწოლს და იატაკ-ზე დაფენილი დალიანლაგებული საბნისაკენ მიეპართებოდა, რათა გათენებამ-დე მოესწრო გამოძინება. დილით ისევე ჩუმად აცოცდებოდა საწოლზე და ახლა ის შოიმძინარებდა ხოლმე თავს; ისეტიბეჭა კი იჯდა მის გვერდით სიბნელეში და წყნარად იცინოდა.

შანდღემა ღვედებით გამოებათ კუთხეში მიყუდებულ ორ ჯოხზე; აქვე იდგა ვისკის ათგალონიანი კასრი. თიხის ბუხრის პირდაპირ, წნულ სკამზე, მოკეტაბე იჯდა. სიმაღლით ზუთა ფუტი და ერთი ღუიში ძლივს იქნებოდა, ორასორმოცდაათ ვირვანქას კი იწონადა. პერანგი არ ეცვა, შავი მაუდის პი-ჯაკა ატარებდა; მრგვალი, სპილენძისფერი შიშველი მტველი ტილოს ქვედა საცვლიდან ამობუშტოდა. ფეხზე წითელქუსლიანი ქოშები ეცვა, ბელადის ზურგს უკან მსახური ბიჭი ატუხულივთ და ფოჩიანი ქაღალდის პავრილობულს იქნედა. მოკეტაბე გაუძრევლად იჯდა; ფართო, უვითელი სახე გარინდებოდა, თვალები მიელულა და ფარფლისებური მკლავები განზე გადაეყარა. სახეზე იდუმალი, ტრაგიკული და უბაღისო გამომეტყველება აღბეჭდოდა. კალათა და კენკრა რომ მიუახლოვდნენ, თვალები მაშინაც არ გაახილა.

- დილიდან გაუხდელად აცვია? — იკითხა კალათამ.
- დილიდან აცვია. — უბასუხა ფარეშმა. მარაოს ქნევა არ შეუწყვე-ტია. — ხომ ხედავთ.

— ჰო. — თქვა კალათამ. — ვხედავთ. — მოკეტაბე არ განძრეულა. იგი განდაკებას მოგაგონებდათ, ფრაცსა და ნიფხავში გამოწყობილი მალაიურ ღმერთს ჰგავდა, გულგადედილს ფეხთ ჭყეტელა აღისფერქუსლიანი ფეხსაცმელები წამოეცვა.

— თქვენს ადგილას რომ ვიყო, არ შევაწუხებდი. — თქვა მსახურმა ბიჭმა.

— შენს ადგილას რომ ვიყო, პირიქით ვიზამდი. — უბასუხა კალათამ. ის და კენკრა ბელადის წინ ჩაცუცქდნენ. მსახურმა მარაოს ქვეშას მოუწოწოწო.

— ო, კაცო, — დაიწყო კალათამ. — მისწინე.

მოკეტაბე არ შერხეულა.

— ზანგი გაქცეულა. — თქვა კალათამ.

— ხომ გუუბნებოდით. — ჩაერია ფარეში ბიჭი. — ვიცოდით, რომ გაიქცეოდა. ხომ ვითნარით.

— ჰო, — თქვა კალათამ. — გამონაკლისი არ ბრძანდები; ახლა ბევრი გვიჩინებს იმას, რისი ცოდნაც ადრე უფრო გვარგებდა. გუშინ სად იყავით, ჭკუის კოლოფებო, რად არ დააკავეთ მონა?

— არ უნდა სიკვდილი. — თქვა კენკრამ.

— ვითომ რატომო? — იკითხა კალათამ.

— კაცს რომ თქვალაც სიკვდილი გაწერია, იმას არ ნიშნავს, დღესვე მოიკლა თავი. — უბასუხა მსახურმა. — ეგ არც მე არა მწამს, ბერიკაცო.

— ხმა გაიკმინდე. — უთხრა კენკრამ.

— ოცი წლის მანძილზე, — თქვა კალათამ. — მისი თანამოძმენი მინდვრად თფლს ღვრიდნენ, ეგ კი ჩრდილში იჯდა და კაცს ემსახურებოდა. არც თფლის ღვრა მოსწონს, და აღარც სიკვდილი უნდა?

— თან სწრაფადაც მოკლავენ. — თქვა კენკრამ. — არ გაწვალდება.

— ჰოდა, დაიჭირეთ და აუხსენით, დაამშვიდეთ. — უბასუხა ფარეშმა ბიჭმა.

— ჩუმაღ. — თქვა კენკრამ.

ჩაყუნტული ინდიელები მოკეტაბეს სახეში შესცქეროდნენ. ისიც მკვდარი გვეგონებოდათ. მოკეტაბეს ფაშფაშა სხეული სუნთქვის ხმას თავის სიღრმეშივე ახშობდა.

— მისწინე, ო, კაცო, — დაიწყო კალათამ. — ისეტიბეჭა მოკვდა. წევს და იცდის. მისი ძალი და ცხენი ხელთა გვეყავს. მონა კი გაიქცა. გაიქცა მონა, რომელიც ხელზე ემსახურებოდა, ქოთანს აწვდიდა ხოლმე, მის საჭმელს ინაწილებდა, მისი თეფშიდან ჭამდა. ისეტიბეჭა იცდის.

— ჰო. — თქვა კენკრამ.

— ეს პირველად როდი ხდება. — განავრძო კალათამ. — ასე მოხდა მამინაც, როცა დუმი, მამაშენი, სამარის პირას იწვა და იცდიდა. სამი დღე იწვა, ელოდა და ამბობდა: „სად არის ჩემი ზანგი?“ ისეტიბეჭამ, მამაშენმა, უბასუხა: „მე მას ვიპოვნე, განისვენე; მოგიყვან მონას, რათა შეუფერხებლად გაემგზავრო“.

— ჰო. — თქვა კენკრამ.

მოკეტაბე არ განძრეულა, თვალიც არ გაუხელია.

— ისეტიბეჭა სამი დღე ნადირობდა დაბლობში, — განავრძო კალათამ. — მინ საჭმელადაც არ შემოუვლია, ვიდრე ზანგი არ დაიჭირა; მერე დუმს, მამას,

მიმართა: „აი, შენი ძაღლი, შენი ცხენი, შენი ზანგი; განისვენე.“ ისეტიბეჰამ, რომელიც გუშინ მოკვდა, ეს უთხრა მამას. ახლა კი ისეტიბეჰას ზანგი გაიქცა. ცხენი და ძაღლი თან ახლავს, მონა კი არ ჩანს.

— ჰო. — თქვა კენკრამ. მოკეტაბე არ განძრეულა, უშვედებელ სხეულში უსასრულო გულგრილობა ჩაბუღებულყო, დონდლო ხორცის საფარველში ჩაყინული სული გარეთ ვერ ატანდა. ჩაყუნტუფუკინდეფუფუბი ბელადს სახეში შესცქეროდნენ.

ბიზლირუსეა

— ეს მოხდა მაშინ, როცა მამაშენი კაცად მონათლეს. — თქვა კალათამ. — ისეტიბეჰამ მიჰგვარა მონა მამას, რომელიც სამარის პირას იცდიდა.

მოკეტაბეს სახე არ შესტოკებია, თვალი არ დაუხამხამებია. ცოტა ხნის შემდეგ კალათამ ბრძანა:

— გაჰხადეთ ფეხსაცმელები.

მსახურმა ქოშები გაჰხადა. მოკეტაბე აქლოშინდა, შიშველი მკერდი ძალუმად აუძგერდა, თითქოს ზონზრობა ხორცის ტყვეობას დაეხსნა და სიცოცხლეს დაუბრუნდა, თითქოს ზღვის ღრმა ფსკერიდან ამოყვინთა. თვალი მაინც ვერ გაახილა.

კენკრამ თქვა:

— ნადირობას უნდა გაუძღვეს.

— ჰო, — უპასუხა კალათამ. — ახლა ეგაა კაცი. ნადირობას უნდა გაუძღვეს.

IV

ისეტიბეჰას მსახური მთელი დღე საბძელში იმალებოდა, მომაკვდავ ბელადს უთვალთვალებდა. გვინეელი ზანგი იყო, ორმოცი წლისა. ბრტყელი ცხვირი ჰქონდა, მრგვალი, პატარა თავი, უპეებში ჩაწითლებული თვალები; წინ გამოჩრილი, ფერმკრთალი, მოლურჯო წითელი ფერის ღრძილებიდან ოთხკუთხი, ფართო კბილები მოუჩანდა. თოთხმეტი წლისა იყო, მონების ვაჭარმა კამერუნიდან რომ წამოიყვანა: ზანგის ბიჭს კბილების წაქლიბვა არც დასცალდა. ოცდასამი წელი ხელზე ემსახურებოდა ისეტიბეჰას.

მსახურმა წინაღლით, როცა ისეტიბეჰა სულს დაფავდა, ღამის სიბნელით ისარგებლა და მონების სადგომს მიაშურა. უშფოთველი საათი იდგა, სამზარეულოს ბოლს ნიავი ქუჩაში ატრიალებდა, კარიდან კარამდე მიჰქონდა ხორცისა და პურის სუნი. ქალები კერასთან ფუსფუსებდნენ, კაცები ბილიკის ბოლოში შეჯგუფულიყვნენ და თვალს ადევნებდნენ ლტოლვილს, რომელიც სახლიდან გამოვიდა და გორაკზე დაეშვა; ფეხშიშველი ფროთხილად მიაბიჭებდა საღამოს ბინდში. თავმოყრილ მამაკაცებს მოეჩვენათ, ზანგის თვალები სიბნელეში მკრთალად ციალებნო.

— ისეტიბეჰა ჯერ არ მომკვდარა. — თქვა უხუცესმა ზანგმა.

— არ მომკვდარა. — გაიმეორა მსახურმა. — ვინ არ მომკვდარა?

ბინდში დამხედურთ მოსულისაგან ვერ გამოარჩევდი; სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ; იდუმალ ფიქრებში ჩაძირულ ზანგებს სახე მაიმუნის სასიკვდილო ნიღაბს მიუგავდათ. სამზარეულოს ოხშივარი იდუმალ მრუმეს შერე-

ოდა, სხვა სამყაროდან მონაბერი სურნელით თავს დასტრიალებდა შუკასა და მტვერში გაგორებულ ტიტლიყანა ბავშვებს.

— შუალამემდე თუ მიატანა, განთიადამდე იცოცბლებს. — თქვა ერთმა.

— ვინ თქვა?

— ასე ამბობენ.

— ჰო, ასე ამბობენ. ერთი რამ კი ცხადია...

მსახურს შეაცქერდნენ, მათ შორის რომ იდგა. თვალის მკერდზე მკრთალად უელავდა, ნელა და ღრმად სუნთქავდა. გაღვლილ მკერდზე ოფლის წვრილი წვეთები სდიოდა. „იცის. იცის ეგ ამბავი.“

— დაე დაფდაფებმა ილაპარაკონ.

— ჰო, დაე დაფდაფებმა გვაუწყონ ამბავი.

დაფდაფები ღამით ახმაურდნენ. მონები დოლებს მდინარის კალაპოტში ინახავდნენ. გამოდრეკილი დაფდაფები კვიპაროსისაგან იყო გაკეთებული, და ზანგები მათ გულდაგულ მალავდნენ; რატომ, რისთვის, არავინ უწყობდა. დოლებს ჭანჭრობის ნაპირას, ტალახში ფლავდნენ, მათ თოთხმეტი წლის ყმაწვილი დარაჯობდა. ჯუჯა ტანის ბიჭი იყო, დაბადებიდან მუნჯი; ტალახში ჩაყუნტული იჯდა მთელი დღე, გარს ქინქლი ეხვეოდა, ტანშიშველს კოლოებისაგან თავდასაცავად სხეული ტალახით მოეთხუპნა, კისერზე ლაფნის ჩანთა ეკიდა. შიგ ედო ღორის ნეკნი, ალაგ-ალაგ ხორცის შავი ნაგლეჯები რომ შერჩენოდა და მავთულზე აცმული ქიცვიანი ხის ქერქის ორი ნატეპი. შეტყუებულ მუხლისთავებზე ჩამსობილს დუფი დასდიოდა, რაღაცას ლულულულებდა; ხანდახან გარეშემო ბუჩქებიდან უხმაუროდ გამოდიოდნენ ინდიელები, ცოტა ხანს ჩუმად შესცქეროდნენ და მერე უკანვე ბრუნდებოდნენ, ბიჭი კი ვერაფერს ამჩნევდა.

ბოსლის სხვენიდან, სადაც შუალამემდე იმალებოდა, ზანგს დოლების ბაგაბუგი ესმოდა. მდინარემდე საში მილი იყო, მაგრამ დგანდგარი ისე გარკვევით მოისმოდა, თითქოს მედოლე ქვემოთ, საბძელში მოკალათებულიყო და ვანუწყვეტლივ უბრაგუნებდა და უბრაგუნებდა დაფდაფს. თითქოს ხედავდა კიდევ კოცონსა და შავ ბარძაყებს, ცეცხლის აღზე სპილენძისფრად რომ ელავდნენ. თუმცა, ალბათ, კოცონი არც ანთია. იქ ისეთივე წყვდიადი სუფევს, როგორც აქ, ამ მტვრიან სხვენზე, სადაც შრიალა არბეჯიოდ გაისმის ვირთხების თათების ფხატუნე თბილ, ძველისძველ, ნაჯახით გაჩორკნილ დირეებზე. იქ, ალბათ, მხოლოდ კოლოების დასაფრთხობად გაჩაღებული კვამლიანი ცეცხლი ბრჩოლავს, ირგვლივ წელში წახრილი ქალები დგანან; მათი მძიმე, სავსე და კანგადატკეცილი ძუძუები პატარა ბაჭუნებს პირში ჩაუჩრიათ; ფიქრებში გართულთ დაფდაფის ხმაურიც არ ესმით, რადგან არ ანთია კოცონი, რომელიც სიციცხლეს მოაწავეებს.

ცეცხლი ენთო ხომალდზე, სადაც, ღვედებგადაწნულ შანდლებსა და ქერზე ჩამობმულ საწოლქვეშ სულს დაფავდა ცოლებით გარშემორტყმული ისეტიბეპა. ზანგი ხედავდა კვამლს, მზის ჩასვლის წინ კი თვალი მოპკრა მყრალას ტყავის თილეტში გამოწყობილ ექიმს, რომელიც კაიუტიდან გამოვიდა და გემის ცხვირზე დამაგრებულ, ტალახით შეთითხნილ ორ ჯოხს ცეცხლი მოუკიდა. „ჩანს, ჯერ არ მომკვდარა“, ჩაილაპარაკა ზანგმა სხვენის შრიალა ბინდში — საკუთარ თავს უბასუხა; ორი ხმა ჩაესმა: საკუთარი და... საკუთარი.

— ეინ არ მომკვდარა?

— შენ მკვდარი ხარ.

— ჰო, მკვდარი ვარ. — წყნარად თქვა მან. უნდოდა, დაფდაფების სიბლღოვეს ყოფილიყო. წარმოიდგინა, თითქოს ბუჩქნარიდან ისევე და დოლებს ხტუნვით ჩამოუარა; მიშველი, კაფანდარა, ქონით გამოხილი ბაბუაები ელვის უსწრაფესად ტოყავდნენ სინათლეში. მაგრამ ამ ოცნებას ახლანდელი არ ეწერა, რადგან იგი სიცოცხლეს გადაახტა, სიკვდილს შეეფეთა და დაიწყო ახალი გადარჩა, იმიტომ რომ სიკვდილი ადამიანს სიცოცხლის აქეთა მხარეს უდარაჯებს. ახლა კი ცოცხალ ადამიანს სიკვდილი უკანიდან წამოეპარა. ვირთხების თათების ჩუმი შრიალი ნიავის ქროლვასავით მიცურდა დირვების გასწვრივ. ერთხელ ვირთხა შეჭამა. მაშინ პატარა იყო. ამერიკაში რომ მოხდათ, გემი ოთხმოცდაათ დღეს მიცურავდა ტროპიკულ ვანუდში; ზანგები სამი ფუტის სიმაღლის ტრიუმში ცხოვრობდნენ, ზემოდან მთვრალი შკაპერის გალობა ჩაესმოდათ — ახალი ინგლისის მკვიდრი მეზღვაური რაღაც წიგნს კითხულობდა; მონათი წლის შემდეგდა მიხვდა, ის წიგნი ბიბლია რომ იყო. მაშინ იგი ასევე ჩაყუნტული იჯდა გომურში და უთვალთვალვდა ვირთხას, რომლისთვისაც ადამიანებთან საახლოვეს თვინიერება მიუნიჭებინა, თანდაყოლილი მოქნილობა და თვალის სისწრაფე წაერთმია; ბიჭმა ადვილად, ხელის ერთი გაქნევით დაიჭირა ვირთხა და ნელა შეჭამა, გაუკვარდა, აქამდე ცოცხალი როგორ გადაარჩაო. მაშინ იგი მხოლოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, ტანთ ეცვა თეთრი პერანგი, რომელიც მონების ვაჭარმა — უნიტარული ეკლესიის დიაკვანმა მისცა.

ახლა შაშველი იყო, ეცვა მხოლოდ ბამბის უხეში შარვალი, ინდიელებმა თეთრკანიანებისაგან რომ უყიდეს; ბარბაყზე თასმაშებნული ამულეტა ეკიდა. ამულეტად, ერთად შეკოწიწებული სადაფის დორნეტის ნახევარი (რომელიც ისეტიბუქამ ბარბაყთან ჩამოიტანა) და გველი — მოკასინის თავის ქალა ჰქონდა. ზანგმა ოდესღაც თვითონ მოჰკლა ეს გველი და შეჭამა, მხოლოდ შხამიანი თავი მოიტოვა. საბძელში იწვა; სახლს, ხომალდა უთვალთვალვდა. დაფდაფებს უსმენდა და ოცნებობდა: წარმოიდგინა, რომ დოლის ხმაზე კოცონთან ცეკვავდა.

მთელი ღამე სხვენზე გაატარა. ღილით დაინახა, მყრალას ტყავის ქილეთიანი ექიმი სახლიდან რომ გამოვიდა, ჯორზე შეჯდა და გზას გაუდგა. გაყუნებულმა ზანგმა თვალი გააყოლა მტვრის ქულას, ჯორის ფრთხილ ნაბიჯებქვეშ რომ წამოიშალა და მერე ნელა გაიფანტა; უცებ აღმოაჩინა, ჯერ კიდევ ვსუნთქავო და გაუკვირდა, რომ სუნთქავდა, ჯერ კიდევ რომ საჭიროებდა ჰერს. გაუნძრევლად იწვა და მშვიდად იყურებოდა; ოდნავ მოელვარე თვალეებში წყნარი სინათლე ჩასდგომოდა, ადვილად და მშვიდად სუნთქავდა; მერე თვალი მოჰკრა ლუის კენკრას, რომელიც ვარეთ გამოვიდა და ცას აჰხედა. უკვე კარგად გათენებული იყო, ხომალდის გემბანზე საკვარათ ტანსაცმელში გამოწყობილი ხუთი ინდიელი ჩაცმულიყო; შუაღლემდე იქ ოცდახუთმა კაცმა მოიყარა თავი. ნაშუადღევს ხორცისა და ბატატის შესაწვავი ორმო ამოთხარეს; იმ დროისათვის უკვე ასამდე სტუმარი შეიყარა — ხეშეში ვეროპული ტანსაცმლით მოკაზმულთ, დარბაისლურად და აუღელვებლად ეჭირათ თავი — და მან დაინახა, ისეტიბუქას ფაშატი კენკრამ საჭინიბოდან რომ გამო-

იყვანა და ზეს გამოაბა: ისიც არ გამოპარვია, მერე კენკრა სახლში რომ შებრუნდა და იქიდან გამოათრია ბებური ქოფაკი, რომელსაც ისეტიბეჭას სავარძელთან წოლა სჩვეოდა, ინდიელმა ძაღლა ცხენთან დააბა, თვითონ იქვე ჩამოვდა და შევკრებილთ სახეში დაღვრემილი შეაცქერდა. უცებ ძაღლი საყვირდა. ქოფაკი მაშინაც განაგრძობდა ყმუილს, როცა, შზის ჩასვლისას, ზანგი მძლის უკანა კედელზე ჩაცოცდა და შეაბოტა მდინარის შენაკადში, სადაც უკვე ბინდი მომძლავრებულყო. ფეხს აუჩქარა. უკან ძაღლის ყმუილი მისი მხარე-რეს რომ მიადწია, სირბილით ჩაუარა ვიღაც ზანგს. ორმა მამაკაცმა — ადგილზე გაქვავებულმა მგზავრმა და ლტოლვილმა მონამ — წამით გადაპხედეს ერთმანეთს, თითქოს სხვადასხვა, რეალურად გამაჩნული სამყაროს საზღვართან მღვარიყვნენ. სირბილით განაგრძო გზა სიბნელეში: პირმოკუმულსა და მუშტებშეკრულს ფართო ნესტოები რიტმულად უთრთოდა.


სულმოუთქმელად გარბოდა წყვდიადში. კარგად იცნობდა იქაურობას, რადგან ისეტიბეჭას დაპყვებოდა ხოლმე სანადიროდ (ჯორზე გადამჯდარი მონა ბელადის ფაშატს გვერდიდან არ სცალდებოდა, ის და ისეტიბეჭა ერთად მისდევდნენ ხოლმე მელის თუ გარეული კატის კვალს), არეშარეს იცნობდა არახკლებს იმ ადამიანებისა, მალე მის კვალს რომ დაადგებიან. პირველად მზის ჩასვლის წინ, მეორე ღღეს, მოჰკრა მათ თვალი. ოცდაათი მილი გაიბინა მდინარის კალაპოტით; ახლა პაპაიის ბუჩქნარში იწვა და უკან დაბრუნებას აპირებდა, როცა მღვევარი დაინახა. ორნი იყვნენ, პერანგისამარებს ჩალის ქუდები ეხურათ, გულმოღვიანედ დაკეცილი შარვლები იღლიაში ამოეჩარათ, უიარაღოდ წამოსულიყვნენ. შუახნისაანი იყვნენ, ღიბიანები — ჩქარა ვერ ივლიდნენ; კვლდაკვალ თუ მიპყვებოდნენ, თორმეტ საათს მაინც მოუნდებოდნენ იმ ადგილამდე მისვლას, სადაც ლტოლვილი იწვა და მათ უთვალთვალებდა. „მამ შეაღამემდე დრო მაქვს, დასვენებას მოვასწრებ“, ჩაილაპარაკა მან. პლანტაციასთან საკმაოდ ახლოს იყო; სამზარეულოს სუნი ეცა და გაიფიქრა, დამშეული უხდა ვიყო — ოცდაათი საათია, არაფერი მიჭამიაო. „მაგრამ დასვენება უფრო მჭირდება“, თქვა თავისთვის. ბუჩქნარში მიმალული ზანგი ამ სიტყვება იმეორებდა, თავს ძაღლს ატანდა, ეჩქარებოდა დასვენება, იცოდა, რომ ახლა ძაღლის მოერეფა ესაჭიროებოდა. დაავენების სურვილმა გულისცემა ისევ აუჩქარა. თითქოს დასვენებას გადაჩვეულიყო (თითქოს ექვსი საათი არ ეყოფოდა ძაღლის მოსაკრეფად) და დავიწყებულის გახსენება უჭირდა.

ჩამობნელდა თუ არა, მონამ სირბილი განაგრძო. გადაწყვეტილი ჰქონდა, შეუჩერებლივ და აუჩქარებლად ევლო მთელი ღამე, რადგან მაინც არსად არ ჩიხსვლებოდა, მაგრამ ადგილს მოსწყდა თუ არა, თავქუდმოგლეჯილმა მოპყურცხლა, მკერდი აუტოკდა, მძიმედ აქოშინდა; ფართოდ ნესტოებდაბერალი გარბოდა მკვრივ, მშუშხავ სიბნელეში. ერთი საათი უთავბოლოდ რომ ირბინა, გზა დაეხნა: მერე უცებ შეჩერდა და დააყურადა — ცოტა ხნის შემდეგ მისი გულის ძგერა დაფლავის ხმაურს გამოეყო. ეტყობოდა, კალაპოტს ორი მილიც არ აშორებდა; დოლის ხმას მიპყვა, ვიდრე მხრჩოლავი კოცონის მწვავე კვამლი არ იყნოსა. დაფლავების ბაგაბუფა არ შეწყვეტილა, მხოლოდ ზანგთა ტომის უფროსი მიუახლოვდა ლტოლვილს, რომელიც მოლიცლიც კოცონთან იდგა და მძიმედ ქშინავდა; ნესტოები უთრთოდა, ტალახში ამოთხვრილ სახეზე

მოუსვენრად, მიმქრალი შუქით ელავდნენ თვალები, თითქოს ისინიც ფილტვების სუნთქვას აპყობოდნენ.

— გველოდით, — თქვა ტომის უფროსმა. — ახლა წადი.

— წავიდე?

— ჭამე და წადი. მკვდარი ცოცხლებში არ უნდა გვეყოლოს.  ეგ/შენც კარგად იცი.

— ჰო, ვიცო. — ერთმანეთს თვალი აარიდეს. დაფიქრებულს განაკრძობდნენ.

— შეჭამ რამეს? — იკითხა უფროსმა.

— არა მშია. ნაშუადღევს ბაჭია დავიჭირე და ბუჩქებში დამალულმა შევჭამე.

— მაშინ შემწვარი ხორცი წაიღე თან.

ფოთლებში შეხვეული შემწვარი ხორცი აიღო და კვლავ მდინარის კალაპოტს შეუყვია; მალე დოღის ხმაური შეწყდა. ზანგმა განთიადამდე შეუჩერებლად იარა. „თორმეტი საათი დრო მაქვს“, ჩაილაპარაკა მან. იქნებ მეტიც, რადგან კვალს ღამით დაადგნენ“. ჩაცუცქდა, ხორცი შეჭამა და ხელები ბარძაყებზე შეიწმინდა. მერე წამოაწია, ბაშბის შარვალის გაიხადა, კვლავ ჩაცუცქდა ჭაობის პირას და ტალახი წაისვა სახეზე, ხელებზე, ტანზე; კარგა ხანს ასე ჩაცუცქული იჯდა: ხელები მუხლისთავეებზე შემოეჭდო, თავი ჩაეჭინდრა. გათენებისას, როცა სინათლემ იმძლეა და გზის გაგნება იოლი გახდა, კვლავ ჭაობში შეაბოტა, ისევ ჩაიყუნტა და ასე ჩაცუცქულმა ძილს მისცა თავი. უსიზმროდ ეძინა. კიდევ კარგი, ადგილი გამოიცვალა. რადგან უცებ შუაგულ დღის სინათლეზე რომ გაეღვიძა, ისევ ის ორი ინდიელი დაინახა. ხელში კვლავ კობჭად დაკეცილი შარვლები ეჭირათ; ზანგის სამალავი ადგილის პირდაპირ იდგნენ — დიპიანები, ჩასუქებულნი; ჩაღის ქუდსა და ჩამოშვებულ პერანგებში გამოწყობილი დონდლო ინდიელები ოღნავ სასაცილოდ გამოიყურებოდნენ.

— მომქანცველი სამუშაოა. — თქვა ერთმა.

— მეც ის მიჩვენია, შინ, ჩეროში ვიჯდე. — თქვა მეორემ. — მაგრამ კაცი საშარის კართან წევს და გველოდება.

— ჰო. — წყნარად მიმოიხედეს; ერთი დაინახა და პერანგის კალთაზე მიტმასნილი ბირკავა მოიშორა.

— ეშმაკმა წაიღოს იმ ზანგის თავი. — თქვა მან.

— ჰო. ეგენი ჩვენს საწვალეებლად არიან გაჩენილი.

შუადღე აბალი გადასული იყო, როცა ხეზე მოკალათებულმა ზანგმა პლანტაციას გადაჰხედა. ორ ხეს შუა გაბმულ ჰამაკში ისეტიბეჭას გვამი დაინახა, ბელადის ცხენი და ძაღლი იმავე ხეზე გამოებათ; ხომალდია შემოგარენი ფორნებით, ცხენებითა და ჯორებით იყო სავსე, ფურგონებსა და შეკაზმულ ცხენებს სათვალავი აღარა ჰქონდათ, ჭრელ ჯგუფებად თავმოყრილ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს ფეხი მოერთხათ ვრძელი ორმოს პირას, საიდანაც კვაშლი და შემწვარი ხორცის სქელი ოხშივარი ამოდიოდა. მამაკაცები და მოზრდილი ბიჭები კი, ალბათ, მდინარის კალაპოტს მიჰყვებიან მის კვალდაკვალ, ხოლო სათუთად დაკეცილი საკვირაო ტანსაცმელი ხეების ორკაპებში შეუჩურთავთ. მამაკაცების ერთი ჯგუფი სახლის, უფრო სწორად, გემის კაიუტის კართან იდგა, ლტოლვილი მათ დააცქერდა და მალე დაინახა, სახლიდან



რომ გამოიტანეს ირმის ტყავისა და ხურმის ხის საკაცეზე გადაშლართული მოკეტაბე; მალლა, ფოთლოვან სამალავში გატრუნული მსხვერპლი წყნარად დაძუტრებდა თავის გარდაუვალ ბედისწერას, სახეზე მოკეტაბეს მსგავსი, არაფრისმთქმელი გამომეტყველება აღბეჭდოდა. „პო“, წყნარად ჩაიდუღუნა. „მაშ, ესეც მოდის. კაცი, რომელიც თხუთმეტი წელია მკვდარ სხეულს/დაათრევს, ესეც მე მომდევს“.

ნაშუადღევს ვილაც ინდიელს შეეფეთა. ჭანჭრობზე ვერცხვებს ბოგორზე შეხვდნენ ერთმანეთს: მალალი, ხმელ-ხმელი, მოუღლეელი და თავხეხელაღებულ ზანგი და მსუქანი, დონდლო ინდიელი — უაღრესი და უკიდურესი გულგრილობის ჭეშმარიტი განსახიერება. ინდიელი არ განძრეულა, კრინტი არ დაუძრავს: ბოგორზე იდგა და უყურებდა ზანგს, რომელმაც ჭანჭრობში ისკუპა, ნაპირისაკენ გასცურა და ლაწალუწით გაუჩინარდა ჯაგნარში.

სალამოს ბინდმა წაქცეულ ხესთან მიუხსრო; მორს ამოთარებული ზანგი მიწაზე იწვა. ჭიანჭველების ნელი პროცესია აღმა მიჰყვებოდა მორს, ლტოლვილი მწერებს იჭერდა და ნელა შეექცეოდა, თითქოს ნასადილევს მარილიან ფისტას ჰკენკავდა ლანგარიდან. ჭიანჭველებსაც მლაშე გემო დაჰკრავდათ და ზანგს უხვად მოედინა ნერწყვი. ნელა იღეჭებოდა, თან თვალს ადევნებდა მწერთა უწყვეტ ნაკადს, რომელიც აღმა, უცნობი ბედისწერის შესახვედრად მიიჩქაროდა, ჯიუტი და საშინელი სიმტკიცით მიცოცავდა მორის გასწვრივ მთელი დღის უჭმელს სახეზე ტალახის ნიღაბი შეჭმობოდა, ჩაწითლებული ქუთუთოებით შემორკალულ თვალებს მოუხვენრად აცეცებდა. სალამოსანს მდინარის ნაპირას რომ მიიპარებოდა იმ ადგილისაკენ, სადაც ადრე ბაყაყი დაიგულა, უცებ ბლაგვი, ძლიერი დარტყმა იგრძნო — გველმა მოკასინმა დაჰგესლა მკლავზე. გველი მოუქნელად ეძგერა, კბილი გაჰკრა და მკლავზე სამართებლის ნაიარევის მსგავსი ორი მოგრძო ჭრილობა დაუტოვა, მერე უხერხულად გაიჭიმა მიწაზე — საკუთარმა გამალებამ და ღვარძლიანმა მრისხანებამ ღონე გამოაცალა, წაწით უზომოდ უსუსურად აქცია. „გამარჯობა, ბაბუა“. უთხრა ზანგმა გველს, თავზე ხელი გადაუსვა და გულგრილად დააცქერდა; ის კი ისევ და ისევ ჰკბენდა მკლავში, ბლაგვად, ტლანჭად ძიძგნიდა და ისე იკლაკნებოდა, თითქოს ნიჩაბს უსვამდა. „იმიტომ, რომ არ მინდა სიკვდილი“. თქვა მან. მერე ხმადაბლა გაიმეორა — „იმიტომ, რომ არ მინდა სიკვდილი“ — და წყნარმა განცვიფრებამ მოიცვა, თითქოს აწამდე, ვიდრე სიტყვებმა სათქმელი არ გამოთქვეს, თვითონაც ვერ ვგრძნობდა ამ სურვილის მთელ ძლიერებას.

v

მოკეტაბემ ქოშები თან წაიყოლა. ფეხსაცმელებში განძრევაც უჭირდა. იმიტომ საკაცეში ნახევრადწამომჯდარ ბელაუს ისინი კალთაში, ნუკრის ტყავის ნავლეჯზე ეწყო — ჯღანადქცეული მსუბუქი ქოშები, რომელთაც დამსკდარი, გაცრეცილი ტყავი, უაბზინდო ენა და აღისფერი ქუსლები ამშვენებდა, ზემოდან ელაგა ჯალამბარზე გართხმულ, გათქვირულ და ცოცხალმკვდარ სხეულს, რომელსაც ტატიტ დაატარებდნენ ჭანჭრობსა და ბარდნარში; მზიდევები მთელი დღე სულმოუთქმელად დაათრევდნენ ბოროტმოქმედების მძიმე

ტვირთს, რადგან მკვლელს ჯერაც არ მოეხადა თავისი ვალი. მოკეტაბეს, ალბათ, ეჩვენებოდა, თითქოს მის უკვდავ სხეულს ჯოჯოხეთში დააქროლებდნენ განწირული ავი სულები. საცოცხლეში მისი დაღუპვა რომ ეწადათ, სიკვდილის შემდეგ კი მისი ტანჯვის უნებლიე ამხანაგებად ქცეულიყვნენ.

ცოტა ხნით შეასვენეს და წრედ შეკრებილ, ჩაუტყუტულ ინდიელთა შუაგულში საკაცე წამოაყუდეს; შიგ გარინდებული მოკეტაბე გამბედავითულიყო, თვალეზი მიელუღა, სახეზე წაპიერი სიმშვიდე და გნებუნებური კომპავლის წინათგრძნობა ეხატებოღა; ახლა ქოშების ატანაც შეეძლო, ცოტა ხნით მაინც გაუძლებღა. ფეხსაცმელები ფარეშმა ბიჭმა ჩააცვა — დიღა, დონღლო, დასიუბული ფეხეზი გაჭირვებით ჩაუტენა ქოშებში; ამის შემდეგ სახეზე კვლავ აღებეჭღა ის ტრაგიკული, პასიური და უაღრესად დაძაბული გამომეტყველება, კუჭის შეკრულობით დაავადებულ ადამიანებს რომ აქვთ ხოლმე. მერე გზა განავრძეს. მოკეტაბე არ განძრუღღა, ხმა არ დაუძრავს, უშფოთველად იტანღა ჯალამბარის რიტმულ რყევას; უხალისობის უსაზღვრო მარაგიღან თუ სესხულობღა ამ გულგრილობას, ან იქნებ რაიმე მეფურ სათნოებას (სიმამაცეს ან სულიერ მხნეობას) ჰვლობღა. ცოტა ხნის შემდეგ საკაცეს დაუშვებღნენ და კერპის ნაკვთებიან, ყვითელ, ოფლით დაცვარულ საბეს ჩააცქერღებღნენ ხოლმე. სამი კალათა ან ორი მამიზ შევიღი იტყოღა: „გაპხადეთ, პატივი მიგებულ იქნა“. და ფეხსაცმელებს გაპხდიღნენ. მოკეტაბე წარბსაც არ ატოკებღა, მხოლოდ სუნთქვას მოუხშირებღა; ბელადის ფერმკრთალი ტუჩებიღან ქშენა მოისმოღა: „აჰ... აჰ... აჰ;“ ინდიელები კვლავ ჩაცუცქღებღნენ და მზვერავებისა თუ შიკრიკების დაბრუნებებს ელოღნენ.

— ჯერ არა?

— ჯერ არა, აღმოსავლეთით მიემართება, მზის ჩასვლამდე ტიპაპის შესართავს მიაღწევს. მერე უკან გამობრუნებღა, ალბათ, ხვალ შევიბყრობთ.

— იმეღი ვიქონიოთ, მაინც კარგა ხანს მოვუნღებით.

— ჰო, უკვე სამი დღეა მივღევთ.

— დღემი რომ მოკეღა, გაქცეულს მხოლოდ სამი დღე ვღიეთ.

— ჰო, მაგრამ ის ლტოლვილი ბერიკაცი იყო, ეს კი ახალგაზრღაა.

— ჰო, კარგად დარბის, ხვალ თუ დავიქვართ, ნიძღავში ცხენს მოვიგებ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— ჰო, უსიამო ჯაფა დავგაღღა.

ეს იყო იმ დღეს, როცა პლანტაციამში ხორაგი გამოიღღა. სტუმრები შინასაკენ გაემართნენ და მეორე დღეს უკანვე დაბრუნღნენ, თან ერთი კვირის სამყოფი საჭმელი წამოაყოღღეს, იმ დღეს ისეტიბეჰას სუნი აუვიღა; საღამოს საცხე რომ ჩამოწეებოღა და წიავი დაუბერავღა, დაბლობს კიღით კიღემღე ეფინებოღა გახრწნიღი გვამის სუნი. მაგრამ ზანგი ვერც იმ დღეს დაიჭირეს, ვერც მეორე დღეს. მგეჰესე დღის მიწურულში, როცა ბინდი ჩამოწვა, საკაცეს მზვერავები მოუახლოვღნენ; ისინი სიამლოს კვალს წაწყდომოღნენ.

— თავს რაღაც აუტეხა.

— იმეღია, მძიმედ არაა დაშავებული, — თქეა კალათამ. — ისეტიბეჰას არ ეკადრებღა მსახური, რომელიც არაფერში გამოადგებღა.

— და ისეტიბეჰას მოსავლელი იქნებღა. — თქეა კენკრამ.

— არ ვიცი, — უპასუხა მზვერავმა. — უკანვე შეფორთხდა ჭაობში და იქ იმალება: დარაჯი დავუყენეთ.

ახლა ძუნძულით მიარბენინებდნენ საკაცეს. ზანგის სამალავი აღგილი ჭანჭრობში, ერთი საათის სავალზე იყო. ფაცაფუცში მთლად გადავიწყდათ, მოკეტაბეს ქოშები რომ ეცვა: ჭაობს მიაღწიეს თუ არა, ბელადს ვერ ვიხსენებდა. ფეხთ გაშხაღეს და მოასულიერეს.

დაბინდებისას ჭანჭრობს ალყა შემოარტყეს. წრედ ჩაცხუცხულ მზვერავებს კოლო და ქინქლი თავს ღრუბლად ეხვეოდა; დასავლეთით, ზეცის დასალიერში მკაფიოდ აბრღვლიადა სალამოს ვარსკვლავი; ზემოთ, ცის ტატნობზე, თანავარსკვლავედები ამოძრავდნენ. „ვაცალოთ“, თქვეს მათ. „ხვალე ხომ მხოლოდ სხვა სახელია დღევანდელი დღისა“.

— ჰო. ვადროოთ. — დაღუშდნენ და ყველა ერთი კაცივით ჩააშტერდა წყვილიადა. წამით ხმაური შემოესმათ, მალე სიბნელეს მზვერავი გამოეყო.

— გაქცევა დააპირა.

— ხომ დააბრუნეთ უკან?

— თვითონ გაბრუნდა. ცოტა არ იყოს, საშივეს შეგვეშინდა. ვიყნოსეთ, სიბნელეში რომ მოცოცავდა, თან რაღაც სხვა, უცნობი სუნიც გვეცა. ამიტომაც შევშინდით. თვითონ გვითხრა, რა ამბავიცაა მის თავს. გვთხოვა, აქვე მომკალით, სიბნელეში, რომ სიკვდილს სახეში არ შეგხედოთ. ისიც გვითხრა, რა სჭირა. გველმა უკბანა, ორი დღის წინ. მკლავი გაუსივდა და აუყროლდა. მაგრამ ამჟამად სხვა სუნი ასდის, რადგან ჭრალობა უკვე დაუცხრა და მკლავიც ბავშვია ხელის სისხლს აქვს. გვანახა კიდევ. ხელით მოვსინჯეთ სამივემ; ბავშვის მაგია სისხლს თუ იქნება. გვთხოვა, ნაჯახი მათხოვეთ, მკლავი უნდა მოვიჭრაო. მაგრამ რა ეჩქარება, განა ხვალეც დღეისა არ არის?

— ჰო. ხვალეც დღეისაა.

— ცოტათი შევშინდით. მერე უკანვე გაბრუნდა ჭანჭრობში.

— ეგ კარგია.

— ჰო. შეგვაშინა. ვუთხრა კაცს?

— ენახავ. — თქვა კალათამ. იქაურობას გაცალა. მზვერავი ჩაცხუცხდა და ზანგის ამბავს თავიდან მოჰყვა. კალათა მალე დაბრუნდა.

— კაცი ამბობს, საჭმე კარგად არისო. დაბრუნდი საგუშაგონზე.

მზვერავი ფეხაკრეფით გაეშურა ჭაობისაკენ. ფეხმორთხმული ინდიელები საკაცის ირგვლივ იხადნენ და ყვინთავდნენ. ხანდახან ზანგის ხმაური ყუფრახობდათ ძილს. ნაშუალამევს მონამ ყვირილი ასტეხა, თავის თავს დაუწყო დაპარაკი; მისი გამყინავი ხმა ანაზღად გაისმოდა ხოლმე წყვილიადაში, მერე ისევ იყუჩდებოდა. გათენდა; მოყვითალო ცაზე ნელა, ფრთების ტყლამუნით გადაიდრონა თეთრმა წვრომ. კალათა უკვე ფეხზე იდგა. „აბა, დავიძრათ“, თქვა მან. „დღევანდელი დღეც დადგა“.

ორმა ინდიელმა ხმაურით შეაბოტა ჭაობში. ზანგს რომ მიუახლოვდნენ, შეჩერდნენ, რადგან მან სიმღერა წამოიწყო. კარგად ხედავდნენ გამბმარ ტალახში ამოგანგლულ შიშველ მონას, მორზე რომ ჩამთმჯდარიყო და რაღაცას ლილინებდა. შორიახლოს ჩაცხუცხდნენ და ჩუმად უცდიდნენ, როდის მორჩებოდა გალობას. სახე ამომავალი მზისათვის მიეშვირა და მშობლიურ ენაზე მღეროდა რაღაცას. სუფთა, ძლიერი ხმა პქონდა, ველური და ყვედიანი ტემბ-

რი. „ვადროთ“, თქვეს ჩაყუნტულმა ინდიელებმა და მოთმინებით დაუწყეს ლოდინი. ბოლოს, გალობა რომ დაამთავრა, მღევრები თავზე დაადგნენ. ზანგმა დაბზარული ტალახის ნიღბიდან ამოჰხედა მათ. თვალები ჩასისხლიანებოდა, ტუჩები დაჰხეტქოდა და ოთხკუთხი, მოკლე კბილები წინ გამოჰჩოქოდა. ტალახის ნიღაბი თითქოს ხალვათად ეკიდა სახეზე; იფიქრებდით, ეს მოკლე ხანში შიშშილით ჩამომჩნარაო; მარცხენა ხელი მკერდზე ჩაბუჯდა, მკლავი იდაყვის ქვემოთ უფარმო, შავ ტალახში ამოსვროდა. ინდიელებმა უცხოედი სუნი ეცაოთ, აუტანელი, მყრალი სუნი. ზანგი მშვიდად შესცქეროდა მღევრებს; ერთმა მათგანმა მკლავზე შეახო ხელი.

— წამოდი, — თქვა ინდიელმა. — შენ, კარგად ირბინე. სასირცხო არაფერი გაქვს.

VI

იმ ნათელ, უხამსობით შებილწულ დილით პლანტაციას რომ მიუახლოვდნენ, ზანგი თვალების ისეთ ბრიალს მოჰყვა, ცხენებმა რომ იციან ხოლმე. ხორცის შესაწვავი თბრილიდან მონაბერი კვამლი მიწას ეფინებოდა, გარს ეხვეოდა ეზოში და გემბანზე ჩაყუნტულ მომლოდინე სტუმრებს — ჭრელაჭრულა, ხეშეშ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. მღევრებმა მდინარის გაყოლებით შიკრიკები დააგზავნეს, ერთი მაცნე კი წინდაწინ აფრინეს. და გაფრთხილებულნი ჭირისუფლებმა ისეტიბეჰას გვამი გათბრილი საფლავის პირას გადაასვენეს, ცხენი და ძაღლიც თან მიაცილეს; მაგრამ სახლში მაინც იდგა გახრწნილი გვამის სუნი — მკვდარი ისეტიბეჰა ვერ შელევოდა იმ ადგილს. სადაც ამდენი ხანი ცხოვრობდა. მოკეტაბეს მტვირთავეები აღმართს ამოჰყენენ თუ არა, სტუმრები საფლავისაკენ დაიძრნენ.

ზანგი ყველაზე ძალიანი იყო; მრგვალი, ტალახის ქერქში ჩაჭედილი თავი მალლა აეწია და თანამგზავრებს ზემოდან გადაჰყურებდა. მჭიმედ სუნთქავდა, თითქოს ექვსი დაძაბული და საშინელი დღის სატანჯველი ერთბაშად დასტყდომოდა თავს; თუმცა ღინჯად მოაბიჯებდნენ, ზანგს შიშველი, დაღბაჭნილი მკერდი ძალუშად უფვთქავდა, მასთან ერთად ზედ მიტყუპებული მარცხენა ხელიც უტოკავდა. ხან აქეთ გაიხედავდა ხოლმე, ხან იქით, თითქოს ვერაფერს ხედავდა, თითქოს ვერ ასწრებდა იმის დანახვას, რასაც უყურებდა. ოღნავ დიდებული პირიდან დადი, თეთრი კბილები მოუჩანდა. უცებ აქლოშინდა. აჩოჩქოლებული სტუმრები შეჩერდნენ (ხოგიერთს ხელში ხორცის ნაჭერი ეჭირა), შემობრუნდნენ და გამოჰხედეს ზანგს, რომელიც შეკრებილთ სახეში აცქერდებოდა, ველურად, გაფაციცებით აცეცებდა თვალებს.

— ჯერ საჭმელს ხომ არ შეჭამ? — ჰკითხა კალათამ. ორჯერ გაუმგორა შეკითხვა.

— დიახ. — თქვა ზანგმა. — დიახ, დიახ. საჭმელი მინდა.

ბრბომ უკან, მოედნის შუაგულისაკენ დაიხაა, ბოლო რიგებს მიადწია ჩურჩულმა: „ჯერ საჭმელს შეჭამს.“

ხომალდს მიუახლოვდნენ. „დაჯექი“, უთბრა კალათამ. ზანგი გემბანის კიდეზე ჩამოჯდა, ქოშანებდა, მკერდი უღელავდა, თავს მოესვენრად ატრიალებდა და თვალებს თეთრად აბრიალებდა. თითქოს თვალის ჩინი მისთვის

რალაც შინაგან უიმედობას წაერთმია. საჭმელი მოუტანეს და დინჯად დააც-  
ქერდნენ: მონა ამოდ ცდილობდა ლუკმის გადაყლაპვას. ხორცის ნატერი ჩაყ-  
ბინა, დაღეჭა, მაგრამ ნახევრადდაღეჭილი საჭმელი პირის კუთხეებში ჩამო-  
ვდინა, ნიკაპზე ჩამოეღვენთა და მკერდზე დაეკიდა; მერე ლოლნას თავი გაა-  
ნება; გარინდებული იჯდა, შიშველ ტანზე ტალახი შეჭმობოდა, მუხლებშუა  
თეფში ედგა, დაბჩენილი პირი დაღეჭილი საჭმლით განოსტუნოდა, ფართოდ  
ვახელილ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა და სულმოუთქმველად მსმენებდა.  
ინდიელები უხმოდ შესცქეროდნენ, უღმობელი მოთმინებებით ულოდნებო.

— გეყოფა, წავიდეთ. — თქვა ბოლოს კალათამ.

— წყალი, წყალი მინდა. — თქვა ზანგმა. — წყალი მწყურია.

ჭა მოშორებით ჰქონდათ, დაღმართზე, ზანგთა სადგომის შორიახლოს.  
ფერდობი შუადღის ჩრდილებს მოეჩითა; ასეთ მშვიდ საათს ისეტიბეჭა შინ  
ატარებდა ხოლმე; თავის სკამზე იჯდა და ყვინთავდა, სადილს ელოდა, რათა  
მერე საღამოს ძილისათვის მიეცა თავი; ნაშუადღევს ზანგი, მისი მსახური, თა-  
ვისუფალი იყო. სამზარეულოს კართან იჯდა და კერძასთან მოფუსფუსე ქა-  
ლებთან მასლაათობდა. სამზარეულოს მიღმა, სადგომებს შორის, უკაცრიელ  
ბილიკზე სიმყუდროვე და სიწყნარე სუფევდა, მხოლოდ ერდოზე გამოსული  
ქალები გადასძახოდნენ ხოლმე ერთმანეთს, სამზარეულოს ბოლი კი გარს ეხვე-  
ოდა ზანგის პატარა ბავშვებს, აბანოზის ხის სათამაშოებივით რომ კოტრია-  
ლობდნენ მტვერში.

— წამოდი. — თქვა კალათამ.

ზანგი წამოდგა და ინდიელს გაჰყვა; შეკრებილთ შორის ყველაზე მაღალი  
იყო. სტუმრები იქით გაემართნენ, სადაც ისეტიბეჭა, მისი ცხენი და ძალი  
ელოდათ. ზანგი თავაწეული მიაბიჯებდა, თვალებს აცეცებდა, მკერდი უთრ-  
თოდა. „მოდი“, თქვა კალათამ, „წყალი დალიე“.

— დიახ. — თქვა ზანგმა. — დიახ. — სახლს გამოჰხედა, თვალი შეავლო  
მონათა სადგომს — არსად არ ენთო ცეცხლი, კარებში არავინ იჭყიტებოდა,  
არც ბავშვები გორაობდნენ მტვერში — და კვლავ აქოშინდა.

— აი, აქ მიკბინა, მკლავზე დამგესლა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მე ვუ-  
თხარი, „გამარჯობა, ბაბუა“-მეთქი.

— კარგი, წამოდი. — უთხრა კალათამ.

ზანგი კვლავ განაგრძობდა სიარულს, თავაწეული დააბოტებდა, ერთ  
ადგილს ტკეპნიდა. თვალებს ისე ველურად, მორჩილად აბრიალებდა, ცხენებს  
რომ სჩვევიათ ხოლმე.

— წყალი გინდოდა, არა? — თქვა კალათამ. — აჰა, დალიე.

ჭაზე ხაპი ეკიდა. წყლით ააპიპინეს და მიაწოდეს; კვლავ შეაცქერდნენ  
ზანგს, რომელიც ამოდ ცდილობდა ყლუპის გადაყლაპვას. თვალების ცეცება  
მაშინაც არ შეუწყვეტია, ტალახიან სახეზე ნელა რომ მოიყუდა ხაპი. ხედავ-  
დნენ, როგორ უხტოდა ყანყრატო და წყლის ბრჭყვიალა ნაკადი ჩანჩქერად  
იღვრებოდა ხაპიდან, ნიკაპსა და მკერდზე ესხურებოდა. მერე ნაკადი შეწყდა.

— გეყოფა. — თქვა კალათამ.

— მოაცა. — უთხრა ზანგმა. ხაპი ისევ გაავსო და მოიყუდა, ხაპს ზე-  
მოდან მოუსვენარი თვალები უციმციმებდა. კვლავ უხმოდ მიაშტერდნენ იტო-  
კებულ ყანყრატოში; წყალი ყელში არ გადასდიოდა, უთვალავ წვეთად იმსხვ-

რეოლა, ნაკაპზე ჩამოსდიოდა და ხმელი ტალახით დაფარულ მკერდზე ღარად იკვლევდა გზას. დინჯი, დარბაისელი, უღმობელი ინდიელები — ტომის წევრები, სტუმრები, ნათესავები — მოთმინებით ელოდნენ ზანგს. მერე წყალი გათავდა, თუმცა მონა პირიდან არ იშორებდა ცარიელ ხაპა, ფსკერადმა აპირქვევებდა: მისი შავი ყელი ამაოდ კანკალებდა, სიცარიელე კანკალებდა. წყლით ღამბალი ტალახი მკერდიდან ჩამოსწყდა და მის ტალახთან ფეხებთან დაეხეთქა; ცარიელი ხაპიდან ზანგის სუნთქვა მოისმოდა: „აჰ... აჰ... აჰ...“

— კარგი, გეყოფა. — თქვა კალათამ, ზანგს ხაპი გამოართვა და ტახე ჩამოჰკიდა.

# შუა საუკუნეების ესკანათში მოღვაწე ეპრაელი პოეტები



გერმანული  
ბიბლიოთეკა

ძველი ებრაულიდან თარგმნა  
ჯემალ აჩიაშვილმა

სელემონ რენ შაჰირადი  
(1021 — 1055)



ჰოი, სით მოდის გულთამბილავო, სით მოიქცევა ძახილი ესე!..

ისევ და ისევ დაშლი, თუ შერთავ,  
დღეო ნათელო, დამეო მქისევე!..  
ისევ და ისევ... გარნა სით მოდის, სით მოიქცევა ძახილი ესე!..  
მთვარე გარუმონდა ნისლიან სერთან,

მთვარემ სერთბა გაშართა სერზე...  
სით მოიქცევა, სით მოიქცევა, სით მოიქცევა ძახილი ესე!..

...სდუმან ხეები, დგანან უძრავად,  
ბარში დაეშვა ჭირხლი მალლობთა  
და მშვენებთა შესამუსრავად გზებს დეკემბერი  
მოუაზლოვდა.

ჰა, საზღაურთა მძლავრი მიგება, — სუსხი ცეცხლის წილ, გულზე —  
ნაღველი,

ცით განტევებად მიიდრიკება მზე — სამდურავთა ამომძრახველი.  
ვინ ხმობს ამგვარად?.. — მოდის სიკვდილი, ბაღებს მუსრავს და  
ხეებს სცალდება...

თუ სილამაზის აღსაზევებლად კვლავ სიტაცხლებზე დაიწინდება?..

და, ჰა, მთებს იქით შეიძრა ცარგვალი,  
შუქი აღავლინა დამეთა უკუნმა,  
ძალთა მეუფემან შეშართა არგანი,  
ცამ შემზარავად დაიგრუხუნა.

ცრემლი უეცარი შეიშრეს ველებმა,  
ცაზე იღუმალი ნათელი დადის,  
სით მოაქცევა უცხო მშვენება? —

მეწამულ ცაზე ნათელი ღაღის!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჰოი, ნათელი!..  
ძალთა საუფლომან, ცათა მეუფემან  
ვითარ მოავლინა ნათელი!  
თვალთ შეუვალ და მთვარით შეუფერავ  
ცით გარდმოავლინა ნათელი!..

ნათელო,  
ნათელო,  
ნათელო ციერო,

მეოხად ექმენ დაცვენელ შტოებს,  
დღე მოავლინე საბედნიერო  
და სახლსა ჩვენსა მშვიდობა მოეც!  
მზეო ხანიერო, მოგვეცი ხანი, ზვარში, მზვარეში ხმობდეს ფრინველი,  
მიწას და ველებს მოაგე წყალი,

ცავ: — წყალობითა შესაწირველი!

მპყრობელო ძალთა,  
აღმის და დაღმის,  
სულს მანელებულს დველფისა მგვანად,  
და სულთა შიგან მიჩქმალულ სახმილს  
მზის კელაპტარი აღუნთე კვალად!

თორემ კვლავ აღდგა, აღიმართა ბნელი კედელი,  
ცას განეფინა ბინდი ვრცეული,  
ვით უჩვეულო განსაწმენდელი, — განახლებისად  
შემოქცეული...

ხმაი რად მიწყდა!.. ვინ აღესრულა... ცით გარდმოეშვა  
სხივი პირველი,

აჰა, ლაქვარდი აღენთო მზისებრ  
და შუქი იგი — ხარებისად აღაახილველი,  
ცად აღმოხდების ისევ და ისევ.  
ისევ და ისევ აღდგენილი სიცოცხლის შესხმად  
აღიმართება სვეტი აღსავლით...

ცა ბორჯნეული იზვაგებს ზესხმად  
და მოინთხევა მანანასავით.



ნათელო ჩემო, მიწყვივ მადლიან ლოცვებს ვბუტბუტებ,  
თავზე გველები,  
ხმას მოგაწვდენენ დილაადრიან მზით განბანილი საკურთხევლები.



კამკამებს სული, მღერა ჩაესმის...

და სურვილების ნაზი ანთება

მზით შემოსილი უზენაესის საბრძანისებთან ამზიანდება.

ცას შეეხლება მოღალადე სულის თარეში,

მზის სურნელებად ჩამელვრება სულში კინამო

და ხარებათა უჩვეულო სიმბურვალეში

შენ მოანათებ, გულთამხილავო!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოდინარ ცეცხლად... ყრუ და ძაბუნა — ცას განეხვნება

ბნელი ფარდები,

მე — უსიტყვო და სულგანაბული შენს შესაყრელად მოვემართები.

ო, შერთვა იგი!.. ჰანგი ქებული!..

ცად აღავლინეთ ძლევის აღმები,

ვლავ საგანგებოდ განდიდებული საგალობლებით მოგესალმები.

## ბეღისწერა

ეს მოხდა უცხო ზმანებათა გარემოცვაში...  
...ცად ამზიანდა ფარდა — ხარქაში,  
გაღმა ხარების ატყდა ჟღარუნი  
და სიზმარეულ გარდასახვაში გზა შემეცვალა  
პლანეტარული.

მე დავიბადე... ბედის ვარსკვლავი ცაზე აღენთო უცხო ზმანებად,  
ის მომყვებოდა, მე მივდიოდე  
და კელაპტრების წყვილი ღეროთი  
დიდ სინათლეში განსაზავებლოდ მზის შესაყრელად  
მავიმღეროდი.  
მზე იყო მალლა ...მიჯნათა მიღმა უსახდვროების მირაადი  
მოჩანდა ზღვარი...  
დავლაზე გზანი — სხვანი და სხვანი, ბევრი ვიარე, თუ  
ცოტა ვიარე, —  
უცხო მხარეში ამეჭვა მხარი,  
დაეახანე და დავაგვიანე.

... დავაგვიანე... დავაგვიანე... სამარადისოდ დავაგვიანე...

აწ ვზი მაშვრალი, ვინ ზმოხს, ვინ მიცდის... წარხდა ოქრო და  
წარხდა რვალები,  
წინ სიკვდილია, ერთია მისთვის ნატერფალი, თუ ნამწვერვალევი...  
როსმე ცა ენთო, ბრუნავდა ჭერი, როკვით ვიღოდა გუნდი მთიებთა,  
მუნ სევდიანი ოცნება ჩემი ყრუ სამკვიდროებს მოიძიებდა, —  
რომ აქ დამეგდო ხორცი მზრუნველი  
და არაოდეს მეხილა, ვინძლო. —  
რა სატანჯველით აღესრულები, მზეუდაბინდულო ადამის ღვიძლო!..

ნელი ღალადით ავეყუდები აღსავლის კართან...

მოიქცე უკან!.. მაუწყებს იგი — ღამეა, ღამე, თვლემენ ვარდები,  
აღმოვალს მზე და აღსავლის კართან კვლავ ამნაირად აღიმართები.

მე მოვიქცევი, ღამეს ვეურავი, გულში ვიუნჯებ ჭბმო წაღლისაგან,  
რომ ღამისაგან უკუქცეული კვლავ მოვიძიებ განთიადისას.

აბა, მოვსულვარ!.. ბოლავს რიჟრაჟი, ჟამნა მყოფარნა

წამად რბიან და

ამ გამუდმებულ წამთაღრიცხვაში კვლავ უნუგეშოდ დამაგვიანდა...



ქართული  
წიგლმწიქმე

... დამაგვიანდა, დამაგვიანდა... კვლავ უნუგეშოდ დამაგვიანდა...

გაცქერი ცარგვალს, სად მიდის, სადა, ჩემი ღალადი, გმინვა, გნიასი,  
იქნებ მეუფე არარად აქნევს

და სტიქიონთა უჩვეულო პარმონიაში

განუკითხავად განაგებს საგნებს...

ენ ხარ, გიწოდო ძალი რომელი, ბედი გერქვას თუ ბედის გელაზი.

მზედ მოიქცე თუ თოვლად გვებურთ...

ზღვად განისუფევ, მინდვრად მოგველი, თუ მოციანვე ცისარტყელაში

ცხენს დააგელვებ, ყოვლადქებულო!..

გზის გასაყართან დგახარ სახავსე შენი ღოდით და შენი ხაროთი,

თუ დიდებულთა ნაპარტახალზე ტყის სურნელებად ამოწყაროვდი...

დაწყნარდი, სულო, ეძიებ ნულარ, მიჯნებს იდუშალს მიწვდა რომელი:

ხმა დაიდუმე,

მობრუნდი უკან, კარს მოგდგომია სულთამხდომელი...

## სასაფლაოში

გზათ, ვხივარ და ღუმლით გიცქერ,

უქმურ მიწაში თვლემენ ღანდები;

ღუმს სასაფლაო... სიკვდილის ფიცხელ

ხელს წარუბოცავს განძი რამდენი...

იუუჩე, მგზავრო! — უკეთურ მხრისკენ

შენც ამავე გზით წარემართები.

## საქორინილო პირთულ დარბაზულს

გამოდნი ვარეთ, ჰოი, გამოდნი, მზეო, სალბუნო სალმობიერთა,  
ცა, რომელზედაც მოკამკამობდი, საგანთიადოდ ვალმობიერდა.

უკვე მთოვარე ჩამზიანდა ტბათა ზოლებში —  
ხილუად ამო და მშვენებითა ბროლთა მბაძველი  
და დარბაზობენ მოხეიშე დარბაზონებში  
აღზევებული მოდარბაზენი.

შენ კი სადა ხარ!.. ჰოი, გამოდნი, მზეო, სალბუნო სალმობიერთა,  
გზა, რომელზედაც მოიგალობდი, საგანთიადოდ ვალმობიერდა.

მღერის, ცა მღერის, აღესრულა ღამე ხენეში,  
ფიანდაზოვან დარბაზებში შედის მზეობა  
და მძლიანდება მოციხე ცისარტყელებში  
უზენაესის კეთილმძლეობა.

მღერის, ცა მღერის, მღერის დარბაზი, მღერის ქოხი და  
მღერის ახური,

ცა არნახული, სრა — ჩინარების ჩრდილოვანთაგან მოჩარდახული...

შენ კი სადა ხარ!.. ჰოი, გამოდნი, მზეო, სალბუნო სალმობიერთა,  
ცა, რომელზედაც მოიგალობდი, საგანთიადოდ ვალმობიერდა.

...სრა ვალურსულა, პალატნი ხდუმან, სადარბაზონი დალმა დაყურსა,

შენ მგლოვიარე ასულთა შორის  
კოშკსა ზი — ევზომ მოფარდაგულსა,  
ვერ მოგვიხილავს ხატება ბროლის.

გამოვედ, კმარა!.. გელის სავარდუ, თვალს ნუ დაქუშავ  
ჟამინდობით,

უკვე შუნი აღჩნდა იმედის სამანზე,  
მეფე და მიჯნური მოგივალს მშვიდობით...

ჰა, მოჯირითობს დინჯი ეჯიბი,  
მოდის მაყრიონი, გრგვინავს თავალებით,

შხუიან ამფორები ლალისფერ შხეფებით...  
მოდექით, დასნო, მოსარკეთ თასნი მზეგარეული დასტანაგებით,  
თქვენ კი, მუტრიბნო, ჰანგთა შეფენით  
მზეს გვირგვინოსანს მიეგებენით!



აჰა, მოირღვა გალავანი,  
პოიდა,

ნეფე მობრძანდება ატმის რტოითა!

გიხაროდენ, გახაროდენ, სძალო, უფლის ხარებაო!

ო, გიხაროდენი — მოდის ყამარი, მზე მოგვევლინა როდის და როდის,  
მოდის მეჯვარე, მოდის ჯავარი, გამარჯვებული მეუფე მოდის,  
გამოვედ ხილვადი.. ყოველგნით გჭვრეტენ და...

კვლავ მარმარილოს კიბეს დაყუვი,  
ხე ღეროვანი, ოქრომჭედელთა ფერადოვნებით ნაქანდაკევი.  
ვანაძე კრძალვა, თვალთა ზოლებში კვლავ აღიბეჭდე  
ცეცხლი ზვიადი

და მოზეიმე დარბაზონებში გაზაფხულივით შემომხიანიდი.

წუნელ მეზმანე, ეჰა, სივია, თმა შეგმოსოდა უცხო არილით,  
წინ ასპიროზი მოვიძღვებოდა სხივშემართული წინამძღვარივით.  
პრუნავდა დისკო, ხმობდნენ გუნდები... ყრულ გუგუნებდა ბინდი მუხთალი.  
ოქრო... ოქსინო... იავუნდები... ნათარჩალი და ნაზურმუხტალი...

ო, ხილვა იგი!.. თითქოს აღსავლით ცა სტიქიონთა შეძრა ხმაურმა  
და უნაპირო მშვენიერებასავით მზის სილამაზე შემეცნაურა.

## ქ ა თ ხ ე ბ ი

დილით ავსებულს ბინდისას დაცლის,  
რა სამძიმოა ამის ყურება!..  
მიწამ მიწუროს სუფევა კაცის,  
ცამან მზე მოწყლას, მზემან — წყლულეა...

ასე გვაბრუნებს ზეგარდნო აზრის  
უზენაესი მართლმსაჯულეა.

## სიძლარა ვესტერპლათელ ჯარისკაცებზე

ვინა თქვა, გაწყდნენ ჩვენი ბიჭები,  
ბიჭები შიშის-ზარისდამცემი;  
ცაში ასულან მწყობრ ნაბიჯებით  
ვესტერპლათელი ჯარისკაცები.

მღერიან ჟუხმოდ და უხმაუროდ:  
— არაფერია ეს ტრილობები.  
ჰე, გატანჯულო ჩვენი სამულო,  
ვაი რომ აღრე გემშვიდობებით.

სანამ ვცოცხლობდით, — მტერს არ დავნებდით,  
შენთვის ბრძოლის და ჯათის გამწეენი,  
ღღეს უსხეულო ვართ წმინდანები,  
ვესტერპლათელი ჯარისკაცები.

ყოველი წუთი შენს თავს გვახსენებს —  
შურისძიების ზღვად ამოხეთქილს.  
აქ, სამოთხეში რა მოგვახსენებს,  
როცა მანდ ისევ დულს ჯოჯოხეთი.

გვიხმე და შენთვის ვივარგებთ უხლაც  
და ისევ ისე დავინაცრებით,  
მტერს დავატყდებით თავს მებისტეხად  
ვესტერპლათელი ჯარისკაცები.

<sup>1</sup> 1939 წლის სექტემბერში ვესტერპლათთან პოლონეთის გარნიზონმა გამართული წინააღმდეგობა გაუწია გერმანულ დამპყრობლებს.

# ესთერიანას სიკვდილზე

გერმანელთა მიერ სამშობლოდან გაძევებული  
ვენეციელი ქალიშვილის ხსოვნას



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## I

შენი ნაწინავით ავიდოდი მეშვიდე ცამდე,  
მაგრამ რა მერე? დამბურავდა ღამე უკუნი.  
ჩიტვით ფრთხილი შენი გული ჟაკვე გაფრინდა  
იქვე რომ ჩემთან ვერ მოასწრო დამშვიდობება.  
მიტხარ, რას ვაქნევ, ჩემო კარგო, ცოდნას და სიბრძნეს  
ან რად მარგია გამოცდილება.  
სანთელი დნება, ახლოვდება უკვე რიურაჟი,  
ღამე გითიე, გულმოკლული გეჭექი ფერხთით.

შეპყრობილი ვარ მწუხარებით და უმწეობით,  
ვამ რომ შენი გაცოცხლება არ შემიძლია.  
თანდათან ფერი ეკარგება შენს სილამაზეს  
არც არა გესმის... ვერაფერს გრძნობ... აღარც წყალს ითხოვ.

ო, ალბათ, ახლა წყურვილს იკლავ შავ მდინარეში  
სულეთში ცისფრად ანათებენ შენი თვალები  
ჩალუსკუმებულ სიერცეს მთარღვევ  
და ჟაკან მოგდევს ლერწმის შრიალი.  
აქ ფანჯარაში იჩხვლიტება წიწვიანი ტყე  
და გავს წამებას.  
შიშველ ტოტებზე დაფუჭულან შავი ჩიტები  
შემოდგომას ჩუქურთმებოვით.

## II

თუ ბედი როსმე შემახვედრებს შენს მოხუც ღედას  
ვუამბობ: როგორ მიგაბარეთ უცხოურ მიწას,  
ვუამბობ: როგორ გშვენოდა თმები,  
ცით ნაჩუქარი ნაწინავები — თავთუხის ფერი.

ან ფერხთით როგორ დაგაფინე ზამბახთა კონა  
ან ერთხელ როგორ ვისაუბრეთ ბინოქიოზე —  
როცა ნაკელით ვტვირთავდი ფორნებს.

ო, ტყეო, ტყეო, შწუხარებით ჩაჰკიდე თავი,  
 მუხავ, წიფელო, არყის ხეო, შესწყვიტეთ სუნთქვა  
 შენც გაისუსე ფეხსაცმელზე ამძერალო ლანჩა,  
 მიწას ვაბარებთ, ვეთხოვებით მშვენიერ ასულს.  
 შუშის ჩიტებო, ხის ირმებო, ქვის ყვავილებო  
 და ქაშანურის ბოცვერებო, მოგროვდით ჩემთან  
 არ დაიზაროთ, მომეშველეთ, სამარე გავჭრათ  
 და ხარბი ორმო ამოვავსოთ გორახით, ბელტით,  
 ვიჩქაროთ, ძმებო, თორემ წვიმა აბირებს მოსვლას  
 ამა, ხეებზეც აკაპუნდა ბუნების ცრემლი  
 მალე დაემარხოთ გატანჯული ხელები, თმები  
 გაოცებული და ბავშვური დიდი თვალები.

1948

### ცხრა ქუდი რომ მქონოდა

ეპე, ცხრა ქუდი რომ მქონოდა, ცხრავეს გავყიდდი.  
 ოღონდ მარტივად გადამეჭრა რთული საკითხი.  
 ერთი-ორს ღარიბ ნათესაებს გაუფუგზავნიდი  
 და მეგობრებსაც (ან რა არი აქ მოსარიდი?)  
 ერთით ფოკუსებს გიჩვენებდით, როგორც ფაქირი,  
 ერთსაც კისერზე დავკიდებდი ცხენს თოფრაკივით.

ერთს ყველის გუდად გავიხმარდი, ან მწნილის ქილად,  
 არ იქნებოდა ეს ამბავი სულაც ურიგო.  
 ზოგსაც ბოსტანში მოვისროდი ერთ ლამაზ დილით.  
 ნესვად თუ არა გოგრაღ მაინც ამოსულიყო.  
 ერთ ქუდს როგორმე ტყეში ბუდედ ჩამოვყიდებდი.  
 ყვანჩალებს მაინც გაეზარათ ჩემი სიკეთით.  
 ხოლო ამ ქუდს კი, თავზე რომ მაქვს დაკოსებული,  
 ახლავე წყალში გადავიხვრი გაბრაზებული.

თურმე კრაკოვში ერთ პოეტ ქალს დიმილით უთქვამს.  
 ისე გულგარეთ და სახალისოდ:  
 — ამ მონუმენტურ თავის პატრონს რად უნდა ქუდი,  
 ამხელა თავი ქუდისათვის ცოდვა არისო...

...  
 ჰოდა, ცხრა ქუდიც რომ გამაჩნდეს ცხრავეს გავყიდდი...



## ღირსიკა

სიკვდილი?

კარგი... კი ბატონო... რაა ისეთი...  
მაგრამ ამ ღამით რას არ მივცემდი,  
ოღონდ ქუჩებში მეხეტიალა  
და მელილინა ბრამსის ჰანგები.  
მხრებზე მოვისხამ ღამის ტიარას  
და ლურჯ ჩრდილებში დავცარგები.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფანჯრებზე ცინერასები აღვიძებს ცისყარს,  
ფანჯრები ჰალუცინაციებს და სხივებს ისხამს.

მივჩერებივარ ფანჯარაზე უცხო ზმანებებს  
და ამ ჩვენებას თავს ვერ ვანებებ.

ბედო, მეცნობა ამ დატეხილ ხანთა ქარავმა,  
მაგრამ ავი დრო — ახალმა დრომ უკვე ალაგმა.

აჰა, თენდება და სხივები ღამეს უტევენ  
პურის სურნელი შემეფეთა ჩიტის სისხარტით  
ყვავები თავზე ევლებიან ახალ ბუდეებს  
და რტოებს ხლეჩუნ ბასრი ნისკარტით.

## ვეღრეკა

ბრეიგელ,  
ჯოტო,  
ღვთიურო დანტე,  
დაე სამების მადლი გმოსავდეთ,  
ცაში მიიღეთ და შეიმატეთ  
ჩვენი ვიტ სტვოში — დიდი ოსტატი.

თქვენ ხართ ვარსკვლავთა სამყურა... ჰოდა  
იგი მიიღეთ მეოთხე ფოთლად.

აი სიმდიდრე ყოელისმხილველის:  
ხის ცხენი, ძაღლი, მზე და ჯეჯილი,

ბუ გაფუყული — ბრძენი ფრინველი  
და იგავები ხეში შეჭრილი.

დიდოსტატებო, თქვენ გევედრებათ  
ეს ლოცვა ხეზე ამოკვეთილი  
ო, ყოვლისშემძლე  
დიდო ღმერთებო,  
თქვენც შეისმინეთ ლოცვა კეთილი.



ბრეიგელ,  
ჯოტო,  
ღვთიურო დანტე,  
დაე სამეზის მაღლა გმოსავდეთ,  
ცაში მიიღეთ და შეიმატეთ,  
ჩვენი ვიტ სტვოში — დიდი ოსტატი.

## შენსეჲრა ლელასთან

### ნ ა წ ა ვ ე ბ ი

ო, დედაჩემო, მოუდივარ შენსკენ,  
ისევ ბავშვობის გზებს ეუბრუნდები,  
თვალუწვდენია შენი სამყარო.  
მე შემოვდივარ შენს სინათლეში,  
შენს სიმწვანეში, ნამქერში, ქარში.  
შენ სუსტი პეშვით გაპყრია ყამი  
და ხელისგულზე ფერხულს უვლიან  
ოთხივე დრო და წელიწადები.  
თვალუწვდენია შენი სამყარო:  
მოჩანს წიქეილი, გზა და ფორანა  
ჭაობში გარბის დაჭრილი ტახი  
და ეშვით ფატრავს მანძილს და ბანდებს.  
აგერ ირემა რქებგატოტილი  
ტყეს ერკინება და შემოდგომის  
და ქახატუხით ცვივა ვარსკვლავი  
ო, დედაჩემო, ჩვენ ქვეყანაში  
ეს შემოდგომა დამსხვრეული ვიოლინთა  
და ჩვენი სევდა გადატეხილ ქამანის სევდა.  
ეს შემოდგომა უმწეო და სუსტი ჩიტია  
შენს ხელისგულზე დაფუყული და მოწყვნილი

ზამთარი შენი თეთრი თმებია.

ზაფხული — ოქროს ხელთათმანი ტყეში ნაპოვნი,  
რომელიც იან კოხანოვსკიმ<sup>1</sup> დაპყარგა ერთხელ.

ეს კოხანოვსკი ჯადოქარი გოლიათია

თუ მოინდომებს, აცეკვდება ტყე და ქედები,

ცა გაიხსნება შემოსილი ლურჯი ნაკრტენით

და ამღერდება მწვეანე ხეობა

პომერანის ეპიურ ბანით.

მთვარით დაბარდნილ ლურჯ ტბებზეა და მდინარეებში

მაშინვე თევზის ქარაფნები აფუთფუთდება

ტყიდან მოსკდება დაფეთებულ ირმების ჯოგი,

მვთევზეები დაანთებენ ტბისპირად კოცონს,

ამომხინდება ტაფაზე თევზი,

როგორც იანის ბწყარებშია, ზუსტად ისევე-

იანის წიგნში, დედაჩემო, ღვთაებრივ წიგნში,

ღვთაებრივ ლუზით ჩაკიდულა ჩემი ნოტები

და ჩემი ქვეყნის ყველა რიტმი, ყოველა რითმა,

აი ეს მთვარეც, ფერმკრთალი მთვარე, —

ჩემი ღარიბი ნათესავი და მეგობარი

ლამეში თავა რომ

ტელეგრაფის მავთულებს ახლის.

სწორედ ამ მთვარემ დაკარგა ჩექმა

ღარიბი მთვარე კეთილია, მაგრამ რას იზამ,

ბედოვლათია და ქარაფშუტა

და უამრავი ქათქათა ძაფით

ჩაქსოვილია ჩემს ხელნაწერში



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

<sup>1</sup> იან კოხანოვსკი (1530-1584) აღორძინების ხანის პოლთნელი პოეტი, პოლონური პოეზიის მამამთავარი.

უ ლ ი ს ე

ინგლისურიდან თარგმნა,  
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო  
ნიკო ყიასაშვილმა

ცნობილმა ინგლისელმა რომანისტმა ჯორჯ ორუელმა თქვა, ჯოისმა ყველა ჩვენგანის ცხვირწინ მდებარე ამერიკა აღმოაჩინაო. ამას იზიარებს ჯოისის ყველა თაყვანისმცემელი და ამას აღიარებენ ისინიც, ვინც არ იზიარებენ ჯოისის იდეურ თუ მხატვრულ კონცეფციას.

ამ ახალი და ამავე დროს უაღრესად ადამიანური და ყველანათვის ნათესაური ხამყაროს „აღმოჩენა“ დიდ ენობრივ ექსპერიმენტთანაც იყო დაკავშირებული. „ულისე“, რომლის შესახებაც პოეტმა ტომას ელიოტმა თქვა, ამ წიგნში საუკუნეში თავისი გამოხატულება პპოვო, არა მარტო აზრობრივი ნიუანსებითა და ისტორიულ-ლიტერატურული რემინისცენციებითაა დატვირთული, არამედ, ბუნებრივია, წმინდა ენობრივი საშუალებებითაც გამოხატავს მეოცე საუკუნის ადამიანის რთულ და წინააღმდეგობრივ ფსიქიკასა თუ სულიერ ხამყაროს. თამაში ექსპერიმენტატორი ჯოისი ხშირად თხზავს ნეოლოგიზმებს, თავისებურად იყენებს პუნქტუაციას და სხვ. და თუ მართებულია აზრი, რომ ყოველი თარგმანი ამავე დროს ინტერპრეტაციაა, ეს მით უფრო ჯოისის „ულისეს“ მიმართ ითქმის, რადგან მისი დედანი უმეტეს შემთხვევაში აუცილებლად მოითხოვს გაშიფვრას, ინტერპრეტაციას, თანაც, ბუნებრივია, ისე, რომ ამით არ დაირღვეს მხატვრული ქსოვილი, ჯოისის უაღრესად თავისებური სტილი.

„ულისეს“ მთარგმნელს ყოველთვის დიდ დახმარებას გაუწევს ოგიუსტ მორელის ფრანგული და გეორგ გოიერტის გერმანული თარგმანები, რომლებიც უშუალოდ ჯეიმზ ჯოისის კონსულტაციით შესრულდა. აქედან, გოიერტის თარგმანის რედაქტირება ჯოისს სასწრაფოდ მოუხდა და მწერალი ერთგვარად მაინც უკმაყოფილო დარჩა. ფრანგული თარგმანი კი (რომლის რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღეს ჯოისის მეგობრებმა და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბრწყინვალე მკვლევარებმა ვალერი ლარბომ და სტიუარტ ვილბერტმა) ჯოისს შედეგად მიაჩნდა.

როგორც ცნობილია, ჯოისის „ულისე“ თანამედროვე ოდინებაა. ამ უზარმაზარი რომანის რთული არქიტექტონიკაც თავისებურად იმეორებს ჰომეროსის ეპიკური ქმნილების აღნაგობას. ჰომეროსის ანალოგიით ჯოისმა თავისი ნაწარმოები ეპიზოდებად დასკო და პირველ ვარიანტში მათ ჰომეროსისეული სათაურებიც კი დაარქვა: „ტილემაქე“, „ნესტორი“, „პროტეოსი“, „კალიფსო“, „ლოტოფაგები“, „ფედები“, „ეოლოსი“, „ლესტრიგონები“, „სკილე და ქარიბდი“, „ნოხეტიალე ლოდები“, „სირინოზები“, „კიკლოპები“, „ნავზიკე“, „მელეოსის ხარები“, „კირკე“.

„უკმე“, „ითაკე“ და „პენელოპე“. ეს სათაურები „ულისეს“ საბოლოო ვარიანტს აღარ შემორჩა, მაგრამ სტიურტ გილბერტის ცნობილი მონოგრაფიის გავლენით (სადაც მკვლევარი ამ სათაურებით იხილავს ჭოისის რომანის ეპიზოდებს), დღესაც ყველა იყენებს მათ.

დასახელებული თვრამეტი ეპიზოდიდან ამჟამად წარმოვადგენთ პირველი სამი ეპიზოდის თარგმანს: „ტელემაქე“, „ნესტორი“ და „პროტეოსი“ „ულისეს“ თავისებური შეთავაზება. სამივე ეს ეპიზოდი იშლება სტივენ დედალოსის ირგვლივ, რომელიც ჭოისის წინა რომანის „მხატვრის პორტრეტის“ გმირის განვითარებულ სახეს წარმოადგენს. ანტიკურ ესპანურ ეპიზოდი თავისებური ხიდიცაა ჭოისის შემოქმედების ორ პერიოდს შორის: „ტელემაქე“ და „ნესტორი“ თითქოს უფრო მეტად აკავშირებს ავტორს თავის ადრეულ შემოქმედებასთან (თვით სტილისტურ-ენობრივი თვალსაზრისითაც კი), ხოლო „პროტეოსი“ კი უკვე მთლიანად ე. წ. ცნობიერების ნაკადის მეთოდითაა აგებული. პირველი ორი ეპიზოდით ავტორი თითქოს ცდილობს შეამზადოს თავისი მკითხველი, თანდათან შეიყვანოს რომანის გმირების რთულ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში, შეიჩვიოს და შეაჩვიოს იგი რთული ასოციაციების აღქმას, ავტორისეული თხრობისა და გმირის თვითნაღიზის, შინაგანი მონოლოგის თავისებურ შერწყმა-შეხამებას. მესამე ეპიზოდში კი ჭოისი, თუ შეიძლება ითქვას, უკვე თამამად გაინავარდებს და მთლიანად თავისი გმირის სტივენ დედალოსის ქვეცნობიერი სამყაროს ამოტივტივებასა და გამომწვეურებას ღამობს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ რთულ ასოციაციათა და მინიმუმბათა გასახსნელად თუ გასაშიფრად თვითონ მწერალი არასოდეს მიმართავს ტექსტის კომენტარების ხერხს. ამიტომ თარგმანს კომენტარებს ვურთავ, თუმცა კი ვიცი, კომენტარი თარგმანს ამძიმებს. მაგრამ ეს ის ადგილებია, რომელთა ამოკითხვა განათლებულ ინგლისელსაც უჭირს. კომენტარების წყარო ბევრია, ვასახელებ მხოლოდ ჩემი სამაგიდრე წიგნების ავტორებს სტიუარტ გილბერტს, რიჩარდ ელმანს და განსაკუთრებით უელდონ თორნტონს.

ჭოისის წერის მანერის, სტილის თავისებურებათა და განსაკუთრებით კი მისი ენობრივი ექსპერიმენტის, ინგლისური სინტაქსისა თუ ლექსიკისადმი მისი თამამი და თავისუფალი დამოკიდებულების აღქვატურად გამოხატვა მხოლოდ დიდი მწერლური ავტორიტეტის მქონე მთარგმნელის ხვედრია. ასეთი პრეტენზია ამ თარგმანს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გააჩნდეს. მაღლობელი ვარ ყველასი, ვინც ამ თავისებურ ბეწვის ხიდზე სიარულისას მაღრთხალებდა, მაჩერებდა, შეკამათებოდა. მთარგმნელი, ბუნებრივია, ვერც იმდენ ნეოლოგიზმს შეიტანს თავის თარგმანში, რამდენსაც ჭოისი ხმარობს. ამისათვის მას ისეთივე არნაბული ბრძოლის გადატანა დასჭირდებოდა საკუთარ ენობრივ სამყაროში, რაც თავის დროს ჭოისმა გადაიტანა. მეპატიოს ის რამდენიმე სიტყვა, რომელიც ქართულ ლექსიკონში არ არის, მაგრამ რომელთა ხმარება მაინც გავბედვ ჭოისისეული ენობრივი ექსპერიმენტის ნაწილობრივი სურათის წარმოსადგენად.

და ბოლოს, ამ თარგმანის ყველა მომავალი შესაძლებელი გამომცემლის საყურადღებოა უნდა აღვნიშნო, რომ მასში დაშვებული ლიტერატურული, ენობრივი თუ ორთოგრაფიული ნორმადან რაიმე გადახვევა — დედნიესური ეფექტის შენარჩუნების შეგნებული ცდისა და არა ვისიმე დაუდევრობის შედეგია. ხოლო ეს ცდა თავის მხრივ არამცთუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს კიდევ სხვა შესატყვისების ძიების დაუსრულებელ შესაძლებლობას.

## I

ჩასუქებული ბაყ მალიგანი კიბის ზედა ბაქანზე გამოვიდა, მედიღურად. ხელში საპნის ასაქაფებელი თასი ეჭირა, რომელზედაც ჯვარედინად ეწყო სარკე და სამართებელი. დილის ნელი სიო უბერავდა და ყვითელი, ქამარშეხსნილი ხალათი უკან ოდნავ გამოჭურცოდა. თასი ზევით ასწია და გალობით წარმოთქვა:

— Introibo ad altare Dei<sup>1</sup>.

შეჩერდა, ბნელ დახვეულ კიბეს ჩაბნედა და უკმეხად ჩასძახა:

— ამოდო, კინჩ. ამოდო, შე საზიზღარო იეზუიტო.

დინჯად გადადგა ნაბიჯი და მრგვალ ქონგურზე აფოთხდა ორგვლივ მიმოიხედა და მჭმუნვარე სახით ჯვარი გადასახა კოშკს, არეშარეს ახლად გამოღვიძებულ მთვას. სტივენ დედალოსს რომ მოჰკრა თვალთ, მისკენ გაუაიხარა და სწრაფად მოჰყვა პაერში პირჯვარის გამოსახვას, თან ბუყბუყებდა და იქნევდა. უგუნებო, ნამძინარევი სტივენ დედალოსი კაბის ზედა საფუხურს დაეყრდნო და გულგრილად შეპყურებდა ბუყბუყა, მოცახცახე სახეს, ცხენის თავივით ჩამოგრძელებულს, გაუპარსავ კეფას<sup>2</sup> და მკრთალ-მუხისფერ თმას.

ბაკ მალიგანმა წამით ჩაიჭყიტა თასში და ისევ სწრაფად დააფარა სარკე.

— უკან ჩაძვერი, მკაცრად თქვა მან<sup>3</sup>.

შემდეგ მოძღვრის ტონით განაგრძო:

— ეს არის, შვილნო ჩემნო, ჭეშმარიტი ქრისტიანე<sup>4</sup>: სხეული და სული და სისხლი და ხორცი. ხმას დაუწიეთ, გეთაყვა. თვალები დახუჭეთ. ერთი წამით. ცოტა ეს თეთრი ნაწილაკები გვიშლიან. ჩუმად, ბატონებო.

აღმაცერად აიხედა ზევით და გაბმით დაესტვინა, შემდეგ ერთხანს გაიჩინდა და მიაყურა, თეთრად ჩაწიწიწიკებულ კბილებში აქა-იქ ოქრო უელავდა. ოქროპირი<sup>5</sup>. ორი ძლიერი, მკვეთრი სტვენა გამოეპასუნა სიჩუმეში.

— გმადლობთ, ბიძიკო, გამოცოცხლდა იგი. საკმარისია. გამორთეთ დენი.

ქონგურიდან ჩამოხტა და ქეშად შეხედა დედალოსს, თან ხალათის მოთრეული კალთები მუხლებთან აიკრიფა. მათქვანი, დაჩრდილული სახით და ბრაზიანი, ოვალური ჩანით პრელატს მიაგავდა, ხელოვნების შუასაუკუნეობრივ მეცენატს. ტუჩებზე ნეტარა ღიმილი გამოესახა.

— სასაცილოა სწორედ, მხიარულად თქვა მან. შენი სულელური სახელი; ძველი ბერძენი.

მეგობრულად დაუქნია თითი და ზითხითით პარაპეტასკენ გაემართა. სტივენ დედალოსი ცოტა გააყვა ზღაზუნით და ქონგურის კიდეზე ჩამოჯდა. წყნარად უცქერდა, როგორ მიაყვდა მალიგანმა. მოაჯირზე სარკე, როგორ ჩააწო თასში ფუნჯი და ლოყებზე საპონი აიქაფა.

ბაკ მალიგანის მხიარული ხმა განაგრძობდა.

— ჩემა სახელიც სულელურია: მალაქაი მალიგანი. ორი დაქტილი. მაგრამ რაღაც ელინური ელფრადობა აქვს, არა? ვაცივით კუნტრუშა და მხიარულია<sup>6</sup>.

<sup>1</sup> შვეალ სავრთხვევლსა დვთისახა (ლით).

<sup>2</sup> კათოლიკე მღვდლებს საქორეს იპარსევენ (ტონზურა).

<sup>3</sup> ავტორისეული რეშარეს „თქვა მან“ მხოლოდ მამით გამოყოფა (დეფიზების ნაცვლად) ჯოისის თავისებური პუნქტუაციის ერთ-ერთი მაგალითია. ამით იგი ცდილობს ერთგვარად წაშალოს ზღვარი მოქმედი პირის მეტყველებასა და ავტორისეულ თხრობას შორის, რაც ე. წ. ცნობიერების ნაკადის ერთ-ერთი კომპონენტია.

<sup>4</sup> ჯოისი აქ „ქრისტეს“ მღვდრობითი სტენის ფორმას ხმარობს.

<sup>5</sup> შესაძლოა ბაკ მალიგანის პროტოტიპის ირლანდიელი პოეტის ოლივერ სინჯონ გოგარტის (1878-1957) სახელზე (სინჯონ ანუ „სეინტ ჯონ“ იგივეა, რაც „წმიდა იოანე“) გაახსენი ჯოისს ბიზანტიელი მამა წმ. იოანე ოქროპირი (347-407).

<sup>6</sup> ინგლისურად სიტყვა „ვაცი“ გამოითქმის: „ბაკ“.

შე და შენ ათენს უნდა წავიდეთ. წამოხვალ, მაშიდაჩემს ოცი ვირვანქა რომ დავცინცლო?

ფუნჯი გვერდზე გადადო, ვულიანად გაიცინა და წამოიძახა:

— წამოვაო? კუჭგამხმარი იეზუიტი.

გაჩუქდა და ფრთხილად დაიწყო წვერის პარსვა.

— ერთი მითხარი, მალიგან, წყნარად თქვა სტივენმა.

— გისმენ, ძვირფასო.

— რამდენ ხანა აპირებს პენისი ამ კოშკში დარჩენას?

ბაკ მალიგანმა თავი მარჯვნივ მოაბრუნა და გაპარსული ლოყა გამოაჩინა.

— ღმერთო ჩემო, სწამინელი ვინმეა, არა? გულწრფელად თქვა მან.

ბლენძია საქსონელი. შენ ჯენტლმენად არ მიაჩნებარ. ო, ეს წყეული ინგლისელები. ფული და საკმლის მოუნელებლობა ხეტქავთ. აქაოდა, ოქსფორდიდან ვარო. იცი რა ვითხრა, დედალოს, ნამდვილი ოქსფორდული მანერები გაქვს. მას შენი არ ესმის. ო, ზედგამოჭრილი სახელი შეგარქვი: კინჩი, დანის პირი.

ფრთხილად იპარსავდა ნიკაპს.

— ითელი ღამე ბოდავდა, შავი ავაზა ელანდებოდა, თქვა სტივენმა. რა იქნა შავის თოფი?

— გეყია ეგ ჩემი ცოდვით სავსე, თქვა მალიგანმა. შიში გაჭამა?

— აბა რა იქნებოდა, უპასუხა ადელვებულმა სტივენმა და კვლავ შიშმა შეიპყრო. ამ მიყრუებულ ადვილას, სიბნელეში, უცნობ კაცთან, რომელიც გმინავს და ბოდავს, შავი ავაზა უნდა მოეკლაო. შენ ხალბი დაბრჩობას გადაგიჩენია. მე კი გმირი არა ვარ. ის თუ აქ დარჩა, მე წავალ.

ბაკ მალიგანმა საპნიან სამართებელს დახედა და დაიძინა. თავის ქანდაკიდან ჩამოხტა და შარვლის ჯიბეები გამალებით მოიჩხრიკა.

— ამის დედა ვატირე, ხრინწიანი ხმით დაიძახა.

ქონგურთან მივიდა, სტივენს ზედა ჯიბეში ხელი ჩაუყო და თქვა:

— მიბოძეთ თქვენი წვინტლსახოცი, სამართებელი გავწმინდოთ.

სტივენს არ დაუშლია და ბაკ მალიგანმაც ამოუფრიალა ბინძური, დაკბუჭნილი ცხვირსახოცი. საგულდაგულოდ გაწმინდა სამართებელი. შემდეგ ცხვირსახოცი შეათვალიერა და თქვა:

— მგოსნის ცხვირსახოცი. ახალი მწვანე ფერი ჩვენი არლანდიელი პოეტების პალიატრაზე: წვინტლისფერი. თითქოს გემოსაც კი გრძნობო, არა?

ისევ პარაპეტზე აძვრა და დუბლინის ყურეს გადახედა. ქერა, მკრთალ-მუზისფერ თმას ოდნავ უწეწდა ქარი.

— ღმერთო, წყნარად ჩაილაპარაკა. ელჯის! თქმისა არ იყოს, ეს ზღვა მართლაც საყვარელი ჭაღარა დედაა. წვინტლისფერი ზღვა. სათესლეგამთო-შავი ზღვა. *Epi oinopa ponton*<sup>2</sup>. აჰ, დედალოს, ბერძნები, ბერძნული უნდა გასწავლო. იმათ დედანში უნდა კითხულობდე. *Thalatta! Thalatta!*<sup>3</sup> ჩვენი დიდი, საყვარელი დედა. მოდი, შეხედე.



<sup>1</sup> იგულისხმება პოეტი ელჯენონ ჩარლზ სუინბერნი (1837-1909).  
<sup>2</sup> ლეინისფერ ზღვაში (ბერძ.) — პომეროსისეული შედარება.  
<sup>3</sup> ზღვა! ზღვა! (ბერძ.) — ათი ათასი კაცის შეძახილი ზღვის დანახვაზე ქსენოფონტის ანაბაზისში<sup>4</sup>.

სტივენი წამოდგა და პარაპეტთან მივიდა. დაეყრდნო. გადახედა წყალს და საფოსტო ბოძალდს, კინგსტონის ნავსადგურიდან რომ გადიოდა.

— ჩვენი ძალუმი დედა, თქვა ბაკ მალიგანმა.

უცებ დიდი, გამჭრიახი თვალები ზღვას მოსწყევითა და სტივენის სახეს შეანათა.

— მამიდა ფიქრობს, რომ შენ მოპკალი დედაშენი, თქვენი მამი, ამიტომაც არ უნდა, შენთან საერთო მქონდეს რაიმე.

— ვილაცამ მოკლა, კუშტად ჩაილაპარაკა სტივენმა.

— დალახვროს ეშმაკმა, რა იქნებოდა დაგეჩოქა, კინჩ, როცა მომაკვდავმა დედამ გთხოვა, თქვა ბაკ მალიგანმა. მეც შენსავით ცივისხლიანი ჩრდილოელი ვარ. მაგრამ რომ მაგონდება, როგორ გეხვეწებოდა სიკვდილის წინ დედაშენი, დაიჩოქე და ჩემთვის ილოცეო. შენ კი უარი უთხარი. სადღაც ავსული ხარ და უჭიგრო...

უცებ გაჩუმდა და ხელახლა ოდნავ აიქათა საპონი მეორე ლოყაზე. ღმობიერმა ღიმილმა ტუჩები დაუპრანჭა.

— ჩინებული ჯამბაზი, ჩაიბურტყუნა თავისთვის. კინჩი, უჩინებულესი ჯამბაზი.

იპარსავდა გულდასმით, ფრთხილად, დაღუმებული და სერიოზული.

სტივენმა ოდაყვი დააყრდნო დაკბილულ ვრანტს, ხელი შეზღუდა მიადო და შავი პიჯაკის გაცრეცილ, პრილა სახელოს დაამტერდა. ტკივილი, რომელიც ჯერ კიდევ სიყვარულის ტკივილი არ იყო, გულს უღრღნიდა. სიკვდილის შემდეგ დედა მღუმარედ გამოეცხადა სიზმარში, უსიცოცხლო სხეული გრძელ ყავისფერ სუდარაში იყო გახვეული და საკმევლისა და ვარდის ხის სუნი ასდიოდა, თავს ევლებოდა მისი სუნთქვა, უსიტყვო, საგვედურით აღსავსე, ნესტიანი ნაცრის მკრთალი სუნი. გარღვეული მახეუტის გასწვრივ ხედავდა ზღვას, რომელსაც მის გვერდით მაძლარი ხმით მიესალმნენ, როგორც დიდ, საყვარელ დედას. მღვრიე, მწვანე სითხე ყურესა და პორიზონტს რკალში მოექცა. დედის სასიკვდილო სარეცელთან თეთრი ფაიფურის თასი იდგა, მწვანე, ლორწოვანი ნალევლით სავსე, მომაკვდავმა დამბალი ღვიძლიდან ხმამალალი კენესით რომ ამოარწყია.

ბაკ მალიგანმა ხელმეორედ გაწმინდა სამართებელი.

— აჰ, საბრალო ცუგრაა, დაუყვავა მან. პერანგი და რამდენიმე ცხვირსახოცი უნდა გაჩუქო. სხვისი გამოწაცვალი შარვალი როგორ გამოგადგა?

— კარგად მომერგო, უპასუხა სტივენმა.

ბაკ მალიგანმა ახლა ნიკაპს შეუტია.

— ყველაზე სავალალო ის არის, კმაყოფილი ხმით თქვა მან, რომ შარვალი ბარძაყგამონაცვალია ხოლმე. ღმერთმა უწყის რომელმა ჭირიანმა ატარა. მშვენიერი ზოლიანი შარვალი მაქვს, ნაცრისფერი. დაგხატავს. არ გეხუმრები, კინჩ. ღმერთივით გამოიყურები, როცა გამოწყობილი ხარ.

— გმადლობთ, თქვა სტივენმა. ნაცრისფერი თუა, ვერ ვატარებ.

— ვერ ატარებს, სარკეში მიაძახა საკუთარ თავს ბაკ მალიგანმა. ეტიკეტი ეტიკეტი. დედას კლავს, ნაცრისფერ შარვალს კი ვერ ატარებს.

საგულდაგულოდ დაეცა სამართებელი და სუფთად გაპარსული კანი თითებით მოისინჯა.



სტივენმა ზღვას თვალი მოაცილა და მსუქან სახესა და მოუსვენარ, კვამ-  
ლისფერ თვალებს შეხედა.

— ის ბიჭი, წუხელ „ხომალდში“<sup>1</sup> რომ ვნახე, თქვა ბაკ მალიგანმა, ამ-  
ბობს, რომ პ. დ. გჭირს. დოტვილში მუშაობს კონოლი ნორმანთან. პროგრე-  
სული დამბლა.

სარკე პაერში შეატრიალა, ნათქვამი ზღვაზე აკიაფებულ მზის სხივებზე  
ათამაშა. გაპარსული დამანჭული სახე უცინოდა და თეთრად მხელებდა კბი-  
ლების ღრეჩოები. მთელი მისი ღონიერი, ჩაფსკვნილი სხეული ანითბითდა.

— შენ თავს შეხედე, თქვა მან, საზარელო მგოსანო.

სტივენი წინ გადაიხარა და დაკლაკნილი ბზარით შუა გაყოფილ სარკეში  
ჩაიხედა, ზედ რომ მიაშვირეს. აბურძგნილი თმა. ასე მხედავენ ეგეც და სხვე-  
ბიც. ვინ შემოიჩნია ასეთი სახე? ეს ტილიანი ძაღლის ლეშიც. ესეც მეკითხება.

— მოახლის ოთახიდან ავწაპნე, თქვა ბაკ მალიგანმა. მისთვის ზედვამოჭ-  
რილია. მალაქაისათვის მამიდას მუდამ შეუხედავი მოახლეები ჰყავს. ნუ შეიყ-  
ვანებ განსაცდელსა<sup>2</sup>. ურკულა ჰქვია.

კვლავ გაიცინა და სტივენის დაძაბულ მზერას სარკე მოაცილა.

— კალიბანის რისხვა იმის გამო, რომ საკუთარ სახეს ვერ ხედავს სარ-  
კეში, თქვა მან. ერთი უაილდი ყოფილიყო ცოცხალი, რომ დაენახე.<sup>3</sup>

სტივენმა უკან დაიწია, თითი სარკეს მიაშვირა და გესლიანად თქვა:

— ეს ირლანდიური ხელოვნების სიმბოლოა. მოახლის გაბზარული  
სარკე<sup>4</sup>.

ბაკ მალიგანმა ჟღერს მკლავში ხელი გაუყარა და კომპი შემოათარა. ჯიბეში  
სახელდახელოდ ჩაყრილ სამართებელსა და სარკეს ჩხარუნი გაუდიოდა.

— ასე არ უნდა გაჯავრებდე, კინჩ, არა? დაუტკბა იგი. ღმერთია მოწამე,  
ყველა მათგანს ჯობიხარ.

ისევ აიცილა. მაგას ჩემი ხელოვნების ლანცეტისა ეშინია, ისევე როგორც  
მე მაგისი. ფოლადის ცივი კალამი.

— მოახლის გაბზარული სარკე. ჩადი, მოახსენე ეგ იმ ვირს და გინეაც  
დასცინცლე. ფულში იხრჩობა, შენ კი ჯენტლმენად არ მიაჩნიხარ. მისი ბერი-  
კაცი იმით გამდიდრდა, რომ მექსიკური ბალახისგან დამზადებულ საფალარათო  
ზეთს ან სხვა რაღაც სისაძაგლეს მიასაღებდა ხოლმე ზულუსებს. ღმერთმანი,  
კინჩ, მე და შენ რომ ერთად გვემუშავა, რამეს მოვუხერხებდით ამ კუნძულს.  
გაეაღლინებდით.

კრენლის ხელი. მისი ხელი.

— და მაგ ღორებს უნდა ეღრიჯო. ჩემს გარდა არავინ იცის შენი ფასი.  
ბოლომდე რატომ არ მენდობი? ჰეინსის გამო? ძალიან თუ ხმაყრობს, სეი-

<sup>1</sup> „ხომალდი“ ლუდბანის ან სამიკიტნოს სახელია.

<sup>2</sup> „და ნუ შემეყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან“ (სახარება  
მათესი, 6, 13 და ლუკასი, 11, 4.).

<sup>3</sup> იგულისხმება ოსკარ უაილდის პარადოქსი: „მეცხრამეტე საუკუნის სიძულვილი რეა-  
ლიზმისადმი კალიბანის რისხვაა იმის გამო, რომ საკუთარ სახეს ხედავს სარკეში. მეცხრამეტე  
საუკუნის სიძულვილი რომანტიზმისადმი კალიბანის რისხვაა იმის გამო, რომ საკუთარ სახეს  
ვერ ხედავს სარკეში“.

<sup>4</sup> ოსკარ უაილდი ხელოვნებას გაბზარულ სარკეს აღარებს.

მორს მოვიყვან და კლაივ კემპტორპს რომ დღე აყარეს, იმაზე უარესს დაე-  
მართებო.

ფულიან ხმათა ახალგაზრდული ყიყინა კლაივ კემპტორპის ოთახებში. გა-  
ფითრებული სახეები: სიცილისაგან ფერდები ხელით უჭირავთ ერთმანეთს  
ასკდებიან. ო, აღარ შემიძლია! ობრი, უცებ ნუ მიახლი ახალ ამბავს! <sup>1</sup> ვკვდები!  
შემოფლეთილი პერანგი მოუფრიალებს, დაბტის, დაბლახუნობს მაგი-  
დის გარშემო, შარვალი კოჭებამდე ჩასძვრომია, მაგ დაბლახუნობს კოლეჯელი  
ედსი თერძის მაკრატლით დასდევს. დამფრთხალი ხმოს შურაბით მოვარაყე-  
ბული სახე. არ მინდა, შარვალი რომ ჩამხადონ! ნუ მაპამპულვებთ!

ღია ფანჯრიდან გამოვარდნილი ყიყინა ეზოში სალამოს დააფრთხობს. ყრუ  
მებაღე, წინსაფრიანი, სახეზე მეთიუ არნოლდის <sup>2</sup> ნილაბი რომ აუფარებია, ბა-  
ლახის საკრეჭ ურიკას მიაგორებს დაბინდულ მოღზე და ყურადღებით ჩაშ-  
ტერებია მოველილი ღეროების უცნაურ როკვას.

ჩვენ თვითონ... <sup>3</sup> ახალი წარმართობა... ომფალოს <sup>4</sup>.

— გაუშვი, დარჩეს, თქვა სტივენმა. დამლამობით ჟრევს, თორემ ისე  
არაფერი უჭირს.

— მაშ რა მოგივიდა? მოუთმენლად იკითხა ბაკ მალიგანმა. ამოღერღე.  
მე ძალიან გულწრფელი ვარ შენთან. აბა, თქვი, რას მერჩი?

შეჩერდნენ და ბრეი ჰედის წვეტიან კონცხს გაბუდეს, მძინარე ვეშაპის  
დინგივით რომ ეგდო წყალზე. სტივენმა ნელა გაინთავისუფლა მკლავი.

— გინდა გითხრა?

— ჰო, თქვი, რა მოგივიდა? უბასუხა ბაკ მალიგანმა. არაფერი მაგონდება.  
ლაპარაკის უროს თვალს არ აშორებდა სტივენის სახეს. ნელმა სიონ  
წარბზე გადაურბინა, ოდნავ აუფრიალა ქერა აბურძვნილი თმა და თვალებში  
შეშფოთების ვერცხლისწყალი აუთამაშა.

საკუთარი ხმით დათრგუნვილმა სტივენმა თქვა:

— გახსოვს, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ პირველად რომ მოვედი  
თქვენთან?

ბაკ მალიგანმა უცებ შეიკრა კოპები და თქვა:

— რაო? სად? არაფერი მახსოვს. მე მხოლოდ იღუებს და შეგრძნებებს  
ვიხსომებ <sup>5</sup>. არა, მაინც, ღვთის გულისათვის, რა მოხდა?

— ჩაის აყენებდი, თქვა სტივენმა, მე კი აღუღებული წყლის შემოსატა-  
ხად გავედი კიბის ბაქანზე. დედაშენი და ვილაც სტუმარი მეორე ოთახიდან  
გამოვიდნენ. დედაშენმა გკითხა, შენს ოთახში ვინ არისო.

— მართლა? თქვა ბაკ მალიგანმა. რა ვუპასუხე? დამავიწყდა.

<sup>1</sup> რომელიღაც სიმღერის სიტყვებია.

<sup>2</sup> მეთიუ არნოლდი (1822-1888) — ინგლისელი მწერალი, რომელიც რელიგიის, პოეზიის  
და ფილოსოფიის ბალახივით ერთ ზომაზე შეკრეჭას მოითხოვს.

<sup>3</sup> ირლანდიური ნაციონალისტური ჩგუჯის სახელწოდება იყო შინ ფეინი, რაც ნიშნავს  
„ჩვენ თვითონ“.

<sup>4</sup> ომფალოს — „კიპის“ ან „ცენტრის“ ბერძნული სახელწოდებაა.

<sup>5</sup> ვარაუდობენ, რომ ეს ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის (1632-1704) დებულების  
გამოძახილი უნდა იყოს.

— შენ უთხარი, უპასუხა სტივენმა, „ო, არავინ, დედამისა, დედამისა ძალღივით რომ ამოხდა სული“.

ბაკ მალიგანს ლოყები შეეფაკლა და უფრო ახალგაზრდა და მიმხიდველი გამოჩნდა.

— მართლა ასე ვთქვი? მერე და რა მოხდა?

ნერვიულად მოიშორა დაძაბულობა.

— სიკვდილი რაღაა, იკითხა მან, დედაშენის, შენი ანაწესობა ჩემი? შენ მხოლოდ დედაშენის სიკვდილს უყურე. მე კი ყოველ დღე ვხედავ, როგორ ფშიკავენ ფეხებს მეიტერსა და რიჩმონდში<sup>1</sup> და როგორ გამომიგნავენ ხოლმე სასექციო ოთახში. ეს ჩაძაღლებაა, სხვა არაფერი. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შენ მომაკვდავი დედის თხოვნაც არ შეასრულე და მის სარეცელთან სალოცავად არ დაიჩოქე. რატომ? იმიტომ, რომ დაწყევლილი იეზუიტური ჯიში მოგდგამს, ოღონდ უკუღმა დატრიალებული. ჩემთვის ეს ყველაფერი ტაკიმასხარაობა და ძალღუერი ყოფაა. თავის ტვინის უჯრედები აღარ მოქმედებს. ავადმყოფი ექიმს სერ პიტერ ტიზლს<sup>2</sup> ეძახის და ლეიბს პუტავს. სურვილები შეუსრულე, სანამ ყველაფერი გათავდება. დედის უკანასკნელ მუდარას უფრიც არ ათხოვე და მე კი მიწყურები, ლალუეტის ბიუროდან დაქირავებულ მოხარესავეით რომ არ ვცმუი. სისულელეა! იქნებ მართლაც ვთქვი. სულაც არ მინდოდა დედაშენის ხსოვნისათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა.

ლაპარაკით ძალი მოიცა. სტივენს გულს უკოდავდა სიტყვები, მაგრამ ღია იარებს არ იმჩინედა და მეტად ცივად თქვა:

— მე დედაჩემის შეურაცხყოფაზე არ გეუბნები.

— მაშ რას ამბობ? იკითხა ბაკ მალიგანმა.

— შეურაცხყოფა მე მომაყენე, უპასუხა სტივენმა.

ბაკ მალიგანი ქუსლზე შემოტრიალდა.

— ო, აუტანელი ხარ! წამოიძახა მან.

სწრაფი ნაბიჯით ჩაუყვა მოაჯირს. სტივენი აღვილიდან არ დაძრულა და წყნარი ზღვის იქით კონცხს გასცქეროდა. ზღვა და კონცხი დაიბინდა. თვალეში სისხლი მოაწვა და ხედვას უშლიდა. ლოყები საშინლად უხურდა.

კოშკიდან გაისმა ხმამალალი ძახილი:

— ზემოთ ხარ, მალიგან?

— მოვდივარ, უპასუხა ბაკ მალიგანმა.

სტივენს მიუბრუნდა და უთხრა:

— ამ ზღვას შეხედე. მაგას შეურაცხყოფა რაში ენაღვლება? შეეშვი ლოიოლას<sup>3</sup> და ქვევით ჩავიდეთ. საქსონელს დილის საუზმე ნებავეს.

მისი თავი კვლავ წამით შეყოვნდა კიბის ზემოთ, სახურავის გასწვრივ.

— მთელ დღეს მაგაზე ნუ იღარდებ, თქვა მან. თანმიმდევრული არ ვარ. მოეშვი ნალვლიან ფიქრებს.

თავი ვაქრა, მაგრამ ქვევით მიმავალი ხმა კიბიდან როხროხით ამოდოდა.

<sup>1</sup> მეიტერსი და რიჩმონდი — დუბლინის საავადმყოფოებია.

<sup>2</sup> სერ პიტერ ტიზლი — შერიდანის ცნობილი კომედიის („ავეიაობის სკოლა“) პერსონაჟი.

<sup>3</sup> იგნაციუს ლოიოლა (1491-1556) — იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი.

პირს ნუ იბრუნებ და ნულარ ნაღვლობ  
ტრფობის გულსაკლავ იღუმალებას,  
ფერგუსი მართავს ბრინჯაოს ეტლებს<sup>1</sup>.

ტყის ჩრდილები<sup>2</sup> მდუმარედ ჩაცურდნენ დილის მყუდროებაში კიბიდან ზღვისკენ, საითაც სტივენი იყურებოდა. სანაპიროსთან და შორს სიღრმეშიც წყლის სარკე გათეთრდა, სინათლის ნალით დაქვედრილ ქვეყნულად დაწილული. პირქუში ზღვის ქათქათა მკერდი. ბგერათა მთავრად შეხაშება. ხელი ჩანვის სიმებს ჩამოჰკრავს, დაწყვილებულ აკორდებს აკრეფს. ტალღაქათქათა შეუღლებულ სიტყვების კიაფი დაბინდულ ზღვაზე.

ღრუბელი თანდათან მზეს წამოეფარა, დაჩრდილა და კიდევ უფრო მწვანედ ჩაამუქა ყურე. იგი მის უკან გაწოლილიყო, თასი, რომელშიც ესხა წყალი იგი მხილებისა<sup>3</sup>. ფერგუსის სიმღერა: მარტოდ ვმღეროდი სახლში. გრძელი და ბნელი აკორდები. მისი კარი ღია იყო: ჩემი მუსიკის მოსმენა სურდა. მოწიწებით და სიბრალულით დაღუშებული მის სასიკვდილო სარეცელს მივუახლოვდი. ტიროდა თავის ბეჩავ საწოლში. ამ სიტყვებზე ტიროდა, სტივენ: ტრფობის გულსაკლავ იღუმალებას.

ახლა სადღა?

მისი საიდუმლოებანი: ბუმბულის ძველი მარათები, ცეკვაზე მისაპატიჟებელი ფორჩიანი ბარათები, მუშკამოყრილი, ჟგრაში გამოკეტილი ქარვის მძივები. მისი სახლის მზიან სარკმელში გამოკიდული ჩიტის გალია, როცა პატარა გოგონა იყო. ბებერი როისის სიმღერას უსმენდა მრისხანე თურქას პანტომიმაში და სხვებთან ერთად იცინოდა სიტყვებზე:

მე ის ბიჭი ვარ,  
ხელთ რომ მიჭირავს  
უჩინმაჩინის ქული<sup>4</sup>.

ფანტომური სიმზიარულე, გადანახული: მუშკამბარსურნელოვანი.

პირს ნუ იბრუნებ და ნულარ ნაღვლობ.

მის სათამაშოებთან ერთად ბუნების მეხსიერებაში გადანახული. სევდიანი ფიქრებით დამძიმებულ ტვინს მოგონებები მოაწყდა. ჭიქა წყალი სამზარეულოს ონკანიდან ზიარების დრო რომ დადგა. გულამოჭრილი ვაშლი თალხი შაქრით გამოვსებული, მისთვის რომ იბრაწებოდა ღუმელში შემოდგომის

<sup>1</sup> სემუელ ბატლერ ეიტსის (1865-1939) ლექსიდან. ფერგუს მაკ როი — ირლანდიის ლეგხდარული მეფე, რომელმაც ტახტი დასთმო, რათა თავისუფლად ენადირა ტყეში.  
<sup>2</sup> „ტყის ჩრდილები“ ეიტსის ბუნებულ ლექსში გვხვდება.  
<sup>3</sup> „წყალი იგი მხილებისა“ რამდენჯერმე მოიხსენიება რიცხვთა წიგნის მეხუთე თავში, სადაც აღწერილია მოლაღატე ცოლის მხილების საშუალება: მდგდელთმსახური ქალს საგანგებოდ შემზადებულ წყალს ასმევს „და უკეთუ შევიწებულ იყოს დედაკაცი იგი... განასივნეს მუცელი მისი...“ და სხვ.  
<sup>4</sup> ძველი საშობაო პანტომიმა ლუბლინის „გვიტი თეატრში“, რომელიც მოხსენებულია მეორე მუსიკალურ პანტომიმაში „სინბად ზღვაოსანი“, რომელშიც როისის თურქას როლი იყო ჩართული მისი დიდი პოპულარობის გამო.

ბნელ საღამოს. ბავშვების პერანგებზე გაჭყლეტილი ტილების სისხლით გაწით-  
ლებული მისი ლამაზი ფრჩხილები.

სიზმარში დედა მღუმარედ მივიდა მასთან, უსიცოცხლო სხეული/გრძელ  
სუღარაში იყო გახვეული და საკმევლისა და ვარდის ხის სუნი ასობოდა, მღუ-  
მარედ, იღუმალი ჩურჩულით ევლებოდა თავს მისი სუნთქვა, ნესტიანი ხაჭორის  
შერთალი სუნი.

მისი შუშის თვალები, სიკვდილიდან რომ იცქირებოდნენ წყნარ სიწყობს.  
შესარყევად და მოსადრეკად. მხოლოდ მე მომშტერებოდნენ. ლანდების სან-  
თელი<sup>1</sup> მის აგონიას ანათებდა. ლანდისებრი სინათლე გატანჯულ სახეზე-  
ძლიერი სუნთქვის შემაძრწუნებელი ხრინწი, სანამ ყველა დაჩოქილი ლოცუ-  
ლობდა. მე მომშტერებოდა რომ მუხლებზე დავემხე. *Liliata rutilantium te-  
confessorum turma circumdet: iubilantium te virginum chorus excipiat*<sup>2</sup>.

ვამპირი! გვამების მცოხნელი!

არა, დედა. დე, ვიყო და ვიცოცხლო.

— ჰეი, კინჩ!

ბაკ მალიგანის ხმა კოშკის შიგნით მღეროდა. კიბით თანდათან ზემოთ  
მოიწევდა და კვლავ დაიძახა. სტივენს, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარი სულის  
კვილისაგან თრთოდა, მოესმა თბილი დაფრქვეული მზის შუქი და მეგობ-  
რული სიტყვები ზურგს უკან.

— დედალოს, ჩამოდი, შე ისულელო. საუზმე მზად არის. ჰეინსი ბოდიშს  
იხდის, წუხელ რომ გაგვალვიძა. ყველაფერი რიგზეა.

— მოვდივარ. თქვა სტივენმა და მიტრიალდა.

— მოდი, ღვთის გულისათვის, თქვა ბაკ მალიგანმა. ჩემი გულისათვის,  
ყველა ჩვენგანის გულისათვის.

მისი თავი გაქრა და ხელმეორედ გამოჩნდა.

— ირლანდიური ხელოვნების შენი სიმბოლოს შესახებ ფუთხარი. ამბობს,  
ნამეტანი ჰკვიანურიანო. მიდი, ერთი გირვანქა დასცინცლე, გინეა-მეთქი, ჟუნდა  
მეთქვა<sup>3</sup>.

— ამ დილას მივიღებ ხელფასს, თქვა სტივენმა.

— სკოლის ბორდელში? იკითხა ბაკ მალიგანმა. რამდენს? ოთხ გირვან-  
ქას? ერთი გვასესხეთ.

— თუკი გინდა, თქვა სტივენმა.

— ოთხი ბრჭყვიალა სოვერენი<sup>4</sup>, მხიარულად წამოიძახა ბაკ მალიგანმა.  
დიდებულად დავლევთ, ისე, რომ თვით დრუიდთა დრუიდებს<sup>5</sup> განვაცვიფ-  
რებთ. ოთხი მძლეთამძლე სოვერენი.

ხელები აპლაკა და ფეხების ბაკუნით კიბეს ჩაჰყვა, თან ყალბი ხმით სიმ-  
ღერა წამოიწყო კოჯნის კილოზე:

<sup>1</sup> სანთელი, რომელსაც სულთმობრძავს უნთებენ, რათა მოჩვენებები დააფრთხოს.

<sup>2</sup> „დე შროშანისებრი გასხივოსნებული გუნდი მაზიარებელთა შემოგერტყას გარს: დაე  
მივიღოს შენ მგალობელ ქალწულთა მოზვიმე გუნდმა“ (ლათ.) კათოლიკური სულთათანა.

<sup>3</sup> ერთ გირვანქა სტერლინგში 20 შილინგია, გინეაში 21.

<sup>4</sup> სოვერენი — 5 შილინგი.

<sup>5</sup> დრუიდები — ძველი კელტური რელიგიის მსახურნი.

ო, რას მოვილხენტ, დავლევთ  
ვისკის, ლუღსა და ღვინოს  
მეფის კურთხევის, მეფის კურთხევის,  
მეფის კურთხევის დღეს.  
ო, რას მოვილხენტ, დავლევთ  
მეფის კურთხევის დღეს<sup>1</sup>.



ეროვნული

მზის თბილი შუქი ზღვას გაეთამაშა. ნიკელის საპარსი თასი ბზინავდა. მივიწყებული, პარაპეტზე. რატომ უნდა ჩავიტანო ქვევით? იქნებ მთელ დღეს მანდ დავტოვო, მივიწყებული მეგობრობა?

ზიბრუხდა, ერთხანს ხელში ეჭირა თასი, გრძნობდა მის სიცივეს, წებოვანი ლორწოს სუნი სცემდა ქაფისა, რომელშიაც ფუნჯი იყო ჩარჭობილი. ასე დაეატარებდი საცეცხლურს კლონგაუსში. მე სხვა ვარ ახლა და მაინც იგივე ვარ, ყმა და მონა<sup>2</sup>.

კოშკის პირქუშ თალიან ოთახში ბაკ მალიგანის ხალათიანი ფიგურა ბუხრის წინ გამალებით სცემდა ბოლთას და ხან ეფარებოდა, ხან აჩენდა ცეცხლის მოყვითალო გიზგიზს. მაღლა სარკმელებიდან დღის რბილი სინათლის ორი სვეტი ქვით მოგებულ იატაკს ეცემოდა: და მათი სხივებია გადაკვეთის ადგილას ნახშირის კვამლოს ქულა და შემწვარი ქონის ოხშივარი ტრიალით დაცურაფდნენ.

— ამოვიხრჩობით, თქვა ბაკ მალიგანმა. ჰეინს, კარი გააღე, გეთაყვა.

სტივენმა საპარსი თასი კარადაზე დადო. მაღალი ფიგურა წამოდგა, გასასვლელისკენ გაემართა და შიდა კარი გააღო.

— გასაღები შენა გაქვს? იკითხა ზმამ.

— დედალოსს აქვს, თქვა ბაკ მალიგანმა. დასწყევლოს ეშმაკმა, გავაგუდე. ისე დაიფიქვლა, ბუხრიდან თავი არ აუღია:

— კინჩ!

— უჯრაშო, თქვა სტივენმა და წინ წამოიწია.

გასაღები ღრჭიალით ორჯერ შემოტრიალდა და როცა მძიმე კარი ფართოდ გააღეს, საამო სინათლე და სუფთა ჰაერი შემოიჭრა. ჰეინსი კარის ღირეზე იდგა და გარეთ იყურებოდა. სტივენმა მაგიდასთან მიაჩოჩა თავისი ჩანთა, დაჯდა და ლოდინი დაიწყო. ბაკ მალიგანმა ტაფიდან თეფშზე გადაიღო საუზმე. შემდეგ თეფში და დიდი ჩაიდან მიიტანა, მძიმედ დადო და შვებით ამოიოხრა.

— ვდნები, თქვა მან, როგორც შენიშნა სანთელმა, როცა... მაგრამ ჩუ! კრინტი არ დასძრათ ამაზე. კინჩ, გამოიღვიძე. პური, კარაქი, თაფლი. შემოდი, ჰეინს. კერძი მზად არის. აკურთხე უფალო სასმელი და საჭმელი მონათა და მხევალთა შენთა. სად არის შაქარი? ფუი, რძე არ გვქონია.

სტივენმა კარადიდან პური და თაფლის ქილა და საკარაქე გამოიღო. ბაკ მალიგანი უცებ მოიღუშა.

<sup>1</sup> ამერიკელი ზანგის ჯიმზ ბლენდის (1854-1911) პოპულარული სიმღერა.

<sup>2</sup> ნოემ დასწყევლა ქანაანი: „წყვეულ იყავნ, ქანაან, ყმა და მონა იყავნ ძმთა თვისთა“ (შესაქმე, 9,25). მონის (მსახურის, მოაბლას) საზე ზნირად მეორდება ამ ეპიზოდში, როგორც ისგლისის მამართ ირლანდიის მდგომარეობის გამომხატველი სიმბოლო.

— ნამდვილი ბარდაგია, თქვა მან. აკი ვუთხარი, რვა საათისათვის მოიტანე-მეთქი.

— ჟრბეოდაც კარგად დავლევთ, თქვა სტივენმა. კარადაში ლიმონია.

— ო, შენცა და შენი პარიზული ჩვევაც, თქვა ბაკ მალიგანმა, შეძროხის რძე მინდა.

ჰეინსი შემობრუნდა და წყნარად თქვა:

— დედაკაცს რძე მოაქვს.

— გიშველა ღმერთმა, წამოიძახა ბაკ მალიგანმა და სკამიდან წამოხტა. დასხედით. ჩაი დაასხით. შაქარი პარკშია. რა ჯანდაბა ვუყო ამ კვერცხებს. ტაფამწვარი გაყო და სამ თეფშზე გადააწყო. თან დააყოლა:

— In nomine Patris et Filii et Spiritus Sancti.<sup>1</sup>

ჰეინსი დაჯდა ჩაის დასასხმელად.

— ორ-ორ ნატებს გიყრით, თქვა მან. მაგარი ჩაის ვაკეთება კი გცოდნია, მალიგან, არა?

ბაკ მალიგანმა სქლად ჩამოაჭრა პურის და მოხუცი ქალის ქლესა ხმით წაიბურტყუნა:

— როცა ჩაის ვაკეთებ, ჩაის ვაკეთებ, როგორც მოხუცმა ბიცოლა გროგენმა თქვა<sup>2</sup>. და როცა წყალს ვშვრები, წყალს ვშვრები.

— იმედია, ეს ჯერ კიდევ ჩაია, თქვა ჰეინსმა.

ბაკ მალიგანი განაგრძობდა პურის ჭრასა და ქლესა ხმით ბურტყუნს:

— „ასე ვაკეთებ ქ-ნო კეილ“, ამბობს იგი. „ღვთის გულისათვის“, უპასუხებს ქ-ნი კეილი, „ერთსა და იმავე ქოთანში ნუ გააკეთებთ, გეთაყვა“.

პურისმტეებს ჯერ-ჯერით მიაშვირა დანაზე წამოგებული პურის სქელი ნაჭრები.

— ეს ფოლკლორი, მეტად სერიოზულად თქვა მან, შენი წიგნისათვის ზედგამოჭრილია, ჰეინს. ხუთი სტრიქონი ტექსტი და ათი გვერდი შენიშვნები დანდრამის მკვიდრთა და თევზღმერთების შესახებ. გრძნეული დების მიერ დაბეჭდილი დიდი ქარიშხლის წელს<sup>3</sup>.

სტივენს მიუბრუნდა, წარბი ასწია და საგანგებო ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— თუ ვახსოვთ, ძეო, ბიცოლა გროგენის ქოთანი მებინოგიონშია ნახსენები თუ უფანიშადებში? <sup>4</sup>

— მეეჭვება, კუშტად თქვა სტივენმა.

— მაშ სად? იმავე ტონით იკითხა ბაკ მალიგანმა. აბა ერთი თქვენი მოსაზრებანი მოგვახსენეთ.

<sup>1</sup> სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა (ლათ.).

<sup>2</sup> ბიცოლა (ან დედა) გროგენი, როგორც ჩანს, ირლანდიური ფოლკლორის პერსონაჟია, მაგრამ გოლისის მკვლევარებს წყაროსთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

<sup>3</sup> „გრძნეული დები“ — იგულისხმება შექსპირის „მაკბეთის“ პერსონაჟები. ირლანდიაში „დიდი ქარიშხლის წელი“ იყო 1903 წ., მაგრამ ისტორიულად „დიდი ქარიშხალს“ ირლანდიელები 1839 წლის 6 იანვარს უკავშირებენ ხოლმე.

<sup>4</sup> მებინოგიონი — უელსური ზღაპრების კრებული; უფანიშადები — ძველი ინდური წმიდა წიგნების — „ვედასის“ ნაწილი.





ლი, იღუმალი დილის მაცნე. არ იცის, მოემსახუროს თუ უსაყვედუროს: მაგრამ მოწყალებას კი მაინც არ სთხოვს.

— მართლაც საუცხოოა, ქალბატონო, თქვა ბაკ მალიგანმა და რძე ფინჯნებში ჩამოასხა.

— გემო გაუსინჯეთ, სერ, თქვა ქალმა.

თხოვნა შეუსრულა და მოსვა.

ასეთი კარგი საჭმელით რომ ვიკვებებოდეთ, ცოტა ხმამაღლა უთხრა მოხუც მალიგანმა, ეს ქვეყანა სავსე არ იქნებოდა დამპალი კბილებითა და დამპალი კუჭ-ნაწლავით. ჭაობში ვცხოვრობთ, იაფფასიანი საჭმელით ვიკვებებით და ქუჩები სავსეა მტვრით, ცხენის ფუნათი და ჭლექიანების ნაპურტყალით.

— საექიმოზე ხომ არ სწავლობთ, სერ? შეეკითხა მოხუცი ქალი.

— დიახ, ქალბატონო, მიუგო ბაკ მალიგანმა.

სტივენი უსმენდა დამცინავი დუმილით. ქალი მოხუც თავს უბრის ხმას. ყურში რომ ჩასძახის, მის ჯარა-ექიმს, ექიმბაშს; მე არაფრად მაგდებს. ხმას, რომელიც სამარისათვის გაამზადებს აღსარებითა და მირონცხებით მთელ სხეულზე გარდა ტურტლიანი წელია, კაცის ხორცი ხორცთაგანი არა ღვთის ხატად შექმნილი, მსხვერპლი გველისა.<sup>1</sup> და მყვირალა ხმას, რომელიც ახლა თვალის ცეცებით დადუმებას უბრძანებს.

— გესმით რას ლაპარაკობს? ჰკითხა სტივენმა.

— ფრანგულად ლაპარაკობთ, სერ? უთხრა მოხუცმა ქალმა ჰეინსს.

ჰეინსმა კიდევ უფრო გრძელი საუბარი გაუბა, თავდაჯერებულად.

— ირლანდიურია, თქვა ბაკ მალიგანმა. გესმით გალური?

— მეც ირლანდიურს მივამსგავსე, თქვა მოხუცმა. დასავლეთიდან ბრძანდებით, სერ?

— ინგლისელი ვარ, უპასუხა ჰეინსმა.

— ინგლისელია, თქვა ბაკ მალიგანმა, და თვლის, რომ ირლანდიაში ირლანდიურად უნდა ვლაპარაკობდეთ.

— მართლაც უნდა ვლაპარაკობდეთ, თქვა მოხუცმა ქალმა. მრცხვენია, რომ არ ვიცი. ვინც იცის, ამბობს დიდებულნი ენააო.

— დიდებულნი რა სათქმელია, თქვა ბაკ მალიგანმა. მთლად გადასარეგია. ჩამოგვისხი კიდევ ჩაი, კინჩ. თქვენ ხომ არ ინებებთ, ქალბატონო?

— არა, გმადლობთ, სერ, თქვა მოხუცმა ქალმა, სარძევის სახელური მკლავზე ჩამოიცივა და წასვლა დააპირა.

ჰეინსმა უთხრა:

— ანგარიში თანა გაქვთ? კარგი იქნებოდა გადაგვეხადა, მალიგან, რას იტყვი?

სტივენმა სამი ფინჯანი შეავსო.

— ანგარიში, სერ? თქვა მოხუცმა და შეჩერდა. მაშ ასე, შვიდ დილას თითო პინტი ორ პენსად, ესე იგი, შვიდჯერ ორი — შილინგი და ორი პენსია

<sup>1</sup> ბიბლიური შეხედულება ქალის „უსუფთაობის“ შესახებ (მშობიარობის დროს და სხვ.); „დედა-კაცი, რომელი იყოს წიღოვანებასა შინა მისსა... ყოველი რომელი შეეხოს მას, არაწმიდა იყოს...“ (ლევიტელთა, 15, 12 და 15, 19). ქალის მიმართ არღვევენ ხოლმე წესს და მირონს არ უსვამენ წელზე.



— ტურტლიანი მგოსანი განზრახ თვეში ერთხელ იბანს.

— მთელ ირლანდიას გოლფსტრიმი ბანს, თქვა სტივენმა და პურის ნაჭერს თაფლი დააწვეთა.

ჰეინსმა, რომელიც ტენისის ხალათის გახსნილ საყულოზე კანკა იხვევდა, ოთახის კუთხიდან დაილაპარაკა:

— თუ ნებას დამრთავ, შენი გამონათქვამები უნდა შეგქრებულა.

მე მეუბნება. ისინი იბანენ, იწმენდენ, იფხევენ. სინდისის კანკაზე მინც კიდევ ლაქა აჩნევია<sup>1</sup>.

— აი ის, მოახლის გაბზარული სარკე ირლანდიური ხელოვნების სიმბოლო რომ არისო, მაგარი ნათქვამია.

ბაკ მალიგანმა მაგიდას ქვეშ ფეხი წაჰკრა სტივენის ფეხს და გულთბილად თქვა:

— ერთი მოვასმენინა, რას ამბობს ჰამლეტზე, ჰეინს.

— არა, არ ვნუშრობ, ისევ მიმართა ჰეინსმა სტივენს. სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როცა ის საბრალო ბებრუხანა შემოვიდა.

— ფულს თუ გავაკეთებ მაგიტ? იკითხა სტივენმა.

ჰეინსს გაეცინა, სკამის ზურგზე წამოცმული რბილი ნაცრისფერი ქუდი აიღო და თქვა:

— რაც არ ვიცი, არ ვიცი.

კარისაკენ გაემართა. ბაკ მალიგანი სტივენისაკენ გადაიბარა და უკმეხად უთხრა:

— დიდი სისულელე მოგივიდა. ეგ რამი გათქმევინა?

— მერე და რა? თქვა სტივენმა. პრობლემაა ფულის შოვნა. ვისგან? მერძვევისაგან თუ მაგისაგან. მე მგონი, ეს ალჩუ და თოხანის ამბავია.

— მე შენი ქებით ვაყრუებ, თქვა ბაკ მალიგანმა, შენ კი შენი ღვარძლიანი ღიმილითა და იეზუიტური გესლით ეჩრები.

— არც მერძვევის იმედი მაქვს და არც მაგისი, თქვა სტივენმა.

ბაკ მალიგანმა ტრაგიკულად ამოიკვნესა და სტივენს მხარზე ხელი დაადო.

— ჩემი იმედი გქონდეს, კინჩ.

უცებ ტონი შეიცვალა და დასძინა:

— ღმერთმანი, მგონი, მართალი ხარ. დასწყევლოს ღმერთმა, არაფერში რომ არ გამოაღვებიახ კაცს. ჩემსავით რატომ არ ასულელებ მაგათ? ეძმაკსაც წაუღია ყველანი. მოდი გავიქცეთ ამ ბარდაგიოდან.

აღვა, დიდის ამბით შეიხსნა ქამარი და გაიძრო ხალათი, თან მორჩილი ხმით თქვა:

— და განძარცვეს მალიგანს სამოსელი თვისი<sup>2</sup>.

ჯიბეებში რაც ეწყო, მაგიდაზე ამოალაგა.

— აი შენი წვანტლსახოცი, თქვა მან.

მაგარ საყულოსა და ჭაუტ ჰალსტუხს იკეთებდა, თან ებაასებოდა. ეჩხუბებოდა მათ და საათის მოქანავე ძეწკვს. ხელები ჩაჰყო და აფათურა თავის ჩემოდანში, თან სუფთა ცხვირსახოცს მოითხოვდა. სინდისის ქენჯნა. ღმერთო,

<sup>1</sup> „შინც კიდევ ლაქა აჩნევია“ — ლექსი მაკბეთის სიტყვები („მაკბეთი“, მოქ. V, სურ. 1).

<sup>2</sup> შდრ. „და განძარცვეს ჰარონს სამოსელი თვისი“ (რიცხეთა, 20, 28).

ჩვენ მხოლოდ სცენაზე გასასვლელად ვიცვამთ. ავტორისფერი ხელთათმანი და მწვანე ფეხსაცმელი მჭირდება. წინააღმდეგობა. განა საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები? დე, ასე იყოს, საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები<sup>1</sup>. დაუცხრომელი მალაქაი. მოლაქლაქე ხელებმა რბილი შავი ნაღმი გატყორცნეს.

— აი შენი ლათინური კვარტალის<sup>2</sup> ქუდი, თქვა მან.

სტივენმა დავარდნილი ქუდი აიღო და თავზე დაიხურა. ჰეინსმა კარის დირედან გამოსძახა:

— მოდიხართ, ყმაწვილებო?

— მე მზად ვარ, უპასუხა ბაკ მალიგანმა და კარისაკენ გაემართა. წამოდი, ეინჩ. იმედია შესაძლებელია, რაც ჩვენ გადაგვირჩია. გავიდა მორჩილი, დარბაისლური ნაბიჯით და მწუხარე ხმით თქვა:

— და წინ რომ წარსდგა, შეხვდა ბატერლის.

სტივენმა კედელზე მიყუდებული იფნის ჯოხი აიღო, მათთან ერთად გარეთ გავიდა და როცა ისინი კიბეებს ჩაუყვანენ, რკინის კარი ნელა მიიხურა და ჩაკეტა. უზარმაზარი გასაღები შიდა კიბეში ჩაიღო.

— გასაღები მოგაქვს?

— მე მაქვს, თქვა სტივენმა და წინ გაუსწრო მათ.

მოდოდოდა. ესმოდა როგორ ურტყამდა მის უკან ბაკ მალიგანი მძიმე საბანაო პირსახოცს გვიმრისა თუ ბალახის თამამ ყლორტებს.

— დაიჩოქეთ, სერ, როგორ ბედავთ, სერ?

ჰეინსმა იკითხა:

— ქირას იხდით ამ კომპეში?

— თორმეტ გირვანქას, უპასუხა ბაკ მალიგანმა.

— სამხედრო მინისტრისათვის, დასძინა სტივენმა ისე, რომ არ მოუხედია.

შეჩერდნენ, ჰეინსმა კომპე შეათვალიერა და თქვა:

— ზამთარში ალბათ საკმაოდ ცივი იქნება. მარტელოს ეძახით?

— ბილი პიტმა ააგო ეგ კომპეები, თქვა ბაკ მალიგანმა, როცა ფრანგები ზღვაში იყვნენ<sup>3</sup>. მაგრამ ჩვენ ომ ფალოსს ვეძახით.

— მაინც რა აზრის ხართ ჰამლეტზე? ჰკითხა ჰეინსმა სტივენს.

— არა, არა, განწირული ხმით იკივლა ბაკ მალიგანმა. ვერ გავუძლებ თომას აქვინელსა და მის ორმოცდათხუთმეტ საბუთს. დამაცადეთ, სანამ რამდენიმე კათხას გადავყლურწავდე.

სტივენს მიუბრუნდა, ჩალისფერი ქილეტის კალთები გაისწორა და უთხრა:

— სამ კათხას არ დასჯერდები, ეინჩ, არა?

<sup>1</sup> „განა საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები? დე, ასე იყოს, საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები“ — უიტმენის პოემიდან „სიმღერა საკუთარ თავზე“.

<sup>2</sup> ლათინური კვარტალი — პარიზის სტუდენტური უბანი.

<sup>3</sup> უილიამ პიტმა (1759-1806) ინგლისისა და ირლანდიის სანაპიროებზე 1803-6 წლებში ააგო მარტელოს ციხე-სიმაგრეები ფრანგებისაგან თავის დასაცავად. სახელწოდება მარტელო წარმოიშვა კორსიკის კონცხ მორტელისაგან, რომელიც ინგლისელებმა დიდი გაჭირვებით აიღეს 1794 წელს.

— იმდენ ხანს არ მითქვამს, გულგრილად თქვა სტივენმა, რომ კიდევ შემოდის მოვიცადო.

— ცნობისმოყვარეობას მილიზიანებთ, გულთბილად თქვა ჰეინსმა. პარადოქსია?

— ოჰ! წამოიძახა ბაკ მალიგანმა. ჩვენ უკვე უკან მოვიტრევთ უაილდი და პარადოქსები. სულ უბრალოა. ალგებრის საშუალებით ამტკიცებს, რომ ჰამლეტის შვილიშვილი შექსპირის პაპაა და რომ თვითონ იგი საკუთარ თავს ამის აჩრდილია.

— რაო? თქვა ჰეინსმა და სტივენს მიათითა. თვითონ?

ბაკ მალიგანმა ოლარივით მოიგდო ყელზე პირსახოცი და საცილით დაიხარა სტივენის ყურთან:

— ო, მამა-კინჩის აჩრდილი! იაფეტი დაეძებს მამას! <sup>1</sup>

— დილაობით მუდამ დაღლილები ვართ, ჟთხრა სტივენმა ჰეინსს. თანაც მოსაყოლად გრძელი ამბავია.

ბაკ მალიგანი კვლავ წინ წავიდა და ხელები ასწია.

— მარტოდუნ წმინდა კათხას შეუძლია ალაპარაკოს დუდალოსი, თქვა მან.

— იმის თქმა მინდოდა, უხსნიდა გზაში ჰეინსი სტივენს, რომ ეს კოშკი და კლდოვანი ნაპირი ელსინორს მაგონებს. „რაიც მალლიდან მღელვარე ზღვას ძირს დასცქერია“ <sup>2</sup>, განა არა?

ბაკ მალიგანი უცებ მიუბრუნდა სტივენს, მაგრამ არაფერა უთქვამს. ნათელ წამიერ მდუმარებაში სტივენმა დაინახა საკუთარი თავი, იაფ, მტვრიან ძაძვებით მოსილი, სხვეების ტრელტრულ ტანსაცმელს შორის.

— შესანიშნავი ზღაპარია, თქვა ჰეინსმა და კვლავ ყველანი შეაჩერა.

თვალეები, ქარით გაგრილებულ ზღვასავით ფერძკრთალი, უფრო ფერძკრთალი, მტკიცე და ფრთხილი. ზღვათა მეუფე <sup>3</sup>, ყურეს გასცქეროდა სამხრეთისაკენ, ცარიელ ყურეს, სადაც კაშკაშა ჰორიზონტზე ძლივს მოჩანდა საფოსტო ხომალდის კვამლის ბუმბული და აფრა, რომელიც გეზს იცვლიდა მაგლინსთან.

— სადღაც ამის თეოლოგიური ახსნა წამიკითხავს, თქვა მან ჩაფიქრებით. მამისა და ძის იდეა. შვილი ისწრაფვის შეერთოს მამას <sup>4</sup>.

ბაკ მალიგანმა უცებ ბედნიერი, მომღიმარი სახე მიიღო, შეხედა მათ, ლამაზად მოყვანილი პირი შვეებით დააფჩინა, თვალეებიდან ერთბაშად განდევნა ეშმაკური გამომეტყველება და გიჟური სიმხიარულით აახამხამა. თოჯინას თავს აქეთ-იქით აქნევდა, ისე რომ პანამის ქუდის ფარფლები უცახცახებდა, და უცებ წყნარი ნეტარი სულელური ხმით სიმღერა წამოიწყო:

— აბა ეს რას ჰგავს, სადაურია —

მამა მყავს ფრინველი, დედა — ურია.

<sup>1</sup> ჯოისი, ბუნებრივია, გულისხმობს ნოეს ძეს იაფეტს (შესაქმე, 9, 18-27). იგულისხმება აგრეთვე ფრედერიკ მარიატის რომანი „იაფეტი დაეძებს მამას“ (1836).

<sup>2</sup> ჰორაციოს სიტყვები „ჰამლეტიდან“ (თარგ. ი. მაჩაბლისა).

<sup>3</sup> ჰეინსი რომანში ერთგვარად ინგლისს ანსახიერებს და „ზღვათა მეუფეც“ მას ეხება (შდრ. ძველი ინგლისური ჰიმნი „იმეფე ბრიტანია“).

<sup>4</sup> ჯოისი ხშირად უბრუნდება მამისა და ძის ერთარსების თეოლოგიურ იდეას.

დურგალ იოსებას არა ვცნობ მამად,  
ვადიდოთ გოლგოთა მარაუ და მარად.

სალოკი თითი გამათრთხილებლად ასწია.

— თუ ჩემზე თქვა ვინმემ — არ ჰგავს უფალსო,  
იმას ვერ მივართვი ღვინო უფასო,  
მიირთვას, როდესაც ისევ წყლად ვაქცევ  
და შიგ ჩავუმატებ რასაც დავაქცევ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გამოთხოვების ნიშნად სტივენს იფნის ჯოხი შეურხია, კლდის ნაპირისკენ გაქანდა, ფერღებზე ხელები ფარფლებივით თუ ფრთებივით დაიბრტყა, თითქოს ჰაერში აფრენას აპირებდნო და წაიშლერა:

— ნახვამდის, ნახვამდის. უამბეთ ერთი  
ტომს, დიქს და ჰარისაც — აღსდგა-თქო მკვდრებით.  
გაფრენას არ მიშლის წინაპართ სისხლი,  
ზეთის მთას<sup>1</sup> ქარი ქრის... ნახვამდის, მივქრი<sup>2</sup>.

მათ წინ, ორმოცდრეტიან კლდიდან ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა ფრთისდა-გვარი ხელების ფარფატით, მარჯვე ნახტომებით, თან ნიაფი მერკურის ქუდს<sup>3</sup> უთამაშებდა და მასი ფრინველისებრი ყიყინის ხმა მოჰქონდა მათთან.

ჰეინსი, რომელიც თავშეკავებულად იცინოდა, სტივენს ამოუდგა გვერდში და თქვა:

— იქნებ არც უნდა ვიცინოდეთ. შეტისმეტად მკრეხელია. კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ მორწმუნე. მისი მხიარულებაც თითქოს უვნებელს ხდისაო. ოხუნჯობს, არა? რაო, როგორა თქვა? იოსება დურგალიო?

— ხუმარა იესოს ბალადა, უბასუხა სტივენმა.

— ო, თქვა ჰეინსმა, აღრეც მოგისმენიათ?

— დღეში სამჯერ, ყოველი ჭამის შემდეგ, ცივად თქვა სტივენმა.

— თქვენ მორწმუნე არა ხართ, არა? იკითხა ჰეინსმა. ვგულისხმობ, მორწმუნე ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. სამყაროს შექმნა არარასაგან, სასწაულები და პიროვნული ღმერთი.

— ამ სიტყვას, ჩემის აზრით, მხოლოდ ერთი გაგება აქვს, თქვა სტივენმა.

ჰეინსი შეჩერდა, ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო, რომელზეც ზურმუხტი ელავდა, ცერით გადახსნა და შესთავაზა.

— გქაულობთ, თქვა სტივენმა და სიგარეტი აიღო.

ჰეინსმაც აიღო თავისთვის და პორტსიგარი დახურა. გვერდითა ჯიბეში ჩაიდო და ეილუტის ჯიბიდან ნიკელის სანთებელა ამოიღო, ისიც გადახსნა, სიგარეტს მოუკიდა, ანთებულ აბედს ხელის გული მოაფარა და სტივენს გაუშვირა.

<sup>1</sup> ბიბლიური „ზეთის ხილთა“, რომლის ახლოს გაშენებული იყო გეთსიმანიის ბაღი.

<sup>2</sup> ოლივერ ჯონ გოგარტის (1878-1957) ოდნავ შეცვლილი ლექსი, რომელშიც პაროდირებული იყო ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ამბავი. გოგარტი ბავშვ მალიგანის პროტოტიპია.

<sup>3</sup> ჯოისი მალიგანის ფართოფარფლებიან ქუდს მერკურის ან ჰერმესის ფრთებიან ქუდს ადარებს.

— ღიახ, რა თქმა უნდა, თქვა მან, როცა გზა განაგრძეს. ან უნდა გწამდეს, ან არა, ხომ ასეა? მე პირადად ვერ მომინელებია პიროვნული ღმერთის იდეა. ვგონებ არც თქვენ იცავთ?

— თქვენ ჩემში ხედავთ, უკმაყოფილოდ თქვა სტივენმა, თავისუფალი აზროვნების საშინელ მაგალითს.

გზა განაგრძო, ელოდა როდის დაელაპარაკებიან, გვერდით იფნის ჯოხს მიითრეუდა. მისი რკინის ბუნიკი უკან მოსდევდა ბილიკზე და მისი წყევლებთან წკაუწყავდა. ჩემი ერთგული მეგობარი, მომდევს, მომძახის, სტივი იღივიღინებს. დაკლანძობილი ხაზი ბილიკზე. ზედ გაივლიან ამაღამ, როცა აქ შებინდებისას მოვლენ. მას გასაღები უნდა. ჩემია, ქირა მე გადავიხადე. ახლა მე მის მლაშე პურს ვჭამ<sup>1</sup>. გასაღებიც მიართვი. ყველაფერი. მოითხოვს. თვალეში ეხატა.

— ბოლოს და ბოლოს, დაიწყო ჰეინსმა...

სტივენი შემობრუნდა და დაინახა, რომ ცივი მზერა, რომლითაც მას ახედდახედეს, არცთუ ისე ბოროტი იყო.

— ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობ შეგიძლიათ თავი გაითავისუფლოთ. ჩემის აზრით საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ხართ.

— ორი ბატონის მსახური ვარ, თქვა სტივენმა, ინგლისელისა და იტალიელის.

— იტალიელის? იკითხა ჰეინსმა.

გაჟი დედოფალი, ბებერი და ეჭვიანი. დაიჩოქე ჩემს წინაშე.

— და მესამე ის იქნება, თქვა სტივენმა, ვისაც დროებით სამუშაოზე დავჭირდები.

— იტალიელის? გაიმეორა ჰეინსმა. რას გულისხმობთ?

— ბრიტანეთის იმპერიას, უპასუხა სტივენმა და თან სახეზე ფერმა გადაჰყრა, და წმიდა რომაულ-კათოლიკურ და აპოსტოლიკურ ეკლესიას.

სანამ დაილაპარაკებდა, ჰეინსმა ქვედა ტუჩიდან თამბაქოს ღერი მოიშორა.

— შესანიშნავად მესმის, წყნარად თქვა მან. ირლანდიელი მართლაც ასე უნდა ფიქრობდეს. ჩვენ, ინგლისელები, ვგრძნობთ, რომ მაინცდამაინც კარგად ვერ მოგვეცით. ისტორიის ბრალი უნდა იყოს.

ამაყი, ძალუმი ტიტულები სტივენის მეხსიერებაში საზეიმოდ რეკდნენ სპილენძის ზარებს: *et unam sanctam catholicam et apostolicam ecclesiam*:<sup>2</sup> რიტუალისა და დოგმის თანდათან განვითარება და შეცვლა მისი საკუთარი უჩვეულო აზრების მსვავსად, ვარსკვლავთა ალქიმია. მოციქულთა მრწამსი პაპი მარკელუსის მესამე<sup>3</sup>, ხმების შერწყმა, ხმამაღალი გალობით ღაღადისი: და მათი გალობის მიღმა მებრძოლი ეკლესიის ფხიზელი ანგელოზი ანიარაღებს და ემუქრება ერეტიკოსებს. ერეტიკოსათა ურდო კეფაზე მიტრამოვლებული გარბის: ფოტიუსი<sup>4</sup> და დამცინავთა მთელი გუნდი, რომელთა-

<sup>1</sup> „მლაშე პური“ ნახსენებია დანტეს „სამოთხის“ მეჩვიდმეტე სიმღერაში.

<sup>2</sup> და წმიდა კათოლიკური და აპოსტოლიკური ეკლესია (ლათ.).

<sup>3</sup> ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის პალესტრინას (1524-94) მესა.

<sup>4</sup> ფოტიუსი — (815-97) რომაული ეკლესიის ოპოზიციის მეთაური. ილაშქრებდა სამეზობლის იდეის წინააღმდეგ.

გან ერთ-ერთი მალიგანი იყო, და არიოზი<sup>1</sup>, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე იბრძოდა ძისა და მამის ერთარსობის წინააღმდეგ, და ვალენტინი, რომელიც უარყოფდა ქრისტეს მიწიურ სხეულს, და ვერაგი აფრიკელი ერეტიკოსი საბელიუსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამი თავად იყო საკუთარი თავის ძე. სიტყვები, რომლითაც ერთი წამის უკან მალიგანმა დაცინვით მიმართა გადამთიელს. ამაო დაცინვა. ჭეშმარიტად სიყვარულე ელის ყველას, ვინაც ქარს მოქსოვს: საშიშროება, განიარაღებულობა ეკლესიის იმ ანგელოზთა ჯარის მიერ, მიქაელ და ჯარი მისი<sup>2</sup>, რომელნიც განსაცდელის ყამს შუბითა და ფარით იცავენ მას.

უსმინეთ, უსმინეთ. ხანგრძლივი ტაში. Zut! Nom de Dieu!<sup>3</sup>

— რა თქმა უნდა, ბრიტანელი ვარ, თქვა ჰეინსის ზმამ, და ბრიტანელივით ეფიქრობ კიდევ. და მე არ მინდა რომ ჩემი ქვეყანა გერმანელი ურიების ხელში აღმოჩნდეს. ვშიშობ, რომ ამჟამად სწორედ ეს არის ჩვენი ეროვნული პრობლემა.

ორნი იდგნენ კლდის პირას და იცქირებოდნენ: საქმოსანი, მენავე.

— ბალოკის ნავთსადგურისკენ უჭირავს გეზი.

მენავემ უგულოდ გაიქნია თავი ყურის ჩრდილოეთისაკენ.

— იქ ოცდა ათი ფუტი სიღრმეა, თქვა მან. ასე შეიძლება მოქცევამ გამოიყოს ამდამ. დღეს მეცხრე დღეა.

კაცი რომელიც დაიხრჩო. ყურეში აქეთ-იქით მოცურავე იალქნიანი ნავი, რომელიც მოელის როდის ამოხტება გასიებული ბოხჩა, მზეს მიუფიცხებს შეშუპებულ სახეს, მარლით გადათეთრებულს. აგერ ვარ.

ჩაჰყვნენ დაკლავნილ ბილიკს ყურისკენ. ბაკ მალიგანი ქვაზე იდგა უბიჯაკოდ და დაუმაგრებელი ჰალსტუხი მხარზე უფრიალებდა. მის ახლოს ახალგაზრდა კაცი კლდის ქიმს ებლაუჭებოდა და ნელა ბაყაყურად ამოძრავებდა მწვანე ფეხებს წყლის ღრმა ტბორში.

— შენი ძმა შენთან არის, მალაქაი?

— უესტმითშია ბენონებთან.

— ისევ იქ არის? ბენონისაგან ბარათი მივიღე. ახალგაზრდა კონტა არსება ვიპოვეო. ფოტო-გოგონას ეძახის.

— მომენტალური ფოტო? მოკლე ექსპოზიცია.

ბაკ მალიგანი ჩამოჯდა და ფეხსაცმლის გახსნა დაიწყო. კლდის ქიმთან ხნიერი კაცის წითელი სახე ქლოშინით ამოტივტივდა უცებ. მელოტ კეფაზე და მის გარშემო დარჩენილ ჭალარა თმაზე წყლის წვეთები უბზინავდა, მკერდსა და ღიბზე წყალი ჩამოსდიოდა და შავი საბანაო ტრუსებიდან შხეფებს ისროდა.

ბაკ მალიგანმა ადგილი დაუთმო ამოსაფოფხებლად, ჰეინსსა და სტივენს შეხედა და ცერი სასოებით მიიტანა შუბლთან, ტუჩებთან და მკერდთან.

<sup>1</sup> არიოზი — ერეტიკოსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ძე ღვთისა და მამა ღმერთი ერთი და იგივე სუბსტანციისაგან კი არა (homoiousios), არამედ მსგავსი სუბსტანციისაგან არიან შექმნილნი (homoiousios).

<sup>2</sup> შდრ: გამოცხადება იოანესი, 12,7.

<sup>3</sup> ფრანგული გინება.



— სეიმორი ქალაქში დაბრუნდა, თქვა ახალგაზრდა კაცმა და კვლავ კლდის ქიმს მოებლაუჭა. მედიცინა მიაგდო და ჯარში მიდის.

— თუ ღმერთი გწამს, მომეშვი, თქვა ბაკ მალიგანმა.

— მომავალ ქვირას კახპასთან მიდის. ხომ იცნობ იმ წითურ გრგოს —  
ლილი კარლაილს?

— დიახ.

— წუხელ ნავთმისადგომზე ეარშოყებოდა. მამამისი ფულში გულჩოქობდა

— ასე ღრმად შესტოპა?

— უმჯობესია სეიმორს ჰკითხო.

— სეიმორი — ტილიანი ოფიცერი, თქვა ბაკ მალიგანმა.

თავი ჩაქინდრა, შარვალი გაიძრო, წამოიძართა და ბანალური ტონით თქვა:

— წითური ქალები თხებივით მაკინტლობენ.

უცებ შეშფოთდა და აფრიალებული პერანგის ქვეშ ფერდი მოისინჯა.

— მეტორმეტე ნეკნი დამეკარგა, წამოიძახა მან. მე ვარ Übermensch<sup>1</sup>.

უკბილო კინჩი და მე, ზეკაცები.

პერანგიდან თავი დაიძვრინა და პერანგი უკან გადაავდო, სადაც მისი ტანი-სამოსი ეწყო.

— აქ შედიხარ, მალაქაი?

— დიახ. მიიწიე კედლისკენ.

ყმაწვილი კაცი მოწყდა ქიმს, უკან გადაბტა და შუა უბეში გასცურა. პენსი ქვაზე ჩამოჯდა და გააბოლა.

— არ შემოდინხარ? იკითხა ბაკ მალიგანმა.

— მერე, — თქვა პენსმა. — ნასაუზმევზე არა.

სტივენნი გაბრუნდა.

— მივდივარ, მალიგან, თქვა მან.

— გასაღები მოგვეცი, კინჩ, თქვა ბაკ მალიგანმა, პერანგს დავადოთ, რომ არ აგვიფრიალდეს.

სტივენმა მიაწოდა გასაღები. ბაკ მალიგანმა ტანსაცმლის გროვას დაადო.

— და ორი პენსიც, თქვა მან, კათხა ლუდისათვის. გადმოაგდე.

სტივენმა გადაავდო ორი პენი რბილ ბორცვზე. იცვამენ, იხდიან. ბაკ მალიგანმა, გაჯგიმულმა, მკერდზე გულხელდაკრეფილმა, საზეიმო ხმით წარმოთქვა:

— რომელი ჰპარვიდეს გლახაკსა, მიაგებს ღმერთსა<sup>2</sup>. ასე ამბობდა ზარატუსტრა<sup>3</sup>.

მისი ჩასუქებული სხეული წყალში ჩავარდა.

— ნახვამდის, თქვა პენსმა და შებრუნდა, როცა სტივენი ბილიკს აპყვა. ეღიმებოდა თავაშვეტულ ირლანდიელზე.

ხარის რქა, ცხენის ფლოქვი, საქსონელის ღიმილი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ზეკაცი (გერ.). მინიშნებულია ნაცემს „ზეკაცის“ თეორია.

<sup>2</sup> პაროდირებულია ბიბლიის ტექსტი: „რომელი სწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა...“ (იგავნი, 19,17).

<sup>3</sup> „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ — ნაცემს ცნობილი ნაწარმოებების სათაური და ფრაზა, რომელიც მასში ხშირად გვხვდება, თავისებური რეფრენის სახით.

<sup>4</sup> მინიშნებულია რომელიღაც ანდაზა.

- „ხომალდში“, დაიძახა ბაკ მალიგანმა. პირველის ნახევარზე.
  - კეთილი, თქვა სტივენმა.
- მისდევდა ზეაკლაცილ ბილიკს.

Liliata rutilantium.  
Turma circumdet.  
Iubilantium te virginum.<sup>1</sup>



ეროვნული

მოძღვარის ქალარა შარავანდი სენაკში, სადაც ფარულად მალამ აქ არ დავიძინებ. ვერც შინ წავალ.

დაშაქრული ზმა გაბმით ეძახდა ზღვიდან. მოსახვევიდან ხელი დაუქნია. ხმამ კვლავ დაუძახა. ლაბლაბა მუქი თავი, სელაპისა, შორს წყლის ზედაპირზე. პრგვალი.

უზურპატორი.

□ □

- აბა, კოკრინ, რომელმა ქალაქმა მოიწვია იგი?
- ტარენტომ<sup>2</sup>, სერ.
- ძალიან კარგი. მერე?
- ბრძოლა იყო, სერ.
- ძალიან კარგი. სად?

ბიჭის ცარიელი სახე ცარიელ ფანჯარას შეუკითხა.

მეხსიერების ნაშიერნი ზღაპრებს თსზავენ. მაგრამ თან თითქოს არც მეხსიერების შეთხზული იყო. მოუთმენლობის ფრაზა, ბლეიკისეული გაზვიადების ფრთების ფარფატი. მომესმის მთელი სივრცის ნგრევა, მინის მსხვრევა და კედლის ჩამოშლა და დრო — ერთადერთი, უკანასკნელი მკვდრისფერი ალი. ჩვენ რაღა გვრჩება?<sup>3</sup>

— ადგილი დამავიწყდა, სერ. 279 ძვ. წ.

— ასკულუმში, თქვა სტივენმა, თან სახელსა და თარიღს სისხლით დასერილ წიგნში ჩახედა.

— ღიაზე, სერ. და მან თქვა: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და დავილუბეთ“.

ეს ნათქვამი მსოფლიომ დაიხსოვა. გონების ჩლუნგი სიმსუბუქე. სარდალი გორაკიდან ქვემოთ გვამებით მოკირწყლულ მინდორზე ასისთავეებს ებაასება, მახვილსდაყრდნობილი. ნებისმიერი სარდალი ნებისმიერ ასისთავეებს. სმენად ქცეულან.

<sup>1</sup> შრომანისებრი გასხვიანებული გუნდი. შემოგერტყას გარს. ქალწულთ მოზიემე (ლათ.).

<sup>2</sup> ტარენტომი ან ტარენტო — ძველი ბერძნული ქალაქი (იტალიის სამხრეთით), რომელმაც მოიწვია მეფე პიროსი, რათა დაეცვა მისი მცხოვრებნი რომაელთა შემოსევისაგან 281 ძვ. წ.

<sup>3</sup> მთელი ეს ამზაცი უილიამ ბლეიკის (1757-1827) პოეტური რემინისცენციებითაა სავსე: „მეხსიერების ნაშიერნი“, „გაზვიადების ფრთები“ და მთელი ეს ამოკალიფსური ხილვა ბლეიკის სხვადასხვა ლექსიდან და წერილიდანაა აღებული. ერთ-ერთ წერილში ბლეიკი ამბობს: „უოველი მოკვდავის დაკარგვა უკვდავის შენაძენია. დროის ნანგრევები უკვდავების სისახლეებს იგებს“.

— აბა, არმსტრონგ, თქვა სტივენმა. რა დღე ეწია პიროსს?

— პიროსს, სერ?

— მე ვიცი, სერ. მე მკითხეთ, სერ, თქვა კამინმა.

— მოითმინეთ. არმსტრონგ, პიროსის შესახებ თუ იცით რამე?

არმსტრონგის ჩანთაში ლედვიანი ნამცხვრის პარკი მოყურსულიყო დრო-  
დადრო ხელის ვუღებოთ მოამრგვალებდა და ფრთხილად ყლაპავდა. ნამცხვრები  
ტუჩებზე რჩებოდა. დაშაქრული ბიჭუნას სუნთქვა. შეძლებულე <sup>გაქვინა</sup> <sup>ამას</sup> <sup>სუნთქვა</sup>  
ბენ ჩვენი უფროსი ვაჟი ფლოტშიაო. ვიკო როუდ, დოკი <sup>1</sup>.

— პიროსის შესახებ, სერ? პიროსი, პირსი <sup>2</sup>.

ყველას გაეცინა. არამხიარული მჭაბუ დვარძლიანი სიცილი. არმსტრონგმა  
თანაკლასელებს გადახედა, სულელურად დაღრეჭილი პროფილი. ახლა უფრო  
ხმამალა გაიციინებენ, როცა გაახსენდებათ ჩემი სიმკაცრის ფასი და მათი მა-  
მიკოების მიერ გადახდილი სწავლის ქირა.

— აბა ერთი მითხარი, თქვა სტივენმა და ბიჭს მხარში წაჰკრა წიგნი, რა  
არის პირსი?

— პირსი, სერ, თქვა არმსტრონგმა, აი, ტალღებში რომაა გამოჩრილი.  
ხილს რომ ჰგავს. კინგსტონის პირსი, სერ.

აქა-იქ ისევ გაიციინეს: არამხიარულად, განგებ. ბოლო მერხზე ორმა წაი-  
ჩურჩულა. დიახ. მათ იცოდნენ: არც არასოდეს უსწავლიათ და მიამიტებიც არა-  
სოდეს ყოფილან. ყველამ. შურით შეჰყურებდა მათ სახეებს. იდიოთი, ეთელი,  
ვერტი, ლილი. მათდაგვარნი: ჩაით და მურაბით დაშაქრული მათი სუნთქვა,  
სამაჯურებას დაშცინავი ქლარუნი ძიძგილაობაში.

— კინგსტონის პირსი, თქვა სტივენმა. დიახ, იმედგაწყვეტილი ზიდი.

ამ სიტყვებმა შეაფიქრიანა მათი გამოსხეღვა.

— როგორ, სერ? იკითხა კომინმა. ხიდი ხომ მდინარეზეა ხოლმე?

ჰეინსის „სიტყვის საუნჯისათვის“. აქ ვერაფერს გაიგება. ამაღამ, ოსტატუ-  
რად, გუფურ სმასა და ყაყანში, მისი ვონების გაპრიალეებულ მუნარადს უნდა  
ხაერტოს. მერე და რა? მასხარა თავის ბატონის კარზე, შელაყბებულნი და დამ-  
ცირებულნი, გულმოწყალე ბატონის ქებას იმსახურებს. ყველა ასეთ როლს  
რატომ ირჩევდა? არა მხოლოდ იმისათვის, რომ თავზე ხელი გადაესვათ. მათ-  
თვის ისტორია ერთი იმ ზღაპართაგანია, ბევრჯერ რომ სმენიათ. მათი ქვეყანა  
ლომბარდია.

პიროსი კუდიანი ბებრუბანას ხელს რომ არ მოეკლა არგოსში <sup>3</sup> ანდა იუ-  
ლიუს კეისარი დანით არ გაეგმირათ? მათი დავიწყება შეუძლებელია. დრომ  
მათ ღრმა ნაჭდევი დააჩნია და გათანგულნი იქ ჩასახლდნენ, საიდანაც უსას-  
რელო შესაძლებლობანი განდევნეს. მაგრამ შეიძლება კი იყოს შესაძლებელი  
ის, რაც არასოდეს ყოფილა? თუ მარტოდენ ის იყო შესაძლებელი, რაც უკვე  
მოხდა? მოქსოვე, ქარის მქსოველო <sup>4</sup>.

<sup>1</sup> ვიკოს ქუჩა დუბლინის გარეუბანშია, რომელსაც დოკის ეძახიან.

<sup>2</sup> პირსი — ზღვაში შეჭრილი ნაგებობა ორივე მხრიდან გემების მისადგომად.

<sup>3</sup> ბლუტარქეს ცნობით, არგოსის ბრძოლის დროს (272 ძვ. წ.) პიროსს მოხუცი ქალის მიერ  
გადმოგდებული კრამიტი მოხვდა თავში.

<sup>4</sup> კვლავ უილიამ ბლეივის სიტყვები.

- გვიამბეთ რამე, სერ.
- ო, სერ, გვიამბეთ მოჩვენებების შესახებ.
- სად შევჩერდით? იკითხა სტივენმა და მეორე წიგნი გადაშალა.
- „ნულარ იგლოვებ“, თქვა კამინმა.
- განაგრძეთ, ტოლბოტ.
- ისტორია, სერ?
- ეგ მერე, თქვა სტივენმა. განაგრძეთ, ტოლბოტ.



ქართული  
ლიტერატურის  
საქართველოს  
საქართველოს

შავგვრემანმა ბიჭმა წიგნი გადაშალა და მარჯვედ ამოათარა ჩანთის სახელურს. ლექსის კონვულსიურ დეკლამაციას მოჰყვა და დროდადრო ტექსტში იყურებოდა:

— ნულარ იგლოვებ, უბედურო ნწყემსო, ნუ სტირი, შენი ლისიდას — დარდი შენი, ცოცხალი არის, თუმც უღმობელმა წყლის ზეირთებმა დაფარეს იგი<sup>1</sup>.

მამ უნდა იყოს მოძრაობა, შესაძლებელის, როგორც შესაძლებელის, ნამღვილობა. ლექსის ჩაბურტყუნებულ პწკარებში არისტოტელეს ფრაზა გამოიკვეთა და წმიდა ჟენევიევის ბიბლიოთეკის ბეჭით მყუდროებაში განეფინა, სადაც იგი კითხულობდა ხოლმე, პარიზის ცდუნებათაგან თავშეფარებული, ყოველ საღამოს. მის გვერდით ჩია სიამელი სტრატეგიის სახელმძღვანელოს ზუთხავდა. გამაძლარი და ჭამას დახარბებული ტვინები მის გარშემო: გავარვარებულ ნათურების ქვეშ დარჭობილი, სუსტად მბორგავი საცეცები: და ჩემი გონების წყვდიადში მიწისქვეშეთის ბინადარი, ზანტი, სანათლის მოშიშარი, დრაკონის ქერცლიან ტანს რომ ძლივს მიითრევს. აზრი აზრია აზრის შესახებ. წყნარი ნათელი. სული გარკვეული აზრით ყველაფერია: სული ფორმის ფორმაა. უეცარი სიწყნარე, უზარმაზარი, გავარვარებული: ფორმის ფორმა<sup>2</sup>.

ტოლბოტმა გაიმეორა:

— იმისა ნებით, ვინც ვიდოდა წყალთა მათ ზედა, იმისი ნებით...<sup>3</sup>

- გადაფურცლე, წყნარად თქვა სტივენმა. მე ვერაფერს ვხედავ.
- რა ბრძანეთ, სერ? უბრალოდ იკითხა ტოლბოტმა და წინ გადაიხარა. ბელმა ფურცელი გადაშალა. ისევ უკან გადაიწია, უცუბ გაახსენდა და განაგრძო. მის შესახებ ვინაც ვიდოდა წყალთა მათ ზედა, აქაც ამ ლაჩარ გულებს მისი ჩრდილი აწევს და რჭულგანდგომილის გულსა და ბაგეს და მეც. აწევს მათ დაძაბულ სახეს, ვინაც ვერცხლი შეაძლია. კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა. შავი თვალების დაჟინებითი მზერა, იღუმალი სიტყვები, ეკლესიის დაზგებმა რომ უნდა ქსოვონ და ქსოვონ. ჭეშმარიტად.

გამოცანა გიოხრა ერთი ესეო:  
მამამ თესლი მომცა — დამითესეო<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ნწყვეტი ჯონ მილტონის ლექსიდან „ლისიდას“.

<sup>2</sup> ამ აბზაცში ჯონის მოაქვს არისტოტელეს გამონათქვამები შრომებიდან: „ფიზიკა“, „მეტაფიზიკა“ და „სულის შესახებ“.

<sup>3</sup> ჯონ მილტონის ლექსის გავრძელება (მინიშნებულია ქრისტეს სულა ზღვით).

<sup>4</sup> რომელიდაც გამოცანის დასაწყისი.

ტობოტმა დახურული წიგნი ჩანთაში შეაცურა.

— ყველას მოვუსმინე? იკითხა სტივენმა.

— დიახ, სერ. ათ საათზე ჰოკეია, სერ.

— დღეს ცოტა გაკვეთილები გვაქვს, სერ. ხუთშაბათია.

— გამოცანას ვინ გამოიცნობს? იკითხა სტივენმა.

სასწრაფოდ ააღაგეს წიგნები, ააჩხარუნეს ფანქრები, ააშრიალეს ფურცლები. ერთად შექუჩნდნენ, თან ჩანთებს კრავდნენ და მხიარულებით დასრულდნენ:

— გამოცანას, სერ? მე, სერ, მე.

— ო, მე, სერ.

— ძნელი იყოს, სერ.

— აი გამოცანა, თქვა სტივენმა.

მამალი ყიოდა,  
ლურჯ ცაში ციოდა;  
ზარებმა სამოთხეს  
თერთმეტჯერ ჩამოჰკრეს.  
დროა, საბრალო სული ეწვიოს  
მადლა სამოთხეს.

— რა არის?

— რა, სერ?

— კიდევ ერთხელ, სერ. ვერ გავიგონეთ.

თვალეები გაუფართოვდათ, როცა მეორედ წაუკითხეს. ცოტა ხნის შემდეგ კოკრინმა თქვა:

— რა არის, სერ? ვერ გამოვიცანით.

სტივენი ყელში ღიტიწს გრძნობდა, როცა უპასუხა:

— მელა ბუჩქის ძირას საფლავს უთხრის თავის დიდებას<sup>1</sup>.

აღვა, ხმამალალი ნერვული სიცილი წასკდა, რასაც მათი დაბნეული შეძახალები გამოეხმაურა.

კარს ჰოკიჯობით მიუკაკუნეს და ვიღაცამ ღერეფანში დაიძახა:

— ჰოკეი!

გაიფანტნენ, მერხებიდან გამოძვრნენ, ზედ გადააბტნენ. უცებ გაქრნენ და საკუჭნაოლან გაისმა ჰოკიჯობების ჯახაჯუხი, ფეხსაცმელების ენების შარიშური და ტლიკინა.

მარტო სარჯენტმა მოითრია ფეხი, ნელა მიუახლოვდა და გადაშლილი რვეული აჩვენა. აჩეჩილი თმა და გამბდარი კისერი მის გაუბედაობას მოწმობდა. დაორთქლილი სათვალედან სუბტი თვალეები მუდარით იცქირებოდნენ. მკრთალ, უფერულ ლოყაზე მელნის ლაქა აჩნდა, ინდისხურამის მაგვარი, ახალი და სველი, როგორც ლოკოკინას ნავალი.

რვეული გაუშვირა. შემოთ სათაურად ამოცანები ეწერა. ქვემოთ

<sup>1</sup> ეს ცნობილი გამოცანის აბსურდული პასუხია; ვარაუდობენ, რომ ამ გამოცანას ერთ დროს ჰქონდა პასუხი, რომელიც დროთა ვითარებაში დაიკარგა. ჯოისს, რა თქმა უნდა, სწორედ ეს პასუხი აინტერესებს (შდრ: მალიგანის ბრალდებას „შენ მოპკალი დედაშენი“).

დაბრეცილი ციფრები და დაკლავილი ხელმოწერა კაუჩუბითა და მელნის ნალვენით. სირილ სარჯენტი: მისი სახელი, გვარი და ბეჭედი.

— ბატონმა დიზიმ მიბრძანა თავიდან ამომეწერა ყველაფერი, თქვა მან, და თქვენთვის მეჩვენებინა, სერ.

სტივენი რვეულის კიდევებს შეეხო. უმაქნისი.

— ახლა გესმით, როგორ უნდა გამოიყვანოთ? ჰკითხა მან.

— თერთმეტადან თხუთმეტ ნომრამდე, უბასუხა ჰმარტონმა ბატონმა დიზიმ ბრძანა დაფიდან გადაამეწერა, სერ.

— თვითონ შეგიძლიათ გამოიყვანოთ? ჰკითხა სტივენმა.

— არა, სერ.

გონჯი და უმაქნისი: გაწვრილებული კისერა და აჩეჩილი თმა და მელნის ლაქა, ლოკოკინას ნავალი. და მაინც ვილაცას უყვარდა, ხელით და გულით ატარა. ის რომ არა, სამყაროს სრბოლა ფეხქვეშ გათელავდა; გასრესილი უძვლო ლოქორა. მას უყვარდა მისი სუსტი, გაწყალებული სისხლი, რომელიც საკუთარი სხეულიდან გადასცა. მაშ ეს ნამდვილი იყო? ერთადერთი ჭეშმარიტი რამ ცხოვრებაში? დედამისის დავრდომილ სხეულს მგზნებარე კოლამბანუსი<sup>1</sup> ღვთიური თრთოლვით გადააბიჯებს. დედა წავიდა, აღარ არის. ცეცხლში დამწვარი ტოტის მთრთოლვარე ჩონჩხი, ვარდის ხისა და ნესტიანი ნაცრის სუნი. მან ფეხქვეშ გათელვას გადაარჩინა და წავიდა, ისე თითქოს არც ყოფილა. საბრალო სული ზეცას გაფრინდა: და ვერან უდაბნოში მოციმციმე ვარსკვლავების ქვეშ მელა, წითლად აბურჭნილი, მყრალბეწვიანი, დაუნდობელი ანთებული თვალებით, მიწას ფხოჭნის, მიაყურებს, ამოჩიჩნის, მიაყურებს, ფხოჭნის და ფხოჭნის.

სტივენი სარჯენტის გვერდით იჯდა და ამოცანის გადაჭრას ლამობდა. ალგებრძს მეშვეობით ამტკიცებს, რომ შექსპირის აჩრდილი ჰამლეტის პაპაა. ბიჭი ალმაცერად შეჰყურებდა მოდრეცილი სათვალისგან. ჰოკიჯოხები საკუჭნაოში ჩხარუნობდნენ: ბურთის ყრუ ჭახანი და შეძახილები ეზოდან.

ქალაქის ფურცელზე ციფრები დარბაისლურ მაგრიტანულ ცეკვას ცეკვავდნენ, ასოების მასკარადი, კვადრატებისა და კუბების უცნაური ჩაჩებით თავდახურულნი. ხელი ჩაჰკიდეთ ერთმანეთს, გადასვლა! თავი დაუქარით პარტნიორს: აი ასე: მავრების ფანტაზიის ნაშიერნი. ისინიც წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ავეროესი<sup>2</sup> და მოსე მაიმონი<sup>3</sup> და ბნელნი სახითა და მოძრაობით, რომელთაც თავის დამცინავ სარკვეებში ამა სოფლის ბნელი სული აირეკლეს, და ბნელი იგი ნათელსა შინა ჩანს და ნათელი იგი მას ვერ ეწია<sup>4</sup>.

— ახლა გაიგეთ? შეგიძლიათ მეორე თვითონ ამოხსნათ?

— დიახ, სერ.

გრძელი, უშნო ზანებით სარჯენტმა გადაიხატა ამოცანა. მისი ხელი გულ-

<sup>1</sup> კოლამბანუსი (543-615) — ირლანდიელი წმინდანი და მწერალი, რომელიც თვითონ ჯოისის მსგავსად ძირითადად ევროპის კონტინენტზე მოღვაწეობდა.

<sup>2</sup> ავეროესი (იბნ როშდი, 1126-98) — არაბი ფილოსოფოსი, არისტოტელეს კომენტატორი.

<sup>3</sup> მაიმონი (1135-1204) — ებრაელი ფილოსოფოსი, რომელიც ცდილობდა ებრაული რელიგიური მრწამსისა და არისტოტელეს მოძღვრების სინთეზი მოეხდინა.

<sup>4</sup> შდრ: სახარების ტექსტს: „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (სახარება იოანესი, 1,5).

მოდგინედ იყვანდა უსწორ-მასწორი ციფრებს, თან სულ ელოდა, სიტყვას შემაწევინო და მკრთალი კანი სირცხვილისაგან ოდნავ შეეფაკლა. Amor matris: <sup>1</sup> სუბიექტური და ობიექტური ნათესაობითი ბრუნვა. <sup>2</sup> გათხელებული სისხლითა და აჭრილი რძით გამოკვება და არაფისათვის დაუნახვებია მისი სახვევები.

მეც ასეთი ვიყავი, ეს დაშვებული მხრები, ეს მოუქნელობა. ჩემი ბავშვობა წახრილა ჩემს გვერდით. მეტისმეტად შორსაა, ხელს ვერ შეგნებდას წრთხელ მაინც, თუნდაც ოდნავ. ჩემი შორსაა, მისი კი — ჩვენი თვალწინაა. უმლოებით მოცული. საიდუმლოებანი, დადუმებულნი, გაქცავებულნი, ჩვენი გულების ბნელ სასახლეში ჩაბუდებულან: საკუთარი ტირანიით დაქანცული საიდუმლოებანი: ტირანები, რომელთაც სწადიათ, რომ ვინმემ დაამზოს ისინი.

ამრცანა ამოიხსნა.

— ძალიან ადვილია, თქვა სტივენმა და წამოდგა.

— ღიახ, სერ. მაღლობთ, უბასუხა სარჯენტმა.

თხელი საშრობით დააშრო ნაწერი და რვეული მერბისკენ წაიღო.

— თქვენი ჰოკიჯობი აიღეთ და ამხანაგებთან წადით, თქვა სტივენმა და კარისაკენ მიმავალ ბიჭის მოუხეშავ ფიგურას გაჰყვა.

— ღიახ, სერ.

ღერეფანში ისმოდა, როგორ ეძახდნენ სათამაშო მოედნიდან.

— სარჯენტი!

— გაიქეცით, თქვა სტივენმა. ბატონი დიზი გეძახით.

კარებში იდგა და უყურებდა, როგორ მიიჩქაროდა დაგვიანებული ოლ-როჩოლო მოედნისაკენ, საიდანაც ხმამაღალი კამათი მოისმოდა. გუნდებად დაყოფილიყვნენ და ბატონი დიზი ბუჩქა ბალახზე მოაბოტებდა გეტრებიანი ფეხებით. სკოლის შენობას რომ მიადწია, გაცხარებულმა მოკამათებმა დაუძახეს. გაჯავრებული თეთრი უღვაშები მიუტრიალა.

— რა მოხდა? დაიყვირა გაბმით, ისე რომ პასუხისათვის ყური არც დაუვღია.

— კოკრენი და ჰოლიდეი ერთ გუნდში არიან, სერ, დაიძახა სტივენმა.

— ჩემს კაბინეტში მომიცადეთ ერთ წამს, გეთაყვა, თქვა ბატონმა დიზიმ, სანამ ამათ დაეაშოშმინებ.

ისევ მოედნისაკენ გაბრუნდა ფაცაფუცით და თან ბებრული ხმით მკაცრად იძახდა:

— რა არის? რა მოხდა?

სბეულები და მოყაყანე ხმები ყოველი მხრიდან გარს შემოერტყნენ, თაკარა მზე უხუნებდა უხეიროდ შეღებილი თმების თაფლს.

კაბინეტში დახშული, კვამლიანი ჰაერი იყო და სავარძლების გამოხუნებული, გაცრეცილი ტყავის სუნი იდგა. როგორც პირველ დღეს, როცა აქ შევაჭრებოდა. ახლაც იგივეა, რაც მაშინ. ბუფეტზე სტიუარტების მონეტებიანი ლარნაკი, ჭაობის გაუფასურებული საუნჯე: <sup>3</sup> აწ და მარადის. და კოვზების

<sup>1</sup> დედის სიყვარული (ლათ.).

<sup>2</sup> ე. ი. „დედის სიყვარული“ ორნაირად შეიძლება იქნას გაგებული: დედისადმი ჩემი სიყვარული და დედის სიყვარული ჩემდამი.

<sup>3</sup> იგულისხმება ჯეიმზ მეორის მიერ იაფი ლითონის ფულის გამოშვება.

კოლოფში, გახუნებულ მეწამულ ზავერდში მოყუჩებული თორმეტი მოციქუ-  
ლი მოძღვრავს<sup>1</sup> წარმართებს: უკუნითი უკუნისამდე.

ჩქარი ნაბიჯი კარისწინა ფილაქანზე და ღერეფანში. ბატონმა დიხიმ მეჩ-  
ხერ უღვაშებს შეუბერა და მაგიდასთან გაჩერდა.

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პატარა ფინანსიური <sup>ბიზნესში</sup> აკითხი მოვაგვა-  
როთ, თქვა მან.

ბიჯაკიდან ტყავის თასმით შეკრული უბას წიგნაკი ამოიღო. წიგნაკი გა-  
დაიშალა და ორი ბანკნოტი ამოიღო, ერთი შუაზე დაწებებული, და ფრთხი-  
ლად დაუო მაგიდაზე.

— ორი, თქვა მან. თან შეკრა და შეინაბა უბის წიგნაკი.

ახლა მისი ოქროს შესანახი სეიფი. სტივენმა გაუბედავად მოუთათუნა ცივ  
ქვის აქანდაზში დახვავებულ ნიჟარებს: მოლუსკი და ფული, კაურები<sup>2</sup> და  
ედუარდ მესამის ოქროს ნიჟარები: <sup>3</sup> აი ეს ემირის ჩალმასავით აწოწილი, და  
ეს კი წმიდა იაკობის საეარცხელა, ძველი ყარაბის გადამალული განძი, მკვდ-  
რი საუნჯე, ცარიელი ნიჟარები.

ფაფუკ სუფრაზე დაეცა სოვერინი, ბრჭყვიალა და ახალი.

— სამი, თქვა ბატონმა დიხიმ და ხელში პატარა ყულაბა შეათამაშა. მე-  
ტად მოსახერხებელი რამაა. შეხედეთ. ეს სოვერენებისათვის. ეს შილინგები-  
სათვის, ექვსპენსიანებისათვის, ნახევარკრონებისათვის. ეს კი კრონებისათვის.  
შეხედეთ.

ორი კრონი და ორი შილინგი ამოაგდო.

— სამი და თორმეტი, თქვა მან. ხომ სწორია?

— გმადლობთ, სერ, თქვა სტივენმა. ფული მორცხვი სისწრაფით შეი-  
ქუჩა და შარვლის ჯიბეში ჩაიყარა.

+ სამადლობელი არაფერია, თქვა ბატონმა დიხიმ. თქვენ თქვენი გა-  
სამრჯელო მიიღეთ.

სტივენის განთავისუფლებული ხელი ცარიელ ნიჟარებს დაუბრუნდა.  
სილამაზისა და ძალაუფლების სიმბოლოები. ჩემს ჯიბეში თავმოყრილი. სიხარ-  
ბითა და სიძუნწით წაბილწული სიმბოლოები.

— ასე ნუ ატარებთ, თქვა ბატონმა დიხიმ. სადმე ამოიღებთ და  
დაკარგავთ. გეყიდათ ბარემ ასეთი მოწყობილობა. ნახავთ, რა მოსახერ-  
ხებელია.

— უბასუბე რამე.

— ხშირად ცარიელი მექნებოდა, თქვა სტივენმა.

იგივე ოთახი და დრო, იგივე სიბრძნე: მეც იგივე ვარ. უკვე შესამედ-  
სამი მარყუჭი ჩემს კისერზე. რომ მინდოდეს, ახლავე გავწყვეტდი.

— იმიტომ, რომ გამოზოგვა არ იცით, თქვა ბატონმა დიხიმ და თითი და-  
უქნია. თქვენ ჯერ არ იცით, რა არის ფული. ფული ძალაუფლებაა, ჩემს სწორს

<sup>1</sup> შდრ: «ესე ათორმეტნი წარავლიცხნა იესო, ამცხო მათ და პრჭუა: გზასა წარმართთასა  
ნუ მიხუალთ და ელაქსა სამარტელთასა ხუ შესუალთ». (სახარება მათესი, 10, 5-6).

<sup>2</sup> კაური — ნიჟარა, რომელსაც აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ფულად იყენებენ.

<sup>3</sup> დედანში ნახსენებია «ლეოპარდის ნიჟარები», ხოლო «ლეოპარდი» ედუარდ მესამის  
ოქროს მონეტაა.



რომ მოიყრიტ. ვიცი, ვიცი. სიჭაბუკემ რომ იცოდეს<sup>1</sup>. შექსპარს როგორ აქვს ნათქვამი? ფული და აგრეთვე ქისაში.

— იაგო, ჩაიბურტყუნა სტივენმა.

ფუჭ ნიჭარებს მოსწყვიტა თვალი და მოხუცის დაყინებულ მხერგს გაუსწორა.

— მან იცოდა რა იყო ფული, თქვა ბატონმა დიზიმ. ის ფული გაციფებდა. პოეტი იყო, მაგრამ ინგლისელიც. იცით რითი ამაცობენ ინგლისელებს? იცით რა არის მათთვის ყველაზე საამაყო სიტყვები?

ზღვათა შეუფე. ზღვასავით ცივი თვალები ცარიელ ყურეს გასცქეროდნენ: ისტორიის ბრალია: მე და ჩემს სიტყვებს უცქერდნენ, სიძულვილის გარეშე.

— რომ მის იმპერიაში, თქვა სტივენმა, მზე არასოდეს ჩადის.

— თქ! წამოიძახა ბატონმა დიზიმ. ინგლისელი მაგას არ იტყვის. ეგ ფრანგი კელტის ნათქვამია. ყულაბა ცერი თითის ფრჩხილზე დაიკაკუნა.

— გეტყვით, დინჯად თქვა მან, ყველაზე მეტად რითი მოაქვს თავი. საკუთარ ხარჯზე ვცხოვრობ.

ბარაქალა, ბარაქალა.

— საკუთარ ხარჯზე ვცხოვრობ. ჩემს სიცოცხლეში შილინგიც არ მისესხია. თქვენ ეს გესმით? არავისი მმართვებს. გესმით?

მალიგანის ცხრა გინრვანქა, სამი წყვილი წინდა, ერთი წყვილი ფებსაცმელი, პალსტუხები. კარანის ათი გინეა, მაკკეის ერთი გინეა. ფრედ რაიენის ორი შილინგი ტემპლის ორი საუზმე. რასელის ერთი გინეა, კაზინის ათი შილინგი, ბობ რეინოლდსის ნახევარი გინეა, კოლერის სამი გინეა, ქალბატონი მაკკერნანის ხუთი კვირის ბინის ქირა. ჩემი ჯიბის საუნჯე ფუჭია.

— ამჟამად არა, უბასუხა სტივენმა.

ბატონმა დიზიმ გულიანად გაიცინა და ყულაბა შეინახა.

— ასეც ვიცოდი, მზიარულად თქვა მან. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უნდა გაიგოთ. ჩვენ დიდსულოვანნი ვართ, მაგრამ სამართლიანებიც უნდა ვიყოთ.

— მაშინებს მყვირალა სიტყვები, თქვა სტივენმა, რომელთაც უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ.

ბატონი დიზი ერთხანს მოდუშული უცქერდა ჭრელ შოტლანდიურ ქვედატანში გამოწყობილ მამაკაცის მოხდენილ ფიგურას ბუხრას თავზე: ალბერტ ედუარდი, უელსის პრინცი<sup>2</sup>.

— თქვენ მე ჩამორჩენილი ბებრუხანა და ძველი ტორი გგონივართ, დაილაპარაკა მისმა ჩაფიქრებულმა ხმამ. ოკონელის<sup>3</sup> შემდეგ სამი თაობის მომსწრე ვარ. შიმშილობა მახსოვს<sup>4</sup>. იცით თუ არა, რომ ორანჯისტების ლოყები<sup>5</sup>

<sup>1</sup> ძველი ანდაზაა: „სიჭაბუკემ რომ იცოდეს, რაც სიბერეს სწყურია, იშოვნია და შეინახავდა“.

<sup>2</sup> ალბერტ ედუარდი (1841-1910) — დედოფალ ვიქტორიას ძე, მეფე ედუარდ მეექვსე (1901-1910).

<sup>3</sup> დენიელ ოკონელი (1775-1847) — ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისისაგან განთავისუფლების მომხრე.

<sup>4</sup> იგულისხმება 1846-47 წლები.

<sup>5</sup> ორანჯისტების ლოყები — პროტესტანტული რელიგიის გავრცელებისა და ირლანდიის პოლიტიკაში პროტესტანტული კონტროლის დაწესების მომხრე ორგანიზაციები.

უნიის დაშლისაკენ ოკონელზე ოცი წლით ადრე მოუწოდებდნენ, უფრო ადრე, ვიდრე თქვენი პრელატები მას დემაგოგად გამოაცხადებდნენ? თქვენ, ფენიანებს<sup>1</sup>, ზოგი რამ გავიწყდებათ.

ღიადი, წმიდა და სამარადისო ხსოვნა<sup>2</sup>. აღმასის ლოქა არმაში<sup>3</sup>, ბრწყინვალე, პაპისტების ცხედრებით დახუნძლული. ბრინჯიანები, შენილბულები და შეიარაღებულები, დამპყრობთა კრება. ფანატიკური ჩრდილოეთი და ჰემმარიტი ცისფერი ბიბლია<sup>4</sup>. დავვნებდით შეკრეჭილებო<sup>5</sup>.

სტივენი შეიშმუშნა.

— მეც მაქვს მემამბოხის სისხლი, თქვა ბატონმა დიზიმ. დედის მხრიდან. მაგრამ ჩემი წინაპარი სერ ჯონ ბლეკვედი იყო, რომელიც უნიას ემხრობოდა<sup>6</sup>. ჩვენ ყველანი ირლანდიელები ვართ, მეფის შთამომავალნი.

— ვაი რომ ასეა, თქვა სტივენმა.

— Per vias rectas<sup>7</sup>, მტკიცედ თქვა ბატონმა დიზიმ. ასეთი იყო მისი დევიზი. არჩევნებშიც ხმა მისცა. ამისათვის ჩაიცვა მაღალყელიანი ჩექმები და არდსოფდაუნიდან დუბლინს ცხენით ჩავიდა.

ლალ დი რა, ლალ დი რა,  
კლდოვანი გზა დუბლინისაკენ<sup>8</sup>.

განრისხებული აზნაური ცხენზე, გაკრიალებული მაღალყელიანი ჩექმებით. მშვენიერი დღეა, სერ ჯონ. მშვენიერი დღეა, თქვენო მოწყალე ბაბუა... დღე... დღე... ორი მაღალყელიანი ჩექმა დუბლინისაკენ მიჩაქჩაკებს. ლალ დი რა, ლალ დი რა, ლალ დი რა, ლალ დი რა.

— გაბსენებაზე, თქვა ბატონმა დიზიმ. თქვენ შეგიძლიათ, ბატონო დედალოს, თქვენს ლიტერატორ მეგობრებთან მიშუამდგომლოთ. წერილი მაქვს პრესისათვის. დაბრძანდით ცოტა ხანს. ბოლო დამრჩა გადასაბეჭდი.

ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდასთან მივიდა, სკამი მიიჩოჩა და რამდენიმე სიტყვა ამოიკითხა საბეჭდო მანქანაში ჩადებული ფურცლიდან.

— დაბრძანდით, მაპატიეთ, თქვა მან ისე, რომ სტივენისაკენ არ მიუხედა, კეთილგონიერება გვიკარნახებს. ერთი წუთით.

<sup>1</sup> ირლანდიის საილუმლო საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1858 წ. და იბრძოდა ინგლისისაკენ ირლანდიის განთავისუფლებისათვის.

<sup>2</sup> ეს იყო ორანჯისტების შესანდობარის სიტყვები, რომელსაც ისინი უილიამ მესამის მოსაგონრად წარმოთქვამდნენ.

<sup>3</sup> ქალაქი ირლანდიაში, პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიის არქივებისკომპოსების რეზიდენცია.

<sup>4</sup> დიზის მსჯელობაში ჯონსი ერთმანეთს უპირისპირებს პროტესტანტულ (ძირითადად ჩრდილოეთ) და კათოლიკურ ირლანდიას.

<sup>5</sup> 1798 წლის ამბოხების მონაწილეთ თმები ჰქონდათ მოკლედ შეკრეჭილი. „შეკრეჭილები“ შემდგომ „მემამბოხეების“ სინონიმად იქცა.

<sup>6</sup> ჯონსი შეგნებულად ამახინჯებს ისტორიულ ფაქტს: ბლეკვედი სწორედ უნიის მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ დიზის ეს ხელს არ აძლევს.

<sup>7</sup> სწორი გზით (ლათ.).

<sup>8</sup> ნაწყვეტი ანონიმური ირლანდიური ბალადიდან.

ხშირ წარბეზის ქვემოდან ხელთნაწერს დასცქეროდა იღაყვთან და ბუტ-ბუტით ნელა არტყამდა თითებს მანქანის ჯიუტ კლავიშებს, ზოგჯერ ხვნეშოდა. როცა ლილვაკის შეტრიალება უხდებოდა შეცდომის ამოსაშლელად.

სტივენი უხმოდ დაჯდა მისი ბრწყინვალეების წინაშე. ირგვლივ კედლებზე ჩარჩოებში ჩაამულ, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ცხენებს თენიერი თავები ზევით აეწიათ და მოკრძალებით იდგნენ: ლორდი პედესტინგის მოგმობა, უესტმინსტერის მთავარის მსროლელი, ბულონის მთავარის ცეილონი, prix de Paris, 1866<sup>1</sup>. ელფებივით მსუბუქი მხედრები ნიშანს ელოდნენ. იგი ხედავდა მათ გამოქროლვას, ნიძლავს სამეფო ფერებზე დებდა და დიდი ხნის წინათ გამქრალ ბრბოსთან ერთად გაჰკიოდა.

— წერტილი, უბრძანა ბატონმა დიზიმ მანქანის კლავიშებს. მაგრამ ამ მნიშვნელოვანი საკითხის დროული გადაწყვეტა...

სად მომიყვანა კრენლიმ უეცრად გასამდიდრებლად, სანდო ცხენების ამოსარჩევად ტალახიან ეტლებს შორის, მოყაყანე ბუკმეკერებში და სასადილოს ტლაპოში აზელილ სიმყრალეში. ლამაზ მემამბოხეს<sup>2</sup> ერთი ერთზე: ათი ერთზე დანარჩენი. ყომარბაზები და თაღლითები მივდევდით ფლოქვებს, კარტუზებსა და ქურთუკებს და ჩავუარეთ ხორცოვანსახიან ქალს, ყასბის გულის ვარღს, ხარბად რომ წუწნიდა ფორთოხალს.

ბიჭების სათამაშო მოედნიდან მოისმოდა ხმამალალი შეძახილები და სასტივენის ხმა.

ისევ მიზანი: გოლი. მეც მათ შორის ვარ, მათი მოჭიდავე სხეულების ზედახორაში; ცხოვრების ტურნირი. თქვენ აი იმ დედიკოს ნებიერ ფეხებდაბრეცილ ბიჭუნას გულისხმობთ, რომელსაც ვგონებ ოდნავ ჩიყვი აქვს გამობერილი? ტურნირები. დრო წარსულს აბრუნებს ყოველ დარტყმაზე. ტურნირები, ბრძოლის ჭყაბი და ღრიანცელი, დახოცალთა გაყინული ამონარწყევი, კივილი შუბის წვეტებისა, რომლებზედაც ადამიანის სისხლიანი ჯიგარია წამოცმული.

— ესეც ასე, თქვა ბატონმა დიზიმ და ადგა.

მაგიდასთან მივიდა, თან ქაღალდები ქინძისთავით მიამაგრა ერთმანეთს. სტივენი ფეხზე წამოიღვა.

— მოკლედ გამოვხატე ძირითადი, თქვა ბატონმა დიზიმ. ციმბირის წყლულს შეეხება. თვალი გადაავლეთ. არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს ამ საკითხზე.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან... ეს laissez faire<sup>3</sup>-ის დოქტრინა, რომელიც ასე ხშირია ჩვენს ისტორიაში. საქონლით ვაჭრობა ჩვენში ყველა ჩვენი ძველი მეურნეობისა არ იყო. ლივერპულელთა წრე, რომელმაც გელვეის ნავთსადგურის გეგმებს საბოტაჟით უპასუხა. ევროპის ეპიდემიის ტალღა. ხორბლის მარაგი არხის ვიწრობით აღწევს ჩვენამდის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გასაოცარი გულგრილობა. მომიტევეთ კლასიკური შე-

<sup>1</sup> ჯოსი ასახელებს ნამდვილ პრიზიორებს, მათ შორის ბოფორტის მთავარის (1824-99) „ცეილონს“, რომელმაც 1866 წ. ცნობილი „პარიზის პრიზი“ აიღო.

<sup>2</sup> ცხენის სახელი.

<sup>3</sup> გულგრილა დამოკიდებულება (ფრ.).

დარება. კასანდრა<sup>1</sup>. ქალი, რომელიც იმაზე უკეთესი არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>. ახლა, რაც უშუალოდ საკითხს შეეხება.

— ვგონებ საკმაოდ მოურიდებლად ვწერ, არა? იკითხა ბატონმა დიზიმ. სტივენნი განაგრძობდა კითხვას.

ციმბირის წყლული. ცნობილი როგორც კონის პრეპარატი, შრატის და ვირუსი. ვაქცინით ნამკურნალები ცხენების პროცენტი, რქოსანი საქონლის ჭირი. იმპერატორის ცხენები მიურცმტეგში, ქვემო ავსტრიის მიწებზე. ბატონი ჰენრი ბლეკვუდ პრაისი. თავაზიანი წინადადება, მოეწყოს საქმის ობიექტური განხილვა. კეთილგონიერების ღალადისი. მაღალმნიშვნელოვანი საკითხი. სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ხარს რქაში ვტაცოთ ზელი<sup>3</sup>. გმადლობთ, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე საშუალება მომეცით...

— შე მინდა, რომ ეს დაიბეჭდოს და ყველამ წაიკითხოს, თქვა ბატონმა დიზიმ. ნახავთ თუ ხელმეორე ეპიზოტის დროს ირლანდიურ საქონელს უაღაღა არ დააღონ. მისი განკურნება კი შესაძლებელია. რჩება. ჩემი ბიძაშვილი ბლეკვუდ პრაისი მწერს, რომ ავსტრიელი ბეითლები რეგულარულად მკურნალობენ და არჩენენ კიდევ. თუ საჭიროა, ჩამოვალთო. ვცდილობ როგორმე ვიმოქმედო სამინისტროზე. ახლა მინდა პრესაც გამოვიყენო. წინააღმდეგობებით ვარ გარემოცული... ინტრიგებით... პროტექციებით...

სალოკი თითი ასწია და ბებრული ყესტით ვილაცას დაემუქრა, სანამ დაილაპარაკებდა.

— იცით, რა, ბატონო დედალოს, თქვა მან. ინგლისი ებრაელების ბელშია. ყველა მაღალი თანამდებობა: ფინანსები, პრესა. ეს კი ერის დაცემას მოასწავებს. სადაც კი შექუჩდებიან, ერის სასიცოცხლო ძალას წოვენ. მე ამას ვხედავდი უკანასკნელ წლებში. ყველასათვის ნათელია, რომ ებრაელი ვაჭრუკანები უკვე შეუდგნენ ნგრევას. ძველი ინგლისია კვდება.

სწრაფად გაიწია განზე და მზის შუქზე თვალები ცისფრად გაუბრწყინდა. ჯერ მიბრუნდა და მერე ისევ შემოტრიალდა.

— კვდება, თქვა მან, თუ ჯერ არ მოსკვდარა.

ქუჩიდან ქუჩაში შეძვის მუდარა  
ძველ ინგლისს საზარის მოუქსოვს სუღარას<sup>4</sup>.

მისი ფართოდ გახელილი თვალები მკაცრად იმხირებოდნენ მზის სვეტის მიღმა, თავზე რომ დანათოდა.

— ვაჭარი. თქვა სტივენმა, განა ის არ არის, ვინც იაფად ყიდულობს და ძვირად ყიდის, ვინც ებრაელი იყოს და ვინც არა?

— მათ ნათელს შესცოდეს, კუშტად თქვა ბატონმა დიზიმ. მათ თვალებში ბნელეთია. ამიტომია, რომ დღემდე დედაპიწის ზურგზე დაწანწალებენ.

პარაზის ბირყის კიბეებზე ოქროსკანიანი კაცები ბეჭდიანი თითებით ანიშნებენ ერთმანეთს კურსს. ბატების ყიყანი. ისინი ჩორქოლით ქუჩდებიან, ტა-

<sup>1</sup> კასანდრა — პრიამოსისა და ჰეკუბას ასული, რომლის წინასწარმეტყველებას ტროას დაცემის შესახებ — ყური არ ათხოვეს. ამოლონნა, რომლის სიყვარულიც უარყო კასანდრამ, დასწყევლა იგი: მისი სწორი წინასწარმეტყველებისა აღარავინ სჯეროდა.

<sup>2</sup> ეფთუხმის კლასიკური ნიმუში. გვხვდება აგრეთვე სვიფტის „თავაზიან საუბარში“.

<sup>3</sup> დიზი ინგლისურ ბატონად თქმას ვულისხმობს.

<sup>4</sup> ნაწყვეტი უილიამ ბლეივის ლექსიდან.

ძარს ბილწავენ, უშნო აბრეშუმისცილინდროსანი მათი თავები საქმეებს აწყობენ. მათ არ ეკუთვნით: ეს ტანსაცმელი, ეს სიტყვები, ეს ჟესტები. მათი ფართო დინჯი თვალები იმას არ ამბობენ, რასაც სიტყვები, მათი მოძრაობა მოუხვენარია და არაშეურაცხყოფელი, მაგრამ იციან, რომ მათ გარშემო ფართული სიძულვილი იბუღებს და რომ მათი გარჯა ამოა. მოხვეწია და დაგროვების ამო რუდუნება. დრო ჭეშმარიტად განაბნევს ყოველს, გზისპირას გაღანახული სიმდიდრე: ნადარცვი და ოხრად დარჩენილი. გზისპირას ახსოვთ ბეჭიალის წლები და ყოვლის ამტანთ ახსოვთ სხეულის შერცხვენა.

— ვისლა არ ახსოვს, თქვა სტივენმა.

— რისი თქმა გსურთ? იკითხა ბატონმა დიზიმ.

ნაბიჯი გადადგა და მაგიდასთან გაჩერდა. გაკვირვებისაგან ყბა მოეღრძოა. მაშ ეს ძველი სიბრძნეა? მელის, როდის, ვეტყვი რამეს.

— ისტორია, თქვა სტივენმა, კოშმარია, რომლისაგანაც მინდა გამოვფხიზლდე.

მოედნიდან ბიჭების ყიჟინა გაისმა. სასტეენის ხმა. კვლავ მიზანი: გოლი. ამ კოშმარმა ჭიტლაყი რომ ამოგარტყას?

— მიუწვდომელი არიან გზანი ჟუფლისანი, თქვა ბატონმა დიზიმ. მთელი ისტორია ერთი დიდი მიზნისაკენ მიისწრაფის, ღმერთის გამოვლენისაკენ.

სტივენმა ცერი ფანჯარას მიაშვირა და თქვა:

— აი ღმერთო.

— ვაშა! ეი! ოუ!

— რა? იკითხა ბატონმა დიზიმ.

— კვილი ქუჩაში, უპასუხა სტივენმა და მხრები აიჩეჩა.

— ბატონმა დიზიმ თვალები დახარა და ერთ ხანს ცხვირის ნესტოებს ისრესდა. მერე კვლავ ასწია თავი და ნესტოებს შეეშვა.

— მე თქვენზე ბედნიერი ვარ, თქვა მან. ჩვენ ბევრი შეცდომა და ბევრი ცოდვა ჩავვიდენია. ქალმა მოუტანა ქვეყნიერებას ცოდვა. ბერძნები ათ წელიწადს ეომებოდნენ ტრიას ელენესათვის, მენელაოსის გაქცეული ცოლის გულისათვის, ქალისათვის, რომელიც იმაზე უკეთესი არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო. მოღალატე ცოლმა მოიყვანა პირველად უცხო ტომის ხალხი ჩვენს ნაპირებთან აქ. მაკ მაროუს ცოლი და მისი კურო ო'როკი, ბრეფნის პრინცი<sup>1</sup>. პარნელიც ქალმა დაღუპა<sup>2</sup>. ბევრი შეცდომა, ბევრი მარცხი, მაგრამ არა ეს ცოდვა. ახლა, ჩემი ცხოვრების დასასრულს, მებრძოლი ვარ. და მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლისათვის.

• ალსტერი ბრძოლის ცეცხლს აიტანს,  
ალსტერი სიმართლეს გაიტანს<sup>3</sup>.

სტივენმა აიღო ფურცლები.

— მაშ ასე, სერ, დაიწყო მან.

<sup>1</sup> იგულისხმება ინგლისის მეფე ირლანდიის პირველი დალაშქვრა 1169 წ. მაგრამ ისტორიულ პირებს ჯოისი სავსებით სწორედ არ ასახელებს.

<sup>2</sup> ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ცნობილ მებრძოლის ჩარლზ სტიუარტ პარნელის (1846-91) რომანი კაპიტან პეტრიკ ო'შის ცოლთან პარნელის მოწინააღმდეგეებმა მისი დისკრედიტაციისათვის გამოიყენეს.

<sup>3</sup> ლოიალისტების ლოზუნგი. ალსტერი — ჩრდილო ირლანდიის პროვინცია.




— რატომ, სერ? იკითხა სტივენმა და თან ღიმილი მოერია.

— იმიტომ, რომ ისინი საზღვარზე არასოდეს გადმოუშვია, საზეიმო ხმით თქვა ბატონმა დიზიმ.

ყელიდან სიცილის გუნდა ამოსკდა და თან მორაყრაკე ნახველას ძეწკვი ამოაყოლა. სწრაფად მიბრუნდა, ახველებდა, იცინოდა, ხელებს პაერში იშვევდა.

— ისინი არასოდეს შემოუშვია, კვლავ წამოიძახა სიცილით და თან გეტ-რებიან ფეხებით ხრეშმოყრილ ბილივს ტყებნიდა. აი, რატომ <sup>ქრქინული</sup> მის ბრძენ ბეჭებს ფოთლების ბადიდან მზე აფრქვევდა ბრწყინავ წინწკ-ლებს, აცეკვებულ მონეტებს.



ხილვადის გარდაუვალი მოდალობა: <sup>1</sup> ეს მაინც, თუ მეტი არა, ჩემი თვა-ლებით გააზრებული. ყოველი საგნის ანაბეჭდი <sup>2</sup>, ამოკითხვა რომ მიწერია, ხლვის ნიჟარები და წყალმცენარეები, ზღვის მოახლოვებული მოქცევა, ეს ქან-ვიანი ჩექმა. წვონტლისფერი მწვანე, ვერცხლისფერი ლურჯი, ქანგი: ფერა-დი ნიშნები. გამჭირვალობის საზღვრები. მაგრამო, დასძენს იგი: სხეულებში <sup>3</sup>. მაშასადამე, სხეულებად მანამ შეიცნო, სანამ შეიცნობდა მათ შეფერილთ. რო-გორ? რა თქმა უნდა გოგრიტ რომ ეჯახებოდა <sup>4</sup>. ფრთხილად იარე. ქაჩალი იყო და მილიონერი <sup>5</sup>, maestro di color che sanno <sup>6</sup>. ზღვარი გამჭვირვალობაში. რატომ „ში“? გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე. ხუთი თითი თუ გაუტარე, ცხაურა ყოფილა, თუ ვერა და — კარი. დახუჭე თვალები და ნახე.

სტივენმა დახუჭა თვალები რომ გარიყული ბალახისა და ნიჟარების ზრა-შენი გაეგონა ფეხქვეშ. მაინც ხომ როგორღაც მიტობავ და მიდისარ. დიახაც, ნაბიჯ-ნაბიჯ, დროის მონაკვეთის მეტად მცირე მანძილზე მანძილის მეტად მცირე მონაკვეთს. ხუთი, ექვსი: *nacheinander* <sup>7</sup>. აი ასე: და ეს არის სმენადის გარდაუვალი მოდალობა. თვალები გაახილე. არა. ღმერთო! თვალუწვდომელ სალი კლდის წვერიდან <sup>8</sup> რომ გადავჩეხილიყავ *nebeneinander*-ში <sup>9</sup>, გარდაუ-

<sup>1</sup> არისტოტელე ხილვადისა და სმენადის შესახებ მსჯელობს *De Anima*-ს პირველ და მეორე წიგნებში.

<sup>2</sup> ჯოისის პირად ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა გერმანული ფილოსოფოს-მისტიკოსის იაკობ ბოემეს (1575-1624) შრომა „ყოველი საგნის ანაბეჭდი“.

<sup>3</sup> არისტოტელეს მიხედვით, ყოველი ხილვადი ფერია, მაგრამ ფერი მულამ რაიმე სხეუ-ლებრივი სახით ვლინდება, რომელიც ჩანს არა თავისთავად, არამედ ფერის მეშვეობით.

<sup>4</sup> ჯოისი გულისხმობს გადმოცემას, რომლის თანახმად დოქტორ ჯონსონთან ერთ-ერთ კამათში ბერკლი ამტკიცებდა მატერია არ არსებობს, სამყაროში ყველაფერი მხოლოდ იდეალ-ამბობენ, ჯონსონმა დიდ ქვას ამოჰკრა ფეხი და დაიძახა — ამით უარყოფ მაგ დებულებასო.

<sup>5</sup> შუასაუკუნეებში გავრცელებული შეხედულება არისტოტელეს შესახებ.

<sup>6</sup> მცოდნეთა მასწავლებელი. (იტ.) — არისტოტელეს აღწერა დანტეს „ჯოჯოხეთში“ (სიმ-ღერა მეოთხე, 11).

<sup>7</sup> ერთი მეორის შემდეგ (გერ.).

<sup>8</sup> იხ. „პაპლეტი“, I. 4: „ან აგიყვანოთ თვალუწვდომელ სალის კლდის წვერზედ“.

<sup>9</sup> ერთიმეორის გვერდით (გერ.). ლესინგი „ლაოკოონში“ მსჯელობს პოეზიაზე, სადაც საგნები ერთმანეთის მიყოლებით აღიქმება დროში და ფერწერასა და ქანდაკებაზე, რომელ-ნიც საგნებს წარმოადგენენ ერთმანეთის გვერდით მდებარეს სივრცეში. ლესინგი აგრეთვე მსჯელობს მხედველობითი და სმენითი აღქმების განსხვავებაზე.

ვალად. მშვენივრად მივაბიჯებ სიბნელეში. იფნის ხმალი მარტყია წელზე. მაგით აბაკუნე: ასე აკეთებენ. მისი ფეხები ჩეკმეზში ჩემი ორი ტერფით ბოლოვდება, nebeneinander. საკმაოდ მყარად: Los Demiurgos-ის<sup>1</sup> ჩაქურით დაკედლილი. იქნებ მარადისობაში მივაბიჯებ სენდიმაუნტის სანაპიროთი? ხრეშის ხრეშუნი, ხრეშახრეშუნი. ველური ზღვის ფული. პატივცემული მასწავლებელი დიზი ყველა მათგანს იცნობს.

სენდიმაუნტში ხომ არ წავიდეთ ჩემო იორლა მედლინ?<sup>2</sup>

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხედავ, რიტმი იწყება. მესმის. იამბების კატალექტიკური ტეტრამეტრის ჩაქჩაკი. არა, დაოთხება: იორლა მედლინ.

ახლა თვალები გაახილუე. კეთილი. ერთი წამით. თუ ყველაფერი ერთბაშად გაქრა? იქნებ თვალს რომ ავახელ, სამუდამოდ შავს გაუმკვირვალობაში აღმოვჩნდე. Bastal<sup>3</sup> ვნახავ თუკი დანახვა შევიძელი.

ახლა შეხედე. აქ მუდამ უშენობა იყო: და მარადეამს ასე იქნება, უკუნითი უკუნისამდე.

ლიის ტერასის კიბეებზე ფრთხილად ჩამოვიდნენ, Frauenzimmer:<sup>4</sup> და დამრეც ნაპირს ღუნედ დაუყვანენ, თან სველ სილაში სვლა უჭირდათ. ჩემსავით, ელჯისავით, ჩვენს ძლევეამოსილ დედასთან ჩამოდიან. ერთი ხელში უხალისოდ მოაქანებს ბეზიაქალის ჩანთას, მეორე კი სილაში დიდ ქოლგას ურჭობს. ლიბერტის უბნიდან მთელი დღით თავდაღწეულნი. ქალბატონი ფლორენს მაკკები, ქვრივი აწ განსვენებული პეტკ მაკკებისა, რომელსაც გულდათუთქულნი დასტირიაა, პრაიდ სტრიტიდან. ერთ-ერთმა მისმა ამხანაგმა ქალმა ჭყიბინით შემართია ცხოვრებაში. შექმნილი არარადა. რა აქვს ჩანთაში? მუცელსმოწყვეტილი ნაყოფი ჩამოკიდებული ჭიპლარით, სისხლიანი ჭინჭით სახელდახელოდ შეკრული. ყველას ჭიპლარი ბოლოებით ერთმანეთზე მიბმული ზემოთ მიიწევს, ყოველი სულდგმულის ბოჭკოებგადაგრეხილი თოკი. ამიტომ მისტიკოსი ბერები<sup>5</sup>. გინდა ღმერთებს დაეღარო? შენს საკუთარ ჭიპს დააშტერდი. ალო. კინჩი ვარ. მომეცით ვდემბალი. ალფეი, ალფა: ნოლი, ნოლი, ერთი<sup>6</sup>.

აღამ კადმონის თანამეცხედრე და შემწე: ჰევა<sup>7</sup>, შიშველი ევა. მას ჭიპი არა ჰქონია<sup>8</sup>. შეხედე. უცოდველი მუცელი, წინ წამოწეული, ფარზე სიფრიფანა პერგამენტგადაჭიმული, არა, თეთრად დაბულუღებელი თავთავი<sup>9</sup>, აღმოსავლური და უკვდავი, აღმართული უკუნითი უკუნისამდე. ცოდვის საშო.

<sup>1</sup> დემიურგები (ესპ.) — შემოქმედნი.

<sup>2</sup> ნაწყვეტი რომელიღაც ირლანდიური სიმღერიდან ან ლექსიდან.

<sup>3</sup> გათავდა (გერ.).

<sup>4</sup> ქალები (გერ.).

<sup>5</sup> იგულისხმება ბერების მასტიკური ერთიანობა, რაც სიმბოლურად იმით გამოიხატება, რომ ყველა ერთნაირ სარტყელს იტარებს.

<sup>6</sup> მინიშნებულია მისტიკური ენესტაზი, რომლის დროსაც საკუთარ ჭიპს ამტერდებოდნენ. აღამიანთა ჭიპლარების საერთო ძეწვეს კი, თითქოს, თავისებურ სატყლევონო სადგურში მიეყვართ.

<sup>7</sup> ჰევა — ევას აღრინდელი სახელი (გვხვდება ბლუიკის ლექსში).

<sup>8</sup> გამოძახილი კამათისა იმის შესახებ თუ რამდენად სამართლიანია, როცა მხატვრები აღამ დ. ევას ჭიპიანებს ხატავენ.

<sup>9</sup> შდრ: „...მეცელი შენი ვითარცა ხევი იფქლისა...“ (ქებათა ქება, 7, 2).



მეც ბნელცოდვილ საშოში ჩამალული, კი არ ჩამსახეს, შექმნეს<sup>1</sup>. კაცმა ჩემსმთანმა<sup>2</sup> და ჩემთვალეზამ და დანაცრულ სუნთქვიანმა ქალის მოჩვენებამ. ისინი ეხუტებოდნენ ერთმანეთს და შორდებოდნენ, ასრულებდნენ მაჭანკლის ნებას. მან საუკუნეთა დასაწყისამდე მიწება და აღარ ძალუძს ოდესმე რომ ვადამინებოს. Lex eterna<sup>3</sup> ახლავს თან. იქნებ ეს არის ის ღვთაებრივი არსობა, რომელშიც მამა და ძე ერთარანი არიან? სად არის საბრალე ძვირფასი არიონი, ამოცანა რომ ამოხსნას? <sup>ქრისტე</sup> მთელი სიცოცხლე თავს იმტვერავდა კონტრანს-დიდებულერთარსოვანურიბუნებოვანებაზე. უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული პერესიარქი. ბერძნულ ფეხსალაგში განუტევა სული: ევთანასია<sup>5</sup>. თვალ-მარვალიტით მორთული მიტრითა და კვერთხით ხელში, ტახტზე შესკუბული, დაქვრივებული სამრევლოს ქვრივი, აკაპირებული ანატორით, გაბინძურებული საჯდომით.

ქარმა დაუბერა, სუსხავს, თითქოს იკბინებაო<sup>6</sup>. მოღიან, ტალღები. თეთრ-ფაფრიანი ზღვის ცხენები, აღვირის კვნეტით, თეთრქარლაგამამოდებულნი, მანანაანის ბედაურები<sup>7</sup>.

მისი საგაზეთო წერილი არ დამავიწყდეს. და შერე? „ხომალდში“ პირველის ნახევარზე. სხვათა შორის, ფულს გაუფრთხილდი, როგორც სამაგალითო ახალგაზრდა დებილს შეშვენის. დიახ, ასე უნდა მოვიქცე.

ნაბიჯი შეაწელა. აქ. მივდივარ ძალუა სარასთან თუ არა? ჩემი ერთარსება მამის ხმა. დიდი ხანია არ გინახავთ თქვენი ხელოვანი ძმა სტივენნი? არა? დარწმუნებული ბრძანდებით, რომ სტრასბურგის ტერასაზე თავის მამიდა სელისთან არ არის. რა, ცოტა ამაზე მაღლა ვერ აფრინდა?<sup>8</sup> და და და და გვითხარი სტივენ, როგორ არის ძია სი? ო, ღმერთო შენი სახელის კირიმე, ეს ვის დავემოყვრე. ბიჭები სათივეზე. ერთი ჩია ლოთი მოხელე და მიაი ძმა, კორნეტ-ა-პისტონზე დამკვრელი. დიდად პატივსაცემი გონდოლიორები<sup>9</sup>. ელა-მა ჟოლტერი კი მამამისს, არც მეტი არც ნაკლები, სერ-ობით მიმართავს. სერ. დიახ, სერ. არა, სერ. და ცრემლოოდა იესოცა:<sup>10</sup> ქრისტეს სახელს ვფიცავარ.

მათი ჩარაზულ-ჩადარაბებული კოტეჯის ხრიწიან ზარს ჩამოვკრავ: და ველი. აბეზარი კრედიტორი ვგონივარ, სათვალთვალ პუნქტიდან მიჭვრიტიანებენ<sup>11</sup>.

— სტივენნი ვარ, სერ.

<sup>1</sup> არიონის მიხედვით, ქრისტე კი არ შექმნა, არამედ ჩაისახა (ჯოხი შეაბრუნებს ამ დებულებას). ამიტომ იგი ნამოდურთის მსგავსი არსებაა და არა მისი ნაწილი.

<sup>2</sup> პომეროსის ოდისევსი და ტელემაქე ხმით ჰგვანან ერთმანეთს.

<sup>3</sup> მარადიული კანონი (ლათ.).

<sup>4</sup> ჰამლეტის სიტყვების პერიფრაზი დედასთან საუბრის სცენაში (მანაბლის თარგმანში ანტონის გადაჭრის წინაშე მდგარი მამიჯნას სახე შეცვლილია. მოქ. III, სურ. IV)

<sup>5</sup> Euthanasia — ნეტარი სიკვდილი (ბერძ.).

<sup>6</sup> ჰამლეტისა და პორციოს დიალოგის გამოსახილი (მოქ. I, სურ. IV).

<sup>7</sup> მანანაანი — ირლანდიური მითოლოგიის მიხედვით, ზღვის ღმერთი.

<sup>8</sup> იგულისხმება ივაროსისა და დედალოსის მითი.

<sup>9</sup> „დიდად პატივსაცემი გონდოლიორები“ — რამდენჯერმე შეორდება ვილბერტისა და სალივანის თპერეტში „გონდოლიორები“.

<sup>10</sup> სახარება იოანესი, II, 35.

<sup>11</sup> იქ ჯოხის ხმარობა შექსპირის გამოთქმას „მაკბეთიდან“ (მოქ. I, სურ. VI). რომელიც არც ქართულ, არც რუსულ და არც გერმანულ თარგმანებში არ არის ზუსტად გადატანილი.

— შემოუშვით, შემოუშვით სტივენი.  
რაზა გადაიწევა და უოლტერი შემეგებება.  
— სხვა ვილაცა გვეგონეთ.

განიერ საწოლში, ბალიშებით გარშემოწყობილი და საბანსზე შეფუთული ბიძიკო რიჩი ღონიერ ხელს გამოიწვდის მუხლების ბორცვას შემოდან. გულმკერდკრიალა. ზედატანი დაუბანია.

— დილა მშვიდობისა, ძმისწულო.

ერქუნული

გვერდზე გათასდება ფიცარს, რომელზედაც ანგარიშებს სწავლა მასტერ გოფისა და მასტერ შეპლენდ ტენდის დასანახავად, კინძავდა ხელწერილებსა და აღმასრულებელ ფურცლებს და Duces Tecum<sup>1</sup> უწყებას. მუხას ჩარჩო მის მულოთ თავთან: უაილდის Requiescat<sup>2</sup>. მისი გაურკვეველი სტვენა უოლტერს უკან მოაბრუნებს.

— დიახ, სერ?

— დღელი რიჩისათვის და სტივენისათვის, უთხარი დედას. სად არის?

— არის აბანავებს, სერ.

ხეიბარი მამიკოს პაწია შეგობარი. სულიკო.

— რა. ბიძია რიჩი...

— ბიძი დამიძახე. ეშმაკსაც წაუღია ეგ თქვენი წამალი. დამაოსა. ვისკი!

— ბიძია რიჩი, ნამდვილად არ...

— დაჯექი, თორემ ღმერთმანი, მიიტყვიპები.

უოლტერი სკამის ძებნაში თვალებს ამოოდ აელმებს.

— ვერაფერზე დაჯდება, სერ.

— ვერაფერზე ჩამოდება, შე რეგვენო. შემოიტანე ჩვენი ჩიპენდელის სკამი. ცოტას ხომ არაფერს შეჭამდი? ახლა არ დამიწყო აქ შენებურად თავპატივის გაღება. ქონში შემწვარი ქაშაყი? არ გნებავს? შენ გაიხარე. არაფერი გვაქვს სახლში წელკავის წამლის მეტი.

All'erta!<sup>3</sup>

ფერანდოს aria di sortita-ს<sup>4</sup> რამდენიმე ტაქტს დაუსტვენს. საუკეთესო ადგილ მთელს ოპერაში. სტივენ. უსმინე.

კვლავ ისმის მისი მელოდიური სტვენა, ნატიფი მოდულაციებით. გადასვლებით. თან აბორცულ მუხლებზე ტაქტს ითვლის.

ეს ქარი უფრო ტკბილია.

დაცემისა და დაჯინების სახლები, ჩემი, მისი და ყველა. შენ კლონვალს აზნაურიშვილებისათვის გათქვამს, ერთი ბიძა მოსამართლე მავს და მეორე ბიძა გენერალიო. განკუდ მათთაგან. სტივენ სილამაზე იქ არ არის. არც მარშის ბიბლიოთეკის ჭაობში, სადაც იოაჰიმ აბასის ფერმისდილ წინასწარმეტყველებებს კითხულობდი<sup>5</sup>. ვისთვის? ასთავიან

<sup>1</sup> სასამართლო უწყება (ლათ.).

<sup>2</sup> მშვიდად განისვენე (ლათ.). სათაური ოსკარ უაილდის პატარა ლექსისა, რომელიც მან თავისი დის გარდაცვალების გამო დასწერა.

<sup>3</sup> ყურადღება (იტ.) — ამ სიტყვით იწყება ვერდის „ტრუბადური“ და აგრეთვე ფერანდოს გამოსასვლელი არია ოპერაში.

<sup>4</sup> გამოსასვლელი არია (იტ.)

<sup>5</sup> იოაჰიმ აბასი (1145-1202) — იტალიელი თეოლოგი, რომელიც ისტორიას სამ ეტაპადყოფდა: მამის ხანას (ქრისტეს დაბადებამდე) და შეილის ხანას (ჩვ. წელთაღრიცხვა) უნდა მოჰყვას სულის ხანა. (მოხაყნებელია ჯოისის ადრეულ ნაწარმოებში „ჯაკომო ჯოისი“, იხ. „ცისკარი“, № 11, 1969).

ბრბოსთვის გალავანში. თვისტომთა მოძულე გაურბოდა მათ სიგიჟის ტყეში<sup>1</sup>; მისი მთვარის შუქზე აქაფებული ფაფარი, ვარსკლავებად ქცეული თვალის გუგები. ჰუიპნემი<sup>2</sup>. ცხენნესტოიანი. თვალური ცხენისთავეები, ტემპლი, ბაკ მალივანი, ფოქსი კემპბელი. ჩაცვივნილი ლოყები. აბასი, მამა, გახელებული წინამძღვარი, რა შეურაცხყოფამ წაუკიდა ცეცხლი მათ ტვინებს? პუჰ! Descende, calve, ut ne nimium decalveris<sup>3</sup>. ქალარა თმის ყვავილენი მის განწირულ თავზე, ვხედავ როგორ მიძიმედ ეშვება საკურთხეველს<sup>4</sup> ფეხურზე (descende), ბარძიმს ჩაბლაუჭებია, ბასილისკოთვალიანი. ქვემოთკენ, ქაჩალო! კლიროსიდან გუნდი უკან ჟბრუნებს მუქარასა და ექოს. სტიქარებში გამოტკლევნილი ხუცესები დადიან და ლათინურს დადუღლუნებენ, კეფაგაპარსულნი და მირონცხებულნი და კასტრირებულნი, დასუქებულნი თირკმელთა ცმელითა იფქლისა თანა<sup>4</sup>.

და იქნებ იმავე წამს რომელიმე ხუცესი კუთხეს მოფარებული ზევით სწევს მას. დრინგდრინგ! და ორი ქუჩის იქით, მეორე, სანაწილეში გამოკეტავს. დრინგდრინგ! და ღვთისმშობლის სამრეკლოში მესამე მთელ ნაკურთხს პირში იკრავს. დრინგდრინგ! ქვევით, ზევით, წინ, უკან. დენ ოკემს უფიქრია ამაზე, უძლეველ დოქტორს<sup>5</sup>. ერთ ნისლიან ინგლისურ დილას პიპოსტაზირების<sup>6</sup> ეშმაკმ შეუღლიტინა ტვინში. ნაკურთხი წყალი ქვემოთ დასწია, დაიჩოქა და გაიგონა, როგორ ჩაეხვია მის მეორე ზარის რეკვას პირველი ზარის ხმა ეკვდერში (ახლა თავისას ასწევს) და ფეხზე წამომდგარს უკვე მოესმის (ახლა მე ავწევ) იმ ორი ზარის (ახლა იჩოქებს) ორხმაში რეკვა.

ძმაო სტივენ, შენ წმინდანი ვერასოდეს გახდები<sup>7</sup>. წმინდანების კუნძული<sup>8</sup>. მუდამ საოცრად წმიდა იყავი, არა? ღვთისმშობელს ევედრებოდი წითელი ცხვირი ნუ მექნებაო. ეშმაკს ევედრებოდი წყლის გუბეებით სავსე სერბანტინის ავენიუზე შენს წინ მიმავალ ჩაბუტკუნებულ ქვრივს უფრო მალა აეწიოს კაბოს კალთაო. O si, certo!<sup>9</sup> მიდი, სული მიჰყიდე ამისათვისა დედაკაცის სკვოზე<sup>10</sup> ქინძისთავეებით მიმაგრებული ჭრელი ძონძებისათვის. კი-

<sup>1</sup> ჯოისი, როგორც ჩანს, გულისხმობს სულიერად დაავადებულ ჯონათან სვიფტს, რომელსაც ზემონახსენები მარშის ბიბლიოთეკის გვერდით ცხოვრობდა.

<sup>2</sup> ჰუიპნემი — ზღაპრული ცხენი სვიფტის «გულიერის მოგზაურობაში».

<sup>3</sup> ჩამოდი ქვევით, ქაჩალო, უფრო რომ არ გაქაჩლდე (ლათ.).

<sup>4</sup> იხ. მეორე შჯულისა მოსესი, 32, 14.

<sup>5</sup> უილიამ ოკემი (გარდ 1349 წ.) — ინგლისელი სქოლასტიკოსი ფილოსოფოსი. დენ — ბატონის (მისტერ, სერ) ძველი ფორმაა.

<sup>6</sup> პიპოსტაზირება — განყენებული ცნებებისათვის დამოუკიდებელი არსებობის მიწერა (მართ. ენის გან. ლექს.).

<sup>7</sup> ჯონსონის ცნობით, დრინგდენს უთქვამს სვიფტისათვის: „ძმაო სვიფტ, შენ პოეტი ვერასოდეს გახდები“.

<sup>8</sup> შუასაუკუნეებში ირლანდიას «წმინდანების კუნძულს» ეძახდნენ.

<sup>9</sup> რა თქმა უნდა (იტ.).

<sup>10</sup> სკვო — ინდიელი ქალის კაბა.

დევ მითხარი რამე, კიდევ! ჰოუთის<sup>1</sup> ტრამვიის იმპერიალიდან მარტოღმარტო მიპკიოდი წვიმას: შიშველი ქალები! ჰა, როგორ მოგწონს?

რა როგორ მოგწონს? მაშ სხვა რისთვის არიან შექმნილი?

ყოველდღე თრ-თრ გვერდს კითხულობდი შვიდი წიგნიდან, ჰა? ახალ-გაზრდა ვიყავი. საკუთარ თავს ესაღმებოდი სარკეში, ტანის დაკრძალვას სერიოზულად წამოიწეოდი წინ; გასაოცარი სახე. ვაშა წყვეულ იდიოტს! ვაშაა! არავის დაუნახავს: არავის უთხრა. წიგნები რომ უნდა დაგეგმავ, რომელთაც სათაურად ასოები ექნებოდათ. წაგიკითხავთ მისი რაე? დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ქანი მიარჩევნია. დიახ, მაგრამ ჰაენ არაფერი შევედრება. ო, დიახ ჰაენს<sup>2</sup>. გახსოვს, შენი ეპითანიები მწვანე ოვალურ ფურცლებზე, ღრმანე-ულრმესი, შენი სიკვდილის შემდეგ ასლები მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკებში რომ უნდა დაეგზავნათ ალექსანდრიის ჩათვლით? ვილაცას უნდა წაეკითხა იქ რამდენიმე ათასეული წლის შემდეგ, მაჰამანგანტარა<sup>3</sup>. პიკო დელა მირანდოლასებური<sup>4</sup>. ზედგამოჭრილი ვეშაპია<sup>5</sup>. როცა კაცი დიდი ხნის წინათ წასული კაცის ამ უცნაურ ნაწერს კითხულობ, კაცი კაცთან კაცურ ნათესაობას გრძნობს, კაცთან, რომელმაც ოდესღაც...<sup>6</sup>

ქვიშნარი ფეხქვეშ გამოეცალა. მისი ფეხსაცმელი კვლავ თელავს დამბალ, ჭრატუნა ანძას, ალესილ ნიჟარებს, ბრჭიალა კენჭებს, უთვალავ კენჭებს, ერთმანეთს რომ ეხეთქებიან<sup>7</sup>, გემის ჭიისაგან დაცხრილულ ხის ნაფოტებს, დაღუპულ არმადას<sup>8</sup>. სილის დამყაყებული გუბე მისი ფეხსაცმლის ლანჩას ელოდა, რომ შეეწოვა და ჩამდინარე წყლების სუნთქვა ამოესუნთქა. ფრთხილი ხაბიჭით შემოუარა. ლუდის ბოთლი ამოჩრილიყო, წელამდე ჩაფლული სილის აზელილ ცომში. გუშაგი: აუტანელი წყურვილის კუნძული<sup>9</sup>. დამსხვრეული ფერსოები ნაპირზე: იქით ბნელი, მზაკვრული ბადეების დახლართული ქსელი; კიდევ უფრო მოშორებით ცარციტ დაჯდაპნილი კარსუკანა და ზემოთ სარეცხის თოკი ორი ჯვარცმული პერანგით. რინგსენდი: მზით გარუჯული ლოცმანებისა და სავაჭრო ხომალდების კაპიტანთა ვიგვამები<sup>10</sup>. ადამიანთა ნიჟარები.

<sup>1</sup> ადგილი დუბლინის მახლობლად.

<sup>2</sup> არისტოტელეს წიგნებს კომენტატორები ასოებით ნომრავდნენ ხოლმე.

<sup>3</sup> „დიდი წელი“ (ჰინდი). ეს უნდა იყოს იმ ეზოტერული დოქტრინის გამოძახილი, რომლის მიხედვითაც ადამიანი და მთელი კაცობრიობაც ქმედობისა და შესვენების გამუდმებულ მონაცვლეობას განიცდის.

<sup>4</sup> პიკო დელა მირანდოლა (1463-94) — იტალიელი ჰუმანისტი მეცნიერი, რომელიც ცდილობდა წინაქრისტიანული რელიგია ერთგვარად ქრისტიანობასთან შოეროგებინა.

<sup>5</sup> პოლონიუსის რებლიკა ჰამლეტის კითხვაზე: „თუ უფრო ვეშაპს გავს?“ („ჰამლეტი“, მოქ. III, სურ. 11).

<sup>6</sup> ჰაროლია ხელოვნების ცნობილი თეორეტიკოსის უოლტერ პეიტერის (1839-94) მსჯელობაზე პიკო დელა მირანდოლას შესახებ.

<sup>7</sup> ედგარის სიტყვების პერიფრაზი („მეფე ლარა“, მოქ. IV, სურ. 1).

<sup>8</sup> იგულისხმება ესპანელებს „უძლეველი არმადა“, რომელიც ინგლისელებმა 1588 წ. დაამარცხეს.

<sup>9</sup> „აუტანელი შიმშილის (ან წყურვილის) კუნძული“ ხშირად გვხვდება სხვადასხვა უცვლელს თქმულებაში. „შიმშილის კუნძული“ გვხვდება აგრეთვე პომეროსის „ოდისეაში“ (წიგნი მეოთხე).

<sup>10</sup> ინდიელთა ქოხები.

შეჩერდა. ძალუა სარას გავცდა. აღარ მივდივარ? როგორც ჩანს, არა. ახლო-მახლო არაეინაა. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი, უფრო მაგარ ქვიშნარზე გადაიარა და სამტრედესაკენ გაემართა.

— Qui vous a mis dans cette fichue position?

— C'ent le pigeon, Joseph.<sup>1</sup>

პეტრისი, შევბუღებაში რომ იყო, ჩემთან ერთად სვლემდა თბილ რძეს მაკმაონის ბარში. გარეული ბატის ძე<sup>2</sup>, კევიან იგან პარიზელი<sup>3</sup>, ტრინველია<sup>4</sup>, ტბილ lait chaud-სა<sup>4</sup> სვლემდა. ნორჩი ვარდისფერი უნით, ბაჭიას ფუნთუშა სახე, სვლება, lapin<sup>5</sup>. იმედი აქვს მოიგოს gros lots<sup>6</sup>. ქალთა ბუნების შესახებ მიშლეს წიგნებში ამოიკითხა<sup>7</sup>. მუსიე ლეო ტაქსილის La Vie de Jésus უნდა გამომიგზავნოს. მეგობრისთვის უთხოვებია.

— C'est tordant, vous savez. Moi je suis socialiste. Je ne crois pas en l'existence de Dieu. Faut pas le dire à mon père.

— Il croit?

— Mon père, oui.<sup>8</sup>

Schluss<sup>9</sup>. სვლებაგს.

ჩემი ლათინური კვარტალის ქუდი. ღმერთო ჩემო, ჩვენ უბრალოდ როლები მიხედვით უნდა გამოვეწყოთ. ავტორისფერი ხელთათმანი მიწა. თქვენ სტუდენტი იყავით, არა? რა ჯანდაბას სწავლობდით? პესეენ. P. C. N., იცით: physiques, chimiques et naturelles<sup>10</sup>, აჰა, ჯამლა შაურთან mou en civet<sup>11</sup>, ზორცი ეგვიპტურ ქოთნებში<sup>12</sup>, ბოყინა მეეტლეების გვერდით. აიღე და უბრალოდ თქვი: როცა პარიზში ვიყავი, boul' Mich'<sup>13</sup>, ყოველთვის... დიახ, ყოველთვის გამოყენებული ბილეთები დაგქონდა თან, რომ ალიბის დამტკიცება შეგძლებოდა, ვინცობაა მკვლელობისათვის დაგაპატიმრებდნენ სადმე. სამარ-



<sup>1</sup> ვინ ჩავაგდო ამ შავ დღეში — მტრედმა, იოსებ (ფრ.). ლეო ტაქსილის წიგნიდან „ცხოვრება იესოსი“, რომელშიც პარიზში დაბრუნებულია „უმანკო ჩასახვის“ ქრისტიანული ვერსია.

<sup>2</sup> „გარეულ ბატებს“ ეძახდნენ ირლანდიიდან გახიზნულთ.

<sup>3</sup> სტრიქონი „ხუშარა იესოს ბაღადიდან“. სიტყვა „ფრინველი“ სტივენის ფიქრებში იესო ქრისტეს „მამა-მტრედისა“ და ირლანდიელი ემიგრანტების სიმბოლოს „გარეული ბატის“ ასოციაციას იწვევს ერთდროულად.

<sup>4</sup> თბილი რძე (ფრ.).

<sup>5</sup> ბაჭია (ფრ.).

<sup>6</sup> მთავარი (ყველაზე დიდი) მოგება (ფრ.).

<sup>7</sup> ეიულ მიშლე (1798-1874) — ფრანგი ისტორიკოსი, ავტორი შრომებისა „ქალი“, „ქალები და რევოლუცია“ და „სიყვარული“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ვიკოს რჩეული შრომები“ და კაბიტალური შრავალტომიანი ნაშრომი „საფრანგეთის ისტორია“.

<sup>8</sup> სასაცილოა, პირდაპირ. მე სოციალისტი ვარ. მე არა მწამს ღმერთის არსებობა. თღონდ მამაჩვის ნუ ეტყვი. — მას სწამს? — მამაჩემს? დიახ (ფრ.).

<sup>9</sup> მორჩა (გერ.).

<sup>10</sup> ფიზიკა, ქიმია და ბუნებისმეტყველება (ფრ.).

<sup>11</sup> რაგუ (ფრ.).

<sup>12</sup> შღრ: „ეტყოდნენ მათ ძენი ისრაელისანი, უმჯობეს იყო მო-თუმცა — ვსწყვედით გვე-წითა უფლისა მიერ ქვეყანასა ეგვიპტისასა, თდეს იგი ვსხედით ჩვენ სიავთა უკანა ზორცი-სითა...“ (ე. ი. ვუსხედით ზორციან ქვაბებს, გამოსვლათა მოსესი, 16, 3).

<sup>13</sup> პარიზის ლათინური კვარტალის ცნობილი ქუჩის ბულვარ სენ-მიშელის შემოკლებული სახელი.

თალი. 1904 წლის ჩვიდმეტ თებერვალს ღამით ბრალდებული ორმა მოწმემ ნახა. სხვამ ჩაიდინა ეს: სხვა მემ. ქუდი, პალსტუხი. პალტო, ცხვირი. Lui, c'est moi<sup>1</sup>. ვგონებ ცუდად არ გაგიტარებია დრო.

ამაყად დააბიჯებდი. ვის ბაძავდი სიარულში? დაგავიწყდა? უმემკვიდრეობოდ დატოვებულს. დედის გადმორიცხული ორდერი, რვა მხლისკი, ფოსტის მოხვლე კარებს ცხვირწინ გიჯახუნებს. კბილის ტკივილი შიმშილისაგან. Encore deux minutes<sup>2</sup>. ნახე საათი. უნდა მივიღო. Ferme<sup>3</sup> დატყვევებული ქოფაკი! ერთი შენი შუბლი შაურჩიანით ტყვიით გამახვრეტიხა, შენი ტვინი კედელზე შეხეფებად შემასხმევიანა. სისხლის შეხეფები შხრრრ ბაც, ისევ ყველაფერი რიგზეა. ხომ არ გატყინეთ? ო, არა უშავს. შევრიგდეთ. ო, არაფერია, ნამდვილად არაფერი.

შენ სასწაულის მოხდენას აპირებდი, არა? ევროპის მისონერი ცეცხლოვანი კოლამბანუსის შემდეგ. ფიაკრი<sup>4</sup> და სკოტუსი<sup>5</sup> თავის მონჯღრეულ სკამებზე ისხდნენ ზეცაში, კათხებიდან ლუდი ეღვრებოდათ და ხმამაღალლათინურად იცინოდნენ: Euge! Euge!<sup>6</sup> ვითომ დამტვრეულ ინგლისურს ვლაპარაკობო, როცა საკვოიას მიათრევიდი, მეზარგული სამი პენსია, ნიუპეივენის სლიბ ყორეზე. Comment?<sup>7</sup> მდიდარი ნადავლით ბრუნდები: Le Tutu<sup>8</sup>, ხუთი შემოფლეთილი ნომერი ქურნალისა Pantalon Blanc et Culotte Rouge<sup>9</sup>. ცისფერი ფრანგული დეპეშა, ღირსახსოვარი და საჩვენებელი სუვენირი:

— დედა კვდება ჩამოდი მამა.

მამიდა თვლის, რომ შენ მოჰკალი დედაშენი. ამიტომ არის, რომ არ...

გაუმარჯოს მალიგანის მამიდას,  
გეტყვიო რისთვის ვადღეგრძელოთ იგი:  
ჰენიგნების ოჯახს მისი წყალობით  
მუდამ წესი უყვარდა და რიგი<sup>10</sup>.

მისი ფეხები უეცარი ამაყი რიტმით ამოძრავდნენ ქვიშის ხნულეებში, სამხრეთის კედელთან რიყის ქვების გასწვრივ. ამაყად შესცქეროდა მათ, მამონ-

<sup>1</sup> იგი მე ვარ (ფრ.). შესაძლოა ლუი XIV-ის ცნობილი ფრაზის L'etat c'est moi (სახელმწიფო მე ვარ) პაროდირებულ ფორმას წარმოადგენდეს.

<sup>2</sup> კიდევ ორი წუთი (ფრ.).

<sup>3</sup> დაკეტილია (ფრ.).

<sup>4</sup> ფიაკრი (VII ს.) — ირლანდიაში წმინდანად შერაცხეს.

<sup>5</sup> სკოტუსი — იგულისხმება ან ჯონ დანს სკოტუსი (1266-1308) ან ცნობილი თეოლოგი ჯონ სკოტუს ერიგენა (830-880?).

<sup>6</sup> „ეჰაშა! ეაშა!“ (ლათ.) — ხშირად გვხვდება ბიბლიაში (დავითნი, 35, 21; 35, 25; 40, 15 და სხვ.), როგორც შტრის შეძახილები.

<sup>7</sup> როგორ? (ფრ.).

<sup>8</sup> ფრანგული იუმორისტული ქურნალი.

<sup>9</sup> ეს ჯოისის მიერ შეთხზული სახელწოდება უნდა იყოს, ასეთი ქურნალი საფრანგეთში არ გამოდიოდა.

<sup>10</sup> ნაწყვეტი ირლანდიელი პოეტის, კომპოზიტორისა და პაროდისტის ავტორის პერსე ფრენჩის (1854-1920) ერთ-ერთი სიმღერადან.

ტის დახვეწებულ ქვეს თავის ქალებს. ოქროსფერი ნათელი ზღვაზე, ქვიშაზე, რიყის ქვებზე. მზე, ტანწერწეტა ხეები, ლიმონის სახლები.

პარიზი ნოტიოდ იღვიძებს, მზის ცინცხალი სინათლე მის ლიმონისფერ ქუჩებზე. ცვრიანი პურის გული, ვასაკასფერი აბზინდა, მისი დილის საკმეველი, ჰაერს ელაციცება. ბელუომო დგება მისი ცოლის სიყვარლის ცოლის ლოგინიდან, ხილაბანდწაკრული დიასახლისი დაფაცურობს, ძმრის-მყავიანი ლამბაქით ხელში<sup>1</sup>. როდოსთან, ივონასთან და მელლონთან ანახლებენ თავის მოთელილ სილამაზეს, თან ოქროს კბილებით ანრაძუნებენ ნამცხვარს და *flan breton*-ისაგან<sup>2</sup> პირები აქვთ გაყვითლებული. პარიზელი შამაკაცების სახეები ჩაივლიან, მათი ნაამები მაამებლები, დაკულულებული კონკისტადორები.

შუადღის თვლეთა. კეკინ ივანი სტამბის საღებავით მოთხვრილ თითებში თოფისწამლიან სივარეტებს აგორებს და თავის მწვანე ფერიას წრუპავს, როგორც პეტრისი თავის თეთრს. ჩვენს გარშემო ღორმუცელები პილპილ-მოყრილ მუხუდოს ხახაში ჩანგლით იჩრიან. *Un demi-setier!*<sup>3</sup> პატარა კრიალა ყურჩიანი ქვაბიდან ხმაურით ამოდის ყავის ორთქლი. ის ხელით ანიშნებს და ქალი მომემსახურება. *Il est irlandais. Hollandais? Non fromage. Deux irlandais, nous, Irlande, vous savez? Ah oui!*<sup>4</sup> ქალს ეგონა ჰოლანდიური ყველი გინდოდათ. ბოლოწახემსებისათვის, იცით ეს სიტყვა? ბოლოწახემსებისა. ერთ ყმაწვილს ვიცნობდი ბარსელონაში, დიდი უცნაური ვინმე იყო, ყველს ბოლოწახემსებისა ეძახდა. კეთილი: *slainte!*<sup>5</sup> მარმარილოს მაგიდების ირგვლივ დვინიანი სუნთქვისა და ხრინწიანი როხროხის ნაზავი. მისი სუნთქვა გადმოხრილა ჩვენს საწებლით მოთხვრილ თეფშებზე, პირიდან მწვანე ფერიას ნესტარი გადმოუგდია. ირლანდიაზე, დალკასელებზე<sup>6</sup>, იმედებზე, შეთქმულებებზე, ახლა ართურ გრიფითზე<sup>7</sup>. თავისთან ერთად უღელში მამამა. ჩვენი დანაშაულობანი ჩვენი საერთო საქმეა. თქვენ მამათქვენის შვილი ხართ. ხმას ვცნობ. მისი ბამბაზიის ხალათი, სისხლისფერყვავილოვანი, ესპანურ ფოჩებს აცახცახებს მისი საიდუმლოებათა გამგონე. მუსიე დრიუმონი<sup>8</sup>, ცნობილი ჟურნალისტი, დრიუმონი, იცით, რას ეძახდა დედოფალ ვიქტორიას? ჩაყვითლებულ კბილებიანი კუდიანი ბებრუხანა. *Vieille ogresse aux dents jaunes*<sup>9</sup>.

<sup>1</sup> ეს პასაჟი პირველად „ჯაკომო ჯოისში“ გვხვდება ოდნავ შეცვლილი სახით. (იხ. „ცისკარი“, № 11, 1969 წ.).

<sup>2</sup> ფრანგული ნამცხვრის სახეობა.

<sup>3</sup> ხაბეყარი კათხა (ფრ.).

<sup>4</sup> ირლანდიელია. ჰოლანდიელი? ყველი კი არა. ორი ირლანდიელი, ჩვენ, ირლანდია, იცით? აჰ, დიას! (ფრ.).

<sup>5</sup> ფრანგული გინება.

<sup>6</sup> მანსტერების დინასტიის შთამომავალნი.

<sup>7</sup> ართურ გრიფითი (1872-1922) — ირლანდიელი გამომცემელი, ირლანდიის განთავისუფლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მკზნებარე მებრძოლი.

<sup>8</sup> ედუარდ ადოლფ დრიუმონი (1844-1917) — ფრანგი ჟურნალისტი, ცნობილი თავისი ანტისემიტური განწყობილებებით.

<sup>9</sup> ბებერი კუდიანი ყვითელი კბილებით (ფრ.).

მოუ გონი<sup>1</sup>, ლამაზი ქალი, La Patrie<sup>2</sup>, მუსიე მილვეა<sup>3</sup>. ფელიქს ფორი<sup>4</sup>. იცით როგორ მოკვდა? უზნეო მამაკაცები. პოლანდიელი ასული, bonne à tout faire<sup>5</sup>, რომელიც მამაკაცის სიშიშვლეს ხეხავს ახალას აბანოში. Moi faire<sup>6</sup>, თქვა მან. Tous les messieurs<sup>7</sup>. მაგრამ არა ეს Monsieur, ვთქვი მე-  
 ჟალრესად უზნეო ადამი. აბანო მეტად პირადული რამ არის. მე ჩემს ძმასაც  
 კი ჩემს ღვიძლ ძმასაც კი არ მივცემ ნებას, მეტიმეტი უზნეობა მწვანე თვა-  
 ლებო, გხედავთ<sup>8</sup>. ნესტარო, ვერძნობ, უზნეო ხალხი. შიშველი მამაკაცი

ცისფერი პატრუქი სულს ლაფავს მის ხელებს შუა და მერე გაღვივდება. თამბაქოს ღეროებს ცეცხლი ეკიდება: ალი და მწველი კვამლი ჩვენს კუთხეს ანათებს. შეთქმულის ქულის ქვემოდან ჩავარდნილი ლაწვეები. როგორ გაიქცა შეთქმულთა ბელადი, სანდო ვერსია. ახლად ჯვარდაწერილ პატარძლად გადაცმული კაცი, საქორწინო ლეჩაქი, ფლერდორანტი, მელაპაიდისაკენ გაუყვა შარას. ღმერთმანი, ასე იყო<sup>9</sup>. დაკარგულ ბელადთა, დაბეზლებულთა, თავქუდ-მოგლეჯილი გაქცევა<sup>10</sup>. გადაიცვა, ხელი სტაცეს, გაიქცა, გაქრა.

დაწუნებული მიჯნურა. გარწმუნებთ, ახოვანი ყმაწვილი გახლდით მაშინ, ერთხელაც იქნება ჩემს სურათს გაჩვენებთ. ღმერთმანი, მართალს გეუბნებით. მიჯნური, სიყვარულით გახელებული, მისი კლანის ბელადის შემკვიდრესთან პოლკოვნიკ რიჩარდ ბერკთან ერთად კრანკენუელის კედლებთან მიიპარებოდა და მიწაზე გართხმულმა დაინახა როგორ აიტაცა ისინი ნისლში შურიაგების ალმა<sup>11</sup>. მინის მსხვრევა და კედლის ჩამოშლა. მხიარულ პარიზში იმალება იგი, იგან პარიზელი, რომელსაც არავინ დაუძებს ჩემს გარდა. დღისით ბინძური საამწყობო კასა სტამბაში, მისი სამი ტავერნა, ღამით მონმარტრის ბუნაგი, რომელშიც ცოტას წაუძანებს, rue de la Goutte-d'Or<sup>12</sup>, კედლებზე გარდაცვლილთა ბუხებთანაგან ჩამისხლული სახეები. უსიყვარულოდ, უძაწაწყოლოდ, უცოლოდ<sup>13</sup>. მეტად კოხტად მოწყობილა ის ქალბატონი, ქმარი რომ გაუძევეს, rue Git-le-Coeur<sup>14</sup>, იადონითა და ორი მღვმურით. ვაშლივით ლოყები, ზებრა ქვედატანი, ახალგაზრდა გოგოსავით ცქრილა. დაწუნებული და არაიმედგაწყ-

<sup>1</sup> მოუ გონი (1866-1953) — ლამაზი ირლანდიელი ქალი, ცნობილი შოვინისტი, რომელიც უყვარდა პოლ ეიტსს.  
<sup>2</sup> „სამშობლო“ (ფრ.) — 1941 წელს დაარსებული პოლიტიკური პერიოდული გამოცემა.  
<sup>3</sup> მუსიენ მილვეა (1850-1918) — ფრანგი პოეტის შარლ მილვეას შვილიშვილი, „ლი პატრის“ რედაქტორი 1894 წლიდან.  
<sup>4</sup> ფრანსუა ფელიქს ფორი (1841-1899) — ფრანგი საზოგადო მოღვაწე. 1895 წ. აირჩიეს საფრანგეთის პრეზიდენტად. ამბობენ, საყვარელთან ალერსის დროს გარდაიცვალა.  
<sup>5</sup> მოახლე ყველაფრისათვის (ფრ.).  
<sup>6</sup> მე ვაგაკეთებ (უხეირო ფრ.).  
<sup>7</sup> ყველა ბატონს (ფრ.).  
<sup>8</sup> შესაძლოა იგულისხმებოდეს იაგოს „მწვანეთვალეზა ურჩხული“ („ოტელო“, მოქ. III, სურ. III).  
<sup>9</sup> აღწერილია ფენიანების ბელადის ჯეიმზ სტივენსის გაქცევა რიჩმონდის ციხიდან (დუბლინი) 1865 წ. 24 ნოემბერს. ქალად გადაცმის ეპიზოდი ლეგენდარულია.  
<sup>10</sup> რობერტ ბრაუნინგს აქვს ლექსი „დაკარგული ბელადი“, რომელშიც პოეტი ლიბერალური იდეალების დაღატაკ აბრალებს უორდსუორთის.  
<sup>11</sup> რამდენიმე ფენიანი პატიმარი (მათ შორის პოლკოვნიკი ბერკიცი) ლონდონის კლარკენუელის ციხიდან გამოიხსნეს 1867 წლის 13 დეკემბერს.  
<sup>12</sup> პარიზის ქუჩის სახელია.  
<sup>13</sup> შესაძლოა ევრაპიდეს იფიგენიას სიტყვების გამოძახილი იყოს: „უქმრო, უბავშვო-უსამშობლოო, უსიყვარულო“.  
<sup>14</sup> პარიზის ქუჩის სახელწოდება.



ვეტილი. უიხარი პეტს, რომ მნახე, კარგი? ერთხელ მინდოდა სამსახური მე-  
შოვა პეტრისათვის, Mon fils<sup>1</sup>, საფრანგეთის ჯარისკაცი, სიმღერა ვასწავლე.  
კილკენელი ბიჭები მამაცები არიან<sup>2</sup>. იცით ეს ძველი სიმღე-  
რა? პეტრისს ვასწავლე. ძველი კილკენი: წმიდა კენისი<sup>3</sup>, სტრონგბაუს<sup>4</sup> ციხე-  
სიმაგრე ნორზე. ასე იწყება. ო. ო. ნებერ ტენდი ხელს ჩამჭიდებს<sup>5</sup>.

ო. ო. კილკენელი ბიჭები...

ეროვნული

სუსტი დაქანცული ხელი ჩემს ხელზე. მათ დაივიწყებოდა, არა  
მან ისინი. რაყამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი<sup>6</sup>.

ზღვასთან ახლოს მივიღა და მის ფეხსაცმელებს სველმა სილამ სილა გააწ-  
ნა. ახალი ჰანგი მიესალმა, თითები ჩამოჰკრა დაჭიმულ ნერვებს, სინათლის-  
მფრქვეველი ჰანგების შლეგი ქარაშოტი. მოიცა, კიშის ტივტავა შუქურასაკენ  
ხომ არ მივდივარ? უცებ შეჩერდა, ფეხები თანდათან რბილ სილაში ეფლობო-  
და. უკან გაბრუნდა.

შეტრიალდა, სამარეთის სანაპიროს გახედა, ფეხები ახლა ახალ ნაფეხუ-  
რებში ეფლობოდა ზრამუნით. კოშკის ცივი თალიანი ოთახი ელის. სათოფუ-  
რებიდან სინათლის სვეტები გამუდმებით მოძრაობენ, ნელა, ისევე გამუდმე-  
ბით, როგორც ეფლობიან ჩემი ფეხები, მზის საათოვან იატაკზე ბინლისაკენ  
რომ მიიპარებიან. ცისფერი ბინდი, ღამის ჩამოწოლა, ლურჯი შუალამე. ისინი  
თალის სიბნელეში იცდიან, მათი უკან დაწეული სკამები, ჩემი ნაშანსვეტივით  
აყუდებული ჩანთა, მიტოვებულ ჯამ-ჭურჭლიანი მაგიდის გარშემო. ვინ უნდა  
ააღაგოს? გასაღები მას აქვს. ამაღამ იქ არ ვიძინებ. მღუმარე კოშკის ჩარაზუ-  
ლი კარი მათ უსულო გვამებს დაასამარებს<sup>7</sup>, ავაზაზე მონადირე ბატონი და  
მისი მეძებარი. დაუძახე: არავინ პასუხობს. ფეხები ამოზიდა ჩასრუტულ სილი-  
დან და უკან გაბრუნდა ყორეზე. წაიღეთ ყველაფერი, თქვენი იყოს ყველა-  
ფერი. ჩემი სული ჩემთან ერთად დაიარება, ფორმის ფორმა. შუალამის სადა-  
რაჯოზე დავაბიჯებ კლდოვან ბილიკზე, შავ წვერში ქალარაგარეული<sup>8</sup> და ელსი-  
ნორის მაცდური ზღვის მოქცევა მესმის<sup>9</sup>.

მოქცევა მომდევს. აქედან შემოძლია ვუთვალთვალო როგორ წამოვა. მაშინ  
გაბრუნდი პულბეგის გზით სანაპიროსკენ. ისლსა და ზღვის მცენარეებს გადა-  
აბოტა, კლდოვან სკამზე ჩამოჯდა და თავისი იფნის ჯოხი ნაბრალში მიაყუდა.

ძალის გასიებული ლეში აფუებულ წყალმცენარეებზე ეგდო. მის წინ  
გემის პლანშირი, სილაში ჩაფლული. Un coche ensablé<sup>10</sup>, იტყოდა ლუი ვეიო<sup>11</sup>

<sup>1</sup> ჩემი შვილი (ფრ.).

<sup>2</sup> ანონიმური ირლანდიური სიმღერა.

<sup>3</sup> ირლანდიელი წმინდანი (აქედან ადგილის სახელწოდება — კილკენი).

<sup>4</sup> სტრონგბაუს — იგივე პემბრუკის გრაფი, რომლის გამოჩენას ირლანდიაში 1170 წლის  
23 აგვისტოს, ირლანდიის დაპყრობის ფაქტიურ დასაწყისად მიიჩნევენ.

<sup>5</sup> სიმღერამდე ჩართულია მეორე ანონიმური ირლანდიური ბალადის ეს სიტყვები.

<sup>6</sup> შდრ: „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავსხედით და ვტიროდით რაყამს მოვიხ-  
სენეთ ჩვენ სიონი“ (დავითნი. 137,1).

<sup>7</sup> იგულისხმება ირლანდიური მითოლოგიის „სიკვდილის კოშკი“.

<sup>8</sup> ის „კამლეტი“, მოქ. I, სურ. 11.

<sup>9</sup> შდრ: პორაციოს სიტყვებს: „მერე ზღვისაკენ რომ მიგიტყუოთ“ (მოქ. I, სურ. IV).

<sup>10</sup> ქვიშამიყრილი ეტლი (ფრ.).

<sup>11</sup> ვეიო (1813-83) — ფრანგი ჟურნალისტი.

გოტიეს<sup>1</sup> პროზის შესახებ. ეს მძიმე სილა სიტყვების მოქცევაა, ქარის მოტანილი. და იქ მკვდარი მშენებლების დაჭურბული ქეები, სინდიოფალა-ვირთხების სამყოფელი. გადამალე იქ ოქრო. მიდი. ხომ გაქვს. სილა და ქეები. წარსულით დამძიმებული. სერ ლაუტის<sup>2</sup> სათამაშოები. უფრთხილდი ყურის ძირში არ გითაქონ. მე ის საშინლად დიდი გოლიათი ვარ, ეს საშინლად დიდი რიყის ქეები რომ აავორა, ჩემი ფეხისდასაბიჯებელი ძვლები, ფუფუფუიო. მე ირლანდიელის სისხლის სუნი მცემს<sup>3</sup>.

ბიბლიოქსიქსა

წერტილი, ცოცხალი ძალე, თანდათან გაიზარდა, ქვიშიან ზოლზე გადაირბინა. ღმერთო ჩემო, მე ხომ არ უნდა მეცეს? პატრივი ეცი მის თავისუფლებას. არც სხვების ბატონი იქნები, არც მათი მონა. ჯოხი თანა მაქვს, მაგრად იჯექი. შორიდან ზღვისკენ მომავალი ფიგურები, ორნი. ორი მარიაში<sup>4</sup>. სანდოდ გადამალეს ჩალაში. კუ-კუ. დაგინახე. არა, ძალე. ისევ მათკენ გარბის. ვინ?

ლოხლენების<sup>5</sup> ხომალდები აქ მოადგნენ ნაპირს, ნადავლის ძიებაში, მათი ნისკარტისხლიანი ცხვირები გამდნარი ტყვიის მოქცევას უტევდნენ. დანიის ვიკინგები. მძივად ასხმული ტომაპოკები მკერდზე უბზინავდნენ, როცა მალაქაი ოქროს საყელოს ატარებდა<sup>6</sup>. პრიალაკანიანი ვეშაპების გუნდი შუადღის პაპანებაში გამორიყული, შადრევნებს რომ აფრქვევენ და წყალმარჩხში ფართხალებენ. შემდეგ დამშეული ქალაქის გალიიდან ქურთუკკანიანი ქონდრის კაცების ურდო, ჩემი თვისტომები, გასატყავებელი დანებით, გამორბიან, ატყავებენ, კუწავენ ვეშაპის მწვანე, გაბერილ ხორცს<sup>7</sup>. შიმშილობა, შავი ჭირი და ხოცვა-ქლეტა. მათი სისხლი ჩემს ძარღვებშია, მათი ვნებები ჩემი ტალღებია. მე მათ შორის დავდიოდი გაყინულ ლიფისზე, ის მეორე მე, ზღაპრის მაქცია, კუპრის მოტკაცუნე კოცონთა შორის. ხმას არ ვცემდი არავის: არც სხვა მცემდა ხმას<sup>8</sup>.

ძალის ყეფა უახლოვდებოდა, ჩერდებოდა, უკან გარბოდა, ჩემი მტრის ძალე. მე კი უბრალოდ ვიდექი ფერგამკრთალი, გაჩუმებული, მონადირებული<sup>9</sup>. *Terrabilia meditant*<sup>10</sup>. მოყვითალო კამზთალი, ბედის მონა<sup>11</sup>, იღიმებოდა

<sup>1</sup> თეოფილ გოტიე (1811-72) — გამოჩენილი ფრანგი პარნასელი პოეტი, კრიტიკოსი და რომანანტი. დიდი გავლენა მოახდინა სიმბოლისტებზე და იმპრესიონისტებზე.

<sup>2</sup> სერ ლაუტი — თვითონ ჯობსონის ცნობით, გამოგონილი პიროვნება.

<sup>3</sup> ელგარის სიტყვების პერიფრაზი: „მე ბრიტანელის სისხლის სუნი მცემს“ („მეფე ლირი“, მოქ. III, სურ. IV).

<sup>4</sup> იგულისხმება: „მარია მადალენელი და მარია იაკობისი და იოსეს დედა“ (სახარება მათესი, 27, 56).

<sup>5</sup> ტევტონელ დამპყრობელთა ერთ-ერთი სახელი.

<sup>6</sup> მალაქაი მეორე (948-1022) — სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. გადმოცემას თანახმად მან ნადავლის სახით ნორვეგიელი უფლისწულის საყელო წაიღო.

<sup>7</sup> 1330 წლის შიმშილობის დროს ღუბლინის ყურეში ვეშაპების დიდი გუნდი შესულა.

<sup>8</sup> ინგლისური ხალხური ლექსების გავრცელებული მოტივის პაროდია. შდრ: რობერტ ბერნსის „თუ არავის ვენადვლები, არც მე ვნადვლობ არავის“ (თარგ. თ. ერისთავისა).

<sup>9</sup> ლევენდის მიხედვით, აქტეონი დიანამ ირმად აქცია და აქტეონისავე ძაღლებს დააგლეჯინა.

<sup>10</sup> საშინელი ფიქრები (ლათ.).

<sup>11</sup> შექსპირის კლეოპატრა ამბობს: „სიგლაბაკვა მართლაც ყოფნა თუნდ კეისრადაც, რაკი ბედის ჩარხს თვის სურვილზედ ვერ ატრიალებს და მას მსახურებს მონად, ნების აღმსრულებელად“ („ანტ. და კლეოპატრა“, მოქ. V, სურ. II).

ჩემი შიშის შემყურე. ამისი დაგენაღვლა, მათი ტაშის ყეფისა? ცრუმარქვიები: მათი ცხოვრებით იცხოვრე. ბრიუსის ძმა, ტომას ფიცჯერალდი, აბრეშუმის რაინდი<sup>1</sup>, პერკინ უორბეჯი<sup>2</sup>, იორკის ცრუნაშიერი, მოვარდისფრო სპილოს-ძვლისფერი აბრეშუმის შარვალში, ერთი დღის საოცრება, და ლემბერტ სიმნელი<sup>3</sup>, მოახლეებისა და მარკიტანტების ამალით, გვირგვინისანი მზარეული<sup>4</sup>. სულ მეფეთა ძენი. ცრუმარქვიების სამოთხე მაშინ და ახლა, მან კაცი დახრჩობას გადაარჩინა და შენ კი ქოფაკის წკავ-წკავზე ცახცახებ, მარჯვენა კარისკაცები, რომელთაც გვიდოს თრ-სან-მიკელეში დასცინეს, საკუთარ სახლში იყვნენ. სახლში, რომელიც<sup>5</sup>... გვეყო ეგ თქვენი შუასაუკუნოებრივი მიკიბულმოკიბულოვნება. გააკეთებ იმას, რაც მან გააკეთა? ნავი ახლოს იქნება, მაშველი ტივტივა. Natürlich<sup>6</sup>, საგანგებოდ შენთვის. გააკეთებდი თუ არ გააკეთებდი? ცხრა დღის უკან კაცი რომ დაიხრჩო მეიდენის კლდესთან. ახლა ელოდებიან. სიმაართლე, ამოღებრლე. სურვილი მექნებოდა. ვეცდებოდი. კარგად არ ვცურავ. წყალი ცივია, რბილი. როცა კლონგაუში სახეს ჩავყოფ ხოლმე ტაშტში. ვერაფერს ვხედავ! ვინაა ჩემს უკან? უკან. ჩქარა, ჩქარა! ხედავ, მოქცევა სწრაფად ახლოვდება ყოველი მხრიდან, სწრაფად იგებს ქვეშ სველ სილას ნიჟარაკაკოსფერს. მიწა რომ მომცა ფეხქვეშ. ისევ მარჩვენია მისი სიცოცხლე მას ჰქონდეს, ჩემი კი მე. კაცი რომელიც იხრჩობა. ადამიანის თვალები შემომკვივიან სიკვდილის ძრწოლიდან. მე... მასთან ერთად ქვევით... ვერ გადავარჩინე დედა. წყლები: მწარე სიკვდილი: დაილუპა.

ქალი და კაცი ვხედავ მის ქვედატანს. სანაძლეოს დავდებ, ქინძისთავეებით აქვს დაბმული.

მათი ძალღი დარბოდა ქვიშის ნაპირზე, რომელიც თანდათან ილევოდა, თან გარშემო ყველაფერს ყნოსავდა. დაეძებდა რაღაცას წარსულ ცხოვრებაში დაკარგულს. უცებ განზე გადახტა, კურდღელივით, ყურები ზურგზე გაიღო და დაბლა გაფრენილ თოლიას ჩრდილს გამოუდგა. კაცის მკვეთრმა სტვენამ ჩამოყრილი ყურები დააცქვეტინა. შემობრუნდა. ისკუბა, ახლოს მიიბრინა, სწრაფად მოძრავი თათები უელავდა. ირემი მეწამულ ფონზე<sup>7</sup>, ფეხმარდი, ბუნებრივად შეფერილი, ურქებო. წინა ჩლიქები ფოჩებიან ტალღებთან გააქვავა; ზღვასმიშვერილი ყურები. აბზეკილი ცვირ-პირი ტალღების ხმაურს შეჰყეფდა, ლომვეშაპების ჯოგს. ისინი მის ფეხებთან გველებივით იკლაკნებოდნენ, ხუჭუჭდებოდნენ, იქოჩრებოდნენ, ყოველი მეცხრე იმსხვრეოდა, ტლაშუნობდა, შორიდან, შორზე-შორიდან, ტალღები და ტალღები.

<sup>1</sup> ტომას ფიცჯერალდი (გარდ. 1537 წ.), რომელსაც მეტსახელად „აბრეშუმის ტომასს“ ეძახდნენ, აუჯანყდა ინგლისელებს, დამარცხების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

<sup>2</sup> პერკინ უორბეჯი (1474-99) — წარმოშობით მდაბიო, წლების მანძილზე თავი იორკის მთავრად მოჰქონდა, ელუარდ მეოთხის შვილად, რომელიც რაჩარდ მეხამის ბრძანებით მოჰკლეს.

<sup>3</sup> ლემბერტ სიმნელი (1475-1537) — ბავშვობიდან ზრდიდნენ როგორც ვითომდა კლარენსის მთავარის ვაჟს. 1487 წელს გამეფდა კიდევ დუბლინში (როგორც ელუარდ მეოთხე).

<sup>4</sup> პენრი მეშვიდე სიმნელს, დამარცხების შემდეგ, სამეფო სამხარეულოში ამუშავებდა.

<sup>5</sup> „დეკამერონის“ მიხედვით, დანტეს მეგობარი პოეტი გვიდო კავალკანტი მეგობრების დაცინებაზე პასუხობს, რომ ისინი საკუთარ (სიკვდილის) სახლში (სასაფლაოზე) იმყოფებიან.

<sup>6</sup> ბუნებრივია (გერ.).

<sup>7</sup> ჰერალდიკური ტერმინოლოგიიდან (იგულისხმება გერბის ფონი).

მთლუსკებზე მონადირენი. პატარა მანძილზე შევიდნენ წყალში, დაიხარ-  
ნენ, ტომრები ამოავლეს და უკან გამოვიდნენ. ძალლი წმუკუნებდა, მიირბენდა  
მათთან, უკანა ფეხებზე დგებოდა, ზედ აბტებოდა, ოთხზე ეცემოდა, კვლავ  
უკანა ფეხებზე დგებოდა მდუმარე დათვური ლაქუციით. მშრალ ქვიშაზე მიმა-  
ვალნი ყურადღებას არ აქცევდნენ. მგლის ლაშებიდან გადმოვიდნენ წითლად  
მთრთოლვარე ენის ჩვარი. მისი დაწინწკლული ტანი მათ წინ უჭირბუნიან  
გარბოდა და მერე ხბოსავით აკუნტრუშდა. ლეში მის გზაზე ბეჭდის მსგავსად,  
დაყნოსა, გაენაბა, სახლიკაცი, უფრო ახლოს მიიტანა ცხვირი, შემოუარა, თან  
ძალლივით გამაღებით ყნოსავდა ძალლის ჩაძალღებულ მძორს. ძალლის ქალა,  
ძალლის ყნოსვა, მიწას დაშტერებული თვალები, ერთი დიდი მიზნისაკენ მიილ-  
ტვის. აჰ, საბრალო ძალლისშვილი. აჰ მარხია საბრალო ძალლისშვილის ძალ-  
ლისთავი.

— უკან! მოეშვი მაგას, შე მამაძაღლო.

მეძახილმა კვლავ პატრონთან მიიყვანა მიპარვით და შიშველ ფეხის ამოკვ-  
რამ მოკაკვილი უვნებლად მიადგო სილის ნაყარზე. ახლა გვერდიდან მოეპარა.  
ვერა მხედავს. ყორესთან უსაქმოდ მიირბინ-მოირბინა, გაგორდა, ლოდს და-  
სუნა, უკანა ფეხი ასწია და მიაფსა. ცოტა წინ გაირბინა, უკანა ფეხი ასწია, ახლა  
დაუყნოსავ ლოდს მიაფსა უცებ, მოკლედ. დატაკის უბრალო სიამოვნებანი.  
უკანა თათებმა სილა გაქექეს: შემდეგ წინა თათებმა მოჩიჩქნეს და მოთხარეს.  
რალაც დაპარხა იქ, თავისი დიდედა. ჩაეფლო ქვიშაში, მოჩიჩქნა, მოთხარა და  
შეჩერდა, მიაყურა, გაავეებული ბრჭყალებით ისევ მოფხოჭნა ქვიშა, მერე  
შედგა, ლეოპარდი, ავაზა, უზნეობის პირმშო<sup>1</sup>, მიცვალებულს კორტნის.

წუხელ რომ გამაღვიძა, იგივე სიზმარი თუა? მოიცა. დარბაზის ღია კარი.  
მეძავეების ქურჩა. გამახსენდა. პარუნ არ-რაშიდი<sup>2</sup>. თითქმის სულ განახსენდა.  
იმ კაცს მიფყავდი, ლაპარაკობდა. არ მეშინოდა. ნესვი რომ ეჭირა, სახესთან  
მომიტანა. გბილიმა: ხილის მსუყე წვენის სუნი. ასეთია წესიო, თქვა. შიგ. შე-  
ვიდეთ. წითელი ხალიჩა აფენია. ნახავთ ვინ.

ტომრები მხარზე შეიდეს და ზღაზვნით გაუდგნენ გზას, წითელი ეგვიპ-  
ტელები<sup>3</sup>. აკაპიწებული შარვლის ტოტებიდან გამოყოფილ გალურჯებულ  
ფეხებს სველ სილაში შლაპა-შლუპი გაუდიოდათ, გაუპარავ კისერზე მოწი-  
თალო-აგურისფერი კაშნე ჰქონდა წაკრული. ქალი ქალური ნაბიჯებით მისდევ-  
და: მაწახწალა და მისი სამგზავრო ცოლი<sup>4</sup>. ნადავლი ზურგზე ეკიდა. ფხვიერი  
სილა და ნიჟარების ხრეში შიშველ ფეხებს უფარავდა. თმები ჩამოშლოდა ქა-  
რით გაცრეცილ სახეზე. ბატონის უკან მისი მეუღლე და შემწე რომვილისაკენ  
მიძუნძულეებს. როდესაც ღამე ფარავს მისი სხეულის სისახიჩრეს, მუქ შალში  
გახვეული, ძალღებისაგან გაბინძურებული ეზოს ჭიშკრიდან გამვლელებს  
უხმობს. მისი მუქთახორა არშიყი ორ სამეფო დუბლინელ ჯარისკაცს უმას-

<sup>1</sup> შუა საუკუნეებში ფიჭობდნენ, რომ ლეოპარდი წარმოადგა ლომისა (ლეო) და ავაზას (პარდი) ბუნებრივი შეჯავრებით.

<sup>2</sup> პარუნ არ-რაშიდი (763-809) — ბაღდადის ხალიფა, რომელიც ცნობილი იყო თავისი კარის ბრწყინვალეებით. მის ხალიფობას ემთხვევა არაბული „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს მოქმედების დრო.

<sup>3</sup> ვარაუდობდნენ, რომ ბოშები წარმოშობით ეგვიპტელები იყვნენ.

<sup>4</sup> მე-17 ს. სიმღერიდან: „მაწახწალის სიხარული, როცა თავის სამგზავრო ცოლს აქვებს“.

პინძლდება ო'ლაფლინის სამიკიტნოში ბლეკიტში. ჩაპროშტნე, ქუჩური ენით ჩაულაპარაკე, ო, ჩემო ჩეროში ჩამალული ჭურღმულო. აღჭაჯის სიქათქათე მის აშმორებულ ძონძებქვეშ. ამლამ ფამბელი ლეინზე: დაბახანის სიმყრაღეში.

ქათქათა ხელი, დაყლაყა ბაგე,  
კანი მაცდური და უნაზესი.  
შოღი და ღამე ათიე ბარემ  
მაწანწალასთან კოცნა-ალერსში<sup>1</sup>.



ბნელ სიტყვობას უხმობს ამას ღიბგაგდებული აქვინელი<sup>2</sup>, *frate por-cospino*<sup>3</sup>. შეცოდებამდე, აღამი ზედ ახტებოდა, მაგრამ ვერ აგრილებდა. დე იყვიროს ხარ-ირემმა: კანი მაცდური და უნაზესი. მასზე უარესი ენა სულაც არა აქვს. ბერხუცური სიტყვები, ხალისიანი კრიალოსანი ბურტყუნებს მათ ქამრებზე: ქურღების ყარგონი, მონეტების სნაპა-სხუპი მათ ჯიბეში.

ახლა გვერდზე ჩამიარეს.

გვერდულად გამოხედეს ჩემს ჰამლეტურ ქუდს. აქ მჯდომარე უცებ შიშველი რომ აღმოჩნდე? <sup>4</sup> არა ვარ. მთელი მსოფლიოს ქვიშნარას ვაწწვრივ, მზის ცეცხლოვანი მახვილით დევნილნი დაისის ქვეყნებში მიიბარგებიან, დასავლეთისაკენ<sup>5</sup>. ქალი ზიდაეს, მიაშლებებს, მიატრენანებს, მიათრევს, მიატრაშინებს თავის ტვირთს<sup>6</sup>. ზღვის მოქცევა, მთეარის დევნილი, ფეხდაფეხ მისდევს დასავლეთისკენ. მიმოქცევა მის შიგნით, მირიადკუნძულოვანი, არა ჩემი სისხლი, *oinopa ponton*<sup>7</sup>, ღვინოშუქი ზღვა. აჰა, მხვეალი მთეარისაა<sup>8</sup>. ნოტიო ნოშანი ძილში ატყობინებს ღროს, აღვიძებს. საქორწინო სარეცელი, ბავშვის აკვანი, სასიკვდილო სარეცელი, სულთა სანთლით განათებული. *Omnis caro ad te veniet*<sup>9</sup>. შოღის, ფერმიბდილი, ვამპირი, ქაროშხალში დაჭყუტილი თვალები, ღამურის აფრები ზღვას რომ ასისხლიანებს, პირი პირსა კოცნით დაეკონა<sup>10</sup>.

აქ, ერთი ამ ვაყბატონს ქინძისთავი დაარქე. ჩემი სახსოვარი წიგნი<sup>11</sup>. პირსა

<sup>1</sup> ზემონახსენები ძველი სიმღერის მეორე ტაეპი.

<sup>2</sup> თომა აქვინელის მიხედვით, „ბნელი სიტყვობა“ *Delectatio morosa* ერთი სამ შინაგან ცოდვითაგანია და მდგომარეობს „სიამოვნების მიღებაში ცოდვილი აზრისაგან ან წარმოდგენისაგან, სურვილის, ნდომის გარეშეც კი“. „ღიბგაგდებულა“: არსებობს გაღმოცემა, რომ თითქოს თომა აქვინელს ისეთი დიდი მუცელი ჰქონდა, რომ მის შავიდან საგანგებოდ იყო ამოჭრილი „სალიბე“ ადვილი.

<sup>3</sup> ემა მაჩხვარაბი (იტ.).

<sup>4</sup> ჰამლეტი მეფე კლოდიუსს წერს: „თქვენ სახელმწიფოში შიშველი გაღმომსვენა“ („ჰამლეტი“, მოქ. IV, სურ. VII).

<sup>5</sup> შდრ: „... და დაადგინა ქერობინი, მოტყინარე და მახვილი იქცევისი, დაეცად გზასა ხისა ცხოვრებისასა“ (წიგნი მოსესი, 3, 24).

<sup>6</sup> კოისი იშველიებს გერმანული, ფრანგული და იტალიური ზმნების ფუძეებს არარსებულ ინგლისური სიტყვების საწარმოებლად.

<sup>7</sup> ლეიხისფერი ზღვა (ბერძ.).

<sup>8</sup> შდრ: „აჰა მხვეალი უფლისაა“ (სახარება ლუკასი, 1, 38).

<sup>9</sup> შენდა ყოველი ხორციელი მოვიდეს (ლათ. დავითნი, 65,2).

<sup>10</sup> სიმღერის სიტყვები.

<sup>11</sup> შდრ: „აქ ჩავწერო სახსოვარ წიგნში“ („ჰამლეტი“, I, V).



რინაში ორშაბათს ქალიშვილი იმ ანაბანიან წიგნს დაეძებდა, შენ რომ დაწერას აპირებდი. ხარბი თვალით უცქერ. მისი ქოლგის მოწნული სახელურიდან მაჯა გამოკრთის. ცხოვრობს ლიზონ პარკში, სევდისა და სამშვენისების ამარა, ლიტერატორი ქალი. ბარემ პირდაპირ თქვი, სტივი: <sup>1</sup> ქუჩის ქალი, სწრაფლედ ვღებ, ღვთიგან წყუელ წვივსაკრავებიან კორსეტსა და ყვითელ წინღებს ატარებს, უხეში ძაფით ამოკემსილს. ვაშლის ნამცხვარზე ილაპარაკე *piuttosto* <sup>2</sup>. ჭკუას ძალა დაატანე.

ბიზლიქოშეკა

მომეფერე. ლბილი თვალები. რბილი რბილი რბილი ხელი. მარტოდ-მარტოვარ აქ. ო, მომეფერე ჩქარა, ახლა. რომელი სიტყვაა, ყველა მამაკაცმა რომ იცის? წინარად ვარ, მარტო. თანაც ნაღვლიანი. მომეფერე, მომეფერე.

ზურგზე გადაწვა და გაიმოტა წვეტიან ლოდებზე, თან ნაჯაბნი და ფანქარი ჯიბეში ჩაიტენა. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა. კვინ იგანმაც ასე იცოდა, შაბათობით რომ წაუთვლემდა ხოლმე. *Et vidit Deus. Et erant valde bona* <sup>3</sup>. ალო! *Bonjour* <sup>4</sup>, კეთილი იქონა თქვენი მობრძანება. ით ყვავილასა! მაისის თვეში <sup>5</sup>. ქუდის ფარფლებსა და ფარშევანჯციმციმა წამწამებს ქვემოდან გაპყურებდა პირსამხრეთელ მზეს. გამომიჭირეს ამ აბღრღვიალებულ ადგილას. პანის ღრო, ფავნისეული შუაღლე <sup>6</sup> ფისით დამძიმებული გველმცენარეები, რძით გავსებული ნაყოფები. სადაც მეწამულ წყალზე ფოთოლთ ჯარი ჩამოცვენილია <sup>7</sup>.

„პირს ნუ იბრუნებ და ნუღარ ნაღვლობ“.

პირი იბრუნა კოსტაპრუჩა გამონაცვალ ფართოცხვირიან ფეხსაცმელები-საკენ *nebeneinander* <sup>8</sup>. ითვლიდა მოპრუწულ ტყავის ნაოქებს, რომელშიც სხვისი ფეხი თბილად მოყუჩებულყო. ფეხი, რომელიც მზიარულად წაიცეკვება ხოლმე. ფეხი, რომელიც არ მიყვარს. მაგრამ შენ გაგეხარდა, როცა ესთერ ოსვალტის ფეხსაცმელი მოგერგო: გოგონა რომელსაც პარიზში ვიცნობდი. *Tiens, q el petit pied* <sup>9</sup> ერთვული მეგობარი, ნათესაური სული: უაილდის სიყვარული, თავის გამხელას რომ ვერ ბედავს <sup>10</sup>. ახლა ის დამტოვებს. ვისი ბრალაა? რაღა ვარ. ისა ვარ. ყველაფერი ან არაფერი <sup>11</sup>.

კოკოს ტბიდან წყალი გრძელ ხვეულებად უხვად წარმოედინა, დაფარა ქვი-

<sup>1</sup> სტივი — იგივე სტივენი

<sup>2</sup> აჯობებს (იტ.).

<sup>3</sup> „და იხილნა ღმერთმან ყოველნი რაოდენნი ქმნა. და ამა კეთილ ფრიად (ლათ.) (შესაქმე, 1, 31)

<sup>4</sup> გამარჯობა (ფრ.).

<sup>5</sup> რომლიდაც სიმღერის სტრიქონი.

<sup>6</sup> პროტეოსი მენელაოსს შეაღღისას ატყვევებს („ოდისეას“ მეოთხე წიგნი) ფიჭრობეს აგრეთვე, რომ ჯოისს მხედველობაში ჰქონდა მალარნეს „ფავნი ნაშუადღევს“.

„სადაც მეწამულ...“ როგორც ჩანს, რომელიდაც სიმღერის სიტყვებია.

<sup>8</sup> ერთი მეორეს ქვეშ (გერ.)

<sup>9</sup> აქ. რა პაწია ფეხია (ფრ.)

<sup>10</sup> ოსკარ უაილდის ახალგაზრდა მეგობარს აღფრედ დაგლასს ერთ ლექსში ნათქვამი აქვს: „შე ის სიყვარული ვარ, თავის გამხელას რომ ვერ ბედავს“. ამ ფრაზამ დიდი დავა გამოიწვია უაილდის სასამართლო პროცესზე

<sup>11</sup> „ღორიან გრეის პორტრეტში“ სიბილას სიკვდილის შემდეგ ღორიანი ეუბნება ბეზილს: „ნუ დამტოვებ და ნუ წამეჩხუბები. ის ვარ რაც ვარ, სხვა არაფერია სათქმელი“ (თავი IX).

შის მომწვანო-ოქროსფერი ლაგუნები. ჩემს იფნის ჯობს წყალი წაიღებს. დავიცდი. არა, ჩაივლიან, ჩაივლიან და დაბალ ყორეს ჩაეხატუნებიან. მორევად დატრიალდებიან, ჩაივლიან. ჯობს ეს საქმე ჩქარა მოთავდეს. /<sup>1</sup>სმინე: ოთხ-სიტყვა ტალღათღალად: სიისოო, ჰრსს, რსიისს, ოოს. წყლის შმაგ სუნთქვა ზღვის გველების, ყალყზე შემდგარი ცხენების, ლოდების შორის. კლდის ფინ-ჯნებში მოთქაფუნებს: ტლამ, ტლუმ, შხაბ, შხუბ: ნიაღვრად<sup>2</sup> დაიხარ-ჯება და დაღუშდება. ბუტბუტ-ჩუხჩუხ-რაკრაკით მოქექუნს, ქაფავს იტბო-რება, ყვავილად იფურჩქნება.

ზღვის გაფუებული მოქცევის ტალღებში ხედავდა წამებისაგან დაგრებილ წყალმცენარეებს, განაზებულნი ზანტ ხელებს რომ ასავსავებდნენ, კაბის კალ-თებს რომ იწევდნენ ზევით<sup>1</sup>, წყლის ბუტბუტში რომ ირწეოდნენ და ვერცხ-ლის მორცხვ ფოთლებს ატრიალებდნენ. ყოველდღე: ყოველდღე: აიწევა, მოე-დინება და ეცემა. ღმერთო, დაიქანცნენ: და ჩურჩულს კვნესით პასუხობენ. წმიდა ამბროსიმ<sup>2</sup> გაიგონა, ფოთლებისა და ტალღების კვნესა, როგორ იცდი-ან, ელოდებიან თუ როდის დადგება მათი ეამი, diebus ac noctibus iniurias patiens ingemiscit<sup>3</sup>. უმიზნოდ შექუჩებულნი: შემდგგ ამოდ გაშვებულნი, წინ მომჩქეტარნი, უკან გაბრუნებულნი: მთვარის ნებაზე. ისიც დაქანცული მიჯნურთა შემოხედვით, ავხორცი მამაკაცები, შიშველი ქალი თავის სამფლო-ბელოში აელვარებული, წყლის კაკანათს ქაჩავს.

აქ ოცდაათი ფუტი სიდრმე იქნება. ზუთი ფუტის სიდრმეზე წევს მამა-შენი<sup>4</sup>. პირველ საათზეო, ასე თქვა. წყალში დამხრჩვალი. მოქცევა ღუბლინის სასამართლოში<sup>5</sup>. მიერეკება ზრეშის გროვას, თევზის გუნდებს მარაოს, ტუტუც ნიყარებს. აქაფებულ ტალღებში გამოჩნდა გვამი, მარილივით თეთრი, ხმელე-თისაკენ მოგორავს. თითო ნაბიჯით, თითო გოჯით. ზღვის სქელი გოჭი. აგერ იქ-არიქა, კაუჭი მოსდგ. წყლის უფსკრულმა შთანთქა იგი<sup>6</sup>. ჩვენია. ახლა ფრთხილად.

ზღვის ბინძურ წყალში დამბალი, გვამის გაზით გაყენთილი ტომარა. დამბალი დელიკატესით დასუქებული ლიფსიტების დასტა ნაპერწკლებად გა-მოცვივა შარვლის ღილებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან. ღმერთი იქ-ცევა კაცად იქცევა თევზად იქცევა გარეულ ბატად იქცევა სუსხურის გერმად<sup>7</sup>. მკვდრის სუნთქვით ვსუნთქავ მე ცოცხალი, მკვდრის მტვერს ვაბიჯებ,

<sup>1</sup> აღრე ნახუნები სიმღერის პწკარი.

<sup>2</sup> წმიდა ამბროსი (340-397) — მილანის ეპისკოპოსი.

<sup>3</sup> დღე და ღამ მოთმინებით კვნესის უსამართლობის გამო (ღათ).

<sup>4</sup> არიელის სიმღერის პირველი პწკარი (მუქსპირის „ქარიშხალი“, მოქ. I, სურ. II).

<sup>5</sup> დედანში სიტყვის თამაშია: „სილის ნაყარსა“ და „სასამართლოს“ ერთი და იგივე სიტყვა გამოხატავს „წყალში დამხრჩვალი“ — ჩვეულებრივი სასამართლო ქრონიკის კლიშეა გაზეთიდან, როცა სასამართლო დაადგენს, რომ ადამიანი უბედური შემთხვევის შედეგად და-იბრჩო, ასეთ განაჩენს გამოიტანს: „წყალში დამხრჩვალი“.

<sup>6</sup> „წყლის უფსკრულმა...“ — მილტონის სიტყვები.

<sup>7</sup> მეტემფსიქოზის კაბალისტური აქსიომის პაროდული პარაფრაზი: „ქვა იქცევა მცე-ნარედ. მცენარე ცხოველად, ცხოველი ადამიანად, ადამიანი სულად, სული ღმერთად“. შდრ. აგრეთვე პამლეტის სიტყვებს: „ალექსანდრე მოკვდა. ალექსანდრე დამიარხეს, ალექსანდრე მტვრად იქცა. მტვერი და მიწა ერთი და იგივეა...“ (მოქ. V, სურ. I).



მკვდრების ფსუტიან სინსილას ვსინსლაგ. ქარის წინააღმდეგ გაშეშებული, მწვანე სამარის სიყვარულს ამოისუნთქავს, მისი კეთრით გამოხრული ცხვირის ნახვრეტი მზეს უხვრენს.

ზღვის ტალღებმა შეუცვალეს მხოლოდ ნირი<sup>1</sup>, მარილით ჩაღვრებული წაბლისფერი თვალეები. სიკვდილი ზღვაში, ყველაზე უფრო ~~ოღლი~~ სიკვდილი. ბებერი მამა ოკეანე. Prix de Paris:<sup>2</sup> ერიდე მიბაძვებს. ობიექტურად განსა-  
ჯეთ. შესანიშნავად გავატარეთ დრო.

მოვედ. მწყურის<sup>3</sup>. იღრუბლება. შავი ღრუბელი არსად ჩანს, არა? კექა-  
ქუხილიანი ავღრის ნიშანია. ყოვლადნათელი ზეცით გარდამოვრდომილი, ამა-  
ყი ელვა ინტელექტისა<sup>4</sup>, Lucifer, dico, qui nescit occasum<sup>5</sup>. არა. ჩემი ქუდი  
და ყავარჯენი და მისი ჩემი ქალამანი<sup>6</sup>. სად? მწუხრის ქვეყნებში. მწუხრი თა-  
ვის თავს აღმოაჩენს.

იფნის ჯოხის ტარს მოჰკიდა ხელი, დაშნასავით იქნევდა ნელა და ფეხს  
ითრევდა. დიახ, მწუხრი თავის თავს ჩემში აღმოაჩენს, უჩემოდ. ყველა დღეს  
თავისი ბოლო ახლავს. ხსენებაზე, შემდეგი როლისაა? სამშაბათი ყველაზე  
გრძელი დღე იქნება. ახალი წლის მზიარული დღე, დედი, რამ ტამ ტიღლი ტამ.  
ლაუნ ტენისონი<sup>7</sup>, ჯენტლმენი პოეტი. Già<sup>8</sup>. ბებერი კუდიანისათვის ჩაყვით-  
ლებული კბილებით. და მუსიე ღრუმონი ჯენტლმენი ჟურნალისტი. Già. სა-  
შინელ დღეში მაქვს კბილები. ნეტავ რატომ? თითი დაიდუ. ესეც ფუჭდება.  
ნიჟარები. კბილის ექიმთან ხომ არ წავიდუ ამ ფულოთ? აი ეს. უკბილო კინჩი,  
ზეკაცი. საინტერესოა, რატომაა ეს, იქნებ ეს რაიმეს ნიშნავს?

ჩემი ხელსახოცი. ვადაავდო. მახსოვს. განა არ ავიღე?

მისმა ხელმა ამაოდ მოიხრია ჯიბეები. არა, არ ამიღია. ახალი უნდა  
იყიდო.

ნესტოდან ამოიძრო გამხმარი წვინტლი და კლდის ქიმზე დადო, ფრთხი-  
ლად. ვისაც უნდა, მიყუროს.

ზურგს უკან. იქნებ ვინმეა.

სახე მიაბრუნა და უკან გაიხედა, ზურგი დაიცავი!<sup>9</sup> სამანძიანი ხომალდი  
მაღალი ქანდარებით მიაპობს ჰაერს, ჯვარედინ სალინგებზე აფრიალებული  
იალქნებით, შინისაკენ, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, უხმოდ მოძ-  
რავი, უხმო ხომალდი.

<sup>1</sup> არიელის ზემონახსენები სიმღერიდან.

<sup>2</sup> პარიზის პრიზი (დრ). — ვარაუდობენ, რომ აქ არა მარტო ცნობილი სადღე პრიზი იგულისხმება, არამედ ელენეც, რომელიც ჯილდოდ ხედა პარიზს.

<sup>3</sup> „ამისა შემდგომად იხილა იესო, რამეთუ ყოვლიეფ აღსრულებულ არს, და რაითა აღესრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის!“ (სახარება იოანესი, 19, 28).

<sup>4</sup> „პრქუა მათ იესო: ვხედვედ ეშმაქსა ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა“ (სახარება ლუკასი, 10, 18).

<sup>5</sup> ლუციფერ, ვამბობ მე, რომელმა არ იცის მზის ჩასვლა (ლათ.).

<sup>6</sup> ოფელიას სიმღერიდან: „ყავარჯენი ხელთ უჭირავს, ფეხთ აცვია ქალამანი“.

<sup>7</sup> „ახალი წლის მზიარული დღე, დედი...“ — აღფრედ ტენისონის ლექსიდანაა. ლაუნ ტენი-  
სონი — ლაუნ ტენისთან დაკავშირებული სიტყვის თამაშია.

<sup>8</sup> ჯავე (იტ.).

<sup>9</sup> ფარიკაობის ტერმინი.

## ნაზიბ კიჩეაძე

თარგმანი  
სილოვან ნარიშკინისა

\* \* \*

შენი სიმღერები უფრო მშვენიერია,  
ვიდრე შენა ხარ,  
ადამიანო!  
უფრო იმედიანი, ვიდრე შენა ხარ,  
უფრო სევდიანი, ვიდრე შენა ხარ...  
და უფრო მტკიცე, ვიდრე შენა ხარ.  
შენი სიმღერები მე შევიყვარე  
შენზე მეტად, ადამიანო!

\* \* \*

თითქოს არაფერია და  
არის რაღაც ისეთი,  
რომელიც სულს მიხუთავს.  
თითქოს არაფერია და  
მე ვივიწყებ ყველაფერს,  
თვით ჩემს მოწოდებასაც.  
თითქოს არაფერია და  
ნხოლოდღა სიზმრებია  
იმ ცისფერ სასტუმროთა.  
თითქოს არაფერია და  
ვეჯახები მკვრივ კედლებს.

თითქოს არაფერია და  
 ღამიანში ყმუის მგელი.  
 თითქოს არაფერია და  
 ცაა საესე ვარსკვლავებით,  
 ირწევა და მოჰგავს რიურაეს.  
 თითქოს არაფერია და  
 ჩემს საფლავში  
 მე საკუთარ სხეულს ვხედავ.  
 თითქოს არაფერია და  
 მზიანი დღე  
 მეჩვენება მეტად გრძელი.  
 თითქოს არაფერია და  
 წყალში კრთება შენი ლანდი.  
 თითქოს არაფერია!



## უღუღალი\*

შვიდი წელია,  
 ჩვენ შევყურებთ ერთიმეორეს,  
 უღუღალი და მე ერთმანეთს თვალებში ვუცქერთ  
 შვიდი წელია.

არც ერთი სიტყვა  
 ჩვენ არ გვითქვამს ერთმანეთისთვის,  
 ვერც ის და ვერც მე  
 ველარ შევხვდით, შვიდი წელია,  
 თუმცა ჩვენ დიდი მეგობრები ვართ...  
 მასაც ჩემსავით შეუძლია სიმღერა,  
 გლოვა,  
 მასაც ჩემსავით შეუძლია აღშფოთდეს,  
 დაცხრეს...

... მინახავს,  
 როცა ზამთრის ქარი თარეშობს ირგვლივ,  
 მრისხანებით და საოცარი გაბოროტებით,  
 სიზმარში უცებ შეძრწუნდება,  
 აიმართება გოლიათის ამაყი მხრებით,  
 დაიბერტყება თოვლიანი დიდი ნაძვებით,  
 ყინულოვანი  
 ლურჯი ტბებით,

\* მთაა თურქეთში.

და სივრცეებით, —

მტრის დასახვედრად აიმართება!

მაშინ იქ, მაღლა,

მთის მწვერვალზე

მჯდომარე ბერი,

გრძელი წვერებით, ქარისაგან გახსნილ საკინძით,

ღრიალ-ღრიალით ხეობებში ჩაექანება.

ხან კიდევ, როცა

მხიარული მოდის მაისი,

განთიადისას,

ლურჯზე-ლურჯი,

დიდი და ვრცელი,

თავისუფალი, ბედნიერი,

საესე ღიმილით

აღმართულია მედიდურად,

თავზე გვირგვინად

მოელვარე და გამჭვირვალე სამყარო აღვას...

ხან იგი მოჰგავს თავის სურათს,

მხატვრის ხელით

რომ დაუხატავთ

გაზიანი წყლის ეტიკეტზე...

და ვიცი, ალბათ, სასტუმროში,

სადამოს ბინდში,

მოთხილამურე გოგონები სვამენ კონიაკს,

შეჰყურებენ რა ამ ეტიკეტს, გაღალღებულნი

ენაზებიან მამაკაცებს, რომლებიც გუშინ

მაღალ მთებიდან ჩამოვიდნენ თხილამურებით...

მოხდება ასეც

ერთი დინჯი, ლაღი მთიელი

ყვითელი სახის, ულუღაღის მკვიდრი ვაჟკაცი,

ხამის შარვლით და ქალამნიანი,

აბორგებული,

მიწის ნავლეჯის გამო დანით დაჰკლავს მეზობელს

და მოვა ჩვენთან,

15 წლით დაჯდება ჩვენთან,

71 საკანში მოვა...



ქართული  
საქმიანობა



ინგლისურიდან თარგმნა  
ნანი წერეთელი

„ჩემი გმირები, თხისფეხება სატიროთა მსგავსად, თქვენ წინაშე ჩაივლიან გროტესკული ფერხულით“ — ამბობს ოღდოს პაქსლი ერთ-ერთი აღრინდელი რომანის („გროტესკული ფერხული“) გმირთა შესახებ. ასეთი შესავალი მართო ამ რომანის გმირებს არ ეკუთვნის. 20-იანი წლების პაქსლისათვის სწორედ ამგვარი ხედვაა დამახასიათებელი. მისი მახვილი სატირა ძირითადად ინტელიგენციას ეხება — თვითონაც ამ წრეში დაიბადა (მამა მწერალი ჰყავდა, პაპა — ცნობილი ბიოლოგი) და ამიტომ განსაკუთრებით კარგად იცნობდა მის წარმოქმნილებს.

პაქსლის აღრინდელი რომანები და მოთხრობები სავსეა მწარე ირონიით, სარკაზმით, მახვილსიტყვაობით. იგი დასცინის ავტორიტეტებს, სნობებს, ესთეტი და ინდივიდუალისტთა პაქსლი სტუდენტობის წლებში გატაცებული იყო სოციალისტური იდეებით. აღრინდელ პერიოდში რეალისტურ საწყისებს ეყრდნობოდა და სწორედ ამ დროს შექმნა მოთხრობათა რამდენიმე სერია და თავისი ე. წ. „ინტელექტუალური რომანები“: „ყვითელი ქრომი“ (Crome Yellow), „გროტესკული ფერხული“ („Antic Hay“), „კონტრაპუნქტი“ („Point Counter Point“) და სხვები. 20-იან წლებშია დაწერილი ეს ორი მოთხრობაც, რომელთაც მკითხველს ვთავაზობთ.

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი

## კორტრეტი

— სურათების ნახვა გინდათ? — იკითხა მისტერ ბიგერმა, — თანამედროვე ხელოვნების ძალიან საინტერესო ნიმუშები გვაქვს, სულ ფრანგული და ინგლისური მხატვრობაა.

მყიდველმა ხელები გაასავსავა და თავი გააქნია უარის ნიშნად.

— არა, თანამედროვე არაფერი არ მაინტერესებს. — წარმოთქვა მან სა-

სიამოვნო ჩრდილოური კილოთი, — ნამდვილ სურათებს ვეძებ, ძველ სურათებს — რემბრანდტს, სერ ჯოშუა რეინოლდსს და სხვა ამგვარებს.

— კარგი არჩევანია. — მოუწონა მისტერ ბიგერმა. — ესე იგი, ძველი ოსტატები გაინტერესებთ, არა? ღიახ, ჩვენ ძველ ოსტატთა ნამუშევრებითაც ვვაჭრობთ.

— მოხდა ისე, — თქვა მყიდველმა, — რომ ამ ცოტა ხნის წინ მამულისა და ძველებური სახლის მფლობელი გავხდი. — ბოლო სიტყვებს მან ხაზი გაუსვა.

მისტერ ბიგერმა გაიცინა. საოცარი გულუბრყვილობა ეტყობოდა ამ უეშმაკო, მიშზიდველ კაცს. გასაკვირია, როგორ მოახერხა გამდიდრება. „მამულის მფლობელი“. ამ სიტყვების წარმოთქმის მანერა პირდაპირ მომხიბლავი იყო. უბრალო გლეხი მემამულედ იქცა და ფეოდალური პირამიდის განიერი ფუძიდან მწვერვალს მიაღწია. მისი საკუთარი ისტორია და კლასთა მთელი ისტორიაც ამ მოკრძალებული სიამაყით წარმოთქმულ „მამულში“ გამოიხატა. უცნობი საუბარს განაგრძობდა და მისტერ ბიგერის ფიქრებს უფრო შორს წასვლის საშუალება არ მიეცა.

— ამ სტილის სახლისათვის, — ამბობდა ის, — და მდგომარეობის განსამტკიცებლად კაცმა სურათები უნდა შეიძინოს. ძველი ოსტატები — რემბრანდტი და სხვები, რა ვიცი, ვინც არიან.

— მართალია, — დაეთანხმა მისტერ ბიგერი, — ძველი ოსტატი სოციალური უპირატესობის სიმბოლოა.

— ნამდვილად ასეა. — წამოიძახა თვალეზგაბრწყინებულმა მყიდველმა. — თქვენ სწორედ ჩემი სათქმელი თქვით.

მისტერ ბიგერმა თავი დახარა და გაიცინა. კარგია, როცა ნახავ კაცს, რომელიც შეფარულ ირონიას სერაიოზულად ღებულობს.

— ძველ ოსტატებს, რა თქმა უნდა, ქვევით, შემოსასვლელში დაეკიდებდი. ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა მათი საწოლ ოთახში მოთავსება.

— საერთოდ, ეს ზედმეტი ფუფუნებაა. — აღნიშნა მისტერ ბიგერმა.

— სხვათა შორის, — განაგრძო მამულის მფლობელმა, — ჩემი ქალიშვილი ცოტას ხატავს და გვარიანადაც გამოუდის. მისი რამდენიმე ნამუშევარი ჩარჩოში ჩავასმევინე და საწოლ ოთახში დასაკიდებლად მაქვს გამზადებული. ერთი მხატვარი ოჯახში აუცილებელია, თუ არ გინდა საქმე საყიდლად გავიხდეს. შემოსასვლელში კი მაინც საჭიროა ძველ ოსტატთა ნამუშევრების დაკიდება.

— მე მგონი, თქვენი სურვილის შესაფერი ერთი სურათი უნდა მქონდეს. — მისტერ ბიგერი წამოდგა და ხარი დარეკა.

— „ჩემი ქალიშვილი ცოტას ხატავს...“ — გაიფიქრა და თვალწინ წარმოუდგა ქერათმიანი, მებუფეტის ტიპის ოცდათერთმეტი წლის შინაბერა. ამ დროს კარებში მისი მდივანი გამოჩნდა.

— მის პრეტ, მომიტანეთ ის ვენეციური პორტრეტი, უკანა ოთახში რომ ჰკიდია. იცით, რომელსაც ვგულისხმობ.

— ძალიან მყუდროდა ხართ მოწყობილი. — თქვა მამულის მფლობელმა. — ალბათ საქმეებიც კარგად მიგდით.

— კრიზისია. — უბასუხა მისტერ ბიგერმა და ამოიოხრა. — სურათებით მოვაჭრენი ყველაზე მწვავედ ვგრძნობთ ამას.

— აჰ, კრიზისი. — ჩაიქირქილა მამულის მფლობელმა. — ხომ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. ზოგიერთებს ეგონათ, სამუდამოდ მწვერულზე დავრჩებოდით. სულელები! ყველაფერი მაშინ გავყიდე, როცა ზენიტზე ვამყოფებოდით. აი, ამიტომ მაქვს ახლა სურათების შეძენის საშუალებე.

მისტერ ბიგერმაც გაიცინა. რომ უნდოდა, ისეთი მყიდველი შეეძება.

— კარგი იქნებოდა, მეც მქონოდა რამე გასაყიდი ბუმის დროს.

მამულის მფლობელმა იმდენი იცინა, რომ თვალებიდან ცრემლები გამოსცვივდა. იგი მაშინაც იცინოდა, როცა მის პრეტმა კარი შემოაღო. მდივანს ორივე ხელში თარივით ეჭირა სურათი.

— მოლბერტზე დადგით, მის პრეტ. — სთხოვა მისტერ ბიგერმა და ისევ მამულის მფლობელს მიუბრუნდა. — აბა, რას იტყვით ამაზე?

მოლბერტიდან იყურებოდა მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანების იტალიელის ტიპი, ღრმად გულამოჭრილ ცისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი პირმსუქანი თეთრი ქალი. მის გაბუსტულ ტუჩებს კმაყოფილების გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა, ხელში კი შავი ნიღაბი ეჭირა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კარნავალის დამთავრების შემდეგ ესესაა მოეხსნას იგი.

— კარგი სურათია. — თქვა მემამულემ და მერე დაეჭვებით დაუმატა, — სულ არ ჰგავს რემბრანდტს, არა? ყველაფერი ისე ნათელი და ბრწყინვალეა. ძველ მხატვრებთან ამგვარს ფერაფერს ნახავთ. მათი სურათები ისე ჩამუქებული და დანიშლულია.

— სწორია, — უბასუხა მისტერ ბიგერმა. — მაგრამ ყველა ძველი ოსტატი კი არ ჰგავს რემბრანდტს.

— მეც ასე მგონია. — მემამულე მთლად დარწმუნებული არ ჩანდა.

— ამისი ავტორი მეთვრამეტე საუკუნის ვენეციელი მხატვარია. ვენეციელთა ფერები კი ყოველთვის ნათელია. ჯიანგოლიანი ფერმწერი იყო, ახალგაზრდა გარდაიცვალა და მხოლოდ ექვსიოდე სურათითაა ცნობილი. ეს ერთერთია.

მამულის მფლობელმა თავი დახარა. მას. შეეძლო იშვიათობის დაფასება.

— კაცი ერთი შეხედვითაც კი შეამჩნევს ლონჯის გავლენას, — ვითომ სხვათა შორის აღნიშნა მისტერ ბიგერმა, — თან ის სიფაქიზეც ეტყობა, რასაც როზალბა პირისახის ხატვისას აღწევდა ხოლმე.

მამულის მფლობელი უკმაყოფილო გამომეტყველებით ხან მისტერ ბიგერს შესცქეროდა და ხან სურათს. იმაზე შემაწუხებელი არაფერია, როცა თქვენზე მცოდნე კაცი გულაპარაკებათ. მისტერ ბიგერი აშკარად სარგებლობდა თავისი უპირატესობით.

— უცნაურია, — განაგრძო მან, — რომ ვერავინ ხედავს ტიეპოლოს მანერას ამ სურათში. ასე არ არის?

მამულის მფლობელმა თავი დაუქნია, მოიღუშა და ბავშვური ტუჩები გადმოებერა. გეგონებოდათ სატირლად ემზადებო.

— სასიამოვნოა ისეთ კაცთან საუბარი, — თქვა მისტერ ბიგერმა და ბო-

ლოსდაბოლოს მოღბა, — რომელსაც ნამდვილად ესმის მხატვრობა. ასეთები ცოტანი არიან.

— ფერწერა მაინცდამაინც ღრმად არ მესმის, — თავი დაიმდაბლა მამულის მფლობელმა, — მაგრამ, როცა სურათს ვუყურებ, ვიცი, მომწონს თუ არა. — მას ისევ გაუბრწყინდა სახე, რადგან მყარ ნიადაგზე იჯდნო თავი.

— ბუნებრივი ინსტინქტია. — თქვა მისტერ ბიგერი, შესანიშნავი ნიჭია. თქვენ სახეზე გაწერიათ, რომ გაქვთ ეს ნიჭი. რატომღაც მისი ნიჭი შემოხვედით, მაშინვე შეგატყვეთ.

მამულის მფლობელი ნასიამოვნები დარჩა. — მართლაც. — დაეთანხმა იგი და იჯდნო, როგორ ამდლდა საკუთარ თვალში. — მართლაც — მან ცალი თვალთ კრიტიკულად გახედა სურათს. — უნდა ითქვას, რომ მართლაც მშვენიერი ფერწერაა. ძალიან კარგია, მაგრამ მე მაინც მერჩინა, რაიმე ისტორიული მნიშვნელობის ტილო შემეძინა, ალბათ გესმით, რასაც ვგულისხმობ. მინდოდა მეყიდა სურათი, რომლის შინაარსი წარსულთან იქნებოდა დაკავშირებული. ვინმე საინტერესო პიროვნების, ვთქვათ, ანა ბოლენის, ნელ გვინის, ველინგტონის პერცოვის ანდა სხვა ამის მსგავსის პორტრეტი.

— ჩემო ძვირფასო სერ, მე სწორედ ახლა ვაპირებდი ერთი ამბის მოყოლას. ამ სურათს ისტორია აქვს. — მისტერ ბიგერი წინ გადაიხარა და მამულის მფლობელს მუხლზე ხელი დაადო. თვალები ღმობიერად აუციმციმდა და დაფანჩულ წარბებქვეშ კმაყოფილებით გაუბრწყინდა. მის ეშმაკურ ღიმილშიც სათნოება გამოსჭვიოდა. — ამ სურათთან ერთი შესანიშნავი ამბავია დაკავშირებული.

— მართლა? — მამულის მფლობელმა წარბება აწიდა.

მისტერ ბიგერი სავარძელში მოეწყო.

— აი, ეს ქალი, — დაიწყო მან და ხელი პორტრეტისაკენ გაიშვირა, — პარტმორის მეოთხე გრაფის ცოლი იყო. პარტმორების გვარი ახლა აღარ არსებობს — მეცბრე გრაფი შარშან გარდაიცვალა. ეს პორტრეტი მე საჯარო ვაჭრობაზე შევიძინე საგვარეულო სახლის გაყიდვის დროს. მეტად სამწუხარო მოვლენაა ასეთი ძველი ოჯახების გადაშენება. — მისტერ ბიგერმა ამოითხრა მამულის მფლობელი ისე იყო გაჭიმული, კაცს ეგონებოდა ეკლესიაში ზისო. ერთი წუთით დუმილი დამყარდა. შემდეგ მისტერ ბიგერმა შეცვლილი ხმით განაგრძო. — მის რამდენიმე პორტრეტს თუ ვენდობით, მეოთხე გრაფი პირვრძელი, წარბშეკრული კაცი უნდა ყოფილიყო. ასეთები ყოველთვის ორმოცდაათი წლისად გამოიყურებიან და ამიტომ მათი ახალგაზრდობის წარმოდგენა შეუძლებელია. გრაფის ცხოვრების მთავარ ინტერესს შეადგენდა მუსიკა და რომაული ძეგლები. არსებობს ერთი პორტრეტი, სადაც მას ცალ ზელში სპილოს ძვლის ფლეიტა უჭირავს, მეორე ხელით კი რომაული ჩუქურთმის ფრაგმენტზეა დაყრდნობილი. თავისი ცხოვრების ნახევარი იტალიაში მოგზაურობას შეაღია — ეძებდა ანტიკური ხელოვნების ნიმუშებს და ტკბებოდა მუსიკით. ორმოცდაათხუთმეტა წლისამ უეცრად ცოლის შერთვა გადაწყვიტა და აი, ეს ქალი აირჩია. — მისტერ ბიგერმა სურათზე მიუთითა. — მის ფულებსა და ტიტულს ბევრი ნაკლის დაფარვა შეეძლო, ხოლო ლედი პარტმორის გარეგნობა არ ვვაფიქრებინებს, რომ დიდად დაინტერესებული ყოფილიყოს რომაული ძეგლებით. არც მეცნიერებისა და მუსიკის ისტორიისთვის იტკიებდა ალბათ



თავს. უყვარდა კარგი ჩაცმა, საზოგადოებაში ტრიალი, აზარტული თამაშობანი, ფლირტი და ყოველგვარი სიამოვნება. როგორც ჩანს, ახლად შეუღლებული წყვილი მთლად ვერ ეწყობოდა ერთმანეთს, მაგრამ აშკარა განხეთქილებას ერიდებოდნენ. ქორწინებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ლორდმა პარტმორმა მოინდომა ერთხელ კიდევ სტუმრობოდა იტალიას. აღორ შეზღოგომაზე ისინი ვენეციას ეწვივნენ. ლორდ პარტმორისათვის ვენეცია ნიშნავდა მუსიკას განუსაზღვრელი რაოდენობით — გალუპის ყოველდღიურ კონცერტებს მიზერიკორდიის ობოლთა თავშესაფარში, პიციინის — სანტა მარიაში, ახალ ოპერებს — სან მოიზეში, შესანიშნავ კანტატებს — ასობით ეკლესიაში, მოყვარულთა შინაურულ კონცერტებს, პორპორის და ევროპის საუკეთესო მომღერლებს, ტარტინის და სახელგანთქმულ ვიოლინისტებს. ლედი პარტმორისათვის ვენეცია სულ სხვა რამ იყო. მისთვის ეს გახლდათ აზარტული თამაშობანი რიდოტოზე, ნილბოსანთა საცუკვაო საღამოები, მზიარული ვახშმები და ყველა ის სიამოვნება, რომელსაც მსოფლიოს უმზიარულესი ქალაქი იძლევა. ისინი საკუთარი ცხოვრებით ტკბებოდნენ და სხვადასხვაგვარად ბედნიერად გრძნობდნენ თავს ვენეციაში, ვიდრე ერთხელ ლორდ პარტმორს არ გაუჩნდა საბედისწერო აზრი — დაეხატვინებინა ცოლის პორტრეტი. მას წარუდგინეს ახალგაზრდა ჯიანგოლინი, როგორც ღიდი მომავლის მქონე ნიჭიერი მხატვარი. ლედი პარტმორმა სეანსებზე სიარული დაიწყო. ჯიანგოლინი ლამაზი და ელეგანტური იყო. ჯიანგოლინი ახალგაზრდა იყო. სასიყვარულო ტექნიკა ისევე დახვეწილი ჰქონდა, როგორც ფერწერის ხელოვნება. ლედი პარტმორი უბრალო მოკვდავი არ უნდა ყოფილიყო, რომ წინააღმდეგობის გაწევა შესძლებოდა. იგი ჩვეულებრივი მოკვდავი გახლდათ.

— ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ არა? — მამულის მფლობელმა თითო ლამიას ნექნებში გაურჭო მისტერ ბიგერს და გაიცინა.

მისტერ ბიგერმა თავაზიანად გაიზიარა მისი მზიარულება და როგორც კი მამულის მფლობელი დაწყნარდა, საუბარი განაგრძო.

— ჰოდა, ბოლოს გაქცევა განიზრახეს. გადაწყვიტეს პარტმორების საგვარეულო ძვირფასეულობით ვენაში ეცხოვრათ. ძვირფასეულობის წაღებას ლედი მალულად აპირებდა. ის კი ოცი ათასზე მეტი ღირდა.

სამზადისი მალე დამთავრდა. ჯიანგოლინის პყავდა მეგობარი, რომელმაც ყველაფერი მოაწყო — სხვის სახელზე პასპორტები აუღო, დაუქირავა ცხენები, რომლებსაც კონტინენტზე დაახვედრებდნენ, ათხოვა თავისი გონდოლა. შეყვარებულები ბოლო სეანსის შემდეგ აპირებდნენ გაქცევას. იმ დღეს ლორდმა პარტმორმა ცოლი ჩვეულებრივ ჯიანგოლინის სახელოსნოში გონდოლით მიიყვანა და მოდელისათვის განკუთვნილ სავარძელში ჩასვა. თვითონ კი მიზერიკორდიაში გალუპის კონცერტის მოსასმენად წავიდა. შუაგული კარნავალი იყო. ხალხი დღისითაც კი ნიღბებით დადიოდა. ლედი პარტმორს შავი აბრეშუმის ნიღაბი ეკეთა — ხედავთ, ამ პორტრეტზე ხელში უჭირავს. თუმცა გრაფი მზიარულების მოყვარული კაცი არ იყო და არც კარნავალის ღრეობები მოსწონდა, მაგრამ მეზობლების გროტესკულ მოდას მაინც აჰყვია. არ უნდოდა სხვებისგან გამორჩეულიყო და ვინმეს ყურადღება მიექცია.

გრძელი შავი წამოსასხამი, უზარმაზარი შავი სამკუთხა ქუდი და თეთრი ქალაღდის გრძელცხვირა ნიღაბი კარნავალის დღეებში ყოველი ვენეციელის

ჩვეულებრივ მორთულობას წარმოადგენდა. ლორდი ჰარტმორი სულაც არ ისწრაფვოდა თვალში მოხვედროდა ვინმეს. მასაც ისევე ეცვა, როგორც ყველას. ადვილი მისახვედრია, რა აბსურდული და შეუფერებელი იქნებოდა მხიარული ვენეციელი ნიღბოსნის ჩაცმულობა პირქუში და გაფუყული ინგლისელი მილორდის ტანზე. „პანტალონე პულცინელას ტანსაცმელში“ — ასე მონათლეს შეყვარებულებმა გრაფი. ტრადიციული კომედიის გამოჩერჩეტიებული მოხუცი მხიარული კლოუნის ფორმაში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, იმ დილით ლორდმა ჰარტმორმა ცოლი დაქირავებული გონდოლით სახელოსნოში მოიყვანა. ქალს თან მოჰქონდა განიერ წამოსასხამში დაწალული ტყავის პატარა ყუთი, რომელშიც აბრეშუმებზე შშვიდად ესვენა ჰარტმორის ძვირფასეულობა. ჰარტმორები გონდოლის ვიწრო, ჩაბნელებულ კაბინაში ისხდნენ. მათ თვალწინ მიცურავდა ეკლესიები, ჩუქურთმებით დახუნძლული სასახლეები და დროისაგან შელახული მრავალსართულიანი სახლები. კლოუნის მხიარული ნიღბიდან ლორდ ჰარტმორის ხმა მკაცრად, მშვიდად, დინჯად მოედინებოდა.

— უგანათლებულესი მუცნიერი მამა მარტინი, — თქვა მან, — დაპირებულია ხვალ პატივი დაგვდოს და სადილად გვეწვიოს. საეჭვოა, ვინმემ მასზე უკეთ იცოდეს მუსიკის ისტორია. გთხოვთ ეცადოთ და განსაკუთრებული პატივისცემა გამოიჩინოთ მის მიმართ.

— გქონდეთ ჩემა იმედი, მილორდ. — ქალი ძლივს იკავებდა სიცილს. ხვალ სადილობისას ისინი შორს იქნებიან. გორიციას გაცილებულნი, საზღვარს იქით, ვენის გზაზე გააჭენებენ ცბენებს. საწყალი ბებერი პანტალონე. თუმცა რატომ არის საწყალი. ბოლოსდაბოლოს მას თავისი მუსიკა რჩება, რჩება თავისი მარმარილოს ნამტვრევები. მოსასხამის ქვეშ ქალმა უფრო მაკრად ჩაბლუჯა ძვირფასეულობის ყუთი. რა თავბრუდამხვევ სიანოვნებას ანიჭებდა თავისი საიდუმლო!

მისტერ ბიგერმა ხელი გულთან მიიტანა. იგი საკუთარი საუბრით ტკბებოდა. გრძელი, მეღიისებური ცხვირი მამულის მფლობელისაკენ მიაბრუნა და ტკბილად გაუღიმა. მამულის მფლობელი თავის მზრივ მთლად ყურადღებად იყო ქცეული.

— შემდეგ? — იკითხა მან.

მისტერ ბიგერმა ხელები მუხლებზე დაუშვა.

— შემდეგ, — თქვა მან, — გონდოლა ჯიანგოლინის კართან მიცურდა. ლორდი ჰარტმორი ცოლს გადმოსვლაში ეხმარება, აცილებს მხატვრის სახელოსნომდე მეორე სართულზე, ჩვეულებრივი თავაზიანი ფრაზით აბარებს ცოლს მხატვარს, თვითონ კი მიზერიკორდიაში გალუბის კონცერტის მოსასმენად მიეშურება. შეყვარებულებს ორი საათი რჩებათ საბოლოო სამზადისის ჩასატარებლად.

როგორც კი ბებერი პანტალონე თვალს მიეფარება, გამოჩნდება მხატვრის გაჭირვების ტალკვესი, მეგობარი, რომელიც ისევეა შენიღბული, როგორც ყველა მამაკაცი ქუჩაში თუ არსებზე ან ვენეციური კარნავალის დღეებში. დაიწყება ხელის ჩამორთმევა, ხვეენა-კოცნა და სიცილი. ყველაფერი ისე კარგად მოეწყობა, არავის ეჭვი არ გასჩენია. ლედი ჰარტმორის მოსასხამიდან

თავს გამოჰყოფს ძვირფასეულობის ყუთი. ქალი ყუთს ხსნის. ამას მოსდევს გაკვირვებისა და აღტაცების გამომხატველი იტალიური შეძახილები. ბრილიანტები, ჰარტმორების მსხვილ-მსხვილი ზურმუხტები, ლალის შესაკრავები, იაგუნდის საყურეები — მთელი ეს ბრჭყვიალა ნივთები სიყვარულით დაათვალიერებს, მკოდნე ხელით მოსინჯეს. მეგობარი ახლა თითქმის ხუთი ათას ცენტიან ფასობს. შეყვარებულები გიჟებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მეგობარი აჩერებს მათ. ცოტა რამ კიდევ დარჩა გასაკეთებელი. მგრამ აუცილებელი ფორმალობაა — ხელი უნდა მოაწერონ პასპორტებს პოლიციაში. იაიცი იმითთან ერთად გავა და ერთ ცალ ბრილიანტს გაყიდოს, სამგზავრო ფულს უშოვოს.

მისტერ ბიგერი სიგარეტის მოსაკიდებლად შეჩერდა. მერე ერთი გააბოლა და განაგრძო.

— ასე გამოვიდნენ ისინი, ნიღბებსა და მოსასხამებში გამოწყობილები. მეგობარი ერთი მიმართულებით წავიდა. მხატვარი და მისი სატრფო — მეორე მიმართულებით. აჰ, სიყვარული ვენეციაში! — ექსტაზში შესულმა მისტერ ბიგერმა თვალები გადაატრიალა. — ყოფილხართ როდისმე ვენეციაში და თანაც შეყვარებული, სერ? — ჰკითხა მან მამულის მფლობელს.

— დივს არ გავცალეებივარ. — უბასუხა მამულის მფლობელმა და თავი გააქნია უარის ნიშნად.

— აჰ, მაშინ თქვენ არ განგიცდიათ ცხოვრების უდიდესი სიტუბოება და კერ შესძლებთ პოლომდე გაიგოთ, რას გრძნობდნენ პატარა ლედი ჰარტმორი და მხატვარი, არხებზე ცურვისას. ისინი თვალს არ აშორებდნენ და ხანდახან, რა თქმა უნდა, ჰკოცნიდნენ კიდევ ერთმანეთს: ნიღბები ცოტას უშლიდათ, მაგრამ უნიღბოდ საშიში იყო, ვინმეს არ ეცნო, საერთოდ კი, — დაასკვნა მისტერ ბიგერმა დაფიქრებით, — ვინ იცის, იქნებ მხოლოდ ერთმანეთის ცქერით წაყოფილდებოდნენ. ვენეციაში, არხებზე ცურვით მოთენთილება ერთმანეთის შეხედვითაც კმაყოფილდებიან ხოლმე, მხოლოდ შეხედვით.

მისტერ ბიგერმა ხმას დაუწია და ორჯერ-სამჯერ სიგარეტი მოქაჩა უსიტყვოდ. მერე განაგრძო, მისი ხმა ისევ მშვიდად და თანაბრად ეღერდა.

— ნახევარი საათის შემდეგ ჯიანგოლინის სახლს გონდოლა მოადგა. ქალღმინი ნიღბიანი, შავ მოსასხამში გახვეული, სამკუთხაქუდიანი კაცი გონდოლიდან გადმოვიდა და მხატვრის სახელოსნოში შევიდა. ოთახი ცარიელი დახვდა. პორტრეტი ტკბილად და ოღნავ სულელურად იღიმებოდა მოლბერტიდან. არც მხატვარი იდგა მოლბერტის წინ და არც მოღელის სავარძელზე იჯდა ვინმე. გრძელცხვირა ნიღაბმა გარშემო მიმოიხედა ფარული ინტერესით. ცნობისმოყვარე თვალი ბოლოსდაბოლოს შეჩერდა ძვირფასეულობის ყუთზე, რომელიც შეყვარებულებს თავახდილი მიეტოვებინათ მაგიდაზე დაუღეჯრად. გარინდებული და ამოღამებული თვალები გროტესკული ნიღბიდან დაკვირვებით დააცქერდა ამ საგანს. გრძელცხვირა პულცინელა თითქოს ფიქრებმა შეიბჟრო.

რამდენიმე წუთის შემდეგ კიბეებზე გაისმა ორი ადამიანის ხარხარი და ფეხისხმა. ნიღბოსანი, ვითომ ქუჩაში გადასახედად, ფანჯრისკენ მიტრიალდა.

მის უკან ხმაურით გაიღო კარი. აღვზნებული, მხიარულებისა და უზრუნველობისაგან მთვრალი შეყვარებულები ოთახში შემოცვივდნენ.

— აჰა, Caro amico! უკვე დაბრუნდი? როგორ გაასაღე ბრილიანტი?

ფანჯარასთან მდგომი მოსასხამიანი ფიგურა არ შერხეულა. ჯიანგოლინიმ მხიარული ყბედობა განაგრძო. ხელისმოწერის დროს დაბრუნდება არ შეხვედრიათ და ზედმეტიც არაფერი უკითხაეთ. ჯიბეში პასპორტები ედო და თუნდაც ახლავე შეეძლოთ გამგზავრება.

ლუდი პარტმორს მოულოდნელად სიცილი აუტყდა. ვერა და ვერ გაჩერდა.

— რა მოხდა? — იკითხა ჯიანგოლინიმ. ისიც იცინოდა.

— გამახსენდა, — ძლივს ამოიგმინა სიცილისაგან სუნთქვაშეკრულმა ქალმა, — გამახსენდა ბებერი პანტალონე, რომელიც ახლა გაფუყული ზის მიწერიკორდიაში და უსმენს... — იგი იხრჩობოდა, სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, თითქოს ტიროდა, — უსმენს გალუპის ადამისდროინდელ მოსაწყენ კანტატებს.

ფანჯარასთან მდგომი მობრუნდა.

— სამწუხაროდ, ქალბატონო, — წარმოთქვა მან, — უგანათლებულესი მანესტრო ამ დილით შეუძლოდ გრძნობდა თავს და კონცერტი ჩაიშალა. — მან ნილაბი მოიხსნა. — ამიტომ ჩვეულებრივზე აღრე დაებრუნდი. — მათ წინაშე წარსდგა ლორდ პარტმორის გრძელი, ნაცრისფერი, გაუცინარი სახე.

შეყვარებულები ერთ წუთს უხმოდ მიშტერებოდნენ მას. ლუდი პარტმორმა ხელი ფულზე მიიღო — საშინლად უცემდა. გულის კოვზს ქვეშაც უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა. საწყალ ჯიანგოლინის თავისი ნილაბავით თეთრი ფერი დაედო. ამ cicisbei-სა და ოფიციალური საყვარლების ხანაშიც იყო შემთხვევები, როცა შეურაცხყოფილი და ეჭვიანი ქმრები მკვლელობას არ ერიდებოდნენ. უიარაღო ჩანს, მაგრამ ვინ იცის, რა აქვს დამალული ამ საიდუმლოებით მოცული შავი მოსასხამის ქვეშ. ლორდ პარტმორს არაფერი მხეცური ანდა ღირსების შემლახველი არ ჩაუდენია. ჩვეულებისამებრ დინჯად, წარბგაუხსნელად მიუახლოვდა მაგიდას, ძვირფასეულობის ყუთი ხელში აიღო, დიდი სიფრთხილით დაკეტა და წარმოთქვა: „ეს ჩემი საკუთრება ლუნდა იყოს“, მერე ყუთი ჯიბეში ჩაიღო და ოთახიდან გავიდა. შეყვარებულები გაკვირვებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ჩამოვარდა ღუმილი.

— შემდეგ რაღა მოხდა? — იკითხა მამულის მფლობელმა.

— საოცარი რამ მოხდა. — უპასუხა მისტერ ბიგერმა და თავი ნაღვლიანად გააქნია. — ჯიანგოლინი მზად იყო გაქცეულიყო, თრმოცდაათი ცეხინის ამარა. ლუდი პარტმორმა კი დაფიქრების შემდეგ აღარ ისურვა ეგემნა სიყვარული სიღარიბეში. ქალს, გადაწყვიტა მან, სჭირდება ოჯახური კერა და საგვარეულო ძვირფასეულობა. მაგრამ შეხედავს თუ არა ლორდი პარტმორი ასეთივე თვალით ამ ამბავს? ეს იყო შემამფოთებელი, სიმშვიდის დამარღვეველი კითხვა. გადაწყვიტა, ქმართან დაბრუნებულიყო და თვითონვე გაერკვია ყველაფერი.

სწორედ სადილობისას მივიდა.

— მისი უმაღლესობა სასაღილო ოთახში გელოდებათ. — მოახსენა მაგორ-  
დომმა.

მაღალი კარი გაიღო. ქალი ამაყად თავაწეული შეცურდა ოთახში, მაგრამ  
შიშისაგან სული მისდიოდა. ქმარი ბუხართან იდგა, ცოლი რომ დარწმუნდა, მის  
შესახვედრად გამოემართა.

— მე თქვენ გელოდით, ქალბატონო. — უთხრა და სასაღილო მეგობართან  
თავის ადვილამდის მიაცილა.

მომხდარ ამბავთან დაკავშირებით მეტი არაფერი თქმულა. ნასაღილევს კი  
მსახური მხატვრის სახელოსნოში გაგზავნეს პორტრეტის წამოსაღებად.  
ეს პორტრეტი ბარგს გააყოლეს, როცა ერთი თვის შემდეგ ინგლისისკენ მიემ-  
გზავრებოდნენ. ეს ისტორია პორტრეტთან ერთად თაობიდან თაობას გადაეცა,  
მე კი პარტმორების ოჯახის ძველი მეგობრისგან გავიგე, როცა საგვარეულო  
სახლის გაყიდვის შემდეგ ეს პორტრეტი შევიძინე.

მისტერ ბიგერმა სიგარეტის ნამწვავი ბუხარში შეაგდო. თვითონვე მოე-  
წონა, ისე ლამაზად გადმოსცა ამბავი.

— ძალიან საინტერესოა, — თქვა მამულის მფლობელმა, — მათლაც  
ძალიან საინტერესოა. ნამდვილად ისტორიულია, არა? ამაზე უკეთესი ხომ  
არც ნელ გვინისა და ანა ბოლდინის ამბავი იქნებოდა?

მისტერ ბიგერმა გაურკვეველად, თითქოს შორიდან გაიღიმა. გაახსენდა  
ვენეცია, რუსი გრაფინია, რომელიც იმავე პანსიონში ცხოვრობდა გვერდით  
ოთახში. გაახსენდა ტოტებგადაშლილი ხე, მისი საწოლი ოთახის ფანჯრიდან  
რომ მოჩანდა: გაახსენდა იმ ქალის ნელსაცხებლის მძაფრი სურნელი (პირველ  
შესუნთქვაზე სულს არ მოგათქმევინებდათ), ბანაობა ლიდოზე, ფეიერვერკები  
ნისლიან ცაში და ყველაფერი იმგვარად წარმოუდგა თვალწინ, როგორც გარ-  
დის სურათებშია დაბატული. რა შორეულად ეჩვენა ყველაფერი ახლა! მაშინ  
სულ ახალგაზრდა იყო და ეს გახლდათ მისი პირველი მნიშვნელოვანი თავგა-  
დასავალი. ჟეტრად ოცნებიდან გამოარკვიეს.

მამულის მფლობელი ლაპარაკობდა.

— რას აფასებთ სურათს? — იკითხა მან უცერემონიოდ. იშვიათი ტიპის  
საქმოსანი ჩანდა.

— აჰ, დიახ, — წარმოთქვა მისტერ ბიგერმა და უხალისოდ შეწყვიტა  
ფიქრი რუს გრაფინიაზე და ოცდახუთი წლის წინანდელ, საოცნებო ვენეცია-  
ზე. — ამაზე უარეს სურათებში ათასს ვთხოულობ ხოლმე. ამას კი შვიდასორ-  
მოცდაათზე ნაკლებად არ გავყიდი.

მამულის მფლობელმა დაუსტვინა — შვიდასორმოცდაათი? — გაიმეო-  
რა, — ძალიან ძვირია.

— მაგრამ, ჩემო ძვირფასო სერ, — უპასუხა მას მისტერ ბიგერმა, — წარ-  
მოიდგინეთ, რა უნდა გადაგებადათ ასეთივე ზომისა და ხარისხის რემბრანდტში.  
შვიდასორმოცდაათი სულაც არ არის ძვირი. თუ მწედველობაში მივიღებთ ამ  
სურათის ისტორიულობას, ცოტაც კია. ხომ თქვენც თვალთ ხედავთ, რა შესა-  
ნიშნავი ნაწარმოებია.

— არ უარყოფ, — თქვა მამულის მფლობელმა, — მე მხოლოდ იმის  
თქმა მიხდოდა, რომ შვიდასორმოცდაათი ღირს თანხაა. რა კარგია, რომ ჩემმა

ქალიშვილმა ხატვა იცის. წარმოიდგინეთ, საწოლი ოთახი სულ შვიდასორმოც-  
დაათიანი სურათებით რომ მომვრთო. — გაიცინა მან.

მისტერ ბიგერმა გაიღიმა.

— გაიხსენეთ, — თქვა მან, — რომ ეს არის ფულის შენახვის საიმედო  
საშუალება. გვიანდელი ვენეციელების ფასი მაღლა იწევს. მე რომ დაუბან-  
დებელი ფული მქონდეს... — ამ დროს კარი გაიღო და გამოჩნდა მის პრეტის  
ქერაკულულებიანი თავი.

— მისტერ კროულის აინტერესებს, შეგიძლიათ თუ არა მისი მიღება, მის-  
ტერ ბიგერ?

— სთხოვეთ, დამელოდოს. — უბასუხა გაღიზიანებული ტონით მისტერ  
ბიგერმა. მერე ჩააბველა და ისევ მამულის მფლობელს მიუბრუნდა. — მე რომ  
დაუბანდებელი ფული მქონდეს, სულ გვიანდელ ვენეციელებს შევი-  
ძენდი.

ამის თქმაზე თვითონვე გაუკვირდა, როგორ ახერხებდა ემეორებინა სულ  
ერთიდაიგივე. წინათ ამბობდა, რომ მთელ კაპიტალს დააბანდებდა პრიმიტი-  
ვისტებისა და კუბისტების ნამუშევრებში, ზანგურ სკულპტურასა და იაპონურ  
გრაფიურებში.

საბოლოოდ მამულის მფლობელმა ექვსას ოთხმოცის ქვითარზე მოუწერა  
ხელი.

— ამ ამბის მანქანაზე გადაბეჭდილი ერთი პირიც რომ გამოგეყოლები-  
ნათ... — თქვა მან, როცა ქული დაიხურა. — სასიამოვნო მოსაყოლი იქ-  
ნება სადილზე სტუმრებისათვის, არა? მინდა ყველა დეტალი ზუსტად  
ვიცოდე.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — უბასუხა მისტერ ბიგერმა. — დეტა-  
ლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მან კარებამდე მიაცილა ტანმორჩილი, ჩამრგვალებული კაცი.

— ნახვამდის, ნახვამდის. — წარმოთქვა მისტერ ბიგერმა. მამულის  
მფლობელი წავიდა.

ახლა კარებში გამოჩნდა მაღალი, ფერმკრთალი, ბაკენბარდებიანი ახალ-  
გაზრდა. მუქი, ნალვლიანი თვალები ჰქონდა, გამომეტყველება და ჩაცმულობა  
რომანტიული და ამავე დროს საცოდავი. ეს იყო ახალგაზრდა კროული, მხატ-  
ვარი.

— მაპატიეთ, რომ გაცდევინეთ. — ბოდიში მოუხადა მისტერ ბიგერმა. —  
რისთვის შეწუხებულხართ?

მისტერ კროული დარცხვენილი ჩანდა და ორჭოფობდა. როგორ ეზიზღება  
ასეთი რამეები!

— მაპატიეთ, — თქვა ბოლოს, — მაგრამ ძალიან მჭირდება ფული. ვიფიქ-  
რე, იქნებ გადაგეხადათ იმ სურათის საფასური, რომელიც ამ დღეებში გაგიკე-  
თეთ. ძალიან ვწუხვარ, რომ თავს გაბეზრებთ.

— სულაც არა, ჩემო კარგო. — მისტერ ბიგერი დაანადგლიანა ამ საცო-  
დავმა არსებამ, რომელმაც არ იცოდა, როგორ მოეგლო თავისი თავი-  
სათვის. საწყალი კროული ბავშვივით უმწეო ჩანდა. — რამდენზე შევთანხ-  
დით.

— მე მგონი, ოც გირვანქაზე, — უპასუხა მისტერ კროულმ გაუბე-  
დავად.

მისტერ ბიგერმა ქვითარი ამოიღო.

— ოცდახუთს მოგცემთ. — უთხრა მან.

— არა, რას ბრძანებთ, დიდი მადლობა. — მისტერ კროული გოგოსავით  
გაწითლდა. — მე მგონი, თქვენ ჩემი პეიზაჟების შექმნაც გინდობთ. —  
თხა მისტერ ბიგერის გულუხვობით გათამამებულმა. გინდობთ თქვენც

— არა, არა, თქვენი საკუთარი შემოქმედება არ მაინტერესებს. — შეუბ-  
რალებლად გააქნია თავი მისტერ ბიგერმა. — თანამედროვე მხატვრობაზე მო-  
თხოვნილება არ არის, მაგრამ ძველ ოსტატთა ასლებს კი მივიღებთ. — მან  
თითი მიუკაკუნა ლედი პარტმორის სრიალა მხრებს. — გააკეთეთ კიდევ ერთი  
ვენეციელი. — დაუმატა მისტერ ბიგერმა. — ამან დიდი მოწონება დაიმსახურა.

როცა ორმოცდაათი წლის შემდეგ შეილიშვილები მკითხავენ, როგორ ცხოვრებას ვეწეოდი ოქსფორდში იმ შორეულ ხანაში, ჩვენი საზარელი საუკუნის დამდეგს, მე ჩავხედავ დროის პირდაღებულ უფსკრულს და ვიტყვი გულმართლად: არასოდეს არ მიმუშავია რვა საათზე ნაკლები დღეში, მწვავე ინტერესს ვიჩენდი ქველმოქმედებისადმი და ყავა იყო ყველაზე ძლიერი აღმაგზნებელი სასმელი, რომლის დაღვევის უფლებასაც ჩემს თავს ვაძლევდი. ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ... მაგრამ იმედი მაქვს, პასუხს ვერ მოვესწრები. ამიტომ გადავწყვიტე, ვიღრე რამე დამავეიწყდებოდა, დამეწერა მოგონებები. მინდოდა დამეცვა სიმართლე და აერიდებოდი შეგნებულ თუ შეუგნებელ სიცრუეს საკუთარი თავის შესახებ.

ამჟამად საშუალება არა მაქვს სრულად აღვწერო ჩემი ცხოვრების ის მნიშვნელოვანი პერიოდი. უნდა დავჯერდე ერთ ამბავს, რომელიც ჩემი სტუდენტობის ბოლო წლებს ეხება. ეს ეპიზოდი იმიტომ ავირჩიე, რომ თავისთავადაც საინტერესოა და თან კარგად ახასიათებს თმის წინაღროინდელი ოქსფორდის ცხოვრებას.

ჩემი მეგობარი ლიკეჰემი სტელფუტ კოლეჯის სტუდენტი იყო. კეთილშობილ სისხლთან ერთად (იგი ძალიან ამაყობდა ანგლოსაქსური წარმოშობითა და თავისი გვარის მომდინარეობით ძველ-ინგლისური lycam-იდან, რაც გვამს ნიშნავს), მას საკმაო ჭკუაც გააჩნდა. გემოვნება ექსცენტრული ჰქონდა, ჩვევები — აუტანელი, ცოდნა — უზარმაზარი. ახლა ლიკეჰემი ცოცხალი აღარ არის და ამიტომ მის ზასიათზე მეტს არაფერს ვიტყვი.

განვაგრძობ ამბავს: ერთ საღამოს ჩემს მეგობარს, ჩვეულებისამებრ, სულფუტში ვესტუმრე. კიბეები რომ ავათავე, ცხრა საათს გადაცილებული იყო „დიდი ტომი“ ისევ რეკავდა.

„In Thomae laude  
Resono bim bari sine fraude“.

როგორც ამბობს მომხიბლავი სიაუღელით აღსავსე ერთი ლექსი. იმ საღამოს თავის basso profundo-თი იგი ეხამებოდა ამ სიტყვებს და დისონანსურ ფონს უქმნიდა გიტარის მშფოთვარე სიმებს, ლიკეჰემის ოთახიდან რომ გამოდიოდა. მის შფოთიან დაკვრაში გამოსჭვიოდა რაღაც იმაზე მეტი, რასაც ჩვეულებრივი კატაკლიზმი იწვევს ხოლმე. ბგერა მხოლოდ მაშინ ხდებოდა მკვნესარე, როცა ლიკეჰემი მძლავრად ჩამოჰკრავდა გიტარის სიმებს.

ოთახში ყურებზე ხელებაფარებული შევედი. „ღვთის გულისათვის...“ შევევედრე. ღია ფანჯარაში ტომი შემოგვძახოდა დაბალი რეგისტრის მი ბემო-



ლით, ნახევარტონებისა და ობერტონების გაბმული აკორდით. ვიტარა კი ისტერიულად ყბედობდა რაღაცას რე ბეკარით. ლიკეპემმა გაიციინა და ვიტარა ისეთი ძალით დაანარცხა ტახტზე, რომ სიმებს საშინელი ოხვრა აღმოხდათ. შემდეგ ჩემსკენ გამოიქცა და ისე მავრად დამკრა მხარზე ხელი, რომ მარტინა. სახე სიხარულითა და აღფრთოვანებით ჰქონდა გასხივოსნებული.

მე შემოდლია ადამიანს თანავუგრძნო მწუხარებაში, მავრად მკრავს ხელს და  
შა. მოსაწყენია, როცა ვინმე ბედნიერია.

ბიბლიოთეკა

— ოფლიანი ხარ, — ვუთხარი ცივად.

ლიკეპემმა სახე მოიწმინდა, მავრამ სიცილი განაგრძო.

— ამჯერად რაღა ამბავია? — გკითხე. — ისევ ცოლის შერთვას აპირებ?

ლიკეპემს ისეთი აღტაცება გამოეხატა სახეზე, თითქოს ბოლოს და ბოლოს ეტოვოს სულის დამამძიმებელი საიდუმლოებისაგან განთავისუფლების გზა.

— ცეტყობა, ჩვეულებრივ ცელქ ამურზე უფრო სერიოზული რაღაც გჭირს. — ვიცოდი, ლიკეპემი წინა ღლით ღონღონში იყო წასული და გადაუღებელი ვინიტი კბილის ექიმთან ქალაქში ღამე დარჩენის უფლებას აძლევდა.

— ნუ უხეშობ, — მითხრა მან და ნერვაულად გაიციინა. მიეხვდი, ჩემი ექვები საფუძვლიანი იყო.

— კარგი, მაშინ მიაშბე, როგორ ხსიამოვნე ფლოსისთან, თუ ეფისთან, თუ რა ერქვა იმ გოგოს?

— ის ქალღმერთი იყო.

— შემთხვევის ქალღმერთი, მე ვფიქრობ.

— ქალღმერთი იყო, — განაგრძო ლიკეპემმა, — ასეთი მომზიბლავი არსება პირველად ვნახე. მავრამ ყველაზე უცნაური ისაა, — დაუმატა მან იდუმალეებითა და სრულიად უსაფუძვლო სიამაყით აღსავსე ხმით, — რომ მე თვითონაც ღმერთი მგონია თავი.

— ბარკების ღმერთი. მავრამ გადავიდეთ ფაქტებზე.

— ყველაფერს ვიამბობ. ეს ამბავი ასე მოხდა: შენ იცო, რომ წუხელ ქალაქში ვიყავი და იმ შესანიშნავი პიესის სანახავად წავიდი, „პრინს კონსორტში“ რომ უჩვენებენ. ესაა მელოდრამისა და პრობლემური პიესის მეტად მარტივი კომბინაცია. იგი გულის სიღრმეში გძრავს და თან გიღვამებს წმინდა გრძნობას, რომ იხილე რაღაც მნიშვნელოვანი. წინასწარ მქონდა დაკვეთილი მწვენიერი ადგილი ბელეტაჟის პირველ რიგში, ამიტომ საკმაოდ გვიან მივედი. ხმაურით გავიარე რიგებს შორის და ადგილი დავიკავე. უეცრად შევამჩნიე, რომ ჩემს გვერდით გოგონა იჯდა. შემთხვევით ფეხი ფეხზე დავადგი, რისთვისაც ბოლოში მოვუხადე. პირველი მოქმედების განმავლობაში მასზე აღარ მიფიქრია, ანტოაქტზე კი, როცა სინათლე აინთო და გარშემო მივიხედ-მოვიხედე, აღმოვაჩინე, რომ ჩემს გვერდით ქალღმერთი იჯდა. ერთი თვალის შევლებაც კი საკმარისი იყო, რომ ქალღმერთად მიეჩნია კაცს. წარმოუდგენლად ლამაზი მეჩვენა — ოღნავ ფერმკრთალი, უცოდველი, წერწეტი და ამავე დროს დიდებული. მისი აღწერა შეუძლებელია. ბრწყინვალე იყო, ამის მეტს ვერაფერს ვიტყვა.

— ბრწყინვალე, — გავიმეორე მე, — სხვებიც ასეთები იყვნენ.

— სულელო, — მიპასუხა გაღიზიანებული ხმით ლიკეპემმა, — სხვები მხოლოდ შეჩვენებული დედაკაცები იყვნენ, ეს კი ქალღმერთი იყო. აღარ შე-

მაწყვეტინო! გაოცებული შეეყურებდი მის პროფილს. გოგონამ თავი მოაბრუნა და თვალებში შემომხედა. ასეთი მშვენიერება ჯერ არ მენახა. კინალამ გონება დაგკარგე. ჩვენ თვალებში ჩავხედეთ ერთმანეთს...

— ეგ გამოთქმა რომელიღაც რომანიდან ამოღებულ ციტატას მაგონებს. — გცდილობდი მისი აღტაცების შეკავებას მე.

— მერე რა, სხვა სიტყვებს რომ ვერ ვპოულობ... ჩვენ თვალებში ჩავხედეთ ერთმანეთს და ერთდროულად ავენთეთ სიყვარულში.

— შენ შენს თავზე ილაპარაკე.

— ეს მის თვალებში ამოვიკითხე. კარგი, განვაგრძობ. პირველ ანტრაქტზე ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შევხედეთ ერთმანეთს და მეორე მოქმედებაც დაიწყო. მე პროგრამა დამივარდა. ასაღებად რომ დავიხარე, შემთხვევით გოგონას მაჯას შევეხე. სხვა გზა არ იყო, ხელი უნდა მომეკიდა.

— იმან რა ქნა?

— არაფერი. მთელი მოქმედება ასე ვისხედით ბედნიერებით ატაცებულნი...

— და წყნარად ოფლიანდებოდით ხელიხელჩაკიდებულნი. ეს ისედაც ნათელია, შეგიძლია გამოტოვო.

— შენ, რა თქმა უნდა, ვერ წარმოგიდგენია, რას ნიშნავს ეს, რადგან არასოდეს არ გჭერია ქალღმერთის ხელი. სინათლე რომ აინთო, უხალისოდ გაეშორდი — არ მინდოდა, იმ ბრბოს დავენახეთ. მსურდა სხვა რამ მეთქვა, მაგრამ უნებურად ვკითხე, ქალღმერთი ხომ არ ხარ-მეთქი. გოგონამ მიბასუხა, რომ ეს საოცარი შეკითხვა იყო — თურმე მასაც აინტერესებდა, რომელი ღმერთი ვიყავი მე. ასე ვუთხარით ერთმანეთს. რა უცნაურია: მე ვთქვი, რომ დარწმუნებული ვარ მის ქალღმერთობაში, მას კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მე ღმერთი ვიყავი. მერე შოკოლადის კამფეტები ვიყიდე და მესამე მოქმედებაც დაიწყო. ეს იყო მელოდრამა, სადაც, რა თქმა უნდა, მესამე მოქმედებაში მკვლელობისა და ღამის ქურდობის სცენა მიმდინარეობს. დარბაზში ყველა სინათლე ჩაქრა და ამ ამალეღვებელ წუთებში, სრულ სიბნელეში, ვიგრძენი, რომ გოგონამ ლოყაზე მაკოცა.

— აკი უცოდველი იყო?

— ნამდვილად ასეთი იყო: ჭეშმარიტად ყინულივით უცოდველი. მაგრამ იგი შექმნილი იყო ისეთი ყინულისაგან, რომელიც იწვის, არ ვიცი, გასაგებია, თუ არა, რასაც გეუბნები. მას გააჩნდა უმანკო ვნება — ასეთები არიან ქალღმერთები. ცოტა კიდევ შემეშინდა, მაგრამ ძალ-ღონე მოვიყრიბე და საბასუხოდ ტუჩებში ვაკოცე. ამასობაში მკვლელობა დასრულდა და სინათლე აინთო. წარმოდგენის დამთავრებამდე მეტი არაფერი მომხდარა. გოგონას პალტო ჩავაცვი და შეთანხმებულებივით ერთად გამოვედით თეატრიდან. ტაქსში ჩავსხედით. მძღოლს გთხოვეთ სადმე საეაზშმოდ წავეყვანეთ და იმანაც წაგვიყვანა.

— ყოველგვარი ხვევნა-კოცნის გარეშე გზაში?

— დიახ, ყოველგვარი ხვევნა-კოცნის გარეშე.

— ის სულ ვნებიანად უმანკო იყო?

— სულ უმანკოდ ვნებიანი.

— განაგრძე.

— ოლიმპიურად ვივანშმეთ — ნექტარითა და ამბროზიით და თან მალუ-

ლად ხელზე ხელს ვუჭერდით ერთმანეთს. გოგონა თანდათან მშვენიერდებოდა. ღმერთო, რა თვალები ჰქონდა! მისი სული ამ თვალების სიღრმეში ენთო, როგორც ზღვის ფსკერზე კოცონი...

— მოთხრობისათვის, — შევაწყვეტინე მე, — ეპიკური, ან პერსიკული სტილი უფრო გამოდგება, ვიდრე ლირიკული.

— ვივახშმეთ და ამის შემდეგ ჩემი მოგონებები გასხივოსნებულ ბინდს ემსგავსება.

— მოდი, ვიჩქაროთ და ფარდა ავხადოთ. რა ერქვა გოგონას? ლიკეპემმა აღიარა, რომ სახელი არ იცოდა. ქალღმერთისათვის სულერთია, რა იქნება მისი მიწიერი სახელი. კიდევ თუ ელის გოგონასთან შეხვედრას? ამაზე არ უფიქრია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მოულოდნელად შეეჯრება სადმე. მე მას სულელი ვუწოდე და ვკითხე, მაინც რომელი ქალღმერთი შეიძლებოდა ყოფილიყო გოგონა და რომელი ღმერთი იქნებოდა თვითონ.

— ჩვენ ამაზე ვიმსჯელოთ, — თქვა ლიკეპემმა. — ჯერ არესი და აფროდიტა ვიფიქროთ, მაგრამ ის ჩემს წარმოდგენაში არსებულ აფროდიტას არ ჰგავდა და მეც ვეჭვობდი, ვგავდი თუ არა არესს.

მან ფიქრიანად ჩაიხედა ძველებურ ვენეციურ სარკეში, რომელიც ბუხრის თავზე ეკიდა. თავმომწონედ გამოიყურებოდა — ლიკეპემს მეტისმეტად ხიბლავდა თავისი გარეგნობა. მართალია, ერთი შეხედვით არ მაგიზიდავდათ, მაგრამ თუ დააკვირდებოდით, შეამჩნევდით უცნაურ მახინჯ სილამაზეს. წვერ-მომშვეებული სოკრატეს ჰგავდა, მაგრამ არესი? არა, ის ნამდვილად არ იყო არესი.

— იქნებ ჰეფესტო სჯობდეს? — შევთავაზე მე, მაგრამ ეს წინადადება ცივად იქნა უარყოფილი.

დარწმუნებულია, რომ გოგონა მართლა ქალღმერთია? იქნებ მხოლოდ-დამხოლოდ რომელიმე ნიმფაა? მაგალითად ევროპა? ლიკეპემმა უარპყო ხარის, გედის ან ოქროს წვიმის მდგომარეობაში ყოფნის შესაძლებლობა. მას თავი აპოლონად წარმოედგინა, გოგონა კი დაფნად, რომელსაც ჩამოეცილებინა მცენარეული სამოსელი. თუმცა მე გულიანად გამეცინა, როცა იგი აპოლონად წარმოვიდგინე. ლიკეპემი მაინც ჭიუტად ადგა თავის აზრს. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო შესაძლებლად ეჩვენებოდა, რომ მწველი, ცივი და უმანკო ვნებით აღსავსე მისი ნიმფა დაფნა ყოფილიყო. თავის აპოლონობაში კი ეჭვიც არ ეპარებოდა.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ივნისში, სემესტრის დასასრულს, ბოლოსდაბოლოს გავიგე, რომელი ოლიმპიური ღმერთი იყო ლიკეპემი. ერთხელ ნასადილევს მე და ჩემი მეგობარი სასეირნოდ წავედით. ჩვენ შევეკრიეთ ფერ-წასულ ბინდის მდუმარებას და ბილიკს ავყევით მდინარის აღმა გოდსტოუმდე. პატარა სასტუმროში შევჩერდით თითო ჭიქა პორტვეინის დასალევად და მის მფლობელთან, შავ აბრეშუმებში გახვეულ ცნობილ მდებრობითი სქესის ფოლსტაფთან სასაუბროდ. აქ შეფურად გაგვიმასპინძლდნენ ახალ-ახალი ამბებიტა და ძველი ღვინით. მერე ლიკეპემმა სახუმარო სიმღერა წამოიწყო. მოხუცმა დაასახლისმა იმდენი იცინა, რომ კინალამ ისტერიკამდე მივიდა. ბოლოს გარეთ გამოვედით და ცოტა კიდევ ავყევით მდინარეს. ამასობაში სიბნელე ჩამოწვა. ცაზე ვარსკვლავები გაბრწყინდნენ. დადგა ისეთი ღამე, რომელსაც

მარლო ტროელ ელენეს ადარებდა. გაისმოდა მინდვრებში მოფარფატე უჩინარი ღაღღების მელანქოლიური ძახილი. შორეული კამხალის გაბმული, მოსაწყენი ხმაური ყველა დანარჩენ ღამეულ ხმას ფარავდა. მე და ლიკეპემი ჩუქად მივაბიჯებდით. ნახევარი მილიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ მოულოდნელად ჩემი თანამგზავრი შეჩერდა და დაქინებით დაიწყო ცეცხლი/სამხრეთისაკენ „უიზემ ჰილის“ მიმართულებით. მეც გავჩერდი. იგი შეჩერებოდა ნამგალა მთვარეს, რომელიც გორაკის თავზე გვირგვინივით დადგმულ ჩაბნელებულ ტყეში აპირებდა ჩასვენებას.

— რას უყურებ? — ვკითხე.

ლიკეპემმა ყურადღება არ მომიაქცია. მხოლოდ რაღაც წაიბურღლუნა თავისთვის. მერე უეცრად წამოიძახა: — „ის არის, ის!“ და სწრაფად გაქანდა მინდვრისაკენ, რომელიც გორაკს ემაჯნებოდა. ვიფიქრე, ჩემი მეგობარი გაგიჟდამეთქი და უკან გავეკიდე. ჯერ ოცი იარღის სიმაღლის ღობე გადავლაზეთ, მერე გუბეს წავაწყდით. ლიკეპემი გადაბტა, შუა ლაფში ჩავარდა და დიდის გაჭირვებით ამობობდა ნაპირზე. მე იმაზე ყოჩაღად გადავბტი, მაგრამ მაინც ლერწმიან ჭანჭყობში ჩავეარდი ნაპირთან უფრო ახლოს. კიდევ ორიოდ ღობე და მოხნული შინდორი, ღობე, გზა, ჭიშკარი, კიდევ შინდორი და „უიზემ ვულში“ ვიყავით. ხეებქვეშ საშინლად ბნელოდა. მე მას მივაგენი ხმაზე, რომელიც ბუჩქებში წაქცევასას გაისმა და წყველა-კრულვაზე, რომელიც ტკივილებისაგან აღმოხდა. ტყე საზარელი იყო, მაგრამ ჩვენ როგორღაც მივალწიეთ გორაკის თავზე გაშლილ მოლს. მოლის პირას, ხეებს შორის მთვარე ანათებდა და თითქმის ხელით მისაწვდომად გვეჩვენებოდა. უეცრად მთვარის ზოლში ხეებიდან ქალის ფიგურა გამოიკვეთა. ლიკეპემი გაიქცა, ფეხებში ჩაუვარდა და მუხლებზე შემოეჭდო. ქალი დაიხარა, აქონრილ თმაზე ხელი გადაუსვა, მე კი იქაურობას გავწორდი. რადგან ბუნებას მოკვდავებისათვის არ ურგუნებია ღმერთების აღურსის თვალთვალი.

უკანგაბრუნებული, ჩემს თავს ვეკითხებოდი, მაინც რა უნდა ყოფილიყო ლიკეპემის ციური თუ მიწიერი არსი? იყო ქალწული არტემიდა, რომელიც სრულიად აშკარად სთავაზობდა თავს. ვითომ ენდიმიონია? არა, ეს აზრი შეუფერებლად მეჩვენა ამ წუთში. მაგრამ სხვა ვერაეინ წარმოვიდგინე, რომელიც შეიძლებოდა უმანკო მთვარეს ჰყვარებოდა. ბუნდოვნად ვგრძნობდი — არსებობდა უფრო შესაფერი ღმერთი, მაგრამ რომელი იყო, ვერაფრით ვერ ვხვდებოდი. მთელი გზა მისი სახელი ენაზე მადგა, მაგრამ ვერ ვიგონებდი.

შინ „ლემპრიერში“ \* ჩავახედე და მოულოდნელად სიმართლეს რომ წავაწყდი, კინალამ გავიგუდე სიცილისაგან. გამახსენდა ლიკეპემის ვენეციური სარკე, მისი თავმოშონე გამომეტყველება, როცა შიგ იხედებოდა, და სიცილი ამივარდა. ნაშუალამევს ლიკეპემი კოლეჯში დაბრუნდა. მე შემოსასვლელში დავხვდი, მკლავში ხელი მოვკიდე, ყურში ჩავჩურჩულე: „თხისფეხებავ!“ და კინალამ ისევ გავიგუდე სიცილისგან.

\* იგულისხმება ინგლისელი მეცნიერის ჯონ ლემპრიერის (1765-1824) შრომა „კლასიკური ლექსიკონი“.



აკუბაგაჟა

თარგმანი  
ზურაბ კიკნაძისა

## როკუნოიელი ქალი

1

როკუნოიელი ქალის მამა ძველისძველი, კეთილშობილი გვარის შთამომავალი იყო. მაგრამ ძველი ყაიდის კაცი ჩამორჩენოდა დროს და ხებუნდაიუს ჩინს ვერ გასცილებოდა. ქალი დედ-მამასთან ცხოვრობდა ერთ დაბალ სახლში როკუნომიას მახლობლად, ამატომ შეარქვეს მას როკუნოიელი ქალი.

შშობლები ანებებდნენ ქალიშვილს. თუმცა ძველი ჩვეულების თანახმად საზოგადოებაში არ დაჰყავდათ, არავის აჩვენებდნენ. იმედოვნებდნენ კი რომ ერთხელაც იქნება, ვანმე დანიშნავდა მათ ქალიშვილს. დარბაისლურად და სადად ატარებდა იგი დღეებს, ისევე როგორც მშობლებს ესწავლებინათ. მის გულს არ ეკარებოდა არც ნალველი, არც სისხარული. მაგრამ ცხოვრებაში გამოუცდელი ქალი უკმაყოფილოდ არ ვრძნობდა თავს. „ოღონდ დედა და მამა ჩანპრთელად იყვნენო“ — იტყოდა სოლმე.

ძველთაძველ ტბორზე გადმოხრილი ბებერი ალუბლის რტოები წლიდან წლამდე ძუნწად ჰყვოდნენ. ამასობაში მშვენიერი ასული შეუმჩნევლად დაქალდა. მამა, ქალის ნუგეში, სიბერეში საკეს მიეძალა და ერთ დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა. ნახევარი წლის შემდეგ დედა გადაჰყვა ამ მოუწელებელ დარდს. ქალი მწუხარებაზე უფრო დაბნეულობამ მოიცვა. მართლაც, დედ-მამის ნებებრს ქვეყანაზე აღარავინ დარჩენოდა მოხუცი გადიის გარდა.

გაღია თავს არ იზოგავდა ქალისათვის, მაგრამ საგვარეულო ძვირფასეულობანი — სადათვის კოლოფები და ვერცხლის საცეცხლურები თანდათან ქრებოდა სახლიდან. ძველი მსახურნი და მოახლენიც ერთმანეთის მიყოლებით ეცლებოდნენ ხელიდან ქალს. დღითიდღე გრძნობდა იგი უნებურების სიღუბნის რეს. მაგრამ რა ექნა? დაცარიელებულ პალატებში კვლავინდებურად იქცევდა თავს ერთფეროვანი გასართობით — უკრავდა კოტოს ~~და~~ ტანსაცმელს თხზავდა.

და აი, შემოდგომის ერთ საღამოს გაღია შევიდა ~~ქალისათვის~~ ბორძიკით უთხრა:

— ჩემმა ძმისწულმა, ბერმა, მთხოვა მოგლაპარაკებოდით... ერთი კეთილშობილი კაცი, ტამბას პროვინციის ყოფილი განმგებელი, თქვენთან შეხვედრის ნებას ითხოვს... კარგი გარეგნობისა და კეთილი გულის კაცი ყოფილა, მამაც წარჩინებული პყოლია, ხოლო თჯახი სასახლის კარზე დიდად მიღებული... ხომ არ ინებებდით მასთან დაახლოებას? ამ გაჭირვებაში ყოფნას ყველაფერი აჯობებს...

ქალი ჩუმად ატირდა. ამ კაცთან დაახლოება ხომ გაჭირვების გამო სხეულის გაყიდვას ნიშნავდა. განა არ იცოდა, რომ ხშირად ხდება ცხოვრებაში ასეთი რამ. მაგრამ იმ ფიქრმა, რომ მისი ხვედრიც ამგვარი გამოდგა, სასო წარუკვეთა. იჯდა ქალი გაღიას წინ და პირისაზე სახელოში ჩაერგო. გარეთ კი, პუერარიის ფოთლებში ქარი უსტვენდა...

2

და მაინც ყოველდღე ხვდებოდა ამ კავალერს. კავალერი, გაღიის თქმისა არ იყოს, რბილი ხასიათისა გამოდგა. სახეც და ტანიც ნატიფი ჰქონდა, როგორც მის წარმოშობას შეეფერებოდა. ამას გარდა, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ როკუნომიელი ქალის სილამაზისათვის იგი ყველაფერს დაივიწყებდა ამ ქვეყნად. ქალიც არ ექცეოდა მას ცუდად. ზოგჯერ ერთადერთ ნუგეშადაც კი მიაჩნდა იგი. მაგრამ არც ერთ ღამეს, როცა საწოლების შუქზე ერთად იწვნენ პეპლებით მოხატული შირმის იქით, არ მოუტანია ქალისათვის სიხარული

ამასობაში კი სახლი გამხიარულდა. ოთახები ახალმა გაკრიალებულმა თაროებმა და ბამბუკის შტორებმა დაამშვენა. მსახურებიც მომრავლდნენ. გაღიას მხნეობა შეემატა და მეტი გულმოდგინებით უძღვებოდა საოჯახო საქმეს. მაგრამ სასიკეთო ცვლილებათა მიუხედავად ქალს ვერა და ვერ განელებოდა ნაღველი.

ერთ წვიმიან ღამით საკეთი შეზარხოშებულმა კავალერმა უამბო ქალს შემზარავი ამბავი, რომელიც მისივე თქმით ტამბას პროვინციაში მომხდარა: სატანტოდან იძუმიძისაკენ მიმავალ ვიღაც მგზავრებს ოიამას მთის ძირას გაუთევიათ ღამე. სწორედ იმ ღამით მეფუნდუკის ცოლს ქალიშვილი უშობია. და აი, მგზავრები მომსწრენი გახდნენ, როგორ გამოვიდა სწრაფი ნაბიჯებით მელოგინის ოთახიდან ყველასათვის უცნობი კაცი. მხოლოდ ეს სიტყვები დასცდენია უცნობს: „რვა წლისა... საკუთარ თავს უბედურებას შეამთხვევს“... ეს უთქვამს და გამქრალა. რვა წლის შემდეგ კოტოში მიმავალი ეგვევ მგზავრები ამავე სახლში ჩამომხდარან. და რა გგონიათ? — მართლაც აღმოჩნდა, რომ რვა

წლის გოგონა უცნაური სიკვდილით დაღუპულა: ხიდან ჩამოვარდნილა და ყელით ნამგალს დაჭრევია. აი, რა უამბო კავალერმა ქალს.

ამ ამბის გამგონე ქალი შეაძრწუნა კაცთა ცხოვრების ამოებამ, იმ გოგონას ბედთან შედარებით კავალერის გვერდით ცხოვრება მართლაც რომ ბედნიერება იყო. „ბედს უნდა მივინდო, სხვა რაღა დამრჩენია?“ ასე ფიქრობდა ქალი და მხოლოდ ბაგეებით აჩენდა მომხიბვლელ ღიმილს.

სახურავზე გადმოხრილი ფიჭვის რტოები არაერთგვარად დაფარავდა თოვლს. ქალი ძველებურად აკვნესებდა კოტოს სიმებს და სუგოროკუს თამაშობდა ხოლმე. ღამდამობით კავალერთან მწოლარე უსმენდა ძველთაძველ ტბორზე დაფრენილი იხვების ხმაურს. ასე უდრტვინველად გადიოდა დღეები, თუმცა სიხარულიც არ ჩანდა. მაგრამ ეს მოსაწყენი სიმშვიდე მოჩვენებით კმაყოფილებას ანიჭებდა ქალს.

სულ მალე ამ სიმშვიდესაც ბოლო მოეღო. აღრიანი გაზაფხულის ერთ ღამეს ქალთან განმარტოებულმა კავალერმა ძლივსძლიობით ამოდერდა: „უკანასკნელად ვხვდებით ამღამ“. მამამისი მუცუს პროვინციის განმგებელად დაუნიშნავეთ. კავალერიც უნდა გაჰყოლოდა მამას ამ თოვლიან და მივარდნილ მხარეში. გვიანდა იყო გამოტყუდომოდა მამას, რომ მის უჩუმრად გაიხადა ცოლად ეს ქალი. დიდხანს, დიდხანს ამშვიდებდა ქალს, თან ოხრავდა.

— ხუთი წლის შემდეგ გავა სამსახურის ვადა. დამელოდეთ და ნუ იღარდებთ.

ქალი გულდაღმა იწვა და ტიროდა. მტანჯველი იყო მისთვის განშორება კავალერთან, რომელიც თუმც არ უყვარდა, მაგრამ ნუგეშად კი მიაჩნდა. კავალერი ზურგზე ეფერებოდა ქალს, აიძვებდა და ამხნევებდა. მაგრამ თავადაც ხმა უთრთოდა, ვერ იკავებდა ცრემლებს.

ამ დროს გადიამ ახალგაზრდა მოახლესთან ერთად სინი და საკეთი სავსე სურა შემოიტანა. რა უნდა სცოდნოდა მოხუც გადიას? ამბავი ახარა, ტბორის ნაპირზე მდგარმა აღუბლებმა უკვე კვირტები გამოიღესო...

### 3

გავიდა ხუთი წელი და კვლავ გამოზაფხულდა. მაგრამ ჩრდილოეთში გამზავრებული კავალერი არ დაბრუნებულა კოტოს. ამ ხანში მსახურები მიმოიფანტნენ, ხოლო ქალის პალატები ქარიშხალმა დააქცია. ქალი და გადია მსახურთათვის განკუთვნილ მინაშენში გადასახლდნენ. თუმც ბინა ერქვა, მაგრამ ვიწრო და გავეჩანებული იყო, ძლივს იცავდა მათ წვიმისა და ცვრისაგან. გადია უცრემლოდ ვერ უყურებდა ქალს. მაგრამ უმიზეზოდაც უწყრებოდა ხოლმე.

გაუჭირდათ. მოჩუქურთმებული კარადები რა ხანია ბრინჯად და ფქვილად გადაიქცა: შესამოსელიც მცირედა შერჩა ქალს. შეშა არ ყოფნიდათ და ნახევრად დამპალ სახლს უკანასკნელი ფიცრები ერღვეოდა. მაგრამ ქალი კვლავინდებურად ვულს იყოლიებდა კოტოს სიმებითა და ტანკებით, მოთმინებით ელოდა თავის კავალერს.

და აი, იმავე წლის შემოდგომაზე, ერთ მთვარიან ღამით, გადია შევიდა ქალთან და ენის ბორძიკით უთხრა:







კავალერმა თავისი სახელი ახსენა, მონაზონი ატირდა და დიდხანს ხმა-  
ამოუღებლივ ტიროდა. შემდეგ ცრემლნარევი ხმით უამბო ქალის ამბავი:

— აღარ გემახსოვრებით, თქვენო ბრწყინვალეზავ... მე იმ ქალის დედა  
ვარ, რომელიც ერთ დროს ჩვენს ქალბატონს ემსახურებოდა. ჩემი ქალიშვი-  
ლი კიდევ ხუთი წელი მსახურობდა აქ, მას შემდეგ, რაც თქვენს ბრწყინვალე-  
ზავს კიოტოდან წავიდა. მერე ის იყო ტაძრისაში გათხოვდა. ჩემი ქალიშვილი, მეც  
თან გავყევი. მაგრამ ვერ მოვითმინე, შემაწუხა ქალბატონის ქმარი და ახლა-  
ხან მარტო ჩამოვედი კიოტოში. ჩამოვედი და რას ვხედავ: სახლიც კი გამქრალა.  
სად არის ახლა ქალბატონი არც კი ვიცი. ალბათ არ ეცოდინება თქვენს  
ბრწყინვალეზავს, რომ იმხანად ძალზე უჭირდა ჩვენს ქალბატონს, ისე რომ,  
რა გითხრათ...

ყველაფერი ეს მოისმინა კავალერმა, გადაიძრო მოსასხამი და მისცა ამ  
წელში მოხრილ მონაზონს. შემდეგ თავჩაღუნული განშორდა იქაურობას.

5

მეორე დღიას კავალერმა ქალის საძებრად მთელი სატაბტო მოიარა, მაგ-  
რამ ვერც ქალის კვალს მიაგნო და ვერც მისი ამბისა შეიტყო რა.

რამდენიმე დღის შემდეგ სუძაკუმონის კარიბჭესთან იდგა კავალერი, და-  
სავლეთის გალერეის ქვეშ წვიმისაგან შეეფარებინა თავი. მასავით წვიმის  
გადაღებას უცდიდა მათხოვრის ძონძებში გამოხვეული ვიღაც ბერი. სულის  
წამლებად წვიმდა...

კავალერი ბოლთას სცემდა ქვაფენილზე და დროდადრო აღმაცერად გა-  
დახედავდა ბერს; არ იცოდა როგორ გაენელებინა ნალველი. უცებ სმენით  
იგრძნო, რომ გალერეის ნახევრადჩაბნელებული ფანჯრის გისოსებს მიღმა  
ვიღაც უნდა ყოფილიყო. გულგრილად გახედა სარკმელს.

მონაზონი თავთან უჯდა მწოლიარე ქალს და დაგლეჯილ ფარდაგს აკე-  
რებდა. ამ ბინდშიც კი ძალზე ღონემიხდილი ეჩვენა მწოლიარე ქალის სახე  
კავალერს. ერთი შეხედვაც კმაროდა, რომ იმ ქალში როკუნომიელი ქალი  
შეეცნო. ის იყო უნდა გამოლაპარაკებოდა, რომ ხმა ჩაუწყდა: იმდენად საწყა-  
ლობელი სახე ჰქონდა ქალს. ეს კი ვერ ხედავდა იქვე მდგარ კავალერს, მხო-  
ლოდ მხარი იცვალა და დიდის გაჭირვებით აღმოთქვა ეს ტანკა:

ჩემო კეთილო აღუბალო, მარტო რომ ხარობ  
ამ ყვეგებულ მთის კალთაზე — ყრუ და ოხერი...  
მეცა ვარ შენებრ:  
უმეგობრო და უმოყვარო  
და მე ჭირთავან მოყვრიანი გზი მარტოხელი.

რა მოესმა ეს ხმა კავალერს, უნებლიედ აღმოხდა ქალის სახელი. ახლად  
შენიშნა ქალმა კავალერი, ერთი ამოიკვნესა და ფარდაგზე პირქვე დაეშხო.  
მონაზონი, მისი ერთგული გადია, შემოვარდნილ კავალერთან ერთად წამოსა-  
ყენებლად მისწვდა ქალს. მაგრამ როცა წამოაყენეს და სახეში ჩახეჯეს, არა  
თუ გადია, არამედ კავალერიც უფრო მეტად შეშინდა.

სახეშეშლილი გადია ბერთან გაიქცა და სთხოვა ლოცვანი წაეკითხა მო-  
მაკვდავისათვის. ლოცვანის ნაცვლად ეს უთხრა ბერმა დედაკაცს:

— არა არს სიკვდილ-სიცოცხლე ნებისაებრ კაცისა. დაუცადებლად უხმობდეთ ბუდა ამიდას.

კავალერის მკლავებზე მისვენებული ქალი სუსტი ხმით იმეორებდა ბუდას სახელს. მაგრამ მეორე წამს შიშნარევი თვალები მიაპყრო ჩაბნელებულ ჭერს.

— აჰა, ცეცხლოვანი ეტლი...

— ნუ გეშინის! ევედრე ბუდას, მაღლი გარდამოვა შენზე.

ბერმა ოდნავ აუწია ხმას. მცირე ხნის შემდეგ ბურანში წასულმა ქალმა წაილულულა:

— აჰა, ოქროს ლოტოსიც... დიდი ლოტოსი — ღვთაებრივი ქოლგა...

ბერს რალაცის თქმა უნდოდა, ვერ მოასწრო. ქალმა წაიბუტბუტა:

— ლოტოსი გაქრა... უკვე ბნელა, მხოლოდ ქარი სტვენსა წყვდიადში.

— მთელი გულით უხმობდე ბუდას! რად არ უხმობ ბუდას?

ბერს რისხვა მორეოდა. მაგრამ სულთმობრძავი ქალი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ველარაფერს ვხედავ, ველარაფერს... ბნელა... მხოლოდ ქარი... სუსტი-ანი ქარი სტვენს ბნელში...

კავალერსა და გადიას ცრემლები ღაპა-ღუბით ცვიოდათ, თან ამიდას სახელს ჩურჩულებდნენ. გულხელდაკრებილი ბერი ლოცვაში ეხმარებოდა ქალს. და ამგვარად, ლოცვის სიტყვებით, რომელთაც წვიმის ხმაური ერთოდა, ამ დაფლეთილი ფარდაგიდან მშვიდად გადავიდა ქალი სიკვდილის სამეფოში.

## 6

გამოხდა ხანი, და ერთ მთვარიან ღამით ის ჩამოგლეჯილი ბერი, რომელიც ლოცვად მოუწოდებდა მომავლად ქალს, კვლავ იჯდა დასავლეთის გალერეაში სუძაკუმონის კარიბჭის წინ. ხელები მუხლებზე მოეხვია. მთვარით განათებულ გზაზე უღარდელად მოსტვენდა მზიარული სამურაი. უნებურად შეჩერდა ბერთან და სხვათაშორის ჰკითხა:

— ამბობენ, ამ ჭიშკართან ქალის მოთქმა ისმისო. მართალია?

ბერი არც კი წამომდგარა ქვაფენილიდან, მხოლოდ ეს უთხრა:

— მიაყურადე.

სამურაიმ მიაყურადა. მხოლოდ ჭრიჭინობელას ჭრიჭინი არღვევდა სიჩუმეს. ჰაერში ფიჭვის სურნელი იდგა. ის იყო, რალაც უნდა ეთქვა სამურაის, რომ სადღაც დან მოისმა ქალის ჩუმზე ჩუმი კვნესა.

სამურაიმ ჩაბლუჯა ხმლის ვადა. მაგრამ ხმა თანდათან სუსტდებოდა, იკარგებოდა შორს, შორს შეუმჩნეველ ეხოდ და ბოლოს უკვალოდ მიწყდა.

— ევედრე ბუდას! — ბერმა მთვარეს მიაპყრო სახე. — ეს უბადრუკი დიაცის ხმაა, რომელმან არ უწყის სამოთხე, არც ჯოჯოხეთი. ევედრე ბუდას!

სამურაი უსიტყვოდ აკვირდებოდა ბერს. და უცებ, გაოცებულმა ბიჯი წადგა მისკენ და მკლავებში სტაცა ხელი.

— ნუთუ ეს თქვენ ხართ? ნეტარო ნაიკი? აქ რამ მოგიყვანათ...

იგი, ვისაც „ნეტარი ნაიკი“ უწოდეს, ერობაში ითსისიგე იასუტანე, გახლდათ უსათნოესი ბუდაელი ბერი, ღირსახსენებელი თვით ნეტარი კუის მოწაფეთა შორის.



## კვანძი

ხიგოელ თავად ხოსოკავას ვასალებს შორის ირიცხებოდა ვინმე სამურაი, სახელად ტოკა ძინდაიუ. ადრე იგი ხიუგელი იტოს სახლის რონინი იყო, შემდეგ კი თავად ხოსოკავას ვასალთა წინამძღოლის, ნაიტო სანძაემონის წარდგინებით ამ თავადებმა თავიანთ სამსახურში მიიღეს და ასორმოცდაათი კოკუ დაუნიშნეს ჯამაგირად.

გამოწაფხულზე, კამბუნის მეშვიდე წელს, სამხედრო ასპარეზობაზე მან შუბებით ბრძოლაში ექვსი სამურაი დაამარცხა. ასპარეზობას უფროსი ვასალების თანხლებით ესწრებოდა თვით თავადი ხოსოკავა ცუნატოსი. მას ძალზე მოეწონა შუბით მოასპარეზე ძინდაიუ და მოისურვა ხმლებითაც გაემართათ ბრძოლა. მაშინ ძინდაიუმ ხელთ იპყრა ბამბუკის საკენწლათ ხმალი და ერთმანეთის მიყოლებით სამი სამურაი მიაწვინა. მისი მეოთხე მოწინააღმდეგე იყო სენუმა ხეიო, რომელიც ტომის ჭაბუკ სამურაებს ფარიკაობაში წვრთნიდა. ძინდაიუ დაერიდა ფარიკაობის მასწავლებლის სახელს და გადაწყვიტა მისთვის გამარჯვება დაეთმო. თუმცა ისე ოსტატურად სურდა წაეგო ორთაბრძოლა, რომ გამარჯვების დათმობის განზრახვა საქმეში ჩახედულთათვის ცხადი ყოფილიყო. როგორც კი ერთმანეთს შეერკნნენ, ხეიო მიუხვდა განზრახვას და ბრაზით აენტო მეტოქის მიმართ. და როცა ძინდაიუ განზრახ გადავიდა თავდაცვაში, ხეიომ მთელი ძალით აძგერა მას ხმალი. ხმლის წვერი ძალაგრად მიეხვინა ყელში ძინდაიუს და იგი მეყსეულად პირქვე დაეცა. საბრალო შესახედავი იყო ამ დროს ძინდაიუ. ასპარეზობის შემდეგ ცუნატოსი, რომელმაც წედან მას შუბი შეუქო, მოიღრუბლა და მადლობის ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

ამ მარცხის შემდეგ, ძინდაიუს ბევრი დასცინოდა ზურგს უკან. „რას იზამს ძინდაიუ ბრძოლის ველზე, შუბის ბუნი თუ გადაემტვრა? ვაი მის დღეს! საკენწლათ ხმალსაც კი ვერ ხმარობს, როგორც რაგიან მებრძოლს შეეფერება“. ამგვარი მითქმა-მოთქმა შეიქნა კლანის სამურაებს შორის. ბევრს შურიც ალაპარაკებდა, განსაკუთრებით მისი რანგის სამურაებს. მაგრამ როგორ მოქცეულიყო მისი წარმდგენელი ნაიტო სანძაემონი, რა პასუხი უნდა გაეცა თავადისათვის? ამიტომ მოიხმო მან ძინდაიუ და მკაცრად უთხრა: „შენ ისე სამარცხვინოდ დაამარცხებინე თავი, რომ საქმეს არ მოეცლება იმის უბრალო აღიარებით, რომ იმედი გამიცრუე. ან გახვალ ახალ სამჯერად ასპარეზობაში, თუ არა და, თავადის წინაშე დანაშაულის გამოსასყიდად ხარაკირის გავიკეთებ. „ძინდაიუს მხედრული ღირსება ისედაც შელახული იყო მითქმა-მოთქ-

მით. ამიტომ დაუყოვნებლივ ყურად იღო სანძაემონის სიტყვები და სურვილი გამოთქვა ერთხელ კიდევ შერკინებოდა ფარეკაობის მასწავლებელს.

მოკლე ხანში თავადის თანდასწრებით ისინი კვლავ შეიბნენ. პირველ შეტაკებაში ძინდაიუმ ბამბუკის ხმალი მოწინააღმდეგის ხელს აძგერა. მეორე შეტაკებაში ხეიომ სახეში აძგერა ხმალი ძინდაიუსს. მაგრამ მესამე შეტაკებაში ძინდაიუმ კვლავ აძგერა ხმალი მოწინააღმდეგის ხელს. ცუნატოსიმ შეაქო ძინდაიუ და ბრძანა ორმოცდაათი კოკუთი გაეზარდათ მიმართული ხეიო დაბოლმილი განშორდა თავადს და თან გასიებულ ხელს ~~შეაქო~~ ~~შეაქო~~ ~~შეაქო~~

გავიდა სამიოდე დღე, და აი, ერთ წვიმიან ღამით კლანის ერთ-ერთი სამურაი, კონო ხეიტარო, განგმირული ნახეს სეიჯანძის ტაძრის გალავანთან. ხეიტარო თავადის ერთ-ერთი დაახლოებული ვასალი იყო, ორასი კუკუ ეძლეოდა ჯამაგირად. ანგარიშსა და წერაში გაწაფულ მოხუცს მოშურნე არ უნდა ჰყოლოდა. თუმცა მეორე დღესვე გამოირკვა, ვინ უნდა ყოფილიყო მისი მკვლელი: ამ დღეს უეცრად მიიძალა სენუმა ხეიო. ძინდაიუ და ხეიტარო სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ. მაგრამ აღნაგობით წააგავდნენ ერთმანეთს. ამას გარდა, ორივე ერთსა და იმავე ღერბს ატარებდა: მიოგას ყვავილს წრეში ჩახატულს. ღერბი ლამპარზე იყო გამოსახული, რომლითაც მსახური გზას უნათებდა ღამით მიმავალ ხეიტაროს. ამან შეაცდინა ხეიო. მოსასხამში გაძოხვეულ ხეიტაროს სახე არ უჩანდა და აი, ძინდაიუს ნაცვლად მოხუცი შემოაკვდა.

ხეიტაროს თვრამეტი წლის მემკვიდრე დარჩა, მოტომე. მან საჩქაროდ გამოითხოვა ნებართვა გამგზავრებულიყო შურის საძიებლად თავის ჭაბუკ მსახურთან, ეგოსი კისაბუროსთან ერთად. ძინდაიუმაც მოისურვა ხლებოდა მოტომეს, ხეიტაროს სიკვდილში თავს დამნაშავედ თუ გრძნობდა. საჭურველმტვირთველად წასვლა მოითხოვა აგრეთვე ერთმა სამურაიმ, ცუძაკი საკონმა, მოტომეს ძმადნაფიცმა.

რადგან ეს არ იყო ჩვეულებრივი შემთხვევა, თავადმა ცუნატოსიმ შეიწყნარა ძინდაიუს თხოვნა, მაგრამ საკონი არ გაუშვა.

მოტომემ ძინდაიუსა და კისაბუროსთან ერთად წესი აუგო გარდაცვლილ ხეიტაროს და დატოვა კუმამოტოს ციხე-გალავანი, სადაც უკვე ცვივოდნენ ალუბლის ყვავილები.

## 1

ცუძაკი საკონი, რომელსაც უარი უთხრეს საჭურველმტვირთველად გამგზავრებაზე, რამდენიმე დღე სახლიდან არ გამოსულა. მას სწყინდა, რომ მოტომესთან დადებული ძმადნაფიცობის ხელშეკრულება ფარატინა ქალაქად იქცა. აწვალებდა ფიქრიც, ვაი თუ ამხანაგების დასაცინი გამხდარიყო. მაგრამ ყველაზე უფრო შფოთავდა იმის გამო, რომ მისი მეგობარი მოტომე მხოლოდ ძინდაიუსს უნდა მიხდობოდა. და აი, იმ ღამით, როცა სამმა შურისმგებელმა დასტოვა კუმამოტო, იგი მშობლების იდუმალ წავიდა სახლიდან, რათა აღევნებოდა თავის ძმადნაფიცსა და მის მხლებელს ძინდაიუსს.

პროვინციის საზღვარზევე მთებში დაეწია მათ. მგზავრები ამ დროს საფოსტო სადგურის ერთ დუქანში ისვენებდნენ. საკონი ხელგანრთხმით შე-

ევდრა ძინდაიუს, მეც თქვენთან ერთად წამიყოლეთო. მკაცრად დაუხვდა ძინდაიუს: „იქნებ გგონია, არაფერი გამეგებოდეს მხედრულ საქმეში?“ არ ეტყობოდა, ადვილად დათანხმებულიყო. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა მოღბა, გვერდულად გადახედა მოტომეს, კისაბუროს შუამავლობამაც თითქოს გასჭრა. და ძინდაიუს ნება დართო საკონს წაპყოლოდა მათ. ქალივით ნაზი მოტომე, რომელსაც ჯერ რძე არ შეშრობოდა პირზე, სიხარულს ვერ მალავდა. ხოლო საკონს თვალები ცრემლებით ევსებოდა და მადლიერად უხვდიდა კისაბუროს.

ოთხივე თანამგზავრმა იცოდა, რომ ასანოს კლანში ხეიოს უმცროსი და ჰყავდა გათხოვილი. ამიტომ უპირველეს ყოვლისა გადალახეს მოძიგასეკის სრუტე და დაადგნენ ტიუგოკუს შორეულ გზას ხიროსიმას ციხე-გალავნისკენ. მაგრამ იქ მისვლისთანავე სამურაების სახლში მომუშავე ერთი მკერავი ქალისაგან შეიტყვეს, რომ ხეიოს მცირე ხანი დაუყვია ხიროსიმაში, შემდეგ უჩუმრად მაცუიამაში გადასულა, სადაც მის სიძეს ნაცნობი ჰყოლია. ამიტომ მგზავრები დაუყოვნებლივ დასხდნენ ხომალდზე და ამ გაგანია ზაფხულში, კამბუნის მეშვიდე წელს უხიფათოდ მიადგნენ მაცუიამას ციხე-გალავანს.

მაცუიამაში ოთხთავემ სახე ამიგასათი დაიფარეს და აქეთ-იქით იწყეს ხეტიალი, ეგების სადმე მტრის კვალს წავაწყდეთო. მაგრამ ეტყობა ფრთხილობდა ხეიო და ადვილი არ იყო მისი სამყოფელის მიგნება. ერთხელ საკონმა დალანდა მოხეტიალე შემლოცველის სამოსში გადაცმული კაცი, ხეიოს მიაგვანა იგი, დიდხანს უთვალთვალებდა, მაგრამ ბოლოს ეს კაცი აღმოჩნდა სულ სხვა ვინმე, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონია ხეიოსთან. ამასობაში დაუბერა შემოდგომის ქარმა და სამურაების სარკმელების წინ, ხშირი ბალახით დაფარული ბლისკინებიდან წყალი გზებზე გადაიღვარა. ამის გამო ოთხი მგზავრის გული მოუთმენლობამ შეიპყრო. განსაკუთრებით საკონს სწაღდა მტერთან შეხვედრა. თითქმის ყოველ ღროს, დღითა და ღამით, დაეხეტებოდა იგი მაცუიამას შუკებში და ზვერავედა თვითვეულ გამვლელს. გულს ეღვა, პირველს ჩაეცა შურისგების მახვილი. ძინდაიუს რომ დაესწრო მისთვის, მისი მხედრული ღირსება საბოლოოდ შეილახებოდა: მან ხომ ყველაფერი მიატოვა ამ ქვეყნად, სახლკარიცა და პატრონიც. ეს ფიქრი აწვალებდა საკონს.

ერთხელ, მაცუიამაში მისვლიდან ორი თვის შემდეგ, ზღვის ნაპირზე მიმავალმა საკონმა შეამჩნია ყოველმხრივ დახურული გავალაკი, რომელსაც ორი ქაბუკი მსახური ახლდა. მხლებელნი ნავს ამზადებდნენ და თან მეთევზეებს აჩქარებდნენ. როცა სამზადისს მორჩნენ, გავალაკიდან გადმოვიდა ერთი სამურაი. თუმცა მან სასწრაფოდ ჩამოიფარა ამიგასა, მაგრამ წამიერად გაელვებულ სახეში საკონმა სენუმა ხეიო შეიცნო. ერთხანს შეყოყმანდა საკონი: ებ, სად არისო ახლა მოტომე, მაგრამ თუ ხეიოს აქვე არ მოკლავს, იგი კვლავ სადმე გადაიმალება. და თუ ზღვაში გავიდა, ვინლა შეაჩერებს? არა, მოცდა არ ეგების. ერთაბრძოლაში უნდა გამოიხმოს.

ერთ წამში გაუელვა ამ აზრმა. არც უფიქრია ბრძოლის სამზადისზე, ჩამოიგლიჯა ამიგასა და შესძახა: „სენუმა ხეიო! ცუდაკი საკონი ვარ, კონო მოტომეს ძმაუნაფიცი და საჭურველმტვირთველი. ვერა მცნობ?“ იმას კი ამიგასაც არ აუხდია, არც შერხეულა. მხოლოდ მოიხედა საკონისკენ და მშვიდად უთხრა: „აჩქარებულხარ! ვინმე სხვაში ნუ გეშლები“. უცაბედად შედგა გაწბი-

ლებული საკონი. იმწამსვე სამურაის ხელი მისწვდა მაზვილის ვადას და საკონი საშინელმა დარტყმამ ძირს დაანარცხა. ისლა მოასწრო ქვედაცემულმა საკონმა, რომ დაბლა ჩამოშვებულ ამიგასას ქვეშ ცხადად გაერჩია ხეიოს სახე.

2



საკონის მოულოდნელი მკვლელობის შემდეგ, დანარჩენი სასიძველემეგზური სრული ორი წელი ხეტიალობდა მტრის საძებრად. მათ თითქმის შთელი ტოკაიდო მოვლეს, მაგრამ ვერა და ვერ მიაგნეს ხეიოს კვალს.

დადგა კამბუნის მეცხრე წლის შემოდგომა. მგზავრები გაპყვნენ გადამფრენ გარეულ იხვებს და მიაღწიეს ედოს სანახებს. იმედოვნებდნენ, ეგების ხმაურიან ედოში, სადაც მრავლად იყო მოხუციც და ახალგაზრდაც, აზნაურიცა და უაზნოც, გაეგოთ მტრის ამბავი.

უპირველეს ყოვლისა სასტუმროში დაბინავდნენ, კანადას ერთ-ერთ შიდა ქუჩაზე. შემდეგ ძინდაიუმ მოხეტიალე სამურაის სახე მიიღო, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და სიმღერით ირჩენდა თავს. მოტომე მეწვრილმანედ გადაიქცა და ზურგზე კალათამოკიდებული ეზო-ეზო დახეტიალობდა. ხოლო კისაბურო ერთ დიდებულს ხამლების მტვირთველად დაუდგა.

მოტომე და ძინდაიუ დღე ცისმარე ქალაქში დაწინწალებდნენ. გამოცდილი ძინდაიუ, რომელიც გასამრჯელოს დაფლეთილი მარათი აგროვებდა, ბეჯითად ზვერაგდა ყოველ დუქანსა და სამიკიტნოს. მან არ იცოდა რა იყო დაღლა. მაგრამ ჭაბუკი მოტომეს გული შემოდგომის ნათელ დღეებშიც კი, როცა იგი ნიხონბასიზე ჩაივლიდა ხოლმე, უფრო და უფრო ღონდებოდა უიმედობით. ეჩვენებოდა, რომ საბოლოოდ მთელი მათი ცდა მტერზე შურისგებისა ფუჭად ჩაივლიდა.

ამასობაში ცუკუბას მთიდან დაუბერა შემოდგომის ქარმა, სუსხიანი დღეები დაიჭირა და ერთ მშვენიერ დღეს მოტომე გაცივდა. დროდადრო სიცხეს აძლევდა. მაგრამ ცხელების მიუხედავად იგი კვლავინდებურად ზურგზე კალათამოკიდებული გამოდიოდა სავაჭროდ. ძინდაიუ კისაბუროსთან შეხვედრისას აქებდა მოტომეს გამძლეობას. ერთგულ მსახურს თვალეზი ცრემლებით ეგსებოდა. მაგრამ ვერცერთი ვერ ამჩნევდა მოტომეს ჩუმ ნალველს, რასთანაც არადჩასაგდები იყო მისი სწეულება.

დადგა კამბუნის მეცხრე წლის გაზაფხული. იმ ხანად მოტომემ ჩუმჩუმად იოსიფარას საროსკიბოში იწყო სიარული. იქ დაუახლოვდა ვინმე კაედეს, ასულს იძუმიას სახლიდან, ე. წ. „მეორე რანგის მეძავს“. არა მხოლოდ მოვალეობის გამო ექცეოდა სინაზით ეს ქალი მოტომეს. კაედესთან მოალერსე მოტომეს მცირე ხნით მაინც უკუეყრებოდა სულის დამთრგუნველი სევდა.

ერთხელ, როცა ყველას პირზე ეკერა სიბუიას აყვავილებული ალუბლები, კაედეს გულითადობით აღძრულმა მოტომემ უამბო ქალს შურისძიების ამბავი. და მისდა მოულოდნელად ქალისაგან შეიტყო, რომ თურმე ხეიოს შენაგვანი ერთი სამურაი მაცუიას ტომის სამურაების თანხლებით იძუმიასი სალაღობოდ მოსულა. კაედე წილად იმ სამურაის ხედომია და საბედნიეროდ კარგად ახსოვდა მისი გარეგნობა და აღკაზმულობა. კიდევ მეტი: მათი საუბრიდან უნებლიედ შეიტყო, რომ ორ-სამ დღეში ამ სამურაებს უნდა დაეტოვე-

ზინათ ედო და მაცუიას გამგზავრებულიყვნენ. დილად გაიხარა მოტომემ. მაგრამ იმ ფიქრმა, რომ მტრის კვალზე ადევნებული ვეღარ მობრუნდებოდა ედოს და კაედესაც სამუდამოდ გაეყრებოდა, გუნება მოუწამლა. იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტად დათვრა. ხოლო სასტუმროში დაბრუნებისას ყელიდან სისხლი ამოსკდა.

მეორე დღიდანვე ჩაწვა მოტომე. მაგრამ რატომღაც ვერ ვხედავთ, რატომღაც ვერ ვხედავთ, რომ მან თითქმის მიაგნო მტრის ადგილსამყოფელს. ძნელად უნდა ვხედავთ, რად დადიოდა სამათხოვროდ და თავისუფალ ღრის ავადყოფს უვლიდა. და აი, ერთხელ, როცა მან შემოიარა ფუკიას ქუჩის ბალაგანები, საღამოთი სასტუმროში დაბრუნებულს დახვდა საკუთარი ხელით განგმირული მოტომე. იგი ანთებულ ლამპართან იწვა, კბილებში წერილი ჰქონდა გაჩრილი. თავზარდაცემულმა ძინდაიუმ ქალაღი გაშალა. წერილში მტრის ამბავი და თვითმკვლელობის მიზეზი ეწერა: „მე დავუძღურდი, სენი ნერევა, მტერზე შურისგების იმედი გადამიწყდა.“ სისხლით შეთხვრილ წერილში იღვა მეორე წერილიც. ძინდაიუმ სწრაფად გადაიკითხა ნაწერი, შემდეგ ფრთხილად მოსწია ლამპარი და წერილი ცეცხლს მისცა. აღმა ქალაღი აიტაცა და წამიერად განათა ძინდაიუს მოღრუბლული სახე.

ეს იყო სააქოსა და საიქიოში ერთად ყოფნის ხელშეკრულება, რომელიც მოტომემ ამ წლის გაზაფხულზე კაედესთან შეკრა.

3

კამბუნის მეათე წლის ზაფხულზე ძინდაიუმ და კისაბურომ მიაღწიეს მაცუიას გაღაფანს. როცა ოხასის ხიდზე შედგეს ფეხი და ცამდე აღმართულ ღრუბლიან მწვერვალებს გაჰხედეს, მათი გული აღაფრთოვანა ამ დიდებულმა სანახაობამ, და გაიფიქრეს: მას მერე, რაც დავტოვეთ მშობლიური კუმამოტო, მეოთხე ზაფხულს ვეგებებით უკვე.

მალე კეხასის ხიდის მახლობელ ფუნდუკში ჩამოხდნენ და მეორე დღიდანვე შეუდგნენ მტრის ძებნას.

შემოდგომის პირზე მათ შეიტყვეს, რომ სამურაი ონტი კოძაემონის სახლში, რომელიც თავად მაცუდაირას ვასალებს მხედრულ საქმეში წერთნიდა, იმალებოდა ხეიოს შენაგვანი ერთი სამურაი. ორთავ გაიფიქრეს: როგორც იქნა მივალწიეთო მიზანს. ბრაზითა და სიხარულით ფეთქდა ძინდაიუს გული: ამიერიდან ხეიო მხოლოდ ხეიტაროს მტერი როდი იყო, საკონის მტერიც იყო იგი, მოტომეს მტერიც. მაგრამ ხეიო უფრო მეტად ძინდაიუს დაუძინებელ მტრად იქცა, მტრად, რომელმაც სამი ფათერაკიანი წელი ვაატარებინა მას. ამის გაფიქრებისას ძინდაიუ, — თუმცა მუდამ მშვიდსა და აუჩქარებელს ეს არ შეპფეროდა, — მზად იყო სახლში შეეარღნოდა ონტის და ბრძოლაში ჩაბმულიყო.

მაგრამ ონტი კოძაემონი მთელს სანიდოში პირველი მოხმალავე იყო. ამას გარდა მას მრავალი ერთგული მოწაფე ჰყავდა. ამიტომ ძინდაიუს უნდა მოეთმინა, ვიდრე ხეიო მარტოდმარტო არ გამოვიდოდა სახლიდან.

ვერა და ვერ მოიხელთა ასეთი შემთხვევა: არც დღისით და არც ღამით



სახლიდან არ გამოდიოდა ხეიო. ამასობაში მათი ფუნდუკის ბაღში მურტის შტოებს ყვავილები დასცვივდა და ქვებზე არეკლილი მზის სხივები უფრო და უფრო მკრთალდებოდა. ამ დამაღონებელ ლოდინში შეხვდნენ ისინი საკონის მკვლელობის წლისთავს. საღამო ხანს კისაბურო წავიდა მახლობელ ტაძარში და საკონის სულის მოსახსენებელი წესი დაუკვეთა. როგორ გაბტვიფრდა, როცა იქ საკონისა და ხეიტაროს სახელებით წარწერილი მოსახსენებელი დაფები დახვდა! წირვის შემდეგ კისაბურომ სხვათა შორის გვერდით დაჯდნის ამ დაფების ამბავი უფრო მეტად გააოცა იგი ბერის პასუხისმგებლობის მლოცველის, ონტი კობაქემონის ერთ-ერთი დაახლოებული პირი თვეში ორჯერ, ამ მიცვალებულთა სიკვდილის დღეს, მოდის აქ და მათ სულებს მოიხსენებს. „დღესაც აქ იყო“ — გულუბრყვილოდ დასძინა ბერმა.

ტაძრიდან გამოსულმა კისაბურომ თითქოს იგრძნო, როგორ შეემატა მას განსვენებული მამა-შვილის, კონოსა და საკონის სულიერი ძალა.

ძინდაიუმ სიხარულით მოისმინა კისაბუროს ნაამბობი. უხაროდა, რომ ბედი, როგორც იქნა, მათკენ შემოტრიალდა, მაგრამ ბრახობდა კიდევ: როგორ ვერ შევამჩნიეთ, თუ ხეიო ამ ტაძარში დადიოდაო. „რვა დღის შემდეგ ჩემი მოხუცი ბატონის გარდაცვალების დღეა. სწორედ ამ დღეს მოგვიწევს შურისგება. აქ გადაწყდება ჩვენი ბედიც!“ ამ სიტყვებით დაასრულა კისაბურომ სასიხარულო ამბავი.

ძინდაიუსაც აღელვებდა ეს აზრი. მაგრამ არც ერთს არ უფიქრია, თუ რა ამბავი ტრიალებდა ხეიოს გულში, როდესაც იგი დროდადრო მათ მიცვალებულებს მოსახსენებელ წესს უგებდა.

ახლოვდებოდა ხეიტაროს გარდაცვალების დღე. ორივენი ლესავდნენ მახვილებს და მშვიდად ელოდნენ სანატრელ ჟამს. ექვი არ იყო, ვერაფერი დააბრკოლებდა შურისგებას. ძინდაიუ იმაზეც კი ფიქრობდა, როგორ უნდა მიმალულიყვნენ ვალის აღსრულების შემდეგ.

დაბოლოს დადგა ეს დღეც. მზის ამოსვლამდე ლამპრის შუქზე შეიკაზმნენ. ძინდაიუმ ირისის ყვავილებით დატვიფრული ტყავის შარვალი და მტკიცედ ნაქსოვი შავი ჩესუჩის კურტაკი ჩაიცვა, კურტაკს ზემოთ ამავე ქსოვილის ხაორი მოისხა, რომელზეც საგვარეულო ღერბები იყო გამოსახული. წელზე შეიბა ხასებე ნორინაგას გამოწედილი დიდი ხმალი და ერთიც მომცრო ხმალი, რაი კუმიტოსის ნახელავი. კისაბუროს არ ჰქონდა ხაორი, მაგრამ ტანთ უბრალო და მსუბუქი მოსასხამი მოისხა. გადაპკრეს თითო ცივი საკე, მეფუნდუკესთან ამ დღის ანგარიში გაასწორეს და ხალისიანად გავიდნენ კარში.

ქუჩა ჯერ კიდევ უკაცრიელი იყო. მაინც ჩამოიფარეს ამივასა და ნაცნობი ტაძრის კარიბჭისაკენ გაემართნენ. მაგრამ ორი კვარტალიც არ გაეულოთ, რომ ძინდაიუ უეცრად შეჩერდა და თქვა. „მოიცა! მეფუნდუკეს ხურდა არ დაუბრუნებია. წავალ და იმ ოთხ მონას გამოვართმევ“. არ მოეწონა ეს კისაბუროს: „რა ოხრად გინდა ის ოთხი მონა? განა ამისთვის ღირს გაბრუნება?“ გული არ უთმენდა სეკონის ტაძრამდე კისაბუროს. მაგრამ ძინდაიუ სხვას ფიქრობდა: „ხურდის დარდი არ მაქვს. ქვეყნის აღსასრულამდე ვერ მოვიანებ ამ სირცხვილს: სამურაი ტაოკა ძინდაიუ ისე აღელვებულა შურისგების წინ, რომ თურმე მეფუნდუკესთან გასწორებისას ანგარიში შეშლიათ. შენ წადი. მე კი ფუნდუკში გავბრუნდები“. ეს თქვა და უკან შეტრიალდა. ძინდაიუს გულშეუძ-

რაობით გაოცებული კისაბურო მარტოდმარტო გაემართა შურისგების ადგილისაკენ.

სულ მალე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ტაძრის კარიბჭესთან. იმ დღეს მსუბუქი ღრუბლები დაცურავდნენ ცაში, მზის მკრთალი შუქი ანათებდა მათ, ხანგამოშვებით უსიამოდ ცრიდა. თვითვეული მათგანი კარიბჭის სხვადასხვა მხარეს მიჰყვებოდა გალავანს, რომლის თავზე უკვე ცვივოდა უნაბის გაყვითლებული ფოთლები.

შუადღემ მოაწია, მაგრამ ხეიო არ ჩანდა. კისაბურომ მოითმინა და მეკარეს ჰკითხა, თუ მოვათ დღეს ხეიო. მეკარესაც უკვირდა, რომ იგი რატომღაც არ მოდიოდა.

სუნთქვაშეკრულნი იდგნენ ისინი ტაძრის გალავანთან. ამასობაში დრო უწყალოდ გადიოდა. მწუხრის ჩრდილები დაეფინენ მილამოს, ჰაერში გაიშალა უნაბის ხეებზე შემომსხდარი ყვავების ჩხავილი. ლოდინით შელონებულნი კისაბურო მიუახლოვდა ძინდაიუს და წასჩურჩულა, თნტის სახლისათვის ხომ არ მიმეკითხაო. ძინდაიუმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

მალე ტაძრის კარიბჭის ზემოთ ღრუბელთა შორის აქა-იქ აკიაფდნენ მეჩხერი ვარსკვლავები. გალავანს მიყრდნობილი ძინდაიუ შეუპოვრად ელოდა ხეიოს. ვაითუ შეიტყო ხეიომ, რომ მას მტრები ჩასაფრებიან და იქნებ გვიან ღამით შეუჩნევლად მოვიდეს ტაძარში?

ბოლოს ზარმა ღამის პირველი ეკამი მოასწავა. შემდეგ დარეკა მეორე ეკამა. ღამის ცვარით დასველებული შურისმგებელნი არ შორდებოდნენ ტაძარს.

არა და არ მოვიდა ხეიო.

## კვანძის გახსნა

ძინდაიუ და კისაბურო სხვა ფუნდუკში გადავიდნენ და კვლავ იწყეს ხეიოს ძებნა. გამოხდა ხანი და ერთ ღამეს ძინდაიუს საშინელი გულისრევა და ფაღარათი აუტყდა. შეშფოთებული კისაბურო ის იყო ექიმის მოსაყვანად უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ძინდაიუმ არ გაუშვა. ეშინოდა, უდროოდ არ გამჟღავნებულიყო მათი საქმე.

მთელი დღე საწოლში იწვა ძინდაიუ, აფთიაქში ნაყიდი წამლის ამარა. მაგრამ გულისრევამ და ფაღარათმა არ გაუარა. ბოლოს კისაბურომ ვეღარ აიტანა ყოველივე ამის გულგრილად ცქერა და, როგორც იქნა, ექიმის მოყვანაზე დაიყოლია ავადმყოფი. კისაბუროს თხოვნით შეფუნდუკემ გამოიძახა ამ ადგილებში სახელგანთქმული ექიმი მარუკი რანტაი.

რანტაი თვით მოხუცი მუკაი რეირანის მოწაფე იყო და საუკეთესო მკურნალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. გარდა ამისა, ნამდვილ სამურაისავით ცხოვრობდა: დღე და ღამე სვამდა და ფულზე სულაც არ ფიქრობდა. ამიტომაც ყველანი მასთან მიდიოდნენ სამკურნალოდ: კლანის უწარხინებულესი ვასალებიცა და უპოვარი პარიებიც.

რანტაის ავადმყოფისათვის მაჯაც არ გაუსინჯავს, ისე გამოიცნო მისი სენი. მაგრამ ვერც ამ სახელოვანი ექიმის წამლებმა უშველეს სნეულს. კისაბურო თავს ევლებოდა ძინდაიუს, თან ღმერთებს მის განკურნებას შესთხოვდა.

ხოლო თვით სნეული მთელი დაუსრულებელი ღამეები ისუნთქავდა ნახარში ბალახების ორთქლს და მხურვალედ ლოცულობდა, რათა როგორმე გაეტანა თავი დათქმული სურვილის აღსრულებამდე.

ამასობაში შემოდგომაც იწყებოდა. წამალზე დამავალი კისაბურო ხშირად აყოლებდა თვალს გადამფრენი ფრინველების მწყრევს, რომლებიც სერავდნენ შემოდგომის უიმედო ზეცას. და აი, ერთხელ მკურნალ რანტაის სახლის წინკარში იგი შეეყარა სამურაის ერთ მსახურს, რომელმაც რანტაისთან მასავით წამლისათვის მოსულიყო. კისაბურო იმწამსვე მინებდა, ავადმყოფი სამურაი ონტი კოძემონის სახლიდან უნდა ყოფილიყო. როდესაც მსახური წავიდა, კისაბურო მიუბრუნდა ნაცნობ მოწაფეს და ჰკითხა: „ხედავ, ისეთი ვაჟკაციც კი, როგორც ონტი კოძემონია, ვერ ასცდენია ამ სენს. „არა, ონტი-დონო არ არის ავად, მის სახლში ჩამომხდარი სტუმარია ავად“. ასე მიუგო გულუბრყვილო მოწაფემ.

ამიერიდან წამალზე მიმავალი კისაბურო ცდილობდა როგორმე გაეგო ხეიოს ამბავი. თანდათან ყველაფერი გამოწვლილვით გამოიკითხა, და აღმოჩნდა, რომ იმ დღიდან, როდესაც მას გალავანთან ელოდებოდნენ, ხეიოს იგივე სენი შეჰყრია, რაც ძინდაიუს. ცხადი გახდა, რატომ არ მოვიდა იმ დღეს ხეიო სეკონის ტაძარში. როდესაც ძინდაიუმ ეს ამბავი შეიტყო, კიდევ უფრო გაუჟმწარდა სნეულება. ხეიო რომ მოკვდეს, როგორღა მოახერხოს ძინდაიუმ სისხლის აღება. კიდევ რომ გადარჩეს ხეიო, ხოლო ძინდაიუ სიცოცხლეს განოესალმოს, ხომ ამაოდ ჩაუვლის ამდენი წლის წვალება. ძინდაიუ ღრღნიდა სასთუმალს და განკურნებას შესთხოვდა ღმერთებს. ამასთანავე არ შეეძლო არ ელოცა თავისი მტრის, სენუმა ხეიოს გადარჩენისათვის.

მაგრამ ბედი ბოლომდე სასტიკი აღმოჩნდა ტაოკა ძინდაიუს მიმართ. სენი დღითი დღე ძლიერდებოდა, ვერ შველიდა რანტაის წამალი. დღეს თუ ხვალ აღსასრული უნდა დამდგარიყო. მწარედ გატანჯულს ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა შურისგების ვალი. კისაბუროს მომაკვდავის კვნესასთან ერთად ეს სიტყვებიც ესმოდა: „ჰოი, ბოდისატვა ხატიმან!“ ერთხელ ღამით, როდესაც კისაბურო წესისამებრ წამლობდა სნეულს, ძინდაიუ მიაშტერდა მას და ამოიკვნესა: „კისაბურო!“ სული მოითქვა და განაგრძო: „გასრულდა ჩემი სიცოცხლე“. კისაბურო ხელებით დაყრდნობოდა ფარდას და თავის აწევის ღონეც კი მიხდოდა.

მეორე დღეს რალაც ფიქრმა გაუელვა ძინდაიუს და კისაბურო ეჭიმის მოსაყვანად გაგზავნა. საკეს სუნით გაქედნთილი, ნამთვრალევი რანტაი დაუყოვნებლივ მოვიდა ავადმყოფთან. „მადლი მომიხსენებია ესდენი მზრუნველობისათვის“, — ძლივს აღმოთქვა ძინდაიუმ და საწოლიდან წამოიწია. „მაგრამ ვიდრე სული მიდგას, ერთი რამ მინდა გკითხოთ. მომისმინეთ?“ რანტაიმ მზადყოფნის ნიშნად თავი დაუქნია. და ძინდაიუმ ხვნეშით უამბო მკურნალს იმ შურისგების ამბავი, რისთვისაც ზვერავედნენ სენუმა ხეიოს. ძლივს ისმოდა მისი ხმა, მაგრამ ყოველი სიტყვა ამ გრძელ მონათხრობში ღირსეულად ეღერდა. რანტაის წარბები აეჭაჩა და დიდი გულისყურით უსმენდა. ძინდაიუმ თხრობა დაამთავრა და ქოშინით იკითხა: „უკანასკნელად ეს მინდა ვიცოდე: რა დღეშია ხეიო? ცოცხალია თუ არა?“ კისაბურო უკვე ტიროდა. რანტაისაც ვერ შეეკავებინა ცრემლი. იგი დაიხარა სულთმობრძავეისაკენ და ყურში

წასჩურჩულა: „მშვიდად იყავით, ხეიო-დონა გარდაიცვალა. დღეს დილით ვეფხვის ქამს მე მოწმე გავბდი მისი სიკვდილის“. ძინდაიუს მწარე ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ამავე დროს ჩანომხმარ ლოყაზე ცივად აუკიაფდა ობოლი ცრემლი. „ხეიო! ხეიო! კურთხეული ყოფილა შენი ღმერთი“. ხალვლიანად წაილულულა ძინდაიუმ და თითქოს რანტაისადმი მადლობის ნიშნად საწოლზე დახარა გაბურძგნილი თავი.

და გათავდა.

კამბუნის მეათე წელს, მთვარის კალენდრით მეათე თვის მიწურულში, მსახური კისაბურო გამოეთხოვა რანტაის და მშობლიური კუშამოტოს გზას დააღვა. სამგზავრო გუდაში ეწყო სამი კაცი — საკონის, მოტომესა და ძინდაიუს — თმების ბლუჯა.

### ეპილოგი

კამბუნის მეთერთმეტე წლის პირველ თვეში სეკონის ტაძრის სასაფლაოზე მიცვალებულთა სამახსოვროდ ოთხი ფილა დადგეს. მათი დამდგმელი გულმოდგინედ იმალებოდა და არვინ იცოდა, ვინ უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ როცა ეს ფილები უკვე დადგმული იყო, დილაადრიანად ტაძრის კარიბჭეში შემოვიდა ბერად გადაცმული ორი კაცი, ქლიავის აყვავებული რტოები ეჭირათ ხელში. ერთი მათგანი გახლდათ ამ ქალაქში განთქმული მკურნალი მარუკი რანტაი. მეორე კი — სნებაშეყრილი, საწყალობელი სახის კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა სამურაის იერი. მოსულებმა ქლიავის რტოები ფილებზე დააწყვეს. მერმე ოთხივე ფილას ნაკურთხი წყალი ასხურეს და წავიდნენ.

გამოხდა ხანი. ობაკუს ტაძარში წმიდა ერინის დღესასწაულზე გამოჩნდა მოხეტიალე ბერი, იმ სნებაშეყრილი ბერის შენაგვანი, რომელმაც მაშინ, წლების წინათ, ხსენებულ ოთხი ფილა მოინახულა. გარდა იმისა, რომ მისი ბერული სახელი იყო ძიუნკაკუ, მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

## მკვლავის რჩევა

ღამის ღარაჯი ღიდ კოშკიდან გამოღის გარეთ —  
გასცქერის საფლავთ, განლაგებულთ უამრავ მწკრივად,  
შუალამეა, ლაყვარდ ციდან ანათებს მთვარე —  
და არემარე მზით ელვარე ღღესავით ბრწყინავს.  
უცებ შეიჩხნენ ხავსმოდებულ საფლავთა ჯვრები  
და კუბოებით ამოვიდნენ ურიცხვი მკვდრები,  
თეთრი სუღარა ტანთ აცვიათ გრძელი და სრული.

ყრმა თუ მოხუცი, ღარიბი თუ მღაღარი, მყისვე,  
წელში გასწორდა, ლხინ-ზეიმის გულით მსურველი.  
მოავლეს რკალი, საცეკვაოდ შეჯგუფდნენ მტკიცედ,  
მაგრამ ხედავენ, რომ აბრკოლებთ სუღარა გრძელი.  
წამით შეჩერდნენ, განიძარცვეს ტანთ თეთრეული, —  
და იწყეს როკვა, საოცარი, ტიტველ სხეულით.  
არ აწუხებდათ ნატამალი სირცხვილ-ნამუსის.

არის ტორტმანი და ფეხების ტრიალი სწრაფი,  
ღაღმანჭულია საზიზღარი მათი იერი,  
ისმის ჩხრიალი საზარელი, ჟღარუნი მძაფრი,  
თითქოს ერთმანეთს შეშას სცემდეს ხელი ძლიერი.  
კოშკის ღარაჯი კი დაცინვით უცქერს ამ სურათს,  
ამ ღროს მას ყურში ჩასჩურჩულა ერთმა მაცთურად:  
— „წადი, აიღე შენთვის ერთი ტანსაბურველი!“

მყისვე აიღო, მიაშურა ღიდ კოშკის კარებს  
და წმინდა ჭერქვეშ ჰპოვა მყუდრო თავშესაფარი.

ყრუ სასაფლაოს კვლავ დანათის პირბადრი მთვარე,  
 სადაც გრძელდება ტიტველ მკვდართა როკვა საზარი.  
 წუთიც და შესდგნენ, განცალკევდნენ, გეზი იცვალეს,  
 ტანსაბურველი ჩაიცვეს და მიჭფარდნენ თვალებს,  
 ისევ ეწვივნენ მიტოვებულ შავბნელ სამარეს.



დაბორიალებს მხოლოდ ერთი, მარტოდ შეტყნის მუხის  
 სამარის ლოდებს ეჯახება, დახტის, ტრიალებს,  
 ტანსაცმელს ეძებს, სახემკრთალი და მოწყენილი,  
 უცებ შენიშნავს, მისი ფლასი კოშკზე ფრიალებს  
 და სწვდება წამსვე წმინდა კოშკის ბრწყინვალე კარებს.  
 დარაჯის ბედად მას ახლოსაც არ გაიკარებს  
 კარები იგი, მოელვარე ლითონის ჯვრებით.

ეძებს სუდარას, არ ისვენებს ლანდი ვნებული,  
 ბევრი ფიქრისაც აღარა აქვს მას დრო და ძალი,  
 გოთურ სამკაულს ხელს ჩასჭიდებს განრისხებული  
 და ქონგურიდან ქონგურებზე მიძვრება მალვით.  
 ბეწვზე ჰკიდია უკვე საწყალ დარაჯის ბედი,  
 სულ წინ მიიწევს, მალლა ადის იგი თავზედი,  
 მსგავსად გრძელფეხა ობობასი ქსელს მისდევს თითქოს.

დარაჯი ღელავს. მოთმინების ძალი ელევა,  
 მზად არის მყისვე დაუბრუნოს მკვდარს ტანსაცმელი.  
 მკვდარი კი სწორედ ამ წუთში გრძნობს ბედნიერებას —  
 უკვე ჩაბლუჯა წმინდა კოშკის წვეტი ნათელი.  
 მთვარე დაბნელდა და გამეფდა ირგვლივ ბნელეთი,  
 საათის ზარმა მძლავრ გუგუნით შემოჰკრა: ერთი —  
 და ძირს დაიმსხვრა ჩონჩხი იგი — მიუსაფარი!

ინგლისურიდან თარგმნა  
ფატი ბაგაშვილაშვილმა

## მკითხველი საზოგადოება

(წიგნის ერთ მაღაზიაში მიღებული შთაბეჭდილება)

— წიგნების დათვალიერება გნებავთ? ინებეთ, სერ, — თქვა მან. მოწიწებთ ხელები მოიფშვნიტა და სათვალედან გამჭვალავი მზერა მოჰაპყრო.

— თქვენთვის ბევრ საინტერესო რამეს ნახავთ, — განაგრძო მან, — მიბრძანდით მაღაზიის უკანა მხარეს, მარცხნივ; მიღებული გვაქვს ახალი გამოცემების სერია — „უნივერსალური ცოდნის ბიბლიოთეკა არისტოტელედან არტურ ბალფურამდე“, ჩვიდმეტ ცენტად თითო ტომი; ან იქნებ „განსვენებულ მწერალთა პანთეონი“ უფრო გაინტერესებთ, წიგნი ათი ცენტი ღირს.

— მისტერ სპეროუ, — გასძახა მან, — აჩვენეთ ამ ჯენტლმენს კლასიკოსების ახალ გამოცემათა ათცენტიანი სერია. — მერე ხელი დაუქნია თავის თანამემწეს და აღარც მოვგონებია.

ერთი სიტყვით, მაშინვე მიხვდა, ვინც ვიყავი. ტყუილად გავისარჯე და ვაყიდე ბროდვეიზე მონაცრისფრო-მომწვანო რბილი ფეტრის ქუდი და ხუთცენტიანი მონეტის ოდენა კოპლებით დაწინწკლული სპორტული ყელსახვევი. „მღვდელს ჭილოფში იცნობენო“ რომ იტყვიან, ისე მომივიდა. მან მაშინვე იგრძნო, ან უფრო სწორად, პროფესიული აღლოთი მიხვდა, რომ მე პროფესორი ვიყავი.

მთელს რაიონში წიგნის უდიდესი მაღაზიის დირექტორი კლიენტის გამოცნობაში არ მოტყუვდება. მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ პროფესორი მისთვის დიდად სახარბიელო არ იყო. აქ ისე შემოვედი, როგორც ყველა პროფესორი დადის ხოლმე წიგნის მაღაზიაში. ზუსტად ისე, კრაზანა მურაბის თავახდილ ქილაში რომ ჩაფრინდება. მან ისიც იცოდა, რომ აქ ერთ-ორ საათს მაინც ვიტრიალებდი, ყველა შემომსგლელს ფეხებში მოვებლანდებოდი და საბოლოოდ ისეთ იაფფასიან გამოცემას შევიძენდი, როგორცაა „პლატონის დიალოგები“ ან ჯონ მილტონის პროზაული ნაწარმოებები, ან ლოკის „ადამიანის ცნობიერების შესახებ“, ან კიდევ რაღაც ამგვარ აბდაუბდას.

რაც შეეხება ლიტერატურაში ნამდვილი გემოვნების ამბავს, ახლადგამოცემული, ძვირფასი ქრულყდიანი რომანის ღირსეულად დამფასებელი რომ არ ვიყავი, ეს მან მშვენივრად იცოდა.

ამდენად, რა თქმა უნდა, დიდად არაფრად ვეპიტნავებოდა, მაგრამ თუ პროფესორი მაღაზიაში სადღაც კუთხეში დგას და წიგნებში იქექება, ეს, როგორც წესი, ამ მაღაზიისათვის დიდი სახელია. ნამდვილ მყიდველებს ეს მოსწონთ.

ამიტომაც ისეთი თანამედროვე საქმოსანი, როგორც მისტერ სელერი, დიდი მოთმინებით იტანდა ჩემს ყოფნას სადღაც მაღაზიის კუნჭულში. სწორედ ამან მომცა საშუალება თვალყური მედევნებინა მისი საქმიანობისათვის და დაგვირგვინოდი ნამდვილ მყიდველებთან ურთიერთობის მეთოდებს. ეს მეთოდები იმდენად მარჯვე და ხელსაყრელია, რომ ყველა გამომცემლობას სამართლიანად მიაჩნია მისტერ სელერი ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ ბურჯად ამერიკაში.

აზრადაც არ მომსვლია დაუმდგარიყავი და ჯაშუშივით ყური მეგდო, სიმართლე რომ ვითხრათ, ეპიქტეტეს „მორალური ტრაქტატების“ ახალმა თარგმანმა დამაინტერესა. წიგნი შეტად ფაქიზად იყო აკინძული, კარგ ყდაში ჩასმული და თვრამეტი ცენტი ღირდა. ძალიან მიხლოდა იმწამსვე მეყიდა, თუმც მერე ვიფიქრე, უმჯობესია, წიგნი ჯერ კარგად გადავათვალიერო-მეთქი.

ვერც კი მოვასწარი პირველი სამი თავის გადახედვა, რომ ჩემი ყურადღება დახლთან გამართულმა საუბარმა მიიბყრო.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს მისი უკანასკნელი ნაწარმოებია? — ეკითხებოდა მოდურად ჩაცმული ქალი მისტერ სელერს.

— რა თქმა უნდა, მისის რესელერ, — უპასუხა დირექტორმა. — პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ეს მისი ბოლო ნაწარმოებია; მხოლოდ გუშინ მივიღეთ.

ეს რომ თქვა, მისტერ სელერმა ლურჯ-თეთრი ფერის ყდაში კოხტად ჩასმული წიგნების უშველებელ გროვაზე მიუთითა. „ოქროსფერი ოცნებები“ — ამოვიკითხე შორიდან ვეებერთელა მოვარაყებულ ასოებით დაბეჭდილი სათაური.

— დიახ, — გაიმეორა მისტერ სელერმა, — ეს მისტერ სლაშის უკანასკნელი წიგნია და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

— კეთილი, — თქვა ლედიმ, — მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც ხდება ხოლმე: გასულ კვირას თქვენთან ორი თითქოსდა კარგი წიგნი შევიძინე და სახლში მისვლამდე ვერ შევამჩნიე, რომ ორივე ძველი ყოფილიყო, დაახლოებით ექვსი თვის წინათ გამოცემული.

— ო, რას ბრძანებთ, მისის რესელერ, მოიბოდიშა მისტერ სელერმა, — უზომოდ ვწუხვარ, ნება მომეცით, ახლავე გავაგზავნო ვინმე და წიგნები შეგიცვალოთ.

— არა უშავს რა, ნუ შეწუხდებით, — უპასუხა ლედიმ, — რა თქმა უნდა, წიგნები არ წამიკითხავს, ისე მივეცი მოსამსახურეს, ის ალბათ ვერაფერს მიხვდება.

— რა თქმა უნდა, ვერა, — თქვა მისტერ სელერმა შემწყნარებლური ღიმილით; თუმცა, რასაკვირველია, ქალბატონო, — განაგრძო მან საუბარი გაქნი-



ლი ვაჭრის არხეინი კილოთი, — ხანდახან ასეთი შეცდომებიც ხდება ხოლმე. აი, თუნდაც გუშინ, მეტად საწყენი ამბავი დაგვემართა. ერთმა ჩვენმა ძველისძველმა კლიენტმა საჩქაროდ შემოგვირბინა წიგნების საყიდლად. სამოგზაუროდ მიდიოდა გემით და თან წაღება უნდოდა. სწრაფად აირჩია წიგნები, მგონი, უბრალოდ, სათაურების მიხედვით, როგორც ზოგიერთმა კენჭლემნმა იცის ხოლმე, და სანამ რასმე მოვიფიქრებდით, ორი ცალი გასულ წელს გამოცემული წიგნიც გააყოლა. მაშინვე ტელეგრამა დავადევირეთ მკვარამ, მე მგონი, უკვე გვიანაა.

— აი, ეს წიგნი, — თქვა ლედიმ, თან ყასიდად გადაფურცლა გვერდები, — რა შინაარსისაა? კარგია?

— არაჩვეულებრივად ძლიერი ნაწარმოებია, — წარმოთქვა მისტერ სელერმა, — შეიძლება ითქვას, გენიალური. კრიტიკოსები ამბობენ, ეს წიგნი შეიძლება სეზონის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნაწარმოებად ჩაითვალოსო. მას აქვს, ასე ვთქვათ... — აქ მისტერ სელერი შეჩერდა და რატომღაც მისმა საქციელმა ჩემი საკუთარი მოქმედება მომაგონა, როდესაც ვცდილობ, უნივერსიტეტში მსმენელებს ავუხსნა ის, რაც მე თვითონ არ ვიცი, — მას აქვს ღირსება, ასე ვთქვათ, არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ღირსება. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი ამ თვის შედეგურია. ამიტომაც. — განაგრძო მან და მისთვის უფრო იოლ სასაუბრო თემაზე გადაუხვია. — არაჩვეულებრივად სწრაფად საღებდა.

— გეტყობათ, საკმაოდ ბლომად გაქვთ, — თქვა ლედიმ.

— ჰო, გვაქვს, — უპასუხა დირექტორმა, მაგრამ ამ წიგნზე დიდი მოთხოვნილებაა და სწრაფად გასაღდება. ეს წიგნი უსათუოდ სენსაციას მოახდენს. უნდა ითქვას, რომ გარკვეულ წრეებში ლაპარაკია: ეს წიგნი არც უნდა გა... — აქ მისტერ სელერმა ხმას დაუწია და ისე შემპარავად დაამთავრა წინადადება, რომ მე აღარაფერი გამიგონია.

— ნუთუ მართლა! — წამოიძახა მისის რესელერმა, — რაკი ასეა, ახლავე მომეცით; ხომ უნდა იცოდეს ადამიანმა, რამ გამოიწვია ამდენი მიოქმა-მოთქმა.

მან გაისწორა ბოა, რომლითაც დახლიდან სააღდგომო ღია ბარათები გადმოხვეტა და ხელთათმანების შეკვრას შეუდგა, რომ უცბად რაღაც მოაგონდა.

— ღმერთო ჩემო, კინაღამ დამავიწყდა, — წამოიძახა მან, — თუ შეიძლება, აურჩიეთ რაიმე მისტერ რესელერს და ამასთან ერთად გამიგზავნეთ ჩემს ბინაში. დასასვენებლად აპირებს წასეღას ვირჯინიაში; თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორი წიგნები მოსწონს ჩემს ქმარს, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო, — უპასუხა დირექტორმა, მისტერ რესელერი ჩვეულებრივ კითხულობს... მგონი, უმეტესად ყიდულობს წიგნებს...

— მოგზაურობის შესახებ, — შეაგება სიტყვა ლედიმ.

— სწორედ ასეა. ვფიქრობ, მისტერ რესელერის მოსაწონი წიგნებიც გვემოვება. მერე მარცხნივ, დახლისკენ გაიშვირა ხელი და ქალს ლამაზყდიანი წიგნების მწკრივი დაანახვა. „შვიდი კვირა საპარაში“, შვიდი დოლარი; „ექვსი თვე ორთვალაში“. ზუსტად ექვს-ნახევარი, „ურემზე გატარებული დღეები“, ორი ტომი ოთხი და ოცდაათი ცენტი ღირს, ოცი ცენტის ფასდაკლებით.

— მე მგონი, ესენი წაკითხული აქვს, — თქვა მისის რესელერმა, — ყოველ შემთხვევაში, სახლში ბლომად მოგვეპოვება ამისი მსგავსი წიგნები.

— ადვილი შესაძლებელია, მაგრამ, აი, „კორფუს კაციჭამიებს შორის“, პო, მგონი, ეს უკვე აქვს, „შორის...“ მგონი, ესეც, აი, ეს კი უთუოდ მოეწონება, სწორედ ამ დილით მივიღეთ „ახალი გენეის მაიმუნებთან“, ათი დოლარი ღირს.

ეს რომ თქვა, მისტერ სელერი ხელით შეეხო ახალი წიგნების უზარმაზარ გროვას. „ოქროსფერი ოცნებების“ მსგავსად ეს წიგნებიც კარგად ბლომად ჰქონდათ დახვავებული.

— მაიმუნებთან, — თითქმის ალერსით გაიმეორა მისტერ სელერმა.  
 — ძალიან ძვირია, — თქვა ლედიმ.  
 — პო, მართლაც, ძალიან ძვირია, — უმაღლესად დარეკტორი, — ხომ ხედავთ, მისის რესელერ, რა ილუსტრაციებია, ნამდვილი ფოტოსურათები, — მან სწრაფად გადაფურცლა წიგნი, ფოტოაპარატით გადაღებული ნამდვილი მაიმუნების სურათები. ახლა ქალაქი ნახეთ, უნდა გამოგიტყდეთ, ქალბატონო, რომ თითო წიგნი ჩვენ ცხრა დოლარი და 90 ცენტი გვიზის. მოგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ წიგნით მხოლოდ სიახლოვნებისათვის ვვაჭრობთ.

ყველას აინტერესებს ჩასწვდეს წიგნის გამოცემის ტექნიკურ წვრილმანებს და უთუოდ მოსწონს, რომ წიგნის გამყიდველი ზარალობს, როგორც შევატყვე, ეს იყო მისტერ სელერის სავაჭრო მეთოდების ორი აქსიომა.

ამიტომაც, ბუნებრივია, მისის რესელერმა იყიდა „მაიმუნებს შორის“, იმავე წუთში მისტერ სელერმა უბრძანა თავის მოხელეს მეხუთე ავენიუს მისამართი ჩაეწერა, ხოლო ლედი თავის მღაბალი დაკვრით კარებამდე მიაცილა.

დახლთან დაბრუნებული მისტერ სელერი სულ სხვა ადამიანად იქცა. — ეს „მაიმუნის“ წიგნები, — გავიგონე როგორ ჩაულაპარაკა მან თავის თანაშემწეს, — როგორც ვატყობ, საქმეს გაგვიჭირებს.

მაგრამ მეტის თქმა აღარ დასცალდა.  
 მალაზიაში სხვა ლედი შემოვიდა.

მდიდრულ სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი, სევდიანი სახის ლედი რომ სენტიმენტალური ქვრივი ბრძანდებოდა, ამას მისტერ სელერზე უფრო ნაკლებ გამოცდილი ადამიანის თვალის ადვილად შეამჩნევდა.

— რაიმე ახალი ბელეტრისტიკაში? — გაიმეორა მისტერ სელერმა, — დიახ, ქალბატონო, აი საუცხოო წიგნი „ოქროსფერი ოცნებები“. ისე სათუთად წარმოთქვა მან ეს სიტყვები, თითქოს სათქმელადაც არ ემეტებო. — ძალზე მიმზიდველი და სასიამოვნო რომანია; საოცრად მიმზიდველი, კრიტიკოსები ამბობენ, ქალბატონო, რომ ეს ყველაზე უფრო სასიამოვნო საკითხავი წიგნია მისტერ სლაშის ნაწარმოებებს შორის.

— მართლა კარგია? — იკითხა ლედიმ.

თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ყველა მყიდველი ერთსა და იმავე შეკითხვას იძლეოდა.

— მომხიბლავი წიგნია, — წამოიძახა მისტერ სელერმა, — მშვენიერი ნაწარმოები, ძალზე მარტივი და მიმზიდველი, საოცრად მომხიბლავი; რეცენზიებში ასე აღნიშნავენ, ამ თვის ყველაზე უფრო მომხიბლავი წიგნიათ. წუხელის ჩემი მეუღლე ხმამაღლა კითხულობდა და ცრემლებს ძლივს იკავებდა.

— ვიმედოვნებ, სრულიად უვნებელი წიგნია, ხომ ასეა, არა? — იკითხა ქვრივმა, — ჩემი პატარა ქალიშვილისათვის ვყიდულობ.

— ო, სრულიად უვნებელი, — თქვა მისტერ სელერმა მამობრივი მზრუნველი კილოთი, — უნდა ითქვას, რომ დაწერილია ძველებური სტილით, მშვენიერი ძველი ყაიღის რომანების მსგავსად; თითქმის ისე... — აქ მისტერ სელერის შეჩერდა და, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით გადახედა ქალს, — როგორც, მაკენსის, ფილდინგის, სტერნის და სხვათა ნაწარმოებები. ამ წიგნს, ძალზე გვეჭირა მყიდველი ჰყავს სამღვდელ პირთა შორის, ქალბატონო.

ქვრივმა შეიძინა „ოქროსფერი ოცნებები“, რომელიც მას მწვანე პრიალა ქალაღში შეუხვავს, და გავიდა.

— დასვენების დროს წასაკითხი კარგი გასართობი წიგნი ხომ არა გაქვთ? — მხიარულად და რიხიანად იკითხა მალაზიაში შემოსულმა. ის შვებულებში მიმავალი მაკლერი უნდა ყოფილიყო.

— რატომაც არა, — თქვა მისტერ სელერმა და ღიმილით სახე გაებადრა, — ინებეთ, მშვენიერი რამ არის „ოქროსფერი ოცნებები“. ამ სეზონის ჩინებული იუმორისტული ნაწარმოებია. უზომოდ სასაცილო, გუშინ ჩემი მეუღლე ხმამაღლა კითხულობდა და სიცილით იგუდებოდა.

— რა ღირს, ერთი დოლარი? ერთ-ნახევარი? კეთილი, შემიხვიეთ.

დაბლზე ფული აწკრიალდა და მყიდველი მალაზიიდან გავიდა. ახლა კა მივხვდი, რა როლს ასრულებდნენ წიგნით ვაჭრობაში „ეპიქტეტეს“ თვრამეტცენტეანი გამოცემისა და „მსოფლიო ლიტერატურის“ თორმეტცენტეანი ტომის მყიდველი პროფესორები და სხვადასხვა კოლეჯების საზოგადოება.

— რით შემიძლია გემსახუროთ, ბატონო მოსამართლე, — ჰკითხა მალაზიის მფლობელმა შემდეგ მომხმარებელს, ზორბა, მედიდურ პიროვნებას, ფართოფარფლებიანი ფეტრის ქუდი რომ ეხურა. ზღვის მოთხრობები გნებავთ? ახლავე. ნამდვილად საამო საკითხავი წიგნია იმათთვის, ვისაც გონება თქვენსავით გადატვირთული აქვს. ინებეთ უახლესი გამოცემა „ახალი გვინეის მაიმუნებთან“, ათდოლარიანია. ახლა ფასდაკლებულია და ოთხ-ნახევარი დოლარი ღირს. მარტო გამოცემა დაგვიჩადა ექვს-ნახევარი დოლარი. გავყიდეთ კიდევ. გმადლობთ, ბატონო მოსამართლე, ბინაზე მოგართვათ? კეთილი, კარვად ბრძანდებოდეთ.

მყიდველები ერთიმეორის მიყოლებით შემოდითდნენ და გადიოდნენ, თუმც მალაზია წიგნებით იყო სავსე, მგონი. ათიათასზე მეტი იქნებოდა, მისტერ სელერი მხოლოდ ორს აწოდებდა მყიდველს. მალაზიაში შემოსულ ყველა ქალს მიჰქონდა „ოქროსფერი ოცნებები“, ყველა მამაკაცი ყიდულობდა „ახალი გვინეის მაიმუნებს“. ერთისთვის „ოქროსფერი ოცნებები“ დასვენების დროს საკითხავი წიგნი იყო, მეორისთვის — დასვენების შემდეგ. ერთმა იყიდა წვიმიან დღეს გასართობად, სხვამ სწორედ მზიან დარში საკითხავად. „მაიმუნები“ იყიდებოდა როგორც ზღვის მოთხრობები, ხმელეთის, ჯუნგლის, მთების მოთხრობები, ხოლო ფასი დამოკიდებული იყო მისტერ სელერის მიერ მომხმარებლის მყიდველობითი უნარიანობის შეფასებაზე.

ბოლოს, როგორც იქნა, ორსაათიანი ფაციფუცის შემდეგ მალაზია დაცარიელდა.

— უილფრიდ, — უთხრა მისტერ სელერმა თავის უფროს თანამემწეს, —

მე სასაუზმოდ მივდივარ. რაც შეგიძლია, ამ ორ წიგნს დააწევი. ერთ-ორ დღეს კიდევ გავიჭირვოთ და მერე ჯანდაბამდის გზა პქონიით, ნულარ შევიწუხებთ თავს. შევირბენ გამომცემლებთან — დოკუმთან და დისკონტთან და ამ წიგნებისთვის ერთი მაგრად შევახურობ, ვნახოთ, რას იზამენ.

ვიგრძენი, რომ აქ ყოფნა დიდხანს გამიგრძელდა. ეპიქტეტის ხელში დახლს მივუახლოვდი.

— გისმენთ, სერ, — თქვა მისტერ სელერმა, და მუხრამუნისაბოტში ჩადგა — ეპიქტეტე? მშვენიერი რამ არის. თერამეტი ცენტრი. გმადლობთ. შესაძლებელია, სხვა რამეც გვქონდეს თქვენთვის საინტერესო. რამდენიმე ბუკინისტური წიგნიც მოგვეპოვება თაროზე. იქნებ გადახედოთ კიდევ. გვაქვს არისტოტელეს ორტომეულის შესანიშნავი გამოცემა; მართალია, ძნელი წასაკითხია, მაგრამ თქვენ ალბათ მოგეწონებათ. აი, თუნდაც ციცერონი, გუშინ მივიღეთ: ჩინებული რამ არის, თუმცა ნესტიან დახიანებულია; მგონი, მაკიაველიც გვაქვს. საუცხოო წიგნია, მართალია დახეულია, და ყდაც აღარ შერჩენია, მაგრამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, სერ. თუ ამ საქმეში ჩახედული ბრძანდებით.

— არა, გმადლობთ, — ვთქვი მე, — მერე სულ უფრო მეტად შემიბყრო დაუოკებელმა ცნობისმოყვარეობამ და ველარ მოვითმინე. — აი, ის წიგნი, „ოქროსფერი ოცნებები“, — ვთქვი მე, — თქვენ, მგონი, საინტერესო ნაწარმოებად მიგაჩნიათ, არა?

მისტერ სელერმა ერთი კი გადმომხედა თავისი გამჭრიახი თვალებით. იცოდა, რომ მე ამ წიგნის მყიდველი არ ვიყავი, მაგრამ როგორც უბრალო ადამიანებს სჩვევიათ, ველარ მოითმინა და გული გადამიშალა. — წყალწაღებული საქმეა, — თქვა და თავი გააქნია. — გამომცემლებმა თავს მოგვახვიეს და ჩვენც ვცდილობთ, რა გაეწყობა; ჩიხში რომ მოექცნენ, ახლა მოგვემართეს დახმარებისათვის. დიდ რეკლამას უწევენ, თუმცა, შეიძლება კიდევ გამოუვიდეთ რამე; ძნელია იმის თქმა, რას მიადწევენ, მაგრამ, ცოტაოდენი შანსი კი აქვთ. თუ ღმერთმა ჭნა და მის წინააღმდეგ სამღვდლოება ავამხედრეთ, ხომ კარგი, თუ არადა საქმე წასულია. ეტყობა, კარგი ნაგავია...

— როგორ, თქვენ განა არ წაგიკითხავთ? — ვკითხე მე.

— ღმერთმა დამიფაროს, — წამოიძახა მისტერ სელერმა. იგი იმ მერძევს დაემსგავსა, საკუთარი წარმოების ქიქარა რომ შესთავაზეს დასალევად. — კარგი დახლი დამიდგება, ახალი წიგნები რომ ვიკითხო, ისიც შეყოფა, მათ გამოსვლას რომ თვალყურს ვადევნებ.

— კი მაგრამ, ის ხალხი, ვინც წიგნი შეიძინა, — ვთქვი დიდად შეშფოთებულმა, — ისინი ხომ წაიკითხავენ და რას იტყვიან?

მისტერ სელერმა თავი გააქნია. — ო, არა, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ისინიც არ წაიკითხავენ. რისი წამკითხველები არიან!

— მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, — აღარ მოვეშვი მე, — თქვენს მეუღლეს ხომ ძალიან მოეწონა ეს ნაწარმოები. — მისტერ სელერს გულიანად გაეცინა.


— მე უცოლო ვარ, სერ, — თქვა მან.

## გარტოსული შავი

ძველი სასახლის გაცვეთილი სათოფურიდან  
 ეხმიანება შემოგარენს შაშვი ეული  
 და მღერის, გალობს, ვიდრე დღე არ მიიწურება;  
 სანახებში საკვირველი ღვას ჰარმონია.  
 და გაზაფხული ბრწყინავს ირგვლივ,  
 ფრთაგაფოფრილი.

ზრიალებს გული, მონუსხული და მიბნედილი.  
 მე მესმის ველად მომთაბარე ჯოგის ბლავილი,  
 ვჭვრეტ: თავისუფალ ცის სივრცეში დაფარფატებენ,  
 დაფრთხილებენ მგალობელი ტყის ფრინველები.  
 კვლავ შემობრუნდა ქვეყანაზე დღესასწაული.  
 მხიარულია ფრინველების წყება ნაირი.  
 განმარტოებით უმზერ ყოველს, ჩაფიქრებული,  
 შენ აღარ გინდა მათთან ფრენა, მათთან გარევა,  
 მხიარულება შენ არ გიყვარს,  
 უცხოა შენთვის შვება, თამაში, და ასე ღუბავ  
 უკეთეს დღეებს შენი ყოფნისა.

ჰოი, რარიგად ჰგავს ერთმანეთს ჩვენი ცხოვრება!  
 შვებავ, სიამევე, — მოზეიმე თეთრი დღეების  
 უნეტარესო ნათესავო და შეინახევე, —  
 შენ, ჩემო ტრფობავ, მეგობარო გარდასულისა,  
 ხანმოთეულის ოხრავ, მხურვალევე,  
 არ ვიცი რატომ, მაგრამ თქვენთან აწ არაფერი  
 არ მაქვს საერთო; და გზად მივალ გამალებული —  
 მწირი, ეული,  
 რომ უცნაურად დაღვრემილმა და მოწყენილმა  
 გაგაცილო

დღენი ჩემი შემოდგომისა,  
 ჩემს სამშობლოში ჩვეულება სუფევს ოდიოგან,  
 დღე იზვიმონ მიმწუხრისკენ გადაზნექილი.  
 შორი ტაძრიდან მე ნაცნობი მესმის ზარის ხმა  
 და სათოფურის ბათქი მესმის შორით ხმიერი,  
 დადის ქუხილი, და კარი-კარ დაეხეტება,  **ეროვნული**  
 ერთად ირევა ბრბო ჭრელი და ხმამოყაყანე **ეროვნული**  
 და მხიარული ყმაწვილების ისმის ტკარცალი.  
 ისმის ჭრიალი. სახლებიდან გზად გამოდიან,  
 რომ ყველა ნახონ და ეჩვენონ თავადაც ყველას.  
 მე სოფლისპირა მინდვრად მივრბივარ  
 და მარტოსული დავეხეტები,  
 გულმა დიდი ხნით გადაივიწყა  
 შვება, სიამე, ოხუნჯობა, და აი, უკვე  
 მიმწუხრისწინა ჰვირვალ სივრცეში  
 ჩამავალი მზის შუქი კიაფობს  
 და მეუბნება მოვლვარე მანათობელი,  
 რომ უხანთა ძლიერება ამსოფლიური  
 და სიქაბუკე ჭრება ჩვენში, ვითაარ შუქი  
 იმ შორეული მთების მიღმა ჩასული მზისა.  
 როცა მოგწვდება შელანება ამსოფლიური,  
 მარტოდენ შენთვის მოვლენილი მნათობებისგან,  
 შენ, მარტოსულო მგალობელო, რა სათქმელია,  
 შენ არ იგემებ მწუხარებას, რამეთუ ოდით  
 სურვილი თქვენი — ნაყოფია დედა-ბუნების.  
 ხოლო როდესაც ბედი ჩემად წილადღებული  
 მე მარტოდმარტოს მომიახლებს ჟამს სიბერისას,  
 როს მარტოსული ვერასოდეს ველარ შევიძლებ.  
 ველარ შევიძლებ საყვარელი გულის მოგებას,  
 როცა ქვეყანა ცარიელი გახდება სრულად  
 და მომავალი გარდასულზე ბნელი იქნება —  
 მე რაღად მინდა ოცნებები და სურვილები?  
 ან დღევანდელი დღე რად მინდა, ან ჩემი თავი?  
 რარიგ ვინანებ ყოველივეს, რარიგ ვინანებ,  
 ჰოი, რა მწარედ შემაწუხებს მე ჩემი ბედი!

## შაკათი სოფლარ

დამძიმებული ნამიანი ბალახის კონით  
 დაისის შუქზე მიდის გოგონა,  
 და ხელთ უპყრია რამდენიმე ღერი ყვავილი,  
 რომ ხვალ, ზეიმზე,

ტურფაღ მოირთოს ქამარი თვისი,  
 და მიიკეთოს ყვავილი თმაში  
 და დაიმშვენოს, აიყვავოს ჩვეულად მკერდი...  
 საფეხურიდან საფეხურზე ამოდის კეტით  
 ერთი ნაფოტა ბებრუხუნა  
 და ჩქარობს, ჩქარობს,  
 მიფარფატებს იქითკენ, სადაც  
 მისი სწორფერი დედაბრები სხედან მდუმარედ.  
 ჩქარობს, რომ მოყვეს ბედნიერი დღეების ამბავს  
 რომ სადამოხანს ირთვებოდა ის საზეიმოდ  
 და მიდიოდა სალალობოდ  
 და მეგობრებთან  
 ცეკვავდა ფერხულს გახარებული,  
 იმ უძვირფასეს; იმ ბრწყინვალე ჟამს, როს ყმაწვილი  
 სიბერესა და სიბეჩავეს არაფრად თვლიდა.  
 უკვე ბნელია ღამის სივრცე,  
 ნაცრისფერია ცის თავანი. ახალი მთვარის  
 მკრთალ სინათლეში იღვიძებენ წყნარი ჩრდილები  
 სახურავებისა და გორაკების.  
 და აი, უკვე რეკავენ კიდეც —  
 იწყება ღამის დღესასწაული.  
 ზარის ხმამ ისევ გააღვიძა გულში ხალხი.  
 კვლავ მხიარულად ყიფინებენ სოფლის ბავშვები  
 და მიმორბიან,  
 და აქა - იქ ჩანან, ჟამი - ჟამ.  
 ამასობაში, მოლილინე მიწის მუშაკი,  
 კარებზე მომდგარ უქმე დღეზე ჩაფიქრებული,  
 თავის ღარიბულ მაგიდასთან ჯდება ჩვეულად.  
 როცა ჩაქრება გარეშემო ყველა სანთელი  
 და მიწყნარდება ჩქამი ყოველი,  
 მე გავიგონებ, როგორ იდწეას ჩუმი დურგალი,  
 ისმის ხერხის ხმა და ჩაქუჩის ისმის კაკუნი,  
 გულმოდგინეობს; მიიხურა მან სახელოსნო  
 და აანთო ღამის ფარანი,  
 რომ ყველაფერი მოათავოს განთიადამდე.  
 აი, ესე დღე — სასურველი კვირეულიდან.  
 დღე საიმედო და გასახარი,  
 შემოვა ხვალ და თან მოიტანს დარღსა და ნაღველს,  
 და თვითეული ხორციელი თავის ფიქრებში  
 კვლავ ყოველდღიურ სამუშაოს დაუბრუნდება.  
 მოუტყვენარო და ციმციმა, ზვიადო ბაღლო,  
 მე შენ მაგონებ დღეს, აღვსებულს სიხარულითა,  
 შენა ხარ სწორი —  
 აგრე სუფთა და მოციმციმე —



ერეკლე  
 მკვირვარი

მომავლისაკენ მიდრეკილი დღესასწაულის.

შენც ავრე შესვი, ონავარო, უხვი სიამე:

ხარ საკვირველით გაბრუნებული.

აწ — ხამს იყუჩო: დაე (თუმცა იგი არ ჩქარობს),

შენ სამძიმოლით ნუ გეწვევა ესე ზეიმი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## სიხუილა

გადაიარა ქარიშხალმა.

მე შესმის, როგორ ეივეივებენ ჩიტები. ისევ  
დადის ქათამი ნათარცხავში, და იმეორებს  
თავის სიმღერას. და ცისიერი

სილაქვარდე სამხრეთის მთაზე  
იზრდება ისევ. იწმინდება შემოგარენი,  
ქალაში უფრო მოემატა შუქი მდინარეს.  
კვლავ სიხარული ჩადგა გულში და გარეშემო  
ისმის ზმაური. მოეფინა სოფელი სანახს,  
გაცოცხლდა შრომა ჩვეულებრივი.

კარებში ჩნდება ხელოსანი ხელსაწყობით  
და აკვირდება ცას, დახანებით  
გამოდის ქალი კოკით ხელში და მიტარფატებს  
წვიმით ავსებულ გუბისაკენ.

კვლავ შარა - შარა დაწრიალებს  
და, როგორც წინათ, მემწვანაილე მარჯვედ გაჰყვირის.

დაბრუნებულმა მზის სხივებმა ეზოებს, ქედებს  
ავლავ მოუტანეს ღიმილი, სახლში  
კვლავ შეიძლება კარისა და სარკმლის გაღება, —  
და გავიგონე მე შორეული

ზანზალაკების წკარაწყური, და ისევ გზა - გზა  
მოხეტიალე ფორნის ხრიგინი.

კვლავ სიხარული ჩადგა გულებში.

და მე არ ვიცი, აწ რომელი წამია ქვეყნად  
ამაზე უფრო სასურველი და საყვარელი?

ან შრომისადმი ამგვარი ტრფობა  
როდის სწვევიათ ადამიანებს?

როდის ჰქონიათ სიხარული მათ ამნაირი?

ან სიხალისკენ ასეთი ლტოლვა?

ან მოგონება გარდასულისა?

მათ განა როდის არ აწუხებთ ბედი ტიალი?  
კმუნვის შეილია — სიხარული;



მხიარულება — არის ნაყოფი  
 გარდასული შიშისა; ოდეს  
 ემუქრებოდა სიკვდილი იმას,  
 ვისთვისაც ყოფნა გაუძლისია.  
 როცა უსაზღვროდ გაწვალებული,  
 შემოძარცვული, უფერო, უტყვი  
 იღვა მუხთალი ჟამის წინაშე  
 და უსასტიკეს, უმძლავრეს წარღვნას  
 ნებდებოდა ადამის მოდგმა.  
 აჰა, კეთილო, ბუნებავ, შენი  
 მადლი და სიტკბო მარადიული,  
 აწ სიტკბოება ჩვენი არის — ტანჯვის დაძლევა.  
 შენ უხვად თესავ მწუხარებას. მწუხარება კი —  
 იზრდება ისევ. ხოლო ხარება  
 საკვირველებით გაჩენილი წვალებისაგან —  
 უკვე ძვირფასი მონაგარია. ადამის მოდგმა  
 მას უყვარს მხოლოდ, ვისთვისაც კვდომა აღარ არსებობს!  
 შენ კი უფრორე ხარ ბედნიერი,  
 ამგვარ ტანჯვაში, აქ, წამიერი  
 თუ გერგო შეება — ხარ კურთხეული,  
 რამეთუ ყველა ტანჯვისაგან სიკვდილი გიხსნის.



## ქოლბერი

თარგმნა ფრანგულიდან  
ნუნუ კადუიშვილმა

### ქ ი ქ ი

— არ დაგავიწყდეს, რომ ბებიდა ალისიასთან ხარ წასასვლელი, გესმის, ეილბერტ? მოდი, თმა დაგიხვიო! გესმის, ეილბერტ?

— აუცილებელია, დიდედა?

— აუცილებელია! — მოუჭრა ქალბატონმა ალვარესმა, თმისსახვევი სპირტქურაზე დაღო და ქალაღღის ნაკუწები მოამზადა.

— დიდედა, იქნებ სჯობდეს, თმა გვერდზე გადამივარცხნო და ისე დამიხვიო?

— ენად ნუ გაიკრიფე! შენოდენა ქალიშვილს მხოლოდ თმის ბოლოების დახვევა შეეფერება. დაბალ სკამზე დაჯექი!

თხუთმეტი წლის ეილბერტს გრძელი, ყანჩისებური ფეხების მოხრა დასჭირდა სკამზე დაჯდომისას. კუბოკრული კაბა მრავალ კვირისტავებსაც ვერ უფარავდა. გოგონას ვერც კი წარმოედგინა რა ლამაზი, ჩამოქნილი წვივები და კობტა ტერფები ჰქონდა, ხოლო ქალბატონი ალვარესი როგორც კი თვალს შეავლებდა მის ლამაზ ფეხებს, ნანობდა, ცეკვა რომ არ შეასწავლა შვილიშვილს. მაგრამ ახლა ამაზე არ ფიქრობდა, მთელი გულისყური თმისსახვევსა და თხელ ქალაღღებში მომწყვდეულ ქერა, ფერფლისფერი თმისთვის მიეპყრო. ფაფუკი ხელებით მარჯვედ ახვევდა ხშირ, საუცხოო, ტალღისებურ თმას, მხრებამდე რომ სწვდებოდა ეილბერტს. უძრავად მჯდარი გოგონა დამწვარი ქალაღღისა და გახურებული რკინის სუნს გაებრუებანა. კარვად იცოდა, ყოველგვარი წინააღმდეგობა ამით იყო და ამიტომ არც ცდილობდა თავიდან აეციდინა ეს ოჯახური რიტუალი.

— განა დღეს დედა ფრასკიტას როლში მღერის?

— ჰო, ამ საღამოს უჩვენებენ: „მე რომ მეფე ვყოფილიყავ...“ რამდენჯერ მითქვამს, როცა დაბალ სკამზე ზიხარ, მუხლები ერთმანეთს უნდა მიატყუბო და შემდეგ მარჯვნივ ან მარცხნივ ერთად გადახარო-მეთქი! ასე უნდა!

— მესმის, დიდედა, მაგრამ მე ხომ საცვლებიც მაცვია და ქვედა კაბაც!  
— საცვლები საცვლებია, წესიერად ჯდომა კი წესიერად ჯდომაა! მთავარია, როგორ ზიხარ! აი, ეს უნდა იცოდეს!

— ვიცი, ბებიდა ალისიას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, — წაბუტბუტა თავწაბრილმა ფილბერტმა.

— ჩემი დას მოშველიება არ მჭირდება იმისათვის, რომ ჩრდილოეთის ელემენტარული წესები ჩაგიდო თავში, — მკვახედ მოუჭრა ქალბატონმა ალვარესმა, — მაღლობა ღმერთს, ამ საქმეში მასზე მეტი გამეგება.

— ნებას რომ მომცემდე, დიდედა, დღეს სახლში დავრჩებოდი და ბებიდა ალისიასთან მომავალ კვირას წავიდოდი.

— ხუთუ მართლა? — დასცინა ქალბატონმა ალვარესმა, — რაიმე სხვა სურვილი ხომ არ გექნებათ?

— დიახ, მაქვს, მინდა ოდნავ უფრო გრძელი კაბა შემიკეროთ, რომ დაჯდომისას მუდამ რვიანივით არ ვიგრიხებოდე. გესმის, დიდედა? როცა მოკლე კაბები მაცვია, თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს.

— ჩუმად! არც კი გრცხვენია, ამას „აზრის ტრიალს“ რომ უწოდებ.

— შეც მინდა, სხვა სახელი მოეუძებნო, მაგრამ...

ქალბატონმა ალვარესმა სპირტქურა ჩააქრო, თავისი მსხვილნაკეთებიანი სახე სარკეში შეათვალიერა და მტკიცედ თქვა:

— სხვა სახელი არც არსებობს.

ფერფლისფერი ლოკოკინის ნიქარიდან ეჭვით გამოიჭყიტეს მუქმა ლურჯმა თვალებმა. ფილბერტი მარდად წამოდგა.


— დიდედა, ძალიან გთხოვ, კაბა ერთი მტკაველით დამიგრძელე... ან ვიწრო არშია მაინც მომიკერე...

— ძალიან კმაყოფილი კი დამრჩება დედაშენი, როცა აწოწილი ყანჩა გაჰყვება გვერდით. გრძელ კაბაში თვრამეტი წლის მოწიფულ გოგოს დაემსგავსები. აბა დაფიქრდი, განა დედაშენის მდგომარეობას ეს მოუხდება?

— რატომაც არა! — წაილაპარაკა ფილბერტმა, — დედას ხომ არსად დაეყვები, მაშ, ჩემი კაბის სიგრძეს რა მნიშვნელობა აქვს? — ფიქიმ კაბა შეისწორა, რომელიც მუცელზე ასწეოდა და იკითხა: — ძველი პალტო ხომ შეიძლება ჩავიცვა? რა უშავს!

— მაშ, საკვირაო ტანსაცმელი რა საჭიროა? სადა პალტო ჩაიცვი და ზღვისფერი ქუდი დაიხურე. ოო, ნეტავი ოდესმე თუ გეცოდინება, როდის რა უნდა ჩაიცვა?

ფილბერტი დიდდედამისის სიმაღლისა იყო. ქალბატონ ალვარესს მკრთალი, მსუქანი სახე ჰქონდა, თმას ბრილიანით იპრიალებდა. თეთრ პუდრს უხვად ხმარობდა, დაწვების სიმძიმისაგან ქუთუთოები ძირს ჩამოსწეოდა, ცდილობდა, გარეგნობა გარდაცვლილი საყვარლის გვარის შესაფერი ჰქონოდა, ალბათ სახელიც ამიტომ შეიცვალა და ინესა დაირქვა. ბოლო ხანებში ქალბატონი ალვარესას აწეწილი ოჯახი თითქოს მოწესრიგდა. მისმა მარტოხელა ქალიშვილმა, ანდრემ, რომელიც ფილბერტის მამას მიეტოვებინა, ცვალებად კეთილდღეობას მეორეხარისხოვანი მომღერლის დადინჯებული ცხოვრება ამჯობინა, ქალბატონი ალვარესის და, ალისია მარტო ცხოვრობდა; ამბობდნენ, კაციშვილს არ გაუბეღია მისთვის ქორწინებაზე ჩამოეგდო სიტყვაო; როგორც



თვითონ ირწმუნებოდა, მცირეოდენი რენტით ირჩენდა თავს, მაგრამ ქალბატონი ალვარესის ოჯახს მაინც არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო ალისიას აზრებისა და სამკაულებისადმი.

ქალბატონმა ალვარესმა შვილიშვილი შეათვალიერა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ფრთებით დამშვენებულ ქუდსა და რბილლანჩიან ფესსაცმელებს.

— შენ რა, მუხლების ერთმანეთთან მიტყუება არ შეგიძლია? შენებშუა სენა თავისუფლად გაგეტევა. ფერდი ფერდზე გაქვს მიკრული და რანაირად ახერხებ მუცლის გამოწევას? თუ ხათრი გაქვს, ხელთათმანები ჩაიცვი!

ჟილბერტის მანერებს კიდევ შერჩენოდა უბიწო ბავშვის დაუდევრობა. იგი ხან გარინდულ ანგელოზს წააგავდა, ხან მშვილდოსანს, ხანაც კაბაში გამოწყობილ ბიჭს, გოგონას კი — ძალიან იშვიათად.

— გრძელი კაბა ჩაგაცვათ, არა? კი მაგრამ, რვა წლის ბავშვის ტკუა რომ გაქვს? — ეუბნებოდა ხოლმე ქალბატონი ალვარესი.

— ჟილბერტის საქციელი მაფიქრებს, — ოხრავდა ანდრე.

— ჩემი საქციელი რომ არ გაფიქრებდეს, სულ ერთია, სხვა რამ შეგაშფოთებს! — მშვიდად შეესიტყვებოდა ჟილბერტი.

წყნარი ბუნების გოგონა ადვილად ურიგდებოდა კარჩაკეტილ ცხოვრებას; საბოლოოდ როგორი დადგებოდა მისი სახე, ვერავინ იტყოდა: მსხვილი ტუჩები ჰქონდა, თეთრი, ჯანსაღი კბილები, მოკლე ნიკაპი, მაღალი ყვრიმალეები და პაჭუა ცხვირი...

— ღმერთო ჩემო, — ოხრავდა დედამისი, — ნეტავი საიდანა აქვს ასეთი ცხვირი?

— შენ თუ არ იცი, შვილო, — ეტყოდა ქალბატონი ალვარესი, — მაშ, ვიღამ უნდა იცოდეს?

გვიან დადინჯებული, ნაადრევად მოქანცული და გულგატეხილი ანდრე მაშინვე ჩაჩუმდებოდა და მგრძნობიარე, ნუშისებურ ჯირკვლებს ანგარიშმიუცემლად ისრესდა თითებით.

— ჟიჟი ჯერ სულ ნედლია, — ირწმუნებოდა ბებიდა ალისია, — მისგან კარგი რამეც შეიძლება გამოვიდეს და ცუდიც.

— დიდება, ზარია, ვილაც მოვიდა. გასვლისას მე თვითონ გავაღებ კარს. — შემდეგ დერეფნიდან დაუყვირა: — დიდება, ძია გასტონი მოვიდა!

ჟიჟი ოთახში შემობრუნდა ახალგაზრდა კაცის თანხლებით, რომელსაც ხუმრობანარევი ტონით ელაპარაკებოდა:

— ძალიან მწყინს, ძია გასტონ, რომ უნდა დაგტოვოთ! დიდებას სურს ბებიდა ალისია ვინახულო. რომელი მანქანით მოხვედით? ახლით? ამბობენ, მისი მართვა ცალი ხელითაც შეიძლებაო! ძია გასტონ, თქვენ, ალბათ, ლამაზი ხელთათმანებიც გექნებათ! მართლა, ძია, ლიანას უკვე გაებუტეთ?

— ჟილბერტ! ეს რა შენი საქმეა! — გაჰკიცხა ქალბატონმა ალვარესმა.

— კი მაგრამ, დიდება, რა მოხდა? ეს ამბავი ყველამ იცის! „ჟილ-ბლანშიც“ კი იყო გამოქვეყნებული... ასე იწყებოდა: „შაქრის ჭარხლის ტკბილ ნაწარმში მწარე საიდუმლო შეიპარა!“ კურსებზეც ამაზე მელაპარაკებიან გოგოები, იციან, რომ ჩემი ნაცნობი ზართ. და კიდევ, იცით რა, ძია, ყველა ლიანას ამტყუნებს. ამბობენ, კარგად ვერ მოიქცაო.

— ეილბერტ! — გაიმეორა ქალბატონმა ალვარესმა, — გამოეთხოვე ბატონ ლაშაის და წადი!

— დაანებეთ თავი, ილაპარაკოს! — ამოიოხრა გასტონ ლაშაიმ, — გოგონა არ პირფერობს მაინც! ისიც სრული ჭეშმარიტებაა, რომ ლიანასა და ჩემს შორის ყველაფერი გათავდა. მაშ, ბებიდა ალისიასთან მიდიხარ, ერეი? წაიყვანე ჩემი მანქანა და მერე უკან გამომიგზავნე.

ეილბერტმა სიხარულისაგან შეჰკივლა, შებტა და ლაშაის მხრებზე დაეკრძა. — გმადლობ, ძია! არა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა სახეს მიიღებს ბებიდა ალისია, ან კონსიერეი როგორ დააჭყეტს თვალებს! — დაიყვირა მან და დაუჭედავი კვიცივით ფეხების ბაკუნით გავარდა ოთახიდან.

— მეტისმეტად ანებივრებთ, გასტონ! — შენიშნა ქალბატონმა ალვარესმა.

ნამდვილად ასე როდი იყო. გასტონ ლაშაის საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა განებივრებასა და გულუხვობაზე: მანქანები, პირქუში ოტელი მონსოს პარკში, ლიანასთან გატარებული „თვეები“, დღეობაზე მიტანილი სამკაულები; შამპანური, კარტის თამაში ზაფხულობით დოვილში, ხოლო ზამთრობით — მონტე-კარლოში. დროგამოშვებით დიდ თანხასაც იმეტებდა საჩუქრებისთვის, ყიდულობდა იახტას, რომელსაც მალე ევროპის რომელიმე მონარქს მიჰყიდდა, მონაწილეობდა ახალი ეჟურნალის დაარსებაში; მიუხედავად ამისა, გუხება-განწყობილება მაინც არ ეცვლებოდა, მოწყენას თავს ვერ ართმევდა. როცა სარკეში ჩაიხედავდა, ამბობდა, მოტყუებული კაცის სიფათის ნახვა ვისაც სურს, მე შემომხედოსო. ახალგაზრდა ლაშაის მოგრძო ცხვირი, დიდი, შავი თვალები ჰქონდა და ჩვეულებრივი მოკვდავი ფიქრობდნენ, კაეშანი აწევს გულზეო.

კომერციული ინსტიტუტისა და მდიდარი კაცისთვის დამახასიათებელი უნდობლობის გამო ჯერ კიდევ კარგად იცავდა თავს: ჯერ ვერავის მოეხერხებინა მისი გაძარცვა, მარგალიტის საკინძეების, ძვირფასი თვლებით მოჭედული სათუთუნის ან ყარყუმისსარჩულიანი მუქი მოსასხამის მოპარვა.

ლაშაიმ ფანჯარაში გადაიხედა და დაინახა. მისი მანქანა როგორ მოწყდა ადგილს. ამ წელს მალალი, განიერი მანქანები იყო მოლაში, რადგან კაროლინა ოტერო, ლიანა ღე პუეი და სხვა ლამაზმანები მალალ ქუდებს ატარებდნენ.

— მაშიტა, ერთ ფინჯან გვირილის ჩაის ხომ ეერ მომიშალებთ?

— ორი იყოს, ჩემო! — უპასუხა ქალბატონმა ალვარესმა, — დაბრძანდით, ჩემო საბრალო გასტონ.

ქალბატონმა ალვარესმა ჩაზნექილი სავარძლიდან დასურათებული, გადაკეცილი ეჟურნალი, თვალებჩაცვენილი წინდები და ერთი კოლოფი ნამცხვარი „ძირტკბილა“ აიღო. „საბრალო“ ლაშაი ნეტარებით ჩაეშვა სავარძელში, ხოლო ლიანასხლისმა სინი და ორი ფინჯანი დააწყო მაგიდაზე.

— რატომაა, რომ ჩემს სახლში მომზადებულ გვირილის ჩაის გამხმარი ჭრიზანთემის გემო აქვს მუღამ?! — ამოიოხრა გასტონმა.

— საქმე ისაა, როგორ ამზადებენ. უნდა ვითხრათ, გასტონ, ეს შესანიშნავი გვირილა ბევრჯერ მიგ პარიზში მომიწყვეტია. ამ პაწაწინა ყვავილს არავინ აქცევს ყურადღებას, სამაგიეროდ, დიდებული გემო აქვს. ღმერთო, რა საუცხოო ქსოვილის კოსტიუმი გაცვიათ! ეს მკრთალი ზოლები მშვენიერია! საბრალო

მამათქვენსაც ასეთი ქსოვილები უყვარდა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, თქვენებრ ლაზათიანად ვერ ატარებდა ტანსაცმელს.

ქალბატონი ალვარესი საუბარში ერთხელ მაინც ახსენებდა გასტონ ლაშაის მამას, რომელსაც, მისი თქმით, ძალიან კარგად იცნობდა. ძველი ნაცნობებიდან მხოლოდ გასტონ ლაშაისთან შერჩენოდა შინაურული დამოკიდებულება. ბედნიერი იყო, რომ ეს იღბლიანი კაცი მის ძველ სავარძელში ჯდებოდა და მცირეოდენ კმაყოფილებას მაინც გრძნობდა. გაზისგან გამოხუნებული სამსუქურქვეშ მცხოვრები სამი ქალი არც მარგალიტის ყელსაბამს სთხოვდა, არც მარგალიტის, არც ბრილიანტის გულქანდს და არც შინშილის ბეწვს. სამაგიეროდ, ყოველგვარ თემაზე, სკანდალურსა თუ წესიერზე, შეეძლოთ დინჯად საუბარი.

თორმეტი წლის ყიყიმ უკვე იცოდა, რომ ქალბატონ ოტეროს შავი, მსხვილი მარგალიტის ყელსაბამი „ამოვლებული“, ესე იგი ხელოვნურად შეღებილი იყო, მაგრამ სამ ძაფზე ასხმული ფარღული „მთელ სამეფოდ“ ღირდა, რომ ქალბატონ პუეის შვიდ რიგად ასხმულ ბრილიანტებს ციმციმი აკლდათ, ხოლო ეყენი ფუჟერის აღმასებით მოჭედილ „ბოლეროს“ შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი, მაგრამ არაფრად ღირდა, და რომ თუ ქალი თავის თავს პატივს სცემს, ქალბატონ ანტოპოლსკივით სოსანისფერ ატლასგამოკრული ეტლით არ ისეირნებს. ყიყიმ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა თანაკურსელ ლიდია პორეტთან მას შემდეგ, რაც გოგონამ ბარონ ეფრაიმის ნაჩუქარ ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტის თვალი უჩვენა.

— ბრილიანტი?! — წამოიყვირა ქალბატონმა ალვარესმა, — თხუთმეტი წლის გოგოს? ჩემი აზრით, დედამისი გაგიყებულა.

— კი მაგრამ, ღიღედა... ლიდია რა შუაშია, თუ კი ბარონმა აჩუქა? — ამართლებდა ყიყი.

— ჩუმაღ! ბარონს კი არ ვკიცხავ... მან იცის, რასაც აკეთებს, ოღონდ, წესისამებრ, პორეტის დედას ეს ბეჭედი ჯერჯერობით სკივრში უნდა შეენახა.

— რატომ ჯერჯერობით, ღიღედა?

— სანამ საქმე გადაწყდებოდა.

— არ შეიძლებოდა, ზარდახშაში რომ ჩაედვით?

— არ შეიძლებოდა! იმიტომ რომ... ვინ იცის?... მით უმეტეს, ბარონი ასეთი ადამიანია, შეიძლება, გადაიფიქროს. მაგრამ თუკი თავისი განზრახვა აშკარად გამოთქვა, ქალბატონ პორეტს ესღა დარჩენია, ქალიშვილი კურსებიდან გამოიყვანოს. ხოლო სანამ საქმე საბოლოოდ გაირკვეოდეს, ძალიან მასიამოვნებ, თუ ქუჩაში პორეტთან ერთად აღარ გაივლი. ღმერთო, რა აზრები არ მოუვია ადამიანს თავში!

— კი მაგრამ, თუკი თხოვდება?

— თხოვდება?! ვის მიჰყვება?

— ბარონს.

ქალბატონმა ალვარესმა და მისმა ქალიშვილმა ერთმანეთს გადახედეს.

— ამ ბავშვის საქციელი მაშინებს, — წაიბუტბუტა ანდრემ, — ეს გოგონახვა პლანეტიდან ჩამოფრენილს ჰგავს.

— მართლა წაქინკლავდით, ჩემო საბრალო გასტონ? — წამოიწყო ქალბატონმა ალვარესმა, — ერთი მზრივ, შეიძლება, უკეთესიც იყოს თქვენთვის.

მაგრამ გეტყობათ, დარდობთ... ეჰ, ერთი მითხარით, ვილას უნდა ენდოს ადამიანი!

„საბრალო“ გასტონი ყურს უგდებდა და თან გვირილის ჩაის შეეჭყვოდა. გვირილის ჩაი და „ელექტროდენზე გადაკეთებული“ ჩამოსაკიდო ღამპის როზეტების დათვალიერება საამოდ მოქმედებდა მასზე. სასადილო მაგიდაზე ხელსაქმის კალათი ნახევრად გადმოეპირქვავებინათ, ეილბერტის რვეულებიც იქვე ეყარა. პიანინოს თავზე რვა თვის უფის გადიდებული სურათი ეკიდდა, იქვე ზეთის საღებავით შესრულებული ანდრეს პორტრეტი იყო პიესიდან „მე რომ მეფე ვყოფილიყავ...“ მთელი ეს არეულობა, მაქმანის ფარდიდან შემოჭრილი შხის სხივი, პატარა ლუმენიდან მოდენილი სასიამოვნო სითბო მალამოსავით ედებოდა მდიდარი, მარტონელა და მოტყუებული ახალგაზრდა კაცის გულს.

— ნუთუ მართლა დარდობთ, ჩემო საბრალო გასტონ?

— მართალი რომ ვითხრათ, კი არ ვდარდობ, არამედ... ერთი სიტყვით, მოწყენილი ვარ.

— თუ კადნიერებად არ ჩამითვლით, მინდა გკითხოთ, როგორ მოხდა ეს ამბავი? გაზეთები კი გადავათვალიერე, მაგრამ განა შეიძლება გაზეთებს ენდო?

ლაშაიმ აპრეხილ უღვაშებზე და მოკლედ შეკრეჭილ ხშირ თმაზე ხელი გადაისვა და დაბალი ხმით წამოიწყო:

— ოო, თითქმის იგივე განმეორდა, რაც წინათ ხდებოდა ხოლმე... ითმინა, სანამ დაბადების დღეს საჩუქარს მიიღებდა და შემდეგ გაიპარა. მუდამ უგერგილო იყო, ჰოდა, ახლაც სხვა ვერაფერი მოიფიქრა და იმ ერთი ბეწონორმანდიაში წავიდა დასამალავად. მისი ადგილსამყოფელი ადვილად გავიგვრადგან სასტუმროში მხოლოდ ორი ოთახი აღმოჩნდა: ერთი ლიანას დაეკავებინა, მეორე — პალე დე გლასის ციგურაობის მასწავლებელს, სანდომირს.

— ეს ის სანდომირი ხომ არაა, five o'clock-ზე ვალსს რომ ცეკვავდა პოლერთან? ოო, ახლანდელ ქალებს თავდაჭერა აკლიათ! ისიც სწორედ დღეობის მეორე დღეს... განა ეს საკადრისია?.. ჩემი აზრით, ამაზე უმსგავსო საქციელი წარმოუდგენელია.

ქალბატონ ალვარესს ნეკი აებზიკა და კოფეს ფინჯანში ურევდა. როცა თვალებს ძირს ხრიდა, ქუთუთოები მთლიანად ვერ უფარავდა ამობურცულ გუგებს და უფრო მეტად ემსგავსებოდა ყორე სანდს.

— მარგალიტის ყელსაბამი ვაჩუქე! — წამოიწყო გასტონ ლაშაიმ, — მაგრამ რა ყელსაბამი იყო, რომ იცოდეთ! ოცდაჩვიდმეტი მარგალიტი... შუა მარგალიტი, აი, ამოდენა იყო!

მან თეთრი, გაპრიალებული ცერი ზეასწია და ქალბატონმა ალვარესმაც აღტაცება ვერ დაფარა ცერისოდენა მარგალიტის წარმოუდგენისას.

— ყველაფერს ისე აყეთებთ, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება. იცით ცხოვრება და ამ საქმეშიც შესანიშნავი როლი გაქვთ, გასტონ!

— ღიახ. რქიანი მამაკაცის როლი!

ქალბატონმა ალვარესმა ვითომ ვერ გაიგონა.

— თქვენს ადგილას, ლიანას გასამწარებლად მაღალი წრის ქალს დავუაბლოვდებოდი, — ჟრჩია მან.



— გმადლობთ რჩევისათვის! — თქვა ლაშაიმ, რომელიც დაბნეული იჯდა და „ძირტკბილას“ შეექცეოდა.

— თუმცა, ეჰ, რას ვამბობ... იქნებ უარესიც იყოს. ეს იმას ნიშნავს, ცალთვალა ცხენი ბრმაზე გაცვალო, — წაიბუტბუტა ქალბატონმა ალვარესმა.

და რაკი დაინახა, გასტონი ხმას არ იღებდა, თვითონაც გაჩუმდა. ზემო სართულიდან როიალის ჩახშობილი ხმა მოისმოდა. სტუმარმა უსეტყველად გაუწოდა ცარიელი ფინჯანი, რომელიც ქალბატონმა ალვარესმა ხელახლა ეჭუტა.

— სახლში როგორა ხართ? დეიდა ალისია რასა იქვს?

— თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩემი და არ იცვლება. უკარება, გულჩათხრობილი ქალია. ასე ამბობს, მირჩევნია კარგი წარსულის მოგონებით ვიცხოვრო, ვიდრე საძაგელი აწმყოთიო. მოსაგონარა კი იცოცხლე, აქვს: ეს ესპანეთის მეფეო, იქ მილანელიო, რაჯებიო და რა ვიცი... ყიფის კარგად ექცევა; ოღონდ, იმასაც ამბობს, დროა, კარგი მანერები ვასწავლოთო და ამიტომაც თვითონვე წვრთნის. მაგალითად, გასულ კვირას ამერიკულად შემზადებული კიბორჩხლის ჭამა შეასწავლა თურმე.

— რა საჭიროა?

— ალისია ამბობს, სასარგებლოაო. მისი აზრით, ამერიკულად მომზადებული კიბორჩხალი, თოხლო კვერცხი და სატაცური — სამი ლოდია დაბრკოლებისა ბავშვის აღზრდაში. ასე ამბობს, ჭამის უზვიერო მანერის მიზეზით არაერთი ოჯახი დანგრეულაო.

— რა თქმა უნდა!.. — წაიბუტბუტა ფიქრებში წასულმა ლაშაიმ, — რა თქმა უნდა!

— ოჰ, ალისია მუდამ საღად აზროვნებდა. ყიფი კი სულ სხვანაირია... ისეთი მსუნავია... თავსაც რომ ყბებივით ამუშავებდეს!.. ათი წლის ბავშვის გონება აქვს... ყვავილების დღესასწაულზე რას ფიქრობთ? ალბათ ერთხელ კიდევ ყველას დაუყენებთ თვალს!

— უჰ, არა... — წაიბუტბუტა გასტონმა, უგუნებობას მოვიმიზეზებ და წელს ჩემს წითელ ვარდებს დავზოგავ.

ქალბატონმა ალვარესმა შეჰლაღადა:

— ოო, მაგას ნუ იზამთ, გასტონ! გამოფენა უთქვენოდ მგლოვიარეს დაემსგავსება.

— რასაც უნდა, იმას დაემსგავსოს! — წაიბუტბუტა გასტონმა.

— მოქარგულ დროშას ნუთუ ვალერი შენიაგანს ჩაუგდებთ ხელში? ოო, გასტონ, ეს შეუძლებელია!

— შესაძლებელია! ვალერის ამის მონაცემები აქვს...

— მთავარია, არ გაკოტრდეს! გასულ წელს იცით, საიდან ჰქონდა ის ათი ათასი თაიგული? სამი ქალი დაიჭირავა და ორი დღე-ღამე ყვავილების კონებს აკვრევიანებდა, ყვავილები კი ბაზარზე ეყიდა! გესმით? ბაზარზე!

— ამ ხრიკს დავიმახსოვრებ! — მხიარულად შესძახა გასტონმა, — შეხეთ, „ძირტკბილა“ სულ გავათავე.

ჟილბერტის მტკიცე, მხედრული ნაბიჯები მოისმა წინა ოთახიდან.

— უკვე მოხვედი? — ჰკითხა ქალბატონმა ალვარესმა, — ეს რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ბებიდა ალისია გუნებაზე არ იყო, — უპასუხა გოგონამ, — რაც მთავარია, ძია გასტონის მანქანით ვისერიანე! იცით, ძია გას-

ტონ, მანქანაში წამებულის სახით ვიჩექი... აი, ასე... მინდოდა ეფიქრათ, რომ ამ ფუფუნებამ თავი მომაბეზრა. ოო, რა კარგად გავერთე! — იცინოდა ყიყი და ლამაზი კბილები უელვარებდა. ქუდი შორს გადაისროლა, თმა ჩამოეშალა, ტაბურეტზე ჩამოჯდა, ფეხები აიკეცა და ნიკაბი მუხლებზე დააყრდნო.

— აბა, ძია გასტონ, შემომხედეთ! რა გატანჯული ხარ გიქვო! გინდათ პიკეტი ვეთამაშოთ? დღეს კვირაა, დედა შუადღისას არ დაბრუნდება. ვინ შეჭამა ჩემი „ძირტკბილა“? ოო, ძია გასტონ, იცოდეთ, ვინ ხუნტებო! სამავიეროს მაინც მიყიდით?

— ჟილბერტ, როგორ იქცევი?! — აბუზღუნდა ქალბატონი ალვარესი, — ფეხები ჩამოიღე! შენი „ძირტკბილა“ ჯავრი აქვს აბლა გასტონს? კაბა ჩამოიწიე! გასტონ, თუ გინდათ, ყიყის თავის ოთახში გავისტუმრებ.

ლაშაის მემკვიდრე თვალს არ აშორებდა კიდევშემოცვეთილ კარტს, რომელსაც ჟილბერტი ურევდა და ვერ გადაეწყვიტა ეტირა, თავის უსიამოვნებებზე ელაპარაკა, ძველ სავარძელში ჩაეძინა თუ პიკეტი ეთამაშა.

— დაანებეთ თავი ამ ბავშვს. რომ იცოდეთ, როგორ ვისვენებ თქვენთან... ყიყი, მოდი, ათ კილო შაქარზე ვეთამაშები პიკეტს.

— თქვენი შაქარი ვერაფერი სასუსნავია, გემრიელი კანფეტები მირჩევნია.

— ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ კანფეტებზე სასარგებლო მაინც შაქარია!

— ამას იმიტომ ამბობთ, რომ შაქრის მრეწველი ბრძანდებით.

— ჟილბერტ, წესიერად!

გასტონ ლაშაის სიხარულით აუციმციმდა ნაღვლიანი თვალები.

— ილაპარაკოს, მამიტა.. თუ წავაგებ, რა გიყიდო, ყიყი? აბრეშუმის წინდები გინდა?

ჟილბერტმა პატარა ბავშვივით უკმაყოფილოდ აიბზუა მსხვილი ტუჩები.

— აბრეშუმის წინდები ქავილს იწვევს. მირჩევნია... — პატარა ანგელოზის სახე ზევით აიღო, თავი უკან გადახარა, თმის კულულები ერთი ლოყიდან მეორეზე გადაიტანა და თქვა: — მირჩევნია მწვანე კორსეტი, ზედ ვარდები რომ აქვს ამოქარგული, არა, სჯობს ნოტების ჩანთა.

— განა უკრავ?

— არა, მაგრამ ჩემი თანაკურსელები ნოტების ჩანთაში აწყობენ რვეულებს, კონსერვატორიის სტუდენტებს ვგავართო.

— ჟილბერტ, შენ უკვე გაკადნიერდი, — წამოიძაბა ქალბატონმა ალვარესმა.

— კეთილი, ნოტების ჩანთასაც მიიღებ და „ძირტკბილასაც“. მოსჭერი, ყიყი!

ერთი წუთის შემდეგ შაქრის მრეწველი, ახალგაზრდა ლაშაი გატაცებით თამაშობდა კარტს. მისი მოზრდილი ცხვირი და მაყვალევით შავი თვალები არავითარ უხერხულობას არ იწვევდა პარტნიორში, რომელიც იდაყვებს დაყრდნობდა და თავი თითქმის ჩამძვრალი ჰქონდა მხრებში. ლურჯთვალა გოგონა შეჭიკჭიკებულ პაქს წააგავდა თავისი ვარდისფერი ლოყებით. ორივე გაფაციცებით თამაშობდა და ლანძღვა-გინებასაც არ აკლებდნენ ერთმანეთს:

— ნამდვილი ობობა ხარ! — ამკობდა ლაშაი.

— ყვავისნისკარტა! — არ ებუებოდა ყიყი.

ვიწრო ქუჩაზე მარტის ბინდი ჩამოწოლილიყო.

— არ იფიქროთ, გაგდებდეთ, გასტონ, — უთხრა ლაშაის ქალბატონმა ალვარესმა. — მაგრამ უკვე რვის ნახევარია. თუ ნებას მომცემთ, ერთი წუთით ვაგალ და სადილს მივხედავ.

— რვის ნახევარიაო? — წამოაყვირა ლაშაიმ, — მე, დიონმა, ფეიდომ და ერთ-ერთმა ბართუმ ლარუსთან უნდა ვისადილოთ! <sup>უკანასკნელი ხელია.</sup> <sup>ეროვნული</sup> <sup>ბიზნისი</sup> <sup>ბართუა?</sup> ეივი!

— რატომ ერთ-ერთმა? — იკითხა ეივიმ, — განა ბევრი ბართუა?

— ორია, ერთი ლაშაში ყმაწვილია, მეორე — ნაკლებად ლაშაში, მაგრამ სწორედ ეს ნაკლებად ლაშაშია უფრო ცნობილი.

— რა უსამართლობაა! ფეიდო ვინლაა?

გაოცებულმა ლაშაიმ კარტი მაგიდაზე დაყარა.

— ოო, ერთი ამას დამიხედეთ! ფეიდოს არ იცნობს!.. შენ რა, თეატრში არ დადიხარ?

— თითქმის არასოდეს, ძია.

— არ გიყვარს თეატრი?

— არც ვგვიყვარს. დიდება და ბეზილა ამბობენ, თეატრი ხელს უშლის ადამიანს ცხოვრების სერიოზულ მხარეებს ჩაუფიქრდესო. ოლონდ, რასაც გეუბნებით, დიდებას არ უთხრათ.

სქელი თმის კულული ყურებზე გადაიწია, შემდეგ ხელი შეუშვა და თქვა:

— უჰ, როგორ გამახურა ამ ქურქმა!

— რას უწოდებენ ცხოვრების სერიოზულ მხარეებს?

— ო, განა ზებირად ვიცა, ძია გასტონ? ამ საკითხში თვითონაც ვერ შეთანხმებულან. დიდებას თუ დავუჯერებთ, აკრძალულია რომანების კითხვა, თურმე მოწყენილობას იწვევს; აკრძალულია პუდრას წასმა — სახის ფერს აფუჭებსო; აკრძალულია კორსეტის ჩაცმა — ტანს ამაჩინებსო; აკრძალულია შალაზიის ვიტრინებთან შეჩერება... აკრძალულია თანაკურსელთა ოჯახების გაცნობა, განსაკუთრებით მამების, რომლებიც სასწავლებელში მოდიან ქალი-შვილების წასაყვანად...

ეივი ისე ჩქარა ლაპარაკობდა, სირბილისგან აქოშინებული ბავშვივით სუნთქავდა.

— ბეზილა აღიბია კი სულ სხვანაირად მდერას: მე თურმე საბავშვო აზღუდის ჩაცმა აღარ შემეფერება... ცეკვა და თავის დაჭერის მანერები უნდა შევისწავლო... უნდა ვიცოდე რა არის ქარატი, ყურადღება არ უნდა მივაქციო მსახიობის კარგად ჩაცმულობას, ასე მითხრა, იმ კაბებს შორის, რასაც სცენაზე ხედავ, ოციდან ერთი არ გამოდგება ქუჩაში ჩასაცმელად, ყველა სასაცილო იქნებაო. ერთი სიტყვით, ამდენი დარიგებებით თავი მისკდება... ძია გასტონ, ლარუსთან რას შეჭამთ დღეს?

— აბა რა ვიცი! ალბათ ფარგის სუქს ხამანწკებით, კრავის ხორცს სოკოებით... ეივი, გაინძერი, ხუთი კარტი მაქვს.

— მე რა ვქნა, დაიწვი... მოვიფე! ჩვენ გუშინდელი რაგუ ვვაქვს სადილად. მე ძალიან მიყვარს რაგუ.

— ოო, ეს ხომ უბრალო ღორის ხორცის რაგუა, — მორცხვად წაილაპა-

რაკა ოთახში შემოსულმა ქალბატონმა აღვარესმა, — ამ კვირაში ბატი ისეთი ძვირი იყო, ახლოს ვერ მიეკარებოდით.

— ბატს ბონ-აბრიდან გამოვიგზავნით, — უთხრა გასტონმა.

— დიდი მადლობელი ვარ, გასტონ. ეიჟი, ბატონ ლაშაის პანტო ჩააცვი... ქუდი და ხელჯობი მიაწოდე.

ლაშაი ნაღვლიანი სახით გავიდა ოთახიდან, ეტყობოდა, გემთბარი რაგუს დატოვება ენანებოდა.

— მეტყვი თუ არა ეილბერტ, რად დაბრუნდი ასე ადრე ბებიდასგან? — მიუბრუნდა ქალბატონი აღვარესი შვილიშვილს, — გასტონთან არ გკითხე; დაიმახსოვრე: სტუმართან შინაურ ამბებზე ლაპარაკი არაა ლამაზი.

— დასამალი არაფერია, დიდედა. ბებიდა აღისიას მაქმანით ჰქონდა თავი წაკრული, რაც იმას ნიშნავს, რომ შაკიკი ტანჯავს. ასე მითხრა: ვერა ვარ კარგადო. მე ვუთხარი, მაშინ მეც აღარ დავგლით და შინ დავბრუნდები-მეთქი, მან მითხრა, ხუთი წუთი მაინც შეისვენეო; მე ვუთხარი, დაღლილი არა ვარ, მანქანით მოვედი-მეთქი. „მანქანით?“ — მკითხა მან და აი, ასე ასწია ხელები. მე ორი წუთით შევაჩერებინე მანქანა, მინდოდა, ბებიდა აღისიას დაენახა, ხომ გესმის? ვუთხარი, დიახ, ძია გასტონმა ოთხადგილიანი, უტენტო, დიონ ბუტონის ფირმის მანქანა მათხოვა, თვითონ ჩვენსა ზის, ლიანას წაჩხუბებია-მეთქი. ისე მელაპარაკები, თითქოს ჭურში ვიჯდო, ჩემთვის ახალი არაა ეს ამბავი, მეც ვიცი იმ აწოწილ დედაკაცს რომ გავებუტა. ჰოდა, სჯობს შინ დაბრუნდე, ვიდრე ჩემისთანა ავადმყოფ, საცოდავ დედაბერთან მოწყენილი იჯდო. როცა მანქანაში ვჯდებოდი, ფანჯრიდან ხელი დამიქნია და გამომე-თხოვა.

ქალბატონმა აღვარესმა ტუჩი აიბზუა.

— ავადმყოფი, საცოდავი დედაბერი! ჰმ... თავის სიცოცხლეში სურდოც არ შეყრია! ოო, რა უტიფარია!... რა...

— დიდედა, როგორ ფიქრობ, „ძირტკბილა“ და ნოტების ჩანთა მოაგონდება?

ქალბატონმა აღვარესმა ნელა, მძიმედ ახედა ჭერს.

— ვინ იცის, შვილო, იქნებ მოაგონდეს.

— რაკი წააგო, ვალდებულებაცაა ახსოვდეს!

— დიახ... დიახ... რაკი შენი მართებს, ალბათ კიდევ გამოვიგზავნის. ახლა კი წინსაფარი გაიკეთე და სუფრა გაშალე! ჯერ კარტი აკრიფე!

— ახლავე, დიდედა... ქალბატონ ლიანაზე რა გითხრა? მართალია, სანდომირთან გაიძურწა და ყელსაბამიც ხელს წააყოლაო?

— ჯერ ერთი, „გაიძურწა“ რა სიტყვაა? მეორეც, მოდი, ბაფთით შეგეკრავ თმას, თორემ კულულებს წვეწოში ამოავლებ. მესამეც, არაფერი საჭიროა უწესო ადამიანის ნამოქმედარი იცოდე. ეს უკვე გასტონის ინტიმური საქმეა.

— კი მაგრამ, დიდედა, თუკი ყველა ამაზე ლაპარაკობს, რაღა ინტიმურია!.. „ქალბლაზშიც“ ხომ იყო გამოქვეყნებული?!

— ჩუმად! ის იკმარე, თუ გეტყვი, რომ ქალბატონმა ლიანა დ'ეგზელმანმა თავისი საქციელით ყოველგვარი წესიერების საზღვარს გადააბიჯა. ლორის ნაჭერი ორ თეფშს შუა ჩასდებ და დედას გრილად შეუწახე.

ჟილბერტს უკვე ეძინა, როცა დედამისი, ანდრე ალვარი (ოპერა-კომიკის აფიშებზე მის გვარს წვრილი ასოებით წერდნენ ხოლმე) შინ დაბრუნდა. ქალბატონმა ალვარესმა, რომელსაც შვილის მოლოდინში პასიანსი ვაჟშალა, ჰკითხა, ძალიან ხომ არ დაიღალეო. ანდრემ ზრდილობის წესი არ დაარღვია და უსაყვედურა, რას მიცდიდი, რატომ არ დაწექიო. ქალბატონმა ალვარესმა ცრიტული დაიცვა და უპასუხა:

— შენს მოსვლამდე აბა რა დამაძინებდა? იქ ლორის ნაჭერია შენთვის, რაგუც თბილია. მოხარშული შავი ქლიავიც შეგინახე. ლუდი ფანჯარაზეა.

— პატარას სძინავს?

— რა საკითხავია!

ანდრე ალვარმა მადიანად ივახშმა, თუმცა უმადობას უჩიოდა. ფერუმარული ალაპაზებდა ქალს, მაგრამ ახლა გრიმმოცლილს ქუთუთოები გავარდისფერებოდა და ბაგეები გასცრეცოდა. დეიდა აღისია სწორედ ამიტომ ირწმუნებოდა, ანდრე სცენაზე უფრო იგებს, ვიდრე ცხოვრებაშიო.

— კარგად იმღერე, შვილო?

ანდრემ მხრები აიჩეჩა.

— კარგად ვიმღერე. მერე, რა? წარმატება მხოლოდ ტიფენს აქვს! გესმის? ოო, როგორ ვიტან ასეთ ცხოვრებას?

— რას იზამ, ეს გზა შენ თვითონ აირჩიე. მაგრამ ასეთ ცხოვრებასაც შშვენივრად აიტანდი, გვერდით რომ ვინმე გყავდეს, — დამრიგებლური ტონით უთხრა დედამ, — მარტოობა ნერვებს გიშლის და ამიტომაც მუქ ფერებში ხედავ ყველაფერს. არანორმალურად ცხოვრობ, ანდრე.

— ისევ დაიწყე, დედა?... ისედაც დაღლილი ვარ... რა არის ახალი?

— არაფერი. ოღონდ, გასტონისა და ლიანას განხეთქილებაზე ლაპარაკობს ყველა.

— დარწმუნებული ვარ, ოპერა-კომიკის კულუარებშიც ამაზე ჩურჩულებენ, თუმცა ამ თეატრს მოდერნობის პრეტენზია არ გააჩნია.

— რას იზამ, მაღალი წრის საზოგადოებას სალაპარაკო თემა გაუჩნდა!

— სერიოზული ნიშნებია?

— ეჭვი გეპარება? გასტონი სასოწარკვეთილია. ხომ იცი, იარა ახალია და... დაიჯერებ? რვას თხუთმეტი წუთი აკლდა და კვლავ მანდ იჯდა, სადაც ახლა შენ ზიხარ. ჟიჟის პიკეტს ეთამაშებოდა. ასე თქვა, ყვაფილების გამოფენაში მონაწილეობას არ მივიღებო.

— არა, მართლა?

— ნამდვილად. იქ რომ არ წავიდეს, ამ ამბავს ყველა შეამჩნევს, ვურჩიე, კარგად დაფიქრდი-მეთქი...

— თეატრში ამბობდნენ, მუზიკ-ჰოლის მსახიობს, ვილაც კობრას დიდი წარმატება შეიძლება ჰქონდეს მასთანო: თურმე აკრობატულ ნომერს ასრულებს, პაწაწინა კალათით გამოჰყავთ სცენაზე და მერე გველივით დახვეული გამოდისო.

ქალბატონმა ალვარესმა მსხვილი ტუჩები ზიზლით აიბზუა:

— გასტონ ლაშაი ჯერ იქამდე არ მისულა, რომ მუზიკ-ჰოლის მსახიობ-

ებთან დაიჭიროს საქმე. უსამართლობას ნუ გამოიჩენ და აღიარე, რომ გასტონს, მისი მდგომარეობის უცოლო კაცის კვალობაზე, შესანიშნავად უჭირავს თავი ამ დემიმონდის ქალებთან.

— ოო, რა უნამუსო ძროხებია! — წაიჩურჩულა ანდრემ.

— დაუკვირდი, რასაც ამბობ, შვილო. არ ღირს გულახდილად უწოდო თავისი სახელი ადამიანებსა და საგნებს! გასტონი მუდამ კარგად არჩევდა ხოლმე საყვარლებს. დემიმონდის ქალებთან კავშირი მხოლოდ, რომ მერე ხელსაყრელად იქორწინოს, თუკი ოდესმე გადაწყვეტს ცოლის შერთვას. ასეა თუ ისე, ჩვენ მისი ახლობლები ვართ და ჩვენზე ადრე ვერავინ გაიგებს მის ამბებს. გასტონი გულახდილია ჩემთან. ოო, ნეტავი განახა, გვირილის ჩაის როგორ მთხოვს. ბავშვია, ნამდვილი ბავშვი. ოცდაცამეტი წლისაა მხოლოდ და რამდენა საზრუნავი გაუჩინა ამ სიმდიდრემ!

ანდრემ ირონიულად დაახამხამა ვარდისფერი ქუთუთოები.

— შეიბრაღე, შეიბრაღე დედოკო!.. ჩვენს შორის დარჩეს და, რაც გასტონს ვიცნობთ, გულახდილობის გარდა, არავითარი ყურადღება არ გამოუქვლავნებია შენს მიმართ.

— რა მოვალეა?!.. ჯერ ერთი, მურაბის მოსახარშად მუდამ გასტონი გვიგზავნის შაქარს, ხანდახან ფრინველებსაც ვლებულობთ მისი ფერმიდან, ბავშვსაც არ აკლებს ყურადღებას...

— თუ ამით კმაყოფილდები...

ქალბატონმა ალვარესმა მედიდურად გადმოხედა:

— ღიაბაც, რომ ვკმაყოფილდები... კმაყოფილიც რომ არ ვიყო, ვანა ვსრამეს შეცვლიდა?

— ერთი სიტყვით, პირადად ჩემთვის სულ ერთია, გასტონ ლაშაი მდიდარია თუ ღარიბი. საინტერესოა, გაჭარვებაში თუ გაგვიმართავდა ხელს?!

ქალბატონმა ალვარესმა გულზე მიიღო ხელი:

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დაგვეხმარებოდა.

შემდეგ დაფიქრდა და დაუმატა:

— მაგრამ მირჩევნია, მისი შეწუხება არ დამჭირდეს.

ანდრემ გაზეთი აიღო, სადაც ლაშაის სატრფოს სურათი იყო დაბეჭდილი.

— კარგად თუ დაუკვირდები, არაფერი უჩვეულო ამ ქალში არაა.

— არის, — შეეკამათა ქალბატონი ალვარესი, — უჩვეულო რომ არ იყოს, სახელი ასე შორს არ გაუვარდებოდა. ხოლო სახელი და წარმატება შემთხვევითი ამბავი როდია... შენ იმ ქარაფშუტებივით მსჯელობ, რომლებიც ამბობენ, მეც კარგად მომიხდებოდა ქალბატონ დე ბუჟის შვიდ რიგად აცმული ყელსაბამი და მასზე ნაკლებად არც მე შევიფერებდი კარგ ცხოვრებასო. პირდაპირ მათცებთ!.. გვირილის ჩაი წაიღე და თვალები ამოიბანე!

— გმადლობთ, დედა. ბავშვი თუ იყო დეიდა აღისიასთან?

— იყო და ისიც გასტონის მანქანით. თვითონ ათხოვა. გოგონა სიხარულით ცას ეწია.

— საბრალო ფისო. საინტერესოა, რა ელის ცხოვრებაში! ვფიქრობ, მხოლოდ მანეკენად ან გამყიდველად გამოდგება. ცხოვრებას ჩამორჩა... მის ასაკში, მე...

ქალბატონმა ალვარესმა თვალი თვალში გაუყარა შვილს:

— ძალიან ნუ ტრაბახობ იმით, რასაც მის ასაკში სჩადიოდი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მის ასაკში ათვალწუნებით უყურებდი ფქვილის მრეწველს, ბატონ მენესონს, რომელიც შენს მომავალზე ზრუნვას კისრულობდა და სოლფეჯიოს მასწავლებელს გაეკიდე...

ანდრე ალვარი ბრიოლიანით გაბრიალებულ თმაზე ეამბოროტდებოდა.

— ჩემო დედიკო, ახლა მაინც ნუ მკიცხავ... ისე მეძინებოდა... ძალიან ნებისა, დედიკო. სვალ თორმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ვიძინებოდი, ჩემთვის საუზმეს ნუ მოამზადებ, შესვენებაზე საკონდიტროში ვისაუზნებ.

ანდრემ დაამთქნარა და შვილის ოთახში შევიდა. სიბნელეში მძინარე ეილბერტის თმაღა შეამჩნია.

ქალბატონი ალვარესი ყველაზე ბოლოს წვეებოდა და ყველაზე ადრე დგებოდა. დილის საუზმის მომზადებას მოახლეს არ ანდობდა; სასადილო ოთახში, რომელიც სასტუმროდაც ემსახურებოდათ, გასაშლელ დივანზე იძინებდა; მერძევეს, ფოსტალიონსა და მსახურს თვითონ უღებდა კარს. რვა საათზე ბიგულებს იხსნიდა და თმას ბრიოლიანით იბრიალებდა; ცბრას რომ ათი წუთი აკლდა, გაკრიალებულ, თმაღავარცხნილ ეილბერტს კურსებზე ისტუმრებდა. ათ საათზე საწვიმარს მოიხსამდა, ბადეს მკლავზე გადაიკიდებდა და ბაზარში მიდიოდა.

ამ დილითაც, რაკი დარწმუნდა ეილბერტს არ აგვიანდებაო, აღუღებული რძე და ყავა ქვებით მაგიდაზე დადო და გოგონას მოლოდინში გახეთს გადაადგლო თვალი. მალე ეიფიც შემოვიდა ჯერ კიდევ ნამძინარევი, მაგრამ დასვენებული სახით. ქალბატონი ალვარესის შეკავლებამ ეიფი საბოლოოდ გამოაფხიზლა.

— ეიფი, დედას დაუძახე! ლიანა დ'ეგზელმანს თავის მოკვლა განუზრახავს!

— აუუ! — წამოიძახა გოგონამ, — მოკვდა?

— მოკვდა არა! იცის თავისი საქმე!

— რითი უნდოდა თავის მოკვლა? რეკოლვერით?

ქალბატონმა ალვარესმა თანაგრძნობით გადახედა შვილიშვილს:

— ნეტა, რას ამბობ? როგორც ყოველთვის, ახლაც ოპიუმში დაუღლევი...

„თუმცა, გადაჭრით ვერავინ იტყვის, რა მოეღის ამ ლამაზმანს, მაგრამ ექიმებმა, მორეზმა და პელედუმ, რომლებიც ავადმყოფის სასთუმალს არ შორდებიან, თქვეს, საშიში არაფერიაო“... პირადად ჩემი დიაგნოზი ისაა, რომ ქალბატონი დ'ეგზელმანი ასეთი ხშირი თამაშით კუჭს საბოლოოდ გაიფუჭებს.

— წინათ, მგონი, თავად გეორგევიჩის გულისთვის მოიწამლა თავი.

— რას სულელობ, საყვარელო? თავადის გულისთვის კი არა, გრად ბერტუ დე სოვტერისთვის.

— პო, მართლა... ახლა რას იზამს ძაა გასტონი?

ქალბატონ ალვარესს ფიქრი ჩაუდგა თვალეში.

— აბა რა ვიცი, შვილო, — თქვა მან ბოლოს, — ინტერვიუს მიცემაზე უარიც რომ განაცხადოს, მაინც გავიგებთ ყველაფერს. მუდამ ასეა, ჯერ უარი უნდა თქვა ინტერვიუზე; მერე კი გაზეთები სავსე იქნება შენი ამბებით. კონსაერეს უთხარი გაზეთები გვიყიდოს. კარგად თუ ისაუზმე? მეორე ფინჯანი რძე დალიე? ორივე ნაჭერი პური და ყველი შეჭამე? სანამ სახლიდან გახვი-

დოდე, ხელთათმანი ჩაიცვი. ქუჩაში არ შეჩერდე. ახლა კი დედაშენს გავაღვიძებ. ოო, რა ამბები ხდება!.. ანდრე, გძინავს? აა, უკვე ამდგარხარ? ანდრე, ლიანას თავი მოუწამლავს.

— ალბათ საყვარელი უნდა გამოიცვალოს, — წაიბუზღუნა ანდრემ, — მახსომ მხოლოდ ასეთი აზრები უტრიალებს თავში.

— შენ რა, ბიგუდები ჯერ არ მოგიხსნია?

— რეპეტიციაზე თმა რომ დამეშალოს, არა? გმადლობ რჩევებისთვის! ქალბატონმა ალვარესმა ქალიშვილს გადახედა.

— როგორ გეტყობა, მამაკაცის შემოხედვის რომ არ გეშინია. როცა სახლში მამაკაცია, ქალები ფლოსტებიტა და ხალათით ვერ ბედავენ სიარულს. ოო, ეს რა მოხდა! თვითმკვლელობა!.. რა თქმა უნდა, გადარჩა!

— ამ დედაკაცმა ყველას მოაბეზრა თავი ოპიუმის ყლაპვით, — გაფითრებული ბაგეების ამრეწით თქვა ანდრემ.

— ყურადღების ცენტრში ახლა ეს ქალი კი არაა, არამედ გასტონ ლაში. მის ცხოვრებაში პირველად ხდება ასეთი რამ. სხვა საყვარლებიც ჰყოლია, მაგრამ ჟანტიანმა, მაგალითად, აქციები მოჰპარა, ერთმა უცხოელმა ქალმა კინაღამ ძალით შეართვევინა თავი, ხოლო ლიანა პირველი ქალია, რომელმაც მისი გულისთვის თავი მოიწამლა. ახლა დიდი სიფრთხილე მართებს!

— თქ, წარმოგიდგენია, როგორ გაიბღინძება.

— კიდევ უნდა გაიბღინძოს, განაცხადა ქალბატონმა ალვარესმა. სულ მოკლე ხანში ბევრი რამის მოწმე გავხდებით. საინტერესოა, ალისია რას იტყვის...

— შეეცდება თავდაყირა დააყენოს ყველაფერი...

— ალისია ანგელოზი არაა, მაგრამ მაინც უნდა ვალიარო, შორსმჭვრეტელი ქალია. თან, სახლიდანაც არ გადის!

— სახლიდან გასვლა რად სჭირდება, თუ ტელეფონი აქვს? დედიკო, არ გინდა ტელეფონი დაგვიდგან?

— ზედმეტი ხარჯია, — შეუპრვებით თქვა ქალბატონმა ალვარესმა, — ისედაც ძლივს ვართმევთ თავს ხარჯებს... ტელეფონი მხოლოდ საქმოსან მამაკაცებსა და იმ ქალებს სჭირდებათ, რომლებსაც რაღაც საიდუმლოება აქვთ. როცა შენს ცხოვრებაში ცვლილება მოხდება, როცა ყიყი ცხოვრების სარბიელზე გამოვა, მე პირველი გეტყვი, ტელეფონი დავიდგათ-მეთქი. მაგრამ ჯერჯერობით სამაგისოს ვერაფერს ვხედავ.

მან ამოიოხრა, რეზინის ხელთათმანები ჩაიცვა და ოჯახურ ფუსფუსს შეუდგა. მისი წყალობით სიმყუდროვე არ აკლდა პატარა ბინას. წარსული ცხოვრებიდან ჯერ კიდევ შერჩენოდა წმინდა ჩვევები, რასაც ქალიშვილსა და შვილიშვილს ასწავლიდა. ყოველ ათ დღეში საწოლის თეთრეულს ცვლიდა და დამლაგებელი ქალი, რომელიც სარეცხსაც ურეცხავდა, ყველას უყვებოდა, ქალბატონი ალვარესის ოჯახში საცვლების, სუფრებისა და ხელსახოცების გამოცვლას ვერ აუდიანო. დიდედის ძახილზე: „ყიყი, ფეხზე გაიხადე!“, ეილბერტს მაშინვე უნდა გაეძრო ფეხსაცმელები და წინდები, და იწყებოდა შემოწმება: ფეხის გულები სუფთაა თუ არა, ფრჩხილები თუ დაიჭრა, ბებერა ხომ არსად გასჩენია!

დ'ეგზელმანის „თვითმკვლელობიდან“ ერთი კვირაც არ გასულიყო და



ახალგაზრდა ლაშაი უკვე დაუფიქრებლად იქცეოდა; ნადიმი გაემართა თავის ოტელში, სადაც ეროვნული მუსიკის აკადემიის ვარსკვლავებს მოუყარა თავი საცეკვაოდ, შემდეგ პრე-კატელანის რესტორანი ორი კვირით ადრე გაახსნევინა და ვახშამი მოაწყო; რიტა დელ ერიდო ცხენს ანაერდებდა თურმე მაგიდებს შორის, ტანზე თეთრი მაქმანებით გაწყობილი მარცხენი მარჯალი სცმია, შავ თმაზე სირაქლემის თეთრი ბუმბუღლით მორთული თეთრი ქუდი ჰხურებია და ისეთი წარმტაცი ყოფილა, მთელი პარიზი შეცდომებში შექცევანია, უთქვამთ, გასტონ ლაშაი შაქრის ტახტზე დასმას უპირებს ამ ქალსო. შავრამ ოცდაოთხი საათის შემდეგ პარიზი თავის შეცდომას მიხვდა. ყალბი ცნობების გამოქვეყნებისათვის „ჟილ-ბლანმა“ კინაღამ დაკარგა სუბსიდია, რომელსაც გასტონ ლაშაი აძლევდა. ყოველკვირულმა გაზეთმა, „შეყვარებულმა პარიზმა“ ახალი ყალბი ცნობა მიაწოდა ხალხს სათაურით: „...ახალგაზრდა მდიდარი იანკი გატაცებას არ ფარავს ფრანგული შაქრისადმი!“.

ამ ცნობებს რომ კითხულობდა, ქალბატონ ალვარესს გულიანად ეცინებოდა და ფაშფაშა მკერდი უთრთოდა, რადგან თვით გასტონ ლაშაისგან იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება. ამ გაწამაწიან გასტონმა მაინც გამოძებნა დრო და უკანასკნელ ათ დღეში ორჯერ ინახულა, გვირილის ჩაი მოსთხოვა და მოქანცული სხეული სავარძელში მოასვენა. მის სახეს მარტოხელა ადამიანის უგუნებობა არ შორდებოდა. არც ჟიჟი დაივიწყა და ოცი კოლოფი „ბირტუბილა“ და ვერცხლის შესაკრავიანი რუსული ტყავისაგან შეკერილი ნოტების ჩანთა მოუტანა. ქალბატონმა ალვარესმა კი ბატის დვიძლი და ექვსი ბოთლი შამპანური მიიღო. ამ გულუხვობის სანაცვლოდ შაქრის მრეწველმა სადილად დააპატიჟებინა თავი.

ჟილბერტმა სადილად ზომავზე მეტი შესვა, სულმოუთქმელად ყვებოდა კურსების ამბებს და გასტონს ოქროს ფანქარი მოუგო პიკეტში. ლაშაიმ სიამოვნებით წააგო სანაძლეო; გამზიარულდა, ქალბატონ ალვარესს მიუბრუნდა, ჟიჟიზე მიუთითა და სიცილით უთხრა, აი ესაა ჩემი საუკეთესო ამხანაგიო. ქალბატონი ალვარესი ხან ჟიჟის თეთრ კბილებსა და აელვარებულ ლაწვებს აკვირდებოდა ყურადღებით, ხან ახალგაზრდა ლაშაის, თმას რომ უწეწდა გოგონას და უყვიროდა:

— აა, შე თაღლითო! მეოთხე პაპა სახელოში გქონდა დამალული!

მაღე ანდრეც დაბრუნდა თეატრიდან; გადახედა ჟიჟის, რომელსაც გასტონის მკლავზე მიეყრდნო აწეწილი თავი, ხარხარებდა და სიცილისაგან ცრემლით დანამოდა მშვენიერი ლურჯი თვალები. ანდრემ არაფერი თქვა, ერთი ჭიქა შამპანური შესვა, ერთს მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე და როცა მესამე ჭიქის შემდეგ გასტონს ჩააცივდა, „ლაკმედან“ არიას გიმღერებ და მომისმინეო, ქალბატონმა ალვარესმა საძინებელ ოთახში გაიყვანა და დააწვინა.

მეორე დღეს, შინაურულად გატარებულ ამ საღამოზე ჟილბერტის გარდა არავინ ლაპარაკობდა:

— ჩემს სიცოცხლეში არასოდეს, არასოდეს ამდენი არ მიცინია! ფანქარი ოქროსია, ოქროსი!

მის აღტკინებას დედა და დიდედა გულგრილად შეხვდნენ და წამდაუწუმ უმეორებდნენ: აბა, ჟიჟი, გეყვება! მეტი სერიოზულობა გმართებსო.

გასტონ ლაშაი ორი კვირა არ გამოჩენილა და ალვარესების ოჯახი გახეთქიდან ტყობილობდა მის ამბებს.

— ანდრე, ნახე? ქრონიკაში იუწყებიან, გასტონ ლაშაი მონტე-კარლოში გაემგზავრაო. აი, რას წერენ: „ეს გამგზავრება რაღაც სენტიმენტალური საიდუმლოებითაა მოცული“. ეპ, ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ!

— დიდედა, წარმოგიდგენია, ლიდია პორეტი ირწმუნებოდა კეკის გაკვეთილზე, ლიანა იმავე მატარებლით გაემგზავრა მონტე-კარლოში უმლითაც ძია გასტონი, ოღონდ სხვა კუბეში იჯდაო. როგორ ფიქრობ, ეს მართალი იქნება?

ქალბატონმა ალვარესმა მხრები აიჩეჩა:

— ეს მართალიც რომ იყოს, პორეტის ოჯახს საიდან ეცოდინებოდა? განა ახლა ბატონ ლაშაისთან გააბეს ურთიერთობა?

— არა, მაგრამ ლიდია პორეტს დეიდამისის საპირფარეშოში მოუტრავს ყური ამ ამბისათვის, დეიდამისი „კომედი-ფრანსეზის“ მსახიობია.

ქალბატონმა ალვარესმა ქალიშვილს გადახედა.

— მსახიობის საპირფარეშოში? ჰმ, ახლა კი მესმის... — წაიბუტბუტა მან.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ქალიშვილი მსახიობი იყო, ქალბატონი ალვარესი ამ ხელობას მაინც ამრეზით უყურებდა. როცა ქალბატონმა ემილიენ დ'ალანსონმა გადაწყვიტა მოთვინიერებული ბაჭიების განსწავლულობა ეჩვენებინა ხალხისთვის, როცა ქალბატონი დე პუჟი, რომელიც უბიწო გოგონასავით მოარცხვობდა სცენაზე, კილიტებიანი შავი ტიულის კოსტიუმში გამოეწყო და კოლომბინის როლი მიმიკებით გამოხატა, ქალბატონმა ალვარესმა ორივე ერთი სიტყვით დაგესლა: „როგორ, ნუთუ აქამდე მივიდნენ?“

— დიდედა, მითხარი, დიდედა, — ჩააცვივდა ყიყი, — პრინცი რაჯივილს ხომ არ იცნობ?

— რა მოუვიდა დღეს ამ ბავშვს? რომელმა ბუზმა უკბინა? ჯერ ერთი, ვინაა პრინცი რაჯივილი?

— რა ვიცი, პრინცი, რომელიც ცოლს ირთავს. მზითვების და საჩუქრების სიაში წერია: „მალაქიტის სამი გარნიტური კაბინეტისათვის...“ რა არის მალაქიტი?

— კარგი ერთი, გული ნუ გაგვიწყალე! თუკი ცოლს ირთავს, რაღა საინტერესოა.

— კი მაგრამ, ძია გასტონი რომ ირთავდეს ცოლს, საინტერესო აღარ იქნება?

— გააჩნია! საინტერესო იქნება თუკი თავის საყვარელს მოიყვანს ცოლად. როცა პრინცმა შენიაგინმა ვალენტინ დ'ეგრევილი შეირთო, ყველა მიხვდა, რომ მას მოსწონდა ის ცხოვრება, როგორსაც ამ ქალთან ეწეოდა თხუთმეტი წლის განმეულობაში, ესე იგი მოსწონდა ჩხუბა, აყალმაყალი, კედელზე მიფშვნილი თეფშები, შერიგება დიურენდის რესტორანში; ყველა მიხვდა, რომ ამ ქალმა იცის თავისი ფასი. მაგრამ ასეთ ამბებს შენ ვერ გაიგებ, ჩემო პატარა ყიყი...

— როგორ ფიქრობ, დიდედა, ისინი ჯვარის დასაწერად წავიდნენ ერთად? ქალბატონმა ალვარესმა შუბლი ფანჯრის მინას მიადო, თითქოს გაზაფხულის მზეს ეკითხებოდა რჩევას.

— არა, — თქვა ბოლოს, — ანდა, აღარაფერი გამეგება. ალისიას უნდა მოველაპარაკო. ჟიჟი, წამოდი, ბებიდას სახლამდე მიმაცილე. მე მასთან დავრჩები, შენ კი სანაპიროთი დაბრუნდები, ჰერს გადაყლაპავ. ახლა „ჰერსის გადაყლაპვა“ მოლაში ყოფილა. ჩემს სიცოცხლეში წელიწადში ორჯერ მეტად არ გამომიცვლია ჰერსი, ისიც კაბურგში და მონტე-კარლოში თუ წავსულვარ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯანით სავსე ვარ!

ერქუნული

იმ დღეს ქალბატონი ალვარესი ისე გვიან დაბრუნდებოდა, რომ მისი თბილი წვენი და ცივად მოხარშული ხორცილა ჰქონდა სადილად, და ზედ ალისიას გამოგზავნილი ნამცხვრები დააყოლეს. ჟიჟის შეკითხვაზე, ბებიდა ალისიას ამბობსო, ქალბატონმა ალვარესმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— ამბობს, გრატის ჭამა უნდა ვასწავლოო.

— ჩინებულია! — წამოიყვირა ჟილბერტმა, — საზაფხულო კაბაზე რაღა თქვა, აკი დამპირდა, შეგიკერავო.

— ასე თქვა, ვნახოთო და დაუმატა, უკმაყოფილო არ დამრჩებაო.

— ეჰ, — ნაღელიანად ამოიოხრა ჟილბერტმა.

— მართლა, ასე შემოგითვალა, ხუთშაბათს, ზუსტად თორმეტ საათზე, სასაუზმოდ ჩემთან მოდიო.

— შენც ხომ წამოხვალ, დიდედა?

ქალბატონმა ალვარესმა ისე შეხედა გოგონას, თითქოს პირველად ხედავსო. ჟიჟის ერთბაშად აეყარა ტანი. დიდედა უცქერდა შეილიშვილის ვარდისფერ ღაწვებს, ბინდავით დანოსლულ ლურჯ თვალებს, მარწყვისდარ, გაპობილ ბაგეებს, ლამაზი კბილებით რომ იყვნეტდა, მერე მისი ფერფლისფერი ურჩი კულულებიც შეათვალევრა, ბზესავით რომ ეყარა მზრებზე.

— არა, უჩემოდ წახვალ, — უთხრა ბოლოს.

ჟილბერტი წამოდგა და კისერზე მოეხვია დიდედას.

— რაღაც უცნაურად ლაპარაკობ, დიდედა... შენ რა, ბებიდა ალისიას კმაყოფაზე ხომ არ მიპირებ გადაყვანას? იცოდე, აქაურობას არ მოვშორდები.

ქალბატონმა ალვარესმა ჩაახველა, გაიღიმა და თქვა:

— ღმერთო, რა სულელია ეს ბავშვი! აქაურობას არ მოვშორდებიო... ჩემო საბრალო ჟიჟი, არ იფიქრო საყვედურს გეუბნებოდე, მაგრამ შენ ჯერ კიდევ ვერ ჩამდგარხარ კალაპოტში.

□ □

დედა ალისიას სახლის კართან ზარის ზონარზე ვაზის მწვანე ფოთლები და ლურჯი შტევენები იყო ამოქარგული. შედებილი და მრავალგზის გადაღებილი კარი მუქი კარამელივით ბზინავდა. ზღურბლიდანვე, სადაც „მამათა სქესის“ მსახური იდგა, ჟილბერტი რაღაც ფარული ფუფუნების ატმოსფეროს გრძნობდა. ქალბატონ ალვარესს ერთხელ განეცხადებინა, ლუი XV-ის სტილის პატარა სასტუმრო ოთახი „სევდის განსახიერებას“ წარმოადგენსო, და ჟილბერტიც წაძღაუწუმ იმეორებდა: ბებიდა ალისიას სასტუმრო ოთახი ძალიან ლამაზია, მაგრამ სევდის განსახიერებას წარმოადგენსო; ამიტომ მთელ ყურადღებას სასადილო ოთახს აპყრობდა, რომელსაც ლიმონისფერი სადა შპალერი ეკრა და სანთელივით გამკვირვალე ხის ზოლები დაჰყვებოდა.



შოდ შოვა და აღარც გვირილის ჩაის დასალევად. ყოველ შემთხვევაში, ერთ-  
ხანს მაინც. ეს კი სამწუხაროა.

— ესეც მართალია... — ჩაეცინა ბებიდა ალისიას.

იგი ინტერესით შეჰყურებდა გოგონას და თვალებს ახამნამებდა.

— სკოლაში თუ აკეთებ რამეს? ვისთან მეგობრობ? გრატი დახის ერთი  
დაკვირით ორად გასჭერი ისე, რომ ღანის პირი თეფშზე არ დაეჭვებოდა, ორივე  
ნაწილი შეახრამუნე, ცხადია, თვლებს გარდა. ჩემს კითხვებზე გულდასმით უპასუხებ, რომ  
ჭამა არ შეწყვიტო, მაგრამ არც პირი გქონდეს გამოტენილი. როგორც ვინდა,  
ისე მოახერხე, რაკი მე ვახერხებ, შენც უნდა შესძლო. ვინაა შენი მეგობარი?

— არავინ. თანაკურსელის ოჯახში სიარულის ნებას დიდებდა არ მაძლევს.

— კარგადაც იქცევა. ქუჩაში არავინ აგვიკიდება ხოლმე? ჩანთის წამოღე-  
ბას არავინ გთავაზობს? გამნაზიელები არ ღადიან შენთან? არც მოწიფული  
მამაკაცი? გაფრთხილებ, არ მომატყუო, სულ ერთია, გავიგებ.

ფილბერტი შეჰყურებდა ბრძანების მოყვარულ მოხუც ქალს, რომელმაც  
სასტიკა დაკითხვა მოუწყო.

— არა, ბებიდა, არავინ არა მყავს. განა ვინმემ ავად მახსენა თქვენთან?  
მე მუდამ მარტო დავდივარ. ერთი ეს მითხარით, დიდებდა რატომ არ მაძლევს  
უფლებას, რომ დაპატიჟება მივიღო?

— ერთი მხრივ, დიდებდაშენი მართალია. შენ ჩვეულებრივი, ესე იგი,  
უბერიო ხალხი დაგპატიჟებს.

— ჩვენ კი არა ვართ უბერიონი?

— არა.

— ჩვეულებრივ ხალხს რა აკლია ჩვენთან შედარებით?

— ჩლუნგი გონება და გაბრწილი სხეულები აქვთ. ამას გარდა, კანო-  
ნიერად არიან შეუღლებულნი. ვფიქრობ, ვერ გამიგებ.

— როგორ არა, ბებიდა. მესმის, რომ ჩვენი ოჯახიდან არავინ თხოვდება!

— არა, ქორწინება აკრძალული არა გვაქვს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ  
„შაშინვე“ დავქორწინდეთ, ვქორწინდებით „ბოლოს და ბოლოს“.

— ნუთუ ეს ხელს მიშლის ვართ ჩემს ტოლ გოგონებთან?

— გიშლის. განა შინ მოწყენილი ხარ? არა უშავს, ცოტა მოიწყინე. ამაში  
არაფერია ცუდი, მოწყენა გადაწყვეტალების მიღებაში დაგეხმარება. ეს რაა?  
ცრემლები? პატარა სულელი გოგო ცრემლებს აფრქვევს, თურმე გართობა  
აკლია! კიდევ გადაიღე გრატი.

ბებიდა ალისიამ ჭიქის ფეხს ბრილიანტებით აციმციმებული სამი თითი  
მოსდო და მალლა ასწია.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, ყიფი! ყავაზე სიგარეტს მოვართმევ, ოღონდ იმ პი-  
რობით, თუ ბოლოს არ დაასველებ და თამბაქოს გადმოფუტრთხებას არ დაი-  
წყებ! ამას გარდა, ბეშოფ-დავიდის პირველ მოადგილესთან წერილს მიგიწერ  
ატელეფში. ჩემი ძველი მეგობარია... ხელი მოეცარა ცხოვრებაში, მაგრამ...  
შენი გარდერობი უნდა გადავახალისოთ! ცდა ბედის მონახევრეაო, ხომ გაგი-  
გონია!

— მუჭი ლურჯა თვალები ერთბაშად აენთნენ, ფილბერტს სიხარულისგან  
ენა დაება:

— ბებიდა, ბებიდა! ბეშოფ... ბეშოფ-დავ...

— დიახ, ბეშოფ-დავიდთან. არ მეგონა, ასეთი კეკლუცი თუ იყავი.

ჟილბერტი გაწითლდა.

— შინ გადაკეთებულ კაბებში რა სიკეკლუცე გამომეჩინა?

— გასაგებია! გემოვნება გექნება მაინც? აბა ერთი მითხარი, როგორ ვგონია, რა უნდა გეცვას კარგად რომ იყო გამოწყობილი?

— ოო, კარგად ვიცი რაც მომიხდება. ერთხელ ვნახე <sup>ქვეყნის</sup> ~~ქვეყნის~~

— ლამარაკის დროს ხელებს ნუ აქნევ... როგორც <sup>ქვეყნის</sup> ~~ქვეყნის~~ ხელების ქხევას, მდაბიოს დაემსგავსები.

— ერთი კაბა ვნახე... დიახ, ქალბატონ ლუსი ჟერარდისთვის შეეკერათ... ხაცრისფერი აბრეშუმის მარმაშის კაბაზე უამრავი პატარ-პატარა ნაოჭები აესხათ თავიდან ბოლომდე... მეორე კაბას შავი ხავერდის ფონზე ცისფერი ლავანდები ჰქონდა და ბოლოში ისე იყო შეჭრილი, ფარშავანგის კული გეგონებოდათ...

ქალბატონმა ალისიამ ბეჭდებიანი ლამაზი, პატარა ხელი პაერში აასავსავა:

— კმარა! კმარა! ვგრძნობ, ფრანგი კეკლუცი ქალის მიდრეკილება გაქვს ჩაცმაში. მგონი, ქათინაურადაც მიიღე ჩემი სიტყვები! მოდი, ყავა დაასხი, ოლ-ონდ, თუ ღმერთი ვწამს, ერთბაშად არ მოჰხადო ყავიდან ხუფი, აქაოდა წვეთიც არ დავღვაროთ, მირჩევნია ყავის გუბე დადგეს ლამბაქზე. ვიდრე ოფიციალტის ვირტუოზულობა გამოიჩინო.

საუზმის შემდეგ ღრო სწრაფად გავიდა: ბეზიდა ალისიამ ზარდახმა განსხ-ნა და თავებრუდამხვევი გაკვეთილი ჩაუტარა:

— ჟიჟი, ეს რა არის?

— ტოპაზი.

ბეზიდა ალისიამ მზის სხივს გაუშვირა ხელი, რათა ბეჭდების ციმციმი ნათლად ეჩვენებინა:

— ტოპაზი! ბევრი დამცირება გადამიტანია ცხოვრებაში, მაგრამ ის, რაც შენ ახლა მითხარი, არავის უკადრებია. ტოპაზს რა უნდა ჩემს სამკაულებში? იქნებ, აკვამარინია? ეს ღია ყვითელი ბრილიანტი გახლავს, ინდაურის ჭუკო! ერთბაშად, ყოველდღე არ იხილო ასეთი თვალი! ეს რაღაა?

ოცნებაში წასულ ჟილბერტს პირი დაედო.

— ოო, ეს ხომ ზურმუხტია... ღმერთო, რა ლამაზია!

ბეზიდა ალისიამ თითზე წამოიცივა თიხუთხა ზურმუხტის ბეჭედი და გა-ჩუმდა.

— ხედავ? — ხმადაბლა წამოიწყო ბოლოს, — ეს მოლურჯო შუქი რო-გორ კვეთს მწვანე სხივს?... მხოლოდ ულამაზეს ზურმუხტს აქვს ასეთი სას-წაულებრივი, ფარული სილურჯე...

— ვინ მოგცათ, ბეზიდა? — გაბედა და ჰკითხა ჟიჟიმ.

— მეფემ, — მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

— დიდმა მეფემ?

— არა, პატარამ. დიდი მეფეები პატიოსან თვლებს საჩუქრად არავის აძ-ლევენ. — ბეზიდა ალისიას გაეღიმა და მისმა წვრილმა კბილებმა თეთრად გა-მთანათეს. — ჩემი აზრით, ასეთი რამ მათ არ უყვართ. ჩვენს შორის დარჩეს და, არც პატარა მეფეებს უყვართ ძვირფასი თვლების გაჩუქება!

— მაშ, ვიღას უყვარს?

— ვის? მორცხვ ხალხს... პატივმოყვარეებსაც... ამ ბრიყვებს ჰგონიათ, თუკი ერთი უბადრუკი სამკაული გაჩუქათ, კარგ აღზრდას ამჟღავნებენ ამით... უბრალო სამკაული არასოდეს არ ატარო, დაიცადე სანამ პირველხარისხოვანი გერგებოდეს.

— თუკი არასოდეს მერგო?

— მით უარესი. სამი ათას ფრანკიანი ცუდი ბრილიანტის ტარებას გერჩივნოს ას სუფთ ღირებულ უბრალო ბეჭედი წამოიცვა თითქმის ყველაზე უფროს: სახსოვარია და არც დღისით, არც ღამით არ ვიშორებ-თქო. ხელოვნური სამკაულიც არ ატარო, თუ არ გინდა პატივისცემა დაკარგო.

— ხელოვნური სამკაული რომელია?

— გააჩნია... ქრიზოპრასისთვლიანი ოქროს სირინოში, ეგვიპტური სკარაბეუსი, ამოჭრეთილი მსხვილი ამეთვისტო, მსუბუქი, ოსტატურად ნაჭედი სამაჯური, ღირა, ვარსკვლავის ფორმის გულქანდი, ინკრუსტირებული კუ, ერთი სიტყვით, ყოველგვარი საშინელება. არასოდეს, ქუდის ქინძისთავადაც არ გაიკეთო ხელოვნური მარგალიტი და ნურც საგვარეულო სამკაულს დახარბდები!

— მშვენიერი ქამეოს მედალიონი აქვს დიდებას.

— მშვენიერი ქამეო არ არსებობს. — დინჯად უპასუხა ალისიამ და თავი გადააქნია, — არსებობს ძვირფასი თვლები და მარგალიტი. არსებობს თეთრი, ღია ყვითელი, მოლურჯო ან ვარდისფერი ბრილიანტი. ნუღარაფერს ვიტყვით შავ ბრილიანტზე, დროის დაკარგვად არ ღირს... არსებობს ლალი, ისიც, თუ ნამდვილია... საფარონი, თუკი ქაშიშირიდანაა, ნურმუხტი...

— ბებიდა, ოპალიც მიყვარს.

— ვწუხვარ, მაგრამ ოპალის ტარების უფლებას ვერ მოგცემ. სასტიკი წინააღმდეგი ვარ...

ჟილბერტი სახტად დარჩა და გაოცებულმა პირი დაალო.

— ოო, ნუთუ შენც... ნუთუ შენც ფიქრობ, ბებიდა, რომ ოპალს უბედურება მოაქვს?

— რატომაც არა, სულელო?... — მხიარულად წამოიძახა ალისიამ, — ყოველ შემთხვევაში, ისე უნდა გეჭიროს თავი, თითქოს ასეთი რამისა გჯერა...

— კი მაგრამ, — ყოყმანით უთხრა ჟიემ, — ეს ხომ... ეს ხომ ცრუმორწმუნეობაა?

— რასაკვირველია, ჩემო გოგო. სისუსტესაც უწოდებენ. მცირეოდენი სისუსტე და ობობის შიში აუცილებელი რამ გახლავს მამაკაცთან ურთიერთობაში.

— რატომ, ბებიდა?

მოხუცმა მანდილოსანმა ზარდახმა დახურა. ჟიე ისევ ჩაჩოქილი იდგამის წინ.

— იმიტომ რომ, ათი მამაკაციდან ცხრა ცრუმორწმუნეა, ოციდან — ცხრამეტს ავი თვალი სწამს და ასიდან — ოთხმოცდათვრამეტს ობობისა ეშინია. ისინი ბევრ, დიახ, უამრავ შეცდომას მოგვიტევენ, მაგრამ არასოდეს გვაპატიებენ, თუ არ გავიზიარებთ იმ ცრურწმენას, რაც მათ მოსვენებას არ აძლევს... რატომ ამოიოხრე?

— ამდენ რამეს ვერასოდეს დაეიმახსოვრებ!

— მთავარია, მე ვიცოდე, ხოლო შენ დაიმახსოვრებ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს...

— ბეზიდა, მალაქიტის გარნიტური რა არის?

— ეს რა უბედურებაა? ღმერთო დიდებულო, ვინ გასწავლის ამ სიტყვებს?

— გაზეთში ამოვიკითხე... საქორწილო საჩუქრების შესახებ...

— კარგ რამესაც კითხულობ, კარგი დაგემართოს სიტყვები. მით იმას მაინც მიხვდები, რა საჩუქარია ისეთი, რომლის არც მალე და არც გაცემა არ შეიძლება.

მოხუცი ლაპარაკობდა და თან თითს უსვამდა გოგონას სახეზე, ბავშვ აუწია, კბილების უხადო მინანქარი შეუმოწმა.

— მშვენიერი ყბა გაქვს, ჩემო გოგონა! ასეთი კბილებით პარიზსაც გადავჭამდი და უცხოეთსაც. თუმცა, მაინც დიდი ლუკმა ჩავახრამუნე!.. აქ რა გაქვს? მუწუკი? ცხვირთან არ უნდა გქონდეს მუწუკი. ეს რაა? ფერისმჭამელა ამოგიგდია. არ ვარგა. ეცადე ფერისმჭამელები არ გაგიჩნდეს, მაგრამ როცა შეამჩნევ, არ ამოიგდო, კანის შემკვრელ წყალს მოგცემ და იმით დაიბანე პირი. მოხარშული ლორის გარდა სხვა ძეხვეული არ უნდა ჰქონო. პუდრს არ ისვამ?

— დიდდამ ამიკრძალა.

— გასაგებია! კუჭის მოქმედება როგორი გაქვს?

ხელი მხარზე დაადო ჟილბერტს და განაგრძო:

— ყური მიგდუ, რაც გითხრა, დაიმახსოვრე: შენ ისეთი სახე გაქვს, მამაკაცს აღვილად მოეწონები: პაჭუა ცხვირი, უფორმო ტუჩები, ოღნავ გლეხური ყვრიმალეები...

— ოო, ბეზიდა... — დაიკვნესა ჟიჟი.

— სამაგიეროდ, ისეთი თვალეები, ქუთუთოები, კბილები და თმა გაქვს, რომ თუ სულ მთლად იდიოტი არა ხარ, ბევრს მოხიბლავ. რაც შეეხება ტანს... ჟიჟის მკერდს ხელი დაუსვა და გაიღიმა:

— ჯერ პროექტია... ლამაზი პროექტი, კარგად ჩამოსხმული... ნუშს ნუ მიეძალეები, მკერდს ამძიმებს... აბა, ახლა სიგარების არჩევა უნდა გასწავლო.

ჟილბერტმა ისე ფართოდ დააჭყიტა თვალეები, რომ წამწამები წარბებს აეკრა.

— რად მინდა? რა საჭიროა?

— საჭიროა! — უთხრა ალისიამ და ლოყაზე წკიპურტი გაჰკრა, — უმიზეზოდ არაფერს ვაკეთებ. რაკი შენი აღზრდა-გახათლება ვიკისრე, ყველაფერი უნდა გაეითვალისწინო. როცა ქალმა იცის, რა უყვარს მამაკაცს, თუნდაც როგორი სიგარა მოსწონს, და როცა მამაკაცმა იცის ქალს რა მოსწონს, ისინი შეხმატკბილებულად იქნებიან და...

— და იჩხუბებენ, — ემშაკურად ჩაურთო ჟიჟი.

— როგორ თუ იჩხუბებენ?

გაოგნებული ქალი ჟიჟის ჩააშტერდა.


— ოო, ერთი ამას დამიხედეთ... წამოდი, ფსიქოლოგო, ქალბატონ ანრიეტასთან წერილს დაგიწერ... ბეშოფის ატელიეში...

სანამ მოხუცი პატარა, ვარდისფერ საწერ მაგიდასთან იჯდა და წერდა,



ჟილბერტი ოთახის სურნელებით ტკბებოდა, მრავალგზის ნახულ ნივთებს აკვირდებოდა, რომელთა დანიშნულებას აქამდე ვერ მიმხვდარიყო; უცქერდა ბუხარზე დადგმულ საათს ამურის გამოსახულებით, ორ პიკანტურ სურათს, აუზის ფორმის საწოლს და შინშილის საბანს, წვრილი მარგალიტის კრიალისანს, სასთუმალთან, მაგიდაზე დადებულ სახარებას და ჩინურ წითელ ლამპას, რაც სასიამოვნოდ ეხამებოდა ნაცრისფერ შპალერს.

— ახლა კი გაიქეცი. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაფრთხილვით ვიქტორს ნამცხვარი გამოართვი და შინ წაიღე. ნელა, თმა არ ამიწეწო! იცოდე, ფანჯრიდან გიყურებ, ვაი შენ, ჭარისკაცისვით თუ გაივლი ან წელმოწყვეტილივით თუ აითრევ ფეხს!



მაისის თვეში, როცა გასტონ ლაშაი პარიზს დაბრუნდა, ჟილბერტს უკვე მზად ჰქონდა ლამაზად შეკერილი ორი კაბა, თხელი პალტო (კლერ დე შეროდესაც ასეთი პალტო აქვსო, ამბობდა ჟიეი), ქუდი და ფეხსაცმელები. ამასთან, თმაც დაეხვია შუბლთან, რაც მეტად ბანალურ იერს აძლევდა. ჟიემ უჩვენა გასტონს ცისფრათ გაწყობილი თეთრი კაბა, რომლის ბოლო თითქმის იატაკს სწვდებოდა.

— ოთხი მეტრი და ოცდახუთი სანტიმეტრის სიგანისაა ჩემი ქვედატანი, ძია გასტონ! — ეუბნებოდა იგი და ამაყად უჩვენებდა წვრილ წელს, რომელზედაც ვერცხლის ბალთაზე შეკრული მკვრივი ქსოვილის ბაფთა ჰქონდა შემოხვეული. მაგრამ თავისდა უნებურად მაინც ძირს ექაჩებოდა ვეშაპის ძვალგაყრილ საყულოს, რადგან ლამაზ ყელზე უჭერდა. თეთრი და ცისფერზოლიანა აბრეშუმის ქვედატანი სიარულის დროს შარიშურობდა; ჟილბერტი კეკლუცობდა და მოკლე, გაბერილ სახელოებს წამდაუწუმ ისწორებდა.

— განსწავლულ მაიმუნს ჰგავხარ! — უთხრა ლაშაიმ, — კუბოკრულ კაბაში უფრო მომწონდი. ამ მოჭერილ საყულოთი ქათამს წააგავხარ, რომელსაც სიმინდის მსხვილი მარცვალი გადაუყლაძავს. სარკეში ჩაიხედე!

შეურაცხყოფილი ჟილბერტი სარკესთან მივიდა. ცალი ლოყა გამობერვოდა, მსხვილ კარამელს წუწნიდა, რომელიც გასტონს ნიციდან ჩამოეტანა.

— ბევრი რამ მსმენია თქვენზე, ძია გასტონ, — დაგესლა ჟიემ, — მაგრამ არავის უთქვამს, ბატონ ლაშაის გემოვნება აქვსო.

სუნთქვაშეკრულმა გასტონმა თვალით გაზომა ტანწერწეტა გოგონა და ქალბატონ ალვარესს მივარდა:

— შესანიშნავად ზრდით, მე და ჩემმა ღმერთმა! მომილოცავს! — თქვა და ისე გავარდა ოთახიდან, გვირილის ჩაი არც კი გახსენებია. ქალბატონმა ალვარესმა გულზე დაიკრიფა ხელები:

— ეს რა გვიყავი, ჩემო საბრალო ჟიეი?

— აბა, რა უნდა ჩემგან? ძალიან კარგადაც მოვიქეცი... იცოდეს, რომ მუდამ საკადრის პასუხს მიიღებს.

დიდუდამ მკლავში ჩაავლო ხელი შვილიშვილს და შეანჯღრია:

— გესმის, რა ჩაიღინე, უბედურო? ღმერთო, როდის ისწავლის ჭკუას?! როგორ მოუკლა გული კაცს! ისიც სწორედ იმ დროს, როცა ვცდილობთ...

— რას, დიდედა?

— რას და... ყველაფერს... ვცდილობთ გაგალამაზოთ, გაგაკობტაოთ... გვინდა, რაც კი კარგი გაქვს, დაინახოს...

— ვინ, დიდედა? მგონი შენც დამეთანხმები, რომ ისეთი ძველი მეგობრისთვის, როგორიც ძია გასტონია, ჩემი გამოპრანჭვა არაა საქირო.

ქალბატონი ალვარესი არაფერში დათანხმებია, დაეძრუნებულა და დღეს გამოუხატავს გაოცება, როცა ღია ფერის კოსტიუმში გასტონს გასტონ ლაშაი მზიარულად შემოვიდა ოთახში.

— ჟიჟი, ქუდი დაიხურე! სასაუზმოდ მიმყავხარ.

— სად? — დაიყვირა ჟიჟიმ.

— ვერსალში, რესტორან „რეზერვუარში“.

— იჟ, გენაცვალე! რა კარგია! — წაიძღვრა ჟიჟიმ და დიდედას სამზარეულოში შესძახა: — დიდედა, მე და ძია გასტონი „რეზერვუარში“ მივდივართ.

ქალბატონ ალვარესს სიჩქარეში ყვავილებიანი სატინის წინსაფრის მოხსნა დაავიწყდა. ოთახში შემოსვლისთანავე შეამჩნია, რომ გასტონსა და ეილბერტს მკლავი მკლავში პქონდათ გაყრილი და მყისვე ხელი გააშვებინა.

— არა, გასტონ, — თქვა მან.

— როგორ თუ არა?

— ოო, დიდედა... — ასლუკუნდა ჟიჟი.

ქალბატონ ალვარესს გაგონებაც არ უნდოდა.

— ცოტა ხნით შენს ოთახში შედი, ჟიჟი. ბატონ ლაშაისთან სალაპარაკო მაქვს.

როცა ეილბერტი ოთახიდან გავიდა, ქალმა კარი მიხურა, გასტონს მიუბრუნდა, წარბშეუხრელად შეხვდა მის გამომწვევ, პირქუს მხერას.

— ეს რას ნიშნავს, მაპიტა? გუშინდელს შემდეგ რაიმე ცვლილება ხომ არ მომხდარა თქვენს ოჯახში? ბარემ მითხარით!

— ისე ვარ დაღლილი, ძალიან მასიამოვნებთ, გასტონ, თუ დაბრძანდებით. ოო, ჩემი საცოდავი მუხლები...

ამოიოხრა, ერთხანს ელოდა, გასტონი მითანაგრძნობსო, მაგრამ ამაოდ. მაშინ წინსაფარი მოიხსნა და შავი კაბის გულისპირზე დაბნეული ქამერ გამოაჩინა. ქალმა ანიშნა სტუმარს სკამზე დამჯდარიყო, თვითონ მძიმედ დაეშვა სავარძელში, ჭიკაძეშერეულ თმაზე ხელი გადაისვა, მერე მუხლებზე დაიწყო მკლავები. შავ, მაყვალღვით თვლებს ისე ატრიალებდა და თავი ისე ლაღად ეჭირა, ეტყობოდა, სულ არ ღელავდა.

— გასტონ, კარგად ხედავთ, რა მეგობრულად გექცევით...

ლაშაიმ საქმოსანი კაცივით ირონიულად ჩაიქირჭილა და უღვაში მოიწიქნა.

— დიახ, მეგობრული და მაღლიერების გრძნობა მაქვს თქვენს მიმართ. მაგრამ არც ის მაგიწყდება, თუ რა პასუხისმგებლობა მაწევს კისერზე. კარგად მოგეხსენებათ, რომ ანდრეს არც დრო ჰყოფნის და არც იმის თავი აქვს, გოგონას აღზრდაზე იზრუნოს. ჩვენი ეილბერტი სხვებივით გაქნილი არაა, ნამდვილი ბავშვია...

— თექვსმეტი წლის ბავშვი! — წაიბუზღუნა ლაშაიმ.

— მალე თექვსმეტი წლის გახდება, — დაუმოწმა ქალბატონმა ალვარეს-

მა, — რამდენიმე წელია კანფეტებსა და წვრილმან საჩუქრებს არ აკლებთ! ამიტომაც, თქვენს მზეს რომ ფიცულობს. ახლა კი გინდათ სასაუზმოდ რესტორანში წაიყვანოთ მანქანით... — ქალმა გულზე დაიღო ხელი: — ვფიცავ ჩემს სინდისსა და პატიოსნებას, გასტონ, მე და თქვენ რომ გვეხებოდეს ეს საქმე, პირველი გეტყოდით: სადაც გინდათ იქ წაიყვანეთ ეილბერტი, თვალდახუჭული განდობთ-მეთქი, მაგრამ სხვები... სხვები რას იტყვიან? თქვენ ყველა გიცნობთ, ქალისთვის თქვენთან ერთად ქუჩაში გავლა...  
ერწონს...  
გინდა...

გასტონ ლაშაის მოთმინება დაეკარგა:

— კმარა! კმარა... გავიგე! გინდათ დამარწმუნოთ, რომ თუკი ეივი ჩემთან ისაუზმებს, აუცილებლად გაუტყდება სახელი! ეივი ქალი კი არა, გოგონაცაა, მწვანე მკაუნა, გოგო, რომელსაც არავინ არ იცნობს, არავინ უყურებს!

— ვთქვით, მართლაც ასეა! — შეაწყვეტინა ქალბატონმა ალვარესმა, — საკმარისია სადმე გამოჩნდეთ, გასტონ, და თქვენს იქ ყოფნას მაშინვე ამჩნევენ. როცა ქალიშვილი ქალი თქვენთან ერთად ქუჩაში გაივლის, ის უკვე ჩვეულებრივი ქალიშვილი, ანდა საერთოდ ქალიშვილი აღარაა... ჩვენი ეილბერტი ჯერ კიდევ უნდა დარჩეს ჩვეულებრივ გოგოდ. თქვენთვის სულ ერთია, რას იტყვიან, ერთი ჭორშესხმული ამბავი შეგემატებათ, მაგრამ „ეილ-ბლაზში“ რომ ასეთი რამ ამოვიკითხოთ ეივიზე, მერწმუნეთ, გაცინების თავი არ მექნება.

გასტონ ლაშაი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა:

— კეთილი, მამიტა, აღარ გედავებით... კამათის თავი არა მაქვს, — ცივად გამოსცრა ბოლოს, — გყავდეთ თქვენი გოგო!

შემდეგ ერთბაშად დაუდგა წინ და ჯიქურ შეეკითხა:

— სხვათა შორის, საინტერესოა, ვის უნახავათ? ალბათ, რომელიმე კანტორის მოხელეს, რომელსაც ორი ათასი ფრანკი ექნება ბელფასი, ცოლად შეირთავს და სამ წელიწადში ოთხ შვილს გააჩენინებს, ხომ ასეა?

— დედის როლი მე უკეთ მესმის. — დინჯად უპასუხა ქალბატონმა ალვარესმა, — ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეივი ისეთ მამაკაცს ჩავაბარო, რომელიც მეტყვის, მე ვკისრულობ მასზე ზრუნვას, მისი მომავალი მე მომანდეთო. გასტონ, გვირილის ჩაი მოგიმზადოთ?

— არა, გმადლობთ, მაგვიანდება.

— გინდათ, ეივის გამოემშვიდობოთ?

— ნუ წუხდებით, სხვა დროს მოვალ... თუმცა, არ ვიცი როდის! ამ ხანებში დაკავებული ვიქნები.

— არა უშავს, გასტონ, ეივის გულისთვის თავს ნუ შეიწუხებთ... გისურვებთ კარგად გაგეტარებინოთ დრო.

მარტოდ დარჩენილმა ქალბატონმა ალვარესმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ეილბერტის ოთახის კარი შეაღო:

— ეივი, ყურს გვიგლებდი?

— არა, დიდება.

— როგორ არა! კარებთან იდექი და გვისმენდი. კარებს არასოდეს არ შიადო ყური, შეიძლება ცუდად და უკუღმართად გაიგო ნათქვამი. ბატონი ლაშაი წავიდა.

— ვხედავ.

— ახალი კარტოფილი ჩვარში ჩაყარე და გაწმინდე. როცა დავბრუნდები, შეეწვავ.

— სად მიდიხარ, დიდედა?

— აღისიასთან უნდა წავიდე.

— ისევ?

— ახლა შენლა მაკლიხარ საბაბი მიბოვნო და შენს მკვამლე! — გაკაპასდა ქალი. — გირჩევნია, თვალევი ცივი წყლით ამოიბანო... ისე გამოსულელებულხარ, გიტირია კიდევ.

— დიდედა!

— რა გინდა?

— რა მოხდებოდა ძია გასტონთან გაგეშვი ახალი კაბით?

— ჩუმაღ! რაკი არაფერი გესმის, ნება გვიბოძე, ჩვენ განვსაჯოთ უფრო გონივრულად. რეზინის ხელთათმანები ჩაიცვი და კარტოფილი ისე გაწმინდე!

□ □

ალვარესების ბინაში მთელი კვირა ჩამიჩუმი არ ისმოდა. და აი ერთ დღეს, მოულოდნელად, დეიდა აღისაა ეწვიათ. ორადვილიანი ეტლით მოვიდა, შავ მაქმანაა და მუქ აბრეშუშში გამოწყობილს ვულზე ვარდი ებნია. აღისაა გულდასმით ესაუბრა თავის უმცროს დას. ჟილბერტიც მოიკითხა, ლოყაზე აკოცა და წავიდა.

— რა უნდოდა? — იკითხა ქეთიმ.

— არაფერია... იმ ექიმის მისამართი მკითხა, ქალბატონ ბიუფეტრის რომ მკურნალობდა.

ჟილბერტი ჩაფიქრდა.

— რა დიდხანს მოუნდა, — თქვა ბოლოს.

— რას მოუნდა დიდხანს?

— ექიმის მისამართის გაგებას. დიდედა, წამალი მომეცი, თავი მტკივა.

— გუშინაც გტკიოდა თავი... შეუძლებელია შაკიკი ოცდაოთხ საათს გაგრძელდეს..

— ისე ლაპარაკობ, თითქოს არ შეიძლება მეც მაწუხებდეს შაკიკი, — წყევხით უპასუხა ჟილბერტმა.

ბოლო დროს უკმეხად ელაპარაკებოდა შინაურებს, კურსებიდან დაბრუნებისას ყვიროდა, მასწავლებელი ჩამაცივდათ, უძილობას უჩიოდა, მოეშვა, გაზარმაცდა. ერთ დღეს, როცა თეთრ ფეხსაცმელებს წყალში გახსნილი ცარციით სწმენდდა, გასტონ ლაშია დაუკაკუნებლად შემოვიდა. თმა წამოზრდოდა, მზე მოკიდებოდა სახეზე და უჯრედებიანი საზაფხულო კოსტიუმში კულანათოდ ეცვა. გასტონი ერთბაშად შედგა ქეთის წინ, რომელიც სამზარეულოს ტაბურეტზე წამოსკუპებულყო და მარცხენა ხელზე ფეხსაცმელი წამოეცვა.

— ოო, ეტყობა, გასაღები კარებში დარჩენია დიდედას... მე რა ვქნა, მისი ბრალია!

რაკი გასტონ ლაშია უსიტყვოდ იდგა და თვალს არ აშორებდა, ქეთი გაწითლდა, ფეხსაცმელი მაგიდაზე დადო და კაბა მუხლებზე ჩამოიწია.

— მაშასადამე, ძია გასტონ, ქურდულადაც დაიწყეთ ბინაში შესვლა? რა-

ტომ განხდარხართ? პრინც დე გალის სახელოვანი მზარეული საჭმელს აღარ გიმზადებთ? რაკი გახდით, თვალებიც დიდი გიჩანთ, სამაგიეროდ, ცხვირი დაგგრძელებიათ და...

— დიდუღაშენთან სალაპარაკო მაქვს, — შეაწყვეტინა ლაშაი, — ეივი, შენს ოთახში მოუსვი!

ეივი ერთხანს პირღია მიაჩერდა გასტონს, შემდეგ ტაბუტზე დაჯდომოხტა, კისრის ძარღვები დაეჭიმა და ლაშაის შეუტია: ბიზლიქოშეკა

— მოუსვი შენს ოთახში! მოუსვი შენს ოთახში! მეც რომ ასევე გითხრათ? რა უფლება გაქვთ, აქედან რომ მაგდებთ? კეთილი... მე წავალ, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვეტყვი: სანამ აქ იქნებით, ოთახიდან არ გამოვალ და თვალით არ დაგენახებთ...

კარი მიიჭახუნა და გაბრაზებულმა ურდულზე ჩაჰკეტა.

— გასტონ, — ამოიოხრა ქალბატონმა ალვარესმა, — ვაიძულე ბოდიში მოგიხადოთ... დიახ, ვაიძულე... და თუ საჭირო იქნა...

გასტონ ლაშაი ყურს არ უგდებდა და დაბურულ კარს მისჩერებოდა.

— ახლა, მამიტა, — თქვა ბოლოს, — მიხდა სერიოზულად მოველაპარაკოთ.

□ □

— აბა, გავიხსენოთ! — შესძახა დეიდა ალისიამ, — დასაწყისისთვის კარგად უთქვამს: „ისე გავანებივრებ, როგორც“...

— „როგორც ჯერ არც ერთ ქალს არ ღირსებია!“

— დიახ, მაგრამ ცოტათი ბუნდოვანი ფრაზა კია, ასე ლაპარაკობს ყველა მამაკაცი. პირადად მე სიზუსტე მიყვარს.

— არც უამისობაა, ალისია. ასე თქვა, ყოველგვარ უსიამოვნებას ავაცილებ ჟიჟის, კიდევ მეტი, არავინ იჭორავებს ჩვენზე, რადგან მეურვედ გავასაღებ თავსო.

— დიახ... დიახ... ცუდად როდია ნათქვამი... კარგია, მაგრამ მაინც ბუნდოვანია... ბუნდოვანი!

ალისია ჯერ კიდევ ლოგინში იწვა და თეთრი კულულები ვარდისფერ ბალიშს ეფინა. ფიქრებში წასული ქალი დამის პერანგის ბაფთებს ჰკრავდა და ხსნიდა. სასთუმალთან მღვარ მაგიდას მკლავით დაყრდნობოდა ქალბატონი ალვარესი. მთვარესავით მქრქალი და ღრუბელივით მოქუფრული სახე ჰქონდა.

— ისიც დაუმატა, ერთბაშად ვერ დავაჩქარებ ამ საჭმელს, პირველ ყოვლისა, მე ეივის დიდი მეგობარი ვარ, ამიტომ დროს მივცემ, შემეჩვიოსო... როცა ამ სიტყვებს ამბობდა, თვალეზე ცრემლები ადგა. ბოლოს თქვა, ველურ ადამიანთან კი არ ექნება საქმე ეივისო... ერთი სიტყვით, ალისია, ნამდვილი ჯენტლმენია, ნამდვილი ჯენტლმენი!

— დიახ... დიახ... ოღონდ ოდნავ „ბუნდოვანი“ ჯენტლმენი! პატარას თუ ელაპარაკე გარკვევით?

— რასაკვირველია! განა მოვალე არ ვიყავი მოვლაპარაკებოდი? რალა დროსია იმ ბავშვივით მოვექცეთ, რომელსაც ნამცხვარს უმაღავენ! დიახ, ალი-

სია, გარკვევით ველაპარაკე... გასტონი სასწაულმოქმედად, ყოვლისშემძლე ადამიანად დაგუსახე... ვუთხარი...

— ტა... ტა... ტა... ტა... — გაკიცხა ალისიამ, — შენ ადვილად თქვენს ხელმოკლეობაზე ველაპარაკებოდი, იმასაც ვეტყობდი, ქალები რგბლებს დაპარაწავენ, როცა გაიგებენ, ასეთ მამაკაცს აჯობებ-თქო...

— ხელმოკლეობაზე! ქალების გაანჩხლებაზე! როგორ ფიქრობ, შენა გვავს? მაშ, უიყის არ იცნობ! არავითარი სიბოროტე და უსიბოროტეს გულში, იგი...

— გმადლობ.

— იმის თქმა მინდა, პატივმოყვარე არ არის-მეთქი გამიკვირდა კიდევ. ამ ამბავს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მასზე. არც სიხარული გამოუხატავს, არც წყენა. ესღა მითხრა პასუხად: „ოო, დიახ... რა სიყვთე გამოუჩენია...“ ოღონდ პირობა ჩამომართვა...

— ამასაც ველოდი! — წაიბუტბუტა ალისიამ.

— ...ბატონ ლაშაის მე თვითონ გავცემ პასუხსო. რას ვიზამდი, დავთანხმდი. ბოლოს და ბოლოს, ეს უკვე მისი საქმეა.

— კარგ რამეს ნუ ველით მისგან! ერთი დღის მოფიქრების საშუალებაც კი არ უნდა მიგეცა ამ შეუუგნებელი ბავშვისათვის... ოქროს მთებს მოსთხოვს, და რაკი გასტონს კარგად ვიცნობ, რასაკვირველია, ოქროს მთებს ვერ შეჰპირდება... ოთხ საათზე უნდა მოვიდეს, არა?

— დიახ.

— არაფერი გამოუგზავნია? არც ყვავილები, არც სხვა რამ?

— არაფერი. როგორ ფიქრობ, ცუდი ნიშანია?

— არა. მისგან სხვა საქციელს არც მოველოდი. ეცადე, კარგად ეცვას გოგონას... როგორ გამოიყურება?

— დღეს ვერაა კარგად, საწყალი ბაჭია...

— კარგი... კარგი, — მკვანხედ შეაწყვეტინა ალისიამ, — ცრემლები იმ დროისთვის შემოინახე, როცა შენი ბაჭია ამ აწყობილ საქმეს ჩაგიფუშავს.

□ □

— ეი, რატომ არაფერი ვიჭამია?

— არა მშიოდა, დიდება. შეიძლება, ყავა დავლიო?

— რასაკვირველია.

— ცოტაოდენი ლიქიორიც შეიძლება?

— რა თქმა უნდა... მით უმეტეს, რომ ლიქიორი კუჭისთვის სასარგებლოა. ღია ფანჯრიდან სითბო და ქუჩის ხმაური შემოდის. ეილბერტი ენის წვერს ჰყოფდა ლიქიორიან ჭიქაში.

— ბებიდა ალისიამ რომ დაგინახოს ახლა, ეი, — ეხუმრა ქალბატონი ალვარესი.

ეიემ ნაძალადევა ღიმილით შეხედა დიდებას. კუბოკრული კაბა მკერდზე შემოკროდა და ფეხები მაგიდის ქვეშ გაეჭიმა.

— რატომ ჩვენთან არ ისაუბმა დედამ? ნუთუ დაიჯერე, დიდება, რომ გრანდ ოპერაში რეპეტიცია აქვს?

— რაკი გვითხრა, ალბათ აქვს.

— მე კი ვფიქრობ, ჩვენთან არ სურდა ესაუზმა.

— ეს რამ გაფიქრებინა?

ელიზბერტმა მხრები აიჩეჩა, მზით გასხვივოსნებულ ფანჯრისთვის თვალი არ მოუშორებია:

— ოო, არაფერმა, ისე...

როცა ლიქიორი გამოცალა, წამოდგა და ქურქის ჩაღებამ შე-  
უდგა.

— თავი დაანებე, ჟიჟი, სუფრას მე ავალაგებ.

— რატომ, დიდება? განა ყოველდღე მე არ ვალაგებდი?..

თვალი თვალში გაუყარა დიდებას, რომელმაც მის მზერას ვერ გაუძლო.

— ისედაც გვიან ვისაუზმეთ, ჟიჟე საში საათია და შენ ჩაცმული არა ხარ... აბა, დაფიქრდი, ჟიჟი...

— ჩემს სიცოცხლეში პირველად უნდა მოვანდომო ჩაემას ერთი საათი!

— მე არ გჭირდები? თმა კარგად გაქვს დახვეული?

— კარგად, დიდება. როცა ხარის ხმას გაიგონებ, შენ ნუ შეწყუბები, მე თვითონ გავადებ.

ზუსტად ოთხ საათზე გასტონ ლაშაიმ სამჯერ დარეკა. ჟიჟიმ ბავშვური, დაფიქრებული სახით ნახევრად გამოალო ოთახის კარი და ყური მიუგდო. კიდევ სამჯერ დარეკეს მოუთმენლად. ახლა კი გამოვიდა ოთახიდან. მას ისევ ძველი, კუბოკრული კაბა და ბამბის წინდები ეცვა. მუშტებით ლოყები მოისრისა და კარის გასაღებად გაიქცა.

— გამარჯობა, ძია გასტონ.

— შენ რა, კარის გაღებას არ აპირებდი, ბოროტო?

მხრებით შეეხენ ერთმანეთს კარებში, მედიდურად წამოიძახეს: „ოო, მამატიეთ!“ და უნიათოდ გაეცინათ.

— დაბრძანდით, გეთაყვა. წარმოიდგინეთ, ძია გასტონ, ჩაცმა ვერ მოვასწარი, თქვენ კი როგორ გამოწყობილხართ! ზღვისფერი სარკის ქსოვილიდან უკეთეს კოსტიუმს ნამდვილად ვერავინ შეიკერავდა.

— გეტყობა ქსოვილების ცნობა არ იცი! ეს სარკი კი არა, შევიოტია.

— მართალია. რა ბრიყვი ვარ!

ჟიჟი გასტონის პირდაპირ დაჯდა, მუხლებზე კაბა ჩამოიწია. ერთმანეთს შეხედეს. ბავშვურმა თვითდარწმუნებულობამ უღალატა ჟიჟის და მუდარათ სავსე ლურჯი თვალები გაუფართოვდა.

— რა მოგივიდა, ჟიჟი? — ხმადაბლა ჰკითხა ლაშაიმ, — მითხარი რამე... ხომ იცი, რაზე მოვედი?

ჟიჟიმ თავი დაუქნია.

— გინდა თუ არა? — უფრო დაუწია ხმას გასტონმა.


ჟიჟიმ თმის კულუდი ყურზე გადაიწია, ნერწყვი გაბედულად გადაყლაპა და უთხრა:

— არ მინდა.

ლაშაიმ ორ თითში მოიმწყვდია ულვაშის ბოლო და მზერა ვერ მოაშორა ნაღვლიან ლურჯ თვალებს, ჭორფლით დაწინწკლულ ვარდისფერ ლაწვებს, აბრეხილ წამწამებს, მშვენიერ ბაგეს, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა თავისი

ძალა, ფერფლისფერ ხშირ თმას და მკვრივ, ოდნავ ქალურ, მოღერებულ ყელს, რომელსაც სამკაული არ ამშვენებდა.

— ის, რაც თქვენ გსურთ, არ მინდა, — გაიმეორა ეიჟიმ, — დიდუდასთვის გითქვამთ...

გასტონმა ხელი ჩაიქნია და ლაპარაკი შეაწყვეტინა.  მობრეცოდა, თითქოს კბილები სტკიოდა.

— ვიცო, რაც ვუთხარია... ნუ წუხდები, გამეორება ~~საჭიროა~~ ~~მხოლოდ~~ ~~მითხარი~~, რა არ გსურს. ან ის მაინც მითხარი, რა გსურს... ~~მეც უნდა~~ ~~გისურვებ~~ ~~აგისრულე~~.

— მართლა?

გასტონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მხრები ისე ჩამოუშვა, თითქოს დაღლილობისგან ქანცა გასწვეტოდეს. ეიჟი გაკვირვებით უყურებდა დაქანცულობისა და ტანჯვის ამ უტყუარ აღიარებას.

— ძია გასტონ, თქვენ გითქვამთ, რომ ჩემს ბედ-იღბალზე ზრუნვას კისრულობთ...

— დიახ. მინდა კარგად მოგიწყო ცხოვრება. — მტკიცედ უთხრა ლაშაიმ.

— კარგი მაშინ იქნება თუ მე მომიწონება, — არანაკლები სამტკიცით უპასუხა ეილბერტმა, — ყურები გამომიჭედეს, შენი ასაკისთვის ცხოვრებას ჩამორჩენილი ხარო! კარგად მესმის, რას ნიშნავს ასეთი ლაპარაკი. ბედ-იღბალზე ზრუნვა იმას ნიშნავს, რომ ამ სახლიდან წავიდე, წავიდე თქვენთან ერთად, და თქვენს საწოლში ჩავწვე...

— ეიჟი, გთხოვ...

ეიჟი, შეჩერდა, რადგან გასტონი მართლა ევედრებოდა.

— კი მაგრამ, რა მოხდა? რად უნდა მრცხენოდეს ამ სიტყვების ხმარება, თუკი თქვენ არ გეუხერხულათ დიდუდასთან ამაზე ლაპარაკი და დიდუდასაც არ მორიდებია თქვენი ნათქვამის გადმოცემა. მას უნდოდა ყველაფერი ღია ფერებში დაშენება, მე კი იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე მან მითხრა. მაგალითად, კარგად ვიცი, რაკი ჩემს ბედ-იღბალზე ზრუნავთ, საჭირო იქნება ჩემი პორტრეტები გახეთქებში დაბეჭდონ, ყვავილების გამოფენაზე წავიდე, დოღზე ვიარო, დოვილში წამოგყვეთ. როცა გავიბუტებით, „ეილ-ბლაზი“ და „შეყვარებული პარიზი“ ამის შესახებ მკითხველებს აუწყებს... იმასაც დაწერენ, როდის მოგბეზრდებით ეანტიან დე სევენიგით და საბოლოოდ მიმატოვებთ...

— ეს საიდან იცი? შენც გაიმბეს?

ეიჟიმ დინჯად დაუქნია თავი.

— დიდუდამ და ბებიდა ალისიამ მიამბეს და ამით მაგრძნობინეს, რომ შეტად სახელგანთქმული კაცი ბრძანდებით. მე ისიც ვიცი, რომ მარკიზ შიუკეტმა წერილები მოგპარათ და თქვენ უჩივლეთ. ისიც ვიცი, რომ გრაფ პარიესკის მეუღლე უკმაყოფილო დაგრჩათ. რადგან ქმარსგაყრილი ქალის შერთვა არ იწებეთ... და მან რევოლვერი გესროლათ... ერთი სიტყვით, ყველაფერი ვიცი.

ლაშაიმ მუხლზე დაადო ხელი.

— ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არაა, ეიჟი. ყველაფერი ეს გათავდა, წარსულს ჩაბარდა.



— რასაკვირველია, გათავდა, სანამ ხელახლა დაიწყებოდეს. რა თქვენი ბრალია, თუკი საზოგადოებაში გამოსული კაცი ხართ! მაგრამ საქმე ისაა, რომ მე არ გამაჩნია მაღალი წრის ადამიანის აზრები. ამიტომაც არ მხიბლავს თქვენი წინადადება.

ქიქიმ კაბის კალთა დასწია და გასტონის ხელი მუხლიდან მოიშორა.

— ბებიდა აღისია და დიდუდა თანახმა არიან, მაგრამ <sup>ქიქიმ ცდილობს</sup> მეც შეხება ეს საქმე, ვფიქრობ, ერთი სიტყვას თქმის უფლება <sup>ქიქიმ ცდილობს</sup> პასუხი კი ესაა: თქვენი წინადადება არ მომწონს.

წამოდგა და ოთახში გაიარა. გასტონ ლაშაის გარინდებას მასზედაც ემოქმედნა და ჩუმად ბუტბუტებდა: „მართალია, საქმე ის კი არაა... არა, მაგრამ... მაინც, რა ვქნა?“

— მინდა ვიცოდე, — თქვა ბოლოს გასტონმა, — იქნებ ცდილობდამიძლო, რომ არ მოგწონვარ... თუ არ მოგწონვარ, ამის თქმა უფრო ადვილია.

— ოო, არა, ძია გასტონ, პირიქით, ძალიან მომწონხართ! კმაყოფილი ვარ, როცა გხედავთ. ამის დაამტკიცებლად ახლავე შემოგთავაზებთ ჩემს წინადადებას: იარეთ ჩვენსა ჩვეულებრივ, თუ გინდათ უფრო ხშირადაც... ვერაფერ ვერაფერ ცუდს ამაში ვერ დაინახავს, რადგან ჩვენი ოჯახის მეგობარი ხართ. დღეობაზე „ძირტკბილა“ და შამპანური მომიტანეთ, კვირაობით პიკეტი ვითამაშოთ... განა ასეთი ურთიერთობა არ მოგწონთ? სამაგიეროდ, საჭირო აღარ იქნება მთელი ეს ამბები, არც თქვენს ლოგინში ჩაწოლა, არც მარგალიტის ყელსაბამის დაკარგვა, არც ფოტოსურათები, არც ჩვენი ამბის საჯაროდ გამოცხადება და...

ქიქიმ თმის ერთი კუთული ისე დაიხვია ცხვირის წვერზე, რომ დუდღუნით ლაპარაკობდა და ცხვირის წვერი გალურჯებოდა.

— მართლაც რომ მშვენიერი ცხოვრებაა! — შეაწყვეტინა გასტონ ლაშაიმ. — შენ ერთი რამ გავიწყდება, ქიქი... მე ხომ იმიყვარხარ!

— ოო, — წამოიყვარა ქილბერტმა, — ეს არასოდეს არ გითქვამთ ჩემთვის.

— ჰოდა, — უხერხულად აღიარა ლაშაიმ, — ახლა გეტბნები.

ქიქი წინ დაუდგა, ხმას არ იღებდა, მისი ხშირი სუნთქვა ისმოდა მხოლოდ. იგი უკვე აღარ მალავდა არც გულის ძვრას, არც ლაწევების სიფერმკრთალეს, არც გასაპობად მომზადებული ბაგეების ცახცახს.

— ეს უკვე სხვა საქმეა! — წამოიყვირა მან. — მაგრამ მაშინ თქვენ საშინელი ადამიანი ყოფილხართ! თქვენ მე გიყვარვართ და გსურთ ისეთ ცხოვრებაში ჩამითრიოთ, სადაც ტანჯვის მეტს ვერაფერს ვნახავ... სადაც ყველანი ერთმანეთს ჭორავენ, სადაც გაზეთები სისაძაგლეს ბეჭდავენ... თქვენ მე გიყვარვართ და თქვენთვის სულ ერთია, თუ იმ საზიზღარ ავანტიურებში გამხვევენ, რომლებიც გაყრით, ჩხუბით, რევოლვერების ტრიალით, ოპიუმით მთავრ... მთავრდება?!  
9

ქიქის ისტერიული ქვითინი წასკდა. გასტონმა ხელი მოხვია, მკერდზე შეიკრა, მაგრამ ქიქი ხელიდან გაუსხლტა და პიანინოსა და კედელს შუა ჩადგა.

— ყური მიგდე, ქიქი... ყური მიუდე...

— არასოდეს, არასოდეს აღარ დამენახოთ! ამას მოველოდი თქვენგან? შეყვარებული კი არა, საძაგელი ადამიანი ყოფილხართ! ახლავე გადით აქედან!

თვალეებს მიუშტით ისრესდა. გასტონი მიუახლოვდა. შეეცადა ხელებში ჩარგული სახე აეწია და ეკოცნა. მაგრამ მის ბაგეებს მხოლოდ ცრემლით დახამული ნიკაპი ერგო. ტარილია ხმაზე ქალბატონმა აღვარესმა მოირბინა. გაფითრებული, შეშინებული ქალი ყოყმანით შეჩერდა კარის ზღვრებლზე.

— ღმერთო ჩემო, გასტონ, რა მოუვიდა? — იკითხა ბოლო.

— ის მოუვიდა, რომ უარს ამბობს.

— უარს ამბობს? როგორ თუ უარს ამბობს? ერქუნული  
ბიზლირუსება

— დიახ, არ უნლა. ვფიქრობ, გასაგებად ვლაპარაკობ...

— არა, არ შინდა, — სლუკუნებდა ყიყი.

ქალბატონი აღვარესი დამფრთხალი თვალებით შესცქეროდა შეილი-შვილს.

— ყიყი, ეს როგორ შეიძლება? კი მაგრამ, აკი გელაპარაკე... გასტონ, ღმერთია მოწამე, ვუთხარი...

— თქვენ უფრო მეტი უთხარით, ვიდრე საჭირო იყო! — დაიყვირა ლაშაი.

მერე მიუბრუნდა გოგონას, რომელიც ზურგშექცევით იდგა, მთელი ტახით ცახცახებდა და აწეწილი თმა მხრებზე უკრთოდა. გასტონმა ერთხანს უყურა გაუბედურებული, დაბნეული სახით, შემდეგ ყრუდ დაიყვირა:

— ოო, კმარა... მეყოფა! — გაიჯახუნა კარი და გავარდა.

□ □

მეორე დღეს ბებიდა ალისია სასწრაფოდ გამოიძახეს. სამ საათზე ორადგილიანი ეტლიდან ჩამოხტა, გულით ავადმყოფივით აქთმინებული ავიდა აღვარესის კიბეზე და კარი შეაღო, რომელიც მის დას „ყოველ შემთხვევისათვის“ ღიად დაეტოვებინა.

— ბავშვი სადაა?

— თავის ოთახშია. ვინდა ნახო?

— არ შეჩქარება, როგორაა?

— ძალიან მშვიდად.

ალისიამ გაბრაზებით მოიღერა მიუშტი.

— ჰმ, მშვიდად! ჰერი თავზე ჩამოგვანგრია, თვითონ კი მშვიდადაა! ოო, რა თაობაა!

დაწინწკლული პირბადე აიწია და გამანადგურებელი თვალებით შეხედა დას.

— შენ კი, აქ რომ დარწობილხარ, ახლა რას აპირებ?

ალისიას მომჭკნარი ვარდივით სახე მკაცრად უტევედა მისი დის ფართო, გადატეტკილ სახეს.

— როგორ თუ რას ვაპირებ? — თავშეკავებულად შეუტია ქალბატონმა აღვარესმა, — ბავშვს ძალით ხომ ვერ გავაყოლებ.

შემდეგ ღრმად ამოიოხრა და დასძინა:

— ისე შელაპარაკები, თითქოს უღირსი დედა ვაყო!

— როდის გაათავებ წუწუნსა... ლაშაი ისე აღუღებელი წასულა აქედან; ასეთ ღრმს მამიკაცები ყოველგვარ სისულელეებს სჩადიან ბოლმე.

— წარმოიდგინე, ქუდიც კი დარჩა! — თქვა ქალბატონმა ალვარესმა, —  
თავშიშველა ჩაჯდა მანქანაში... მთელმა ქუჩამ დაინახა...

— ახლა რომ მითხრან, გასტონ ლაშაიმ სხვა ქალი დანიშნა, ან ლიანას  
შეურიგდამო, არ გამიკვირდება.

— სწორედ რომ წინასწარმეტყველების დროა! — ~~წაიბუზღუნა~~ ქალბატონმა ალვარესმა.

— რა უთხარი იმ ბაღლინჯოს?

ქალბატონმა ალვარესმა პირი მოკლუმა.

— შეიძლება ყიფი ზოგ საქმეში თავქარიანი და თავის ასაკისთვის ცხოვრებას ჩამორჩენილი იყოს, მაგრამ რაც შენ ახლა უწოდე, ის მაინც არ არის. გოგონა, რომელმაც ლაშაის ყურადღება მიიპყრო, ბაღლინჯო არ გახლავთ.

ალისიამ გაშმაკებით აიჩეჩა მხრები.

— კარგი... კარგი... როგორღა უსაყვედურე შენს პრინცესას?

— გონივრულად ვესაუბრე. ავუსხენი ჩვენი ოჯახის მდგომარეობა, მივახვედრე, ჩვენც ასეთი რამ გადაგვხდა თავს-წეტქი და, ბოლოს, ჩამოვუთვალე, რა სარგებლობას მოუტანდა ასეთი ნაბიჯის გადაღება პირადად მას და ჩვენც...

— არაგონივრულად რად არ ელაპარაკე? ნუთუ არ უხსენე სიყვარული, მოგზაურობა, მთვარის შუქი, იტალია? დავიჯერო, არ უთხარი, რომ ქვეყნის იქითა მხარეს ზღვა ფოსფორისებურია, რომ ყვავილებზე კოლიბრები მოჩანან და რომ შადრევანთან, გარდენიის ძირში ახალგაზრდები სიყვარულს ეფიცებიან ერთმანეთს?!

ქალბატონი ალვარესი ნაღვლიანად უყურებდა გაკაბასებულ დას.

— ამის თქმა როგორ შემიძლო, ალისია, როცა მე თვითონ არ ვიცოდი. მე ხომ კაბურგსა და მონტუ-კარლოს არ გავცილებივარ.

— გამოგონების უნარიც არ გაქვს?

— არა, ალისია.

ორივე ჩაჩუმდა. ალისიამ უძიებოდ ჩაიჭნია ხელი.

— დამიძახე იმ ქალბატონს. ახლავე ვნახავ რა მოუვიდა!

როცა ყიფი შემოვიდა, ალისია ქელავ კეთილ, ხანდაზმულ მანდილოსნად იქცა, კაბაზე მიბნეულ ჩაის ვარდს ყნოსავდა.

— გამარჯობა, ჩემო ყიფი.

— გავიმარჯოს, ბებიდა ალისია.

— ეს რა მითხრა ინესამ, მიჯნური გყოლია? ისიც როგორი მიჯნური! პირველი ცდისთვის ოსტატური ნახელავია!

ფილბერტმა თავი დაუჭნია და უნდობლად, მორჩილად გაუღიმა. ალისია ღრმა ცნობისმოყვარეობით უკვირდებოდა მის ნორჩ სახეს, რომელსაც თვლების ქვეშ გაჩენილი ჩალურკებულ ხაზებზე და აწითლებული ტუჩებიდა აძლევდა ფერს. საფუთქლებთან ორი პატარა სავარცხლით აეწია თმა და ამის გამო თვალის კუთხეებიც ზევით აჭიმვოდა.

— ისიც მითხრეს, თურმე გაკაბასებულხარ და ბატონ ლაშაისთვის ბრჭყალები გავიკრავს. ყოჩად, ჩემო გოგონა!

ფილბერტმა ეჭვით გადახედა ბებიდა ალისიას.

— დიახ, დიახაც ყოჩად! მალე ალბათ ისევ თავაზიანად მოექცევი და მაშინ უფრო მეტად იგრძნობს, რა ბედნურია!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— მე მუდამ კარგად ვექცეოდი, ბებიდა. ოღონდ... არა მსურს, ესაა და ეს!

— დიახ... დიახ, ვიცი, გავიგე, შაქრის ქარხნისკენ დავილოცნია ვნა... ჩინებულია... კიდევ კარგი, ჯანდაბაში არ გაისტუმრე! ასეთ რამეს ნუ იზამ, რადგან ჭკუა არ დაუშლის და წავა. ერთი სიტყვით, არ გიყვარა და რაა!

ჟილბერტმა ბავშვურად აიჩეჩა მხრები.

— როგორ არა, ბებიდა... ძალიანაც მიყვარს.

— არა, გეუბნები, არ გიყვარს-მეთქი! უარზე რომ ხარ, აქ არაფერ ცუდს არ ვხედავ... ეს საქმე ისე უნდა გადაწყვიტო, როგორც შენ გინდა... გაგიყვებით რომ გიყვარდეს, ასე მშვიდად ვერ იქნებოდი. ლაშაი ლაშაში, შავ-გვრემანი ყვაწვილია, კარგი ტანა აქვს, ამაში ადვილად დარწმუნდები, თუ საბანაო კოსტიუმში გადადებულ მია ფოტოსურათებს ნახავ. ყველა ერთბაშად აღიარებს ამას. დიახ, აი მაშინ შემეცოდებოდი, ჩემო საბრალო ჟიეი... აბა წარმოიდგინე, მასთან ერთად ჭვეყნის დასალიერში მისეირნობ გამიჩნურებული... ყველაფერი დაგავიწყდება იმ მამაკაცის მკლავებში, რომელსაც ჟყვარხარ!.. გაზაფხულზე ყურს უგდებ სიყვარულის სიმღერას... ნუთუ ყველაფერი ეს შენს გულს არ ხვდება? ან თუ ხვდება, რას გეუბნება?

— მეუბნება: როცა გაზაფხული გავა, ბატონი ლაშაი სხვა ქალს გამოეკიდებაო; ანდა თვით ქალი, ვთქვათ, ეს ქალი მე ვარ, მიატოვებს ბატონ ლაშაის, რომელიც წავა და სხვას უამბობს ყველაფერს. ხოლო ქალს, ისევ ეივარაუდოთ, რომ ეს ქალი მე ვარ, ისღა დარჩება, სხვა მამაკაცის საწოლში ჩაწვეს... არა, არ მინდა... ასეთი ცვალებადი ბუნება არა მაქვს... არ მინდა!

ჟიეის გააყრდნობა და გულხელი დაიკრიფა.

— დიდუდა, მკვივა, დაეწვები. შეიძლება, წამალი მომცეთ?

— იდიოტო, — იყვირა ბებიდა ალისიამ, — შენ მხოლოდ იმის ღირსი ხარ, მოდების მალაზიაში დიასახლისობდე! წადი, ვინმე ექსპედიტორს გაპყევი ცოლად!

— როგორც გენებოთ, ბებიდა, მაგრამ ახლა დაწოლა მინდა.

ქალბატონმა ალვარესმა შუბლზე მიაღო ხელი.

— ცუდად ხომ არა ხარ, ჟიეი?

— არა, დიდუდა, ოღონდ, ნაღველი შემომამწვია...

თავი მხრებზე დააყრდნო დიდუდას და პირველად თავის სიცოცხლეში მოზრდილი ქალივით პათეტიურად დახუჭა თვალები.

დებმა ერთმანეთს გადახედეს.

— შენც იცი, ჩემო ჟიეი, — წამოიწყო ქალბატონმა ალვარესმა, — რომ ქალით ვერაფერ ვერაფერს მოგახვევს თავს... რაკი არ გინდა...

— მორჩა, ეს საქმე ჩაიშალა!.. — მკვახედ წაილაპარაკა ალისიამ, — მორჩი ამაზე ლაპარაკს, სულ ხომ ვერ ვიკამათებთ ამ ამბავზე!

— ოღონდ, ვერასოდეს ვერ გვისაყვედურებ, რჩევა-დარიგება რატომ არ მომეცითო... მერედა, რა ჭკვიანური რჩევა მოგეცით!.. — წაილაპარაკა ქალბატონმა ალვარესმა.

— ვიცი, დიდუდა, მაგრამ ნაღველი მაინც არ მომაშორა.

— რატომ?

ქილბერტმა არაფერი უბასუხა და ობოლი ცრემლი ატმის ბუსუსიან ლაწვზე ჩამოუგორდა. ერთბაშად ზარის ხმა გაისმა და ყიფი ფეხზე წამოიჭრა.

— ოო, ალბათ ისევ მოვიდა, — თქვა მან, — ისაა... დიდუდა, არ მინდა მისი ნახვა, ღამმალე, დიდუდა!

როცა ბებიდა ალისიამ ეს ჩუმი, სიყვარულით აღსავსე ხმა გაიგონა, კობწია თავი მალლა აიღო, ყურები ცქვიტა, შემდეგ კარის გასაღებად წავიდა და სწრაფად დაბრუნდა. გასტონ ლაშაი ფერმიხდალი, დასწრის სიყვარულით მოჰყვებოდა.

— გამარჯობათ, მამიტა, გამარჯობა, ყიფი! — ნაძალადევი მზიარული კილოთი წამოიწყო მან, — ნუ წუხდებით... ერთი წუთით შემოვიარე... ქუდის წასაღებად მოვედი.

არავის ამოუღია ხმა და გასტონსაც აღარ ეყო ძალა ხუმრობით განეგრძო ლაპარაკი.

— კი მაგრამ, სალამს თუ არ მაძლევთ, ერთი სიტყვა მაინც მითხარით. ქილბერტმა ნაბიჯი გადადგა მისკენ.

— არა, თქვენ ქუდის წასაღებად არ მოსულხართ. აკი ხელში გიჭირავთ მეორე ქუდი! მოხვედით, რომ ერთხელ კიდევ მატკინოთ გული.

— ოო, — წამოიყვირა ქალბატონმა ალვარესმა, — ამის გაგონება აღარ შემიძლია! ეს უკვე მეტიმეტი! როგორ, ყიფი, ადამიანი თავის გულისთქმას აპყობლია...

— გეთაყვა, დიდუდა, ერთი წუთი დამაცადე, ახლავე დავამთავრებ... — ანგარიშმიუცემლად ჩამოიწია კაბის კალთა, ქამარი გაიწორა და გასტონისკენ გაემართა:

— მე ბევრი ვიფიქრე. ძია გასტონ, ძალიან ბევრი ვიფიქრე...

გასტონმა ლაპარაკი შეაწყვეტინა, შეეშინდა წინადლით ნათქვამი აღარ გაემეორებინა.

— გეხვეწები, საყვარელო...

— არა, ნურაფერს მეხვეწებით. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე... მირჩევნია თქვენთან ვიყო უბედური, ვიდრე უთქვენოდ. ჰოდა...

გოგონას სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და განაგრძო:

— ჰოდა... აი... გამარჯობა... გამარჯობა, გასტონ!

ყიფიმ ჩვეულებასამებრ გაუშვირა ლოყა, გასტონსაც ჩვეულებრივზე უფრო მაგრად აკოცა და იგრძნო, როგორ შეერთა ყიფი, შემდეგ დამშვიდდა და ბოლოს მის მკლავეებში გაყუჩდა.

ქალბატონ ალვარესს უნდოდა მიეგრძნოდა ახალგაზრდებს, მაგრამ ალისის პატარა ხელმა მოუთმენლად შეაჩერა:

— თავი ღიანებე, მათ საქმეში ნუ ერევი! ხომ ხედავ, როგორ გვაჯობა!

მან მიუთითა ყიფიზე, რომელსაც აწეწილი, კულულებიანი თავი ლაშაის მხარზე ნდობით მიეყრდნო.

ბედნიერი ლაშაი ქალბატონ ალვარესს მიუბრუნდა:

— მამიტა, დამდეთ პატივი, მომანიჭეთ უსაზღვრო ბედნიერება და ნება მომეცით ცოლად შევიერთო...

მთარგმნელისაკენ

კოლმეტის — გაბრიელ სიდონის (1878—1954) რომანები მეტწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი ანალიტიკური რომანის წარმომადგენლად ითვლება.

„ეფი“ 1943 წელს დაიბეჭდა პირველად და მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. წლების მანძილზე კინორეჟისორები ერომანეთს ეცოდნებოდნენ ამ ნაწარმოების რეჟიზაჟზე გადატანას. ავტორს ძალიან ახარებდა „ეფის“ ასეთი წარმატება: „ჩემს შემსრულებელს შორის ყოველ უველაზე მეტად გამოცა... არ შეგონა თუ ამ მოკლე ნოველას ასეთი წარმატება ხვდებოდა წილად... მოქმედება ბოლოს საუკუნის უკანასკნელ დღეებში გადავიტანე იმ დემომონდის წრეში, რომელიც სავსებით უცხო იყო ჩვენთვის არა თავისთ ამორალობით, არამედ ობიექტურად აზროვნების გამო“, — წერს მწერალი.



## ჩილე და სახვითი ხელოვნება

რაინერ მარია რილკეს პოეზიის დიდ სიახლოვეზე სახვით ხელოვნებასთან ბევრს წერენ მისი მკვლევარები. აღნიშნავენ, რომ ძნელად მოიძებნება სხვა პოეტი, რომლის შემოქმედება ისე იყოს დაკავშირებული სახვით ხელოვნებასთან, როგორც რილკესი.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით გავაშუქოთ, თუ შემოქმედებითა ძიებაში როგორ დააკავშირა რილკე სახვით ხელოვნებასთან და რა არსებითი ნიშნები შესძინა მან გერმანულ პოეზიას.

რილკე თავის პირველ ლექსებს გასული საუკუნის 90-იან წლებში წერს. იგი არ ეკუთვნის იმ ხელოვანთა რიცხვს, რომლებიც შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლისთანავე კხალ სიტყვის ამბობენ და შედეგობს კმნიან. პოეტმა საკმაოდ რთული, შემოქმედებითი ძიებით აღსავსე გზა გაივლო, ვიდრე პოეტურ სრულყოფას მიაღწევდა. შეუძლებელია მის ადრინდელ ლექსებში „დუინური ელეგიების“ მოხაზული ავტორი ვიცნოთ.

რილკეს ადრინდელი ლექსები განწყობილების ლირიკის ნიმუშებს წარმოადგენენ. თვით პოეტი მათ „განწყობილების პატარა სურათებს“ უწოდებს, რომელთა მამოძრავებელი ძალა სუბიექტური განცდა და განცდის სუბიექტური გამოხატვაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტი უშუალოდ განიცდის და ისევე უშუალოდ გამოხატავს განცდილს; იგი საგანს ხედვს და ხატავს, მაგრამ ვერ სწევდება მას.

რილკე ადრევე მიხვდა, რომ თანამედროვე ლირიკა მარტო განცდებისა და გრძნობების სუბიექტური გამოხატვით ვერ დაკმაყოფილებოდა და თუ ხელოვანს მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა სურდა, მას ახალი რამ

უნდა ეთქვა. სწორედ ამ ახლის ძიების დროს იჩენს იგი განსაკუთრებულ ინტერესს სახვითი ხელოვნებისადმი.

1900 წელს მხატვარ ჰაინრიხ ფოგელერის შეშვეობით ახალგაზრდა რილკე უკავშირდება ვორპსევედელ მხატვრებს.

ვორპსევედუში, ბრემენტან ახლოს, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოწინავე გერმანულ მხატვართა ერთმა ჯგუფმა კოლონია დააარსა. ამ ჯგუფში ფოგელერის გარდა შედიოდნენ: ოტო მოდერზონი, ფრანც მაკენზენი, ფრიც ოვერბეკი, ჰანს ამ ენდუ, ვინგნი, პაულა ბეკერი და მოქანდაკე ქალი კლარა ვუსტჰოფი. ეს ახალგაზრდა შემოქმედები გაექცნენ ქალაქს, ზურგი შეაქციეს აკადემიზმს და ბუნებასთან უშუალო კონტაქტში ექებდნენ გამოხატვის ახალ ხერხებსა და საშუალებებს, კმნიდნენ პეიზაჟის მხატვრობის თავისებურ სტილს.

ვორპსევედელ მხატვრებთან ურთიერთობას პოეტისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჯერ ერთი, მათი შემწეობით იგი სურათებს „წამდვილ ხედვას“ სწავლობს. თუ მანამდე ლირიკული თვისებების მიხედვით იფასებდა ფერწერული ტილოს მხატვრულ ღირებულებას, ახლა იგი „ახლოს მიდის სურათთან“ და ხედავს იმას, რაც მანამდე შეუძინეველი რჩებოდა, კერძოდ, სურათის არსს. გარდა ამისა, ვორპსევედეს მხატვრებმა რილკეს ხედვის ახალი პერსპექტივა გადაუშალეს. „ცხადსა და ოცნებას“ შორის მოხეტიალე პოეტი ბუნებისა და სივნიების უფრო რეალურ ხედვის სწავლობს. შეიძლება ითქვას, რომ ვორპსევედუში იგი „მეოცნებედან ფხიზელ მკვრივად“ იქცა. პოეტურ ხედვაში მომხდარ ცვლილებებზე მეტყველებს ლექსთა ახალი კრებული „სურათების წიგნი“, რომელიც პირველად

1902 წელს გამოცა და ეორპსევედში უაწერილ მრავალ ლექსს შეიცავს.

მართალია, ეს კრებული რილკეს პოეტური წინსვლის მარევენებელია, მაგრამ მასში ბევრი ლექსი ჯერ კიდევ ხედვის ძველი მანერით არის შექმნილი, რაც იმას მოწმობს, რომ პოეტის თვალი „ნამდვილი ხედვისათვის ჯერ კიდევ მოუმწიფებელია“. რილკე გრძნობდა, რომ სრული სიმწიფის მისაღწევად მას სხვა, „უფრო მაღალი სინამდვილე“ ესაჭიროებოდა, ვიდრე ეორპსევედეს გარემოცვა იყო. ეს მხატვრები, მისი აზრით, მაინც „ცალმხრივნი“ იყვნენ და არ შეეძლოთ პოეტის მზარდი შინაგანი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამიტომ გადაწყვიტა მან პარიზს გამგზავრებულყო, რომ ხელოვნების ამ მარადიელ ქალაქში „აენახლოურებინა ის, რაც სიმარტოვით დაკარგა“.

1902 წლის აგვისტოს დამლევს რილკე პარიზს მიემგზავრება. ეს გამგზავრება უპირველეს ყოვლისა, შინაგანი აუცილებლობით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, განზრახული ჰქონდა დაეწერა მონოგრაფია როდენზე პროფ. რიხარდ მუთერის ეურნალისათვის (რიხარდ მუთერი ბერლინში ილუსტრირებული მონოგრაფიების სერიაებს ცემდა თანამედროვე ხელოვნებაზე).

აქ კიდევ ერთხელ უნდა მოვიხსენიოთ ეორპსევედელი მხატვრები. სწორედ მათგან გაიგო რილკემ დიდი ფრანგი ხელოვანის სახელი. პოეტის მეუღლე ახალგაზრდა მოქანდაკე კლარა ვუსტპოფი სულაც როდენის მოწაფე იყო და პოეტს როდენის შემოქმედებაზე მასთან პირადად შეხვედრამდე ჰქონდა წარმოდგენა. რილკეს ბირველად ეორპსევედში ებადება როდენის გაცნობის სურვილი. 1902 წლის სექტემბრიდან 1903 წლის აპრილამდე რილკე როდენის ხშირი სტუმარია, 1905 წლის სექტემბრიდან 1906 წ. მაისამდე კი მისი პირადი მდივანი.

თორმეტი წლის განმავლობაში (1902—1914 წწ.) პარიზი რილკეს ცხოვრების გეოგრაფიული ცენტრია, ის „სინამდვილე“, რომელსაც იგი ყოველი დამორების შემდეგ განახლებული ენერგიით უბრუნდება.

სამყარო, რომელსაც პარიზი ადამიანს სთავაზობს, რილკესათვის მანამდე უცნობი იყო. ეს თითქოსდა ინტენსიური სიცოცხლისა და სიბარულის ქალაქი პოეტზე ჩასვლისთანავე მძიმე და შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ პერიოდის წერილები და „მალთე ლაურიდს ბრიგეს ჩინაწერები“ ამ ქალაქით გამოწვეული შემაარწუნებელი განცდებითაა აღსავსე. მაგ-

რამ პოეტი ხედავს, რომ პარიზი მარტო „სევდის ქალაქი არ არის“, რომ იგი „დიდი და საოცარია“; შემოქმედს, რომელიც ეძებს რეალობას და მისი ასახვა სურს, აგი მრავალფეროვან სურათებს სთავაზობს და დაუშრეტელი სულიერი საზრდოა მისთვის. „მოთხოვნა, რომელსაც პარიზი ათავსებს უფროსს, განუზომლად დიდი და უსასრულოდ უფრო მეტად მას განუწყვეტლავ სცვლის, ამაღლებს და ავითარებს. ყველიფერს საეკეთესოს, რაც კი გამიკეთებია დღემდე, ამ ქალაქს ვუმაღლიო“<sup>1</sup>, — წერს პოეტი ერთ-ერთ წერილში.

პარიზმა მართლაც ბევრი რამ მისცა რილკეს. აქ მან „ხედვის დიდი სკოლა“ გაიარა, რის შემწეობითაც შესძლო თავისი ლირიკის პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი სუბიექტურობის დაძლევა.

პარიზით, კერძოდ, როდენთან შეხვედრით რილკეს პოეზიაში ახალი ეტაპი იწყება.

თუ რა მისცა პოეტს თავისი ეპოქის ამ დიდ ხელოვანთან ურთიერთობამ, ჩანს როდენის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიიდან და ურიცხვი წერილებიდან, უპირველეს ყოვლისა კი რილკეს პოეტური ქმნილებებიდან.

კატერინა კიპენბერგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დიდი ფრანგი მოქანდაკე რილკეს „ერთადერთი თანამედროვე იყო, რომელმაც მასზე ღრმა შინაგანი ზეგავლენა იქონია და მის შემოქმედებით გარდატეხას შეუწყო ხელი“<sup>2</sup>. თვით პოეტი როდენთან ურთიერთობის პერიოდს თავისი „ცხოვრების დიდ რენესანსი“<sup>3</sup> უწოდებს.

მართალია, როდენამდე რილკემ იანს პეტერ იაკობსენის შემოქმედების გავლენა განიცადა, მაგრამ დანიელი მწერალი ახალგაზრდა პოეტს ახალ გზაზე კი არ აყენებდა, არამედ უფრო სევდიან განწყობილებას უძლიერებდა, რაც შეეხება ტოლსტოის, „უკვდავ რუსს“, რომელსაც რილკე ორჯერ შეხვდა რუსეთში მოგზაურობისას, მასზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, ცხოვრების ამ პერიოდში ტოლსტოის მიერ ხელოვნების პარადოქსული უარყოფა ახალგაზრდა პოეტისათვის უცხო და მიუღებელი იყო. მხოლოდ როდენთან ურთიერთობამ შეუწყო ხელი რილკეს ოცნებებიდან

<sup>1</sup> R. M. Rilke. Briefe aus den Jahren 1906-1907. weipzig, 1930, s. 236.

<sup>2</sup> K. Kippenberg. R. M. Rilke. Zürich, 1948. s. 129.

<sup>3</sup> R. M. Rilke. Briefe aus den Jahren 1902-1906. Leipzig, 1930, s. 41.



რეალობისაკენ შემობრუნებულიყო. მისი სუ-  
ბიექტური გრძნობები სავანთა ნათელ და  
კონცენტრირებულ ხედვაში გადაიზარდა, რო-  
დენის გავლენით პოეტმა „თავი დააღწია ლი-  
რიკულ ზერელობას და იაფფასიან მიახლოებო-  
ბობას (à peu près), რაც ცოცხალი, მაგრამ  
განუვითარებელი გრძნობებიდან მომდინარე-  
ობდა... და მხატვრისა და მოქანდაკის მსგავსად  
ნატურის წინ მუშაობა ისწავლა“<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რილკეს პარიზ-  
ში გამგზავრებისა და როდენტან შეხვედრის  
საბაბი — მონოგრაფიის დაწერა იყო. სინამდ-  
ვილეში კი ამ პერიოდში პოეტის შემოქმედე-  
ბაში დიდი გარდატეხა მოხდა. იგი ძველის  
დაძლევისა და ახლის დასაწყის ეტაპზე იდგა.  
რილკეს ამ დროისათვის უკვე დაწერილი აქვს  
„სურათების წიგნი“ და „დღიურთა წიგნის  
პირველი ორი ნაწილი (სხვა ლექსთა კრებუ-  
ლებზე რომ არაფერია ვთქვათ). მაგრამ პოეტი  
გრძნობს, რომ „ხამდვილი და მნიშვნელოვანი“  
მას ჯერ „არ უნახავს, არ შეუცვნია და არ  
უთქვამს“ და რომ ჯერ კიდევ „ცხოვრების  
ხელაპირზეა დარჩენილი“.

დიდი მოქანდაკის შემოქმედებაში ახალ-  
გაზრდა რილკე ეძებს პასუხს კითხვაზე, თუ  
რას ნიშნავს ხელოვნება, სერთოდ, და როგორ  
უნდა იცხოვროს ხელოვანი. ეს საკითხი ამ  
პერიოდში მისი ეგზისტენციის მტანჯველ პრობ-  
ლემადაა ქცეული. იგი ეძებს არა მარტო პოე-  
ზიის ახალ გზებს, არამედ ეგზისტენციის  
ფორმას, რომლის შენწეობითაც თავის უმად-  
ლეს მიზანს — პოეტურ სრულყოფას მიაღ-  
წევს.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, როდენი,  
რომელსაც ცხოვრებისა და შემოქმედების  
დიდი გზა ჰქონდა გავლილი, რილკესათვის  
სწორედ ის ადამიანი იყო, ვინც სწორ გეზს  
მასცემდა.

„მარტო მონოგრაფიის დასაწერად კი არ  
მოვედი თქვენთან, არამედ იმის საკითხივად:  
როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი — სწერს  
პოეტი დიდ შემოქმედს — და თქვენ მიძახუ-  
ხეთ, — მუშაობითო.“

მე კარგად მესმის ეს. თქვენს მაგალითზე  
ეგრძნობ, რომ მუშაობა სიცოცხლეა, რომელ-  
თანაც სიკვდილს ხელი არა ატვს“<sup>2</sup>.

როდენტანს პირველებაში პოეტმა დაინახა ხე-  
ლოვანი, რომელსაც „საკუთარი ცხოვრება

ძველ, ეკალ-ბარდებით დაფარულ გზად აქცია  
და ყველაფერი თავის ხელოვნებას შესწირა“,  
რომელიც მხოლოდ შინაგანი ხმის ძახილს  
მიყვებოდა და შეუწყლებელი ნებისა და ტი-  
ტანური შრომის წყალობით უკვდავ, მარა-  
დიულ საგნებს ჰქმნიდა.

„მუშაობა, ნიადაგ მუშაობა... და მოთმინე-  
ბა“ — ეს სიტყვები რომელს ნიშნავს იგი  
დიდად ჰქონდა ქცეული — **„MUSEUM“**

როდენის მაგალითზე რილკე ხედავს, რომ  
შემოქმედს, რომელსაც ხელოვნების კეთილმო-  
ტი ნაწარმოების შექმნა სურს, უპირველეს  
ყოელისა, როდენტანსებური „ნიადაგ მუშაობის“  
პრინციპის განხორციელება მართებს. „მე რო-  
დენს უნდა მივბაძო... შემოქმედებითი პრო-  
ცესის შინაგან წყობაში, — წერს პოეტი დი-  
დივე აზუსტებს, — ძერწვა კი არ უნდა ვის-  
წავლო მისგან, არამედ ღრმა კონცენტრაცია,  
რაც ძერწვას სჭირდება ანუ მუშაობა, რომე-  
ლიც მე ძალზედ მაკლიათ“<sup>1</sup>.

დიდი მათემატიკოს მაგალითით შთაგონებული  
ახალგაზრდა პოეტი მიზნად ისახავს მთელი  
ცხოვრება „ერთ დიდ შრომადღედ“ აქციოს და  
როდენტანის მსგავსად „საგნები შექმნას“. მისი  
გავლენით იგი ახლა უპირველეს ყოელისა  
„საგნების კეთებითა“ დაინტერესებული.  
„როგორმე მეც უნდა მივადწიო იმას, რომ  
საგნები ვაკეთო. პლასტიკური კი არა, დაწე-  
რილი საგნებით“<sup>2</sup> — ეკითხულობთ პოეტის  
ერთ-ერთ წერილში.

საგანი, ხედეა, მუშაობა, კეთება — ამ ცნე-  
ბებით უდგება ამ პერიოდში რილკე ლექსს.  
მისთვის თხზვა თავისებური სახის შრომაა,  
რომელიც საგნის ხედვასა და მის კეთებას ემ-  
ყარება. აი, რას წერს პოეტი ლექსმებურგის  
ბაღში ნანახ ვარდის ბუჩქზე: „სიბერეში ვი-  
სურებდი ასეთი ბუჩქის წინ ვიჯდე და სი-  
ტყვებით ვაკეთო იგი და ჩავაქსოვო მასში  
ყველაფერი, რაც კი ვიციო“.

საგნის, კონკრეტულად, ლექსის „კეთება“  
რილკესათვის ნიშნავს „დანახულის დამორჩი-  
ლებას“, მოთოკვას (Bewertigung des Ange-  
schauten), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგ-  
ნისაგან მიღებული შთაბეჭდილებებისა და გან-  
ცდების სიტყვებით ძერწვას, სურათად, ხატად  
ქცევას. ამ გაგებით, რილკე, შეიძლება ითქვას,  
შეჭიბრებაში იწვევს მხატვარსა და მოქანდა-  
კეს. მისი მიზანია ბგერითი ენის საშუალებით  
გამოხატოს ის, რაც, მაგალითად, როდენტანმა

<sup>1</sup> R. M. Rilke. Briefe aus den Jahren  
1921-1926. Leipzig, 1936, s. 370-371.

<sup>2</sup> R. M. Rilke. Briefe 1902-1906. s. 41.

<sup>1</sup> Id. Ibid. s. 118.

<sup>2</sup> Id. Ibid. s. 119.

პლასტიკის, ხოლო სეზანმა ფერწერის ენაზე თქვა. ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება რობერტ ფაუნის გამოთქმა, რილკეს ლირიკა თითქოსდა ხელვისათვისაა განკუთვნილი<sup>1</sup>.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რილკესათვის მუშაობა და თხზვა ერთი და იგივე არ არის. პოეტმა კარგად იცის, რომ პოეზიაში მუშაობისა და პოეტური შემოქმედების გაიგება შეუძლებელია, რომ შემოქმედება „მოწყალეა“, რომელსაც მოთმინებითა და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა ელოდო, რადგან ხელოვნების ნამდვილი ქმნილება მხოლოდ მაშინ იბადება, როცა „შინაგანი სიღრმე“ იხსნება. რილკესათვის „ნიადაგ მუშაობის“ პრინციპის განაორციელება მხოლოდ და მხოლოდ წინა პირობა და პოეტური შემოქმედებისათვის მომზადებაა.

მუშაობასთან უშუალოდ დაკავშირებულია „მოთმინების“ აუცილებლობაც (მოთმინება ერთგვარად ლოდინსაც ვულისხმობს). ერთი შეხედვით ეს ორი რამ, შესაძლოა, ერთმანეთის საპირისპიროდ გვეჩვენოს, მაგრამ ფაქტიურად ისინი მჭიდროდ კავშირში არიან. რილკეს აზრით, ხელოვანმა ყოველი შთაბეჭდილება და გრძნობის ყოველი ჩანახაზი საკუთარ თავში, სიბნელებში, გამოუთქმელში, შეუცნობში, ცნობიერებისათვის მიუწვდომელში უნდა დაასრულოს და ღრმა მორჩილებითა და მოთმინებით ელოდოს მისი დაბადების ეამს. იყო ხელოვანი ნიშნავს — არ ითვალის დღეები და წლები და გააზარდო იმ ხესავით, რომელიც დიხჯად იწოვს წვესს, ვაზაფხულის ქარიშხალში მშვიდად დგას და არ ეშინია ზაფხულის მოუსვლელობისა. რადგან იცის, რომ ზაფხული აუცილებლად დადგება, მაგრამ დადგება იმისათვის, ვინც მოთმინებითაა სავსე.

ასეთი მოთმინებისა და ლოდინის დიდი მაგალითია რილკეს „ღუინური ელეგიები“, რომელთა პირველი ორი ელეგია 1912 წელს დაიწერა. ათი მტანჯველი წელი დუმდა პოეტის შინაგანი ხმა, ვიდრე 1922 წლის თებერვალში, სულ რაღაც ორიოდვე კვირის განმავლობაში არ დაასრულა ხსენებული ელეგიები, რომლებიც არა მარტო გერმანულ, არამედ მსოფლიო პოეზიის მწვერვალადაა მიჩნეული.

პოეზიის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება შემოქმედებითი მომენტის ასეთი წამებით აღსავსე ლოდინი, მაგრამ რილკე დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან „დიდი მოწყალეა“ არ ასცდებოდა.

ამგვარად, „ნიადაგ მუშაობა“ მისთვის ნიშნავს „შეიმუშაო გამოხატვის საკუთარი საშუალება“, „მოთმინება“ კი — ელოდო, როდის „გაიხსნება სიღრმე“. რადგან პოეტს ღრმად სწამს, რომ შემოქმედებითი პროცესის ძალით გამოწვევა შეუძლებელია, რომ ხელოვნებაში „მოწყალეა“ გადაწყვეტი. შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ მუშაობისა და მოთმინების საკითხზე, რომელიც პოეტური შემოქმედების ტექნიკური მხარეა, ზომასზე მეტად გავამახვილეთ ყურადღება. მაგრამ ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული რილკეს პოეზიასთან, კერძოდ ახალ პოეტურ ხედვასთან.

პირველი და უმთავრესი, რასაც რილკე როდენისაგან სწავლობს — საგნების თავისებური ხედვაა, რასაც იგი „ახალს“ უწოდებს და ამის შესახებ ხშირად წერს პარიზში ყოფნის დროს, განსაკუთრებით პირველ წლებში. როდენი არ ემაყოფილებოდა საგნისაგან მიღებული არც პირველი და არც მეორე შთაბეჭდილებით. იგი დიდი ხნის განმავლობაში იღვევებდა თვალს საგანს და ინიშნავდა მის უმნიშვნელოვანეს მოძრაობას, თავს აცხრებოდა მოდელს როგორც ჩვეულებრივ ვითარებაში, ისე შემთხვევით მდგომარეობაში; დადლილობის, გრძნობათა გამოხატვის და დაძაბულობის დროს მისთვის ნაცნობი იყო ობიექტის ნაკეთების ყოველი ცვლილება. იცოდა საიდან მოდის ღიმილი და სედ შთავრდება იგი. როდენი არაფრის მიწართ არ იყო გულგრილი და არაფერი არ გამოეპარებოდა. „ზუსტად და თამამად დაჭერილი შთაბეჭდილებებიდან იგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და საჭიროს იღებდა და სრულყოფილ სინთეზად კრავდა“, რის შემწვობითაც მარადიულ საგნებს ქმნიდა.

როდენი პოეტისათვის დაუშრეტელი ძალის ოსტატია, რომელსაც შეუძლია ბუნების „დაეინებით და თავდავიწყებით ჭერება“ და რომელსაც შესწევს ძალა დანახული „გაასკეცებულ სინამდვილეს“, ანუ „საგან-ხელოვნებად“ — „კუნსტ-დინჯად“ აქციოს.

ბუნებისა და საგნების სწორედ ამ „დაეინებით ხედვას“ სწავლობს რილკე დიდი მოქანდაკისაგან. როდენის გავლენით იგი უფრო „ერწყმის რეალობას“. პოეტში თანდათანობით მუშავდება „მშვიდი და საქმიანი ცხოვრება“ და მისი ხედვა უფრო „ობიექტურად“ ხდება: „მე ვიწყებ ახლებურად ხედვას, — სწერს პოეტი ერთ-ერთ მეგობარ ქალს პარიზიდან, — ყვავილები, ცხოველები და ადამიანები ახლა უსასრულოდ ბევრს ნიშნავს ჩემთვის და უცნაურ, თანაც სრულიად სხვა

<sup>1</sup> R. Faesi. R. M. Rilke. Zürich, 1919, s. 25.

გრძნობებს იწვევენ. ახლა ყველაფერი უფრო ღრმად შემოდის ჩემში და იქ აღარ ჩერდება და მთავრდება სადაც წინათ. მე ახალი შინაგანი სამყარო აღმოვაჩინე, რომელზეც არაფერი ვიცოდი. ახლა ყველაფერი იქითკენ მიემართება”<sup>1</sup>.

საგნების ასეთი ხედვა, რომელსაც რილკე „ობიექტურსა“ და „სამართლიანს“ უწოდებდა, „დიდ და განუსაზღვრელ“ დროს მოითხოვს და გამოორიენებს რაიმეს ნაჩქარევად შექმნას.

რილკეს აზრით, პოეტმა არ უნდა იჩქაროს ლექსის წერა. მან მთელი სიცოცხლია მანძილზე უნდა აგროვოს აზრი და სიტყვით, რომ ბოლოს, სულ ბოლოს, შესაძლოა ათი კარგი სტრიქონი დაწეროს, რადგან ლექსები გრძნობები კი არ არის (გრძნობები ადამიანს მრავლად მოეპოვება სიჭაბუკეში), ლექსები გამოცდილებებია. ერთი ლექსის დასაწერად ადამიანმა ბევრი ქალაქი, ხალხი და საგანი უნდა ნახოს, ცხოველებს უნდა გაეცნოს, უნდა იცოდეს, თუ როგორ დაფრინავენ ჩიტები და როგორ იშლებიან დილაობით პატარა ყვავილები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ადამიანს მრავალი მოგონება უნდა ჰქონდეს, მაგრამ მოგონებებიც არ კმარა. შემოქმედმა უნდა შესაძლოს მათი დავიწყება და დიდი მოთმინებით ელოდოს ამ მოგონებათა ხელახალ გაღვივებას. მაგრამ ლექსები მარტო მოგონებები როდია. როცა ჩვენ ამ მოგონებებს შევიხსენებთ და ჩვენი არსებისაგან ვერ გამოვაცალკევებთ, შესაძლოა მაშინ, რაღაც მომენტში დაიბადოს ლექსის პირველი სიტყვა. სწორედ ამიტომ რილკეს პარიზის პერიოდამდე შექმნილი „უშნიშენლოდ და მცირედ მიაჩნია“. „დღიურთა წიგნი“, მისი აზრით, „უფროსი და უსასრულო იმპროვიზაციაა“. ასე დაუსრულებლად შექმნილი მეთხზათ — წერს პოეტი აღნიშნულ კრებულზე.

ამგვარად, პოეზია და ლექსის წერა, ხელოვნება საერთოდ, რომ ძნელად შესასწავლი ხელობაა — ეს რილკემ უფრო ნათლად პარიზში იგრძნო. მისთვის ახლა აშკარაა, რომ ადრინდელი სტილით მუშაობა შეუძლებელია, რომ ასე იგი შორს ვერ წავა. ამიტომ ეძებს ასე თავგამოდებით „თავისი ხელობის იარაღს... იმ არამატერიალური წარმოსახვის საშუალებას, რომლის შემწეობითაც ყველაფრის გამოხატვას შეუძლებს“. მაგრამ სად შეიძლება ამ იარაღის პოვნა — კითხვლობს პოეტი და თვი-

თონვე პასუხობს: შესაძლოა, იგი თვით ენაშია მოქცეული, მისი შინაგანი ცხოვრების და ისტორიის უკეთ შეცნობაში. ამ მიზნით, რილკე გრიმის ლექსიკონს იშველიებს, რომელიც, მისი აზრით, დიდად უნდა დაეხმაროს მწერალს ენობრივი მასალის უკეთ დაუფლებაში.

შესაძლოა თუ არა პოეტმა ეს საშუალება ახალი საშუალებების პოვნა, ~~საშუალებების~~ „ახალი ლექსები“ იშლევინა.

რილკესა და სახვით ხელოვნებაზე მსჯელობის დროს მთავარ ყურადღებას როდენზე ვამახვილებთ. ეს სავსებით გასაგებია. დიდი ფრანგი მოქანდაკის შემოქმედება პოეტისათვის წლების განმავლობაში ის საზომი იყო, რომლითაც იგი თავის მისწრაფებებსა და მიღწევებს საზღვრავდა. სწორედ ამის გამო კარგა ხნის განმავლობაში, ძირითადად, როდენი იბყრობდა მკვლევართა ყურადღებას და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა დიდი მოქანდაკის ჩრდილში რჩებოდათ. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის დიდი ინტერესი, რასაც რილკე იჩენდა პოლ სეზანისა და მისი ხელოვნების მიმართ.

1907 წლამდე რილკე სეზანს მხოლოდ გაყვრით ახსენებს თავის წერილებში. იგი აფასებს „თავისებური ფრანგის“ სურათებს, რომელთა ნახვაც მას წილად ხედა, მაგრამ სეზანი მისთვის ერთ მრავალთაგანად რჩება.

დიდ მოვლენად მხატვარი რილკესათვის მხოლოდ 1907 წლის ოქტომბერში იქცა, როცა პარიზის „შემოდგომის სალონმა“ მხატვრის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით მისი სურათების გამოფენა მოაწყო.

სეზანის ხელოვნება რილკესათვის „კოლოსალური სინამდვილეა“, რომელშიც განხორციელებულია „უზარმაზარი პროგრესი“, რის მიღწევასაც პოეტი სკვეთარ ქმნილებებში ცდილობს. მთავარი, რითაც სეზანის შემოქმედება რილკეს ყურადღებას იბყრობს, არის მხატვრული ბედვისა და განხორციელების ობიექტურობის იდეა.

ეს საკითხი რილკეს პირველად სეზანთან დაკავშირებით არ წამოჭრია. მისი ჩანასახი უკვე როდენთან ურთიერთობის პირველ წლებშივე ყალიბდება. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ სეზანის განცდის პერიოდში „ახალი ლექსების“ პირველი ნაწილი დამთავრებული იყო და დაწყებული ჰქონდა მეორე ნაწილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სეზანის განცდა უფრო მეტია, ვიდრე მოცემული საკითხის ვარიაცია. იგი არსებული იდეების დასაბუთება კი არ არის, არამედ მათი გაზრდა

<sup>1</sup> R. M. Rilke. Briefe 1902-1906. s. 116.

და განვითარება. სეზანის ხელოვნებაში რილკემ თავისი ობიექტივისტურა შეხედულებების უფრო ზუსტი განხორციელება დაინახა, ვიდრე როდენთან.

საინტერესოა, როგორ აისახება და რა ენობრივ სახეს იღებს „ხედვის ეს ობიექტურობა“ რილკეს პოეზიაში. პოეზია ხომ სხვა კანონებს ექვემდებარება, ვიდრე მხატვრობა. მაშ, რამდენადაა შესაძლებელი სახვითი ხელოვნების ობიექტურობის თეორიის გადატანა პოეზიაში. როცა ნაწარმოების ობიექტურობაზე ვლაპარაკობთ აქ საქმე ეხება სუბიექტურის დაძლევას, ანუ ქმნილებაში — ლექსი იქნება ეს თუ სხვა რამ, საკეთარი განწყობილებებისა და გრძნობების შეტანას. საგნების ობიექტურ ასახვასთან დაკავშირებით რილკე, უპირველეს ყოვლისა, უარყოფს მათ მიმართ სიყვარულის ხილულად გამოქვავებას. ბენებრივია, როცა საგანს აკეთებ, იგი ვიყვარს ვიდრე. მაგრამ თუ ეს სიყვარული ჩანს, მაშინ საგანი უფრო ცუდი გამოდის. რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანი ობიექტურობას კარგავს და საგანს კი არ „ამბობს“, არამედ „მსჯელობს“ მასზე, რის გამოც ყველაზე ძვირფასი რამ — სიყვარული ქმნილებაში კი არ შედის, არამედ გადაუმუშავებელი სახით მის გვერდით რჩება. პოეტს აზრით, საგნებისადმი სიყვარული მათი „კეთების პროცესში“ უნდა იქნეს დახარჯული, რადგან მხოლოდ „ანთიბურ მუშაობაში“ დახარჯული სიყვარულის შემწეობით შეიძლება შეიქმას „წმინდა საგნები“, ხელოვნების ნამდვილი ქმნილებები, „კუნსტ-დინგები“. ამასთან დაკავშირებით რილკეს სეზანი მოჰყავს მაგალითად და წერს, რომ საგნისადმი სიყვარულის დაფარვა მასავით არავის შეეძლო. სეზანმა იცოდა როგორ დაეშალა ეს სიყვარული ყოველი ვაშლის მიმართ და როგორ ჩაექსოვა იგი სამარადისოდ ნახატში.

საგანთა ობიექტურად კეთების მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ხელოვნება არ უნდა გამოარჩიოს საგნები და არც ერთ მათგანს არ უნდა მისცეს უპირატესობა. საგანთა ობიექტურად თქმას რილკე მაშინ თვლის შესაძლებლად, როცა შემოქმედებითი ხედვა ისე დაძლევის თავის თავს, რომ თვით „შემხარავსა და ერთი შეხედვით საზიზღარში“ არსებულს დაინახავს, რომელსაც სხვა არსებულის გვერდით ეგზისტენციის უფლება აქვს. ასეთი ობიექტური თქმის დიდ ნიმუშად პოეტს ბოდლერის ლექსი „ლეში“ მოაჩნია.

რილკეს შემოქმედებაში კი საგანთა „ობიექტური თქმა და კეთება“ მისი „ახალი ლექსე-

ბით“ იწყება. „ეს ლექსები სეზანისებურა ობიექტურობის ინტენსიური ცდებიან“, წერს პოეტი. ლექსი „გაკეთებულად“ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, თუ საგნის ობიექტურად დასახვის შემდეგ ეს ობიექტურობა სიტყვებში იქნება გადატანალი, ანუ ყოფიერების საგნებში ამ სიტყვებში გახდება „ჩილული“. ეს აზრი ასე შეიძლება განსაზღვრავს: „საგნები ყოფიერებაზე მიგვითბობენ“<sup>1</sup>. ამ ყოფიერების ნაწილია და მასში მოქმედებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყოფიერება განსაზღვრულია, იგი ადამიანისათვის რაღაცით მაინც უცხო და მიუწვდომელი რჩება და მისი გამომხატვა ძნელია. პოეტის ამოცანაა „საგანთა ეს გამოუხატველობა სიტყვაში ისე გარდაქმნას, რომ ადამიანი დარწმუნდეს თავის კავშირში ყოფიერებასთან, რადგან სიტყვების საიდუმლოება სწორედ ისაა, რომ თქმულში გამოუთქმელის დანახვაა შესაძლებელი“<sup>2</sup>.

სწორედ ამ თვალსაზრისით ქმნის რილკე თავის „ახალ ლექსებს“, რომლებშიც საქმე საგანთა იზოლირებულ, განყენებულ სამყაროს კი არ ეხება, არამედ ლექსებს, როგორც „კუნსტ-დინგებს“, რომლებშიც ყოფიერებას მრავალფეროვნება საგნის სიმშვიდითაა ნაჩვენები.

როცა რილკემ 1907 წლის დამდეგს 1903-07 წლებში დაწერილი ლექსების წიგნად გამოცემა დააბარა, არ იცოდა როგორ დაესათურებინა ეს კრებული. იგი თავის წერალებში ახსენებს „ლექსთა ახალ წიგნს“ ან კიდევ „ლექსებს, რომლებიც ახალ ვითარებაში შეიქმნა“. ბოლოს განმცემლის რჩევით კრებულს სათაურად ერთი შეხედვით თითქოსდა შემთხვევით სახელი „ახალი ლექსები“ დაარქვა, რომლებიც ორპროცენტად უნდა იქნას გაგებული. ახალ წიგნს უბრალოდ „ახალი ლექსები“ ერქმევა, უკეთესი ვერაფერი მოვიდოქრეთ და ისინი ხომ მართლაც ახლებია, იმაზე მეტად ახლები, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს, ვანა ეს ასე არ არის? — სწერს პოეტი შეუღლეს<sup>3</sup>.

საკითხავია — რა თვალსაზრისითაა ეს ლექსები ახალი; მხოლოდ რილკეს პოეზიისათვის წარმოადგენენ სიახლეს, თუ მოედ

<sup>1</sup> R. Böckmann. Der Strukturwandel der modernen Lyrik in Rilkes „Neue Gedichten.“ jini: Wirkendes Wort. Dusseldorf. 1962. 12. Jahrgang, Hft. 6. s. 342.

<sup>2</sup> R. M. Rilke. Briefe 1906-1907. s. 312.

გერმანულ პოეზიაში შეაქვთ ახალი ლირიული განწყობილება?

პოეტის ამ ქმნილებებზე უკვე აღარ შეიძლება ეილაპარაკოთ, როგორც განცდებისა და განწყობილების ლირიკის ნიმუშებზე. ამ ლექსების ორივე ნაწილი გერმანული ლირიკის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია. ისინი მოწმობენ, რომ პოეზიის განახლება მხოლოდ ახალი მასალისა და თემების შემოტანით კი არ ხდება, არამედ წარმოსახვისა და გამოხატვის ახალი საშუალებებით. როგორც პაულ ბოქმანი აღნიშნავს, **ლექსთა ეს კრებული „თანამედროვე ლირიკის სამაგალითო, დიდა ქმნილებაა, რომელიც უფრო ბოდლერის „ბორტების ყვავილებს“ შეიძლება დაეუყენოს გვერდით, ვიდრე გოეთეს ლექსებს“<sup>1</sup>.**

ამ ლექსებმა გერმანული პოეზია გაამდიდრა ლირიული ნაწარმოების ახალი სახეობით ე. წ. „საგნის ლექსით“ (Dinggedicht). ამით რილკემ შეასრულა როდენტანს შეხვედრის პირველ პერიოდში დასახული პროგრამა, შეექმნა „დაწერილი საგნები“.

„საგნის ლექსის“ არსი რომ მიახლოებით მაინც გავიგოთ, უნდა გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობს რილკე სიტყვა „საგანში“. წერილებსა და დღიურებში, ისევე როგორც ლექსებში, პოეტი ამ სიტყვას შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობს. რა მიაჩნია რილკეს საგნებად, საერთოდ? მთები, ველები, ხეები, ყვავილები, ქუჩები და სახლები, კედლები და ავეჯი, საყრფაცხოვრებო უბრალო ნივთი, სხეულის ნაწილები — უპირველეს ყოვლისა, ხელები. ერთი სიტყვით, ყველაფერი არსებული და შექმნილი ყველაფერი ეს საგანია, მაგრამ არა უსულო, არამედ სიცოცხლის გამოვლინების ფიგურალური გამოხატულება, რომელიც იგივე ან მსგავსი იდუმალი კანონზომიერებითაა აღსავსე, როგორც ბუნება და ადამიანი.

მაგრამ როდენტანს ურთიერთობის პერიოდში პოეტი სიტყვა „საგანს“ განსაკუთრებული, ამალღებუი მნიშვნელობით ხმარობს. საგანი მისთვის „კუნსტ-დინგის“ (ხელოვნების) სინონიმია, რაც მის ენაზე ხელოვნებას ნამდვილ ქმნილებას ნიშნავს. როცა რილკე ამბობს „როგორმე დაწერილი საგნები უნდა შექმნათ“. ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს ლექსს, რომელიც, მისი აზრით, ისეთივე საგანი, ისეთივე „კუნსტ-დინგია“, როგორც, მაგალითად, ფერ-

წერილი ტილო ან სკულპტურული ქმნილება და ისიც ნათ მსგავსად უნდა „გაკეთდეს“. ამიტომ, როდესაც რილკე ლექსის წერაში „საგნის კეთებას“ გულისხმობს, ეს მხოლოდ კუნსტ-დინგის“ არსიდან გამომდინარე შეიძლება აიხსნას.

რა განსხვავებაა უბრალო საგნებსა და „კუნსტ-დინგებს“ შორის? ამის პოეტის ასეთ პასუხს იძლევა: „საგანი განსაზღვრულია, „კუნსტ-დინგი“ კი უფრო მეტად უნდა იყოს განსაზღვრული. ყოველგვარი შემთხვევითობისა და გაუგებრობისაგან განთავისუფლებული, იგი ცილდება დროის ფარგლებს და მარადიულად იქცევა.

ეს სენტენცია უფრო ნათელ განმარტებას მოითხოვს.

ადამიანმა აღრეულ პერიოდში დაიწყო საგნების კეთება. იგი აკეთებდა იარაღს, კურჭელს და სხვადასხვა ნივთებს, აძლევდა თითოეულ მათგანს გარკვეულ სახეს და ამით ყოველ საგანს ბუნების უსასრულო ნაკადიდან გამოყოფდა, — „განსაზღვრულს“ ხდიდა.

ერთ-ერთ დღიურში პოეტი წერს სუროს გვირგვინზე, რომლის ხილვისასაც წამოიძიება: „საგანი... უცებ ერთი საგნით შეტი“.

საქმე ის არის, რომ ტოტო თავისი განუსაზღვრელი კონტურებით, როგორი სახითაც იგი ბუნებაში გვხვდება, უსასრულო და მიუწვდომელი მთელის — სუროს ნაწილია, ეს კი კიდევ უფრო მეტისა და ა. შ. ამდენად, სიმძიმის ცენტრი ამ ნაწილს არა აქვს და იგი თავის მიღმა, უსასრულოზე მიგვითითებს. მაგრამ თუ სუროს ტოტს მოვკრიოთ და დაეწინავთ, მაშინ იგი თავის თავში ჩაეკტილ და გარე სამყაროსაგან მოწყვეტილ „მძიმე და სიბნელით აღსავსე“ საგნად იქცევა („სიმძიმე“ და „სიბნელე“ რილკესათვის საგნობრიობის მაჩვენებელი თვისებებია).

ამგვარად, ყოველი შექმნილი საგანი, როგორც ეს სუროს გვირგვინის მაგალითზე დავინახეთ, ბუნების უსასრულო ნაკადიდან არის გამოცალკევებული და სიმძიმის ცენტრი საკუთარ თავში აქვს. ეს ღებულება ზოგადი გაგებით ყველა საგანს ეხება, „კუნსტ-დინგს“ კი განსაკუთრებით, რადგან „კუნსტ-დინგი“ კიდევ უფრო მეტად „განსაზღვრულია“, ვიდრე უბრალო საგანი.

რით აღწევს „კუნსტ-დინგი“ ამ უფრო მეტ განსაზღვრულობას? საგანი რომ „კუნსტ-დინგად“ იქცეს, ამისათვის მარტო მისი გარე სამყაროსაგან გამოყოფა არ კმარა. სამყაროს ნივთები მხოლოდ პოტენციურადაა საგნები. ყო-

<sup>1</sup> R. Böckmann. Ibid., s. 338.

ველ მათგანში ფარული ცხოვრება იმალება, რომელიც მხოლოდ ადამიანის სულში შეიძლება რეალობად იქცეს. ხელოვანმა უნდა შესძლოს, ყოველ საგანს მეორეხარისხოვანი ჩამოაცალოს და მისგან მარადიული გამოაყოს. „წარუვალის წარმავლისაგან“ გამოყოფით ადამიანი უბრალო საგანს ხელოვნების ნამდვილი ქმნილების სიმაღლეზე აიყვანს, ანუ მარადიულ სიცოცხლეს მიანიჭებს. ამ პროცესს რილკე „საგნად ქცევას“ (Dingwerdung) ეწოდებს.

პოეტის აზრით, „კუნსტ-დინგი“ უფრო მეტია, ვიდრე ადამიანი, რადგან ქმნილება დასრულების შემდეგ შორდება შემქმნელს და დამოუკიდებელ არსებობას იყენს. უფრო მეტიც, იგი „აღმატება“ შემქმნელს. აღმატება იმდენად, რამდენადაც „კუნსტ-დინგის“ შექმნით ადამიანი აღწევს ამ სრულყოფილი ქვეშაობის განხორციელებას, რაც ცხოვრებაში მისთვის მიუწვდომელია.

„ჩემს კარგად დაწერილ ლექსში უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე ყოველგვარ ურთიერთობაში, ან საუყარულში, რომელსაც ადამიანების მიმართ ვგრძნობ... როცა ვქმნი, მაშინ ნამდვილი ვარ!“ — წერს პოეტი.

აქ, ბუნებრივია, ისმება კითხვა: რას ნიშნავს ასეთი წინადადება ეგზისტენციური რედუქციის თვალსაზრისით? იმას, რომ ხელოვნების ქმნილება უფრო ნამდვილი, რეალურია, ვიდრე არსებული ადამიანი? ცხადია, არა. ფრაზა „როცა ვქმნი, ნამდვილი ვარ“ — მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: შემოქმედის ნაწარმოების სრულყოფის მიზნით წინააღმდეგობებით საცხე ძიება უხდება, ამ ძიების გარკვეულ მომენტში იგი აღწევს უმაღლეს ქვეშაობას, ქმნის სრულყოფილ „კუნსტ-დინგს“. მაგრამ შექმნის შემდეგ ნაწარმოებზე თავის თავში ჩაკეტილ, დამოუკიდებელ ერთეულად „კენსულად“ იქცევა, რომელიც მოწყვეტილია თავის შემქმნელს და ამდენად, მასში განხორციელებული ქვეშაობა შექმნელისათვის, როგორც მუდმივი რეალობა უკვე მიუწვდომელია, იგი შემოქმედებითი პროცესის მხოლოდ განსაზღვრულ მონაკვეთში შეიძლება იყოს მიღწეული და იმ ადამიანს მისი განხორციელება სურს, მან სულ უფრო და უფრო სრულყოფილად უნდა გარდაქმნას საგნები. ამას გულისხმობს რილკე, როდესაც ამბობს, რომ როდენის სურვილი იყო ეკუთვინა რაც შეიძლება უკეთესი საგნები.

ამდენად ადამიანი „კუნსტ-დინგს“ რომ

ქმნის, უახლოვდება და აღწევს უმაღლეს ქვეშაობას. სწორედ ამ ქვეშაობის ძიებასა და პოვნაში ხედავს რილკე ადამიანს, არსებობის გამართლებას.

ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ რამ განაპირობა რილკეს სხვათა ხელოვნებისადმი ასეთი ინტერესი. რატომ სწორედ ამ ხელოვნების წარმომადგენელმა რილკემ შექმნა მანამდე უცნაო თავის წინამძღვრის *სიხარულიძე* სახელი?

საქმე ის არის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სახვითი ხელოვნება, კერძოდ ფერწერა, დიდ როლს თამაშობდა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობათა შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

ცნობილი გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ოსკარ ვალცელი წერს, რომ სახვითი ხელოვნება გასული საუკუნიდან მოყოლებული პოეზიის უფროს დად იყო მიჩნეული, რომელიც მას ახალ გზებს უგაფავდაო.

ნატურალიზმი და იმპრესიონიზმი ბირველი მხატვრებმა შექმნეს. მათ შემოქმონდათ ახალი ტიპები და ტერმინები, პოეზია და ლიტერატურული კრიტიკა კი იღებდა იმას, რასაც სახვითი ხელოვნება სთავაზობდა. ისევე მოხდა შემდეგშიც. ვერ ექსპრესიონისტულად ხატდნენ და შერე ექსპრესიონისტულად წერდნენ. ახალგაზრდა რილკემ დაინახა ეს. „შეშატვრობას კი არ ესწავლობდი.—წერს იგი.— მისი არსი ჩემთვის ბოლომდე მანც მიუწვდომელი დარჩა. მე მხატვრობაში მომხდარი ცვლილებები დაეინახე და მიწოდდა მხავისი რამისთვის პოეზიაშიც მიწეღწია“<sup>1</sup>.

მართლაც, ეორპსეველულ მხატვრობთან და უპირველეს ყოვლისა, როდენთან ურთიერთობამ, გარდა ამისა მანეს, ვან-გოგისა და, რაც მთავარია, სერანის ხელოვნების გაცნობამ, იუღუს მაიერ-გრეფეს ნაშრომებმა, რომლებიც თანამედროვე ხელოვნების განვითარებას უბნებს ებნება, პოეტი ახლის შესაქმნელად მოამზადეს.

თუ რომელ გზას შეეძლო პოეზიაში სიახლესთან მივეყვანეთ, ამ კითხვას რილკეს „ახალი ლექსები“ პასუხობენ. სწორედ სხვათა ხელოვნებასთან კავშირს უმაღლის გერმანული პოეზია ამ შედეგობს, რომლებიც პოეზიის ისტორიაში „საგნის ლექსების“ სახელწოდებითაა შესული და რომელთა უმრავლესობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები აქვთ თვამად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმა-

<sup>1</sup> R. M. Rilke. Briefe, 1902-1906. s. 115.

<sup>1</sup> R. M. Rilke. Briefe, 1902-1906. s. 390.]

ნულ პოეზიაში ჩნდება<sup>1</sup> ლირიკული ფორმის ახალი სახეობა, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში პრობლემატური, „საგნის ლექსის“ სახელითაა ცნობილი. საგნის ლექსს ხანმოკლე ისტორია აქვს და დღეს იგი ლირიკის განვითარებაში ისტორიულ, გარდამავალ ფაზად არის მიჩნეული. ხსენებული ლექსი იმდენად იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რამდენადაც რილკეს შემოქმედებაში იგი პოეტურ სიძაღვს წარმოადგენს და თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალსა და სრულყოფის აღწევს.

საგნის ლექსი ენათესავება სურათის ლექსს (Bildgedicht). ლექსის ეს ორივე სახეობა სახვითი ხელოვნების ქმნილების სიტყვაში გადატანას ცდილობს. საგნის ლექსის არსი რომ უფრო ნათლად დავინახოთ, რამდენადმე მაინც უნდა განვმარტოთ სურათის ლექსის რაობა.

სურათის ლექსი ეწოდება ლექსს, რომელიც ან შთაგონებულია სახვითი ხელოვნებისა ნაწარმოებით ან ეძღება მას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი მიზანია მოცემული ქმნილების დაწვრილებითი აღწერა, როგორც იმას, ვთქვათ, ხელოვნებათმცოდნე აკეთებს. სურათის ლექსი ისწრაფვის სიტყვის ექსპრესიულთა ძალის შემწეობით ადეკვატურად გადმოსცეს ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული სახე და ღირებულება. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სურათის ლექსი არის სახვითი ხელოვნების ქმნილების სიტყვაში გადატანა, პოეტურ ენაზე „თარგმნა“.

სურათის ლექსის ისტორიის სიბრტყე ანტიკურა ლიტერატურიდან მომდინარეობს. საბერძნეთში გავრცელებული იყო, რომ ხელოვნების ნაწარმოებებსა და შესაწირ საჩუქრებს უკეთებდნენ მოკლე წარწერებს ლექსად ქრისტიანობის ადრეულ პერიოდშიც მიღებული იყო, რომ სურათები და ფრესკები, რომლებიც ძირითადად სახარების მოტივებს ასახავდნენ, თანდართული ლექსებით განმარტათ, რათა ამით გაეადვილებინათ შიშის მიწარსის გაგება.

სურათის ლექსში განვითარების გარკვეული გზა განვლო — ეპიგრამატის ფორმიდან მოყოლებული — ხელოვნების ქმნილების დროებითად გაყოფილებამდე, მისი ფორმის ანალიზიდან — შიშის რეპროდუცირებამდე, ესთეტიკური ანალიზიდან — სიმბოლურ გააუ-

ლიერებამდე. ყოველ ეპოქის სახვითი ხელოვნების ქმნილება თავისი მსოფლმხედველობისა და სტილის შესაბამისად გადაჭიმდა სიტყვაში, მაგრამ გაცნობიერებულად თუ შეუცნობლად, ამ სახეობის ლექსის ადრეული ხელოვნების ერთ მიზანს ემსახურებოდა. კერძოდ, სახვითი ხელოვნების ქმნილების პოეტურ ენაზე გადატანას.

### ბიკ-ლიქსი

მაგრამ გერმანულ პოეზიაში არც ერთ პოეტს, არც მანამდე და არც შემდეგ არ მიუღწევია სურათის ლექსის ისეთი სრულყოფისათვის, როგორც ეს რაინერ მარიო რილკემ შესძლო. რილკე, რომელიც ვირტუოზულად ფლობს ენის ყოველგვარ მხატვრულ საშუალებებს, თავია საუკეთესო სურათის ლექსებში აღწევს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების პოეტურ ენაზე „თარგმნას“ და ქმნის სურათის ლექსის ახალ სახეს — საგნის ლექსს, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით ყველაზე უფრო სრულყოფილად უდგება სურათის ლექსის მიზნებსა და მოთხოვნებს.

საგნის ლექსს განსაზღვრავენ როგორც არსებულს უბირო, ეპიკურ-ობიექტურ აღწერას. იგი უპირისპირდება განცდილ ლექსს (Erliebisdichtung), რომელიც პოეტის სუბიექტურ გრძნობათა მსვლელობის ასახვაა. განცდის ლექსში „მე“-ს სუბიექტის განწყობილება წარმოადგენს მის ცენტრსა და მამოძრავებელ ძალას. საგნის ლექსში კი ამის საპირისპიროდ, პოეტის ლირიკული „მე“ უკანა პლანზე დგება. ამ ლექსის პარველი დამახასიათებელი ნიშანია „სუბიექტის“ არული უკანდახევა ობიექტის წინაშე“ და საგნის იმ სახით აღწერა, როგორითაც იგი ჩვენ წინ დგას, სხვა საგნებისაგან მოწყვეტილად და მათთან ურთიერთკავშირის გარეშე. ლექსში პოეტის საკუთარი გრძნობებისა და განმარტებების შეტანა გამორიცხებულია.

საგნის ლექსი საგნებისა და მოვლენების კონკრეტული, ობიექტური არსისა და ღირებულების წვდომასა და გადმოცემის ისახავს მიზნად. ამისათვის იგი უარს ამბობს „პარველი პირის“, „მე“-ს, ლირიკაზე, რომელიც უფრო სუბიექტურია და გადმოცემის ობიექტურ საშუალებას ვეძებს. კერძოდ, „მესამე პირის“ ლირიკას აძლევს უპირატესობას. ო. ვალკელი ასეთ პოეზიას შე-სგან „განთავისუფლებულს“ (Lichtliche Lyrik) უწოდებს. მისი უპირატესობა იმაშია, რომ იგი განსაზღვრულ დისტანციას ქმნის პოეტსა და აღაწერ საგანს შორის და ამით ხელს უწყობს გადმოცემის მეტ ობიექტურობას.

ცხადია, ყოველი ლექსი, სუბიექტის, პოეტის

<sup>1</sup> საგნის ლექსის პარველი ნიმუშები მოცემულია ედუარდ შორიკესა (იხ. მისი ლექსი „ლაიფას“) და კონრად ფერდინანდ მაიერთან (იხ. ლექსი „რონის შადრევანი“).

მიერ იწერება და ისიც ცხადია, რომ დაწერილი, ავტორის შთაბეჭდილებებისა და განცდის გადმოცემაა. მაშ სხვას რას შეიძლება ეხებოდეს ლექსი. მაგრამ როცა ლექსში პოეტის „უკანდახვევას“ და „მე-სგან განთავისუფლებაზე“ ვლაპარაკობთ, აქ მხედველობაში გვაქვს საგნის განთავისუფლება შემოქმედის ჭარბი გრძნობებისაგან, რომელსაც იგი თავს ახვევს აღსაწერ საგანს და ამის გამო არსებით და დამაბრუნებელ მომენტს კი არ იჭერს, არამედ უფრო მეტად თავის გრძნობებზე ამახვილებს ყურადღებას, რის გამოც საგანს კი არ „ამბობს“, არამედ „მსჯელობს“ მასზე.

საგნის ლექსის მეორე მნიშვნელოვანი მომენტია — განმარტება (Deutung). განმარტება ამ სახეობის ლექსის „სპეციფიკური პოეტური მიზანია“. ეს თითქოს ეწინააღმდეგება პირველ დებულებას, რომლის მიხედვითაც ეს ლექსი საგნებს სუბიექტის ყოველგვარი ჩარევის გარეშე, მათ სრულიად იზოლირებულად წარმოგვიდგენს.

საგნის ლექსი მიისწრაფვის არსებითისაკენ, სიმბოლურისაკენ. მისი მიზანია ჩასწვლეს და გამოხატოს საგნების სიმბოლური არსი. განმარტების გარეშე კი იგი თავის ამ უმაღლეს მიზანს ვერ მიაღწევდა და დეკორატიულობაში ჩაეფლობოდა, რადგანაც საგნის თვით სრულყოფილი აღწერაც კი არ იქნებოდა იმაზე მეტი, ვიდრე, მაგალითად, კარგად შესრულებული ფერწერული ტილო. პოეტს კი სხვა მოვალეობა აქისრია. „იგი გაცილებით სიმბოლურად უხდა მოქმედებდეს, ვიდრე ყველა სხვა „ხელოვანია“. საგნის აღწერისას პოეტმა „ყოველგვარ რიტორიკასა და ხატოვან მორთულობაზე“ უნდა უარი თქვას, რადგან ისინი ფარავენ საგნის არსს და ასუსტებენ მის სიმბოლურობას. განმარტებისათვის კი საგნის სრული და ამომწურავი აღწერის გვერდით მაინც რჩება ადგილი. იგი მკაფიოდ განიხილული შინაარსი კი არ არის, არამედ ფორმასთანაა დაკავშირებული. განმარტება საგნის აღწერას გვერდით არ გასდევს და არც მის მიღმაა, იგი თვით აღწერაშია მოცემული და ჩაქსოვილი. აღწერა განმარტების პრინციპზეა აგებული. განმარტება მხოლოდ აღწერის პროცესში წარმოიქმნება, აღწერისა და განმარტების ასეთი შერწყმა მარტო საგნის ლექსისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი ყოველი სიმბოლური ნაწარმოების თვისებაა საერთოდ, მაგრამ საგნის ლექსისათვის მხოლოდ სიმბოლურობა არ არის საკმარისი. მისთვის ფორმის

საუთხია გადამწყვეტი. კერძოდ ის, რომ საგანთა უშუალო არსებობა გარკვეულ ენობრივ სახედ უნდა იქცეს, ისეთ სახედ, რომელიც იმავე დროს ამ საგანთა ფარული აზრის ხორცშესხმა იქნება.

რილკე ღრმავდება საგანთა არსში, მაქსიმალურად იყენებს სიტყვების და ქმნის განსაკუთრებულ პოეტურ სტილს, რომელიც საშუალებას აძლევს საგნებით ახლებურად დაინახოს და იგრძნოს ყველაზე ჩვეულებრივი მოვლენები. „ახალ ლექსებში“ პირველ პლანზე დგება ლირიკა, რომელიც უშუალოდ საგანთა შინაგანი სტრუქტურის გახსნისაკენაა მიმართული. საგანთა არსის ასეთი წედომა კი შესაძლების ენობრივ ფორმას მოითხოვს და სწორედ ახალი ლირიკული ფორმების ძიებაში ქმნის საგნის ლექსის თავისებურ სტილს, რომელშიც საგნის არსი მთლიანად ენობრივ საშუალებებშია „ობიექტივირებული“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგნის ლექსში გრძნობათა ობიექტივირება (Objektivierung des Gefühls) ხდება, რის შესაბამისად მისი გამოხატვის საშუალებებიც „ობიექტურდება“. ლექსის ამ სახეობაში სუბიექტური განწყობილებით შექმნილი ფორმის ადგილს იკავებს თავის თავში ჩაკეტილი ობიექტივირებული ფორმის პლასტიკურობა.

როგორც ძალზე სტილიზებული ხელოვნების ნაწარმოები, საგნის ლექსი მხატვრული განვითარების გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის, იმ პერიოდს, როცა პოეტი ნიუანსების განსაკუთრებულ კულტურას ფლობს.

ეს ლექსი, რომელიც სრულყოფილი საგნების — „კუნსტ-დინგების“ სამყაროში ტრიალებს და რომელიც ამ საგანთა შინაგან არსსა და ფორმას ასაბავს, იძენს ხაზგასმულ ესთეტიკურ იერსა და მკაცრ ფორმალურ ელემენტს, ანუ საკუთრივ „კუნსტ-დინგად“ იქცევა.

ამგვარად, ზემოთ თქმული რამდენიმე სიტყვით ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ. საგნის ლექსი უპირო ლექსია. მასში პოეტის სუბიექტურ განცდებზე აღარ არის ლაპარაკი. აღიმიანი აღარ არის ლირიკის ცენტრი. პოეტის ამოცანაა გამოხატოს არა ადამიანის სიხარული და სევდა, არამედ სამყაროს აზრი. რილკეს ახალი კონცეფციაა აღწეროს საგნები არა სენტიმენტალურად, არამედ ობიექტურად, ყოველგვარი ეგზალტაციის გარეშე, აღწეროს არა გარეგნულად, არამედ შინაგანად დანახული. მისი მიზანია გამოხატოს ობიექტური სინამდვილე და იგი თავისი საგნების თვალთ დაგვანახოს.



მაგრამ როცა რილკეს მიერ სამყაროს საგნებისა და მოვლენების ობიექტურ ასახვაზე კლასიციზმით, მხედველობაში უნდა გვეჩინდეს, რომ ეს მოთხოვნა არ აყენებს ნატურალისტიკურ პროგრამას, ანუ პოეტი არ მიმართავს გარე სამყაროს განმეორებას. ობიექტურობა, რომელზედაც რილკე ხშირად წერს, უნდა გავიგოთ, როგორც სუბიექტურად შეფერადებული

ობიექტურობა, რილკეს ყოველი საგნის ლექსი, რა თქმისაც არ უნდა ნებოდეს იგი, არ არის ამ საგნისაგან მიღებულ გარეგნულ შთაბეჭდილებათა გადმოცემა, ყოველი/შთაგანი სიმბოლური ლექსია. ყოველი საგანი რილკესათვის ყოფიერების სიმბოლოა. ამიტომ/უდილობს პოეტი ჩასწვდეს ყოველ მათგანს, და შესაბამისი სიტყვებით გააზროს.

სიმბ-იქონიქა

## ფრანგული „ახალი რომანი“

ფრანგული „ახალი რომანის“ წარმომადგენელთა შორის აღენ რობ-გრეიეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თეორიული კრეატიუ და წერის მანერა იმდენად განსხვავდება ამ მიმართულების სხვა მწერალთა თეორიებისა და რომანებისაგან, რომ ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს. „რომანი არასოდეს ყოფილა თავის თავის ასე რადიკალურად წინააღმდეგი, როგორც რობ-გრეიეს რომანია. იგი (ახალ რომანისტებს შორის—მ. ბ.) ერთადერთია, რომელმაც სრულიად ახალი რამ შემოიტანა ლიტერატურაში. ბიუტორისა და სიმონის რომანები მთლიანად არ სცილდებიან წარსულის ლიტერატურას. მათ რომანებში დროის მსვლელობა, ხანგრძლივობაა მოცემული და ისინი მითვბისა და ღირებულებებს შეიცავენ. საროტი ასე თუ ისე უახლოვდება რობ-გრეიეს იმით, რომ აღამიანსა და საგნებს ერთ სიმბოლურად ათავსებს, მაგრამ მაინც წარსულს უკავშირდება, რადგან საგანს აღამიანის ფსიქოლოგიის გამოსავლინებლად იყენებს“<sup>2</sup>.

1955 წელს გამოიცა მწერლის პირველი რომანი „საშლელები“, რომელიც ნაკლებად გახმაურდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა კრიტიკოსმა იგი თანამედროვე ლიტერატურაში „მოვლენად“ მიიჩნია. ორი წლის შემდეგ გამოიცა „მხედველი“ („Le Voyeur“), 1957 წელს—„ექვიანობა“, ხოლო 1959 წელს კი — „ლაბირინთში“. ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მწერლის შემოქმედებას გარშემო კამათი არ შეწყვეტილა და „ახალი რომანი“ მოდიდაც კი იქცა. რობ-გრეიეს სახელსა და პოპულარობას იმანაც შეუწყობ ხელი, რომ 1961 წელს მისი სცენარის მიხედვით ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა აღენ რენემ გადაიღო სურათი „შარშან მაროენდბადში“ (მერე თვითონ მწერალმაც გადაიღო რამდენიმე ფილმი, გამოსცა ნოველების კრებული და კიდევ ერთი რომანი „შეხვედრების სახლი“).

რობ-გრეიეს ნაწარმოებების პირველად წაკითხვამ მკითხველი შეიძლება დააბნოს, რადგან იგი ვერ ნახავს მათში ტრადიციული რომანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. დაინტერესებული მკითხველი ავტორის თეორიულ ნაწერებს მიმართავს, მაგრამ არც ისინი ბფუნენ ნათელს ბოლომდე მის რომანებს. რობ-გრეიეს რომანების გარჩევისას აზრთა უკიდურეს სხვადასხვაობას აქვს ადგილი. საქმე ისაა, რომ კრიტიკოსების ერთი ნაწილი მის რომანებს ისე არჩევს, რომ მწერლის თეორიულ გამონათქვამებს არ ატყვევს ყურადღებას, ბეორენე კი მხოლოდ მის თეორიებს ეყრდნობიან. მწერალმა თეორიული სტატიების წერა იმ მიზნით დაიწყო, რომ თავი დაეცვა მოზღვავებული კრიტიკისა და გაუთავებელი თყდასხმებიანგან, აგრეთვე დახმარებოდა დაბნულ მკითხველებსა და კრიტიკოსებს თავისი ნაწერების გაგებაში. ეს აუცილებელი იყო, რადგან ის მცირეოდენი ტებაც, რომელიც ატა-იქ გამოჩნდა, სწორ საფუძველს არ ეყრდნობოდა: მის რომანებში აქებლენ არა იმას, რაც ახალი იყო, არამედ რველი.

<sup>1</sup> წერალი მკარე

<sup>2</sup> O. Bernal—Alain Robbe — Grillet: le roman de l'absence.

კლასიკური რომანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, იმას, რაც თვით ავტორს საკუთარი შე-  
ნობების ნაკლად მიაჩნდა.

თეორიულ ნაწერებში რობ-გრიემ ხაზი გაუსვა თანამედროვე რომანის იმ ნიშნებს, რომ-  
ლითაც ევოლუცია დაიწყო ამ საუკუნის დამდეგს და თავისი საკუთარი მრწამსი ჩამოაყალიბა.  
მისი აზრით: ხელოვნების ყოველი დარგი, და ცხადია ლიტერატურაც, ცოცხალი დარგია და  
გამუდმებით იცვლება, ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში სამყარო ძირფესვიანად გარდაიქმნა.  
შეიცვალა ფერწერა, მუსიკა, ქანდაკება. ლიტერატურა ამ დარგებს ძალიან ჩანოვრი, ყოველ  
ეპოქას თავისებური სიახლე მოაქვს. ყოველმა ეპოქამ თავისი „ახალი მნიშვნელობა“ ფლო-  
ბერმა თავის ეპოქასთან შედარებით აღრე 1860 წელს შექმნა ახალი რომანის მნიშვნელობა —  
1910 წელს, ედმა — 1925 წელს და ა. შ. ცხადია, სრულიად ახალი რომანის შექმნა შეუძ-  
ლებელია. 30 წლის განმავლობაში ბევრი ცდა იყო, რომ თბრობა ჩვეული ნარბოების ფარგ-  
ლებიდან გამოეყვანათ, მაგრამ გარდა ცალკეული ნაწარმოებებისა, ლიტერატურა ძირითადად  
იგივე დარგია. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ყველა აღიარებს, რომანმა ცვლილებები  
უნდა განიცადოს, როგორც კი რაიმე ცვლილება გამოჩნდება, იწყება ბრძოლა ახალი ფორ-  
მის წინააღმდეგ. იწყება გოდება — რომანი აგონიაშია, რომანი კვდება, საჭიროა მისი შევლით.

მწერალს სურს იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი, მაგრამ მას მძიმე ტვირთად  
აწევს ცივილიზაციისა და ძველი ტრადიციების დრამად გამჭდარი ფესვები. ძნელია — ასკენის  
რობ-გრიემ — გაექცე იმას, რაც საუკუნეებმა დაამკვიდრეს.

საკმაოდ ღიბხანს კრიტიკოსების ერთი ნაწილი რობ-გრიემს აღიარებდა, და ზოგიერთი  
ახლაც აღიარებს, „შოზისმის“ წარმომადგენლად, რად შეერქვა მას ეს სახელი?

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა თანამედროვე კრიტიკოსმა, ამ მიმართულების მეხოტბემ  
როლან ბარტმა დასაბამი მისცა ამ სახელის დამკვიდრებას. მისი აზრით საგანა რობ-  
გრიემსათვის აღარ არის ადამიანთა დაკავშირების საშუალება, შეგრძნებების და სამ-  
ბოლოების ნიშანი, ის არის მხოლოდ „ობიექტური წინააღმდეგობა“ (ის რაც თვალში  
გვხვდება). სამყარო დაყვანილია მხოლოდ და მხოლოდ მის ზედაპირულ, „ბუკვალურ“  
„ღწერებზე. სამყაროს ახლებური ხედვა არის საგნების აღწერა. საგნები არიან „იქ“, სანამ  
რამედ ექცევიან, ე. ი. ისინი თავისთავად არიან. საგნების ამგვარი ფენომენოლოგიური აღწერა  
რობ-გრიემს პირველი მიზანია. მწერალი იტყუვა საგნების რომანისტად, ე. წ. „შოზისტად“<sup>1</sup>.  
მოვეუსმინოთ ისევე რობ-გრიემს: „სამყარო არც მნიშვნელობის მქონეა და არც აბსურდული  
(გაისხენეთ სარტრისა და კამიუა კონცეფცია სამყაროს აბსურდულობის შესახებ), ის უბრა-  
ლოდ არის. ასევეა საგნებიც. ისინი არც მნიშვნელობის მატარებლები არიან და არც  
აბსურდულნი. ისინი არიან „იქ“. მწერლები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ  
საგნებს. მისი აღწერა საჭირო იყო სოციალური, ფსიქოლოგიური თუ მეტაფიზიკური ფაქტო-  
რის ხაზგასასმელად. იგი ყოველთვის საიდუმლოების, მნიშვნელობის მატარებელი იყო, გამო-  
ხატავდა ინდივიდის მისწრაფებას, ტანჯვას, მზანს (ბალხაეი, ზოლა და სხვა). საგანს რომ-  
მანტაე, „შინაგანობა“ (interiorité) ახასიათებდა. სინამდვილეში კი საგანი მნიშვნელობას  
მოკლებულია. ამიტომ მწერალმა მნიშვნელობის მქონე საგანთა სამყარო ნაცვლად (ფსიქო-  
ლოგიური, სოციალური თუ სხვა) უნდა შექმნას უშუალო, პირდაპირი (immédiat) საგნების  
სამყარო. ამგვარ სამყაროში საგნებს დიდი როლი განეკუთვნებოთ, მაგრამ დაცლილნი იქნებიან  
სანტიმენტალური და მეტაფიზიკური მნიშვნელობებისაგან. ინდივიდიც აღარ იქნება სამყაროს  
ცენტრში. ის საგნების მბრძანებელი ვეღარ იქნება, რადგან საგნები მისი არსებობის საყრდენ-  
ები არ არიან. საგნების სრული დამოუკიდებლობა ნააღიარებელია რომ-გრიემს აზრით დეტექ-  
ტიურ რომანებში. იმ დროს, როდესაც დამნაშავე უარს ამბობს დანაშაულის აღიარებაზე, მოწ-  
ბეებიც თითქოს დამნაშავეს სასარგებლოდ ლაპარაკობენ, ჭეშმარიტებას სხნის საგანი, მისი  
მდებარეობა თუ ნაკვალევი.

რობ-გრიემ საგნებს ისეთივე სიზუსტით აღწერს, როგორც ბალხაეი, მაგრამ ბალხაეისთვის  
საგანს აქვს მნიშვნელობა, ფორმა, სუნი, მიუთითებს მოგონებებზე და ანალოგიებზე. მათი  
ხატვა დაკავშირებულია რომანის პერსონაჟებთან, ისინი ხაზს უსვამენ მათ თავისებებსა და  
ხასიათს, იწვევენ საამურო ამ პირიქით, უსაძმოვნო მოგონებებს. რობ-გრიემს მეორე აღწერილი  
საგნები კი მოკლებულია არიან ანალოგიებს, აღარაფერზე მანიშნებენ, არაფერზე მიუ-

<sup>1</sup> ფრანგულად „შოზ“ ნიშნავს, საგანს ნიშნავს.

თითებენ, არაფერს ეძიებენ, სიმბოლოს არ წარმოადგენენ და რაიმე დასკვნისათვის არ არიან აღწერილნი. მათი აღწერა გარეგნული, ზედაპირული ფორმებისა და კონტურების მეშვეობით შეიძლება; ამგვარი აღწერა არც პერსონაჟის და არც საგნის რაიმე თვისებას პრივილეგიას არ ანიჭებს. საგნის აღწერით მწერალი მის უკან არაფერს მალავს, როგორც ეს ტრადიციულ რომანში ხდება. საგნის ფუნქციონის იქით არაფერი იმალება, — არც აღწერის მიზანი, არც სიმბოლური და არც მეტაფიზიკური. პაიდევერის ნათქვამი ადამიანის შესახებ „რომანის ყოფიერების პირობა არის „იქ“ ყოფნა“, რომ-გრიიეს საგნებზე გადაქცეს და მის ძირითად მიზნად იქცევა ახვეწის დამოუკიდებელი, თავისთავში ჩაკეტილი საგნების „ქრისტეანული“ ინტერესებს საგნის ფუნქცია, რომელიც, მისი აზრით, ილუზიურია. საგნის შესახებ „ობტექური ხედვა“ არის რეალური. მისი რეალური არსი მისი გამოყენების მიღმა იწეება. „ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა, ყოველი ფორმა არის საკუთარი თავის სიმბოლო... ჩვენი სამყარო... არის ნიშნების სამყარო... მაგრამ არა რაღაც სხვისი ნიშანი, არა რაღაც სრულყოფილი, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია, არამედ მისი საკუთარი ნიშანი, არაის ნიშანი, რომელიც ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ“ (ბუსკე).

სარტრმა პირველმა აღიარა საგნის თავისთავადობა. მისი ნიერ საგნია აღწერა „გულშიდგაში“ ძალიან ჰგავს რომ-გრიიეს აღწერებს, მაგრამ არსებობს ერთი პრინციპული განსხვავება: სარტრი მაინც ამყარებს კავშირს საგანსა და პერსონაჟს შორის, მისი მეტყველება ანალოგიური და ანტროპომორფულია. ამას გარდა, სარტრს აღიარებული აქვს სიტუაცია — სოციალურ-მორალური ღირებულების ერთიანობის არსებობა და მასში ადამიანი, რომ-გრიიეს ადამიანი ამ ღირებულებებში კი არ არის ჩასმული, არამედ საგნების სიტუაციაში.

რომ-გრიიეს კლასიკური საგნის მოსპობის თავისი მეთოდი გააჩნია. ის ცდილობს თავი აარიდოს ზედსართავეებს, რომლებიც საგანს დამოუკიდებლობას უკარგავენ. მაგრამ ზედსართავეების მიღიანად გაქრობა შეუძლებელია, ამიტომ მისი ზედსართავეები ანალოგიურ იერს არ ატარებენ, არაფერზე მიუთითებენ. ინდიფერენტულნი და ნეიტრალურნი არიან. ისინი არც სიერცობრივნი არიან და არც სიტუაციურნი. ამგვარი აღწერა, მწერლის აზრით, ენათესავება თანამედროვე მხატვრობას, რომელშიც წინა და უკანა პლანები აღარ არსებობს და ფიგურატიული პლანები ერთდროულად იკითხება. იმისათვის, რომ საგნებს მნიშვნელობა მოაცილოს, მთაშორის ჩვეული მეტაფორულობა და ანტროპომორფიზმი, რომ-გრიიეს საგნებს გეომეტრიულად აღწერს: ზუსტი ხომებიტა და მოცულობებით, ხაზებითა და წრებით, კუთხვებითა და სამკუთხედებით, რათა ამგვარმა აღწერამ არაფერი შექმნას, არ აფიქრებინოს მკითხველს არც ადამიანია სიმარტოვეზე, არც მის ტანჯვაზე და მეტაფიზიკურ პრობლემებზე. საგანსა და მეტყველებას შორისაც არ არის ერთიანობა, პირიქით, წინააღმდეგობაა, რადგან საგანს არა აქვს არც სიღრმე, არც საიდუმლოება. საგანი მისტიფიკაციაა.

ბიუტორის რომანში „მოლიფიკაცია“ საგნები ანალოგიურნი არიან; აქ საგანი ადამიანთანაა დაკავშირებული და მისი მოვლენათა წყაროა. რომ-გრიიესთან კი საგნები „ბუნებურები“ არიან. ამგვარი აღწერებით იგი ცდილობს დახატოს უთვისებო სამყარო.

კრიტიკოსი ბარტი თვლის, რომ ტრადიციულ რომანში საგანს არ ჰქონდა განკუთვნილი მისი ნამდვილი ადგილი. ის იყო ყოველთვის ადამიანური ურთიერთობის საყრდენი და რაიმეს მანიშნებელი. ბოლოს და ბოლოს საგანმა უნდა იპოვოს თავისი დამოუკიდებლობა და ისე უნდა აღიწეროს, რომ ტრანსცენდენტური არ იყოს. ამიტომ ცდილობს რომ-გრიიეს, რომ საგანს მოაცილოს ის მნიშვნელობები, რომლებიც ადამიანებმა მოახვიეს თავს. უგულუბნელოდს მეტაფორებს და ამით სრულიად უკარგავს მკითხველს ხალისს რაიმე მონიშნებისა, ან საგნის პოეტურად აღქმისა. იგი საგნის ზუსტ ასლს აკეთებს. მაგრამ ეს საგნი, ერთი მხრივ, კლასიკურია, რადგანაც გეომეტრიული სიზუსტით არის აღწერილი, მეორე მხრივ კი — აბლებური, რადგან არაფითარ ტრანსცენდენტობაზე არ მიუთითებს. საგნის ამგვარ აღქმურულს უწოდებენ სწორედ ბარტი „მოზინტს“. ამრიგად, ბარტი თვლია რომ რომ-გრიიეს არის საგნების მნიშვნელობის დამამსხვრეველი; მაგრამ კრიტიკოსი მწერლის შემოქმედებაში მეორე პერიოდსაც გამოყოფს. რომელშიც რომ-გრიიეს „კუმანისტად“ აცხადებს. მართალია, არც მეორე პერიოდში იქნენ საგნები სიმბოლოებად, მაგრამ მათ ერთგვარი მნიშვნელობა დაეკისრათ, ეჭატებს ბარტი.

ამგვარად გამოდის, რომ პირველ პერიოდში რომ-გრიიეს ობიექტური მწერალია, რომელსაც მხოლოდ „ყოფიერება თავისთავად“ ინტერესებს, გარე სამყაროს და საგნების აღწერა და-

ყავს ზედაპირების ჩვენებასა და გეომეტრიულ სიზუსტეზე, მეორეში კი სუბიექტურ მწერლად ექცა, რადგან წარმოდგენითი და ირაციონალური სამყაროს ხატვა დაიწყო. ასეთია ბარტის დასკვნა.

თვით რომ-გრიე ეწინააღმდეგება ამგვარ დაყოფას. 1959 წელს გაზეთ „ექსპრესში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში იგი ამბობს: „შაშინაც კი, როცა ჩემს რომანებში უმარტივესად იყო დაბეჭდული, ყველაფერი იყო დანახული არა ინდიფერენტული, ნეიტრალური თვალთ, არამედ ისეთი ადამიანის მიერ, რომელიც ჩაუღრმობდა ადამიანურ ვნებებზე და მათზე მდებარეობდა. ობიექტურობას კრიტიკა მაწერს. მე კი ჩემს თეორიულ მსჯელობაში ვსმარობ ამ სიტყვას. თუკი ნიხარია, ყოველთვის დამიზუსტებია, რომ ის ნიშნავს „ნიმართულს საგნისაკენ“, მიმართულს გარე სამყაროსაკენ“.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ რომ-გრიეს შემოქმედება მთლიანად სუბიექტური რეალობის ამსახველია და ონირიული<sup>1</sup> ტენდენციის მატარებელი, რაც ბოლო ნაწარმოებებში („ექვიანობა“, „ლაბორინთში“) უფრო მკვეთრად ჩანს, ვიდრე ადრინდელეებში.

რომ-გრიეს შემოქმედებაში სიურრეალისტების დიდი გავლენა იგრძნობა. მწერალს არაერთხელ აღუნიშნავს, თუ რა სიზუსტით აღწერეს სიურრეალისტებმა სიზმარში ნახაბი საგნები: სკამი, კენკი, საგნის ვარდნა. სიზმარში ბევრი რამ ბუნდოვანია, მაგრამ საგნები არაჩვეულებრივი სიზუსტით იხადდებიან, თითქოს გამარადისებულნი არიან. მწერალს მოსწონს აგრეთვე სიურრეალისტებისათვის დამახასიათებელი ის იდეალება, რომელსაც ისინი ყოველდღიურობაში ხედავენ.

სტატიაში „რამდენიმე მოხვედრული ცნების შესახებ“ (1957) რომ-გრიე ასაბუთებს პერსონაჟის, შინაარსისა და ლიტერატურული ნაწარმოების მოვალეობა-მზნის (message) დაკარგვის აუცილებლობას.

ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ანრი კლუარმა „ახალი რომანი“ სწორედ ამ ნიშნების უქონლობის გამო გააკრიტიკა და თქვა: „ახალ რომანისტებს სურთ გადახერხონ ტოტი, რომელზედაც ჩვენ ვზივართ“. რომ-გრიემ თავისი პასუხი ასე დაიწყო: „ექვობესი არ იქნებოდა თვალი მიგეპყრათ ხის კენწეროსკენ, სადაც შეამჩნევდი ახალ, მწვანე ტოტებს, მაგრებს, ცოცხლებს, რომლებიც დიდი ხანია რაც აყვავდნენ. განა ამ ტოტებს არ განეკეთებება „ულისე“, „კოშკი“, „ხმაური და მრისხანება“ და სხვა.“

პერსონაჟი ვერ იქნა და ვერ ჩამოვიდა იმ პიედესტალიდან, რომელზეც იგი მე-19 საუკუნის კლასიკოსებმა აიყვანეს. მართალია, ბალზაკმა შექმნა დაუვიწყარი მამა გორიო, დოსტოვესკიმ კარამაზოვები, მაგრამ იმას, რომ მკითხველთა უმრავლესობას არ ახსოვს „გულშიდვისი“ ან „უცხოის“ გმირთა სახელები, განა აქვს არსებითი მნიშვნელობა? ან სელინის „მოგზაურობა ლამის კადეზე“ განა პერსონაჟს გვიხატავს? შემთხვევითი როდია, რომ სამივე ეს ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი. პერსონაჟი ეკუთვნის წარსულს, იმ ეპოქას, რომელსაც ადამიანის აზრგა მოგვცა. შესაძლებელია, — აღიარებს რომ-გრიე, — რომ პერსონაჟის გაქრობა პროგრესული მოვლენა არ არის, მაგრამ ეს ფაქტია. ჩვენს საუკუნეში სამყაროსა და საზოგადოების ბედი აღარ არის დამოკიდებული ინდივიდისა თუ ოჯახის ამაღლება ან დაცემაზე. სიახლე ფლობერით დაიწყო. თითქოს ამბის ნოყილა შეუძლებელია პრეტენსიათა, ბუკეტისათვის, ფოლქლორისათვის, მაგრამ განა მათი თხზულებაში სიესე არ არის ამბებით? განსხვავება ის არის, რომ დროის ქრონოლოგიური მსგეღელობა არის ადრეული და თვით ამბავია დაყენებული ექვის ქვეშ. ერთა ფრანა ერთდროულად კონსტატაციაც შეიძლება იყოს და უარყოფაც.

ძველი ლიტერატურა მითებს ეყრდნობოდა, მწერალი იჭრებოდა ბუნებაში, ცდილობდა ჩაეღწია მისი საიდუმლო ფენებისათვის და დღის სინათლეზე ამოეტანა ადამიანური ვნებები. მკითხველი შეთვისებული იყო ასეთ ხელოვნებას და მას არ უჩანდებოდა კავშირისა და ძრწოლების შეგრძნება. ახლა ადამიანი სხვანაირად აზროვნებს. სამყარო მისი საკუთარება აღარ არის. საგნების ზედაპირი კი აღარ არის ნიღაბი, რომლის იქით დამალულია მეტაფიზიკური თუ სხვა სიმბოლოები. რომანისტის ბირველი ამოცანაა დაინგრიოს ძველი მარადიული მითები, „იქვე აღარ გვევრა ამ მარადიულობისა, საქაროა მისი მოცილება, მოსაბობა“ (რომ-გრიე).

<sup>1</sup> ონირიული ნიშნავს ხედვით პალუცინაციას, რომელიც სიზმრის მდგომარეობას ენათესავება.

საგნებსა და ადამიანს შორის, სამყაროსა და ადამიანს შორის გათიშულებაა, ადამიანი ხედავს საგნებს, მაგრამ მათთან კონტაქტს ვერ ამყარებს, თავისად ვერ გაიხდის. მას შეუძლია მხოლოდ მისი ზედაპირებისა და კონტურების დანახვა. საგანი მნიშვნელობებისაგან დაცლილია და მისთან კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელია. ძველი მწერლები კი ამ კომუნიკაციის უალბად იძლეოდნენ მეტაფორების მეშვეობით. მეტაფორას თითქოს მხოლოდ შედარება სურს, სინამდვილეში კი კომუნიკაციას გამოხატავს, სიმპათიასა თუ ანტიპათიის გრძობას, და ამგვარად საგანს ემატება ის თვისება, რომელიც მის არსში არ არის, რეალობას უმარობს მეტაფორებს. „დიდებული“, „მწუხარე“, „შეუბრალებელი“ და სხვა კლასიკური მწერლები განცდათ, პირადული შეგრძობება, ამის შემდეგ კი ხდება განზოგადება და რეალობა კარგავს თავის ქეშმარიტ სახეს ძალაუფლებურად თავსმოხვეული თვისების გამო. ანალოგიებსა და მეტაფორებს. მკითხველი ფორმების სანყაროდან რეალურად არარსებულ მნიშვნელობათა სამყაროში გადაჰყავთ, რომელიც თვით ადამიანებმა მოიგონეს. ადამიანი დაკავშირებულია ბუნებასთან ე. წ. უალბი ჰუმანიზმით: მისტიკური, ანტროპომორფული მეტაფორებისა და სიმბოლოების მეშვეობით. ზოლო თუ ადამიანს მოაცილებ ბუნებას, საგნებსა და სხვა ადამიანებს, ეს გათიშულება წარმოქმნის ტრაგედიას. ბუნება და ტრაგედია. — ამათ გარეშე ლიტერატურა წარმოუდგენელი იყო. რობ-გრიიე ფიქრობს, რომ თანამედროვე ადამიანმა ტრაგედია უნდა უარყოს. ადამიანი არის ავადმყოფი ცხოველი — ამბობს ესპანელი უნამუნო — ადამიანის შორჩენა შეიძლება — მტკიცედ ამბობს რობ-გრიიე — თუკი მას გაართავისეფლებ ცრურწმენებისა, გამოგონილი არაკებებისა და ტრაგედიისაგან, რადგანაც ყოველივე ეს შეთბზულია. ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ იგი უმნიშვნელო სამყაროში ცხოვრობს. ექვი რომ დაგებადება, სხვა რაღა დაგრჩენია, თუ არა ის, რომ უფრო შორს ეიო“. ექვი განიდა ბუნებისა და ადამიანის კონტაქტში, ტრაგედიის არსებობაში. სინამდვილეში არ არსებობს ის მტკიცე კავშირება, იმ დარწმუნებულობა, რომელიც ლიტერატურაში სუფევს; ის იცვლება ექვის კავშირებით ცხოვრებაში. ყოველი სურათი, ყოველი ფორმა, ყოველი საუბარი და სიტყვა საგნება გაურკვეველობითა და ყოყმანით. ამიტომ არის, რომ რობ-გრიიეს გამოთქმებს, სურათებს, ფორმებს და საერთოდ მია რომანებს დარწმუნებულობას ტონი არა აქვთ. მის რომანებში რეალობას არასოდეს საბოლოოდ ხელი არა აქვს ჩაელებული, რადგან ის არასოდეს ნაიელი და საბოლოო არ არის. მისი აღდგენა ყოველ წამს არის სეპირო. რეალობა ეს მუდმივი სიხსლეა. ამიტომ ცდილობს მწერალი, რომ მისმა ნაოქკავმა ან აღწერამ საბოლოო იერი და ფორმა არ მიიღოს. სამყარო, ბუნება, თანამედროვე ფაზიის მიხედვით, არის სურათი მუდმივი ცვალებადობისა. ამიტომ, როგორც კი რომანში იწყება ერთგვარი ამბავი — შინაარსი, ავტორი მამინევი ცდილობს მის მოსპობას.

რომანის ახალი ტიპი შექმნეს ჯოისმა, პრუატმა, ფოლენერმა, კაფკამ. პირველი სიმის რომანები საგნება მნიშვნელობებით და ხანდახან მათამდეც კი აღის. ყოველ მოყვენას რამდენიმე ინტუოპრეტაცია შეიძლება მიეცეს. ეს არის ზე-მნიშვნელობების სამყარო. კაფკა კი პირიქით, თითქოს ყოველდღიურ ბანალურ ამბავს მნიშვნელობას აცლას და აბსურდად აქცევს. ეს აბსურდულობა და „უმნიშვნელობა“ კაფკას ნაწარმოებებში ტრანსცენდენტურია, ზოლო რობ-გრიიეს კი სურს, რომ უმნიშვნელობა ასევე დარჩეს, თავისთავად.

სტატიაში „ახალი რომანი, ახალი ადამიანი“ (1961) რობ-გრიიემ ჩამოაყალიბა ყველა ის ბრალდება, რომელიც ამ მიმართულებას წაუყენეს და თითოეულ მათგანზე ლაკონიურად და ელემენტარულად უბასუხა. მწერალი თვლის, რომ ამ ბრალდებებით „ახალი რომანის“ მიზანი და ბანი სრულად დამახინჯებულია.

1. „ახალმა რომანმა“ მომავალი რომანის კანონები გამოიმუშავა.
2. „ახალმა რომანმა“ სრულიად მოსპო წარსულის ლიტერატურა.
3. „ახალ რომანს“ სურს სანყაროდან გაეგდოს ადამიანი.
4. „ახალი რომანი“ უმიჩნებს ტოტალურ ობიექტურობას.
5. „ახალი რომანი“ ძნელი საკითხავია და მხოლოდ სპეციალისტებისათვის არის განკუთვნილი.

რობ-გრიიე თვლის, რომ:

1. „ახალი რომანი“ არ არის თეორია, მას არავითარი კანონები არ დაუწესებია; არც ერთიანი სკოლაა, რადგან მის წარმომადგენლებს შორის დიდი განსხვავებია. ამ მწერლების გაერთიანება ერთ ჯგუფად გამოიწვია იმან, რომ ყველა მათგანი ძველ ფორმებს უარყოფს.

მე-19 საუკუნის ფორმა აღარ შეესატყვისება ამ საუკუნეს. მაგრამ ახალი რომანისტები არა-  
ეთარ შემთხვევაში არ მოითხოვენ, რომ ყველამ მათ მსგავსად წეროს: „ახალი რომანი“  
წმინდა წყლის ძიებაა.

2. „ახალი რომანი“ რომანის ჟანრის განვითარებაა. ბალზაკის რომანი სტენდალის რომანმა  
შეცვალა. სტენდალის მიერ გატერლოოს ბრძოლის აღწერა სრულიად განხვევებული ბალზაკის  
აღწერებისაგან. ფლობერის დროიდან ევოლუცია უფრო საგრძნობია, ხოლო მე-20 საუკუნის  
დამდეგიდან უკვე ნათელი ხდება, რომ ძველი ფორმებით წერა შეუძლებელია. „ახალი რომანი“  
კი არ სთბს ძველ ლიტერატურას, არამედ მას ეყრდნობა. საქმე ისაა, რომ უკე-  
თესი შექმნა, არამედ დროის შესატყვისი ფორმა გამოჩნაბო. 30—40-იან წლებში, როცა რომანმა  
დაკარგა ისეთი ნაშნები, როგორცაა ქრონოლოგია, ხასიათი. ამ ბოლო ოცი წლის განმავლო-  
ბაში ცხოვრების ტემპები საოცარი სისწრაფით გაიზარდა. ხელოვნების დარგებიც იცვლებიან  
უფრო ჩქარა, ვიდრე წინათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ „ახალ რომანს“ შეიძლება ძნელად  
ეგუება.

3. რომანში გმარის, ბაროვნების გაქრობამ გამოიწვია კრიტიკოსების დასკვნა, რომ  
„ახალ რომანში“ საერთოდ არ არის ადამიანი. „ყველა ჩემს რომანში, ისევე როგორც სხვა  
ახალი რომანისტების ნაწარმოებებში არის ადამიანი. იგი ყოველ ფურცელზეა, ყოველ ფრა-  
ზაში და სივანი არავითარ შემთხვევაში არ ცვლის ადამიანს. საგნების სიმრავლე ადამიანის  
თვლით არის დანახული, რეალური იქნებიან ისინი, თუ წარმოადგენილი“.

4. საგნების გაუთავებელი აღწერების გამო კრიტიკოსებმა მიიჩნიეს, რომ „ახალი რომანი“  
სრულიად ობიექტურია. პირიქით — იმართლებს თავს ავტორი — ჩვენი რომანები მთლიანად  
სუბიექტურნი არიან. რადგან ყველაფერი, რომელიმე ერთი ადამიანის თვლით არის დანახული.  
ხოლო, რაც შეეხება ქრონოლოგიასა და სახელებს, მწერალს მიაჩნია, რომ ინდივიდის საკუ-  
თარი დრო უფრო საინტერესოა, ვიდრე კალენდარული, რადგან ადამიანის მეხსიერება  
ქრონოლოგიური, თანამიმდევრული არ არის. ცხოვრებაში, დღის განმავლობაში ადამიანი  
ბევრ სხვადასხვა უცნობს ხვდება, რომლის არც სახელი იცის და არც გვარი. მაგრამ უცნო-  
ბის სახე შეიძლება სამუდამოდ ჩაებჭდოს მეხსიერებაში, მოუხდეს მასზე წერა, წარმოიდ-  
გინოს მისი ბედი და ა. შ.

რობ-გრიეს თეორიის საილუსტრაციოდ გავარჩევთ მის ორ რომანს: „საშლელებს“ და  
„ლაბირინთში“.

პირველი რომანი „საშლელები“ კრიტიკოსებმა სხვადასხვანაირად ახსნეს. ზოგმა ის  
კლასიკურ ტრაგედიად მიიჩნია, ზოგმა კი დეტექტიური ტიპის რომანად, ზოგმა იგი „მოზიზმის“  
მანიფესტად გამოაცხადა, ზოგმა კი კინემატოგრაფიულ ანტირომანად, ზოგი თვლის, რომ მასში  
აღდგენილია ძველი მითი, ზოგი კი, პირიქით, ფაქრობს, რომ ეს რომანი არის ცლა ლიტერა-  
ტურაში მითის მოსპობისა.

რომანი ეხება კონკრეტულ, ზუსტ მოვლენას: მკვლელობას და მკვლელის ძიებას. რომ-  
ანში არის მსხვერპლი, მკვლელი და დეტექტივი. თითოეულს თავისი როლი აქვს განკუთვ-  
ნილი. მკვლელი ესვრის მსხვერპლს, მსხვერპლი კვდება (?) დეტექტივი ეძებს მკვლელს.  
ქარგის მხრივ თითქოს უბრალო პოლიციურ რომანთან უნდა გვეჭონდეს საქმე. მაგრამ როცა  
უკანასკნელ თავს ჩაეიკიობავეთ, აშკარა ხდება, რომ საქმე არც ისე მარტივადაა: ურთიერთობა,  
რომელიც აკავშირებს მკვლელობას, მის ძიებას, მკვლელს, მოკლულს და სხვა ადამიანებს,  
საკმაოდ რთული და დახლართულია. „რომანში აღწერილია ზუსტად 24 საათი, რომელიც  
გავიდა ტყვიის გასროლიდან მსხვერპლის სიკვდილამდე. 24 საათი — დრო, რომელიც დასჭირ-  
და ტყვის, რათა სამი-ოთხი მეტრი გაველო — 24 საათით მეტი (en trop)“. ასე მიგვანიშნებს  
თვით ავტორი — საქმე ეხება რაღაც ზედმეტ დროს. ამ ზედმეტ დროში, ამ დროულ პიპერ-  
ტროფიაში ხდება სწორედ დრამა.

ბროლოგი იწყება დღის 6 საათზე, ეპილოგი მთავრდება 6 საათზე მეორე დღის თითქმის  
იდენტური სცენით. მაგრამ თვით „კვანძი“ იწყება რვის ნახევარზე წინა საღამოს, როცა მოხდა  
გასროლა და მთავრდება იმ მომენტში, როცა ხდება მეორე გასროლა მეორე დღეს აგრეთვე  
რვის ნახევარზე იმავე პირობებში.

დამით ქალაქში ჩამოდის სპეციალური აგენტი, დეტექტივი ვალასი, რათა გააჩვიოს იმ საღამოს მომხდარი მკვლელობას ამბავი. იმავე დღეს, საღამოს რვის ნახევარზე, პროფესორ დიუპონს ესროლეს და მოკლეს (?). მთელი მეორე დღის განმავლობაში ვალასი მკვლელობის საქმეს იძიებს. ვალასის გარდა ძიებას აწარმოებს კომისარი ლორანი, მკვლელობაზე ტყვეობს აგრეთვე დაქირავებულს, მკვლელის უფროსი გარინატი. ნელ-ნელა ირკვევა, რომ დიუპონი კი არ მოუქლავთ, არამედ მსუბუქად დაჭრეს, მაგრამ დიუპონს ეშინია, რაკი ვერხელ აცდიწეს, გაურკვეველი ტერორისტული ორგანიზაცია მეორეჯერ ხელიდან არ გაქცეულა. კლინიკაში იწალდება. გაზეთები კი ყალბ ცნობას იძლევიან მისი სიკვდილის შესახებ. ვალასი გადამწვეტილი აქვს გაქცევს ქალაქიდან, მაგრამ მას საჭირო ქალაქლები აქვს თავის კაბინეტში. 24 საათის შემდეგ ჩუმიდ ბრუნდება: თავის ვილაში ქალაქების წასაღებად. ვალასი კი ვილაშია ჩასაფრებული, მას გაგებული აქვს, რომ მკვლელი დანაშაულის ადგილას ბრუნდება ხოლნე... ვალასი კლავს პროფესორ დიუპონს ზუსტად რვის ნახევარზე, მაგრამ მეორე დღეს.

ამ ქარვას ეამრავა პატარ-პატარა ეპიზოდი ახლავს, ყველა მათგანის აქ მოტანა შეუძლებელია, მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა აღინიშნოს, რადგან ინტერპრეტაციის დროს ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აღმოაჩნდება.

ნაწარმოებში ხშირად ჩხდება ლოთი, რომელიც სულ ვალასს დაადევს და მოხვეწებას არ აძლევს. ქალაქში უსასრულო ბეტიალისას ვალასი დიუღალავად და დაყინებით ეძებს განსაკუთრებული ფირმის საშლელს. ფირმის სახელის ორი შუა ასო ახსოვს, ხოლო წინა და უკანა ორა დაეწვეებული აქვს. საშლელის ძებნაში იგი რამდენჯერმე ხვდება ერთი და იგივე გამყოფელ ქალს. მკვლელობის ამბის ზარკვევის მიზნით ვალასი ბევრს დაიღია უკაცურ და საექვო გარემოში, ქუჩებსა და მოედნებზე, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან. ბევრი უმნიშვნელო, მაგრამ უცნაური რამ გადახდება თავს. მაგალითად, როცა ვალასი ესაუბრება კომისარს მკვლელობაზე და ლაპარაკია, რა რევოლვერით მოკლეს დიუპონი, აღმოჩნდება, რომ ვალასსაც იგივე მარკის რევოლვერი აქვს ციბეში და რატომღაც ერთი ტყვია აკლია (?).

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი პენკო თვლის, რომ ამ რომანს ანალიზი ადვილი არ არის და არც იძლევა კონკრეტულ ახსნას. როლან ბარტი უკუაგდებს ყოველგვარ „არგუმენტირებულ ანალიზს“ და ყოფს რომანს ორ ნაწილად: ერთი არის კვანძი (რომელიც მას სრულებით არ აღინტერესებს), მეორე კი — საგნები (ბარტის აზრით რომანის მთავარი მანომრავებელი ძალა). ეს საგნები „ანტიკლასიკურია“, რადგანაც მათ მნიშვნელობა მოცილებული აქვთ, მათ მხოლოდ თვალი ხედავს. საგნებს არც ფუნქცია აქვთ და არც სუბსტანცია, ბარტსაც სწორედ ეს მოსწონს: „რობ-გრიფმ სამყაროს მხოლოდ ოგალების ძალით შეხედაო“. ამ რომანში ნათლად გვიჩვენა, რომ „არაფერი იმაზე ძნელი არ არის, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რას ვხედავთ“<sup>1</sup>.

ზოგი კრიტიკოსის აზრით, რომანში იგრძნობა ბერძნული ტრაგედიის გავლენა. საინტერესო ფაქტია, რომ უცხოელ კრიტიკოსთა უმრავლესობა ბერძნული ვერსიისაკენ იხრება, ფრანგები კი ძირითადად ასტიბერძნულ ახსნებს იძლევიან (როგორც ჩანს ფრანგები მწერლის თეორიებს უფრო უწევენ ანგარიშს).

რომანში დიდი ადგილი უჭირავს დროს. ავტორი უარყოფს ჩვეულებრივი, სწორხაზობრივი დროის ჩვენებას — დროის თანამიმდევრულ დინებას და ცვლას მას ე. წ. ადამიანური ღრობით, რომელსაც ადამიანი თვითონ ქმნის აწყობსა და წარსულის ერთმანეთში შერევით. ერთი და იგივე მოვლენას სხვადასხვა ასპექტი აქვს, რადგან იგი სხვადასხვა ადამიანის მიერ არის დანახული. ე. ი. დრო და სივრცე პირობითია და იცვლებიან დამკვირვებლისა და ადგილის მიხედვით. ამას რომანი თავიდანვე გვაუწყებს: „ჩქარა, საებედუროდ, დრო აღარ იქნება ბატონი. ექვებითა და შეცდომებით შემოსაზღვრული მოვლენები ამ დღისა, რავინდ მინიმალურნიც არ უნდა იყვნენ ისინი, რამდენიმე წამში თავის საქმეს შეუდგებიან, იდეალური განრიგის შექმნას დაიწყებენ, შეუმჩნეველად შემოიტანენ აქა-იქ ინვერსიას, გადაადგილებას, არგვ-დარევას, გამრუდებას, რათა ნელ-ნელა დაამთავრონ თავისი ქმნილება — ერთი დღე, ზამთრის დამდევს, უკვეგმო, უმიზნო, მიმართულების გარეშე. გაუგებარი და შესაზარი“.

მკვლელობის გარშემო რამდენიმე ადამიანი ფიქრობს: ვალასი, კომისარი და გარინატი. მათი ფიქრები, ცნობიერების ნაკადი, შინაგანი მონოლოგები შერეულია რეალობის ზუსტ

<sup>1</sup> Merleau—Ponty—, „Phénoménologie de la perception“.





რადგან გამყიდველ ქალს ვნებიანი მზერით აცქერდება; ის ხომ დიუბონის მეუღლეა, ე. ი. ვალასის დედა (?) სიღამითი კი დიუბონს კლავს, ე. ი. მამის მკვლელია!

ვალასი მიტოვებული იყო ბავშვობისას, ისევე როგორც თიდიპოსი.

რომანში ხშირად იხმარება სიტყვები, რომლებიც ჯღერადობით ლაიუსს ნივთავონებენ.

ვალასი სულ საშლელის ძიებაშია, მაგრამ ფარმის სახელი დაწოყებული აქვს, ახსოვს ორა ზუა ასო di (ფრანგულად თიდიპოსი ასე იწერება Oedipe) — ბევრი სიარტლის გამო ვალასს ფეხები უსივდება (თიდიპოსის ერთ-ერთი ეტიმოლოგიური კუთხე ნივთავონების დედასიე-ბული).

ბიზლიქსიქა

ასე რომ მივყავთ, კიდევ ბევრ სხვადასხვა მინიშნებას ვიპოვიტ. მწერლის თეორიულ კრგ-დოს ანგარიშს თუ არ გავუწევთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი ანალიზი სწორია.

წერილში „გზა მომავალი რომანისათვის“ რომ-გრიიე აღნიშნავს, რომ კრიტიკოსების დიდმა ნაწილმა „საშლელები“ ბუკვალურად გაიგო „მასში თითქოს ძველი მითი ერწმოდეს დეტაქტივია... იმ დროს, როდესაც—გულსტიკვილით განაგრძობს ავტორი—მგონია, რომ რომანის სოკიერთ ძველ თვისებას ბოლო მოკვლე და მოვსპე, აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს ნიშნები გაიფურჩქნენ“.

რომ-გრიიე ძალიან მკაცრად ებრძვის ძველ მითებს, აშკარად — თეორიულ ნაწერებში, ხოლო ფარულად — რომანებში. ამისათვის ის მიმართავს პაროდირებასა და ირონიას, ჩვენი აზრით, ამგვარა ახსნა იქნება „საშლელების“ ძირითადი გასაღები.

რომანის დასაწყისადანვე ბევრი მინიშნებაა, რომლებიც განგებ არის ხაზგასმული: „არ გამოვრჩეთ“, „ეტყობა სიმბოლურია“, „ყურადღება“ და სხვა. პროლოგისა და ეპილოგის გამოყენება თანამედროვე ნაწარმოებში ავტორის ირონიულ დამოკიდებულებებზე მეტყველებს. ბერძნულ ტრაგედიაში არის დასაწყისი, ამბავი, ბოლო და ერთი მოლიანობა, რომ-გრიიეს რომანებში დრამატულობის გაზრდის ნაცვლად დრო არ იძვრის, არაფრისათვის არ არის, ის თითქოს განგრებულა ანდა წრიულად მოძრაობს. ქუჩის სახელი „წრიული ბულვარი“ არა-ერთხელ მიგვანიშნებს ამაზე. სოფოკლეს გამონათქვამი, რომელიც ემიგრადად აქვს წამოღვა-რებული რომანს, სინამდვილეში ასე ეღერა: „დრომ, რომელიც ყველაფერს ხედავს, უშენოდაც აღმოაჩინა ეს საიდუმლოება“. ბერძნულ ტრაგედიაში დრო ყველაფერს ხედავს და ყველაფრის ბატონ-პატრონია. აქ კი დრო აღარ ბატონობს. მისი არსებობა მუქარის ქვეშ არის დაყენე-ბული (გაიხსენეთ რომ-გრიიეს სიტყვები: „ჩქარა, საუბედუროდ, დრო აღარ იქნება ბატონი...“).

რომ-გრიიემ რომანის ცენტრალურ თემად თიდიპოსის მითი აქცია, ფეხდაფეხ მიჰყვა და თითქოს აღადგინა იგი. მაგრამ საბოლოოდ მითი კი არ აღუდგენია, არამედ პაროდირების სა-შუალებით გააუფასურა. ამისათვის მან ორიგინალურ მეთოდს მიმართა: აღადგინა ძველი მითის ყველა მნიშვნელოვანი, საკვანძო წერტილები და მათი სრული უსარგებლობა აჩვენა; ძიება მიმდინარეობს დანაშაულის გარშემო, რომელიც არ მომხდარა. მთავარი პერსონაჟის ყოველი საჭციელი მოტივირებულია მკვლელობით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია. დაბოლოს, ვალასი საკუთარ მამას კლავს! მაგრამ განა იმაში დარწმუნებულები ვართ? რომანის კითხვი-სას დაბნეული მკითხველი სულ იმის ცდაშია, რომ გაერკვეს რა ხდება, როგორც კი მინიშ-ნებაა წააწყდება, შვებით ამოისუნთქავს, მიხვდა, როგორც იქნა, რომ თიდიპოსის მითის აღდ-გენაა, მაგრამ შემდგომი ტექსტი ისევ ეჭვს ბადებს, მერე ისევ მინიშნება, ისევ გაბათილება და და ა. შ. ასევეა სავნების მიმართაც. უამრავ სავანს შორის მკითხველი იმ სავნებს არჩევს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა მიაჩნო, ხოლო იმათ, რომლებიც ასოციაციებს არ იწვე-ვენ, ყურადღებას არ აქცევს. საკმარისია მკითხველმა ბელი ჩაავლოს სავნის მინიშნებას, რომ იგი უფასურდება. ასე, სულ მუდამ ტრიალებს ეჭვი. მთელი რომანიც რაიმეს მტკიცება კი არ არის, არამედ ნგრევაა, თავის თავის ნეგაცია. „მე მინდოდა მომეთხრო ამბავი, რომელიც თა-ვის თავს ახგრევს“ — განაცხადა კიდევ მწერალმა.

ბერძნულ ტრაგედიაში სიკვდილს ყოველთვის საფუძველი და მიზეზი აქვს. ღმერთების მიერ დასჯილი თიდიპოსი კედება სამართლიანობის აღსადგენად. ევანძის გახსნა რაციონალურია. ვალასი კი კაცს შემთხვევით კლავს, როგორც ეს ხდება ხოლმე, დაცვის მიზნით, შეიძლება შიშით. ამ მკვლელობას უნდა მოვაცილოთ კლასიკური ტრაგედიის მნიშვნელობა და ისიც, რომ ის აბსურდულია ან უმოტივო მოქმედება. ეს აქტი რამდენიმე წამის ამბავი იყო „ადამიანური

ფსიქოლოგიური და მეტაფიზიკური ამბების ერთიანობას რომ არ შეენელებინა მისი ტრაექტორია“ (ბერნალი).

თვით სათაურის „საშლელების“ მნიშვნელობა ასე შეიძლება გავეიგოთ: საჭიროა წაშლა იმ მემკვიდრეობის, კანონების, ფორმების, ფსიქოლოგიის, მეტაფიზიკისა და სხვა ფაქტორების, რომლებიც არ ეშვებიან ადამიანსა და რომანს, გამუდმებით სდევნენ თან და საკუთარ თავის-თავადობას აკარგევენებენ.

კრიტიკოსები, რომლებიც რომ-გრიფს შემოქმედებას ორ პერიოდად ყოფენ, მწერლის შესამე რომანს „ექვიანობას“ მის შემოქმედებაში გარდატეხის მომენტს მსაჩინველნი მიიუხედავად იმისა, რომ პირველ პერიოდში იგი „შოზისტად“ არის აღიარებული, „შეკრებილი“ კა „კუმანიანად“, მისი ბოლო ორი რომანი უფრო ახლო დგას მის თეორიულ მრწამსთან, ვიდრე პირველები. რომ-გრიფს მიზანი დაწეროს „წმინდა“ რომანი, ფლობერის თქმისა არ იყოს, „წიგნი არაფერზე“, სადაც კომპოზიციის, სტრუქტურის და ფორმის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ ფიქციაა და რომელშიც მხატვრული ღირებულება და „მშვენიერება“ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, შედარებით უფრო ხაზლად გამოჩნდა რომანებში „ექვიანობა“ და „ლაბირინთში“.

ჩვენი აზრით, „ექვიანობა“ რომ-გრიფს ყველაზე აბსტრაქტული რომანია: საგნების გაუ-თავებელი აღწერებით, ორი ადამიანის ა-სი და ფრანკის საუბრებით, შათი სრულიად მექანიკური მოძრაობებით, ერთი და იგივე სცენებისა და სურათების აკვიატებული განმეორებებით.

რომ-გრიფე საერთოდ თითქმის ყველა თავის ნაწარმოებს ან დასაწყისშივე წაუშეშვარებს ხოლმე შესავლის მაგიერს, გაფრთხილებას ან კიდევ ბოლო გვერდზე იძლევა საკმაოდ ბუნდოვან მინიშნებას რომანის ძირითადი ხაზისა. „ექვიანობის“ ბოლო გვერდიდან ვიგებთ, რომ „ამ ამბის მახრბელი ქმარი, რომელიც უთვალთვალებს ცოლს — რომანის ცენტრია. ის მუდამ პარ-ველ პლანზეა, პირველი ფრანზიდან ბოლომდე. მაგრამ მკითხველი ვერ ხედავს მას, არ ესმის მისი. მკითხველი გრძნობს მხოლოდ მის „იქ“ ყოფნას. ის გგაღაგებს საგნებს, აკვირდება ეეს-ტებს, აძლევს სამყაროს ფორმას, სიმაგრეს, წონას. პერსონაჟს არც სახელი აქვს და არც სახე. ის რეალურად არ არსებობს — ანონიმურია, მაგრამ ყოველავე მის წარმოდგენაში ხდება და ამიტომ მკითხველმა იგი კონკრეტულად უნდა აღიქვას. ეს კაცი ექვიანობს ცოლის მიმართ. ეჭვი კი ისეთი ვნებაა, რომელიც არაფერს იფიქსებს: ყოველი ექსტი, ყოველი წარმოდგენა და მოჩვენება სამუდამოდ ჩაიბუკდება ადამიანში. რომანში მკითხველი ვერ გრძნობს ამ „პერსონ-საჟის“ ტანჯვას, ექვიანობით გამოწვეულ საშინელ ტკივილებს, როგორსაც განაცდის, მაგა-ლითად, სვანი ბრუსტის რომანში. ქმრის ექვიანი თვალი თითქოს მუქანიკურად იწერს ფორზე, რაც მისი თვალთახედვის არეში ხვდება (საგნები, ბუნება, ცოლი, მეორე მამაკაცი და სხვა). უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგ ადვილას მართლაც ოსტატურად არის დაჭერილი ეჭვის ატმოს-ფერო: ხვდებას მოძრაობა, წერალის ჩადება, თავის მოტრიალება. მაგრამ ესაა და ეს. გან-ზოგადება ან რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია; თუმცა არც ავტორი თხოულობს ამას. ნაწარმოების ფორმამ და კომპოზიციამ უნდა აქციოს მკითხველი ექვიან ქმრად და მხოლოდ მაშინ აღიქვამს იგი რომანს ისე, როგორც ეს სურს ავტორს.

რომან „ლაბირინთში“ პატარა შესავალი გვაუწყებს, რომ „ეს მოთხრობა არის ფიქცია და არა მტკიცება. ის აღწერს რეალობას, რომელიც აუცილებლად ისეთი არ იქნება, როგორიც მკითხველს განუცდია. მაგალითად, ფრანგულა არმიის ქვეითი ჯარისკაცი ფარაჯის საყულოზე ნომერს არ ატარებდა, დასავლეთ ევროპის ახალში ისტორიამ არ იცის რაიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა რეიხენდელსში ან მის მახლობლად. მაგრამ მოცემული რეალობა ზუსტად მატერი-ალურია, ე. ი. მას არა აქვს პრეტენზია მკონდეს ალეგორიული მნიშვნელობა. მკითხველს ვთხოვთ მასში დაინახოს საგნები, ეესტები, სიტყვები, მოვლენები და არ ეძიოს მათი რაიმე სხვა მნიშვნელობა, გარდა იმ მნიშვნელობისა, რასაც თავის საკუთარ ცხოვრებაში და სიყვ-დილში მისცემდა, არც მეტი და არც ნაკლები“. რაა უნდა ნიშნავდეს ეს „არც მეტი და არც ნაკლები?“

ყველაფერი იწყება სრულიად ობიექტური სურათების აღწერით, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან. ნეიტრალური ხედვა გარე საგნებისა, სახლებისა, ქუჩებისა. პირველადე სტრიქონები-დანვე ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს კინობიექტივი მიმართულია გარე სამყაროსადმი. მიძყვება მას და ზუსტად იმას იღებს, რაც ობიექტივში ხვდება, ამი თუ იმ გზისაა თუ გზა-კვირედისზე. აღწერები ერთმანეთს ცვლიან, ნეორდებიან და დახურულ წრეს ქმნიან. ამ წრეში

ერთსა და იმავე დროს შედის მზიანი ქუჩაც და თოვლიანი მოედანიც. თბილისი დაყინებით სდევს მოხეტიალე ჯარისკაცსა და პატარა ბიჭუნას, მათ შეხვედრებს, სხვა გაურკვეველ სილუეტებს, ქალს, კოჭლ მამაკაცს. რომანის შინაარსის მოყოლა შეუძლებელია, რადგან მას არა აქვს შინაარსი. მოკლედ მოვახსენებთ რომანის წყობას. რომანი ასე იწყება: „მე ახლა მარტო ვარ აქ, კარგად შეფარებული. გარეთ წვიმს, გარეთ თავჩაღებული დადიან, თავლებს ხელით იფარავენ, მაგრამ წინაც იყურებიან და ხედავენ სველი ასფალტის რამდენიმე მუხის. გარეთ ცივია, გაშიშვლებულ და შავ ტოტებს შორის ქრის ქარი, ქარი ზუზუნებს ფოთლებში და მილიონ ტოტებს აქანავენ, აქანებს, აქანავენ; ჩრდილი კი აირცლება კედლებზე და ათბობს. გარეთ მზეა, არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი, ჩრდილის მოძვენი. დადიან, თავლებს ხელით იფარავენ, თან წინაც იყურებიან და ხედავენ რამდენიმე მეტრს, რამდენიმე მეტრს დამტვერიანებული ასფალტისა, რომელზედაც ქარი ხატავს პარალელებს, განპტოებებს, სპირალებს.

აქ მზე არ შენოდის, არც ქარი, არც წვიმა, არც მტვერი. წმინდა მტვერი, რომელიც ამკრთალებს პრილა, პორიზონტალურ ზედაპირებს, მაგიდის ლექწასმულ ხეს, გაბრიალებულ იატაკს, ლუმელის მარმარილოს, კომოდს, კომოდის გახეთქილ მარმარილოს. მტვერი თვითონ თათხში ჩნდება; შეიძლება იატაკის ნასერცტებიდან მოდის, ან ლოგინიდან, ან ფარდებიდან, ანდა საცრიდან, რომელიც ლუმელშია“.

ამის შემდეგ იწყება ოთახის დეტალური აღწერა, რომელშიც დგას ლოგინი, კარადა, ბუხარი, მაგიდა, ლანფა, სქელი ფარდები (რომლებიც აღბათ ფანჯარას ფარავენ), რიაც საგანი მაგიდაზე. აბაჟურის ირგვლივ ბუზი დაფრინავს. ოთახის დეტალური, მაგრამ სრულიად ნეიტრალური აღწერა გადადის ქუჩის ასევე ნეიტრალურ აღწერაზე. ქუჩაში თოვს, შავგისი ქუჩები ერთმანეთს მისდევენ, ურთიერთს კვეთენ... შემდეგ ისევ ოთახი, უმნიშვნელო ცვლილებებით, შემდეგ ისევ ქუჩა (გარეთ მზეა) და ა. შ. ქუჩის ერთ-ერთი აღწერისას გამოჩნდება ჯარისკაცი, რომელიც ფარხის ბოძზეა მიყულებული. ჯარისკაცის გამოჩენაც კინოკადრს ჰგავს. ამჯერად ობიექტივა ქვემოდან ზემოთ აღის: ჯერ ფეხბაცმული გამოჩნდება, მერე წვივები, მენჯა და ა. შ. ჯარისკაცს დაღლილი სახე აქვს; აღწერილია მისი ჩაცმულობაც.

ისევ ოთახი... ისევ ქუჩა, ამჯერად ჯარისკაცს იღლიაში ამოღებული აქვს რაღაც შეხვეული პაკეტი თუ ყუთი... ოთახის შემდგომი აღწერისას პაკეტი თუ ყუთი კომოდზე დევს. კომოდის თავზე სურათი ჰკიდია, რომელიც კაფეს სცენას ასახავს: დახლი, ხალხი და სამი ჯარისკაცი მაგიდის გარშემო; მათ წინ ჩატუქტულ ბიჭს ხელში ყუთი უჭირავს. სურათის სათაური: „რეზინფელსის დამარცხება“... შემდეგ სცენებში ჯარისკაცი და ბიჭი ცდილობენ კაფეში შელწევას. ...ჯარისკაცი ცდილობს გაიხსენოს ნისამართი, სადაც ყუთი უნდა მიიტანოს. ორივენი შედიან კაფეში და იკაეებენ იდგილებს (ზუსტად ისევე, როგორც სურათშია განოხატული). მთელი რიგი დაახლოებით შესავალი ეპიზოდებისა, ხან გარეთ, ხან ოთახში, ხან მარტოა ჯარისკაცი, ხან ბიჭთან ერთად... ჯარისკაცი ბნელ დერეფნებში დადის; ვიღაც ქალი (ბიჭის დედაა?) ეხმარება მათ ქუჩის მოძებნაში... ჯარისკაცს ქუჩის სახელი არ ახსოვს... ჯარისკაცი ქალის ძიებაშია და შედის ოთახში, რომელიც ჰგავს პირველად აღწერილ ოთახს. იმ განახვავებით რომ კედელზე სურათი კი არ ჰკიდია, არამედ ჯარისკაცის ფოტო, რომელიც ფარხის ბოძზეა მიყრდნობილი... ჯარისკაცი გარეთაა, თოვლში დაბრწის... ქალის ოთახში გამოჩნდება მამაკაცი, რომელიც კოჭლობს... ბიჭს ჯარისკაცი უახარმაში მიჰყავს, ჩაუვლიან თმ სახლს, რომლის ოთახი ხშირადაა აღწერილი... შემდეგი სცენები ერთმანეთში ირევა, იდამიანის პალუტინაციის შესავსად.

ჯარისკაცი ავად არის, მოდის ექიმში, ჯარისკაცი გარბის, ყავარწნიანი მამაკაცი მუქარით ეკითხება თუ რა აქვს ყუთში... ისმის მოტოციკლეტის ხმა... ჯარისკაცს სურს გადაარჩინოს დაჭრილი მეგობარი... ჯარისკაცი გარბის, რომ ყუთი თავის ადგილას მიიტანოს, მაგრამ მისამართი არ ახსოვს... ჯარისკაცს ჭრიან... ექიმში მას სინჯავს... დაჭრილი მეგობარი ყუთს ანდობს ჯარისკაცს და რაღაცას სთხოვს... ისევ დაჭრილი ჯარისკაცი წევს ლოგინზე... ლელავს, რადგან ყუთი არ მიიტანა თავის ადგილას... ქალს უყვება, როგორ დაიღუბა მისი მეგობარი... ჯარისკაცი ავონიაშია და კედება... ქალი ყუთს აძლევს ექიმს, რომელსაც იგი სახლში მიჰქვს... მათში აღმოჩნდება ჯარისკაცის მეგობრის საცოლის წერილები, საათი, ბეჭედი...

უკანასკნელი სცენა, კაფე, ჯარისკაცი ბიჭის გვერდზეა... სურათი დიდი პლანით არის მოცემული (იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს სცენა გაიყინა და სურათად იქცა). ოთახში მაგიდაზე

დაყრილია უამრავი ფურცელი, პირველად არის ნახსენები სიტყვა კარი (ოთახს კარი ჰქონია. ლაბირინთსაც ხომ ერთი გასასვლელი აქვს) და ბოლო ფრაზაა... „ოთახის კარების შემდეგ ბნელი ვესტიბიულია, სადაც ქოლგების ჩასადები მიყუდებულია პალტოების დააკადზე; შესასვლელის ზღურბლს, რომ გადალახავ, გრძელი დერეფნების უწყვეტი რიგია, ხვეული კიბე, შენობის კარი ქვის საფეხურით და მთელი ქალაქი ჩემს უკან“.

პირველი ფრაზის გარდა მოყვანილი ადგილები ნებისმიერად არის არჩეული შეიძლება სხვა შავალითების მოყვანაც, რადგან რომანში ერთი და იგივე სცენა ხშირად მეორდება უმნიშვნელო ცვლილებებით. მოქმედება თითქოს წრეულია; ერთმა პერსონაჟმა რომანს „გაშეშებული თავბრუსხვევაც“ კი უწოდა.

მკითხველთა ერთი ნაწილი ინტერესით იწყებს რომანის კითხვას, რადგან ინტერესებს რა ხდება, რა მოხდება, რისი სიმბოლოა და რატომ ხეტილობს ასე უთავბოლოდ ქარიკაცი, რომლის არც სახელი ვიცით და არც გვარი. რა დაქვს თან, რას ეძებს ან ვის ეძებს? ამგვარი მკითხველი იმედგაცრუებული რჩება, რადგან არაფერი საბოლოოდ არ ირკვევა, კვანძი არ იხსნება, რადგან იგი არც შექმნილა. სხვები რამდენიმე ფურცლის წაკითხვის შემდეგ რომანს ბოდივად მიიხსევენ და თავს მიანებებენ. ზოგი კი ნელ-ნელა ჩაეფლობა რომანში მისი გაურკვეველი ემოციური ძალის გამო, რომელიც შიშპარავად გეხვევა თავზე და რომანს მეტაფიზიკურ ახსნას მოუძებნის. მხოლოდ უმცირესობა — ძირითადად ულტრაინამედროვე კრიტიკოსები — აღიქვამს ამ რომანს, როგორც ეს სურს თავით ავტორს, ე. ი. იდეურებს, რომ რომანს არა აქვს არავითარი სიმბოლური და ქალეგორიული მნიშვნელობა, ის დაკლილია ყველაფრისაგან და მისი „შინაარსი არის მისი ფორმა“.

ავტორის წინასწარი გაურთხილება და რომანის ემოციური ძალა ეჭვს ბადებს, რომ თხრობა არ არის უპიროვნო და თბიერებული, რომ მასში მხოლოდ საგნების აღწერა არ არის ძირითადი. „ლაბირინთში“ რომ-გრიივს რომანებს შორის ყველაზე ამაღელვებელი და ემოციური. რით აღწევს ამას ავტორი?

უპირველეს ყოვლისა კომპოზიციით. თითქოს არეულ-დარეული სცენები და სურათები (რომლებიც თავდაპირველად გზა-კვალს უბსევენ მკითხველს) საგანგებოდ არის ასე განლაგებული. რომანის კომპოზიციით იქმნება ლაბირინთი: ჩახურული ოთახი, კაფე, ბნელი დერეფნები, გაუთავებელი ქუჩები, საგნები და ისევ საგნები; ერთი დეკორი მეორეთი იცვლება, მერე ისევ პირველი სცენაა. პერსონაჟები ერთი და იგივე ადგილას სხვადასხვა გზით მიდიან, უკან ბრუნდებიან, გაუთავებელი სიარული ქუჩებსა და დერეფნებში, ხისში მოხვედრა და ისევ ხელმეორედ გზის დაწევა. სულ რაღაცის ძიება — ყოველივე ეს ისე ოსტატურადაა გადახლართული ერთმანეთში, რომ თავისი სტრუქტურით ლაბირინთის სრულ ასოციაციას იწვევს და წარმოდგენაში წარუშლელ შთაბეჭდილებად იხსება. პირველი წაკითხვით რაც დაულაგებელი და არეული გვეჩვენს, ნელ-ნელა დალაგებული, შეკრული და მთლიანი გამოჩნდა. კომპოზიციური წონასწორობის თვალსაზრისით ყოველი ახალი სურათი წინა სურათის განოზომიერი გაგრძელებაა. ვადასაღების დინამიკური ბალანსირება შემთხვევითი არ არის. ქუჩიდან ოთახში, ოთახიდან ქუჩაში და სხვა. როცა ოთახის აღწერისას მთელი რიგი საგნების შემდეგ ნეიტრალური თვალის მიაღწება ფარდებს (რომლის უკან ფანჯარა იგულისხმება), ან როცა თავით სიტყვა ფანჯარა წარმოითქმება, სურათი უმაღვე იცვლება ქუჩით... როცა ქარისკაცი მიაპყრობს მზერას სახლს და ფანჯარას, აღწერა ისევ ოთახზე გადადის და ა. შ. ასე მთელი ტექსტი ჰარმონიულად გადადის ერთი სურათიდან მეორეზე.

ამას გარდა, მოცემულია ჩვეულებრივი სამყარო, ქალაქი თავისი შენობებითა და ქუჩებით, რომელთაც გარეგნულად არაფერი უცნაური არ ახასიათებთ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოტივები განათებულია არაჩვეულებრივად, უცხო შუქით და ამგვარად გაშუქებული რეალობა ჩვენ თვალწინ ონირიული სიძლიერით ცხადდება. პერსონაჟიც მის აქტუალურ ვითარებაშია წარმოდგენილი, ყოველგვარი სენტიმენტალური კომენტარებისა და ფსიქოლოგიური ახსნების გარეშე. მართალია, კომპოზიციის შეკრული და მთლიანია, მაგრამ ცნობიერებას ნაკადი ქრონოლოგიურად არ აღიქმება. რომანში სრულიად დარღვეულია დროის თანამიმდევრობა. ამგვარ დარღვევას არაერთხელ შევხვდით პრუსტთან, ფოლკნერთან, ვულფთან, სიმონთან და სხვებთან. მაგრამ რაც არ უნდა არეული იყოს ამ მწერლებთან დრო, ქრონოლოგიის დადგენა მაინც შესაძლებელია, რომ-გრიივსთან ეს შეუძლებელია. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტებს რომანს მის ემოციურ-იდუმალ ელფერს.



რომანის ორიგინალობა და სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ამ სუბიექტურად დანახულ თუ წარმოდგენილ სურათებსა და სცენებს, ამ შინაგან სამყაროს რომ-გრივ ხელს იწვევს და თავისებური ტექნიკითა და წერის მანერით უცებ აობიექტურებს.

ამრიგად, რომ-გრივის მოძებნილი პრინციპი აღმოჩნდება მნიშვნელობას მოკლებული სი-საგანე (opacite), რომელსაც სამყარო სთავაზობს ჩვენს ხედვით ჰერეცას (perception visuelle). რომ-გრივი თითქოს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად აღწერს ობიექტურ რეალობას, მაგრამ ნამდვილად ეს სუბიექტის მიერ დანახული გაობიექტურებული აღწერაა, ძალზე პარადოქსალურად ეღწერს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ რომ-გრივის შემოქმედება არის გაობიექტურებული სუბიექტურობა. ობიექტურია, რადგან მწერალი ნატურალურ სამყაროს სიტყვებს უხსტად აღწერს, ხოლო სუბიექტურია, რადგან ეს აღწერა ერთი რომელიმე ადამიანის მიერ არის წარმოდგენილი თუ დანახული. სრული ობიექტურობის შეგრძნებას კი წერის მანერა იწვევს, იგი მშრალი და ნეიტრალურია.

როგორც ვნახეთ, რომ-გრივი ცდილობს საგანს მოაცილოს სიმბოლური მნიშვნელობა და ანალოგიები. მას არ უნდა, რომ საგანმა მკითხველს რაიმეზე მიახლოოს. მაგრამ თითოეულ რომანში ერთი საგანი ყოველთვის ხაზგასმულად არის გამოყოფილი. ერთი რომელიმე საგანი დაეინებიან გვსდევს თან: საშლელი, თოკის ნაგლეჯი და სიგარეტის ნამწვი, ყუთი თუ პაკეტი, მწერი და სხვა. ეს საგნები სხვადასხვა სცენებში ჩნდებიან და ვარიაციას განიცდიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ნაწარმოების კონტრაპუნქტული ელემენტები არიან და ნაწარმოებში რაღაც როლი აქვთ მინიჭებული, რადგან მის ნაწილად აღიქმებიან. ასევე ცალკეული სიტყვების მიმართ. ჯერ ერთი, სიტყვების სრული დაცლა ანალოგიური მნიშვნელობებისაგან წარმოუდგენელია; ყოველი სიტყვა იწვევს ადამიანში მთელ რიგ სურათებსა და ასოციაციებს. სიტყვა არის მწერლისთვის იარაღი, იმე როგორც ფერი მხატვრისათვის და ბგერა მუსიკოსისათვის. სიტყვები ეხმარება და უხსოვარი ღრთიდან დღემდე; დრომ და ადამიანებმა მათ მნიშვნელობა დაემკვიდრეს, რომელთა მოსპობა ერთი ხელის მოაპოვება არ შეიძლება. მოცილო სიტყვას, საგანს, ადამიანს მნიშვნელობები, სრულიად დააცარიელო და სტერილურად აქციო ისინი, ნიშნავს მოსპოვ ლიტერატურაში ამაღლებულ და ამღვლებულ, პოეტური და პათეტიური ნიუანსები. ეს მეთოდი ხელოვნური გვეჩვენება და არ გვგონია, რომ ამგვარად დიდად მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნა იყოს შესაძლებელი.

მთელ რომანში მწერალი უცნობი ჯარისკაცის უაზრო ხეტიალს გვიჩვენებს, რომელიც მიზანს ვერ აღწევს და უაზროდვე აღუბნება. რომანს კი სახელად ლაბირინთს არქმევს. ანელა ამ „შინაარსით“ და ამგვარი სახელწოდებით მკითხველმა არ გაიფიქროს, რომ რომანს ღრმა მეტაფიზიკური აზრი აქვს ადამიანური ყოფის შესახებ. „კერძობით, სემწუხაროდ, შეუძებელია აღწერო კორიდორი, ან აბსენტო ყუთი, რომ მკითხველი მეტაფიზიკაში არ გადაგარდეს. თუკი ეს რომანი („ლაბირინთში“) მხოლოდ ასე აიხსნება, მაშინ მე უფრო წიგნი დამიწერიაო“ — აღიარებს თვითონ რომ-გრივი.

ღრო თვის დაღს ასვამს ყველაფერს, ცხოვრებას, იდეებს, ხელოვნებას, ყველ ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებს ერთი პრინციპი აერთიანებდა — ბუნების მიბაძვა და მისი გამოხატვა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მე-19 საუკუნეში მალარმემ საწინააღმდეგო პრინციპი აღიარა ხელოვნებაში: „რაც უფრო მეტია მიბაძვა, მით უფრო ნაკლებია შემოქმედებაო“. მე-20 საუკუნეში კი პიკასომ, რომელმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინა მხატვრობაში, არა მარტო დაამსხვრია ტრადიციული ფორმები, არამედ ახალი სამყაროც აღმოაჩინა, უკიდურესობამდე გენავითარა ეს აზრი: „არავითარი კავშირი არ არსებობს სურათის სამყაროსა და გარე სამყაროს შორის. ის, რაც იქმნება ტილოზე, აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროა. მხატვარი თავის სამყაროს ქმნის“.

ბურჟუაზიული სამყაროს მწერლების ერთი ნაწილი თვლის, რომ ახალი ფორმებისა და ახალი მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით ფერწერამ დიდად გაუსწრო ლიტერატურას. პეტანის მერე ფერწერაში საგანმა თავისთავადობა მოიპოვა, რაც უკმდეგ აბსტრაქტულმა ხელოვნებამ განაპტკიცა. ამ ხელოვნებამ მოიცვა ხელოვნების სხვა დარგებიც: მუსიკა, თეატრი, ქანდაკება; ახალ რომანისტებმა კი გადაწყვიტეს მისი დანერგვა რომანში.

„წმინდა რომანში“ არავითარი პრობლემა არ უნდა იყოს დასმული, არც სოციალური და

არც მეტაფიზიკური. მის შინაარსს შექმნის თვით რომანის ფორმა; ნაწარმოების აგებულება, ფრაზების წყობა და სიტყვების თავისთავადი მნიშვნელობის ერთობლიობა.

თავის ნაწარმოებში „რა არის ლიტერატურა“, ხელოვნების დარგების განხილვისას, ლიტერატურაში სარტრი სრულიად ცალკე გამოყოფს პროზას. მას მიაჩნია, რომ ამ დარგებს შორის პარალელიზმი არ არსებობს, რადგან თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკა გააჩნია პროზა — ნიშნების სამყაროა. პროზაში მწერალს სიტყვებთან და მის მნიშვნელობებთან უკმაპოვი სიტყვიერი კი „დატყვევებული რევოლუციაა“, რომელთა შემწეობით მწერალს „გვიჩვენებს, ასახავს, გვიბრძანებს, უარყოფს, მოგვიწოდებს, გვთხოვს, გვარწმუნებს, შეუწყურებს, გვაყენებს, შთაგონებით ევაგებს“. ადამიანმა დიდი ხანია მიატოვა შეუალბებელ ტექნიკურად, გულგრილად აესაბა საზოგადოება და ადამიანური ენა, რადგან პროზა თავისი არსით არის უტილიტარული; იგი სოციალური — ასეთია სარტრის საბოლოო დასკვნა.

მწერალი როცა მხოლოდ ფორმით არის გატაცებული, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მას აღარაფერი აქვს სათქმელი? ხომ არ ნიშნავს, რომ რომანი სულს დაფავს და შესაძლებელია გაქრეს კიდევ? სკეპტიკოსები თვლიან, რომ 1948 წლის შემდეგ არაფერს გამოჩენილა საფრანგეთში კიდევ ძალით, როგორც თავის დროზე მალრო, ბერნანოსი, სარტრი, კამიუ. — „დამისახელებთ 1948 წლის შემდეგ დიდი ფრანგი მწერალი... მე ხაზს ვუსვამ დიდი მწერალი... ამჟამად მალრო აღარ წერს, სარტრი აღარ წერს, რომენი აღარ წერს, არც სელინი, მონტერლანმა თეატრს მიაშურა, რა ხდება? იქნებ შემოქმედებითი წყარო იშრიტება? გამოჩნდა „ახალი რომანი“ და მასთან ერთად იმედიც. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. იგი არ გვიჩვენებს არც თორგინალურ სიხალეს, არც დიდ ფორმალურ აღმოჩენებს. ის არ არის რევოლუციური წამოწყება, რადგან ნეგაციას და უკმარობას გვიჩვენებს. ის კრიზისის მაჩვენებელია“. ამბობს ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი ალბერესი.

ხვენ არ ვფიქრობთ, რომ ფრანგული „ახალი რომანი“ რომანის კრიზისის მაჩვენებელი იყოს. გადავიხედოთ ფრანგული ლიტერატურის მრავალიცხოვანი და მრავალფეროვანი რომანთა სახეებს შუა საუკუნეებიდან დღემდე: რომანი ვარდზე და გარგანტილა — ორივე რომანად არის მიჩნეული; ბალზაის, სტენდალისა და ფლობერის კლასიკურ რომანებთან ერთად რომანებად ითვლება პრუსტის, ეილისა და სარტრის ნაწარმოებები, რომელთაგან არც ერთი კლასიკური რომანის ტიპს არ ესადაგება. „ახალი რომანის“ აღმოცენებაც შეიძლება ჩავთვალოთ ფრანგული რომანის ევოლუციის ერთ-ერთ მომენტად მე-20 საუკუნეში. ფრანგი კრიტიკოსების შემფოთებაც ხადრევაა, რადგან, კერ ერთი, „ახალი რომანის“ ნაწარმოებთა რიცხვი წვეთია ზღვაში თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ფონზე და, მეორე, „ახალი რომანი“ წმინდა ფრანგულ მოვლესად გვიჩვენება და მისი განზოგადება მსოფლიო მოვლესად დიდი შეცდომა იქნებოდა.

ერთი რამ კი უდავოა. „ახალი რომანი“ ვერ მიაღწია იმას, რისკენაც ისწრაფოდა. მას ფართო საზოგადოება არ კითხულობს. ახალი რომანისტები საკუთარ თეორიებს ბოლომდე ვერ აპირებდნენ და, რაც მთავარია, დიდი ნაწარმოებები ვერ შექმნეს. მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებს თუ გამოეყოფთ: ბიულტონის „მოდერნიზაციას“, სიმონის „ფლანდრიის გზებს“ რომბ-გრიფს „ლაბირინთში“ და სხვა. რაც დრო გადის, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათი შემოქმედებას წყარო დაიშრიტა. ბოლო ნაწარმოებები პირველებზე უარესია. სარტრის ახალი ნაწარმოებები აველის გამოტრებაა, ბიულტონი ესეებსა და თეორიულ ნაწერებზე გადავიდა, რომბ-გრიფი კი თითქმის მთლიანად კინომოლგაწეობას მოჰკიდა ხელი.

ახალ რომანისტებთან წინა პლანზე ყოველთვის ფორმალისტური ასპექტია წამოწეული. სარტრის ცნობილ დებულებას თუ გავიზიარებთ, რომ „რომანის ტექნიკა ყოველთვის რომანისტიკის მეტაფიზიკაზე მივყავართ“, შეგვიძლია დავასკვნათ ყოველივე შემოთქმულიდან, რომ ახალი რომანისტების მეტაფიზიკა სიკატორელეში მხერა და ნეგაცია.

ყველა ახალი რომანისტი აცალკევებს ხელოვნებას სოციალური ამბებისა და პოლიტიკისაგან. მოუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ძირითადად შემარცხნე დაჯგუფებებს ეკუთვნის და პირადი მოქმედებით სამართლიანობისა და მშვიდობის საქმეს ემსახურებიან. მაგრამ არც ერთ მათგანს მხატვრული ნაწარმოები პოლიტიკური მრწამსისა და იდეების გამოხატვის საშუალებად არ მიაჩნია ისინი წინააღმდეგნი არიან აღწერონ ეპოქა, სოციალური კონფლიქტები და მით უმეტეს გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი. „ეს სოციოლოგიებისა და მორალიანების საქმეა“ — აცხადებენ ისინი. კლოდ სიმონის „ფლანდრიის გზები“ ეხება საფრანგეთის 1940 წლის განადგურების ამბავს. მაგრამ მწერლის მიზანს არ



წარმოადგენდა იესახა ოკუპირებული საქრახვეთი ახდა ფოთის პატრიოტული სულს-  
კვეთება და ჰეროიზმი. მას სურდა „გამოველინა ის ხამდელი სტრუქტურა, რომლის მიხედ-  
ვითაც მოგონებების ორგანიზაცია ხდება“; ასევე მსჯელობენ სხვებიც.

მაგრამ ნეიტრალური ზელოვნება არ არსებობს ნეიტრალური პოზიცია — ბიჭუმე — ავ-  
რეთვე პოზიცია (სარტრი). როგორც არ უნდა იჩემებდეს შვედური თუ ნეიტრა-  
ლობასა და აპოლიტიკურობას. ის თავის დროს ვერ გაეცნო და ნებით თუ უნებლად თავის  
საწარმოებებში თუ ტილოებზე გამოხატავს, უშუალოდ თუ არაპირდაპირ, უკუყუბუბუბასა და  
შის სულს. ამიტომ არას, რომ სიმონის უპიროვნო აღწერებითაც მოტყუდობაში  
ომის საშინელებებს ავლენს, „ლაბირინთში“ მკითხველი განიცდის ომში გაუბედურებულ  
ჯარისკაცის ბედს. ხოლო სარტრის საუბრებისა და „ქვესაუბრების“ ობიექტური ჩანაწერების  
მიღმა იხატება ბურჟუაზიული საზოგადოების სიცარიელე, სიყალბე და ამ საზოგადოების  
შვაცი კრიტიკაც ისმის.

შესაძლებელია შემდგომში თაობებმა სწორედ ამგვარი ჩანაწერების მიხედვით იმსჯე-  
ლონ მე-20 საუკუნის ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშანზე: ტექ-  
ნიკის უდიდესი აღმავლობის ეპოქაში ადამიანის მარტობასა და უიმედობაზე, კომუნიკაციის  
შეუძლებლობასა და გაუცხოების მწვავე განცდებზე.



გამომცემლობის რედაქტორები:  
მანანა იორდანიშვილი და მამუკა ცეცხლაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე  
კორექტორი ნორა თაყაძე  
გამომშვები ნოე შაჰარაშვილი

გადაეცა წარმოებას 2/IX-70 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 15/III-71 წ. ქალაქის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>32</sub>.  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 25.55 საათრ.-საგამომც.  
თაბახი 20,69. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 1010.  
ფასი 1 მანეთი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი  
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Главполиграфиромы  
Государственного комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати.  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.



საქართველოს  
ბიბლიოტეკა

## ХОМЛИ № 6

Альманах иностранной литературы

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1971

შ. 22/5



ქართული  
წიგლმწიფობა

